



გონის სასწავლო უნივერსიტეტი



სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი
ჰროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა
საუნივერსიტეტო-შორისო საბეცნიერო კონფერენცია –

„ქართულ-აშხაფური და ქართულ-ოსური ურთიერთობები:
წარსული, დღემანდემობა, მომავალი“
(საბეცნიერო კონფერენციის მასალები)



გამომცემლობა „უნივერსალი“
თბილისი 2011

კრებული მოიცავს სსიპ-გორის სასწავლო უნივერსიტეტისა და სსიპ-სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ 2011 წლის 31 მაისს გორის სასწავლო უნივერსიტეტში ერთობლივად ჩატარებულ, საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა საუნივერსიტეტთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური ურთიერთობები: წარსული, დღევანდელი, მომავალი“ მასალებს.

რედკოლეგია:

გიორგი სოსიაშვილი, გორის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი
ჯონი აფაქიძე, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი
გიორგი ხორბალაძე, გორის სასწავლო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი
ალექსანდრე მდებრიშვილი, გორის სასწავლო უნივერსიტეტი, სრული პროფესორი
ელდარ მამისთვალიშვილი, გორის სასწავლო უნივერსიტეტი, სრული პროფესორი
თამარ გოგოლაძე, გორის სასწავლო უნივერსიტეტი, სრული პროფესორი
ზურაბ პაპასქირი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სრული პროფესორი
მარიამ მირესაშვილი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სრული პროფესორი
ლედა ქობალაია, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სრული პროფესორი
ელგუჯა ქავთარაძე, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი
დაზმირ ჯოჯუა, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი

© გორის სასწავლო უნივერსიტეტი

© სოხუმის სასწავლო უნივერსიტეტი

გამომცემლობა „**უნივერსალი**“, 2011

თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge

ISBN 978-9941-17-422-3

შ ი ნ ა ა რ ს ი

ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური ლიტერატურულ-ლინგვისტური ურთიერთობები

- არახამია ნანა – ზოგი რამ აკაკი წერეთლის „გამზრდელის“ ლიტერატურულ-ფოლკლორულ წყაროთა შესახებ – 5
- გოგოლაძე თამარ, ბარბაქაძე ქეთევან – სამაჩაბლოს კონფლიქტი სამი ქართველი მწერლის მხატვრულ ტექსტში – 8
- ვახანია ნინო – ქართველ და აფხაზ მწერალთა თვალთ დახახული ომი (კრებულ „ხიდის“ მიხედვით) – 12
- კაპანაძე სალომე – „სიცოცხლის დრო“ – დიალოგი კულტურის ენაზე – 16
- კვარაცხელია მედეა – ასე უყვარდათ... (ზ. შინკუბას რამდენიმე ლექსის გამო) – 21
- კობერიძე მარიამ – იოანე იალღუზიძე და ქართულ-ოსური ენობრივი ურთიერთობები – 25
- კუცია ნანა – კონფლიქტის ანარეკლი ნაირა გელაშვილის ლექსში „სიმღერა ქალაქ სოხუმზე“ – 28
- მირესაშვილი მარიამ – ქართველები აფხაზების თვალთახედვით (იმავლოგიური მიხედვით) – 32
- მღებრიშვილი ალექსანდრე – ილია ჭავჭავაძე ოსთა შესახებ – 36
- ოთინაშვილი ნიკოლოზ – ქართულ-ოსური ურთიერთობის ასპექტები – 38
- ტურავა მარინე – მშვიდობისა და იმედის მწერალი (გურამ ოდიშარას მინიატურები) – 41
- შავრეშიანი შორენა, დადალაური ხატია – აფხაზეთის ტრაგედია გურამ ოდიშარას თვალთახედვით – 44
- ცერცვაძე მარინა – აფხაზეთის და ოსეთის დაკარგვის წინაპირობები XX-XXI საუკუნის მხატვრულ ტექსტებში – 48
- ჯაიანი მარინე – დიმიტრი გულია და შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანი – 51

ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური ისტორიულ-კულტურული ურთიერთობები

- ალიშარაშვილი იოსებ – ქართველ-ოსთა საბრძოლო მოკავშირეობის ისტორიიდან – 54
- ანჩაბაძე ჯამბულ – კიდევ ერთხელ ე.წ. „აფხაზეთის სსრ“ სახელმწიფოებრივი სტატუსის შესახებ – 59
- ბაქრაძე ციური – ქათველთა და ოსთა ურთიერთობის საკითხები – 63
- ბერულავა ნოდარ – *Вопрос о статусе античной Диоскурии (VI в. до н.э. - III в. н. э.)* – 66
- ილურიძე ნათია, მარღიშვილი ზურაბ – ქართულ-ოსური ურთიერთობანი – 71
- კვაშილავა კახა – ზოგიერთი ახალი საარქივო დოკუმენტი სამურზაყანოს ისტორიისათვის – 74
- მამისთვალისშვილი ელდარ – ლევან II დადიანის აფხაზეთთან ურთიერთობის ისტორიიდან – 78
- მახათაძე თინათინ – ოსების მიგრაცია საქართველოში – 82
- ოქროპირიძე ზურაბ – ქართველი მისიონერები (ოქროპირიძეები) და ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური ურთიერთობები – 87
- ოქროშიაშვილი თამარ, ხარაიშვილი თამარ – აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი - წარსული, აწმყო, მომავლის იმედი – 92
- პაპასქირი ზურაბ – *Ещё раз о значении терминов «Абхазия» и «абхазы» в восточных письменных источниках* – 97
- სოსიაშვილი გიორგი – შიდა ქართლის ისტორიიდან (სოფელი ბელოთი) – 101
- ფარცვანია ნიკა – ცარიზმის დისკრიმინაციული საგანმანათლებლო პოლიტიკა (მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარი) – 105
- ყაჩღავაშვილი მირანდა – ქართველი და ოსი ხალხის ურთიერთობების ისტორიულ ნაკვალევზე – 108
- ცოტნიაშვილი მამუკა – 1990 წლის 9 აპრილის მოვლენები ცხინვალში – 111
- ხვისტანი რევაზ – ზემო აფხაზეთის არქეოლოგიური ძეგლების შესწავლის ისტორიიდან – 115
- ჯიჭონაია ია – საქართველო და აღან-ოსები „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ ზოგიერთი ცნობის შუქზე – 121

აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის კონფლიქტები და მათი დარეგულირების ბერკეტები

- ახალაია ნანა, ხმალაძე მერაბ – გვევლინება თუ არა საქართველოში მიმდინარე ეთნოდემოგრაფიული პროცესები ეთნოკონფლიქტების მიზეზად – 125
- ბედოშვილი თამარ, ფაცინაშვილი ქეთევან – ქართულ–ოსური ურთიერთობები და საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები – 128
- ბერუაშვილი ნათია, არჩუაძე ნათია, ჩიხლაძე ცირა, ცერცვაძე თინათინ – კონფლიქტი ქართველებსა და ოსებს შორის – 131
- გვანცელაძე თეიმურაზ, ნაჭყებია მერაბ, ტაბიძე მანანა – აჭარაში მცხოვრებ აფხაზთა რელიგიური იდენტობის საკითხები – 136
- გოგინაშვილი ელგუჯა – 2008 წლის რუსეთ–საქართველოს ომის ზოგიერთი ასპექტი – 139
- გუგუტიშვილი თათია, ტრამაკიძე ნინო – ოსები საქართველოში და 2008 წლის შემდგომი მდგომარეობა ECMI-ის მიხედვით – 143
- დარასელია მაია, ნაჭყებია მერაბ, კვეცივესკირი ნონა – კონფლიქტის ენა – 147
- დოლიძე მაკა, მინდიაშვილი ნინო – ქართულ–ოსური ურთიერთობები – 149
- თაკალანძე ლაშა – საქართველოს კრიზისი როგორც მსოფლიო პოლიტიკის თემა – 153
- კაკაშვილი თეონა, კაპანაძე თამთა – ქართულ–აფხაზური კონფლიქტი – 156
- ლომაია ნესტან – კონფლიქტები და გენდერული ძალადობა აფხაზეთში – 159
- მშვიდლობაძე თინათინ – საინფორმაციო ინტერნეტ–რესურსები კონფლიქტების დარეგულირების საკითხში – 162
- ტერტერაშვილი ლიკა, გაგნიძე მანანა – ქართულ–აფხაზური კონფლიქტი, წარსული და დღევანდელი – 165
- ჭამბურძიძე ნელი – მშვიდობის დამყარებისაკენ მიმართული ნაბიჯები – 168
- ჯოჯუა დაზმირ – რუსეთის ინტერვენცია საქართველოში 2008 წლის აგვისტოში და კრემლის მიერ წარმოებული მედიაომის ზოგიერთი საკითხი – 170

ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური ლიტერატურულ-ლინგვისტური ურთიერთობები

ზოგი რამ აკაკი წერეთლის „გამზრდელის“ ლიტერატურულ-ფოლკლორულ წყაროთა შესახებ

ნანა არახამია

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასისტენტ პროფესორი

ლიტერატურათმცოდნეობაში მიღებულია და საკმაოდ წარმატებულად ამა თუ იმ მწერლის ნაწარმოების მასაზრდოებელ წყაროთა ძიება და ამის საფუძველზე წარმოქმნილი ტიპოლოგიური პარალელების დაძებნა.

აკაკი წერეთლის „გამზრდელის“ ლიტერატურულ-ფოლკლორული წყაროების შესახებ ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში რამდენიმე ვერსია არსებობს, თუმცა ეს ისეთი საკითხია, რომელთანაც უშუალოდ არის გადაჯაჭვული ხან სანდო, ხანაც თავისუფალ ასოციაციებზე აგებული მსჯელობა ამ პოემის პარალელების შესახებ.

ა. წერეთელმა 1898 წლის დაწერა თავისი შესანიშნავი პოემა „გამზრდელი“. იმავე წელს ეს თხზულება გამოქვეყნდა აკაკის ჟურნალში „კრებული“. 1898 წლიდან „გამზრდელი“ სისტემატურად იბეჭდებოდა, როგორც ავტორის თხზულებათა კრებულში, ისე ცალკე გამოცემების სახით. ნაწარმოებმა იმთავითვე მიიპყრო დიდი ყურადღება, ითარგმნა მრავალ ენაზე, გადაკეთდა პიესად.

„გამზრდელი“ აფხაზურ ენაზე თარგმნა დიმიტრი გულიამ 1919 წელს და 1923 წელს ცალკე წიგნად გამოსცა. აფხაზმა ხალხმა პოემა მიიღო, როგორც საკუთარი ეროვნული სულიერი კულტურის განძი.

ა. წერეთელმა დიდებულად უძღერა აფხაზი კაცის ზნეობის სისპეტაკეს და სულიერ სიდიადეს. მან ერთგვარი მოქალაქეობრივი ხარკი მოიხადა ქართველი და აფხაზი ხალხების ისტორიის ქურაში ნაწრთობი მეგობრობის წინაშე. ამ ხალხების ძმობის შენებას კიდევ ერთი აგური შეჰმატა, უფრო გაამტკიცა და გაამყარა. აკაკი წერს „მამულისადმი ჩვენს სიყვარულს სხვა ერებისადმი სიყვარული, ძმობა, ერთობა უნდა უძღოდეს წინ“ [8, 450].

ეს იყო ის დევიზი, რომელმაც განაპირობა პოეტის შემოქმედების ჰუმანურობა. მას აფხაზები და ქართველები მშობლიურ ხალხებად მიაჩნდა; ორივეს ძმებად და მეგობრებად თვლიდა. სწორედ ამ სისხლხორცეულ საკითხს უძღვნა ა. წერეთელმა უმშვენიერესი პოემა „გამზრდელი“, რითაც გამოავლინა უნაპირო სიყვარული აფხაზი ხალხისადმი. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ამ პოემით ა. წერეთელმა კიდევ უფრო ახლოს გააცნო ქართველ მკითხველს აფხაზი კაცის რაინდული შემართების ბუნება, ასახა აფხაზი ხალხის წეს-ჩვეულება, სტუმართმოყვარეობის წმინდა წესის უღალატობა.

ა. წერეთელი მდიდარ ფოლკლორულ გარემოში აღიზარდა. ა. გაჩეჩილაძე სამართლიანად აღნიშნავს: „აკაკი წერეთელი უხვად იყენებს ხალხურ მასალას თავის შემოქმედებაში. მან ჯერ კიდევ ბავშვმა ხალხური პოეზიის გავლენით დაიწყო წერა. აკაკის პოეზიას ბევრი საერთო აქვს ხალხის გენიალურ ქმედებებთან. იგი თავის შემოქმედებაში შეგნებულად იყენებს ფოლკლორს. მის პოეზიაში ხალხური შემოქმედების სურნელება იგრძნობა. აკაკი სპეციალურად ღრმად სწავლობდა ქართველი ხალხის ისტორიას, მის პირველწყაროებს, ქართულ ზეპირსიტყვაობას და შემდეგ ამ შესწავლილ მასალას იყენებდა მხატვრული ნაწარმოების შესაქმნელად [2, 153-155].

ა. წერეთელი ფოლკლორის დიდი მცოდნე და მოტრფიალე იყო; იგი ბევრს მოგზაურობდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში და ფოლკლორის მარგალიტებს კრებდა. ცნობილია, რომ ა. წერეთელი მაღალ შეფასებას აძლევდა ხალხურ შემოქმედებას, რომელშიც ხედავდა ჭეშმარიტ პოეზიას, უზადო მხატვრულ თავისებურ ფორმას, ხალხის ფხიზელი და ნათელი გონების გამოხატულებას. იმდენად დიდი იყო აკაკის ინტერესი ხალხური შემოქმედებისადმი, რომ მან ანდერძით თავისი შემოქმედების გარკვეული ნაწილი საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას დაუტოვა ხალხური ნიმუშების შესავსებად და გამოსაცემად. მიხეილ ჩიქოვანი მიიჩნევს, რომ: „ა. წერეთლის დიდი პოპულარობის მიზეზი მისი შემოქმედების ხალხურობაში არის, ეს უკანასკნელი კი ფოლკლორთან მჭიდრო კავშირით აიხსნება“ [7, 240-241].

მართლაც აკაკი ფოლკლორის უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა და როგორც უკვე აღვნიშნეთ, მიაჩნდა, რომ ხალხის მიერ შექმნილი მარგალიტები ხელოვნების უმაღლეს ქმნილებებს წარმოადგენენ. წიგნში „მეცხრამეტე საუკუნის ქართული ლიტერატურა“ შალვა რადიანი „გამზრდელთან“ დაკავშირებით

შემდეგს აღნიშნავს: "ხალხში გავრცელებული თქმულების გამოყენების საფუძველზე ა. წერეთელმა უადრესად შემჭიდროვებული სტრიქონებით შექმნა დიდი ადამიანური ტრაგიზმის შემცველი შედეგრი" [4].

ვ. კოტეტიშვილის წიგნში "რჩეული ნაწერები" ვკითხულობთ: "ვისაც უნდა ღრმად ჩაწვდეს ა. წერეთლის შემოქმედების ბუნებას, მან კარგად უნდა იცოდეს ხალხური პოეზიის საფუძველები, მხოლოდ ამის ფონზე არის შესაძლებელი ა. წერეთლის შემოქმედების ცნობა და დაფასება. აკაკი იმდენად კარგი შემოქმედია, რომ მასზე დისერტაციები უნდა იწერებოდეს, იგი გამუდმებული კვლევის საგანს უნდა წარმოადგენდეს" [5].

კრიტიკოსთა უმეტესობა თვლის, რომ ისევე, როგორც აკაკის ბევრი სხვა ნაწარმოების „გამზრდელის“ ფესვებიც ხალხური შემოქმედებიდან იღებს საზრდოს. რა ინტერესით სულდგმილობს პოეტი? რა ლიტერატურულ-ფოლკლორული წყაროებით კვებავს თავის წარმოსახვას? რა შეიძლება გამოვიდეს ნაწარმოების შექმნის იმპულსად? აი, კითხვები, რომლებიც კანონზომიერად დგება ქართული ლიტერატურათმცოდნეობის წინაშე. თუმცა პოეტი დასაწყისშივე აღნიშნავს, რომ პოემა „ნამდვილი ამბავი“. ასეთი მითითება იმას მოწმობს, რომ ავტორის ცნობიერებაში არის უტყუარი ამბავი ან გადმოცემა ნაწარმოებში აღწერილი ფაქტების შესახებ.

ქართველმა ფოლკლორისტებმა და მკვლევარებმა საკმაოდ ტევადი მუშაობა ჩაატარეს „გამზრდელის“, წყაროების ძიების მიზნით, მაგრამ რაიმე გადამჭრელ შედეგს ვერ მიაღწიეს. ამ მხრივ აღსანიშნავია პროფ. მიხ. ჩიქოვანის ნაშრომი „აკაკი წერეთელი და ხალხური სიტყვიერება“, სადაც მკვლევარი სხვა პოემებთან ერთად ეხება „გამზრდელის“ ხალხურ წყაროებს. როგორც პროფ. მიხ. ჩიქოვანი მიუთითებს: „გამზრდელში“ აღწერილი შემთხვევის სინამდვილეზე რაიმე ისტორიული ცნობა არ მოგვეპოვება, ყოველ შემთხვევაში იგი მკვლევართათვის ამჟამად უცნობია და ამდენად მასზე მსჯელობაც არ შეგვიძლია, მაგრამ არის მეორე ანგარიშგასაწევი გარემოება: არსებობს ერთ აჭარული ზეპირი გადმოცემა, რომელიც დოცენტმა ჯ. ნოლაიდელმა ჩაიწერა 1939წ. ხულოს რაიონის სოფელ ქედლებში მცხოვრები ადალი ჩოგაზისგან. თქმულებას ჰქვია „ვინ არის დამნაშავე?“ და იგი ძალიან ჰგავს „გამზრდელის“, სიუჟეტს. როგორც „გამზრდელისა“, და აჭარული თქმულების შედარებიდან ჩანს, მათ შორის ბევრი რამ არის საერთო [6] მკვლევარმა საერთო და განმასხვავებელი ნიშნები ასე ჩამოაყალიბა:

ა) მოძღვარ-მასწავლებელი, როგორც ხალხურ, ისე ლიტერატურულ ნაწარმოებში ჰაჯი უსუბის სახელს ატარებს, ხასიათიცა და თავგადასავლებიც საერთოა.

ბ) „გამზრდელში“ ძიძიშვილებად წოდებული ბათუ და საფარ ბეგი ხალხურ მოთხრობაში ორი დამძობილებული ჰაბუკის - იბრაჰიმ ბეგისა და სადავ ბეგის სახელით არიან წარმოდგენილნი.

გ) ბათუს მეუღლის, ნაზიბროლას ადგილი ხალხურ თქმულებაში ფადიშაჰის ასულს უჭირავს.

„გამზრდელის“ სიუჟეტი სრული სახითაა წარმოდგენილი ხალხურ გადმოცემაში. აქ არის:

ა) ცხენის მოსაპარად საფარ ბეგის წასვლა.

ბ) ძმობილთან ღამით მისვლა.

გ) იბრაჰიმ ბეგის (ბათუ) გულითადი მასპინძლობა და ცხენის მოსაყვანად ძმობილის მაგიერ მასპინძლის წასვლა.

დ) საფარ ბეგის მიერ ძმობის შელახვა.

ე) იბრაჰიმ ბეგის (ბათუ) მიერ ცხენის მოყვანა და შეურაცხყოფილი ცოლის ნახვა.

ვ) სტუმარმასპინძლობის წესის ღირსეული დაცვა და საფარ ბეგის გაცილება.

ზ) პირშაობის გამჟღავნება და საფარ ბეგის წასვლა გამზრდელთან.

თ) მოძღვრის წინაშე დანაშაულის აღიარება და ჰაჯი უსუბისგან თავის მოკვლა.

როგორც ირკვევა, აჭარული ხალხური ტექსტი და ლიტერატურული ნაწარმოების სიუჟეტი ძალიან ჰგვანან ერთმანეთს, მაგრამ მსგავსებასთან ერთად, არის განსხვავებებიც, რაც ამ ორ თხზულებას ერთმანეთისგან აშორებს.

პირველ განსხვავებას გეოგრაფიული არეალი წარმოადგენს. „გამზრდელის“ მიხედვით, მოქმედება აფხაზეთში, სამეგრელოსა და ყაზარდოში მიმდინარეობს. აჭარულ ჩანაწერში კი მოქმედების ადგილი არ ჩანს. ასევე, აღსანიშნავია გმირთა ეროვნულ კუთვნილებათა შორის განსხვავების არსებობა. ა. წერეთელი კონკრეტულ ცნობას გვაწვდის სახელოვანი აფხაზი, მეგრელი და ყაზარდოელი პერსონაჟების შესახებ, ხოლო ხალხური თქმულება გმირებზე არაფერს გვეუბნება. ბუნებრივად ისმის კითხვა: ხალხური თქმულება წარმოადგენს აკაკის ნაწარმოების პროტოტიპს თუ თავად „გამზრდელის“ საფუძველზეა იგი აღმოცენებული? ალბათ, პასუხი ამ კითხვაზე მომავალი კვლევების პრეროგატივაა. დასმულ კითხვაზე პასუხის გაცემისთვის საჭირო იყო მთქმელთან პირადად გასაუბრება, რაც, სამწუხაროდ, თავის დროზე არ მოხერხდა და შესაბამისად, სათანადო არგუმენტაციის უქონლობის გამო კითხვა უპასუხოდ დარჩა.

აჭარულ თქმულებაზე ახლოს „გამზრდელი“ აფხაზი მწერლის - მიხეილ ლაკირბაიას ნოველა „არგუნ სეიდითან“ დგას, რომელიც თავისი შინაარსით ძალიან ჰგავს ა. წერეთელის „გამზრდელს“. ნოველა შემდეგი სიუჟეტისაა:

ა) წკვარამ, წვიმიან ღამეში ფაცხაში მშვენიერ მეუღლესთან ერთად მცხოვრებ აფხაზს ყმაწვილობიდან თანაშემზრდილი ძმაკაცი ესტუმრება, რომელსაც სატრფოსგან ცხენის მოპარვა აქვს დავალებული.

ბ) მასპინძელი მეგობარს სახლში ტოვებს და ცხენის მოსაპარად თვითონ მიდის.

გ) ფაცხაში დაბრუნებულ მასპინძელს შეურაცხყოფილი ცოლი დახვდება.

დ) მასპინძელი სტუმარმასპინძლობის წესს არ ღალატობს, იგი ძმობის შემლახავ მეგობარს ეუბნება: „ჩემი სტუმარი ხარ და ვერაფერს გიზამ, სტუმარს ძალიც კი არ კბენს“.

ე) იგი სტუმარს სთხოვს, რომ დანაშაული გამზრდელის წინაშე აღიაროს.

ვ) აღსარებას გამზრდელის წინაშე ამ უკანასკნელის მიერ თავის მოკვლა მოჰყვება.

როგორც ვხედავთ, „გამზრდელის“ სქემაგ ანალოგიურია, მხოლოდ მოქმედ პირთა სახელებია შეცვლილი, რაოდენობა კი – ერთი და იგივეა. ამრიგად, „გამზრდელსა“ და „არგუნ სეიდიის“ შორის მსგავსება დიდია.

მწერალ მიხეილ ლაკირბაიას აფხაზური ნოველების წინასიტყვაობაში მითითებულია, რომ ავტორმა ნოველების ფაბულად გამოიყენა ფოლკლორული სიუჟეტები. ლაკირბაიას „არგუნ სეიდიის“, ხალხური მთქმელისგან ჩაუწერია. მკვლევარებმა თავის დროზე მიმართეს ლაკირბაიას და გამოარკვიეს, რომ ნოველა მას სიტყვასიტყვით ჩაუწერია გუდაუთის რაიონში მცხოვრებ ას წელს გადაცილებული მოხუცისგან - ჰასან პალბასგან.

ლიტერატურის ისტორიამ იცის არა ერთ და ორი ფაქტი იმისა, როცა სიტყვაკაზმული მწერლობის ნაწარმოებები საფუძვლად ედება ხალხური სიტყვების ამა თუ იმ თქმულებას და ამბად გადაეცემა თაობიდან თაობას. შესაძლოა, „გამზრდელის“ შემთხვევაშიც ასე მომხდარიყო, მაგრამ მგოსნის მითითება იმ გარემოებაზე, რომ პოემა "გამზრდელში" ნამდვილი ამბავია ასახული და ისიც აფხაზეთის ცხოვრებიდან, საეჭვო არ უნდა იყოს. ამ მოსაზრების საფუძველს აფხაზურ ფოლკლორში აღმოჩენილი მასალები იძლევა. მიტომაც, მიხ. ჩიქოვანი, ა. გაჩეჩილაძე, შ. რადიანი აჭარულ თქმულებაზე უფრო საიმედოდ და ტექსტთან ახლოს მდგომად აფხაზურ ნოველას მიიჩნევენ და არგუმენტის გასამყარებლად აკაკის ქვესათაური - "ნამდვილი ამბავი" მოჰყავთ.

ვ. კოტეტიშვილი წერს: "დიდი მტკიცება არ სჭირდება იმ ფაქტის აღიარებას, რომ ლიტერატურის მწვერვალები იქა გვაქვს, სადაც ლიტერატურა და ფოლკლორი ერთმანეთს შეხვდნენ" [7]. უნდა ვაღიაროთ, რომ "გამზრდელის" შემთხვევაში ლიტერატურისა და ფოლკლორის თანხვედრამ ბრწყინვალე შედეგი გამოიღო. "გამზრდელი" ის ნაწარმოებია, რომელიც აგვირგვინებს აკაკის შემოქმედებას; იგი ნამდვილად სამკაულია აკაკის პოეზიისა"[8]. მსოფლიო კლასიკოსთა შედეგების სიუჟეტების კონპოზიციაშიც კი არ შეგვხვედრია მოვლენათა ისეთი განვითარება, რომ გამზრდელის უმსგავსო საქციელის გამო გამზრდელს მოეკლას თავი. შეიძლება გავიხსენოთ ისეთი ნაწარმოებები, სადაც გამზრდელს (მშობელს) სასიკვდილო განაჩენი გამოჰქონდეს შვილისთვის ამ უკანასკნელის უმსგავსო საქციელის გამო (მაგ., პროსპერ მერიმეს "მატეო ფალკონე"), მაგრამ ის, რომ პასუხისმგებლობას მთლიანად თავის თავზე იღებდეს გამზრდელი - არა.

ჩვენის მხრივ, უნდა აღვნიშნოთ, რომ ამა თუ იმ ნაწარმოების ლიტერატურულ-ფოლკლორული წყაროების კვლევის საკითხი მეტად ფაქიზი საკითხია. გენიოსი ლევ ტოლსტოიც საგონებელში ჩააგდო ამ დილემაზე როცა აღნიშნა: "საოცარი რამ არის ჩვენი საქმე, ჩვენს გარდა ის არავინ იცის. იმისთვის, რომ ვიმუშაოთ, საჭიროა ჩვენს ფერხთით ხარაჩოების ზომვა". (9) აი, სწორედ ასეთი "ხარაჩოებია" ყველა მწერლისა და, მათ შორის, დიდი აკაკისთვის მის წინამორბედ მწერალთა თუ ხალხურ წიაღში არსებული მწერლის ინტერესების თანმხვედრი ყოველი ნაწარმოები თუ ამბავი, რასაც კი შემოქმედებითი იმპულსის როლი შეიძლება შეესრულებინა "გამზრდელის" შექმნისთვის.

ლიტერატურა:

1. ასათიანი გ., საუკუნის პოეტები, თბ., 1960;
2. გაჩეჩილაძე ა., აკაკი წერეთელი, თბ., 1945;
3. კოტეტიშვილი ვ., რჩეული ნაწერები, თბ., 1967;
4. რადიანი შ., XIX საუკუნის ქართული ლიტერატურა, თბ., 1967;
5. ტოლსტოის წერილი ა. ფეტისადმი, 1875, 28/x შდრ კრებული.
Л.Н.Толстой о литературе. 1975.стр.151
6. ჩიქოვანი მ., ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია, თბ., 1952;
7. წერეთელი ავ., თხზ., ტ.14. თბ., 1961.

**SOME NOTES ABOUT LITERATURE-FOLKLORE SOURCES OF “TEACHER” BY AKAKI
TSRETELI**
Nana Arakhamia, Sokhumi State University, Assistant Professor
SUMMARY

The article deals with some of the literary versions of folk sources which is known in Georgian study of literature about “Perspicacity” of Akaki Tsereteli. Though it’s a matter which directly is based on trusty or on free associations on a discussion about the parallels in this poem.

A. Tsereteli wrote his well-known poem “Perspicacity” in 1898. The work immediately attracted the attention and it was translated into many languages. In 1919 it was translated into Abkhazian language by Dimitri Gulia. It was taken close to their heart as their own national spiritual treasure. Many critics believe that Akakis many other works like “ Perspicacity” (“Gamzrdeli”) rooted in the folk art from its roots. The article discusses the Georgian and Caucasian areas of the legends, the plot shows similarities with the poem of A. Tsereteli.

სამაჩაბლოს კონფლიქტი სამი ქართველი მწერლის მხატვრულ ტექსტში

თამარ გოგოლაძე

გორის სასწავლო უნივერსიტეტი, სრული პროფესორი

ქეთევან ბარბაქაძე

გორის სასწავლო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი

XX საუკუნის დასასრულისათვის საბჭოთა კავშირის რღვევას მოჰყვა ეროვნებათაშორისი კონფლიქტები კავკასიის რეგიონშიც, კერძოდ, საქართველოში, რაც, ბუნებრივია, გამოწვეული იყო თავისი დროისათვის მახინჯი წარმონაქმნების (ავტონომიური რესპუბლიკების, ოლქების) შექმნით ჩვენს ქვეყანაში, ხოლო შემდგომად, გარეშე ძალის იმპერიული ჩარევით, იქცა თავისუფალი ქვეყნის საკმაოდ გაჭიანურებული, ესკალირებული კონფლიქტის კერებად აფხაზეთსა და სამაჩაბლოში.

საერთოდ, კონფლიქტი განმარტებულია, როგორც, „დაპირისპირებულ მხარეთა შორის ინტერესების განხილვით წარმოშობილი უთანხმოება, რომელიც მიმდინარეობს დროით და სივრცით განზომილებებში, სხვადასხვა ქცევით სტრატეგიების და ტაქტიკების გამოყენებით, რომლის დროსაც დაპირისპირების ხარჯზე მხარეები ცდილობენ დაიკმაყოფილონ საკუთარი მოთხოვნილებები.“ [1, 12]

კონფლიქტის 5 სახეობიდან, რომელსაც ვ. ლინკოლნის სახელს უკავშირებენ, სამაჩაბლოს კონფლიქტი, ჩვენის აზრით, ინსტიტუტურ კონფლიქტების ჯგუფს უნდა განეკუთვნებოდეს, და სავალალოა ის გარემოება, რომ თუ საქართველოს სახელმწიფოებრიობისათვის იგი დესტრუქციულად აღიქმება და არის სწრაფვა მის კონსტრუქციულობისაკენ, ეს არ შეინიშნება, ან ეძლევა შენიღბული სახე აფხაზეთის თუ ცხინვალის დეფაქტო ხელისუფლებების წყალობით.

კონფლიქტის ესკალაცია ბუნებით რეგრესიული ხასიათისაა, რომელსაც თავისი ინტენსივობის სხვადასხვა დონეები გააჩნია.

კონფლიქტის ტრანსფორმაცია და გადაწყვეტა ესაა მთელი რიგი არამალადობრივი პროცესებისა, რომელიც იყენებს კომუნიკაციას, თანამშრომლობასა და შემოქმედებითობას, ყოველივე ეს კი ემსახურება ფისბილდინგს ანუ მშვიდობისათვის პირობების შექმნას.

სამაჩაბლოს კონფლიქტის ყველა ეტაპზე, ინსტიტუციური კონფლიქტი ღირებულებებითი კონფლიქტების პარალელურად გადაიქცა ერთგვარ D-E ტიპის ესკალაციად, რომლის გამწვავებამ, 2008 წლის აგვისტოს მოვლენების შედეგად, გასცდა რა სამოქმედო არეალს, მოიცვა შიდა ქართლის რეგიონის ძირითადი ნაწილი. მაგრამ მანამდე აღნიშნული პროცესი კონფლიქტის დეესკალაციისა, თუ იმ, გაწეული სხვადასხვა ღონისძიებების მეშვეობით (გარეგნულად ტრანსფორმაციის, ფარდობითი ფისბილდინგის გამოხატულება), თითქმის ყველა თავისი პერიპეტეებით, ასახულია ჩვენს მიერ შერჩეულ შიდა ქართლში მცხოვრები სამი მწერლის მხატვრულ ნაწარმოებში: “ზამთრის წიგნი” (ვ. ჩხიკვაძე), “საყდრის ჩიტები” (ზ. მეტრეველი), „2008 წლის შევებულება“ (გ. სოსიაშვილი).

მწერალი, რომელიც თავად ობიექტი, მონაწილე და მოწმეა სამაჩაბლოს კონფლიქტის მოვლენებისა, მხატვრული ტექსტით, ალუზიით გადმოსცემს თავის პოზიციას. ამდენად, ასეთ თემაზე შექმნილი ყოველი ტექსტი ან კონფლიქტის ესკალაციას ემსახურება, ან დეესკალაციას, ტრანსფორმაციას და, ბუნებრივია, ფისბილდინგს. ჩვენი მიზანია სწორედ იმაში მდგომარეობდა, რომ გვეჩვენებინა ეს

პოზიციები, დანახული ქართლში მცხოვრები ორი მწერლის ტექსტებით. აქედან თუ ვ. ჩხიკვაძის ნაწარმოებში “ზამთრის წიგნი” თითქმის დოკუმენტური პროზის მეშვეობით წარმოდგენილია კონფლიქტის ესკალაციის დასაწყისი, ზ. მეტრეველის რომანი “საყდრის ჩიტები” მთლიანად ეძღვნება კონფლიქტის დეესკალაციის, ტრანსფორმაციისა და ფარდობითი ფისილდინგის წარმოსახვას სამაჩაბლოს მოვლენების შედეგად მიტოვებული ერთი სოფლის ფონზე, ხოლო გ. სოსიაშვილის „2008 წლის შვებულება“ ქრონიკალური სიზუსტით გადმოსცემს 2008 წლის აგვისტოს მოვლენებს.

ვანო ჩხიკვაძის “ზამთრის წიგნი” XX საუკუნის 90-იანი წლების მოვლენებს ეხება. ავტორის სიტყვებით რომ ვთქვათ, იგი “წუხილმომგვრელი, დიდი დარდის შვილია”, რომელშიც ძირითადად დოკუმენტური პროზით, უმეტესად მხატვრული გარდასახვით, მოჩანს თავად ავტორის, როგორც ქვეყნის შვილის, მიერ განცდილი თითოეული მომენტი მისი ცხოვრებიდან. თბილისიდან და თბილისში მიმოდის სამაჩაბლოს კონფლიქტში ჩართული ავტორი. აქ ერთი სიტყვაც მრავლისმთქმელია, ტკივილგამოვლილი. მაგალითისთვის ავიღოთ “ბუშლატი”. “ბუშლატი” თავად აცვია ნაომარ ავტორს, მისი შესაკრავის გახსნით მშვიდობა შემოდის, შეკვრით – რეალობასთან დაბრუნება. უკვე თავებში “მეხსიერება”, “ომი”, “წყურვილი”. სამაჩაბლოდან მცირე ხნით თბილისში დაბრუნებული ავტორი ხამუშ-ხამუშ იხსენებს “იქით დატოვილით”: “რამდენიმე დღის წინ, “ვილისით” ხეობაში დაჭირლების სანახავად წაგვიყვანეს, შუა გზაში დაგვხვდნენ, მიტოვებული ფერმის ნანგრევებიდან დაგვიშინეს და გაჩენის დღე გვაწყევლინეს.” [2, 9]

თავად ომი ავტორისათვის პიროვნების ნაწილია, რომელშიც “თითქმის წამზომი მაქვს ჩართული, ისე ვითვლი გულისცემას – სულ მგონია, რაღაც მოხდება, ნაღმი გახლეჩს ანდა ჰაერში აიტაცებს, ააბურთავებს “სასწრაფოს.” [2, 23]

ავტორი აჩვენებს ომის უაზრობას, მის დამღუპველ შედეგებს, მაგრამ არა შორიდან მაყურებლის, არამედ მისი ნაწილის სახით. აქ მშვიდობიანი ყოფა საზარლადაა გადახლართული ომის პერიპეტეებთან: “ცოტა ხნის წინ დამწვარი ბიჭები გამოიტანეს... ერი, რომელიც მის მიერ ჩადენილ ასეთ კანიზალიზმს ივიწყებს, ისტორიის მიერ ჩამოწერილი, დაკოდილი და უპერსპექტივო ერია... – რაღაც ამდაგვარს ვბუტბუტებდი, თავზემთ, შეფოთილ ტოტებში, სნაიპერის ტყვიამ რომ გაიარა და, ხის დაფლეთილი ქერქის ნაძენძი არაყში ჩამიცვიდა.

ქვემოთ, ველზე “ჰაუბიცამ” იჭექა, ტორდარტყმულივით დაიგმინა დედამიწამ და ცეცხლოვანი სფერო ლიახვის ხეობის მთის სოფლებსკენ გაფრინდა...” [2, 25]

ავტორი ამავედროულად მარტო საკუთარი განცდების აღწერით არ იფარგლება. სამაჩაბლოს მცხოვრებთა ტრაგედიას სულ რამდენიმე შტრიხით გადმოსცემს: “ბიჭი დაგვემგზავრა, სახელად როინი მქვიანო. ქემერტელია, ორი შვილის მამა. მესამეც შეძენია, თბილისში. ამასწინათ წამოუყვანია სოფელში – ჯერ თვენახევრისაა და უკვე ამ ჯოჯოხეთში მოხვდა. ახლა უნდა ოჯახი სამშვიდობოს გაიყვანოს, მაგრამ გაწამებული, ალყაშემორტყმული სოფლიდან როგორ მოახერხოს...

ნერვიულობისაგან ხელები უკანკალებს, დამაბული, თვალეზადქცეული გაჰყურებს გზას და შეხედვისთანავე მიხვდება, რომ მანქანაში მხოლოდ მისი სხეული ზის...” [2, 31]

ან

“ბიჭის დედაა, ჩემი რძალი... სიმიანდს ვცეხავდით, რომ დაგვიძახეს, ბავშვი დაჭრესო... მივყარეთ ყველაფერი და, როგორც ვიყავით, ეგრევე გამოვიქეციით...” [2, 32]

მშვიდობიდან ომში, ომიდან მშვიდობაში. ასე იხატება კონფლიქტი ადამიანის სულში მწერლის კალმით “ზამთრის წიგნი” განსახოვნებული.

თუ მწერალი ვანო ჩხიკვაძე თავად შემსწრე და მონაწილეა სამაჩაბლოს კონფლიქტებისა, მწერალი ქალი ზეინაბ მეტრეველი სწორედ კონფლიქტის ზონის მიმდებარე სოფლიდანაა, მის მცხოვრებთა განცდის ამსახველი და მხატვრულად წარმოსახული. მისი გმირები კონფლიქტის ზონაში მდებარე ერთ პატარა, მიტოვებულ სოფელში სახლობენ: რომანტიკული სულის, ცოტათი უცნაური იოსება მესაფლავე, საშინელების შემხედვარე უეცრად დამუნჯებული ქალიშვილი ატა, მრავალჭირგადატანილი ქალი მაგდა. წარსულის გადასაკარგ-დასავიწყებლად მშობლიურ სოფელში დაბრუნებული ინტელიგენტი რატი-თეიმურაზი.

იწყება რომანი სიკვდილისა და სიცოცხლისაგან თითქმის მიტოვებული სოფლისა და მისი მესაფლავის, რწმენის კედელს შეფარებული იოსებას შეხვედრით რატი-თეიმურაზთან და მთავრდება იგი სიყვარულით, ცოდვებისაგან განწმენდილი სულების გაბედნიერებით, მარადისობაში იოსებას გადასვლით.

უპირველესი საკითხი მაინც ომია, სამაჩაბლოს საზარელი კონფლიქტური თემა ზ. მეტრეველის “საყდრის ჩიტებისა”. ომმა მოსპო სიცოცხლის ნიშანწყალი სოფელში. აიყარნენ ქართული თუ ოსური ოჯახები... დაირღვა მშვიდობის ერთი რგოლი და იგი აკვაცთა, ბნელ საქმეთა მისაჩქმალად იქცა. ერთადერთი იოსება ცდილობს შეინარჩუნოს კეთილი, ცოცხალი, ადამიანური მიტოვებულ სოფელში. მას მოჰყავს მოსავალი, ახარებს ვაზს და, უპირველესად, საფლავებს თხრის: “ვინ იცის, რამდენი დაბრუნდება

დასამარხად მშობლიურ მიწაზე. ახლა საკუთარი მიწა რო შეინარჩუნო, საუკეთესო მეთოდი იცი რა არის? საფლავების თხრა!.. ასეთი ორმოებისა ჯერჯერობით მტრებსაც ეშინიათ. თუ ცოცხალს არ დაგტოვებენ, შენით მაინც ამოავსებენ ამ მიწათხრილებს, ჰოდა საფლავიც შეგრჩება და მიწაც საკუთარი.” [3, 17]. ასე მსჯელობს იოსება და მისი პირით თავად ავტორი მეტყველებს. რატი-თეიმურაზის და იოსებას დიალოგებში იკვეთება ფისბილდინგის გზების ძიებაც. იოსება თუმცა თვლის, რომ ომით წართმეული “მშვიდობაც ომმა უნდა მოიტანოსო”, მაინც მოწმე და მონაწილეა მშვიდობით მოტანილი მშვიდობისა. აქ ხალხური დიპლომატიის როლიცაა მნიშვნელოვანი, მოლაპარაკებებზე წონიანი სიტყვით მსჯელობა: “სიტყვას ყოველთვის ნაფიქრის მიზანი უნდა გააჩნდეს. ამიტომ მტრისათვის სათქმელ სიტყვას თუ ტყვიის სიმძიმე არ ექნება, ეგრე ჰაი-ჰარალედ არც დავხარჯავ.” [3, 47]

ვერც მოლაპარაკებებში ხედავს იოსება საჭირო სიტყვის მთქმელს, რადგან “ვინც კი მშვიდობისათვის მოსალაპარაკებელ მაგიდებს მიუსხდნენ, მერე მათ ბანქოსა და რულეტის სათამაშოდ გადაინაცვლეს კაზინოებში.” [3, 47]

იოსებას ახალი სამყარო, ანუ ფისბილდინგი, ანუ კონფლიქტის მოგვარების საიდუმლო სოფლის შენებაშია, რომელშიც თანაბარი უფლებებით იცხოვრებენ ქართველი, ოსი და რუსიც (ოღონდ არა დამპყრობლის პოზიციით).

მშვიდობიანობის დამყარებას კი ხელს ისიც უშლის, რომ “დღეს აღარავის სჭირდება დაკონკრეტება მიწის, ცნების, გრძნობის, თუნდაც ერის და სამშობლოსი.” [3, 97]

იოსება გამოყოფს კონფლიქტის წარმოშობის მიზეზებსაც: “ჩვენ და აღანები განსაკუთრებით მაშინ დავპირისპირდით, როცა საქართველოს დამოუკიდებლობა გამოცხადდა. ქურთაში, სამხრეთ ოსეთის “ოზკომის” წარმომადგენელმა, მაღალმა, ბრგე ქალმა, ვისაც თავის დროზე ქართველის ცოლობით მოჰქონდა თავი, ჩვენი ეროვნული, სამფერი დროშით თავისი ლაქის ფეხსაცმელები გაიწმინდა და ჩვენდამი “პატივისცემა” ასე “მოკრძალებულად” გამოხატა და აირია ყველაფერი. დამაბულობამ და დაპირისპირებამ კულმინაციას მაშინ მიაღწია, როცა ავტონომია გააუქმეს და ამ ძირძველ ქართულ მიწა-წყალზე დამოუკიდებელი რესპუბლიკის უფლებები გამოაცხადეს. უბრალო, რიგით აღანებს ამას ვინ ჰკითხავდა. ჩვენ ისე ვიყავით შესისხლხორცებულნი ერთმანეთს, აზრადაც არავის მოუვიდოდა ერთმანეთზე აღგვემართა ხელი, მაგრამ ყველაფერი სულ უფრო და უფრო უმართავი ხდებოდა სხვათა და სხვათა წაქეზებით.” [3, 101]

ე. ი. თავდაპირველი მშვიდობიანი ურთიერთობის აღდგენაა მთავარი, როცა “ერთ მაგიდას შემომსხდარნი ჭირსა და ლხინს ერთად იყოფდნენ და აი, თითქოს ერთმანეთის მტრობა ახლავდა აღმოაჩინესო, ზურგმუქეყულნი ზურგმივე ესროდნენ ერთმანეთს ტყვიას, სისხლის გუბეებით მოირწყო გზები და ბილიკები.” [3, 103]

აქ კონფლიქტის გადაწყვეტაში მომავალიც იყო გასათვალისწინებელი, რაც ვერ მოახერხა. ახალი გზა? როგორ უნდა გადანელდეს ყველაფერი, როგორ აღდგეს მშვიდობა? სოფელში ხალხის დაბრუნების პროცესი იწყება თანდათან. ერთიანი მუშაობა, ჭირისა და ლხინის გაზიარება ხელახლა უნდა ესწავლათ, სიცოცხლის დაბადებაც ხელახლა ეხეიმათ და სიკვდილიც ახლებურად ეგლოვათ.

“ავვისტოს დასაწყისიდან სოფელში აღანთა პირველი შემოსახლება დაიწყო. თავდაპირველად შემოსვლა მხოლოდ იმით გაბედავს, რომლებიც თავს ყველაზე ნაკლებ დამნაშავედ მიიჩნევდნენ რვა წლის წინათ აქ დატრიალებულ სისხლიან ტრაგედიაში, ვისაც არავისი სისხლი არ ემართა და ვისაც შეეძლო ყველაზე ნაკლები შეცოდებებით მოეწონებინა თავი აქ გამეფებული ე.წ. მშვიდობისათვის.” [3, 403]

ეს პროცესი მხატვრული ოსტატობითაა წარმოჩენილი: მკითხველი თითქოს კინოკადრივით ხედავს სამაჩაბლოს “მომავალს”, კონფლიქტის დეესკალაციის პროცესს, რომელშიც უცხო ძალას წესით არაფერი უნდა ესაქმებოდეს, რადგან მიწა, სამშობლოს მიწა სამყოფ-საკმარისია მასზე მცხოვრები ქართველებისთვისაც და ოსებისთვისაც სასიცოცხლო არსებობისათვის თუ მიცვალებულთა ძვალშესადგად, ამიტომაცაა ცენტრალური პერსონაჟი მესაფლავე, რომლის პირითაც ღაღადებს ჭეშმარიტება, როდესაც იგი აღანას მიმართავს: “ეს საფლავებიც ჩემი და შენია, ორივეს დაგჭირდება-მეთქი.”

ძირითადად ხალხური დიპლომატიისა (იოსება, რომელიც გვევლინება მედიატორის როლში) და ნაწილობრივ საერთო სახელმწიფოებრივი პოლიტიკის წყალობით უბრუნდებიან იქიდან წასული ოსური და ქართული ოჯახები, იწყება ჩვეული ადამიანური თანაცხოვრება. ნაბიჯ-ნაბიჯ ხორციელდება სოციალური ფისბილდინგი, რაც საფუძველია ახალი “მშვიდობიანი” კულტურისა საზოგადოებრივი და შიდასაზოგადოებრივი ცხოვრების სოციალური წყობის ფარგლებში, ოდესღაც კონფლიქტის გამო მიტოვებული და გაპარტახებული სოფელი მისი მცხოვრებლების შერიგების ციკლის თითქმის ყველა ელემენტის გათვალისწინებით იქცევა ალუზიად ფისბილდინგისა, რაც საწინდარი უნდა გახდეს სამუდამო შერიგებად დანაწევრებულ საზოგადოებაში. ასე რომ ზეინაზ მეტრეველის რომანი “საყდრის

ჩიტები” ერთგვარი პერსპექტიული ალუზიაა ლოგიკური კონფლიქტის დეესკალაციის წარმოდგენისა მხატვრული ტექსტის მეშვეობით.

მიუხედავად იმისა, რომ რომანი “საყდრის ჩიტები” ხუთიოდე წლის წინათ გამოიცა, იგი ჯერაც არაა ფართო მკითხველისათვის ცნობილ-მისაწვდომი. არადა, საკითხი, რომელსაც ზ. მეტრეველის მხატვრული ტექსტი ეხება, ასე სასიცოცხლო და აუცილებელია სწორედ რომ პრობლემის გადაჭრის ავტორისეული ფანტაზიის თვალსაზრისით, რაც დღესაც გადასაჭრელია.

ვ. ჩხიკვაძისა და ზ. მეტრეველის მხატვრული ტექსტები, რომლებიც სამაჩაბლოს ტრაგიკულ მოვლენებს მიეძღვნა, თავად დიდი მხატვრული ღირებულების მასალა, საინტერესოა არამარტო ლიტერატურათმცოდნეთათვის, არამედ კონფლიქტოლოგებისა და პოლიტოლოგებისთვისაც კი.

გიორგი სოსიაშვილიც შიდა ქართლიდან არის, დაიბადა და ცხოვრობს ოსი სეპარატისტების მიერ მიტაცებული მიწა-წყლის სასაზღვრო ზონაში, პირველი კრებულიდანვე („კამანის სევდა“) სამაჩაბლოს კონფლიქტის საკითხებს უტრიალებს მხატვრული ენით, 2008 წლის აგვისტოს მოვლენები კი საკუთარ თავზე გამოსცადა, გამოსცადა, განიცადა და მინიატურებად თუ მოთხრობებად გადმოღვარა ქალაქდზე. შარშანდელ კრებულსაც იმ მოთხრობის სათაური აქვს, რომელზედაც ვისაუბრებთ ჩვენს სტატიაში: „2008 წლის შვებულება“. ნაწარმოების ბოლოს ავტორი თითონვე მიანიშნებს მკითხველს: „მოთხრობა? არა მინიატურა? არა. ჩანახატი? არც ჩანახატი. აბა მაშ რა? რა დავარქვათ: რა ვიცი, სულ ერთია, რაც მკითხველს გაუხარდება [4,170]. ჩვენს კი მას ქრონიკას დავარქმევდით „2008 წლის ქართლის ქრონიკას.“ ნაწარმოების დასაწყისში საშვებულებო ოცნებებია, ოცნება ტყემლოვანაში, ქოზიფას მონასტერში, ყოფნაზე, რომელიც საომარმა სიტუაციამ შეცვალა და სულ სხვა გზით წარმართა.

ნაწარმოებში ასახული მოვლენები საოცარი სიცხადითაა წარმოჩენილი: ომის წინანდელი „სტატუს ქვო“ ნაწილობრივ იკვეთება - ეს სხვა წინა ნაწარმოებშია ასახული („ორმოცი წამი“) აქაც იკვეთება დაპირისპირებულ მხარეთა განწყობილებანი, ინტერესები და მაინც დიდი ხნის კითხვა: რა გინდათ? რას გვემართლებით? საკუთარ მიწას რად არ გვანებებთ? მაგრამ უცებ ომი, ჯერ დაუჯერებელი, შემდეგ დასაჯერი უკვე ერედვის მხარეს ცეცხლით, მეზობლის სახლის ბომბის ქვეშ ნანგრევებად ქცევით, შემდეგ გაქცევა სახლიდან სახლში, სოფლიდან ქალაქში, ქალაქიდან - დედაქალაქში. როდემდე? სადამდე? - სვამს კითხვას ავტორი, ერთი მხრივ, მარიაშვილისთვის მშვენიერებით გაოგნებული და, მეორე მხრივ, მოწმენდილ ცაზე ბომბდამშენების გამოჩენით: თავის გადასარჩენად, ოჯახის გადასარჩენად, ძირ-ფუძის გადასარჩენად.

ავტორისათვის მტერია უცხო, შემოხეტებული, ვინც უნგრევს სახლს, უმსხვრევს ბავშვობის ბედნიერ მოგონებებს, ლორთქო ბალახის სურნელს, მიწის მადლს, და, ვინც ბადებს გაუცნობიერებულ თუ გაცნობიერებულ შიშს, რასაც ვერ დათრგუნავ, რაც უნდა ივაჟკაცო. რადგან მოელი ზევიდან რისხვას: „უცხად წარმომიდგა თვალწინ თვითმფრინავის ხმაზე დაწოკებული ბავშვები, გული ცემას ვეღარ ასწრებდა, აღარ ვფიქრობდი აღარც ჩემს თავზე, აღარც სახლის გადარჩენაზე... მთავარია, ბავშვები გადარჩენენ“ [4,124].

ნაწარმოებში ერთმანეთშია გადახლართული ბავშვობაში „ომობანას“ თამაში, მშობლების მოგონებები მეორე მსოფლიო ომზე და რეალობა, ნამდვილი ომი, რომელსაც ჯერ კიდევ ვერ მიეცა ფორმულირება. იყო თუ არა ეს ათდღიანი ბრძოლები, საჭაერო თავდასხმები, ომი...

ავტორისათვის, ისევე როგორც ქართლის სოფლების გორის მცხოვრებთათვის, ეს ომი იყო გაუსადმისი, საზარელი ომი თავისი ყველა საშინელებით, ყველა პერიპეტით და ისეთივე ოცნებით, როდის დამთავრდება. დამთავრდება კი სულის მოთქმას, თავისუფლად ამოსუნთქვა, სიცოცხლე... ასე ხედავს გ. სოსიაშვილი და მხატვრულობაც ისეა შენივთებული რეალობასთან თვითონ განიცდი, რომ ომის მონაწილე თუ არამონაწილე თვით შედის ავტორისეულ სინამდვილეში, იღებს მას და პროტესტით იმსჭვალება ყოველგვარი ომის, ძალადობის მიმართ. ამაშია ამ ნაწარმოების დედააზრიც.

ქართლში მოღვაწე სამი მწერლის სამივე ნაწარმოები ერთ მიზანს ექვემდებარება: წინააღმდეგობა ორივე მხარისათვის საზიანო შედეგებით, მორიგების აუცილებლობით, კონფლიქტის ესკალაციით.

ლიტერატურა:

1. ფ. ზურიკაშვილი, გ. მალრაძე, ნ. ჭანაშვილი, გ. ხუციშვილი, რ. ჯორბენაძე, “კონფლიქტი, გენდერი და მშვიდობის მშენებლობა”, თბილისი, 2003;
2. ვ. ჩხიკვაძე, “ზამთრის ჩიტები”, ქუთაისი, 2005;
3. ზ. მეტრეველი, “საყდრის ჩიტები”, თბილისი, 2004.
4. გ. სოსიაშვილი „2008 წლის შვებულება“, თბილისი, „უნივერსალი“, 2009.

SAMACHABLO CONFLICT IN THE FICTION OF THREE GEORGIAN WRITERS

Tamar Gogoladze, Gori Teaching University, Full Professor
Ketevan Barbakadze, Gori Teaching University, Associate Professor
RESUME

1. By the end of the XX century, the ruin of the Soviet Union was followed by the conflict among the nations in the Caucasian Region, particularly in Georgia. It was caused by the creation of Autonomous Republic Regions, as ugly outgrowths. Later, with the help of imperial involvement, it has become a focus of long and strained conflicts in Abkhazia and Samachablo, regions of free country.
2. At each stage of Samachablo conflict, an institutional conflict, side by side with valuable conflicts, transformed into the D-E type escalation. As a result of August war, 2008, its aggregation passed the borders of active area and comprised the main part of Shida Kartli Region. But before this, the mentioned process was expressed by the conflict's deescalation or by means of different activities; it was an expression of outer transformation, of partial Fisbuilding. With all its adventures, it is shown in 3 literature works, published in 2004-2009, "Winter Book" by V. Chkhikvadze, "Cathedral Birds" by Z. Metreveli "A holiday of 2008", G. Sosiashvili.
3. The writer is himself an object, participant and a witness of Samachablo conflict events. He conveys his position through allusion. Thus, each text created on such kind of theme, serves either the conflict escalation or de-escalation, or transformation, that is, naturally, Fisbuilding. Our goal was to show the positions of the writers that lived in Kartli, how they convey them in the texts. If V. Chkhikvadze work "Winter Book", shows the beginning of the conflict escalation, by means of documentary prose, Z. Metreveli novel "Cathedral Birds" is totally dedicated to the conflict escalation, transformation and partial Fisbuilding presentation, as a result of Samachablo events, with the background of an abandoned village. The "Holiday of 2008" of G. Sosiashvili depicts the August War 2008 events that were extremely tragic for Samachablo and generally for the whole of Shida Kartli, and the troubles are conveyed by the eye-witness and co-participant in a literary language.

ქართველ და აფხაზ მწერალთა თვალთ დანახული ომი (კრებულ „ხიდის“ მიხედვით)

ნინო ვახანია

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი

2007 წ. თბილისში გამოიცა კრებული «ხიდი», რომელშიც შესულია ქართველ და აფხაზ მწერალთა ნაწარმოებები. თხზულებათა თემა, რა თქმა უნდა, ერთია – ომი – ორივე მხარისთვის საზარელი. პირველი, რასაც ამ კრებულის გაცნობის შემდეგ ხელშესახებად იგრძნობს მკითხველი, არის ავტორთა ჰუმანიზმი. მიუხედავად იმისა, რომ ომმა ღრმა და მოუშუმებელი ჭრილობა დატოვა ჩვენს გულში, მიუხედავად იმისა, რომ ჯერ არ მოგვეცემია საშუალება ერთმანეთის წინაშე მონანიების, საკუთარი დანაშაულის აღიარებისა, ჯერაც შორს ვართ ერთმანეთისგან, კრებულში შესული თითოეული ნაწარმოები გამსჭვალულია ზოგადად ადამიანის სიყვარულით, საყოველთაო, ყოვლისმომცველი სიკეთის რწმენით. თუ შიშვლად, არაორაზროვნად ვიკითხავთ – რა გადაგვარჩენს? პასუხი, ალბათ, ერთადერთი იქნება – სიყვარული!

ყოველივე ზემოთქმული მხოლოდ დეკლარაციად და ფუჭსიტყვაობად რომ არ ჩამეთვალოს, შევეცდები, კონკრეტულად რამდენიმე მოთხრობისა თუ მინიატურის შესახებ გესაუბროთ.

თამაზ ექვთიმიშვილის მოთხრობაში «ერთხელ დაკვალი მამალი» გაგრასთან ტყვიით განგმირული ჭაბუკი თავის თავგადასავალს თვითონვე ყვება. მწერალი მართლად, რეალისტურად გვიხატავს ამ ოციოდე წლის წინანდელ ცხოვრებას, მაშინდელ თბილისს, ომში წასვლის მიზეზს და სხვ. ამ მოთხრობის მთავარი პერსონაჟის სახელიც კი არ ვიცით (აფხაზეთში მეტსახელიად «ახალო» შეარქვეს). იგი უფრო განზოგადებული სახეა ალალი, გულწრფელი, სამშობლოს სიყვარულით გულანთებული, მაგრამ ომისთვის სრულიად მოუზადებული ახალგაზრდისა. თავის მოვალეობად თვლის ჭაბუკი იარაღით სამშობლოს დაცვას, მოხალისედ მიდის საფლავზე, თუმცა კაცს კი არა, ქათამსაც ვერ კლავს. ტიპური ქალაქელი, ახლობლების ალერსითა და სიყვარულით გარემოცული, ნაზი გრძნობებისა და თბილი გულის პატრონი ომში მხოლოდ იმისთვის მიდის, რომ როგორც თვითონ ამბობს, დაჭრილებს დაეხმაროს. თუმცა წასვლამდე ბინა დას გადაუფორმა (რა იცი რა მოხდება!), მას მაინც არა აქვს

გასიგრძელებული, რეალურად წარმოდგენილი ნამდვილი ომი ყველა თავისი შედეგით. ამდლებული იდეალები და ცხოვრება კი ხშირად ერთმანეთს არ ემთხვევა.

ჯერ კიდევ ალექსანდრე ჭავჭავაძემ თქვა შესანიშნავად: «აღრეულობის შიშები ვისაც არ გამოეცადოს, მან მშვიდობასა სწორ ფასი ვერ დასდევს, რაზომც ეცადოს» (5,88). მოთხრობაში შეულამაზებლადაა გადმოცემული არა მარტო ერთი ადამიანის განცდები, არამედ მართლდაა დახასიათებული იმდროინდელი ვითარება. მაგალითად, როგორ გზავნიან ჯარისკაცებს გაგრაში საომრად გაფუჭებული სატვირთო მანქანით, უტყვიოდ (ვინმეს რომ მოკლავენ, ტყვიის მეტს რას იშოვიან) და მოუმზადებლად (თურმე ტყვია არასწორად ჩაუდევს იარაღში...). ამ სავალალო, შეიძლება ითქვას, აბსურდული ვითარების ფონზე სიკეთით, ადამიანურობით, ურთიერთნდობით არის აღბეჭდილი ქართველი და აფხაზი მეომრის ტყეში შემთხვევით შეხვედრა. ორივე ტახს ესვრის ტყვიას და არც ერთს არ ეშინია, რომ ერთმანეთს ესროლონ. რაც მთავარია, ეს ეპიზოდი ემყარება სინამდვილეს და მართლად ასახავს, ასე ვთქვათ, ომის სულს. ამ გამოგონილი პასაჟით მწერალი კი არ სცილდება ისტორიას, არამედ გვეხმარება მის სწორად აღქმაში. სავსებით დამაჯერებელია მთხრობელის გულის აჩუყება აფხაზის დაჭრის გამო და მისი გულუბრყვილო ყვირილი: «მე ვარ, არ მომკლათო». და კიდევ ერთი მიაშიტი, წრფელი, საიმედო ვაჟკაცის სიცოცხლე შეეწირა სამშობლოს კი არა – ომს. დიახ, აბსურდულ, გაუგებარ, გაუაზრებელ, დაუგეგმავ, ისეთ ომს, როცა მოწინააღმდეგე მხარეები პირისპირ შეხვედრისას ერთმანეთს მტრებად არ აღიქვამენ. არსადაა ნახსენები, მაგრამ ყველგან იგრძნობა ის უხილავი მესამე ძალა, რომლის ნებითაც დატრიალდა ქართველ-აფხაზთა ტრაგედია.

«ბრმა ტყვია მოხვედრია», - უსამძიმრებს სერჟანტი ჭირისუფალს, ის კი, სამუდამო სამყოფელში გადასახლებული ფიქრობს: «თქვი, რა, დალოცვილო, გმირულად დაიღუპა-თქო, ან რაიმე ამის მაგვარი მაინც» (8,40).

არადა, მართლაც გმირია თავისი სულიერი წყობით, უანგარო თავდადების უნარით, სიკეთითა და სიწმინდით, «სავსე ქართული პატიოსნებით» - უსახელოდ დაკარგული, ბრმა ტყვიის მსხვერპლი, ნამდვილი გმირი.

დაურ ნაჭყებიას მოთხრობის «მალე შემოდგომა დადგება» პროტაგონისტი აგრეთვე ომში გმირულად დაღუპული ჭაბუკია - აფხაზი ახალგაზრდა. აქაც, როგორც მოსალოდნელი იყო, გადმოცემულია უდროოდ გარდაცვლილი ადამიანის განცდები, სინანული ვერმოსწრებელი სიცოცხლის გამო, სიამაყის შეგრძნება, სამშობლოსათვის თავგანწირვით გამოწვეული. წინაპრებთან პირნათლად წარდგომის სიხარული და სხვ. ავტორს არც მწერლური ხელოვნება აკლია, არც გრძნობა-განცდა, არც გამოცდილება... შეუძლია, მხატვრულ სიტყვაში მოაქციოს ადამიანური ვნებები, ფილოსოფიური პრობლემები და სხვ. მაგრამ გულდასაწყვეტი ისაა, რომ არსად ჩანს სინანული მომხდარის გამო, მონანიების ან სხვათათვის ცოდვათა მიტევების სურვილი. უნდა ითქვას, რომ ეს ერთი მწერლის ერთი, კონკრეტული ნაწარმოების კი არა, მთელი აფხაზური (ამ კრებულში წარმოდგენილი) ლიტერატურის საერთო ტენდენციაა.

მკითხველს, ბუნებრივია, ებრალება ომში დაღუპული, ახლობელთაგან დაუტირებელი, დაუკრძალავი ცხედარი ახალგაზრდა კაცისა. მაგრამ ვინ შეიბრალებს მის სულს; ვინ მოუფონებს «ცოდვით პირშემურულს»? ვის, თუ არა მწერალს, ევალება ზრუნვა სულის ამდლებისათვის, ზნეობის გასპეტაკებისთვის?

ქართველ და აფხაზ ხალხს თითქმის ერთნაირი, ყოველ შემთხვევაში, მსგავსი ტრადიციები აქვთ. დატირების მთელი კულტია საქართველოში. ძალიან დიდ ცოდვად, დანაშაულად ითვლება გარდაცვლილის დაუტირებლად დატოვება, ილიას გაბროს ყველაზე მეტად ეს აწუხებს: «ამოდენა დედამიწის ზურგზე დამტირებელი არ მყავსო» (6,137). ჩვეულებრივ, შვილები დასტირიან მამებს. მხოლოდ ომის დროს ირღვევა ეს კანონზომიერება მასობრივად. უფრო მეტიც, ხშირად მშობლებს შვილების ცხედრებიც კი არა აქვთ წესის ასასრულებლად...

პატარა ბიჭის თვალთ ხედავენ მომხდარ ტრაგედიას ნუგზარ შატაიძე და ფაზილ ისკანდერი. შატაიძის მოთხრობის „მოგზაურობა აფრიკაში“ მიხედვით გადაღებულმა ფილმმა საყოველთაო სიყვარული და აღიარება დაიმსახურა. სასიამოვნო და საყურადღებოა, რომ მწერალი ე.წ. კონფლიქტის მონაწილე არც ერთ მხარეს არ აიდეალებს, არც გაბოროტებითა და ღვარძლით არ საუბრობს რომელიმე მათგანზე. მან იცის, რომ «კარგი და ცუდი ყველგანაა. ასე ყოველად მხეცობა მტრისა, ყოველადვე სისრულე და სავსება ქართველებისა, ბავშვური წადილია... ქვეყანაზე არ არის იმისთანა ერი, რომ მიწყული ჰქონდეს ან მარტო კარგი, ან მარტო ავი» (7,156).

მოთხრობის მიხედვით აშკარად, თვალნათლივ ჩანს ქართველთა და აფხაზთა მსგავსი ტრადიციები, მსგავსი მენტალიტეტი, მსგავსი ზნეობრივი ორიენტირები. ორივე ერის წარმომადგენელი პერსონაჟები ცოცხალი ადამიანები არიან თავიანთი საფიქრალ-სატკივრით, დარდითა და სიხარულით, შეცდომებით, შიშით, იმედით თუ უიმედობით...

ერთი სიტყვით, არაფერი ადამიანური მათთვის უცხო არ არის. ეს არის სწორედ მოთხრობის მთავარი ღირსება. ფაზილ ისკანდერის «ბიჭი და ომი» საერთოდ, ყოველგვარი ომის წინააღმდეგ განაწყობს მკითხველს. დასმულია საკითხი კაცობრიობის ზნეობრივი განვითარებისა გაჩენიდან და დღემდე და თუმცა იქნებ გულუბრყვილო ნიმუშით, მაგალითით, მაგრამ ბიჭისთვის გასაგები ენითა და ქმედებით გამოტანილია დასკვნა, რომ სიკეთე ბოროტებაზე ძლიერია.

მრჩება შთაბეჭდილება (იქნებ უმართებულო), რომ აფხაზი მწერლები ან ამაყობენ «გამარჯვებით», ან დუმილით უვლიან გვერდს მეორე მხარის, ქართველთა გრძნობების გადმოცემას, ან ყოველ შემთხვევაში, ძალიან ფრთხილობენ და ომისადმი თავიანთი უარყოფით, ნეგატიურ დამოკიდებულებას უფრო შეფარვით, ქვეტექსტებით გადმოგვცემენ, ვიდრე პირდაპირ და გარკვევით. ფაქტია, რომ სიმპათიურად დახატული ქართველი მათ ნაწერებში არსად (ან თითქმის არსად არ გვხვდება).

აბესალომ ლეფსაია სამშობლოს სიყვარულის ღრმად ინტიმურ გრძნობას ასე გადმოგვცემს: «ვნახავ კი ნამდვილად შენს ცინცხალ დილას» - და ეს ეჭვი სავსებით გასაგებია ნებისმიერი მკითხველისათვის. სხვაგან: «უცებ ტყაპანი გაადინა წყალში ბაყაყმა. აფეთქდა სამყარო» - და ეს თავზარდამცემი განცდაც გასაგებია ჩვენთვის, «და ცხადი ხდება, რომ ყველაზე ზუსტად უჩვენებს დროს საათი, სამუდამოდ დადუმებული», - ცხადია, არც ეს სასოწარკვეთილების შეგრძნებაა ძნელად გასააზრებელი ნებისმიერი ერისა და ნებისმიერი ეპოქის შვილისათვის.

ქართველ-აფხაზთა ისტორიული ერთობის დასტურად, იმის საჩვენებლად, რომ აფხაზეთი საქართველოა და ასეთად მიიჩნევენ მას თვით აფხაზეთის პატრონები, დიდებული არისტოკრატის წარმომადგენლები, დავით ტურაშვილის «ტატაშ მარშანიც» გამოდგება. ამ მოთხრობაში კარგად ჩანს, როგორები იყვნენ ნამდვილი აფხაზები - «ერთ დროს სამაგალითოდ უღალატო, ერთგული და წესიერი»... «სიტყვის ერთგულება დაუწერელი კანონი იყო გადაუგვარებელ აფხაზთა შორის» (ხიდი). საქმის არსში გარკვეულ მკითხველს, ცხადია, არ გაუკვირდება ეს დახასიათება. დღესაც სამეგრელოში ცნება «აფხაზი» გაიგივებულია ზრდილობასთან, წესიერებასთან, ფიზიკურ და სულიერ მშვენიერებასთან, ზნეობრივ სრულყოფილებასთან. სიმბოლურია, რომ კრება, რომელზეც ტატაშ მარშანი აფხაზეთის ერთიან ქართულ სახელმწიფოში ყოფნის აუცილებლობას ასაბუთებს, გუდაუთაში იმართება. ეს ის ავადსახსენებელი გუდაუთაა, სადაც მეოცე საუკუნის ბოლოს თავგზააზნეულმა აფხაზებმა საქართველოსგან გამოყოფის მოთხოვნით თავიანთი სასიკვდილო განაჩენი გამოიტანეს.

ისტორიული წარსული გააცოცხლა «ჩუ-იაკუბის ბედისწერაში» დაურ ზანთარიამაც. აქ ნაჩვენებია უბიხთა ამაყი, დაუმორჩილებელი, ვაჟკაცური სულის, ბედისწერასთან შეჭიდებული ადამიანის ტრაგედია.

ადამიანის სულის გაკეთილშობილებაზე მოგვითხრობს მიხო მოსულიშვილი, აფხაზი მეომრის ჩვილ გულსა და მაღალადამიანურ ღირსებას წარმოაჩენს სერგო წურწუშია. მათგან განსხვავებით, რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, ალექსი გოგუას მოთხრობაში მხოლოდ აფხაზთა «მტერია» ნახსენები და არსად სახელდებით ქართველი, თითქოს ავტორი არც იცნობდეს ამ ხალხს.

მძიმე კვალი დატოვა ომმა ადამიანთა ფსიქიკაზე. მარიანა ნანობაშვილის მოთხრობის პერსონაჟი «ვერ იტანდა აივნის სიმაღლიდან ადამიანის ცქერას – ქვეცნობიერი დღემდე სამიზნედ რომ აღიქვამდა...» (8,255). დამეთანხმებით, ძნელია ამ მძიმე დაღით ცხოვრება. აქ არ შემოდის არ გავიხსენო პალესტინელი მწერლის მურდ ალ-ბარლუთის შესანიშნავი წიგნი «მე ვნახე რამალა». ლტოლვილის მწარე ყოფა მართლაც შეულამაზებლად აქვს გადმოცემული მწერალს: (ალ. ბალუთი) «იძულებით გადაადგილება სიკვდილს უდრის... უცხო ის ადამიანია, რომელიც განუწყვეტლივ ანახლებს «ცხოვრების უფლებას». ავსებს ფორმულარებს, ყიდულობს მათზე დასაკრავ მარკებს. ყოველთვის თან უნდა იქონიოს დამადატურებელი მოწმობები და დამამტკიცებელი საბუთები...» (1,17-18).

ყველგან, მსოფლიოს ყველა კუთხეში, «ადამიანი ყოვლთ უწინარეს ადამიანია». ამიტომ ჰგავს მათი ცხოვრება ორი წვეთი წყალივით ერთმანეთს. გალაღებულები უცხოელი აქაც და იქაც ერთნაირი პათოსით გვმოდვრავს: «თქვენ ქვეყანაში არ იციან დროის ფასი, პასუხისმგებლობის, თავგანწირვის ფასი, არც გექნებათ არასდროს პროგრესი...» (8,256). ეს მერამდენედ უნდა ვიწვნიოთ დაუმსახურებელი მწარე მათრახი?

სხვადასხვა რაკურსით, განსხვავებულ სიტუაციებში არიან დახატულნი აფხაზი ქალები დათო ქარდავასა და ირმა მაღაციძის მიერ. ორივე მწერლის თვალი მართალი და უტყუარია. მაღაციძის «გუნდაში», «ეკლესიასტეს» მოტივი გაისმის. «ამ მიწად ვიქცევით ადრე თუ გვიან და მაინც ვერ ვიყოფთ» (8,334), ჯერ კიდევ როდის გვაფრთხილებდა სოლომონ ბრძენი: «რაც ყოფილა, იგივე იქნება და რაც მომხდარა, იგივე მოხდება; არაფერია მზის ქვეშ ახალი. ამაოება ამაოებათა, ყოველივე ამაოა (4,7).

რეზო თაბუკაშვილისა და შალვა ბაკურაძის მინიატურებში თავისებური დატვირთვა აქვს სიზმარს. ორივე მწერალი ღრმად წვდება ადამიანის სულის იდუმალ, შორეულ ხვეულებს, ორივეს ღრმად სწამს შეუძლებლის შესაძლებლობა.

დავით ქართველიშვილისა და ბესო ხვედელიძის მოთხრობებში პირდაპირ, მწვავედ, გამიშვლებულად ნათქვამი სიმართლე გულს უკლავს, აბრაზებს, საკუთარ ცოდვაზე და დანაშაულზე დააფიქრებს მკითხველს. მწერალთა მიზანიც, როგორც ჩანს, ეს იყო. არა დავარცხნილ დალაგებული, ურა პატრიოტული მოწოდება და გულზე ხელის ბრაგუნის, არამედ მძაფრად ნათქვამი «პატრიოტიზმი ხომ გაგიგიათ? ... მოდაში იყო მაშინ ეგეთი პატრიოტიზმი და თავის გამოდება...» (8,287) ან ქართველ მეომართა მიერ გამარცვული მოხუცის კაცის შემახება: «_ სურათი მაინც დატოვეთ, თქვე ჩატლახებო!» (8,327). ძნელი მოსასმენია? ამ ავტორთა მწერლური კრედიო გურამიშვილისეული კონცეფციაა: «ავს თუ ავი არ ვუწოდო, კარგს სახელად რა დავარქო». (2,385).

რეალურისა და ირეალურის, ცხოვრებისეულისა და ფანტაზიის ზღვარზე გადის ბესო ხვედელიძის «წყევლა». ეს მისტიკური ამბავიც ადამიანის, მკითხველის წყევლაკრულვიან საკითხებზე დაფიქრებას ემსახურება. საერთოდ, მთელი კრებული არ არის განკუთვნილი საზეიმოდ, გასართობად განწყობილი მკითხველისათვის. ეს უფრო მწერალთა გულსა და გონებაში გამოტარებული აღსარებაა ზოგ შემთხვევაში – სინანულით, ზოგჯერ კი – სიამაყით დალდასმული. ოღონდ ყველა ნაწარმოები საკუთარი სულის ბოლომდე მოხილვის, საკუთარი თავის შეცნობისა და მასზე გამარჯვების სურვილს აღუძრავს ადამიანს.

მთელი კრებული დასახლებულია წრფელი, პატიოსანი, შეურყვნიელი ახალგაზრდებით, რომლებიც მოულოდნელად ომის «სალეწავ მანქანაში» (მიხეილ ჯავახიშვილი) ჩაცვივდნენ. ერთ-ერთი ასეთი პერსონაჟია თამრი ფხაკაძის გიო ოზოლადე. გიო და მისი მეგობრები ცხოვრობენ იმის იმედით, რომ საქართველო კვლავ გაერთიანდება; რომ ტერიტორიები მხოლოდ დროებითაა დაკარგული. ისინი ფიქრობენ, რომ ასეთი მშვიდობის დროსაც, რომელიც ომზე ნაკლებად მწარე არ არის, არ უნდა იყოს ადამიანი უნუგემოდ. ცხოვრება გრძელდება «ჰოდა, ... ერთხელად იქნება, გიო და ... დაგვიძახებენ...» (8,147). არ შეიძლება, აქ მკითხველს რევაზ ინანიშვილის «ანანურელი ულამაზოები» არ მოაგონდეს. ლაღი მთის შვილები ერეკლე მეფის დაძახებას რომ ელოდებიან და ისტორიული ანაქრონიზმი _ დაკარგული სახელმწიფო და გაუქმებული ტახტი – ვერ აშინებთ, ვერაფერს ცვლის მათ ფსიქიკაში. სიცოცხლის ბოლომდე დაელოდებიან «დამძახებელს», რათა ერთგულება დაუმტკიცონ მეფესა და ქვეყანას (რ. ინანიშვილი).

ხალხს, რომელსაც უნარი აქვს, გარდაუვალი სიკვდილის წინ ცისარტყელას სილამაზე შეამჩნიოს, დალუპვა, გაქრობა არ ემუქრება.

ვაჟა-ფშაველა სანამ ზვიადაურის დაკვლის სცენას აგვიწერდეს, მანამ ბუნების სილამაზესაც ამჩნევს. «მზე ჯერ ამოსულიყო, ნამს ჯერ ბალახზე ეძინაო» (3,186), _ ამბობს და შეიძლება მკითხველის გაოგნებაც გამოიწვიოს. ასეთი სულიერი წყობის ხალხის დაჩოქება, დამონება შეუძლებელია.

გელა ჩქვანავას პერსონაჟი ჭურვმა იმსხვერპლა. შვილს მხოლოდ ერთხელ ჰყავდა შემინებული, ფერწასული მამა ნანახი – სტომატოლოგის სავარძელში და გარდაცვლილის შემხედვარესაც ის დღე და ის სავარძელი აგონდება. ყოფით დეტალებზე აგებული თხრობა მრავალნაირი განზოგადების საშუალებას იძლევა. მამის სიკვდილი, მიუხედავად იმისა, რომ ომია, მაინც აბსურდულია. ჯერ ერთი, ის ფრონტზე კი არა, საკუთარ სახლშია, თანაც ჭურვისგან კი არა, ბეტონის ბოძებიდან ატკეჩილი ქვის ნამტვრევებისგან კვდება. ომიც აბსურდული იყო და შეუძლებელი ჩანდა, მისთვის ცოცხალ მამას (ღმერთს) ეცქირა. უღმერთო, აჭრილ-არეული ყოფა იყო რეალური ჩვენი ცხოვრებისათვის.

«... და მაინც, რა არის ომი - ... აზრია თუ უაზრობა? არსებობს თუ არ არსებობს? ... იქნებ ომი პარადია, ადამიანის ყველაზე უსაშინლესი თვისებებისა და ჯოჯოხეთური სურვილების პარადი, და ჩვენ კი ამ ბნელი ზეიმის მონაწილენი ვართ». ეს ციტატა ამოღებულია გურამ ოდიშარიას მოთხრობიდან «ძმისშვილი».

ომის სისასტიკის მიუხედავად ამ მოთხრობაში გულღია ღიმილსაც შევხვდებით, ერთმანეთის წინააღმდეგ მებრძოლთა ურთიერთობასაც და, რაც მთავარია, ულურჯეს, უმშვენიერეს, უთბილეს ზღვას, ქალბატონ ზღვას, შეყვარებულ ზღვას... რაც სიმბოლურად ომამდე, შეურყვნიელ, წაუბილწავ, უმანკო ურთიერთობებსაც განასახიერებს და მომავლის ნდობასა და იმედსაც უნერგავს მკითხველს.

ჩატეხილი ხიდის სიმბოლო იღია ჭავჭავაძემ დაამკვიდრა ჩვენს ლიტერატურაში. მას შემდეგ მრავალმა წყალმა ჩაიარა, რამდენჯერმე შეიცვალა ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიური წყობა. წოდებათა შორის ურთიერთობის პრობლემა აღარ დგას ჩვენს წინაშე, მაგრამ, სამწუხაროდ, კვლავ აქტუალურია ქვეყნის ერთიანობის საკითხი. დაკარგული ტერიტორიებთან დამაკავშირებელი ხიდი კვლავ ჩატეხილია. მისი აღდგენა კი მხოლოდ იმ მაღლით შეიძლება, რომელიც მარტო «ორ შუა საქმობს» და მარტო ცრემლსა და სინანულს შეიძლება დაემყაროს.

ლიტერატურა:

1. მურიდ ალ-ბარღლთი, მე ვნახე რამალა, თარგმნა ნინო დოლიძემ, თბ., 2009..
2. დ. გურამიშვილი, ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, თბ., 2004.

3. ვაჟა-ფშაველა, «სტუმარ-მასპინძელი», თბზულებანი, თბ., 1987.
4. ეკლესიასტე, ძველი აღთქმა, 1,2; 1,11.
5. ალ. ჭავჭავაძე, აღრეულობის შიშები, თბზულებანი, თბ., 1996.
6. ი. ჭავჭავაძე, «გლახის ნაამბობი», თბზ. სრ. კრებ. ოც ტომად, ტ. II, თბ., 1988.
7. ი. ჭავჭავაძე, «ახალი დრამების გამო», თბზულებანი ორ ტომად, ტ. II, თბ., 1977. ხიდი, თბ., 2007.

**THE WAR SEEN BY GEORGIAN AND ABKHAZIAN WRITERS' EYES
(ACCORDING TO COLLECTION "BRIDGE")**

Nino Vakhania, Sokhumi State University, Associate Professor

RESUME

In 2007 was published the collection "Bridge" in Tbilisi, where the works of Georgian and Abkhazian writers are included. The topic of novels is of course the same; the same is the war – terrible for both sides. The first which the reader will feel after getting to know the collection is the authors' humanism. Despite the war had left a deep and uncured wound in our hearts, despite we haven't had a possibility to confess before one another, admit our own faults, we're steel far away from one another, each of the novels are full of a human's love, by general, universal belief in kindness. If we honestly, not ambiguously ask what will survives us? The answer will be probably one – love!

The same traditions, mentality and moral orientations of Georgians and Abkhazians are obviously seen in the novels of the collection. The characters of both nations are living people with their thinking, problems, sorrow and joy, mistakes, fear, hope or despair...

All the stories serve to thinking about humans, readers' painful problems. Generally, this book doesn't belong to celebrating readers who want entertainment. This is more likely the confession passed in the writers' hearts and brains and in some cases – it is marked by regret, sometimes by pride. All the novels will rise a human's wish of thinking about soul, self-knowledge and winning on it.

The whole collection is settled by sincere, honest, fair young people, who unexpectedly find themselves in the war. One of the characters is Gio Oboladze. Gio and his friends live by the hope that Georgia will be united again; that the territories are only lost temporarily. They think that during the peace which is as bitter as the war, a man doesn't have to be without consolation. Life goes on "and... some day, Gio and ... they'll call us". It will remind the reader of "Ananureli Freaks" by Revaz Inanishvili. The children of cheerful mountains who were waiting for calling by King Erekle and historical anachronism – the lost state and cancelled throne – it doesn't make them afraid, nothing is changed in their psychics. They'll wait for the "caller" to prove their devotion to the king and country till the end of their lives (R. Inanishvili).

Despite cruelty of the war you'll meet open-hearted smile in this novel, relations between the soldiers struggling against one another, and which is important, blue, wonderful, warm Mrs. Sea, the sea which is in love... which symbolically expresses relationships before the war that were spotless, not lecherous, pure, and gives trust and hope to the readers.

The symbol of broken bridge was introduced by Ilia Chavchavadze in our literature. Many years passed after that, the political-economical structure of our country has changed for several times. We have no more a problem between the titles, but unfortunately the question of unity of our country is still actual. The bridge connecting the lost territories is still broken. Its reconstruction is only possible by the divine grace which "acts between the two" and it can only depend on tears and regret.

„სიცოცხლის დრო“ – დიალოგი კულტურის ენაზე

სალომე კაპანაძე

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი

პოსტკომუნისტური სივრცის ქვეყნებში ღირებულებათა გადაფასებისა და ახალი წესრიგის დამყარების მცდელობებმა ცნობილი ამერიკელი ანთროპოლოგის სტეფან შენფილდის თქმით, იდეოლოგიური და ფსიქოლოგიური დეზორიენტაცია გამოიწვია. თუმცა ასეთ კრიზისულ სიტუაციებში, როდესაც ეთნოცენტრიზმი და ნაციონალიზმი საშიშ მასშტაბებს აღწევს და ყველანაირი ინტელექტუალური არგუმენტი არა მარტო შეუსმენადი, არამედ იგნორირებულია, მაინც ჩნდება მოთხოვნილება კულტურათა დიალოგზე. სიმულვლითა და დეკუმანიზაციით დაზაფრულ

სივრცეში ადამიანები იწყებენ გამოსავლის ძიებას და ამ დროს ცხადი ხდება, რომ „მშვიდობის ტაძრამდე“ მისასვლელი გზის მეტი წილი ზოგადად ხელოვნებაზე და განსაკუთრებით, მწერლობაზე გადის.

ემოციათა დაცხრომის ამ საფეხურზე საზოგადოების გონიერი ნაწილი კრიტიკული თვალთ უშვებს იმას, რაც ცოტაოდენი ხნის წინ მესიანიზმისა და ეროვნული გამორჩეულობის იდეებით განიცდებოდა. იწყება მტანჯველი კათარზისი. ბრძოლა იმისათვის, რათა არ დაუშვან ამის გამეორება. სამყარო თითქოს პატარავდება და მშვიდობის ელჩების სამიზნე ხდება. ამიერკავკასიის მწერალთა იმ ნაწილმა, რომლებმაც სწორედ ამ მისიით გადაწყვიტეს თავიანთი ხმების გაერთიანება მოთხრობათა კრებულებში „სიცოცხლის დრო“ და „ხიდი“ იმ ტაძრის გზას დაადგინენ, რომელმაც ამ რეგიონში „კაცთა შორის სიმშვიდეს“ უნდა შეუწყოს ხელი

მწერლები ახერხებენ იმას, რასაც პოლიტიკოსები ვერ აღწევენ ხოლმე. ეს ფაქტი იმ კანონზომიერებაში ჯდება, რომლის თანახმად შემოქმედი ყოველთვის იღებს ვალდებულებას დაეხმაროს ადამიანებს საკუთარ თავში ღმერთი მოიძიონ. ეხმარება, რათა მათ აღიარონ კულტურა კაცობრიობის კეთილი ნების მისწრაფებად სიკეთის, სიყვარულის, სამართლიანობისა და მშვიდობის დასამკვიდრებლად. არ შეიძლება არ დაეთანხმო ზიგმუნდ ფროიდს, რომელიც თვლიდა, რომ კულტურა კაცობრიობის სინდისია. რომ იგი ისე მჭიდროდ არის დაკავშირებული „ზე-მე“- სთან ანუ სუპერ- ეგოსთან, რომ მათი გამიჯვნა შეუძლებელია. ამის მაგალითად სწორედ რომ გამოდგება ქართველ, აფხაზ, ოს, სომეხ და აზერბაიჯანელ მწერალთა ინიციატივა, რომლის შედეგად მშვიდობისა და ადამიანთა ჰუმანიზაციისათვის გაღებული მათი ლიტერატურული ღვაწლი ერთ წიგნად გაერთიანდა, როგორც მაგალითი კულტურათა წარმატებული დიალოგისა. მათი თვალთ დანახული ომი, პერსონაჟთა პორტრეტები და განცდები საოცრად ჰგავს ერთმანეთს და ინტერტექსტობრივ დატვირთვას იძენს. სხვადასხვა ეროვნებისა და ეთნოფსიქოლოგიის, სხვადასხვა სახელმწიფოებრივ სივრცეში სრულიად დამოუკიდებლად მოაზროვნე მწერლების მხატვრული ალუზიები კონცენტრირდება ერთი საერთო იდეის, ერთი ჭეშმარიტების ირგვლივ—კაცობრიობამ უნდა უერთგულოს იმ ფასეულობებს, რომელიც ადამიანთომყვარეობის ცნობილ პოსტულატებს ეფუძნება.

ესპანელი მწერლის მიგელ დე უნამუნოს მოთხრობის „მშვიდობა ომის დროს“ ერთ-ერთი პერსონაჟი— მოხუცი კაცი შვილს ეუბნება, წადი ომში, ისწავლე ცხოვრება. მოგვიანებით მწერალი იტყვის, როდესაც მოვინდომე შემექმნა პოეზიით გამსჭვალული ნაწარმოები, რომელსაც შევალე კიდევ მთელი ათი წლის ფიქრი, დაკვირვება, სიყვარული, ჩემი ბავშვობის მიწას, მშობლიურ ბასკონიას მივმართე, მის მთებს მივუბრუნდი, კარლისტებსა და ლიბერალებს შორის ომი გავისხენე, ჩემი ბავშვობის ექოდ რომ ხმიანობს სულში და როცა გაიღვიძებს მაშინვე მოგონებები წამოიშლება. (მიგელ დე უნამუნო. გვ. 6). მიგელ დე უნამუნოს არ გამოპარვია, რომ ომის ფონზე შემონახულ ამ მოგონებებში ინახებოდა მისთვის რაღაც საკრალური, ის, რაც მისცემდა მას ძალას ჩაწვდომოდა ადამიანური ყოფიერების იმ უფაქიზეს შრეებს, რომელიც სწორედ განსაცდელთან ერთად იხსნება და რომელიც აიძულებს ადამიანებს დაირაზმონ ერთი იმპერატივის გარშემო—გადაარჩინონ სიცოცხლის სიყვარული.

წიგნს, რომელიც ამ ფუნდამენტური მსოფლგანცდის პრინციპებზეა აგებული და სადაც სამხრეთ კავკასიის მწერლები ზოგადკავკასიურ დიალოგს ამ ტონალობაში წარმართავენ საოცრად მისადაგებული სათაური აქვს— „ჟამი სიცოცხლისა“. პროექტის ავტორები ქართველი მწერალი გურამ ოდიშარია და აფხაზი ბათალ კობახია შესავალში აღნიშნავენ, ეს წიგნი არის მცდელობა იმისა, რომ შევიგრძნოთ იმ ადამიანების მაჯისცემა, ვინც იცის ნამდვილი სიცოცხლის ფასი. ჩვენ გვჯერა, რომ ეს წიგნი კავკასიაში მცხოვრებ ადამიანებს მისცემს საშუალებას, რომ უკეთ გაითავისონ ერთმანეთის პრობლემები. (სიცოცხლის დრო, გვ. 5) ამ პრობლემის დანახვა შეუძლებელია, სანამ ადამიანები არ ისწავლიან ომის შედეგების პრევენციას და საკუთარ თავში იმ სამყაროს არ აღმოაჩენენ, სადაც სიყვარული უზენაესობს.

აზერბაიჯანელი მწერლის ფახრი უგურლუს ესე „ომი“ მსოფლიო სულის გადასარჩენად წარმოებული დიალოგია, იმ განცდების რეფლექსიაა, რომელიც სიკვდილისა და ძალადობის აპოლოგეტ რეციპიენტებზეა გათვლილი. ჩვენ გვინდა დავიპყროთ გარდაცვლილი სამყარო, მაშინ როცა ეს სამყარო ცოცხალი გვჭირდება. (ფახრი უგურლუ. გვ. 11) ფახრი უგურლუ ფიქრობს, რომ მწერალი უნდა იყოს ქმედითი სწორედ ისეთ კრიზისულ სიტუაციაში, როცა ადამიანებს განსაკუთრებით სჭირდებათ ზრუნვა სულის დასახსნელად. რომ მწერალს შეუძლია შეაჩეროს ეს „გიგანტური ნადირობა“ და ომის მრუმე პალიტრაში სინათლის სხივი დაიჭიროს. ემოციათა ამ ნაკადში ფახრი უგურლუ ადამიანთა ფსიქოტიპებს არჩევს—ის, ვინც ზეცაში ფრინველის ლაღი განავარდებით ტკბება და ის, ვინც ნანადირევით ხარობს. ომის არჩევანი—ცოცხალი ან მკვდარი

სამყაროა. მისივე თქმით, შეზღუდული და ტაბუირებულია გრძნობათა სრულფასოვანი გამოვლენა. ნიშანდობლივია, რომ ფახრი უგურლუ არ ცდილობს გამოცდა მოუწყოს თავის ნაციონალურ გრძნობებს და ანტითეზად დასახოს ყველაფერი ის, რაც მისგან არ მომდინარეობს, არ ცდილობს გაამართლოს „საღვთო ომი“, დააკონკრეტოს დრო, სივრცე და ისე მოახდინოს წარსულის რეტროსპექტივა. მწერალი დროის მიღმა დგას და თავისი ესეც მარადიულ ფასეულობებზე აქვს გათვლილი. მე უნდა გადავრჩე, მტერი უნდა განადგურდეს— ფახრი უგურლუს დევიზი არ არის.

წიგნში, რომელსაც „სიცოცხლის ჟამი“ ჰქვია კავკასიურ დიალოგში აზერბაიჯანელებთან ერთად სომეხი, ოსი, ქართველი და აფხაზი მწერლები ერთვებიან. მათ ერთი სათქმელი, ერთი ტექსტი აერთიანებთ, რისთვისაც შესანიშნავად იყენებენ მეოცე საუკუნის დასასრულს პოსტსაბჭოთა ქვეყნებში ინსპირირებული კონფლიქტების რეალურ ისტორიებს. ჩარლზ დიქსონის გამონათქვამი—თუ თქვენს ქვეყანაში არაა კონფლიქტები, გაისინჯეთ, გაქვთ თუ არა პულსი, დაფიქრებისათვის იმდენად განგაწყოფს, რამდენადაც გეყოფა სიმაღლე ამ „განწმენდის“ ჟამს ყველაფერი აქედან დაინახო. არსებული დრამატიზმი ზოგადადამიანურ, უფრო გლობალურ კონტექსტში შეიგრძნო და ეთნონაციონალიზმის „ხიზლი“ გადალახო. ზოგადად ადამიანური ტკივილის შეგრძნობის, ემოციური თანამონაწილეობისა და თანაღმობის გარეშე ამ წიგნის სამყაროში შესვლა შეუძლებელია. მისი უპირატესი მიღწევა სწორედ ინტერტექსტობრივი დატვირთვა, არასტერილური გარემო, ზოგადი ადამიანური ფასეულობებია. ამგვარად, წიგნში მაქსიმალურად მინორულია ეთნიკური აქცენტები, თუ მხატვრული ტექსტი დოკუმენტური პროზისათვის დამახასიათებელმა დეტალებმა არ გასცა. დოკუმენტალიზმი ამ შემთხვევაში გარდაუვალია და ამ პროექტის მონაწილე ყველა მწერალი „ტყუილის გარეშე“ ცდილობს საუბარს. ისტორიული რეალობა სწორედ ის მედიუმი, რომელიც მათ სათქმელის ბოლომდე გამჟღავნებაში ეხმარება.

კოსტა ძუგაევის მოთხრობა „ტყვიებით დასერილი სივრცე“ ამ თვალსაზრისით ყველაზე საინტერესოდ გვეჩვენა. 1990-91 წლებში ცხინვალში განვითარებული მოვლენები ორივე ნაპირიდან ისეა დანახული, რომ ეროვნების განურჩევლად ახდენს მკითხველის ცნობიერების ყველაზე მნიშვნელოვანი სეგმენტის—სინანულისა და თვითგვემის პროვოცირებას. საინტერესო კი ის არის, რომ ამის ეპიცენტრში სულიერად დაავადებული, შემლილი ვოვა გვევლინება, რომელმაც ჭკვიანებზე ადრე სრულიად განსხვავებულად იგრძნო და პროტესტი გამოუცხადა თავს დატეხილ უბედურებას. ორად გაყოფილ ქალაქში, სადაც ოსები და ქართველები სხვადასხვა მხარეს დაბანაკებულან და მათ გამყოფ, საბედისწერო სივრცეში ტყვიების თავაშვებული დოღია, მხოლოდ ვოვა დააღაჯებს თავისი სიმართლით, არ ეგუება მისთვის ოდესღაც მთლიანი სამყაროს ასეთ გაუცხოებას და თავგამოდებული „თავის ენაზე“ უმტკიცებს თანაქალაქელებს ამ მდგომარეობის აბსურდულობას. მოთხრობაში კოსტა ძუგაევი ემოციურ ფონს კიდევ უფრო ამძაფრებს სახარების წიგნის შემოტანით, რომელსაც ძალადობისა და შუღლის ქაოსში ზნეობრივი კოსმოსის მნიშვნელობა ენიჭება. „იცოდა თუ არა ვოვამ კითხვა, არავინ იცის, ზუსტი ცნობები ამის შესახებ არავის ჰქონდა, რადგან მის ხელში გაზეთიც არავის უნახავს, მაგრამ კირილის კითხვის პასუხად მან სასწრაფოდ ამოიღო უბიდან სახარება, რომლის გავრცელება იმ დროს ქალაქში ახლადმოვლენილმა სასულიერო პირებმა დაიწყეს და მთელი გრძნობით რამდენჯერმე გაიმეორა— , წაიკითხე, წაიკითხე. რამდენიმე წუთით კირილისა და ვოვას თვალები ერთმანეთს შეხვდა და ამ დროს ორთავემ იგრძნო რაღაც არამიწიერი, იდუმალი, რომლის დაკარგვას მოჰყვა სწორედ ეს ქაოსი. ასე შემოჰყავს ომის კონტექსტში კოსტა ძუგაევის უფალი ღმერთი, მხოლოდ მის სიახლოვეს უნდა დაცხრეს მძულვარება და უნდობლობა, დაცხრეს ვნებები და სააზროვნო სიტუაციაში შემოვიდეს ნათელი აზრი. ადამიანური ორი საწყისი—ხორცი და სული, რომელსაც ფსევდო-დიონისე არეოპაგელი „მეზავებულს“ უწოდებს და რომელიც მუდმივად არჩევანის პირობებში გვამყოფებს, მხოლოდ მასთან სიახლოვეს შეიძლება გადარჩეს. ბიბლიის წიგნის შემოტანა მოთხრობაში სწორედ ზნეობრივი წესრიგისა და მივიწყებულ ღირებულებათა რეაბილიტაციას ემსახურება. მწერალი შეგვახსენებს, რომ ამ ომში მხოლოდ სიკვდილი გაიმარჯვებს და საბოლოოდ ორთავე მხარეს საკუთარი გახუნებული ამბიციები შერჩება.

90-იანი წლების აფხაზურ მწერლობაში დაურ ნაჭყებამ არა მარტო იმით მიიპყრო ჩვენი ყურადღება, რომ მან არნახული წნეხისა და ცენზურის პირობებში გაბედა ჩართულიყო კულტურათა დიალოგის პროცესში. რომ ბოლომდე მიჰყვება შემოქმედებითი ინტუიციის ლოგიკას. „მიწის ყივილი“ მისგანაც მოითხოვს ხარკს, თუმცა ეს არასოდეს უშლის ხელს დაურ ნაჭყების შექმნას სრულფასოვანი ლიტერატურა. „ტკივილი არსებობის დამადასტურებელია—ცოცხლობ მანამ, სანამ გტკივა“—ამბობს მწერალი ერთ-ერთ თავის მოთხრობაში „მალე შემოდგომა დადგება“. მასში სრული ზიარება ხდება იმ ტრაგიზმთან, რომლის წინაშე აღმოჩნდნენ ქართველები და აფხაზები 90-

იანი წლებში. მტრობის თავაწყვეტილ ექსტაზში სიკვდილი იმენს უნივერსალურ მნიშვნელობას, რომელიც თავისთავში აერთიანებს აფხაზეთის ტრაგედიის ყველა მიზეზ–შედეგობრივ კავშირს. დაურ ნაჭყებიას მოთხრობის გმირი უსახელოა, მისი ნაციონალური სახე მწერალს მეორე პლანზე აქვს გადატანილი, რადგან თვლის, რომ ომის საცდურის მსხვერპლთა ბედისწერა იდენტურია. ნუ დაიჯერებთ, რომ ილბლიანი სიკვდილი არსებობს, იგი მშიშრებმა და გულსუსტებმა მოიგონეს, არა არის რა „ბედნიერ სიკვდილზე მწარე.“ (დაურ ნაჭყებია, ხიდი, გვ .258) დაურ ნაჭყებიას მოუწია პოსტ-ფაქტუმ– შედეგებზე დაყრდნობით ემსჯელა და ამ დროს სიმართლის პარალელურად ყოფილიყო საოცრად დელეკატური თავისი ერის ისტორიული საზრისისა და ეთნოფსიქიკის მიმართ. მისი, როგორც მწერლის ჰუმანისტური პოზიცია, უშუალოა, ის კონცეფციური მომენტებია, რომელიც არასოდეს ტოვებს მას და აძლევს საშუალებას იყოს აღმსრულებელი მეტად მნიშვნელოვანი მისიის–გაერთიანოს სხვადასხვა ნაპირზე დარჩენილი ადამიანები, რომელთაც ისტორიულად ყოველთვის უფრო მეტი აერთიანებდათ, ვიდრე ჰყოფდათ. მისი , როგორც მწერლის უმთავრესი საყრდენი ყოველთვის რჩება ადამიანი, მის მიღმა დარჩენილი ფასეულობები ნაკლებად ექცევა მისი ყურადღების ეპიცენტრში. ასეთი ეფექტები მის გმირებს ყოველთვის სძენს სასურველ მასშტაბურობას. აფართოვებს მისი მკითხველის წრეს, რადგან დაურ ნაჭყებიას მოთხრობებში ყოველთვის შეიძლება იპოვო ის, რაც ომის დროს დანგრეულ-დანაწევრებულ ქართულ-აფხაზურ ურთიერთობს აღდგენისათვის შეამზადებს და თანაცხოვრებისათვის კვლავ განაწყოს.

ჯეიმს ჯოისი ერთგან აღნიშნავს, ყოველი ადამიანი მსგავსია ქალაქ რომისა, რომელშიც წარსული საუკუნეების ნაშთებად არის დარჩენილი. უხერხული იქნებოდა დაურ ნაჭყებიას შემოქმედებაში წარსულის ნაშთები არ დაგვენახა, მაგრამ მისი მწერლური ხიბლი სწორედ ის არის, რომ იგი ყოველთვის ფრთხილობს ეს წარსული ექსცესებად არ ამოატივტივოს. ასეთი გაწონასწორებულობა მას ყოველთვის აძლევს პრობლემასთან შინაგანი სიმართლით მისვლის საშუალებას. გადასარჩენად თავად გამოიყვანს მას სახლიდან, ამ ტრაგიკული ამბის ფონზე კიდევ ერთხელ გაიაზრებს ადამიანური ყოფიერების არსს და იმ ფასეულობებზე დაფიქრდება, რომლის დაკარგვა მეტყველ მეტაფორად აისახა მოთხრობაში.

ქართულ-აფხაზურ კონფლიქტთან მიმართებაში მწერლობის სათქმელის განვრცობა უზუცესი აფხაზი მწერლის ფაზილ ისკანდერის მოთხრობაში „ომი და ბიჭი“ გამოკვეთილად პოზიტიური და თვალშისაცემია. მისი ცნობილი ფრაზა „ადამიანს ან წიგნი გაათბობს, ან იგი წიგნებით გაჩაღებულ კოცონთან გათბება. მესამე არ იქნება.“ პროფეტული უნდა იყოს მათთვის, ვინც გადაჭარბებულ კრეატიულობას იჩენს ეროვნულობასთან მიმართებაში და შემწყნარებლობის ფენომენტთან კონფლიქტშია. კავკასიური ემოციურ-ექსპრესიულობა მეტად საშიში იარაღი აღმოჩნდა მეოცე საუკუნის დასასრულის საქართველოში, მაგრამ დრომ ადამიანების ცნობიერებაში ყველაფერი თუ არა, ბევრი რამ გადააწყო და კუთვნილი ადგილი მიუჩინა. იგი ფსიქიკის არაცნობიერ პლასტებსაც გადაწვდა და ნაწილობრივ კულტურულ-ინტელექტუალურ განვითარებაზეც აისახა. ადამიანთა სულიერი ტრანსფორმირების ამ დინამიკაში უდიდესი წვლილი მხატვრულ სიტყვას ეკუთვნის. ფაზილ ისკანდერის ამ გამონათქვამის შემდეგ ისლა დაგრჩენია მის შემოქმედებით ლაბორატორიაში ამის თვალსაჩინოებები მოიძიო. ის „არსებითი“, რომელსაც ეყრდნობა მწერალი ამ საკითხთან მიმართებაში, ჩვენი აზრით, ყველაზე უკეთ მოთხრობაში „ბიჭი და ომი“ არის წარმოდგენილი. ავტორისეული ინტენცია (მიზანდასახულობა) არ თავსდება პროკრუსტეს სარეცელზე, სადაც მარტო აფხაზი მკითხველი გრძნობს თავს კარგად და ეს ფაზილ ისკანდერის 90-იანი წლების პროზაში ყველაზე თვალშისაცემ პოზიტივად შეიძლება ჩაითვალოს.

ფაზილ ისკანდერი ძალიან სათუთი თემატიკით უერთდება ზოგად კავკასიურ დიალოგს, ეს არის ომის ბავშვები, მათი უმანკო თვალებით დანახული ის რეალობა, რომელსაც უფროსები ომს არქმევენ და ვერაფერს უხერხებენ იმ უსამართლობებს, რომელიც მას მოსდევს. მწერალი ადამიანთა ცოდვილი სულებისათვის სწორედ იმ ფერებში, იმგვარად ხატავს პანოს, რომ მის წინაშე სისასტიკე ქედს იხრის და უკან იხევს. ძნელია არ დაფიქრდე თორმეტი წლის ბიჭის კითხვაზე– რა აზრი აქვს სიცოცხლეს, ან რატომ უნდა გაიზარდო, თუ ადამიანები ბოროტნი არიან. (ფაზილ ისკანდერი, ხიდი, გვ. 11) ეს კითხვა მას უფროსების მონათხრობის პასუხად უჩნდება, საიდანაც ცხადდება, რომ სოხუმში უდანაშაულო ქართველი ექიმი– მია გიორგი მოუკლავთ. განა ადამიანები ცივილიზაციის ამ ეტაპზე უფრო გონიერნი და კეთილები არ უნდა იყვნენ, განა სიკეთეს არ უნდა ემატა? (ფაზილ ისკანდერი, ხიდი, გვ. 9) - დარდობს ბიჭი. მამა კი სწუხს, ღმერთო, როგორ გაუჭირდება სიცოცხლე. მაგრამ მშობელი საბედნიეროდ, მაინც პოულობს ხსნის გზას– ბოროტების უარსობის ნათელსაყოფად იგი იმ დამშეულ, ბოგანო დედაკაცთან მიიყვანს პატარას, რომელიც სადარბაზოსთან ყოველდღიურად აპურებს მაწანწალა ძაღლებს. შეხედე, სიკეთე უშრეტი ძალაა, ის ბოროტებაზე ძლიერია (ფაზილ ისკანდერი, ხიდი, გვ. 14) –ეუბნება შვილს და ამით თავის პირმშოს. ცხოვრებაში

ყველაზე ტრაგიკული მარცხისაგან იხსნის. ფაზილ ისკანდერი როგორც მწერალი და როგორც ადამიანი სწორედ იმ ასაკში იმყოფება, როცა ყველაზე უკეთ იგრძნობა ამ მარცხის სიმძიმე და ტრაგიზმი. როცა განსაკუთრებულად აღიქმება ის კავშირი, რომელიც ადამიანებს აქვთ, მაგრამ რატომღაც ვერ იყენებენ.

ომისა და ბავშვების თემა ხშირად ნუგზარ შატაიძის მოთხრობაში „მოგზაურობა აფრიკაში“, რომლის კინოვერსია „გაღმა ნაპირი“ რეზონანსული და საკმაოდ წარმატებული გამოდგა. კინომცოდნე ლელა ოჩიაური ამ ფილმის შეფასებისას აღნიშნავს:

ხელოვნების ესა თუ ის ნაწარმოები ყოველთვის ატარებს დროის ნიშნებს, როდესაც ისინი იქმნება—დაწყებული ავტორის მოქალაქეობრივი პოზიციიდან, სათქმელის მხატვრული გადაწყვეტის თავისებურებამდე, სტილის სიახლემდე, მიმართულების თავისთავადობამდე და ა.შ. მით უმეტეს, როდესაც ეს დრო და განვითარებული მოვლენები მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს ერის, ქვეყნის, ადამიანების ცხოვრების წესზე. საზოგადოების ბედზე, ცნობიერებაზე და მოქმედების ფორმებსა თუ ინდივიდის არჩევანს განსაზღვრავს. ასეთი მძაფრი შედეგის აღმოჩნდა ის დრამატული, მეტიც, ტრაგიკული მოვლენები, რომლებიც საქართველოში, და არა მარტო საქართველოში—კავკასიაში საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგ განვითარდა. (ლელა ოჩიაური. გვ. 8-9) ნუგზარ შატაიძის ეს მოთხრობა არ არის ომის ნაცნობი თემის მორიგი ვარიაცია, თავისი დრამატული ავანსცენით იგი უსაზღვრო სიღრმისა და დამატებითი ტკივილის შემცველია, ვინაიდან მოზარდი თაობის მიმართ უახლეს წარსულში ჩადენილი ეს დანაშაული სრულფასოვნად მიგვანიშნებს იმაზე, როგორ არ უნდა იცხოვრონ ადამიანებმა. მოთხრობაში განსაკუთრებული დატვირთვის მქონეა ბიჭის ზღვასთან შეხვედრის სცენა. ზღვის მისტერია განსაკუთრებულ ემოციურ ფონს ქმნის ხოლმე იქ, სადაც ქართული მწერლობა აფხაზეთის თემას ავითარებს. აქაც ზღვა ქვეცნობიერად აირეკლავს იმ განწყობას, რომელიც ადამიანებს ერთმანეთის მიმართ ჰქონდათ ომამდე და ომის შემდგომ. როგორც კი ბიჭი აფხაზეთამდე მიაღწევს, მაშინათვე ზღვას მიაშურებს. მას მთელი ამ ხნის განმავლობაში არასოდეს ტოვებდა ზღვასთან დაკავშირებული შეგრძნებები. „მახსოვს ზღვის სუნი, გემო და ხმა. საკმარისია თვალები დავხუჭო, რომ მაშინათვე გავიგონებ, მის მლაშე გემოსა და სუნს შევიგრძნობ“. იქ ჩასულს კი სულ სხვა სურათი ხვდება, ზღვა უზარმაზარი, მუქი ტალღებით ასკდებოდა ბეტონის ნაპირს, შხეფებს ისროდა და თან შემზარავი ხმით ღრიალებდა. შიშით უკან დავიხიე. არა, ასეთი ზღვა არასოდეს მენახა. მომეჩვენა, თითქოს გზა ამებნა და სულ სხვაგან მოვხვდი, სხვა ქვეყანაში ჩამოვედი. ვიდექი და ამდენი ხნის მონატრებულ ზღვას იმედეგაცრეებული, კრიჭაშეკრული ვუყურებდი. (ნუგზარ შატაიძე. ხიდი. გვ. 30)

ქართულ პროზაში, რომელიც აფხაზეთის მოვლენებს ეძღვნება სოხუმელი მწერლის გურამ ოდიშარიას შემოქმედება —რელიეფური, გამოკვეთილი პერსონაჟებით, ჰუმანიზმითა და დროის უზუსტესი ფსიქოლოგიური ანაბეჭდებით მართლაც გამორჩეულია. მისი მხერის მიღმა არ დარჩენილა უფაქიზესი ნიუანსიც კი, რომელიც მომავალზე არ იყოს გათვლილი. ეს მიკრომატიანე, რომელიც მან შექმნა რეალური დასაყრდენია აფხაზ-ქართველთა საერთო წარსულისა და სამომავლო თანაცხოვრების გადასარჩენად. მიუხედავად შემზარავი რეალობისა, რომელსაც კანონიერი არსებობის უფლება აქვს მის შემოქმედებაში, მწერლის ხედვის რაკურსი მაინც ოპტიმიზმსა და კაცთმოყვარეობაზეა ფოკუსირებული. მისი მხერა ყოველთვის უახლეს წარსულს დატრიალებს, გურამ ოდიშარიას საკრალური კავშირი აქვს ამ წარსულთან, მასთან უწყვეტობის განცდა ანიჭებს მწერალს ინდივიდუალიზმს, რომლის უკან ყოველთვის დგას აფხაზეთი თავისი სასიცოცხლო სივრცითა და პიროვნებებით, რომელიც უახლეს ისტორიულ კონტექსტთან ერთად შეიგრძნობა. ომმა ყველაფრის შეგრძნება გაამახვილა, ამბობს მწერალი და ამაში უპირველეს ყოვლისა უფლის შეგრძნებას, ადამიანებისკენ მიმართულ მის მხერას გულისხმობს. კითხვაზე „რა არის ომი“ იგი ასე პასუხობს: ომი პარადია, ადამიანების ყველაზე უსაშინლესი თვისებებისა და ჯოჯოხეთური სურვილების პარადი, და ჩვენ კი ამ ბნელი ზეიმის მონაწილენი ვართ. (გურამ ოდიშარია. ხიდი. გვ. 217) მიუხედავად ამისა გურამ ოდიშარია თავისი მოთხრობებისათვის ყოველთვის ისეთ პერსონაჟებს ეძებს, რომლებიც სიკეთის უძლეველობის დასტურად გამოადგება. ეს ხელწერა ძალზე იმანენტურია მისთვის. ჯოჯოხეთის ამ აგონიაში ადამიანებმა სიკეთის რწმენა და სიცოცხლის საზრისის განცდა უნდა შეინარჩუნონ. გურამ ოდიშარიას, როგორც მწერლისა და სხვათაშორის, როგორც პიროვნების ემოციები ეპოქის სახესთან ერთადაა სუბლიმირებული პერსონაჟებში, სადაც ერთმანეთის დასალუპად მიმართული ადამიანები კრიტიკულ სიტუაციაში მაინც ერთმანეთს უწვდიან ხელს. მწერლის შემოქმედება სავსეა ასეთი პარადოქსული აღმოჩენებით. ამ მხრივ საინტერესოა მისი მოთხრობა „მძისვილი“, რომელიც ამ წიგნში სამშვიდობო მისიითაა წარმოდგენილი და მისი მთავარი პოსტულატების კონტექსტს ეთანხმება. თავისი ფსიქოლოგიური ასპექტებით გურამ ოდიშარიას ეს მოთხრობაც საფუძველშივე ეწინააღმდეგება ომის მიერ კაცთმომძლეობის

დამკვიდრებულ ტრადიციას. მიუხედავად იმ სივრცული არეალისა, სადაც რაოდენობრივად მორალური კრიზისი სჭარბობს, საბოლოოდ მოთხრობის სიუჟეტურ- კომპოზიციური შიგთავსი ერთი ნასკვით იკვრება, მასში იმ საზრისის სიმაღლე და ერთიანობა იმარჯვებს, რომელიც კონკრეტულ გარემოში „მმისშვილების, დისშვილების, ბიძაშვილების“ ტრადიციული სიყვარულით არის ნაქარგი. მოთხრობის მთავარი გმირი ვალერი ცეცხლმოკიდებული სახლიდან აფხაზი მეომრის ადგურის მმისშვილს გამოიყვანს და სიკვდილისგან იხსნის. სიმულვილით „აჩეხილ სამყაროში“ ამ კოლიზიის არსი და დანიშნულება ის არის, რომ ქართველები და აფხაზები კვლავ დაბრუნდნენ ერთი ოჯახის ქვეყანაში, უზარმაზარი ოჯახის უზარმაზარ ქვეყანაში, სადაც კაცი არ ჰკლავს კაცს და სადაც მხოლოდ სიყვარულის ძალა განაგებს ყველაფერს.

ლიტერატურა:

1. კონფლიქტები. (2010) თბილისი: კონფლიქტების და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრი.
2. სიცოცხლის დრო. (2003) მაიკოპი: ადიღეა. რუსულ ენაზე.
3. მიგელ დე უნამუნო. (2009) ესეები. თბილისი: სიესტა.
4. ოჩიაური ლელა. (2009) გავდიოდი გაღმა მხარეს. გაზეთი, ქართული უნივერსიტეტი. № 27
5. ტაბიძე ტიციან. (1966) რჩეული. ტ. 2 თბილისი: ლიტერატურა და ხელოვნება.
6. ხიდი. (2007) თბილისი. საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო.

„TIME TO LIVE“ - DIALOGUE WITH CULTURE LANGUAGE Salome Kapanadze, Grigol Robakidze University, Associate Professor RESUME

There is a hard historical inheritance like war and ethnoconflicts from the last century. Some values have been estimated in a new way and it has been done experiment to put a society in a new order. “Breaking the idols” in a conscious of the society was spreaded in the postcommunist countries that cause “Ideological and Psychological Disorientation” - as a famous American anthropologist Stefan Shenfield said. Although the situation where the ethnocentrism and nationalism are at the dangerous level and some intellectual arguments aren't realized and are ignored, cultural relationship and dialogue are very important. People in an atmosphere full of hate and dehumanisation have to find a solution and at this time it's clear that the way to get to the “temple of peace” is Art and Literature. Now when the hot emotions are already calmed down intelligent people of our society consider the “Mesianizm” and National pick out with criticism. It's beginning of catharsis not to be repeated such kind of experience any more. There is some feeling that world is getting smaller and it is becoming the aim of ambassadors for peace. The Caucasian writers united by this aim in the collection of stories named the “Time of life” and “Bridge” are going along the way which will support the peace among people in this region. Writers always have real knack of doing more in this field than politicians and they always carry out obligation to help people in finding The God inside themselves. They help others to recognize the culture as some means of establishing kindness, love, fairness and peace. We can't disagree Sigmund Freud's opinion that culture is a conscience of mankind, that it's tightly connected with “ZE-ME” or “Superego” and it's impossible to drop boundary between them. There is a book as an exemple of cultural dialogue success, which includes the initiative of Georgian, Abkhazian, Osetian, Armenian and Azerbaijani writers to make people live in peace and feel humanism. The war, characters and emotional experiences seen by them are very alike to each other and they get an intertextual load. The artistic intimations of the writers of various nationalities and ethnopsychologies are concentrated in one common idea that mankind must be devoted to the value of humanity.

ასე უყვარდათ (ბაგრატ შინკუბას რამდენიმე ლექსის გამო)

მედეა კვარაცხელია

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ფილოლოგიის დოქტორი

იმ დროს, როცა სოხუმში ვცხოვრობდით და ვსწავლობდით, როცა იქაური ულამაზესი ბუნებით, ყვავილების სურნელით და სილამაზით ვტკბებოდით, ჩვენს სულიერებას კი გ. ტაბიძის, ანა კალანდაძის, ოთარ ჭილაძის, მუხრან მაჭავარიანის, ტერენტი გრანელის, ნიკო სამადაშვილის და სხვათა და სხვათა

უნატიფესი სტრიქონები ასაზრდოებდა. აფხაზი მწერლების შემოქმედებას ნაკლებ ყურადღებას ვაქცევდით ხოლმე. ახლა, როცა ეს ყველაფერი მენატრება, როცა ასე შორია ჩემს საყვარელ სოხუმამდე, რატომღაც ბ. შინკუბას ნაწარმოებით დავენტერესდი. მომინდა გამეგო, რას, რაზე და როგორ ფოქრობდა ის, რას ტკიოდა, რა უხაროდა და საერთოდ რას წერდა საქართველოზე. არ ვიცი, იქნებ, მთარგმნელის დამსახურებაა, მაგრამ მის პოეზიაში, აშკარად ლამაზი სტრიქონები ამოვიკითხე: „ უასაკოა ლექსი ნამდვილი, ასაკი მხოლოდ მგოსნის ხვედრია”(1,6);

„ გაზაფხულს ქვეყნად პირველი შევხვდი,
ახლა მდელოსკენ მივეჩქარები,
მინდა გავავლო ენძელას გვერდით
ჩემი სახნისით ლექსის პწკარები”.(1,18)

„მე ვუმღერ გმირებს და ვაჟკაცობას
ვიყავ ყოველთვის მხდალთა მგმობელი”.(1.6)
„შართა ამთა! ძმობის გარდა, ქვეყნად არის რამ ძლიერი?
თქვენი სადღეგრძელო იყოს, თქვენი მრავალყამიერი.”(1.)

სურვილი, რამაც განაპირობა აფხაზი მწერლის შემოქმედებით ჩემი დაინტერესება, ისაა, რომ მისი შთამომავალიც ისე მინდა ეფერებოდეს საქართველოს, ქართველ პოეტებს, და საერთოდ, ლექსს, როგორც ეს მისმა წინაპარმა შეძლო:

„ჩაგბერე ჩემი სულის ნაწილი, აგანთე, როგორ ოქროს კანკელი.
ჩაგიდგი ენა, ენა იმგვარი, არ დაგჭირდება არსად მთარგმნელი” (1.5)

მინდა ის გაწყვიტილი ძაფი გაიკვანძოს, რომელიც წლების მანძილზე აკავშირებდა ქართველებს და აფხაზებს, რადგანაც

„ყველანი მიდიან, ქვეყანა დიდია, დაიტევს ყველას...” (12.1)

და ამ ყველაში უნდა მოვიზარებოდეთ ჩვენ, გვერდიგვერდ მცხოვრები ადამიანები.

მქუხარე ყინულოვანი მდინარეებით, მდიდარი ტყეებით, დაბურული ხეობებით და ლამაზი გორაკებით ცნობილი (როგორც თვითონ ამბობს) სოფელ ჩლოუში დაიბადა ბაგრად შინკუბა 1917 წელს. მისმა მშობლებმა წერა- კითხვა არ იცოდნენ. ოჯახში წიგნი სკოლაში ბავშვის წასვლის მერე გაჩნდა. სამაგიეროდ, ძალიან უყვარდათ ხალხური სიტყვიერება, რის ზეგავლენასაც მწერლის შემოქმედება განიცდის.

„წერა ჩემთვის არავის ურჩევია. ეს სურვილია, ალბათ, სტიქიურად აღმემრა...და ეს სურვილი ჩემში თანდათან ძლიერდებოდა. ვსინჯე შემთხზა ლექსები საკუთარი ხმით, მაგრამ ამ ლექსებში ჯერ კიდევ იგრძნობოდა ხალხური სიმღერების გავლენა.”(2.6), - წერდა მოგვიანებით პოეტი.

„ბედნიერების მომტანია თუ უბედობის, - იგი ამშვენებს გვირგვინივით ჩემს აღთქმულ მწვერვალს”(9.3) ამ სიტყვების ძალა პოეტის პირველივე ლექსში გამოჩნდა, რომელიც 1935 წელს გამოიცა.

სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის დამთავრების მერე, სწავლა საქ. მეცნ. აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ასპირანტურაში განაგრძო. „ფილოლოგიური ძიებანი, ნაწილობრივ, თუმცა ხელს მიშლიდნენ პოეტურ მოღვაწეობაში, მაგრამ მეხმარებოდნენ მშობლიური ენის ღრმად შესწავლაში”(2.7). მიუხედავად ამისა, მან წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, პარალელურად, ნაყოფიერად მოღვაწეობდა ლიტერატურის სფეროშიც.

„ ჩემი პოეზიის ძირითადი წყარო, ბუნებრივია, არის ჩემს თვალწინ გარდაქმნილი აფხაზეთი... მუდმივად ვცდილობდი, არ გადამეხვია ცხოვრების მთავარი გზიდან, და შეძლებისდაგვარად ყოველთვის კვალდაკვალ მივდევი ჩემს ხალხს შრომაში, ჩემი მოვალეობაა, ვწერო სიმართლე ჩვენი საუკუნის ცხოვრებაზე. დროის სურათი გადავშალო მკითხველის წინაშე.დავეხმარე მას, უფრო ღრმად ჩასწვდეს თანამედროვეობის ჭეშმარიტებას”. (2.10)

ბ. შინკუბა პირველია აფხაზურ მწერლობაში ვინც რომანი ლექსად დაწერა. „მე მიყვარს ეს ნაწარმოები, როგორც სიმღერა ხალხის შრომაზე” აღნიშნავს ის.

მისი შემოქმედება თემატიკით შეუზღუდავია, ჟანრობრივად მრავალფენოვანი, თვითონ კი, განსხვავებულია პიროვნული თვისებებითაც. „Ого какой большой и крепкий как гора и седина, совсем как снег на вершине. И лицо смуглое в крупных морщинах, словно высеченное из горного камня.А за ним сверкало и переливалось переливалось лазурное море. И я подумал, до чего же он похож на свою Афхазию”(10.3),- წერდა მასზე რუსი ლიტერატორი.

პოეტის მოგონებებიდან ჩანს, რომ თბილისური ცხოვრება მისთვის ნაყოფიერი და საინტერესო იყო: „თბილისში სწავლისას მე დიდი დრო მოვანდომე მრავალსაუკუნოვანი ქართული მწერლობის შესწავლას. ქართველი პოეტებისა და მწერლების ნაწარმოებათა თარგმნამ აფხაზურ ენაზე, დიდი სიამოვნება მომგვარა (2.9). (ასეთი შეხედულების მერე, რადიკალურად რატომ შეიცვალა ამ ადამიანების

დამოკიდებულება ჩვენდამი? მ.კ). მის მიერ არის მთარგმნილი რამდენიმე ნაწევები „ვეფხისტყაოსნიდან“, ბარათაშვილის „მერანი“, „შემოღამება მთაწმინდაზე“, „ბედი ქართლისა“. აკ. წერეთლის „სულიკო“, „გაზაფხული“, ყაზბეგის „ხევისბერი გოჩა“, გ. ტაბიძის, ი. გრიშაშვილის, გ. ლეონიძის და სხვათა ნაწარმოებები. ქართული მწერლობის, უკვდავი „ვეფხისტყაოსნის“ კარგად მცოდნის და სიყვარულის კვალი ატყვია პოეტის ლექსს „მ. რუსთაველი“.

(თარგმ., თ. ჯანგულაშვილისა), საიდანაც დიდი სითბო და სინაზე მოედინება. აქ ისეა შ. რუსთაველის სიდიადე ნაჩვენები, ეჭვი მეპარება, ჭორი ხომ არ არის სოხუმში მისი ძეგლის ხელყოფის შესახებ გავრცელებული ინფორმაცია?

შინაგანი სიამოვნებისა და სიამაყის გარეშე შეუძლებელია ამ ლამაზი სტრიქონების წაკითხვა:

„მღეროდი, ფრთოსან მგალობლებს
ეგონათ ტკბილი ნანინა
ე, მაგ ხმამ ვეფხვსაც ცრემლები
შეაშრო, მოაბანინა (1.25)

ან „კაცო, სიმღერის მეუფე,
ქვეყნის ნამუსის გვირგვინო,
როგორი იყავ ნეტავი,
მინდა, რომ წარმოგიდგინო(1.26)

ან კიდევ.

„და კაცი სიბრძნედ ქცეული, ქვეყნიერებას გარს უვლის”(1.26)

როცა ვკითხულობ ბ. შინკუბას ლექსს „რუსთაველის პროსპექტზე“, ცნობილი კრიტიკოსის, გ. შატერაშვილის სიტყვები მახსენდება, „ის უნდა წერო, რაც მოსვენებას არ გამოეღვს, მუდამ გახსენდება უნებურად...რასაც სულში ღრმა ნაკვალევი (ხნული) დაუტოვებია და შენს მუდამ საფიქრალად ქცეულა“ (14.307). ეტყობა, აფხაზ მწერალსაც არ ასვენებდა, ალბათ ის მთაწმინდა და რუსთაველის პროსპექტი, საიდანაც „ყელმოღერილებს დამფრთხალ შვლებივით, ლამაზ გოგონებს ღიმილით ზვერადა“. და მთაწმინდიდან დაფენილ ბინდბუნდზე მოსეირნე ლამაზმანებთან ერთად უნეტარეს სიამოვნებას განიცდიდა.

ისე თბილად და გულწრფელად ეფერება პოეტი „მთაწმინდა“ (თარგმ. რ. მარგინისა) ამ წმინდა სავანეს, (თუ ხმამაღალი ნათქვამი არ გამომივა) ვერცერთი არაქართველი მწერლის შემოქმედებაში მსგავს მაგალითს ვერ ნახავთ. ცოტა რამ, ალბათ, მთარგმნელის დამსახურებაცაა. მაგრამ, შეუძლებელია, შინაარსი ავტორის სულის ამოძახილს არ მიჰყვებოდეს. ავტორისაა, რომელიც წყნარ და მზიან ამინდში „სიბრძნის დასაწაფეფლად“ და არა „არწივივით ფრთების გასაშლელად და მალა ასაფრენად“ ეწვია კურთხეულ ადგილს, საიდანაც ჩანს, „...ვით ჰყვავით ცის სილურჯეში უბერებელი ქართლის მთა-ბარი“ (1.81)

„შენი უქრობი შუქი დაჰნათის, მათი სავანე მხოლოდ შენა ხარ,
წერდნენ, იბრძოდნენ, რათა ლამაზად, აყვავებული ქართლი ენახათ...
... მთაწმინდავ, შენ ხარ, მათი ნუგეში, პატიოსნების გასხვიოსნება,
საუკუნიდან საუკუნეში გადაგაქვს მათი წმინდა ოცნება“. (1.82)

და ბოლოს, ქართული მწერლობის სახელოვანი წარმომადგენლების სამუდამო სავანე ასე მიმართავს მწერალი,

„შენ მეუფე ხარ დიდი თბილისის, მარადიული მისი თვალებით“, (1.82)

აფხაზი და ქართველი ხალხის მეგობრობაზე, ურთიერთობაზე ბევრია დაწერილი. ისინი „საუკუნეების მანძილზე საერთო ისტორიული ცხოვრებით ცხოვრობდნენ, რამაც განაპირობა მათი სულიერი სამყაროს თავისებურება“(16.1) ბევრი თქმულა ნოდარ დუმბაძისა და აფხაზი მწერლების ურთიერთობაზეც. კ. გამსახურდიას, რ. მარგინის, იოსებ ნონეშვილის, გ. კალანდიას და სხვათა სულიერ სიახლოვეზე, მაგრამ ბ. შინკუბასავით ორიგინალურად მათთვის აქაც, ალბათ, არავის უმღერია.(„გიორგი ლეონიძის გახსენება“).

ზღაპრული, შემოდგომის ულამაზესი მზით გამთბარი გრემი, გოგლასთან ერთად აფხაზ პოეტსაც მასპინძლობს

„ჩვენ მივიწვევით მალა, სულ მალა
და გოგლას ლექსი მესმოდა ტკბილი (1.85)

ეს ლექსიც ისეთი ტკბილია, სტრიქონებიც ისე ლამაზად არის მიძივებად აცმული, რომ შეუძლებელია, მისგან რაღაცის ამოღება. ის ერთი ამოსუნთქვით უნდა იკითხებოდეს:

„შემოდგომის მზით იწვოდა გრემი,
მართლაც ზღაპრული სამოთხე ვნახე...
...უმგოსნო მხარეს უბედოდ ჩავთლი,

ულექსო მხარეს უბედო დედად,
აქ კი სასესია ეს მიწა მადლით
და რჩეულ მგოსანს სახავენ ღმერთად,
იმ დღეებს ხსოვნა ინახავს ჩემი
და გოგლას ლექსის წკრიალი მესმის...
„შემოდგომის მზით იწვოდა გრემი“...

მიკვირს, ვემბე მიზეზს და ვერ ამიხსნიან, „იმ დღეების ხსოვნა“ რატომ ბოლომდე ვერ შეინარჩუნეს ქართველებზე ასე შეყვარებულმა ადამიანებმა?!

აქ ისევ გ. შატბერაშვილის სიტყვებს მოვიხმობ: „ჩემთვის ჯერაც გაურკვეველია, რომელი ადამიანი უფრო სრულყოფილი და სანიმუშოა, ვისაც დიდი სიყვარულის და სიძულვილის უნარი გააჩნია, თუ ვისაც ეს გრძნობები ზომიერად აქვს მომადლებული. შეიძლება უფრო მეორე?.. ვგონებ, ასე უნდა იყოს. არის რაღაც არაადამიანური დიდ სიყვარულსა და დიდ სიძულვილშიც!“ (14.297)

ამ შემთხვევაში რასთან გვაქვს საქმე ჩემთვის ჯერჯერობით გაურკვეველია, მაგრამ, ერთი რამ ნათელია, „მხოლოდ ბავშვები და მტრები არ არიან ერთმანეთს თვალს. ბავშვები გულუბრყვილობის გამო... მათ ჯერ შეგნებულნი არა აქვთ, რომ თვალს მათი გაცემა შეუძლია...“

რაც შეეხება მტრებს-ისინი თვალს ერთმანეთს მაშინ უსწორებენ, როცა მათი მტრობა საბოლოოდ მიშვლდება და ისინი ერთმანეთის პირისპირ დგანან“.(14.297)

აფხაზებმა და ქართველებმა წლების წინ თვალი გაუფსწორეთ ერთმანეთს და ერთმანეთის პირისპირად დავდექით, მაგრამ იმედი იმისა, რომ ჩვენ შორის თვალის არიდების დრო დადგება, არცერთ მხარეს, არასდროს დაგვიკარგავს.

მავანმა, ან საკითხით დაინტერესების გამო, შეიძლება დამძრახოს, „არამეცნიერული ნაშრომი“ უწოდეს ჩემ ნაფიქრს, რა დროს ეს არისო, გულში გაივლოს, მაგრამ ამ ადამიანებს ვუპასუხებდი: ბ. შინკუბას ერთ-ერთი საინტერესო ლექსის „წყაროს“ შინაარსით (რადგანაც, ის არ არის ქართულად თარგმნილი მ.კ.) დავასკვნენი, არა აქვს მნიშვნელობა, ტყეში რომელი და როგორი ბილიკით ივლი, თუ, ოდესღაც დაკარგული წყაროს პირას, ისევ დავხვდება ხელადა. ვიღაცამ იშრომა და ხელახლა ცხოვრების საშუალება მისცა მორაკრაკე წყალს. ირგვლივ გაცოცხლდა ყოველივე. ძველებურად ახასხასდა მინდორ-ველი. იქნებ, აფხაზეთიც წყაროს მსგავსად დროებით დაიკარგა ჩვენთვის. იქნებ, მსგავსი ნაწარმოებებით დაინტერესება და ძველი ურთიერთობებიც გახდეს საწინდარი იმისა, რომ ძველებურად გახდეს გული იმ ადამიანებისა, რომლებსაც ასე უყვარდათ ქართველები. იქნებ, გამოჩნდეს ის ბილიკები (თუ გინდ ბალახით დაფარულ), რომლითაც მივახლოვდებით, სამურზაყანოს, ოჩამჩირეს, კოდორს, მაჭარკას, კელასურს, ასე მონატრებულ მიმოზებს და იასამნებს. მოლივლივე ზღვას და მხოლოდ ჩვენ (აფხაზები და ქართველები) ვიქნებით მთელი აფხაზეთი.

ლიტერატურა:

1. შინკუბა ბ., რჩეული, თბ., 1980;
2. შინკუბა ბ., ერთტომეული, თბ., 1969;
3. Шинкубава. Б Стихотворения, Москва 1959;
4. ანთელავა გ. „ოქროს საწმისი“, №3, IV, 1990;
5. Абашидзе Гр., Гамсахурдия К. Слово о друге газ, «Заря Востока», от II мая, 1967;
6. ხ. აფხაზეთის მწერლობა, სოხუმი 1941;
7. აფხაზეთის მწერლობა, ტფილისი, 1937;
8. Байрамукова Нина, Баграт Шинкубава, Москва 1981;
9. გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“, №7, 1968;
10. Николаевская Елена, О народном поэте Аფхазии Баграта Шинкубава, Москва, 1987;
11. საყმაწვილო ლიტერატურის მოამბე 1970;
12. საყმაწვილო ლიტერატურის მოამბე, წიგნი 17, 1973;
13. შატბერაშვილი გ. წერილები, ტ IV თბ., 1975;
14. ძიძიშვილი ქუჩი მოსაწყენი რამ, თვითონაც ძნელად გასამხელი, თბ., 1975;
15. ჭურღულია. ო. ნარკვევები ქართულ აფხაზეთი კულტურულ-ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან, 1974;
16. ჯიბლაძე გ. კრიტიკული ეტიუდები VIII, თბ., 1985.

“TO SING PRAISE” (SEVERAL VERSES OF BAGRAT SHINKUBA)
Medea Kvaratskhelia, Sokhumi State University, Doctor of Philology
SUMMARY

Outstanding Abkhazian poet B. Shinkuba was the great friend of Georgian people. Born in the small village in Abkhazia he studied at Tbilisi and loved this lown and whole Georgia as his native land.

We have studied several verses by B. Shinkuba and the main conclusion is that this love to Georgia is not false. Each verse dedicated to this beautiful country reflects great love and devotion to Georgian people, nature of Georgia, its past, present and future.

The article studies the main issues of B. Shinkubava’s poecal works. We try to reflect our great respect to them and we hope that Georgian and Abkhzian people will find the way to peace, love, interrelation as they did during centuries. Poetry of B. Shinkuba will help them to do it.

იოანე იალღუზიძე და ქართულ-ოსური ენობრივი ურთიერთობები

მარიამ კობერიძე

გორის სასწავლო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი

როგორც ცნობილია, 1926 წლის 24 აპრილს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ფონდში ცნობილი საზოგადო მოღვაწის დავით კარიჭაშვილის მიერ მოძიებულ იქნა 1802 წლით დათარიღებული ოსური ხელნაწერი. ეს არის ჩვენამდე მოღწეული პირველი ოსური ხელნაწერი. იგი პატარაა მოცულობით - სულ 80 სტრიქონი, შესრულებულია სამ ენაზე: რუსულ, ქართულ და ოსურ ენებზე და ეხება სოფ. ვანათში სასამართლოს დაწესებას. იგი სამი სვეტისაგან შედგება: პირველი სვეტი რუსულია, მეორე - ქართული, მესამე - ოსური. ოსური ტექსტი შესრულებულია ქართული გრაფიკით (თედევი,1985:3).

1927 წელს ვ. აბაევმა გ. ახვლედიანს გამოუგზავნა ოსური ოთხთავის ხელნაწერის ფოტოპირი. ხელნაწერი შესრულებულია ი. იალღუზიძის მიერ 1923 წელს. ამ ხელნაწერის გრაფიკულმა შეჯერებამ 1802 წლის ხელნაწერთან ცხადყო, რომ ამ უკანასკნელის ავტორიც ი. იალღუზიძე იყო.

იოანე იალღუზიძე დაიბადა 1775 წელს ჯავის რაიონში. საქართველოს არქივში დაცულია ასეთი ცნობა: „საქართველოს მეფემან ირაკლი მეორემან, ჰსცნა რა ჩემი წარმოებისათვის, ბრძანა მიცემა ჩემი მამისა არხიმანდრიტისადმი ნათლის მცემლის მონასტრისა, სასწავლებლად კითხვისა საეკლესიოთა წიგნთასა ქართულსა ენასა ზედა, რომლისადმი განვისწავლევა მასთანა“ (საქ. ცენტრ. არქივი, ფ. 488:109). მან დავით გარეჯის მონასტერში განწესებულ მღვდელ იოანე ქარუმიძესთან შეისწავლა ფილოსოფია და ქართული ზეპირსიტყვიერება.

საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ ი. იალღუზიძე მიწვეული იყო აქაური სამხედრო სამოქალაქო სამსახურის მიერ. ამ პერიოდს (1802 წ.) ეკუთვნის ი. იალღუზიძის ხელნაწერი სოფ. ვანათში სასამართლოს დაარსების შესახებ (საქ. ცენტრ. არქივი, ფ. 488:109). ის მასწავლებლად მუშაობდა თბილისის სემინარიაში, სადაც ქართულ და ოსურ ენებს ასწავლიდა ოს ბავშვებს. ი. იალღუზიძე გარდაიცვალა 1830 წლის 5 აგვისტოს თბილისში (Гукаев, 1955 :281-288).

ი. იალღუზიძემ ქართული წიგნების გადაწერით დაიწყო თავისი მოღვაწეობა. მან მრავალი ქართული წიგნი გადაწერა, მათ შორის „ვეფხისტყაოსანი“ და სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონა“.

ა. ხახანაშვილის ცნობით, „ვეფხისტყაოსანი“ ი. იალღუზიძეს გადაუწერია 1811 წელს და ეს ცალი ინახება პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში“ (Бочоридзе, 1936: 288). აზიის ხალხთა ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილების არქივში ინახება ი. იალღუზიძის მიერ გადაწერილი „ვეფხისტყაოსანი“. ხელნაწერი შეიცავს 147 ფურცელს (თედევი,1985:6).

მნიშვნელოვანია გ. ახვლედიანისა და ა. შანიძის შედგენილი ი. იალღუზიძის მიერ გადაწერილი ქართული წიგნების ნუსხა (Ахвледиани,1928:97; შანიძე, 1964:170).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 1802 წლის ხელნაწერი სოფ. ვანათში სასამართლოს დაწესების შესახებ შედგენილია სამ ენაზე: რუსულად, ქართულად და ოსურად.

გ. ახვლედიანმა გამოარკვია, რომ ოსური ტექსტი ამ ხელნაწერისა ი. იალღუზიძეს ეკუთვნის (Ахвледиани,1928:91-106). ტექსტი დაწერილია ქართული ასოებით. ქართული გრაფიკა ი. იალღუზიძემ

გამოიყენა მის მიერ ქართულიდან ოსურზე ნათარგმნ საეკლესიო წიგნებშიც. ამ ნათარგმნებიდან 1820-24 წლებში დაიბეჭდა შემდეგი: 1. ლოცვანი, თბილისი, 1820 წ. 2. საღმრთო ლიტურდია, მოსკოვი, 1821. 3. გამოკრებული კურთხევანი, მოსკოვი, 1824. ყველა ჩამოთვლილ წიგნში მოცემულია ქართულ-ოსური ტექსტი: ქართული მარცხნივ და ოსური მარჯვნივ. ყველა ეს წიგნი ძველი ქართული ასოებით (ხუცურით) არის დაბეჭდილი. ი. იალღუზიძემ ქართული ენის გრაფიკის საფუძველზე შექმნა ოსური ანბანი, რომელიც დაიბეჭდა ქ. თბილისში 1821 წელს. ესეც ქართულ-ოსური წიგნია, დაბეჭდილია ხუცური შრიფტით. (თედევი, 1985:9).

1820-23 წლებში ი. იალღუზიძემ გადათარგმნა ქართულიდან ოსურზე ოთხთავი, რომელიც დაცულია ხელნაწერის სახით სამ ცალად: საქართველოს ცენტრალურ არქივში, აზიის ხალხთა ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილების არქივში, მოსკოვის ძველი აქტების ცენტრალურ სახელმწიფო არქივში (თედევი, 1985:9).

ეს თარგმანი დიდი მონდომებითაა შესრულებული. გაურკვეველი მიზეზების გამო ის არ დაბეჭდილა. მის მიერ თარგმნილ საეკლესიო წიგნებიდან არც ერთ თარგმანს არ მიუქცევია ისეთი დიდი ყურადღება, როგორც მიიქცია ოთხთავის თარგმანმა.

1821 წლის 1 ივნისს საქართველოს ეგზარხოსმა თეოფილაქტემ სინოდისადმი გაგზავნილ მოხსენებაში ქრისტიანობის შემაფერხებელ მიზეზად დაასახელა: 1. ოსურ ენაზე საეკლესიო წიგნის არ არსებობა; 2. სოფლებში განწესებულმა მღვდლებმა არ იციან ოსური ენა და თვითონ ოსებმა კი - ქართული. ამ მიზნით, ქართული და ოსური ენების მცოდნეს, ი. იალღუზიძეს დაევალა ქართული ოთხთავის ოსურად თარგმნა. 1820-23 წლებში ი. იალღუზიძემ გადათარგმნა ქართულიდან ოსურზე „ოთხთავი“. ხელნაწერი (მხოლოდ ოსური ტექსტი) დაწერილია მხედრულით (საქ. ცენტრ. არქივი, ფ. 448: 6).

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამხრეთ ოსეთის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომელმა ი. ცხოვრებოვმა მოსკოვის ძველი აქტების არქივში ნახა ი. იალღუზისძის მიერ თარგმნილი საეკლესიო წიგნების ხელნაწერები და მათი ფოტოპირი დაამზადებინა. ხელნაწერები დაწერილია მხედრულით (დაბეჭდილი კი ხუცურით) (თედევი, 1985:11).

ოსური ენის თანამედროვე მკვლევარებიდან ერთადერთი პროფ. გ. ახვლედიანია, რომელმაც ხელი მოჰკიდა ი. იალღუზიძის მიერ თარგმნილი ტექსტების მეცნიერულ შესწავლას. მან თავისი მეცნიერული კვლევა-ძიება ოსურ ენაში სწორედ იალღუზიძით დაიწყო. 1828 წელს ოქსფორდში, XVII საერთაშორისო კონგრესზე წაკითხული იქნა მისი მოხსენება „მე-19 საუკუნის დასაწყისის უცნობი და გამოუქვეყნებელი ხელნაწერი და დაბეჭდილი ძეგლები ოსური ენისა“. სხვა დროს გ. ახვლედიანმა გამოაქვეყნა წერილები იალღუზიძის ტექსტების ენობრივ თავისებურებებზე. იგი განსაკუთრებით ყურადღებას აქცევს ფონეტიკურ საკითხებს (Ахвледiani, 1928:5).

ი. იალღუზიძის ხელნაწერთა შესწავლას განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ო. თედევი. მან შეისწავლა ხელნაწერთა გრაფიკული, ფონეტიკური, მორფოლოგიური და ლექსიკური თავისებურებანი. ამ ხელნაწერებს ქრონოლოგიურად სამი ათეული წლით აქეთ სცილდება კიდევ ერთი ხელნაწერი - „ოსურ-ქართული საუბრის წიგნი“, შესრულებული ანონიმი ავტორის მიერ, თავ-ბოლონაკლული, 40 გვერდის მოცულობით, ინახება საქართველოს საქართველოს ცენტრალურ ისტორიულ არქივში. ხელნაწერი (ოსური ტექსტი) შესრულებულია ქართული გრაფიკით. ამ ხელნაწერთაგან უხვ მასალას იძლევა ოთხთავის ხელნაწერი. ოღდა თედევამ აქ ფიქსირებული ენობრივი მასალა განიხილა და ზოგიერთი მოვლენის ნათელსაყოფად გამოიყენა სხვა ხელნაწერების მასალაც (თედევი, 1985:39-92).

განსაკუთრებით მდიდარი და მნიშვნელოვანია ხელნაწერების ლექსიკა. მთარგმნელმა შესანიშნავად იცის ქართული და ოსური ენები. იგი თარგმნისას გულისყურით ეკიდება თითოეული სიტყვის მნიშვნელობას და ოსური ექვივალენტის დაძებნას. არის ხელნაწერებში სიტყვები, რომელთაც მთარგმნელმა ოსურში ვერ დაუძებნა შესაფერისი ექვივალენტები: აქ უკვე იგი იშველიებს საბას ლექსიკონს და მასში მოცემული განმარტების საფუძველზე თვითონ თხზავს სიტყვებს (თედევი, 1985: 40). ასე, მაგალითად, მან სიტყვა „მეზობირს“ ვერ დაუძებნა ოსურში შესაფერისი სიტყვა და საბას განმარტებას მიმართა: „მეზობირი-ჯვარედინი გზა“, ანდა, „ქალწული“ სიტყვა: ოსურში ამ სიტყვის შესატყვისი არ არის. იალღუზიძემ აქაც გამოიყენა საბას ლექსიკონი, სადაც ქალწული ახსნილია „ქალი უბიწო“ (სულხან-საბა, 1993:211).

გეოგრაფიული სახელები, საკუთარი სახელები ხელნაწერებში ქართულისებურია, მაგ., ქორაზინ, პონტო, ტვიროს, აბრაამ, რექაბ, ბოოს, მანასე და სხვ (თედევი, 1985: 41).

თარგმანში არის ჩატოვებული ქართული სიტყვები: უმრავლესობა ამ სიტყვებისა მოხელეთა, მცენარეების, მწერების სახელწოდებაა. მთარგმნელმა ვერ დაუძებნა ამ ტერმინებს შესაფერისი ოსური სიტყვები, ვერც შეთხზავდა და ამიტომ ქართული სიტყვები ჩატოვა. ასეთებია, მაგ., ზვერე, მეკერძე, ხურო, სატირი, მკალი, მდოგვი და სხვ. (თედევი, 1985:41).

ჩვენთვის ხელმისაწვდომ ქართულ ხელნაწერზე დაკვირვებით წარმოჩნდა ის ენობრივი თავისებურებები, რაც იმ პერიოდის ქართული სალიტერატურო ენისათვის იყო დამახასიათებელი.

1. ი. იაღლიძე ტექსტში იყენებს „ა ბგერებს, შემოკლება/დაქარაგმების ნიშანს;

2. სახელის მრავლობითი რიცხვის გამოსახატავად გამოყენებულია ნარ-თანაინი

ფორმები (ღონენი, საჭირონი, სიძნელენი, ოვსნი...). მოთხრობითი ბრუნვის ფორმა წარმოდგენილია „მან“ ბრუნვის ნიშნით (მასწავლებელმან, დიდებულმან...). საყურადღებოა, სახელის სავრცობიანი ფორმები: მისსა, მთავრობისასა, საკმაოასა, საზრდოასა, მზრუნველბასა....

3. წინადადებების დასაკავშირებლად გამოყენებულია: ვითარცა, რომლისაცა, ხოლო, რომლისთვისცა...

3. ტმესის შემთხვევები: მო-ვინმე-ავლინნეს, მო -სამე-იწია.... აღსანიშნავია ისიც, რომ ქართულ სახარებაში გამოყენებული ყველა ტმესიანი ფორმა არ აქვს ოსურ ტექსტში ტმესითვე შეთხზული. ქართულ სახარებაში არის „შე-ხოლო-ახონ“, ოსურში არ არის ტმესიანი ფორმა, ამიტომ ოსურში სიტყვის თავში ქართული ფორმით არის გადატანილი (თედევი, 1985:22).

ოსურ-ქართული ენობრივი ურთიერთობის ისტორიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფურცელია ვასილ აბაევის მოღვაწეობა. იგი ქართულ მიწაზე დაბადებული და ქართულ წეს-ჩვეულებებს ნაზიარები გახლდათ. ის დაიბადა ყაზბეგის რაიონის სოფელ კობში, 1910-1918 წლებში სწავლობდა თბილისის მე-6 კლასიკურ გიმნაზიაში.

ცხინვალის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორმა, არნ. ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტის მთავარმა სპეციალისტმა, პროფესორმა გენადი ბურჭულაძემ ვ. აბაევს უძღვნა სტატიები „კავკასიოლოგიური ტალანტის ლინგვისტი“ (ბურჭულაძე, 2001), „ვ. აბაევი და ქართულ ენოვანი სამყარო“ (ბურჭულაძე, 2000: 13-14).

ვ. აბაევი 1929-30 წლებში მოღვაწეობს თბილისში კავკასიის ისტორიისა და არქეოლოგიის ინსტიტუტში.

ვ. აბაევი პირადად სცნობდა და ახლო ურთიერთობა ჰქონდა ქართული ენათმეცნიერების ისეთ დიდ წარმომადგენლებთან, როგორებიც იყვნენ გ. ახვლედიანი, ა. შანიძე, არნ. ჩიქობავა, ვ. თოფურია და სხვები (ბურჭულაძე, 2005: 181).

ვ. აბაევი იყო საერთაშორისო ხასიათის საკავშირო ჟურნალ „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წელიწლეულის“ რედკოლეგიის წევრი. ქართულ-ოსურ ენობრივ ურთიერთობებს მიუძღვნა საინტერესო სტატიები: „მეგრიზმები ოსურ ენაში“, „მოგზაურობა სვანეთში“, „კავკასიური სუბსტრატი“, „ოსური ენის ელემენტების შესახებ ქართველურ ენაში“, „სამაიას ეტიმოლოგიისათვის“. საინტერესოა მისი გამოხმაურება არმაზის ბილინგვის თაობაზე (1949), რომელიც მიემდგვნა აკად. გ. წერეთლის აღმოჩენას (ბურჭულაძე, 2005: 180).

ამრიგად, ოსურ-ქართული ენობრივი მოვლენები ნათელს ჰფენენ ერთ-ერთ პრობლემატურ საკითხს - ქართველი და ოსი ხალხის სიახლოვეს. ორ ხალხს შორის ურთიერთობა უნდა აღდგეს.

ლიტერატურა:

1. ბურჭულაძე, 2000 - გ. ბურჭულაძე, ვ. აბაევი და ქართულენოვანი სამყარო, ცხინვალის სახელმწიფო უნივერსიტეტის I (IX) სამეცნიერო სესია, გორი;
2. ბურჭულაძე, 2001 - გ. ბურჭულაძე, კავკასიოლოგიური ტალანტის ლინგვისტი, ბურჯი ეროვნებისა, №5, თბილისი;
3. ბურჭულაძე, 2005 - გ. ბურჭულაძე, დიდი ირანის ენათმეცნიერი, დიდ წინაპართა ნაკვალევზე, თბილისი;
4. თედევი, 1985 - თ. თედევი, პირველი ოსური ხელნაწერების ენა, თბილისი;
5. საქ. ცენტრ. არქივი, ფ.488 - საქართველოს ცენტრალური არქივი, თბილისი;
6. სულხან-საბა, 1993 - სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, II, თბილისი;
7. შანიძე, 1964 - ა. შანიძე, ერთი ფურცელი ქართველთა და ოსთა კულტურული ურთიერთობის ისტორიიდან, მაცნე, I, თბილისი;
8. Ахвледиани, 1928 - Г. С. Ахвледиани, Осетинская рукопись 1802 г., Сборник избранных работ по осетинскому языку, I с;
9. Гукаев, 1955 - Дз. Гукаев, Произведения Ивана Ялгузидзе Изв. Юонии;
10. Бочоридзе, 1936 - Г. Бочоридзе, И. Ялгузидзе, Изв. ЮОНИИ, III.

IOANE IALGUZIDZE AND THE GEORGIAN-OSSETIAN LINGUAL RELATIONS

Mariam Koberidze, Gori Teaching University, Associate Professor

RESUME

Ioane Ialguzidze started his career with rewriting of the Georgian books. He has rewritten plenty of notorious works such as “The Night in the Panther’s Skin” by Shota Rustaveli and “The Wisp of Words” by Sulxan-Saba Orbeliani. The first Ossetian manuscript about the court establishment in the village of Vanati was written by Ioane Ialguzidze in 1802. The manuscript was done in the Russian, Georgian and Ossetian languages;

Among the contemporary researchers of the Ossetian Language, Professor G. Axvlediani is the only one who has undertaken scientific study of the translated texts by Ioane Ialguzidze. O. Tedeev has studied graphical, phonetic, morphological and lexical features of the manuscripts. V. Abaev has published several articles on the Georgian-Ossetian relations.

Tskhinvali State University Pro-Rector, the chief specialist of the Research Institute, Professor Genadi Burchuladze has dedicated the following articles to V. Abaev: “Talented Caucasian Linguist”, “V. Abaev and the Georgian Lingual World”.

კონფლიქტის ანარეკლი ნაირა გელაშვილის ლექსში „სიმღერა ქალაქ სოხუმზე“

ნანა კუცია

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი

ნაირა გელაშვილი თანამედროვე ქართული მწერლობის ერთი უაღრესად საინტერესო წარმომადგენელთაგანია, რომლის შემოქმედებაც ეპოქის ყველაზე საჭირობოროტო საკითხებს აკაკისეული “მესარკეობის” – ანუ პირუთვნელობის ნიშნით აღბეჭდილს ირეკლავს. მწერლის სტილს გამოარჩევს თხრობის ერთდროულად უაღრესად ფაქიზი და უაღრესადვე მკაცრი, ლაკონური (ოღონდ – ქვეტექსტებით დატვირთული) მანერა.

ტექსტზე უფრო მნიშვნელოვანი ნაირა გელაშვილთან ყოველთვის კონტექსტია. მიზეზი არცთუ მნელი ასახსნელია – მწერალი ქართული ყოფის მარადიულ “წყველაკრულვიან საკითხავზე” წერს, და “საკითხავის” სიმძიმეცა და ტრაგიკულობაც იმთავითვე გამორიცხავს გულგრილობასაც და სტილის ღვლარჭნილებასაც – ვარამი ვერ იგუებს ვარაყს. ერთი უაღრესად საინტერესო ასპექტი მწერლის შემოქმედებისა არის თემა დაპირისპირებისა, წინააღმდეგობისა – მრავალწახნაგოვანი და მრავალშროვანი.

პიროვნული დრამა, კონფლიქტი ცალკეულ პიროვნებებს, საზოგადოებასა და ინდივიდუუმს თუ ერებს შორის ქცეულა მწერლის ინტერესის – “მაღალი მოშრომის” საგნად. ჩამოთვლილთაგან სწორედ უკანასკნელზე – ერთაშორის კონფლიქტების ნაირა გელაშვილისეული აღქმის ზოგიერთ ასპექტზე გავამახვილებთ ყურადღებას (ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ – მხოლოდ ზოგიერთზე, რადგან აღნიშნული პრობლემის ყოველმხრივი ანალიზი, ალბათ, მრავალი დისერტაციის საფუძვლად შეიძლება იქცეს).

მთავარი დასკვნა იმთავითვე უნდა კონსტატირდეს: ყოველგვარი კონფლიქტი, მწერლის აბსოლუტურად გამართლებული მრწამსით, უპირველესად, სწორედ ინდივიდუუმის სულში ღივდება და მხოლოდ შემდეგ განივრცობა სხვა პიროვნებებზე, შემდეგ – კონკრეტულ, ლოკალურ საზოგადოებაზე, და ბოლოს მეტასტაზეზად ვრცელდება გაცილებით უფრო დიდ სივრცეებზე – გარდაიქმნება ერთაშორის კონფლიქტებად, ლოკალურ თუ გლობალურ ხანძრად მოედება ადამიანებს.

2006 წელს “კავკასიური სახლის” მიერ გამოცემულ ლექსთა კრებულს “დრო, პური და ღვინო” ყდაზევე ახლავს ჟანრის დამაკონკრეტებელი მინაწერი – “დღიურის ნაწილი.” მწერალი თითქოს საგანგებოდ ახდენს ფაქტის კონსტატირებას – რომ ლექსები არ იქნება “გარეგანი ფრინველის ტკბილხმოვანი სიმღერა”, პირიქით – სევდიანი, ნაღვლიანი, პირუთვნელი სჯა-განსჯა (დღიურში (თუ დღიურთან) არავინ კეკლუცობს).

ლექსთა კრებულში თუ დღიურში რამდენიმე ციკლია: “ლექსები”, “პოემები”, “სიმღერები.” ჩვენთვის საინტერესო პრობლემა სწორედ უკანასკნელ რკალში – “სიმღერებშია” წარმოჩენილი განსაკუთრებული სიმძაფრით და ესეც, იქნებ, საცნაურია – ნაირა გელაშვილი, ქართული და უცხოური ლიტერატურის უზადო მცოდნე, უაღრესად ტრადიციულიცაა – თითქოს ეხმიანება ვაჟასეულ განსაზღვრებას, აღქმას “წყველაკრულვიანი საკითხავის” დამმარხველი ლექსებისა – ყველაზე

ტრაგიკულ, ყველაზე ტკივილიან ლექსებს ვაჟაც სწორედ “სიმღერებად” ასათაურებს (ბალმონტთან: «Создать песню из звонких льдин» («Эпос о Калидасе»)).

ნაირა გელაშვილისეული “სიმღერები”, ერთდროულად, აბსოლუტურად თვითმკმარი ცალკეული ნაწარმოებებიცაა და ციკლის ტრაგიკული მელოდიის აუცილებელი, გარდაუვლად საგულვებელი ნაწილიც. ყოველ ცალკეულ “სიმღერას” (სულ ოცდასამია) ავტორი კონკრეტულ სათაურსაც აძლევს, რომ დააკონკრეტოს, გამოკვეთოს, ხელშესახები და საცნაური გახადოს ტკივილის საფანელი, მიზეზი. მეტყველია სათაურთა უბრალო ჩამონათვალიც (“ნუ გეშინია”, “სიმღერა ისლის ქობზე”, “სიმღერა მიტოვებულ სახლზე”, “წვიმის წვეთის სიმღერა”, “სიმღერა პატარა საყდარზე”, “სიმღერა ქალაქ სოხუმზე”, “ლტოლვილი გოგონას სიმღერა”, “რუსეთმა რომ ჩეჩნეთი გაანადგურა”, “იქ” (“სიმღერა ჩეჩენი ბავშვებისათვის”), “სიმღერა განდევნილთათვის”, “შერიგების სიმღერა”, “სიმღერა კარგ ქვეყანაზე”, “სიმღერა ლოცვის მაგიერ”, “სიმღერა ბოლო ქალაქზე”...).

ლექს-“სიმღერების” ტონი სევდიანია და ნუგეშით გალიციციებული – ერთდროულად. არსად დამოდვრა, აღმატებულის გულგრილ-ცინიკური, მენტორული ტონი – ყველგან – მხოლოდ ტკივილი, ფიქრი – საკუთარ სულში მზერაჩაბრუნებული მოაზროვნის განმწმედი თვითგვემა – ქრისტიანული მორჩილება და ლოყის მორჩილადვე მიშვრა. ეს პოეზიაა – მაღალი, “მაღლად მხედთათვის” – აბსოლუტურად განსხვავებული ურბანტრიოტული რიტორიკისაგან. სამშობლოს სიყვარული აკი მხოლოდ მასზე ზრუნვითა და ჩუმი, უხმაურო მსახურებით მტკიცდება, თავგანწირვით დასტურდება. ეს ლექსები არც სააღლუმე რეჩიტატივებია, არც დეკლამირებისათვის გამიზნული “ტექსტები.”

ნაირა გელაშვილის “სიმღერები” ღრმა და ტკივილიანი ფიქრისთვის განგვაწყობს, “მაღლად ხედვისთვის” (საკმაოდ უნუგეშო პერსპექტივით – “ყოველ მაღლამხედს ტანჯვა უწერია ამქვეყნად”). ლექს-სიმღერათა ავტორის მაღალ ვარამს რომ შეეზიარო, გაითავისო, უპირველესად, უფლისმიერი შეგონებისა უნდა გწამდეს (“უცხო და გაუგებარი” (გალაკტიონი)) მრწამსისა: “მალი ჩემი უძღურებასა შინა სრულ იქმნების.” მწერალი საკუთარ სულში ჩაღრმავებას არჩევს, რათა ტრაგედიის ფესვებს სწვდეს, გაიზროს, რამ განაპირობა მტრობა, სიძულვილი, რად დავკარგეთ ადამიანებმა (ეროვნების, მრწამსის განურჩევლად) “მსგავსება და ხატება” ღვთისა, განვიძარცვეთ “სამოსელი პირველი” – საუფლო სიტყვა და სიძულვილი შევიმოსეთ.

ნაირა გელაშვილის ყოველი ლექს-სიმღერა თითქოს ინიციაციურ რკალს კრავს – მწერალი ფიქრის ჰადესში იმისთვის ეშვება, დანტესავით ჯოჯოხეთის ყოველი გარსი მოიხილოს, განსაწმედელი განვლოს, რომ სასუფეველის ყუჩ სინათლეებს მიეახლოს ფიქრითვე განწმენდილი – ნაირა გელაშვილი თითქოს “ღვთაებრივი კომედიის” მოდელის გათვალისწინებით აგებს ყოველ ცალკეულ სიმღერას და სწორედ ეს მოდელია, ალბათ, ყოფის, ერთადერთი გამართლებული ნირიც. ზემოთქმულის დასტურად გამოვარჩევთ ჩვენთვის განსაკუთრებით საგულისხმო ლექსს – “სიმღერა ქალაქ სოხუმზე”, გურამ ოდიშარისათვის, გამორჩეული სოხუმელისათვის რომ მიუძღვნია ავტორს (აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ გურამ ოდიშარისადარნი რომ მეტნი ყოფილიყვნენ ქართველთა და აფხაზთა შორის, “წყევლაკრულვიანი საკითხავი” არც იარსებებდა. ამდენად, “მიძღვნაც” ნიშნულია და საცნაური).

პატარა ლექსი დიდ ვარამს იტევს. მენანება მისი უნატიფესი მხატვრული ქსოვილის დაძენძა საანალიზოდ. (კრიტიკოსებისადმი ანა კალანდაძისეული, მკაცრი მიმართვაც მაგონდება: “თქვენ ღვთაებრივი ცრემლის წვეთები ხშირად წუმპეში გადაგიწურავთ.” აბსოლუტურად ვეთანხმები გალაკტიონის მრწამსსაც, რომ ლექსის საუკეთესო ანალიზი მხოლოდ ჩუმად, ჩუმად მოსმენაა). ჩუმად მოსასმენი, გულში (გულში – ანუ უფლის სახლ-სამკვიდროში) წასაკითხი, განსაცდელი და “დასაფიქრველი” ლექსია “სიმღერა ქალაქ სოხუმზე.” აქ ამბავი, სურნელი, ფერი და მელოდია ერთმანეთისაგან არ განცალკევდება, პირიქით, ერთად ქსოვს ლექსის იდუმალ, შიფონივით შრიალა, მჭვირვალე ქსოვილს. შიფონივით შრიალებს ლექსი (მისი სიმსუბუქის გამოსახატავად სხვა მეტაფორის პოვნა მიჭირს), მსუბუქ მუსიკად იღვრება, “ზღვარის სუსტ ტაშად”, სოხუმის სავიზიტო ბარათად ქცეული შავი ყავის იდუმალ-მაცდუნებელი სურნელიც (“სულ-ნელიც”) სწვდება ჯერ პოეტის, მერე – მკითხველის ფაქიზ ყნოსვას, ფერთაგან მძლავრობს “შავი ზღვის მუქი ლილა”, უქარო დილით და ეული, ქათქათა აფრით თითქოს უფრო გამკვეთრებული, ხაზგასმული.

ფერები, სურნელება, მელოდია – ყველაფერი ერთმანეთში გადალღვება, ვიზიონად ტრანსფორმირდება, ლაკონურ წინადადებად ჩამოინაკვთება, ვერც მეტაფორას იგუებს, მხოლოდ უბრალო, უბრალო შედარებას:

“შავი ზღვის პირას

თეთრი ქალაქი მახსოვს,

რატომღაც თეთრი, როგორც ვარდი ან აფრა...”

შავ-თეთრის (უკეთ, “შავი ზღვის ლილისა” და თეთრის) კონტრასტი თითქოს იმთავითვე გულისხმობს სტიქიონურ, გარდუვალ დაპირისპირებულობასაც (დაპირისპირების გარდუვალობას) და

ყოველი ზღვისპირა ქალაქის ყოფიერების იდუმალ ოქსიმორონსაც – შეუთავსებლის შეთავსებას – ზღვის მარადცვალებადი სტიქიონის საზღვრის სიმყიფე ყოფის, წუთისოფლის სიმყიფესაც შეგახსენებდეს თითქოს, მაგრამ, იმადროულად, იმედსაც იმ მარადი მფარველისა, “ვინ საზღვარსა დაუსაზღვრებს” – ზღვასაც კი! (ზღვის სტიქიონი ნაირა გელაშვილის “დედის ოთახშიც” წარმოჩნდება. მწერალი სწვდება სტიქიის ერთდროულად უფაქიზეს და უვერაგეს ბუნებას (პერსონაჟი ჰყვება): “ზღვას მივაშურე, ვიცოდი, ასეთ ამინდში არავინ ეყოლებოდა და, ბოლოს და ბოლოს, მარტოს ვნახავდი... აუჰ, რა დამართნოდა! ლურჯი, ლივლივა სარკე დაემსხვრია, მწვანესარჩულიანი, ცისფერი პერანგი ტანზე შემოეფლითა, სახლისხელა მიწისფერ კუზებს ერთმანეთზე მიაჯირითებდა, მუქართა და წყევლით ასკდებოდა დედამიწას, ისეთი ბოროტი იყო, ისეთი თავზარდამცემი, არაფრად მაგდებდა და, როცა მიწაზე გადმონთხეული თქემის ერთი პატარა ღვარი ჩემს ტერფებამდე ამოიკლავნა, დავიხარე და მუშტი ჩავარტყი. – ხაა! – გადაიქუხა ზღვამ და მე გამოვიქეცი. მომქმენდა და მომხარხარებდა: შენ მოხვალ ჩემთან, მოხვალ ჩემთანო. თან მრცხვენოდა, ასეთ გაცოფებულს რომ შევესწარი და თან გული მეწურებოდა, ისე ლამაზად ბოროტი, ლამაზად შემზარავი იყო” (ნაირა გელაშვილი, დედის ოთახი, II ნაწ., თბ., 2011, 138).

სოხუმში მხოლოდ ორჯერ, ისიც გავლით ვიყავიო, იტყვის ავტორი თუ ლირიკული პერსონაჟი ლექსისა. “იჭერდა რაღაც სიმყიფეს ყური” – რამდენიმეგზის განმეორებული რემარკა თუ რეფრენი თითქოს განგაშის ზარად შემოიჭრება ლექსის ლილისფერ მელოდიაში, დისონანსად შეენარცხება “მყუდროებას, შეიცნობოდა რითაც” სოხუმში, დასძენს პოეტი. “სიმყუდროვე” – უზუსტესადაა დაჭერილი ქალაქის დვრიტა. კიდევ – სოხუმში მშვიდად მოხეტიალის განცდა, წლებისშემდგომ რომ ლექსის სტრიქონებად დაიღვენთება:

“ჩემი სამშობლოს ყველა ქალაქს რომ სჯობდა
სინარნარით და სისუფთავით და რაღაც
ხიბლით, მაშინვე ცხადი გახდა.”

(ეს სტრიქონები რომ სოხუმელს დაეწერა, ალბათ, კვკლუცობად თუ ამპარტავნებად ჩაუთვლიდნენ). და კვლავ – ის უცნაური, განგაშის თუ საფრთხის შეგრძნება: “ისიც მალევე გავიფიქრე, რომ თითქოს ის მაინც უცხო, სხვაგვარად უცხო იყო”... ზღვისპირა ქალაქების (ნებისმიერი ზღვისპირა ქალაქის) “მილეთურობას”, ერთგვარ სიჭრელეს, ენათა უცნაურ აღრევას წვეული (მით უფრო – გულით მოაზროვნე!) უმაღ გრძნობს და აღიქვამს (ოღონდ – წუხილით და არა გესლით თუ ნიშნისმოგებით). [დათო ტურაშვილის მოთხრობის – “აჩიბაბა და ორმოცი ყოჩაღის” – უსახელო პერსონაჟი, სოხუმელი გოგონა ამბობს: “სოხუმის ენა ძალიან მომწონდა, ენა, რომელიც ერთადერთი იყო მსოფლიოში, მხოლოდ ქალაქის ენა. ერთი ქალაქის ენა, სადაც ჩვენ დავიბადეთ და გავიზარდეთ. გავიზარდე დიდ ეზოში, დიდი აკაციის ხეებით. ბავშვობიდან ვიცოდი, რომ აკაციას ყველაზე დიდი ფესვები აქვს. ბავშვობიდან მეგონა, რომ ჩვენც დიდი ფესვები გვქონდა... ჩვენი – სოხუმის ენა ომის დაწყებისთანავე გაქრა და ჩვენ, ყველანი, სოხუმის დანგრევისთანავე სხვადასხვა ენაზე ავლაპარაკდით” (დათო ტურაშვილი, გურჯი ხათუნი და თერთმეტი მოთხრობა, თბ., 2011, 129).

მურიდ ალ-ბარღუთის (პალესტინიდან დევნილი მწერლის) მოგონებებშიც რამალა – იერუსალიმის გარეუბანი – გულისმომწყვლელად ჭრელია და მშობლიური: “მსოფლიოსათვის იერუსალიმი რელიგიების, პოლიტიკის და კონფლიქტების ქალაქია, ასე რომ, დიდად არ ანადვლებს ჩვენი – ხალხის იერუსალიმი – სახლების, მოკირწყლული ქუჩების, სუნელების მადახიების, არაბული კოლეჯის, ანტიკვარიატის და სადაფის, ქუჩუტის ნამცხვრის გამყიდველების, ქუჩაში გატოტვილი პალმების, შინ გახარებული მცენარეების, ქვაფენილიანი ხეივანების, ვიწრო შესახვევების, სარეცხის თოკების იერუსალიმი, ჩვენი გრძნობების, ჩვენი ბავშვობის იერუსალიმი. ადღომის შაბათს ქრისტიანებთან ერთად ვიზიარებდით წმინდა ტამრის სიბნელეს და მათთან ერთად ვწევდით ერთიანად ანთებულ თეთრ სანთლებს. ეს ჩვეულებრივი იერუსალიმია, ქალაქი ჩვენი პატარ-პატარა, უმნიშვნელო შემთხვევებისა, რომლებიც მალე გვავიწყდება, რადგან ჩვეულებრივია ისე, როგორც წყალი წყალია და ელვა – ელვა, ხოლო, როცა ხელიდან გვისხლტება, ცისკენ მიიწევს – სიმბოლოდ რომ იქცეს.

ყველა კონფლიქტს სიმბოლოები ურჩვენია. იერუსალიმი ახლა თეოლოგიის იერუსალიმია. მსოფლიოს მისი “სტატუსი” ეხება, მისი იდეა და მითი, მაგრამ – არა ჩვენი ცხოვრება იერუსალიმში და არა იერუსალიმი ჩვენს ცხოვრებაში. ცის იერუსალიმი ყოველთვის იცოცხლებს, მაგრამ ჩვენს ცხოვრებას მასში გაქრობა ემუქრება” (მურიდ ალ ბარღუთი, მე ვნახე რამალა, თბ., 2009, 125).

“უცხოობასთან” (“ცხო” – სხვა, განსხვავებული, სხვათა არმსგავსი) ერთად, ქალაქის “სიმყიფეც” კონსტატირდება – ქალაქი “თითქოს იყო მსუბუქი – ფაიფურის”... სიმყიფე სხვა ციტატირებულ წარმოჩნდება: “მშვიდბუნდოვანი” დროება, მოტივტივე (!), როგორც “თეთრი ვარდი – ნელ, ცისფერმომწვანო ზვირთზე.”

ნაზი პრელუდიის შემდეგ, პიანოს მსუბუქ ლირიკაში თითქოს აშარი ფორტე იჭრებოდეს: “დამაბულობა ახლდა ქალაქს (რომელიც მაშინ არ იყო თალხი), რადგან იყოფდა მას ორი ძველი ხალხი, ჩუმად არკვევდნენ, თუ მაინც ვისი იყო ქალაქი ზღვაზე, რაღაც მსხვერველადი თითქოს”...

უზუსტესი ციტატა – “ჩუმად არკვევდნენ, თუ მაინც ვისი იყო” – საოცარი ტაქტით, კომენტარისა და განაჩენის გარეშე წარმოაჩენს მიზეზს ტრაგედიისა. ამ პროვოკაციულ, დაუნდობელ, კითხვას მამა ანდრია ყურაშვილმა უზუსტესი პასუხი გასცა: “უფლის მიწააო”, მიუგო გადამთიელს და ჭეშმარიტ პასუხს თუ პასუხის ჭეშმარიტებას ფიზიკურად შეეწირა კიდეც, სულით ხსნილი. ბარდული კატეგორიულია: “არ ვცნობ ორ სხვადასხვა უფლებას ერთსა და იმავე მიწაზე.” მითი – წარსულის მეტაფორული გასაღები – ინახავს უთქმელს – სოხუმის უძველესი სახელწოდება “დიოსკურია” ბერძნული თარგმანია ქართული “ტყუზნისა” (ტყუპთა ქალაქი). ესავისა და იაკობისა არ იყოს, ტყუზნი (ქართველ-აფხაზი) საშოშივე (ქალაქის მშვიდწყობებიან წილში) წაეკიდნენ ერთურთს და ახდა გალაკტიონისეული: “ვიღაც მესამე, ვიღაც მახინჯი ჩადგა მათ შორის”, მურმან ლებანიძისეულიც: “მოფრინდა შავი ყორანი. რატომ არ მოფრინდებოდა?!”

ნაირა გელაშვილთანაც უგუნურ ტყუპთა შორის ჩამდგარი “ვიღაც მესამის, ვიღაც მახინჯის” ფერი შავია, ქალაქის მომწვანო-ცისფერს თუ ლილისფერს რომ ავად დაეღირება: “და როცა უცებ ჯინივით სული ამოსკდა შავი და უდიერი,

სული მსახვრალი, ასე უბირი, ასეთი ყრუ და ასე მშვიერი,

ჩაკეტა გულთა მან დარაბები...

რაღა თქმა უნდა, სწორედ ის მოსპო –

ქალაქებიდან ყველაზე ტურფა, ისეთი მყიფე და მშვენიერი –

სრულიად სხვათა, უცხოთა მიერ ჩაფიქრებული და ანაგები”...

(ლექსის რიტმი – მდორე და მშვიდი – თითქოს ირღვევა, მართლაც ჯინივით შემოიჭრება ტრაგიკული მუხტი ტექსტის მსუბუქ, ლირიკულ მხატვრულ ქსოვილში).

გადამთიელისათვის ცისფერმწვანე ქალაქი წმიდათაწმიდა არაა, სხვისია, ვერასოდეს გაითავისებს და შეიყვარებს, მხოლოდ დროებით დაეუფლება. ნადირობს მომხდური ქალაქზე რუსული “მუხათი” თუ ქართულსახელიანი (რა ცინიზმია!) იარაღით “ალაზანი”, მიფრინავს რაკეტა მიმართულებით «Земля-земля»... პოეტის (თუ ლირიკული გმირის) მესამე ჩასვლა უკვე იყო ჩასვლა არა სოხუმში, არამედ – ომში (უზუსტესი რემარკა – ომმა მოკლა ქალაქი – ყველასთვის).

რა თქმა უნდა, ნაირა გელაშვილისათვის კონფლიქტის სახელი არა ქართულ-აფხაზური ან ქართულ-ოსური, არამედ ქართულ-რუსული კონფლიქტია, მაგრამ მწერალი მხოლოდ მომხდურს ვერ გადააბრალებს მომხდარს. ყოველი მოაზროვნე პროვიდენციალისტია და, ნაირა გელაშვილის ლექსის კითხვისას, თითქოს გურამიშვილის “ქართლის ჭირის” ტრაგიკული ნოტებიც ცოცხლდება მესხიერებაში – მერამდენედ ხდება იგივე...

ვერნასწავლი, ვერგაცნობიერებული საკუთარი ისტორია გვსჯის – სანამ ჩვენ “ჩუმად ვარკვევთ, თუ მაინც ვისია” ღვთისგან კურთხეული მიწა, თეთრი ქალაქი “გათალხდება”, მოექცევა “შავ წრეში ცარცის.”

ბერთოლდ ბრეჰტის ტრაგიკულ მეტაფორას მოიხმობს ქართველი გერმანისტი, ნაირა გელაშვილი, გერმანულ პიესად ტრანსფორმირებულ კავკასიურ ამბავს კვლავ კავკასიის ჯადოწრეში ჩამოაბრუნებს ტრაგიკულისავ კონსტატორებისათვის.

ფიქრის განსაწმენდელიდან ტანჯვით გამოღწეული, სასუფევლის გზას მოუნიშნავს ჯერაც უნუგემო ქალაქს:

მოკვეთილი, ლაკონური განმარტება, დაეჭვების გამომრიცხავი, კატეგორიული:

“და ხომ არსებობს სითეთრეც მიტკლის (ეს “მიტკალი”, თეთრი, სპეტაკი დუმბადისეულ თეთრ ბაირაღსაც მოგვაგონებს და ვაჟასეულს “შუბლზე წაკრულს მემსაც” – ნ.კ.)

და – არამხოლოდ ვარდის და მტრედის, ანდა აფრისა...

სოხუმო, გედო, ალბათ, ეს ფერი, ფერი ცარცისა...

შენ იმისი ხარ, ზღვისპირას მდგარო,

ქალაქო თალხო შავ წრეში ცარცის,

ვინც არ დაგამხობს, ვინც არ დაგამსხვერვეს

და ზღვისფერ თვალებს არასდროს დაგთხრის”...

ზღვისფერთვალებდათხრილი ქალაქის მეტაფორა ერთდროულად საზარია და მართალი.

“ქალაქი, რომელიც გაიყოფა საკუთარი თავის წინააღმდეგ, დაიღუპება” – სახარებისეული სიბრძნე მარადიულია და საცნაური...

დაღუპულ ქალაქთა ნუგეშად პროვიდენციული ჭირის გონით და გულით გაცნობიერება რჩება, თვალდათხრილი ქალაქიც (ქალაქები) ქართველ-აფხაზთა პროვიდენციული სასჯელია, “ქართლის ჭირის” კიდევ ერთი სისხლიანი ფურცელი.

მაგრამ, სახარებისეულივე სიბრძნით, აკი გონიერისათვის “ჭირი მოთმინებასა შეიქმს, ხოლო მოთმინებაი – გამოცდილებასა, და გამოცდილებაი – სასოებასა, ხოლო სასოებამან არა არცხვინის, რამეთუ სიყვარული ღმრთისაი განფენილ არს გულთა შინა ჩვენთა” (ჰრომაელთა 5, 3-5) – სიყვარული ღმრთისა, უპირველესად, მოყვასის სიყვარულით რომ ცხადდება.

“სიმშვიდითა სიბრძნისაითა” (იაკობ 3,-13) მოპოვებული, გულებში კვლავ აღმოცენებული სიყვარულით კვლავ აახელს ოდესმე ზღვისფერ თვალებს საკუთარ შვილთა უგუნურებით თვალდათხრილი უბედური ქალაქი.

“სულნი თქვენნი განიწმიდენით მორჩილებითა ჭეშმარიტებისაითა, სულითა ძმათმოყვარებისათვის შეუორგულებელ იყვენით გულითა წმიდითა, ურთიერთას იყუარებდეთ განმარტებულად” (I პეტრე, 1, 22) – არ არსებობს სხვა გზა არც ზღვისპირა ქალაქისკენ, არც ტაძრისკენ, არც უფლისაკენ...

ზემოთქმულია ნაირა გელაშვილის ტრაგიკულ-მშვენიერი ლექსის დვრიტაც (აკი კრებულის სათაურიც – “დრო, პური და ღვინო” – ზიარების საიდუმლოთი დროისმიღმიერი, მარადიული შუქის ჭვრეტაზე დახვეწილი მინიშნებაა)...

ლიტერატურა:

1. ახალი აღთქუმაი, თბ., 2001;
2. ნაირა გელაშვილი, დრო, პური და ღვინო, თბ., 2006;
3. ნაირა გელაშვილი, დედის ოთახი, თბ., 2011;
4. დათო ტურაშვილი, გურჯი ხათუნი და თერთმეტი მოთხრობა, თბ., 2011;
5. მურიდ აღ-ბარლუთი, მე ვნახე რამალა, თბ., 2009;
6. К. Бальмонт, Избранное, М., 1989.

REFLECTION OF CONFLICT IN THE VERSE OF NAIRA GELASHVILI “SONG OF SOKHUMI”

Nana Kutsia, Sokhumi State University, Associate Professor

SUMMARY

Naira Gelashvili is one of the most interesting representatives of Georgian literature. Her novels, short-stories and verses reflect the most important problems of Georgian society. One of the most tragic issues of her poetry is the problem of conflicts (among persons, members of society, nations...). Collection of verses “Time, Bread and Vine” (Tb., 2006) is dedicated to this problem. We have studied a verse “Song of Sokhumi.” The author thinks that each conflict must be over. Love and faith will change tragical reality, the world of violence and conflicts.

ქართველები აფხაზების თვალთახედვით

(იმაგოლოგიური ძიებანი ორი ლიტერატურული კრებულის მიხედვით)

მარიამ მირესაშვილი

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სრული პროფესორი

თანამედროვე კულტუროლოგიასა და ლიტერატურათმცოდნეობაში (კერძოდ, კომპარატივისტიკაში) უკანასკნელ პერიოდში ძალზე აქტუალური გახდა იმაგოლოგიური ხასიათის კვლევები, რაც გულისხმობს ამა თუ იმ ეპოქის, ქვეყნის საზოგადოებრივ, კულტურულ, ლიტერატურულ აღქმაში *სხვისი სახის* (სხვა ქვეყნის, სხვა ერის, სხვა რელიგიის წარმომადგენლის...) შესწავლას. *სხვა* ნაციონალური ხასიათის ანალიზისა და აღქმის პრობლემა, მისდამი მიმართების თემა, ძირითადად, ეთნოფსიქოლოგიური სტერეოტიპების ჭრილში განიხილება. ამგვარი კვლევისთვის მხატვრული ლიტერატურის ნაწარმოებები საინტერესო მასალას იძლევიან, რადგან მათში ფიქსირებულია, ერთი მხრივ, სამყაროს ენობრივი სურათი და, მეორე მხრივ, მსოფლადქმისთვის მნიშვნელოვანი წარმოდგენები *სხვა* ნაციონალურ ხასიათებთან მიმართებით, რომლებიც, თავის მხრივ, ხორცშესხმულია მხატვრული პერსონაჟების მეშვეობით. აქვე შევნიშნავთ, რომ ამ ტიპის კვლევებში აქცენტი გადატანილია არა

მხატვრულ ნაწარმოებებში წარმოჩენილი **სხვა** (უცხოელი) პერსონაჟების მხატვრულ ფუნქციაზე, არამედ ხალხში არსებულ წარმოდგენებზე მათ შესახებ, ანუ სტერეოტიპებზე.

სწორედ ამ ჭრილში გვინდა განვიხილოთ გასული საუკუნის 90-იანი წლების შემდგომდროინდელ აფხაზურ ლიტერატურაში წარმოჩენილი **ქართველის სახე**, ანუ თანამედროვე აფხაზურ ლიტერატურაში დამკვიდრებული ქართველის სტერეოტიპი. აღნიშნული პრობლემის განხილვისას დავეყრდენით ორ ლიტერატურულ კრებულს: ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა ინსტიტუტის მიერ 2002 წელს გამოცემულ აფხაზ პოეტთა ლექსების ბილინგვურ (ქართულ-აფხაზურ) კრებულს (დაფინანსებულია ფონდ “ღია საზოგადოება – საქართველოს” მიერ) [1] და არასამთავრობო ორგანიზაციების კავკასიური ფორუმის მიერ 2003 წელს გამოცემულ პროზაულ კრებულს, რომელშიც შესულია აფხაზ, ქართველ, სომეხ, აზერბაიჯანელ და ოს მწერალთა მოთხრობები [2]. მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ წინამდებარე სტატიის მიზანს არ წარმოადგენს არც კრებულებში წარმოდგენილი სტერეოტიპების და უარყოფითი განწყობების კრიტიკა, არც იმის დემონსტრირება, რომ აფხაზების მითები ქართველთა შესახებ სინამდვილეს არ შეესაბამება. ჩემი მიზანია, წარმოგიდგინოთ არა “სინამდვილე” თავისთავად, არამედ ის, თუ როგორები ვართ ჩვენ (ქართველები) მათ (აფხაზ მწერალთა) წარმოდგენაში.

ზემოთ აღნიშნული ბილინგვური კრებული თავად აფხაზ პოეტთა მიერ არის შედგენილი და გადმოგზავნილი ქართულ ბზკარედეტთან ერთად. თბილისში ბზკარედეტი გალექსეს ქართველმა პოეტებმა (რატი ამალღობელმა, ჯემალ აჯიაშვილმა, ზაზა ბერიშვილმა, ნინო ბერძენიშვილმა, ეკა გამცემლიძემ, ნიკო გომელაურმა, შარლოტა კვანტალიანმა და დავით ჯავახიშვილმა). ცხადია, თოთხმეტი აფხაზი პოეტის ხედვა, აფხაზეთში დატრიალებული ტრაგიკული მოვლენების მათეული შეფასება ჩვენსას არ ემთხვევა, მეტიც, რადიკალურად განსხვავდება. თუმცა, რაგინდ საწყენი და მტკივნეულიც არ უნდა იყოს ჩვენთვის, სწორედ აღნიშნულ კრებულში წარმოდგენილი ქართველის სტერეოტიპი დამკვიდრებული დღევანდელ აფხაზეთში.

კრებულში წარმოდგენილი ლექსების უმეტეს ნაწილში იკვეთება პატრიოტული მოწოდებები სამშობლოს – აფხაზეთის – დასაცავად და გასათავისუფლებლად, “მომხდური ურდოს”, “მტრების”, “ქართველ ოკუპანტთა” წინააღმდეგ საბრძოლველად. მაგალითად:

“ჩემო აფხაზეთო, მომხდურთა ურდოსგან
შენ დიდი საფრთხე და სიკვდილი გელოდა,
მაგრამ ვაჟკაცები უშიშრად დაუხვდნენ
და ბრძოლით განდევნეს მთიდან და მდელიდან”

(ვანდა დბარი, “აფხაზეთი”)

“ყველაფერი მახსოვს კარგად, გასროლილი ყველა ტყვია,
ყველა კაცი მახსოვს ვისაც ჩვენი ქვეყნის შვილი ჰქვია.
ყველაფერი მახსოვს კარგად, ვერვინ შეცვლის ღმერთის ნებას,
მოვესწრებით აფხაზეთის საბოლოო გამარჯვებას”.

(ლეონიდ გიგია, “ყველაფერი მახსოვს”)

“ვერასოდეს დაგამარცხებს მტერი, შეუპოვარს და ბრძოლაში ნაქებს,
არ შეშინდეთ, არ დაეცეთ სულით, შეებრძოლეთ ქართველ ოკუპანტებს”

(ემა ანჭვაბი, “ჩუმად დგანან კავკასიის მთები”)

“დე, გადამიწვას მტერმა სახლ-კარი, ოღონდ გადარჩეს აფხაზთა მოდგმა,
თუ მომკლეს, ჩემი სულის სიმტკიცე უნდა მიიღოს ჩემს გვერდით მდგომმა”

(დაურ ზანთარია, “იმედი”)

“მაგრამ წამოდგნენ შენს დასაცავად საუკეთესო შვილები შენი,
რომ შეუნახონ კერიას ცეცხლი და დაგიბრუნონ კვლავ მზე, სხივმფენი”

(ზურაბ აბლაჯავა, “ჩემი სამშობლო”)

“ვიცი, რომ შემუსრეთ მტერი, დიდი გამარჯვებაც ნახეთ,
სახელი გაითქვით შორს და ერსაც დაუბრუნეთ სახე”

(მარინა ჯოპუა, “თქვენ შეძლებთ”) და ა.შ.

აღსანიშნავია, რომ აფხაზები ქართველთა წინააღმდეგ ბრძოლაში ეულად არ გრძნობენ თავს; ლექსებში ისინი სათანადო პატივს მიაგებენ თანამებრძოლებს: ჩეჩნებსა და ადიღეელებს, რომლებიც მათ მხარდამხარ ვაჟკაცურად ებრძვიან “მომხდურ” მტერს:

“იფრიალოს კავკასიის დროშამ, ეშინოდეს ბოროტების მთესველს
რადგან დიდი გამარჯვების სჯერა ადიღეელს, აფხაზსა და ჩეჩენს.
კარგად ვიცი, რომ ვერცერთი ძალა თქვენს ჩირაღდანს ვერ ჩააქრობს, ვერა,
და ვლადისლავ, ჯოხარ, უსუფ, მუსა ქართველ მტრებს თქვენ დაამარცხებთ, მჯერა”.

(ემა ანჟეაბი, "ჩუმად დგანან კავკასიის მთები")

გარდა "მომხდურის", "ოკუპანტის", "მტრის" სტერეოტიპისა კრებულში მკვიდრდება ქართველის, როგორც "ქურდისა" და "მძარცველის" სტერეოტიპი. მაგალითად:

"რა დამავიწყებს, ვერ დავივიწყებ, მემახსოვრება მე საარაკოდ,
იარაღსხმულ ქართველებს როცა ჩვენ შევერკინეთ უიარაღოდ.
და შედრკა მაშინ მომხდურის გული, იგრძნო, სიმართლეს განგებაც შველის,
რომ აფხაზეთს ვერ დაისაკუთრებს და მარცვა-გლეჯას მოჰკიდა ხელი.
ჩაებლაუჭა ნახევარ აფსნის, არაკაცობით სცადა განცხრომა,
საქართველოში რაც ვერ წაიღო, დაწვა, ველურ ჟინს გადააყოლა"

(ენვერ აჟიბა, "რა დამავიწყებს, ვერ დავივიწყებ")

"ქურდების მოდგმა გაქრება როდის, როდის დამთავრდება ქურდების გზა
უბედურები, შვილები ცოდვის, ტომრებით ზურგზე, ნამარცვის ზღვა,
თავის სიხარბეს ვეღარ თოკვენ, ვინც კი შეხვდებათ, ყველას მოკლავენ" და ა.შ

(ვანდა დბარი, "ქურდები")

ცალკე აღნიშვნის ღირსია კრებულში წარმოდგენილი იმჟამინდელი საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის სახე:

"დამაქვევლნი ამა სოფლის, სამი სატანა: ჰიტლერი, დუჩე, შევარდნაძე...
ამის ატანა ხალხს აღარა სურს და გაისმის კრულვა და წყევლა,
გესმის, ედუარდ, დაჩაგრულთა დრტვინვა და ღელვა,
აფხაზსაც მისწვდი, გსურს, წაართვა დედა-სამშობლო,
თავს ლაფი ასხა, დაამცრო და დააობლო" და ა.შ.

(რიმა ჭედია, "ჩვენ სიკვდილის არ გვაქვს უფლება")

კრებულში, რომელშიც თოთხმეტი პოეტის ოთხმოცამდე ლექსია წარმოდგენილი, მხოლოდ ერთგან გაკრთება ნათელი სხივი; ეს გახლავთ პოეტ შამილ ფილიას ერთსტროფიანი ლექსი:

"ვხედავ, ჩვენს შორის ტყვია ჩამდგარა, ერთურთს ამაგი ვერ დავუფასეთ,
მაგრამ რა ვუყო ამ გულს, რომელიც ვერ დავივიწყებს ნოდარ დუმბაძეს".

დიდი სურვილის მიუხედავად, ეს ერთი სტროფი ვერ გადაწონის კრებულში წარმოდგენილ ლექსთა უმეტესობას, რომლებიც ქართველის უარყოფით სტერეოტიპს ამკვიდრებენ მკითხველში.

რაც შეეხება მეორე კრებულს, აფხაზურ მხარეს მასში წარმოადგენს სამი ავტორი: დაურ ნაჭყებია, ალექსი გოგუა და ფაზილ ისკანდერი. დაურ ნაჭყებიას მოთხრობა "მალე შემოდგომა..." (1997) გარდაცვლილი გმირის მონოლოგზეა აგებული. მისი სიცოცხლე სოხუმის აღებას შეეწირა და ამჟამად იგი შუაგულ მზეზე წევს იმის მოლოდინში, თუ როდის დამთავრდება საბრძოლო შეტაკება და დაიწყებენ მიცვალებულთა დამარხვას. მოთხრობის ახალგაზრდა გმირი იხსენებს ომის დაწყებას, ხანმოკლე ლტოლვილობას გუდაუთის ერთ-ერთ სანატორიუმში, ას დოლარად ნათესავისგან ავტომატის ყიდვის ისტორიას და ბრძოლას ქართველების წინააღმდეგ, ბრძოლას მშობლიურ სოხუმში დასაბრუნებლად. ამავე ავტორის მეორე მოთხრობაში – "ცალთვალა ცა" (1994) მოქმედება კვლავ სოხუმის აღებისთვის მიმდინარე ბრძოლების ფონზე იშლება. ამჯერად მოთხრობის გმირი თავისი მეგობრის, ასლანის სიკვდილზე გვიამბობს, რომელიც ქართველი სნაიპერის ტყვიამ შეიწირა. დაჭრილი მეგობრის დასახმარებლად მისული მოთხრობის გმირი ისევ ასლანის სხეულმა დაიცვა; მას მოხვდა სნაიპერის მეორე ტყვიაც, რომელიც მოთხრობის გმირისთვის იყო განკუთვნილი. ერთმანეთს ჩახუტებული ცოცხალი და გარდაცვლილი მეომრები ერთად წვანან სოხუმის მოქუფრული ცალთვალა ცის ქვეშ...

დაურ ნაჭყებიას მოთხრობაში "მინაში" (2002) ახალგაზრდა მეომარი – ბესლანი გადმოგვცემს მოხუცი აფხაზი ქალის, მინაშის ისტორიას, რომელმაც ერთადერთი ვაჟი სამამულო ომში დაკარგა, მაგრამ მაინც მთელი ცხოვრება ელოდა მის დაბრუნებას. ქართველების შეტევის მოლოდინში ბესლანმა გადაწყვიტა, არ დაეტოვებინა მოხუცი ქალი; "ქართველებს რომ ჩაუვარდეს ხელში, მთელ ქვეყანას მოსდებენ, აფხაზები პანიკამ მოიცვა და ისე გარბიან, რომ თავიანთ მოხუცებს ტოვებენ," – ამბობს ბესლანი. მოხუც ქალს უმძიმს სახლის დატოვება მაგრამ ბოლოს იძულებული ხდება ახალგაზრდა მეომრებს გაჰყვეს. სხვა ლტოლვილებთან ერთად ტყვარჩელში გამგზავრებამდე მინაში ბესლანს აძლევს შეკვრას, რომელშიც მოხუცი ქალის მიერ წლების განმავლობაში ნაგროვები, უკვე ხმარებიდან ამოღებული ფული აღმოჩნდება.

ალექსი გოგუას ვრცელ მოთხრობაში "სანამ მზე ჩასულა" (2000) გადმოგვმულია ახალგაზრდა აფხაზი ქალის, ესმას სულიერი განცდები ქართველებთან ომში დაღუპული მეუღლის დასაფლავების დღეს. ესმას ტრაგიზმს ისიც ამძაფრებს, რომ მისი მეუღლე ვერ მოესწრო შვილის დაბადებას, რომელსაც ესმა დღე დღეზე ელის. ესმა იხსენებს მისი და ეზუგის სკოლაში გაცნობის პირველ დღეს, გათხოვებას, ხანმოკლე, მაგრამ ბედნიერ ერთობლივ ცხოვრებას. მოთხრობის ფინალში, მეუღლის დასაფლავების დღეს, ესმა ვაჟიშვილს გააჩენს. მართალია, ალექსი გოგუა მოთხრობაში ქართველებს არც ახსენებს, მაგრამ ერთ-

ერთ მონაკვეთში, როდესაც იგი ეზუგის ინტერესების სფეროს ეხება, აღნიშნავს, რომ იმ დროს აფხაზეთის ისტორიით დაინტერესება და მისი შესწავლა ბევრს არ უნდოდა, რადგან ამ საკითხთან დაკავშირებით ურთიერთგამომრიცხავი მოსაზრებები არსებობდა და ისინი, ვინც კარიერასა და წინსვლაზე ფიქრობდნენ, აფხაზეთის *ნამდვილი* ისტორიის შესწავლის სურვილს, როგორც წესი, არ გამოთქვამდნენ. თუმცა ეზუგი ჭეშმარიტი აფხაზი პატრიოტი იყო, ამიტომაც აინტერესებდა აფხაზეთის ისტორია.

და ბოლოს, ფაზილ ისკანდერის მოთხრობაში “ბიჭი და ომი” (2001) მოქმედება მოსკოვის ერთ-ერთ ბინაში იშლება. პატარა ბიჭი დასაძინებლად ემზადება, როდესაც მამამისს გაგრიდან ჩამოსული სტუმრები - ბიძია ასლანი და მისი შვილი ვალიკო - ეწვევიან. ბიჭს მხოლოდ ნათელი მოგონებები აკავშირებს გაგრასთან, სადაც მოსკოვისგან სრულიად განსხვავებული ცხოვრების წესი იყო დამკვიდრებული: ყოველ საღამოს მეზობლების მისვლა-მოსვლა, საღამოობით ღვინის სმა, ერთმანეთის გადაპატიჟება, სხვადასხვა დღესასწაულების ერთად აღნიშვნა. ბიჭისთვის სრულიად გაუგებარია, თუ რატომ მიმდინარეობს იქ ომი, რა ვერ გაიყვეს იქაურმა მაცხოვრებლებმა... იგი გულისყურით უსმენს სტუმრების საუბარს, საიდანაც შეიტყობს, რომ ექიმი გიორგი მოუკლავთ აფხაზებს (აქვე შევნიშნავთ, რომ თავად გიორგის ეროვნება მოთხრობაში არ არის ფიქსირებული, თუმცა სავარაუდოდ, იგი ქართველი უნდა იყოს). ბიჭს საშინლად დაწყდება გული, როდესაც ამ კეთილშობილი, ხუმარა, ყველასათვის საყვარელი ადამიანის ტრაგიკული გარდაცვალების შესახებ გაიგებს. ასლანი დაწვრილებით უყვება მასპინძელს, თუ როგორ ამოიცნო ქალაქის განაპირა პარკში დახვრეტილი ექიმი გიორგისა და მისი სიდედრის გვამები, როგორ მისცა ფული ექსკავატორის მძღოლს, რათა ამ უკანასკნელს ადამიანურად დაემარხა მიცვალებულები.

მოსმენილის შემდეგ ბიჭს ძილი გაუკრთება; იგი ფიქრებში ჩაეფლება; მისთვის გაუგებარია ასეთი არაკაცური, არაადამიანური დამოკიდებულება ექიმის მიმართ, რომელიც ეროვნული ნიშნით არ განასხვავებდა პაციენტებს და იმდენი სიკეთე ჰქონდა დათესილი გაგრში, რომ არ უფიქრია ცოლ-შვილთან ერთად გამგზავრება და საკუთარ ბინაში მოხუც სიდედრთან ერთად დარჩა. ვის სჭირდებოდა ქალაქში ყველასათვის საყვარელი ექიმის მიზანმიმართული მოკვლა: ღამით ბინიდან მისი გამოყვანა და დახვრეტა ქალაქის განაპირას; ამასთან, არც არავინ მიბრუნებულა ბინაში და იქიდან არაფერი წაუღია. პატარა ბიჭი მეორე დღესაც განაგრძობს მომხდარზე ფიქრს; იგი ვერ გარკვეულა ცხოვრების საზრისში, თუ რა აზრი აქვს ცხოვრებას, თუკი ბოროტება სიკეთეს ამარცხებს, თუკი ადამიანები არ ითვალისწინებენ ისტორიის გაკვეთილებს და არ ხდებიან უკეთესები. ბიჭი მამამისს უზიარებს თავის პესიმისტურ განწყობას და ეს უკანასკნელიც ვერ პოულობს დამაჯერებელ პასუხს. მოთხრობის ფინალში სადარბაზოდან გასული მამა-შვილი დაინახავენ მოხუც ხეიბარ ქალს, რომელიც საჭმლის ნარჩენებს აჭმევს უპატრონო ძაღლებს. მამა ეუბნება შვილს, რომ სადღაც თუ ვიღაცა არამზადები ავ საქმეებს სჩადიან და უდანაშაულო ადამიანებს კლავენ, ეს მოხუცი ქალი, თავად გაჭირვებაში მყოფი, როგორც შეუძლია, ისე ზრუნავს სხვებზე. მწერლის თანახმად, სწორედ ეს გახდება ბიჭისთვის მაგალითი იმისა, რომ სიკეთე ბოროტებას დაამარცხებს. ჩვენის მხრივ შევნიშნავთ, რომ მოთხრობის ფინალი, მწერლის კვალიფიკაციის გათვალისწინებით, ნაკლებად დამაჯერებელი და ხელოვნურიც კი გვეჩვენება.

როგორც ვხედავთ, მეორე კრებულშიც *ქართველის საბაზო სტერეოტიპი* შენარჩუნებულია (დამპყრობი, მომხდური, აფხაზი ახალგაზრდების სიკვდილის მიზეზი...), თუმცა ნაკლებად იგრძნობა აგრესია, რომელიც პირველი კრებულის ყოველ სტროფში გამოსჭვივის. ჩემი აზრით, ამის მიზეზი შესაძლოა დროითი დისტანცია იყოს. პირველ კრებულში შესული ნაწარმოებები, მეტწილად, დაწერილია 90-იან წლებში, ბევრი მათგანი ომის პერიოდშიც კი. რაც შეეხება მეორე კრებულს, აქ დროითი დისტანცია უფრო დიდია. ჯორჯ გორდონ ბაირონი წერდა: “ტრაგედიის შესაქმნელად მხოლოდ ტალანტი არ კმარა; ბევრი რამ უნდა გქონდეს განცდილი წარსულში და *საკმარისი დროც* უნდა იყოს გასული, რათა ვნებები ჩაცხრეს. როდესაც ადამიანი ვნებათა ტყვეობაშია, მას შეიძლება ძალზე მწვავე განცდები ჰქონდეს, მაგრამ თავისი გრძნობები ვერ გადმოცეს. მხოლოდ გარკვეული დროის შემდეგ შეგიძლია მიენდო მესხიერებას და შექმნა ლიტერატურისთვის რაღაც ღირებული, მნიშვნელოვანი” [3, 54]. ვიმედოვნებ, რომ როდესაც ვნებები ჩაცხრება, დადგება დრო, რომ მხოლოდ გონებას მოეუხმოდ, განვსაჯოთ, რა გზით უნდა წავიდეთ. გზის სწორ არჩევანზე კი, დამოკიდებულია, ჩვენთვის მიუღებელი, არასასურველი, **XX** საუკუნის 90-იანი წლების შემდგომ აფხაზურ ლიტერატურაში დამკვიდრებული *ქართველის* სტერეოტიპის მსხვერვა და ახალი სტერეოტიპების დამკვიდრება.

ლიტერატურა:

1. "რა დამავიწყებს", თბილისი, 2002;
2. Время жить. Рассказы писателей Южного Кавказа. Майкоп. 2003;
3. Дьяконова Н., Поэма Байрона "Дон-Жуан", В кн. Байрон. Дон-Жуан, М., 1954.

GEORGIAN IMAGE IN ABKHAZIAN LITERATURE
Mariam Miresashvili, Sokhumi State University, Full Professor
SUMMARY

As the world cultures continuously interact and communicate today, the research of the modern culturology and the study of literature (particularly in comparative studies) and imagology is getting more and more important. Image studies, or imagology, is traditionally subsumed under the uncritical notion of ‘national character’, which is itself replaced by the constructivist term ‘national stereotype’. This framework integrates social constructivist view of national character and national identity with discursive, rhetorical, and cultural approaches to literature.

The paper explores forms and functions of the Georgian image of the 90-ies post war Abkhazian literature, or stereotype of the Georgian image in the modern Abkhazian literature. The problem is based on two literary collections. The aim of the article is neither criticizing the stereotypes and negative relations nor the demonstration of the myths about Georgians from the point of view of today’s Abkhazia.

ილია ჭავჭავაძე ოსთა შესახებ

ალექსანდრე მღებრიშვილი

გორის სასწავლო უნივერსიტეტი, სრული პროფესორი

XIX საუკუნის ლიტერატურულ ურთიერთობებზე საუბრისას გვერდს ვერ ავუვლით ქართული მწერლობის აღიარებულ კლასიკოსებს, რომელთა შორის გამორჩეულია ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობა.

ვაჟა-ფშაველამ განსაკუთრებული მგრძნობიარე ხმით დაიტირა დიდი ილია: “მთელი 50 წელი განსვენებულმა საქართველოს ბედი კალთით ატარა, იყო მისი დარაჯი, როგორც დედა ერთადერთს ჩვილს შვილსა, ისე დამრწოდა და დაჰკანკალებდა, ან არ შემიცვიდეს, ან არ მომიშვიდესო. მორეულს მტერს, ვინც საქართველოს ისრებს ესროდა, იგი პირველი აგებებდა თავის მკერდს, შემოქმედულს ხმალს პირველი უფარებდა ფარსა.

ეს მწერლობაში, მწერლობის გარეშეც ხომ უთვალავია მისი ღვაწლი. ყველაფრის ჩამოთვლა მეტია, ვინაიდან ეს ღვაწლი ყველა ქართველმა კარგად უწყის.¹“

ასეთი იყო მგოსნის ცხოვრების გზა. ჩვენ საკვლევ საკითხთან დიდად საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ილია ჭავჭავაძე მთელი თავისი ცხოვრებისა და ნაყოფიერი მოღვაწეობის განმავლობაში იღვწოდა კავკასიის ხალხებს შორის ახლო ურთიერთობის დასამყარებლად.

ილია ჭავჭავაძის ოსებთან დაახლოებაში გარკვეული როლი შეასრულა მისმა სტუმრობამ თამარაშენში. ლიახვის ხეობის მკვიდრი ელისო მაჩაბელი იგონებდა, რომ ილია მჭიდრო ურთიერთობაში იმყოფებოდა იმდროინდელი ქართული კულტურის მოღვაწეებთან, მათ შორის ივანე მაჩაბელთან, რომელსაც დიდი თერგდალეული რამდენჯერმე ეწვია თამარაშენში.

სიყვარულით შეხვდა თამარაშენის მოსახლეობა დიდბუნებოვანი მგოსნის სტუმრობას. ხალხის გულწრფელი სიხარულითა და ბუნების უზადო სინატიფით მოჯადოებული ილია გადაეხვია ზაალ მაჩაბელს და ესლა აღმოხდა: “ეს ბუნება უნიჭოს ნიჭს შესძენს და უხმოს აამღერებსო.”

მეორე დღეს ილიამ ვასილ მაჩაბელს შვილი მოუნათლა. ნათლობა, რომელზეც მთელი სოფელი იყო მოწვეული, დიდი ზეიმით ჩატარდა.

ამ მოგზაურობის პერიოდში ილია ჭავჭავაძეს მხედველობიდან არ გამორჩენია ოსების მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა, ნათქვამის საილუსტრაციოდ საინტერესოა მის მიერ გამოქვეყნებული ვრცელი პოლიტიკურ-ეკონომიკური ნარკვევი “საზოგადოებრივი ცხოვრების ნაკლნი და მისი ეკონომიკური მიზეზები”, სადაც აღნიშნულია მთის ოსი მოსახლეობის ცხოვრების დუხჭირი, ჩამორჩენილი მდგომარეობის მიზეზები.

“ცივი ჰავა მთისა, სიმწირე მამულ-დედულისა, უილაჯოდ ჰქმნის მთიელს ოსს სარჩო-საბადებლის შესაძენად. მიწა და ჰავა არას იძლევა ქერის მეტსა და იქაური ოსი მარტო ქერის ხვნა-თესვაზეა მინაბრებული. მთიელის ოსის საჭმელი მარტო ქერი პურია და სასმელი ლუდი, რომელსაც

¹ ვაჟა-ფშაველა, სიტყვა ილია ჭავჭავაძის ცხედარზე, /”მოგონებები გარდასულ დღეთა - ილია” შემდგ. გ. გვერდწითელი, ს. ცაიშვილი/, თბილისი, 1987, გვ. 12-14;

ქერისაგანა ჰხდის. ამითი უნდა გაუძღვეს იგი ცოცხალსა და მკვდარს, სახელმწიფოს და სოფლის ხარჯსა და გადასახადსა და ხშირად მამულის დაღასაც.”²

ამას ემატება ის მამა-პაპეული ტრადიციები, რომელთა შესრულებაც ოს გლეს ადათით მოეთხოვება. არ უნდა დავივიწყოთ ის გარემოებაც, რომ ჩამოთვლილი ყველა ხარჯი ქერის მოსავალმა უნდა გაისტუმროს და ილიას მართლაც სამართლიანად ებადება კითხვა: “რითიღა ცოცხლობს ოსი და მისი სახლობა?”³

ილია ჭავჭავაძე შეწუხებულია ოსების უაღრესად გაჭირვებული ყოფა-ცხოვრების გამო და იქვე დასძენს:

“ყოველ ამას ზედ დაუმატეთ უგზო-უკვლობა, რომლის გამოც გამოტანა რისამე მთიელ ოსს უფრო ძვირად უჯდება, ვიდრე გამოტანილი ჰქონდეს, და მაშინ სრული სურათი მთიელ ოსის უილაჯობისა თვალწინ წარმოგიდგებათ მთელის თავისის უძლეველი სახითა.”⁴

აქვე ილია ჭავჭავაძე ამხელს გარკვეულ ნაწილს იმ მთიელი ოსებისას, რომლებსაც იოლი გზით გამდიდრება განუზრახავთ და პატიოსანი შრომის ნაცვლად ყაჩაღობა და ხალხის მარცვა-რბევა დაუწყიათ:

“დისციპლინა ოსისათვის უჩვევი ამბავია, ამიტომ იგი უფრო მარტო თარეშობს და ძნელად თუ ამხანაგად გაიხდის ვისმე, და თუ გაიხდის – იმისთანას, რომელიც ძალიან გამოცდილი ჰყავს ერთგულებაში და ამასთან იმისთანა დანაშაული ჩაუდენია, რომ მთავრობას შემჩნეული ჰყავს და მთავრობისაგან დევნილია. გაცემა და ღალატი ამხანაგისა ოსს ძალიან ეადვილება, თუ მოხერხებული კაცი შეუჩინეს, პატიობა აღუთქვებს, ან ფულით დაახარებს. თუნდ ესეც არ იყოს, ადვილად იცის ამხანაგებთან ჩხუბის ატება დავა ნაძარცვის გაყოფაში, ჩხუბს წყენა მოსდევს და ზოგჯერ წყენას გაცემა და ღალატი...”⁵

ამ მასალაში აშკარად იგრძნობა ილიას მხარდაჭერა მთიელი ოსების ცხოვრების გაუმჯობესებისათვის და ამიტომაც მოუწოდებს ხელისუფლებას, როგორმე შეუმსუბუქოს ხვედრი გაწამებულ მოსახლეობას, და თუ ასეთი დახმარება “მთლად არ აღმოჰკვეთს ქურდობასა და ავაზაკობას, უეჭველად ალაგმავს, შეაცოტავებს, შეასუსტებს, და სხვა არა იყოს რა, ხელს მაინც არ შეუწყობს, და ესეც მოგება იქნება.”⁶

ილია ჭავჭავაძემ დადებითად შეაფასა მთიელ ოსთა მოთხოვნები ძველი ცხოვრებისეული ზოგიერთი ადათ-წესის მიუღებლობის შესახებ. მაგალითად, 1886 წელს “ივერიაში” ილიამ დაბეჭდა იმ დროისათვის ერთობ აქტუალური წერილი მოწინავე ოსი ინტელიგენციის ერთ-ერთი კრების ანგარიშის თაობაზე, რომელიც მიმართული იყო ურვათისა და ალაპების წინააღმდეგ. გამოქვეყნებული მასალის მიხედვით, მსგავსი კრება გამართული გერში, ორტევესა და ჯვრივში. გავლენიან კაცთა – ბეგა ქოქოშვილის, ლექსო ქემსიაშვილისა და ბეგა ჩოჩიაშვილის გამოსვლების შემდეგ კრებას მიუღია დადგენილება, რომლის მიხედვით დიდი ქელების (ალაპის) გადამხდელი ან ურვათის მომთხოვნი ჯარიმდებოდა ხუთი თუმნით ვანათის სკოლის სასარგებლოდ.

თავის მხრივ, ოსი მკითხველი ყოველთვის დიდ ინტერესს იჩენდა ი. ჭავჭავაძის შემოქმედებისადმი. დაულალავად თარგმნიდნენ ოსი მწერლები დიდი შემოქმედის თხზულებებს.⁷

ი. ჭავჭავაძის გენიალურ ქმნილებათა სცენაზე დადგმის ტრადიცია ჩვენში შალვა დადიანის პიესით “ჩატეხილი ხიდი”, ხოლო მოგვიანებით მ. ბერძენიშვილის “ოთარაანთ ქვრივით” დამკვიდრდა, სწორედ ამ უკანასკნელმა დააინტერესა ცხინვალის კ. ხეთაგუროვის სახელობის სახელმწიფო თეატრის ოსური დასი და ცნობილი რეჟისორის გ. კაბისოვის ხელმძღვანელობით დაიდგა დიდებული სპექტაკლი.

მოხმობილი მასალებიდან ჩანს, რომ ი. ჭავჭავაძე იძლევა საგულისხმო სურათს ოსთა ყოფის, ზნე-ჩვეულებათა და მათი ქართველი ხალხისადმი დამოკიდებულების შესახებ

ამრიგად, აღებულ პერიოდში ცხინვალი განსაკუთრებული სიმძლავრის ქართულ-ოსური ლიტერატურულ-კულტურული ურთიერთობის მძლავრ კერად ყალიბდება. XIX საუკუნის ბოლოს ამ ორი ერის მეგობრობას საძირკველს უმაგრებდნენ ჩვენი კლასიკოსები: ილია, აკაკი, ალექსანდრე ყაზბეგი, იაკობ გოგებაშვილი. ძალ-ღონეს არ ზოგავს დიდი თამარაშენელი მოღვაწე ივანე მაჩაბელი. მასთან ერთად იმ პერიოდის მოაზროვნე, შემოქმედი ნაწილი, ისეთი, როგორიც გახლდათ: დავით

² ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. VI, თბილისი, 1956, გვ. 206.

³ იქვე.

⁴ იქვე, გვ. 207.

⁵ ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. VI, თბილისი, 1956, გვ. 205.

⁶ იქვე, გვ. 231.

⁷ სხვადასხვა დროს ილიას თხზულებათა თარგმნით დაკავებული იყვნენ ოსი მწერლები: გ. ბესთაუთი, ნ. ჯუსოთი, დ. მამივი, გ. შუგაევი, რ. ფლიევი, გაფეზი და სხვ.

კასრამე, რევაზ ფავლენიშვილი, კოსტა ხეთაგუროვი, ცომაყ გნადიევი, არსენ ქოცოევი, ჩერმენ ბეჯი-ზათი და ა.შ.

ლიტერატურა:

1. ვაჟა-ფშაველა, სიტყვა ილია ჭავჭავაძის ცხედარზე, /"მოგონებები გარდასულ დღეთა - ილია" შემდგ. გ. გვერდწითელი, ს. ცაიშვილი/, თბილისი, 1987, გვ. 12-14;
2. ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ.VI, თბილისი, 1956, გვ. 206;
3. ალექსანდრე მღებრიშვილი, ცხინვალის ლიტერატურული და კულტურული ცხოვრების ისტორია, თბილისი 2011.

ILIA CHAVCHAVADZE ABOUT THE OSSETS Alexandre Mgebrishvili, Gori Teaching University, Full Professor RESUME

While talking about literary relations, it is impossible to avoid mentioning various outstanding classics among whom Ilia Chavchavdze is distinguished with his works and lifepath.

Allong with all his life, he made all his efforts towards establishing closer relations between the caucasian peoples. The visit in the village of Tamarasheni made a considerable contribution to the approachment to the Ossets. The resident of the Liakhvi gorge Eliso Machabeli remembers him visiting Ivane Machabeli for several times.

Ilia Chavchavdze gave a positive evaluation to the Ossets' refusal of accepting some old customs. And the Ossets themselves always used to show a great interest towards him. Lots of Ossetian writers have been translating his notorious works.

ქართულ-ოსური ურთიერთობის ასპექტები

ნიკოლოზ ოთინაშვილი

გორის სასწავლო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი

გვინდა რამდენიმე ფაქტი წარმოვაჩინოთ, რომლებიც ორი ხალხის - ქართველებისა და ოსების ურთიერთობას ეხება. ეს ურთიერთობა დღეს ჩიხშია შესული და ამისი უმთავრესი მიზეზი ოსთა მხრიდან სეპარატიზმია, რომელიც ძირითადად ყალბ ისტორიას, გამოგონებულ ფაქტებს ეყრდნობა და ოს სწავლულებს სურთ ჯერ თვითონ დაიჯერონ გამოგონილი და მერე სხვებიც დააჯერონ.

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღვნიშნოთ ვინ არიან ეს ჩვენი „მომე“ ოსები, რომლებიც ქართულ მიწა-წყალს მანიაკალური ჟინით შეპყრობილები ეუფლებიან და ცდილობენ ყველგან, ყველა ქართულ სოფელს მეტრობლივ წაგლიჯონ მიწები, რომ ე.წ. „დიდი ოსეთი“ შექმნან და შთამომავლობას გადასცენ.

1992 წლის ჟურნალ „ცისკრის“ მეხუთე ნომერში მოთავსებულია ცნობილი მეცნიერის ნოდარ ლომოურის წერილი სათაურით „ოსთა ჩამოსახლება საქართველოში“. ავტორს ზედმიწევნით შეუსწავლია ყველა წყარო, მათ შორის ოსი სწავლულების ნაშრომებიც და გამოუტანია მნიშვნელოვანი დასკვნები.

ნოდარ ლომოური აღნიშნავს, რომ ახალი წელთაღრიცხვიდან, კლასიკურ ავტორთა მონაცემებით, ალანები ჩრდილო კავკასიის, აზოვისა და დონისპირა ველებში ცხოვრობდნენ. საგრძნობლად შემცირებული ალანები შეერწყნენ ავტოქტონურ მოსახლეობას. ოსების ეთნოგენეზისის საკითხი გვიან არის დაწვებული, როგორც ცნობილი მეცნიერები: ვ. აბაევი, ს. პლეტნიოვი, ვ. კუზნეცოვი, ა. ნაგლერი და სხვები თვლიან, მეხუთე-მეექვსე და შემდგომ საუკუნეებში.

ნ. ლომოური ასკვნის, რომ ალანებისა და ოსების გაიგივება კატეგორიულად გაუმართლებელია, ასევე მცდარია აზრი ალანების პირდაპირ და უშუალოდ მემკვიდრეებად ოსების გამოცხადება. მართალია ცნობილია ვახტანგ გორგასლის ბრძოლები ოსებთან, მაგრამ ამ შემთხვევაში რეალურ-ისტორიულად იგულისხმებიან ალანები და ქართული წყაროები „ოვსებს“ მხოლოდ იმიტომ ასახელებენ, რომ ქართულ წყაროთა ავტორების დროს მე-11 საუკუნეში ეს ტერიტორიები, რომლებიც ალანებს ეჭირათ უკვე ოსებს დარჩათ (ჩრდილოეთ კავკასია), ამიტომ ქართველებმა ამ ტომის სხვა სახელი არ იცოდნენ ოსების წინამორბედებზე გადაჭკონდათ სახელი - ოვსები, ოსეთი.

დიდი შეცდომაა მერვე საუკუნემდე ოს-ქართველთა რაიმე ურთიერთობაზე ლაპარაკი. იმ დროს ოსები, როგორც რეალური ეთნიკური ერთეულები არ არსებობდნენ - დაასკვნის ავტორი. ოსებს შეიძლება ჰქონდეთ რაღაც საფუძველი ამტკიცონ, რომ ალანებს და ოსებს როდისმე ჰქონდათ საქართველოს მიწა-წყალი დაკავებული და ჰქონდეთ პრეტენზიები, მაგრამ ზემოხსენებულ სტატიაში ყველაფერი მეცნიერული სინდისით და საფუძვლიანობით არის გადაწყვეტილი. აქ მოხმობილია არქეოლოგ ნოე აფხაზავას გამოკვლევები და წერილი „ალანები და საქართველო“, სადაც ცხადად არის გარკვეული, რომ მეთექვსმეტე საუკუნეში ალანები არც საქართველოში და საერთოდ ამიერკავკასიაში არ ჩანან. ისინი ქართველთა მეზობლები არასოდეს ყოფილან.

მკაცრად არის გაკრიტიკებული ოსი მეცნიერი ბაგრატ ტუხოვი, რომელმაც მდინარე დიდი ლიახვის ზემო წელზე სოფელ სტირფაზთან აღმოჩენილი ჭურჭელი ალანურად მიიჩნია, სინამდვილეში კი ის ქართული ყოფილა.

რუსლან მათიათი, რომელსაც თავი არქეოლოგად მოჰქონდა, სოფელ ედისში აღმოჩენილ ძეგლებს არაქართულად თვლიდა, სინამდვილეში კი ის ქართულია და მკითხველს მაშინდელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით ატყუებდა.

ნოდარ ლომოური მთელი წყაროების მოხმობით ასკვნის, რომ ცენტრალური კავკასიონის პირიქით და პირაქეთ მცხოვრები დვალელები ოსების მიერ ასიმილირებული ქართველები არიან.

ვახუშტის „აღწერაში“ შიდა ქართლში შედის მთელი დვალეთი, კავკასიის ჩრდილოეთის ჩათვლით, ასევე მის მიერ 1745 წელს შედგენილ რუკებზე. დვალეთი რომ ქართლის სამეფოში შედიოდა, ეს კარგად ჩანს „მოქცევა ქართლისას“ ცნობებიდან: „ორნი კარნი დვალეთისა, ქართლის სამეფოს ტერიტორიაა“. დვალეები რომ ქართველები არიან, ამის დასტურია გეოგრაფიული სახელწოდებები, რომლებიც დვალეთში დღესაც არის. ესენია: ყელი, თრუსო, ედისი, ერმანი, არმაზი, როკი, ვანელი, კასრი, დვალთ-გორა, ნადვალევი და მრავალი სხვა, რომლებმაც საუკუნეებს გაუძლეს. ეს სახელწოდებები მხოლოდ ქართული ენის საშუალებით იხსნება და მათ თარგმანში დაოსტატებული ოსი სწავლულები გაწაფულები არიან.

დვალთა ასიმილაცია ფაქტიურად იყო ეთნოციდი, რამაც გაანადგურა ქრისტიანული, ეკონომიკურად და კულტურულად განვითარებული დვალეთი, რომელიც რუსთა მიტაცებამდე ნიქოზის საეპისკოპოსოში შედიოდა.

ვახუშტიმ თავის „აღწერაში“ აღნიშნა ლიახვის ხეობის სათავეებში ეს მოვლენა - ეთნიკური ცვლის პროცესი (ვახუშტი, 122). ამასვე ადასტურებს გიულდენშტედტი, რომელიც დვალეთს, ჟღელეს, ჯომადს „ქართულ-ოსურად“ აცხადებს (გიულდენშტედტი, 277).

საერთო ინტერესს იწვევს ეს ეთნიკური პროცესები. ეს პრობლემა საინტერესოა დღევანდელი თვალსაზრისითაც. ეს ყველაფერი დაკავშირებულია დვალეების ეთნიკური ვინაობის საკითხებთან. ისინი გადაშენდნენ, მაგრამ დარჩა მაგალითი ტოპონიმები. ეს ასეა, მაგრამ მოსული არაკავკასიური ტომი ცდილობს ადგილობრივი ტომის სახელწოდება მიითვისოს.

დვალეთის ტოპონიმთა ქართულია, რასაც ოსურთან არავითარი კავშირი არ გააჩნია. ზოგიერთი ტოპონიმის ფონეტიკური ტრანსფორმაცია და ქართულ-დვალურის შეცვლა ხელოვნურად ხდებოდა. მაგალითად: კასრის კარი - კასარ ქომ, როკი - რუკ, ზეკარი - ზიკარა, კოშკა - კუსჯითა და სხვები.

მათ დაიპყრეს ისტორიული დვალეთი, მოახდინეს დვალთა გაოსება. ამას თან სდევდა ბრძოლა მიწის მისაკუთრებისათვის და პარალელურად ყაჩაღობაც. მშვიდობიანი ქართველი მოსახლეობის ცარცვა-გლეჯა, ადამიანების მოტაცება ხელობად გაიხადეს.

ბარად ჩამოსული ოსები ახლა ქართველი თავადების მამულების, ხერხეულიძეების, ფალავანდიშვილების, ერისთავების მამულებს დაეპატრონნენ. გაანადგურეს მათი სახლ-კარი, მოშალეს მეურნეობა, რითაც გააპარტახეს ზემო ქართლი.

ყოველივე ეს აღწერილია მთელ რიგ საისტორიო დოკუმენტებში, ზეპირსიტყვიერების მასალებში. გიულდენშტედტი თავის მოგზაურობის დღიურებში აღნიშნავს: „ისინი (ოსები) რელიგიაში და კანონებში უცოდინარნი არიან, ხოლო ჩვევებში უხეშნი, უფრო მეტად ყაჩაღები არიან, ვიდრე ქურდები, ყალბნი და ფლიდნი და ერთმანეთის და სხვის მიმართ ვერაგები (გიულდენშტედტი, 41).

სხვა მასალები რომ არ მოვიხმოთ, აუცილებელია ცნობილი პოეტის კოსტა ხეთაგუროვის აზრი ოსებზე, რომელსაც ის თავის დროზე გამოეხმაურა. იგი წერს: „მამაჩემი 82 წლის მოხუცი გარდაიცვალა 1892 წელს. იგი მოწმე იყო ისტორიის ბოლო ეპოქისა, რომელსაც ეწოდება „ოსობა“. ბოლო ათწლეულის განმავლობაში კავკასიაში რუსების გავლენამ ისე შეცვალა სხვა რჯულთა თვითმყოფადობა, კერძოდ ოსებისა, რომ არ შეესაბამებოდა ცხოვრების თანამედროვე მოთხოვნებს (კოსტა, გვ. 126-127).

ოსებისათვის დროის თრობა გახლდათ სინონიმები, მან იცოდა, რომ თვითონაც მკვდარი იქნებოდა დღეს, ხვალ ან ზეგ, ერთი კვირის შემდეგ (კოსტა, 155).

ოსობის დროს, ოსს რომ ოსი გაემარცვა არ იყო მიღებული. სხვა ტომის გამარცვა ოთვლებოდა პრივილეგიად (გვ. 156).

ნაყიდი ან მოტაცებული ბავშვი, რომლებიც ტყვედ ვარდებოდნენ სხვადასხვა რჯულისანი იყვნენ. ეს უბედური „აღზადი“ იყო, მსხვერპლი თავის პატრონისა, რომელიც მონად ხდებოდა, რომლის ყიდვა-გაყიდვა შეეძლოთ“ (Хетагурова, «Осетины»).

კ. ხეთაგუროვი, როგორც მოწმე ოსების მხრიდან ცარცვა-რბევისა, ააშკარავებს და საგანგებოდ ხაზს უსვამს მათ „ხელობას“, რომელსაც უფრო ადრე თავის „აღწერაში“ აღნიშნავს ვახუშტი: „ქურდნი, მპარავნი, ტყვეების მსყიდველნი, გარნა არა თვისთა ჰყიდიან“...

აქ არ შეიძლება არ გავიხსენოთ ცნობილი ოსი მოღვაწე იოანე იალღუხიძე (1775-1830), რომელიც დიდი ღიახვის სოფელ ზალდიდან იყო. იგი ერეკლე მეფის შუამდგომლობით მიაბარეს დავით გარეჯის მონასტერში, შემდეგ კი სწავლა გააგრძელა თბილისის სასულიერო სემინარიაში. მან ორჯერ გადაწერა ვეფხისტყაოსანი, მუშაობდა თარჯიმნად. ქართულიდან ოსურად თარგმნა სასულიერო წიგნები: „საცისკრონი ლოცვანი“, „კატეხიზმოსი“ და მოკლედ ქრისტიანებრივი ზნეობითი სწავლა, გამოკრებილი კურთხევანი, თარგმნა ოთხთავი. ოს ბავშვებს თბილისში ასწავლიდა ოსურ და ქართული ენებს. ქართული გრაფიკის ნუსხურისა და მხედრულის საფუძველზე შეადგინა ოსური ანბანი და სხვა.

ახლა კი მეორე მაგალითს მოვუხმობთ და ამ ორის შედარება განსჯისთვის მკითხველისათვის მიგვინდვია.

1970 წელს, 16 სექტემბერს ცხინვალში გამომავალ ქართულ გაზეთში „საბჭოთა ოსეთი“, ზამირა ცხოვრებოვამ დაბეჭდა სტატია სათაურით: „ერთხელ კიდეც სამხრეთ ოსეთის ტოპონიმის შესახებ“, შემდეგ ის სტატია დაიბეჭდა რუსულ ენაზე სამხრეთ ოსეთის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის შრომებშიც. აქ ავტორი უარყოფს ქართული ტოპონიმების წარმოშობას და მათ შორის ასეთს: ლიახვი, ვანელი, თიღვა, ქურთა, ჯავა, კოშკები და სხვები, რომელთა ქართული წარმოშობა ეჭვის საფუძველს არასდროს იძლეოდა. აქ ჩვენი კომენტარი ზედმეტია.

ოსი ექსტრემისტების გაუთავებელი პრეტენზიების შედეგად, რომელსაც ხელს უწყობდა და უწყობს დამნაშავე რუსეთის ხელისუფლება და რაც მთელი სიცხადით გამოიკვეთა ბოლო წლებში და 2008 წელს, როცა რუსთა და ოსთა ბანდებმა გაანადგურეს ქართული სოფლები, გამარცხეს სახლები, წაასხეს პირუტყვი, დახოცეს მოსახლეობა. ათასობით ადამიანი დღეს დევნილობაშია თავის სამშობლოში და ელოდებიან დაბრუნებას.

უფრო აქტიურად უნდა ამოდრავდეს სახალხო დიპლომატია, როგორც ცხინვალში ისე სხვა დასახლებულ პუნქტებში. ოსმა მოსახლეობამ უკვე კარგად შეიგნო, რომ დამნაშავე კოკოევის (ვითომ კოკოითი) ხელისუფლება კარგს ვერაფერს მოუტანს, როგორც ოსებს ისე ქართველებს. ის და მისთანები მათ შორის იდეოლოგიები სასამართლოს წინაშე უნდა წარსდგნენ და აგონ პასუხი ქართველთა გენოციდზე.

შერიგება და დაბრუნება მოგვიტანს სიკეთეს.

ლიტერატურა:

1. ვახუშტი ბატონიშვილი, საქართველოს გეოგრაფია, წიგნი II, ქართლი, გამოცემა მოსე ჯანაშვილისა, ტფილისი, 1895;
2. გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილმა, თბ., 1962;
3. გიულდენშტედტი, გვ. 41 (იქვე);
4. Этнографический очерк кавказа об осетий и осетинах, сщставление Л. Чибирова, т, IV, Цхинвали, 1989;
5. В. Кузнецов, Аланская культура центрального Кавказа и её локальные варианты в V-XIII вв.;
6. В. Гамрекли, Двали и Двалети, Тб., 1961, стр. 77.

ASPECTS OF GEORGIAN-OSSETIAN RELATIONS

Nikoloz Otinashvili, Gori Teaching University, Associate Professor

RESUME

In various documents we can't find any identification between Alans and Ossetians (N. Lomouri). His conclusion are also supported by archeological data (N. Apkhazava). Generally Alans hadn't lived in Georgia till the 11th century.

The ethnic processes on the General Caucasus ended by turning Dvals into Ossetians. But tiponymy of Dvals are Georgian and has absolutely nothing to do with Ossetians. The changes from Georgian-Dvalians into Ossetian took place artificially e.g. Kasris Kari – Karaskom, Zekari – Zikara, Koshki – Kusjita and others. During the war, in August 2008 two Liakhvi Gorges were entirely destroyed by Russian-Ossetian armies and thousands of native inhabitants became refugees due to their ethnic origins. This problem can be solved only by public diplomacy.

მშვიდობისა და იმედის მწერალი (გურამ ოდიშარიას მინიატურები)

მარინე ტურავა

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ფილოლოგიის დოქტორი

ომამდელი და ომის დროინდელი სოხუმი წარმოუდგენელია გურამ ოდიშარიას პოეზიის გარეშე. იგი მარინისტი პოეტია, მის ლექსებში ტალღების ხმაური, თოლიებისა და მაგნოლიების გამუდმებული ჩურჩული, ნიჟარების იდუმალი ექო ისმის. ლექსში „ლურჯი საგალობელი“ პოეტი ამბობს: „ზღვაო, იქნებ ფერმა შენმა მეტი გვითხრას, ვიდრე გალობამ შენმა“. უსათაურო ლექსში კი: „შენ წვიმდი, წვიმდი და შენს ტოტებზე ისხდნენ ჩიტები და მდინარებდნენ შენი ტალღები, დიოდა ჩვენი საუბრების ლურჯი ხანძარი დიუნების მწყურვალეზაზე. შენ წვიმდი, წვიმდი, შენ გვესტუმრე ზღვის ქაფიდან და მინდვრის ყელიდან, როგორც შრიალი ოაზისების“ ან „და ფრინველივით ფრთებდაწურული ჩქარობდა მზერა... შემდეგ დნებოდა ზღვის ბაგეებზე შენი სხეული, ფრთხილად დნებოდა ზღვის ბაგეებზე შენი სხეული. და შენ იყავი ზღვა“ და ასე გამუდმებით. გურამ ოდიშარია ზღვის ორდენის რაინდია, ამ ორდენის ერთგული მსახურია დღესაც, სოხუმიდან შორს. იგი ნამდვილი სოხუმელია, თავისი ქართულ-აფხაზური სამეგობროთი, მოგონებებით, წარსულითა და აწმყოთიც. სადაც არ უნდა იცხოვროს და როგორც არ უნდა იცხოვროს, ყოველთვის ჭეშმარიტ სოხუმელად დარჩება.

„უკვე ორი წელია თითქმის, არ შევხვედრივართ ერთიმეორეს, სიზმრებში თუ გაილეჯებ ხოლმე და, ეს არის და ეს. იშვიათად – ტელევიზორში მოგკრავ თვალს, კიდევ – საფოსტო ბარათებზე, ხანაც – საოჯახო ალბომებში. როგორ ხარ, როგორ ცხოვრობ, რა გიჭირს, რა გილხინს? – ვის არ ვეკითხები შენს ამბავს – ადამიანებს, გაზეთებს, რადიოს... მომისაკლისებ თუ არა ხოლმე? თუ უკვე – ისე რა. ან სულაც აღარ გახსოვარ?!“ – ასე მწერალი მშობლიურ ქალაქს ესაუბრება, ჯერ სულ ორი წელია გასული, დღეს ჩვიდმეტი წლის მერეც ისიც და ყველა ნამდვილი სოხუმელიც ისევ შორიდან და ისევ ძალიან მშობლიური, ახლობელი ადამიანივით ეფერებიან თავიანთ ახლა უკვე ოცნების ქალაქს.

თბილისში დამკვიდრებულმა, დევნილმა გურამ ოდიშარიამ ელვის სისწრაფით გამოსცა წიგნი „დევნილთა უღელტეხილი“ /მზიანი შემოდგომის დიდებული დღეა, „მოკოლადის დღე“ ჩემთვის კარგა ხანია, ასე შევარქვი ზღვისპირეთის ასეთ დღეებს, ყანებში მწიფის სიმინდი, ეზოებში ღუის იზაბელა. მოკლედ, მოსავლის აღების ჟამია. სადამოს მზის ქვეშ ლურჯად ზიზზიმებს ზღვა“, ასე ხატოვნად და პოეტურად აღწერს წიგნში ავტორი სოხუმის დატოვების საბედისწერო დღეს/, პოეტური კრებული „სონატა სოხუმზე და შენზე“ და „სოხუმში დაბრუნება“. ეს უკანასკნელი იყო პირველი იმედის სხივი ჩვენს მრუმე, სასოწარკვეთილ ყოველდღიურობაში. გურამ ოდიშარიამ ისე ლამაზად და დამაჯერებლად გვითხრა: „ჩვენ სოხუმში გემით დავბრუნდებით. იქნება დილა ან შუადღე. დღე – ნათელი, ცა – უღრუბლო, ზღვა – ულურჯესი, წყნარი, მოალერსე. გემის თეთრზე თეთრი ფერი ციური ნათელივით აირეკლება ზღვის ზედაპირზე... გემი აუჩქარებლად მიადგება სანაპიროს. ბაგირით მიაბამენ გემს. დაბლა და დაბლა დაეშვება კიბე. შემოგვხვდებიან მეგობრები, მეზობლები, ნაცნობები, უცნობებიც კი, ყველანი... მათ უხარიათ, უხარიათ... ჩვენ დაგვხვდება ომამდელი სოხუმი და გვეკითხავს, როგორ ვგრძნობთ თავს.“

დიდებულად. დიდებულად. დიდებულად – ჩვენ ხომ უკვე სახლში ვართ!.. სოხუმში ვართ!..“ ომამდელი სოხუმი ყველა სოხუმელის ოცნებაა, რადგან, ვინც ამ ჩვიდმეტი წლის მანძილზე სოხუმში ჩავიდა და ქალაქი ნახა, ყველა სიხარულის ნაცვლად დარდმა მოიცვა. ისევე როგორც შვილი დადარდიანდება დიდი ხნის შემდეგ მოხუცი, დავრდომილი, უმწეო დედის დანახვაზე, მშობლიური ხელი და ზრუნვა რომ მონატრებია და მოკლებია კიდევ... ქალაქი ხომ პირველ რიგში მასში დასახლებული ადამიანები არიან, უქართველებო სოხუმი კი უსახური, უსიხარულო, ნაღვლიანი ქალაქია...

გურამ ოდიშარია არა მხოლოდ კალმით, არამედ პიროვნულადაც იბრძვის აფხაზებსა და ქართველებს შორის ხიდის აღსადგენად, ურთიერთობის გადასარჩენად. „დღეს ბევრი გამოდის ლოზუნგით, რომ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაა მნიშვნელოვანი. არადა, უმთავრესი მაინც ადამიანური მთლიანობის, ადამიანური ურთიერთობების აღდგენაა. ჩვენ კვადრატული მეტრებით დაბრუნებული აფხაზეთი კი არ გვჭირდება, არამედ პირველ რიგში, ადამიანმა ადამიანი უნდა დაიბრუნოს. სამწუხაროდ, პოლიტიკოსები ადამიანის ფაქტორს ვერ ხედავენ. ხედავენ მხოლოდ დიდ პოლიტიკას და რაღაც სქემებს“, - აცხადებს მწერალი.

ომმა მის ცნობიერებაში მშობლიური სახლის აღქმაც შეცვალა: „ომის შემდეგ ჩემს სახლში არ ვყოფილვარ და არც ვაპირებ იქ მისვლას, ვიდრე ყველანი არ დავბრუნდებით. სოხუმში ჩასვლამდე მოვიარე ჩრდილო და სამხრეთ კავკასია. ბევრი გაუბედურებული დევნილი ვნახე და მივხვდი ერთ რამეს - თუ ადამიანებმა საერთო ენა ვერ მოძებნეს, ჩემი სახლი სოხუმში მხოლოდ ქვიშა და აგურია ჩემთვის, რომელიც იდგა და იდგება. ბევრმა დაკარგა ომის დროს ქონება, მაგრამ ჩემთვის მთავარია სასაფლაოები და ხსოვნა არ დაიკარგოს. ჩემი აფხაზი მეგობარი მამაჩემის საფლავს პატრონობს. საფლავის ქვაც კი ადგილზეა. ეს უფრო ძვირფასია ჩემთვის“.

გურამ ოდიშარიას მინიატურები “ზღვისპირელი ბიჭის” ჩანაწერებია. ეს მინიატურები ჯერ კიდევ აფხაზეთის ომამდეა დაწერილი. ერთ-ერთი მათგანი “ანგელოზის ხმა” წინასწარმეტყველებაცაა. იგი მოგვითხრობს ზღვისპირა ქალაქში მცხოვრებ ერთ მეოცნებე მეთევზეზე, რომელსაც ზღვისგაღმა ქვეყნის ხილვა სურს და იქიდან დრო და დრო ანგელოზის ხმა მოესმის. “დროთა განმავლობაში თვალის ფერიც კი შეიცვალა მებადურს – ლურჯი გაუხდა. არავის გაკვირვებია ეს გაგუმში, რადგანაც იგი ხომ რიჭრაჟიდან ბინდბუნდამდე და, შესაძლოა, სიზმარშიაც მუდამ ზღვას ხედავდა.” ერთ მშვენიერ დღეს მებადური მოზრდილი ნავით აღთქმული ქვეყნისაკენ გაეშურა, გზადაგზა მწვანეაფრიანი, ყვითელაფრიანი, ზღვისფერაფრიანი ნავები გაანადგურა და თავადაც ძალაგამოლეული ძლივს მიაღწა ოცნების ქალაქს, ანგელოზის ხმა ძლიერდებოდა. “განცვიფრებამ კაცს ფართოდ, ტკივილამდე გაახელინა თვალები – იცნო ქალაქის შუაგულში მდგარი უზარმაზარსათიანი თეთრი კოშკი...” მებადური ისევ გაგუმს მიაღწა, მისი ერთადერთი ქალაქი ამქვეყნად, ერთადერთი ნავთსაყუდელი და ოცნება გაგუმი იყო, ანგელოზის ხმაც ამ ქალაქიდან ესმოდა... ამდენი ბრძოლაც გაგუმში დასაბრუნებლად დასჭირდა...

“ზავშვობაზე დადიდებული თვალებით და ჩაკირკიტებით წერა მუდმივი მტკიცებაა, მართლა არსებობს სადმე სამოთხე თუ არა” (რეზო ინანიშვილი). გურამ ოდიშარიასათვის მიწიერი სამოთხე – სოხუმია, მისი კანუდოსი მუდამ აქ იყო, მაშინაც კი, როცა ქალაქს არანაირი საფრთხე არ ემუქრებოდა და ქართველი აფხაზთან ერთად მშვიდობიანად ცხოვრობდა. შეიძლებოდა იმიტომაც, რომ იგი გულისგულში, მწერლური ინტუიციით მაინც გრძნობდა მოსალოდნელ საფრთხეს. “მუსიკა” გურამ ოდიშარიას ერთ ზავშვობისდროინდელ მოგონებას ეძღვნება. ბიძასთან რუსეთში ჩასულ “ზღვისპირელ ბიჭს” მოწყენას მეზობელი შენობის მეცხრე სართულიდან მომავალი ვიოლინოს გამუდმებული ხმა უქარვებდა. მაშინ ზავშვური ფანტაზიით წარმოიდგინა, რომ მუსიკოსი კონსერვატორიის სტუდენტი იყო – “იგი ახალგაზრდა უნდა ყოფილიყო. არა, ნამდვილად არ შეეძლო სხვას ასე თამამად და ლაღად, მგზნებარედ დაკვრა.” ათი წლის შემდეგ, ბიძასთან ხელმეორედ ჩასულს სხვა მუსიკა დახვდა – “ჩემი ზავშვობის მევიოლინე სამგლოვიარო მელოდიას ამუშავებდა, სწორედ ისეთს, რომელსაც პანაშვიდებზე უკრავენ დაქირავებული, ხშირად გალოთებული მუსიკოსები.” ამ მინიატურამ ედგარ პოს “ზარები” გამახსენა. ამ ლექსში პოს მუსიკალურობა უმაღლეს მწვერვალს აღწევს, იგი შილერის “ზარების” მიბადვით დაიწერა. პოეტი ზარების ხმის ოთხი რიტმით გამოხატავს ადამიანის სიცოცხლის ოთხ საფეხურს. პირველ ნაწილში ზარების რიტმით არის გადმოცემული სიცოცხლის განთიადის შესაფერისი მხიარული ემოციური განწყობილება. მეორეში ადამიანის საქორწილო ასაკისათვის დამახასიათებელი ჰარმონიული ხმები ისმის. მესამე ნაწილში უკვე მოისმის საშინელი ხმები ხანძრისა, რომელიც ნთქავს და ანადგურებს ყველაფერს, რაც ადამიანს შეუქმნია. ლექსის მეოთხე ნაწილი აღსასრულის მომლოდინე შიშისა და საფრთხის ზარია. “ზარები” პოს უკიდურეს პესიმიზმს გამოხატავს, თუმცა ადამიანის ცხოვრების სხვადასხვა ეტაპს ზუსტად გამოყოფს. როგორც ჩანს, უცნობ მუსიკოსს ცხოვრების მესამე ეტაპი დაუდგა, რაც კიდევ უფრო გაამძაფრა ჩვენი მეზობელი ხალხისათვის დამახასიათებელმა საყვარელმა გატაცებამ თუ სენმა.

“მიხა” უცნაურ ბერიკაცზე მოგვითხრობს, რომელსაც არც ცოლი ჰყოლია ოდესმე და არც შვილი. ახალგაზრდობა უცხო ქვეყნებში ხეტიალს შეაღია, სიბერეში კი ზღვის სანაპიროზე დასახლებული ჯერ ერთ წიგნს კითხულობდა, შემდეგ კი ამ წიგნის ფურცლებში გამოხვეულ თუთუნს ეწეოდა. სიკვდილის წინ უსარკმლებო და უკარებო ქოხი აიშენა, რომელიც შემდეგ ბერიკაცის უკანასკნელი ძვალთშესალაგი გახდა – “ბევრი იფიქრეს, იკამათეს მეზობლებმა და

მოკეთებმა, და, ბოლოს, კარგა ხნის ჭოჭმანის მერე, ასე გადაწყვიტეს – ჩაასვენეს – საკუთარი ხელით მოჯორთილ სახლში და ასე მიაბარეს მისივე ხაია და ჟვერმოდალეზული – ეზო-კარის მიწას.” მთელი თავისი ავლა-დიდება და ქონება ბერიკაცმა თან წაიღო, ერთადერთი საყვარელი წიგნი თუთუნის ქაღალდად დაშალა, სახლი კი სამუდამო სადგომად ექცა...

“უდაბნო” გზააზნეულ ადამიანებზე მოგვითხრობს, დღესაც გამოსავალს რომ ეძებენ. თავიანთ გზაზე მიმავალნი რამდენჯერმე შეხვდნენ ერთმანეთს უდაბნოს ხრიოკში, როცა დარწმუნდნენ, რომ აქიდან ვერ დააღწევდნენ, ჩამოსხდნენ ერთად, “ამბობენ, დღესაც იქ სხედანო”. შექსპირი სამყაროს უდაბნოს ეძახის ტრაგედიებშიც, პოეზიაშიც (“ამ უდაბნოში ხატად დამაქვს შენი ცოდვები და მორჩილი ვარ შენი ერთი გადმოხედვისა.”) უდაბნო ქართულ პოეზიაში, განსაკუთრებით გალაკტიონთან მარტოობის სიმბოლოა («ჩემს სამშობლოში მე მოველე მხოლოდ უდაბნო ლურჯად ნახავრდები»). გურამ ოდიშარიასათვის უდაბნო ზღვის ანტიტეზაა. უდაბნოდან დაღწევა ყველას უნდა, ზღვიდან წასული კი გამუდმებით მისკენ მისწრაფის და საბოლოოდ ისევ ზღვას უბრუნდება.

“ხუროთმოძღვარი” მეფის უმადურობაზე გვიამბობს, “ხმა” ხელოვანის გაკერპებაზე, «კედელი» უფლის მომლოდინე ბერზე და ა.შ... თითოეულ მინიატურას თავისი გამოკვეთილი სათქმელი და მორალი აქვს. გურამ ოდიშარია ამ მინიატურებშიც ზღვის ორდენოსნად რჩება, უფრო მეტიც ზოგიერთ მინიატურაში ზღვა თითქოს პერსონაჟიც კია, ზოგიერთში გმირების ცხოვრების განმსაზღვრელი.

ამ მინიატურების დაწერის შემდეგ გურამ ოდიშარია, როგორც პროზის ავტორი კიდევ უფრო დაოსტატდა, დღეს მის კალამს არც მოთხრობა ეუცხოება და არც რომანი, მაგრამ ამ მინიატურებში არის უმთავრესი, რაც მწერლის შემოქმედების გამორჩეულ, ორგანულ ნიშნად იქცა – მის პროზაში ჰარმონიულად ერწყმის ერთმანეთს გრძნობა და გონება, რაციონალური და ირაციონალური, სულისმიერი და გონისმიერი და ამ ყველაფერს ადამიანის დიდი სიყვარული კრავს, აერთიანებს. პროზაიკოს გურამ ოდიშარის ენა პოეტურია. მის პროზაულ ნაწარმოებებში, პოეზიის მსგავსად, ზღვის ტალღების ხმაური, თოლიებისა და მაგნოლიების გამუდმებული ჩურჩული, ნიჟარების იდუმალი ექო ისმის... იგი მარინისტია პოეზიაშიც, პროზაშიც...

და კიდევ... ამ მინიატურების წაკითხვამ კიდევ ერთხელ გამიჩინა იმედი, რომ იმ გაგუმელი მეზადურივით, ადრე თუ გვიან, მწვანეაფრიანი, ყვითელაფრიანი, ზღვისფერაფრიანი ნავეების დამარცხებისა და უამრავი წინააღმდეგობის გადალახვის შემდეგ, აუცილებლად ჩავალთ აღთქმულ მიწაზე, ჩვენს კანუდოსში, აუცილებლად გავიგებთ ანგელოზის ხმას და დავინახავთ “ქალაქის შუაგულში მდგარ უზარმაზარსათიან თეთრ კოშკს”. “აქ ზოგს მუხლები უმტყუნებს, აუკანკალდება, თვალები ცრემლებით აევსება, მოაჯირს ისეთი ძალით ჩასჭიდებს ხელს, რომ თითებში სისხლი გაეყინება. რა გასაკვირია, ჩვენ ხომ უკვე სოხუმში ვართ. დაბრუნებამ იცის ასე” (“სოხუმში დაბრუნება”).

გურამ ოდიშარია იმედის მწერალია.

„ჩვენ ვცხოვრობთ ზეპოლიტიზირებულ სივრცეში, სადაც ცოტა ადგილი რჩება ადამიანური ურთიერთობისთვის, რაც ჩვენ და აფხაზებს უწინ განსაკუთრებით ბევრი გვქონდა. ბევრი ამბობს, სიძულვილი აქვთ აფხაზებსო. ეს არ არის სიმართლე. როცა იქ ჩადიხარ და ეკრანსა და გაზეთებს მოიშორებ, მხოლოდ ურთიერთობები რჩება. აფხაზეთის პირველი ლედი ქართველია - შონია. ესეც დიდი რესურსია. ადამიანური ურთიერთობების კარი არასოდეს იხურება. ჩვენ არა მარტო კულინარია გვაქვს ერთი, ჩვენი სიმღერები და ცეკვებიც ძალიან ჰგავს ერთმანეთს, ჩვენი მსოფლმხედველობაც საერთოა, ანუ ერთნაირად ვაფასებთ ვაჟკაცობას, სიყვარულს და ერთგულებას. აფხაზებს არ შეუცვლიათ თავიანთი აფსუარა, ანუ დაუწერელი ზნეობრივი კანონი“.

გურამ ოდიშარია მშვიდობის მწერალია.

ლიტერატურა:

1. გურამ ოდიშარია, მინიატურები, ჟურნალი „ჩვენი მწერლობა“, 14 მაისი, 2010;
2. გურამ ოდიშარია, სოხუმში დაბრუნება, თბ., 1994;
3. www.humanrights.ge;
4. www.radiotavisupleba.ge

GURAM ODISHARIA – THE WRITER OF PEACE AND HOPE SUMMARY

Marine Turava, Sokhumi State University, Doctor of Philology

RESUME

Sukhumi before the war... It is impossible to imagine this town without an art of Guram Odisharia. There is sound of sea-waves, whisper of seagulls and shells.

Living in Tbilisi, refugee G. Odisharia published many books, such as: "The Pass of Refugees", "Coming Back to Sokhumi".

It's known that there is necessity to have some distance to realize problem and reflect it in prose. Emotions must be soft, distant.

G. Odisharia writes quickly, but there is not hate. He is a hope poet.

After writing the book, Guram Odisharia became a great master of Georgia prose. Nowadays, he writes novels and short stories.

The Journal "Chveni Mtserloba" published his short texts written before the war (1992-1993) - „The Notes of a Boy Living at Seaside”. They reflect the main organic idea of Odisharia's artistic heritage - there is an alliance of mind and sense and everything is united with great love.

The language of G. Odisharia is very poetic. As we have already said, we can hear the nicest sounds – the voices of shells, waves and seagulls, whisper of magnolias.

Odisharia is a Marinist poet (Marinist in prose and poetry).

Odisharia is struggling to rebuild a bridge between Georgian and Abkhazian people.

„I have not been at home after the war and I am not going to return until we all do not come back there.

Before returning, I've been in North and South Caucasus, and there I saw a lot of unhappy refugees, and I understand - if people do not find a common language, my native home will be sand and blocks only.

Lots of people have lost their own homes but I think that we must not lose cemetery and memory - that is most important.

My Abkhazian friend saves my father's grave. The stone is saved as well as it is most important for me"...

აფხაზეთის ტრაგედია გურამ ოდიშარიას თვალთახედვით

შორენა შავრეშიანი, ხატია დადალაური

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი,

მაგისტრატურის სწავლების პირველი წლის სტუდენტები

ხელმძღვანელი: მარიამ მირესაშვილი, სრული პროფესორი

აფხაზეთი ჩვენი საერთო ტკივილია. ეს ის პრობლემაა, რომელიც ყველა ქართველს ერთნაირად აღელვებს. ეს არ არის კერძო, პირადული ტრაგედია, არ ეხება მხოლოდ აფხაზეთიდან დევნილ ხალხს, არამედ თითოეულ ქართველს, ვინც შეისისხლობრცა და გააცნობიერა, ვისაც ეტკინა მოკვეთილი საკუთარი მარჯვენა სოხუმის სახით. ეს კუთხე მთელი ქართველი ერის ფასდაუდებელი დროებითი დანაკარგია.

„აფხაზეთის ტრაგედია – ესაა ღია ჭრილობა საქართველოს სხეულზე და ნურავის ეგონება, რომ დრო გავა და იარებიც მოშუშდება. საქართველო განიკურნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აფხაზეთი კვლავ იქნება მის შემადგენლობაში. ქართველი ერი არასოდეს შეურიგდება იმას, რომ საქართველოს ჩამოაშორონ აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი, – ქადაგებს ჩვენი პატრიარქი [5].

ჩვენ – ქართველები და აფხაზები – არამხოლოდ ტერიტორიულად ვართ ერთად, არამედ საუკუნეების განმავლობაში ერთ სახელმწიფოს ვაშენებდით, ერთად ვაშენებდით ეკლესია-მონასტრებს და ერთმანეთს მხარში ვედექით. ახლაც ძველი შემართებით უნდა აღვადგინოთ ტერიტორიული მთლიანობა. უამრავი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა ამ ომმა და სწორედ იმ თავდადებული ხალხის სახელით, ჩვენ ცოცხლებმა უნდა დავიბრუნოთ ერთმანეთის სიყვარული, ჩვენ უნდა გავაღწიოთ იმ ნაჭუჭიდან, რომელიც რეალობისგან თავის დასაცავად ჩვენვე გამოვიგონეთ. საკუთარ თავში ჩაკეტილები, მხოლოდ საკუთარ პრობლემებზე ვართ ორიენტირებულნი და ვერ გავგვიხედავს სინამდვილისთვის თვალის გასწორება, გვეშინია მომავალთან შეხვედრის. ბუნებრივია, გაურკვეველობა გვაშინებს, მომავლის მონახაზებიც არ გვაქვს და სწორედ ეს გვიბნევს თავგზას, მაგრამ ძალა და

გამბედაობა უნდა მოვიკრიბოთ, ერთმანეთის გვერდზე დავდგეთ, თვალეზში ჩავხედოთ და დახმარების ხელი გავუწოდოთ ერთმანეთს.

აფხაზეთის თემა მრავალი მწერლის შემოქმედებაში აისახა. ეს მწარე ტკივილი თითოეულმა მათგანმა თავისებურად გაითავისა და ქალაქზე გადმოიტანა. მათმა უმრავლესობამ აფხაზეთის ტრაგედია უშუალოდ განიცადა და ყოველივე ამან, როგორც მათ ცხოვრებაში, ასევე შემოქმედებაში წარუშლელი კვალი დატოვა. მათ შორის უპირველესად უნდა დავასახელოთ აფხაზეთიდან დევნილი მწერალი გურამ ოდიშარია. სოხუმის დაცემის შემდეგ უღელტეხილით გადმოვიდა. ამჟამად მხატვრული პროზაა მისი მოღვაწეობის არეალი. მისი წიგნი „სოხუმში დაბრუნება“, რომელიც ხუთჯერ გამოიცა, ქართველებსა და აფხაზებს შორის მოლაპარაკებების ერთ - ერთ საფუძვლად იქცა. გურამ ოდიშარიას სჯერა, რომ ადამიანური ურთიერთობის კარი არასოდეს იხურება.

იგი დღემდე მტკივნეულად განიცდის აფხაზეთის თავზე დატრიალებულ ტრაგედიას და მის შემოქმედებაშიც სწორედ ეს თემა სჭარბობს. მას ძალიან ადარდებს ის პრობლემა, რომ აფხაზეთის დასაბრუნებლად ჯერ ერთი ნაბიჯიც არ არის გადადგმული, მწერალი ყველაფერს ადამიანებს შორის გაჩენილ უნდობლობას აბრალებს და თვლის, რომ სანამ ნდობას არ დავებრუნებთ, პრობლემა არ მოგვარდება, პირიქით უფრო მასშტაბურ ხასიათს მიიღებს: „ეს კონფლიქტი უკვე იმ ხანძარს დაემსგავსა, რომელიც მცირე ზომის კოცონიდან უზარმაზარ ხანძარში გადაიზარდა და ტყეს მოედო. ჩვენი კონფლიქტი გასცდა ვიწრო მასშტაბს და პლანეტარული მნიშვნელობის გახდა. არსებობს ათეულობით კონცეფცია, მათზე უამრავი დრო, ადამიანის შრომა და ფული დაიხარჯა, მაგრამ ვერცერთი ვერ მუშაობს, რადგან მხარეებს შორის ნდობა არ არსებობს... თუ ადამიანები ისევ სიძულვილითა და შიშით შეხედავენ ერთმანეთს, ხელმოწერილი საბუთები ქალაქის ნაგლეჯებად დარჩება. ჯერ ვერ ვხედავ სივრცეს იმისთვის, რომ ხალხებს ერთმანეთთან მისასვლელი გზების გამოძებნა გაუადვილდეთ“, – აღნიშნავს მწერალი ერთ-ერთ ინტერვიუში [4].

„... ზღვა, როგორც ბედისწერა – ეს ფრაზა საქართველოში ერთადერთ მწერალზე შეიძლება თქვა და ეს მწერალი გურამ ოდიშარიაა“, – წერს კრიტიკოსი ნატო კორსანტია [6]. მისი სახელი აფხაზეთთან განუყოფელია. მიუხედავად იმისა, რომ ზღვა მისთვისაც შორია, იგი კვლავაც აფხაზეთით ცხოვრობს. გურამ ოდიშარიას მოთხრობების გმირები არიან ის ადამიანები, რომელთაც აფხაზეთის ბედი, აფხაზეთის ტრაგედია აერთიანებთ. მათ უდიდესი სულიერი და ფიზიკური ტანჯვა გამოიარეს. რთულია, ემოციების გარეშე წაიკითხო აფხაზეთიდან დევნილი მწერლის ნაწარმოებები, თითოეული სტრიქონი აღსარებას ჰგავს საკუთარი თავის, ხალხისა თუ სამშობლოს წინაშე.

გურამ ოდიშარიას მოთხრობების უმრავლესობა ზღვის ჰაერით სუნთქავს, ზღვის სუნიით არის გაჟღენთილი. ეს, საოცარი სისადავითა და სრულიად მარტივი ლექსიკით დაწერილი მოთხრობები, თითოეულ მკითხველში ძლიერ ემოციებს აღძრავს. მწერალი, თავის გმირებთან ერთად, უშუალოდ განგვაცდევინებს ყოველივე იმას, რაც მათ გარშემო ხდება. ჩვენც ამ მოვლენების თანამონაწილედ გვაქცევს.

გურამ ოდიშარიას ნაწარმოებებში იკითხება ავტორის პიროვნება, მისი იდეალები, მრწამსი, მისი ფიქრი და ოცნება, სიხარული და ტკივილი. იგრძნობა ავტორის ძლიერი, ღრმა, წრფელი ემოციები. ნაჩვენებია ომის, წუთისოფლის ორომტრიალში ადამიანის მორალის, მისი ზნეობრივი ხატის, სულიერი ღირებულებების, სიყვარულის, ნდობის, მეგობრობისა და ძმობის რყევისა და რღვევის შედეგები.

ომში მიღებულმა გამოცდილებამ დიდი გავლენა იქონია გურამ ოდიშარიას მსოფლმხედველობაზე. როდესაც ქართველები და აფხაზები ერთმანეთს დაერივნენ და ძმათა სასაკლაოები მოაწყვეს, ის პირდაპირ უშეზღვევად სიკვდილს, ხედავდა თუ რამდენად დაუნდობელი იყვნენ ადამიანები ერთმანეთის მიმართ, როგორი ცინიზმით ეპყრობოდნენ ისინი ყველაზე მნიშვნელოვანს ამქვეყნად – სიცოცხლეს. მან დაწერა ავტობიოგრაფია ადამიანებისა, რომლებიც ომის უკუღმართობის მსხვერპლნი გახდნენ და რომელთაგანაც, მხოლოდ ნაწილი გადაურჩა ფიზიკურ განადგურებას, მაგრამ უდიდესი სულიერი ჭრილობებით გამოვიდა ამ სასაკლაოდან.

„უნდა დაისაჯოს ყველა ის ადამიანი, რომელმაც მიწა შემოფარგლა და თქვა ჩემიაო, რადგან სწორედ მიწაა, ომის გამომწვევი მიზეზი“, – წერს ჟან-ჟაკ რუსო [7].

გურამ ოდიშარიას ნაწარმოებებში ნაჩვენებია ომით გამოწვეული პიროვნული და განზოგადებული ტრაგედია. ასახულია ომით იავარქმნილი ქვეყანა, გაუბედურებული ადამიანის განცდები, ცხოვრება, დანგრეული ურთიერთობები. „ომმა არ იცის გამარჯვებული და დამარცხებული. ომი ომია. აუხსნელი საშინელება...ომს თავისი დრო აქვს, მშვიდობას – თავისი. ორივე მორიგეობით გვესტუმრება ხოლმე“ [1, 142].

ნაწარმოების „გამარჯობა, სოხუმო“, ძირითადი თემაა ომი და ადამიანის ბედ-იღბალი. ავტორი ერთმანეთს უნაცვლებს თავის მოგონებებსა და ომის კონკრეტულ სურათებს, რომელიც მის ემოციურ ხსოვნას შემოუნახავს. „უკვე ორი წელია თითქმის, არ შევხვედრილვართ ერთიმეორეს, სიზმრებში თუ

დაიღვებ ხოლმე და, ეს არის და ეს. იშვიათად – ტელევიზორში მოგვრავ თვალს, კიდევ საფოსტო ბარათზე, ხანაც – საოჯახო ალბომში“ [1, 3]. მწერალი ცდილობს ამით ინუგეშოს თავი, თუმცა სანუგეშოდ რომ არაფერია, რადგან მათი ერთად ყოფნის უკანასკნელი ჟამი შემზარავად შემორჩა მეხსიერებას: გადაბუგული ქალაქი, ცეცხლწაკიდებული ცა, გადაშვარი ხეები და ყვავილები, დასახიჩრებული ადამიანები, ამპუტირებული „ხელებისა და ფეხების სასაფლაო“, ლამის საყასბოსთან გაიგივებული.

მწერლისთვის აფხაზეთში განსახიერებულა ყველა სიკეთე, სულიერი ოაზისი, ჰარმონიულობის სიმბოლო: “შენ ჩემთვის მარტო მშობლიური ქალაქი როდი ხარ, ან მამისა და შვილის საფლავი, ან წინაპართა ძვალშესალავი, ანდა წარსული. სამივე ჟამი ბრუნავს შენში“ [1, 5].

მწერლისთვის მტკივნეულია იმის გაცნობიერება, რომ მშობლიური კუთხისკენ სავალი გზა ვერაფრით შეუშოკლებია, ათასგზის და ათასჯერ ცდილობს შინ დაბრუნებას, მაგრამ არც ერთ გზას არ მიჰყავს სახლამდე, თუმცა იმედს არ კარგავს, რომ ოდესმე მაინც მიაღწევს „უხილავ მნათობზე უფრო შორს ჩაკარგულ სოხუმამდე: „ვბრუნდები, უსასრულოდ ვბრუნდები შინისკენ, მაგრამ არც ერთ გზას არ მივყავარ შინისკენ. უსიერში არ ჩანს მშობლიური სახლი“ [1, 5].

მწერალს მხოლოდ სიზმრად ნანახი არ აკმაყოფილებს და ცდილობს, აფხაზეთი უფრო ცხადი, ხელშესახები გახადოს, ამიტომაც ძილის წინ, ცხადსა თუ სიზმარში სოხუმის ქუჩებში დაეხეტება, ივსება ღვთაებრივი მადლით, სიმშვიდე ეუფლება მის მშფოთვარე სულს და მის მსგავსად, სოხუმის ქუჩებში მოფუსფუსე სოხუმელებს ხვდება. ისინი იმ სოხუმში ბრუნდებიან, სადაც დენტის სუნი არ ტრიალებს, სადაც ადამიანები ერთმანეთს უფრთხილდებიან, ერთმანეთი უყვართ; ბრუნდებიან მაშინ როდესაც „ომი ისვენებს“.

განსაკუთრებული ემოციურობით გამოირჩევა მოთხრობა „ომის თამაშობებიდან“. შეუძლებელია გულგრილი დარჩე იმ პატარა ბიჭისადმი, რომელიც მართალია, სულ რაღაც ხუთიოდე წლის არის, მაგრამ პატრიოტიზმი სულსა და გულში აქვს გამჯდარი, სამშობლოს სიყვარული თხემით ტერფამდე შეუსისხლხორცებია და დამარცხებული სოხუმის შემყურე, იმედს მაინც არ კარგავს და მტრის მხარეს გადასვლა წამითაც არ უფიქრია, თუნდაც მისი ბავშვური ლოგიკის გამო: „ვთავაზობ ბიჭს: მოდი, მე ვიქნები ქალაქი, შენ „დაბომბვა“ – მეთქი. მაგრამ არა, არაფრით თმობს. სოხუმი უნდა იყოს, თუნდაც დამარცხებული, მაგრამ მაინც სოხუმი“ [1, 38].

ომი, უმეტეს შემთხვევაში, ბავშვების ჩვილ და სუსტ ფსიქიკას აზიანებს, ისეთ დაღს ასვამს, რომ მთელი ცხოვრების მანძილზე ტრამვირებულნი, იშვიათად თუ ახერხებენ იმის წაშლას, რაც მათმა ბავშვურმა გონებამ შემოინახა. გურამ ოდიშარას მოთხრობაში „ტანკი“, პატარა არჩილის მომავალი არ არის აღწერილი, მისი შემდგომი ცხოვრების შესახებ არაფერი ვიცით, ის ჯერ მხოლოდ ოთხი წლის არის, მაგრამ ალბათ, ძნელი წარმოსადგენი არ არის, რა ტკივილიანი იქნება იმ ადამიანის ცხოვრება, რომლის პირველი სიტყვა იყო „ტანკი“: „ამას წინათ, გამაცნეს არჩილი. ის ოთხი წლის ბიჭია. მისი ოჯახი უღელტეხილზე რომ გადადიოდა, ერთი წლის იყო. სწორედ უღელტეხილზე ამოიდგა ენა. ბიჭი „ბეემპეით“ – ფეხოსანთა საბრძოლო მანქანით გადმოჰყავდათ. „ბეემპეს“ ხშირად ტანკადაც იხსენიებენ ხალხში. არჩილის პირველი სიტყვაც სწორედ „ტანკი“ იყო“ [2, 74]. აი, ასეთი მცირე, მაგრამ ამავდროულად შთამბეჭდავი და სულის შემძვრელია პატარა არჩილის ამბავი. ავტორი სულ რამდენიმე სტრიქონით გადმოგვცემს ომის მანკიერ მხარეებს, იმ საშინელებას, რაც აფხაზეთში დატრიალდა და თითოეულ ქართველს მოუშუშებელი ჭრილობა დაგვიტოვა.

როდესაც გურამ ოდიშარიამ სოხუმის თემაზე დაწერილი მოთხრობების გამოცემა გადაწყვიტა, სათაურის შერჩევაზე დიდხანს უფიქრია: „როდესაც უკვე გამოსაცემად ვამზადდები, ჩემს თავს ვეკითხებოდი, რა სახელი შემერჩია. სწორედ ამ დროს ერთი ლტოლვილი შემხვდა, რომელმაც საკუთარ თავზე მიაშბო. ომის დამთავრების შემდეგ, მთელი ორი წელი ვერ იძინებდა თურმე, მაგრამ საოცარი მედიტაციისთვის მიუგნია, რის მეშვეობითაც კარგად იძინებდა. რომ ვკითხე, როგორ მოახერხე–თქო, მან მიპასუხა, ძილის წინ, რომ დავწვები, წარმოვიდგენ, რომ სოხუმში მივდივარ, დავდივარ მთავარ ქუჩაზე, შევდივარ ყავის დასალევად, სადაც ძველ ნაცნობებს ვხედავ, მერე რესტორან „ამრაში“ ავდივარ, იქ შამპანურს დავლევ მეგობრებთან ერთად, გავყურებ ზღვას და ამასობაში მეძინება კიდევო. ეს კაცი სოხუმში ამგვარად „დაბრუნდა“, თორემ ვერც პოლიტიკამ და ვერც ხელისუფლებამ ვერ დააბრუნა იგი“ [4]. ასე დაიბადა მოთხრობების კრებულის სახელი „სოხუმში დაბრუნება“. გურამ ოდიშარიც, მიუხედავად მრავალწლიანი იმედგაცრუებისა, რწმენას არ კარგავს და გულწრფელად სჯერა, რომ დადგება დრო და ყველა ერთად სოხუმში დავბრუნდებით. არამარტო ფიქრებით და ოცნებებით, არამედ რეალურად, ფიზიკურად. სოხუმიდან გამოგდებულ ადამიანს კი უკან დაბრუნების გზები სხვადასხვაგვარად ესახება და ყოველ დილას იმ იმედით ეღვიძება, რომ ამ დღეს დადგება ის სანატრელი წამი, როცა ეტყვიან „სოხუმში ვბრუნდებით“: „მე და ჩემსავით მარად მზადმყოფი ხალხი ველოდებით, რომ სწორედ და მაინცდამაინც დილით გამოგვიცხადებენ ასე – დღეს სოხუმში უნდა გაემგზავრო! მგზავრობა იქნება გემით მოგვიხდეს, იქნებ – მატარებლით, იქნებ – მანქანით ან სულაც თვითმფრინავით;

ვინ იცის, ორმოციანი წლების პიონერივით ნებისმიერი ვარიანტისთვის, ნებისმიერ დროს მზად ვარ და თანაც მარად“ [2, 56]. მწერლის სოხუმში ზღვითა და ხმელეთით დაბრუნების მცდელობას, წინ ელოდება ხელოვნური თუ ბუნებრივი დაბრკოლებანი. ავტორის მიზანი აფხაზეთში დაბრუნებაა, მიუხედავად იმისა, რომ „არ ჩანს ჯერჯერობით მიწა“ და „ აეროპორტამდე ჯერ კიდევ მილიონი კილომეტრია“, ავტორი არ ეპუება დროს, ვითარებას, ხელოვნურად თუ ბუნებრივად ატეხილ ხელისშემშლელ ფაქტორებს და მაინც წინ მიიწევს. მას სჯერა, რომ მანძილი შემცირდება და გემსაც შეიყვანს ნავსადგურში და მის ეკიპაჟსაც. სწორედ ამაზე მიუთითებს მისი სულიერი სიმშვიდე და უდრტვინველობა. როგორც დიდოსტატი კონსტანტინე ამბობს, თუ ადამიანს რწმენა აქვს, უძლეველია. ავტორიც უძლეველია და ახდენს ჰემინგუეის შეხედულების კონსტატირებას: „ადამიანი შეიძლება მოკლა, მაგრამ მასზე ვერ გაიმარჯვებ“ [8]. მართლაც, შეიძლება ადამიანს წაართვა სახლი, ოჯახი, წინაპართა საფლავები, მაგრამ თუკი სულიერ წონასწორობას და ზნეობრიობას შეინარჩუნებს, მას ვერ დაამარცხებ.

მწერლის თქმით, სოხუმში ყველგანაა, სადაც სოხუმელია. თბილისშიც სოხუმია. თამამად შეიძლება ითქვას, რომ სოხუმში, არამარტო იქ არის, სადაც სოხუმელია, არამედ სოხუმში მთელ საქართველოშია, ყველა ქართველის გულშია, განურჩევლად იმისა, თუ საქართველოს რომელ კუთხეში ანთია ქართველის გული.

როდესაც ვსაუბრობთ გურამ ოდიშარიას შემოქმედებაზე და ომის თემატიკაზე, ძნელია გვერდი ავუაროთ ნაწარმოებს „დევნილთა უღელტეხილი“, რომელიც ერთგვარი დამლა განცდათა და ფიქრთა სისხლიანი ჭიდილისა, თანამდევნი ყოველი სულიერისა, ვინც სოხუმში სწორედ ამ უღელტეხილით დატოვა თუ ვერ დატოვა. ნაწარმოების დასაწყისშივე ცხადი ხდება მკითხველისთვის, თუ რაოდენ მძიმე იყო ამ გზის, ამ გოლგოთის დაძლევა, რომელსაც განეზარაბა სულიერად და ფიზიკურად გამოეცადა ყველა: დამნაშავე თუ უცოდველი, მდიდარი თუ უპოვარი. „უღელტეხილი ბევრად ადრე დაიწყო, უფალო, ვიდრე მასზე შევდგი ფეხი... და ეს მერამდენე საუკუნეა, რაც მე და შვილი ჩემი, მშობელი ჩემი, ძვირფასი ადამიანები, ცოცხლებიცა და გარდაცვლილებიც, ისინიც კი, რომლებიც აწი უნდა დაიბადონ, ყველანი ერთად მივაბიჯებთ უღელტეხილზე, მივაბიჯებთ უხმოდ, თოვს, ყინავს, როგორ დაიღალა სხეული და როგორ მოიქანცა სული, გულისთქმაც გაქრა თითქოს სადღაც, არადა მივაბიჯებთ და მივაბიჯებთ ჯიუტად და ერთგულად, გზას კი არ უჩანს ბოლო... შენ უშველე ყველა დევნილს, შენ დაიფარე ყველა გაჭირვებული, მამავ ჩვენო, ნათელო დიადო, რწმენავ“ [1, 63].

რა შეიძლება ეწოდოს ამ გზას? – ეს არ იყო უზრალო უღელტეხილი მთელი თავისი სიძნელებით: ზოგიერთისთვის ეს იყო გზა, ყოფიერების დასასრულისა, ზოგისთვის ახალი ცხოვრებისკენ ლტოლვისა, თვითმყოფადობის შენარჩუნების, წარსულის დროებით მიძინებისა და მომავლის იმედით მხერისა, რომელმაც მიძინებული წარსულის გაუღვიძებლად თითოეული ეს ადამიანი ვერ მიიღო. „აქ სულიერ უღელტეხილზეა საუბარი. წლების განმავლობაში არ მტოვებდა დიდი საფრთხისა და შიშის გრძნობა. ტყვიების ზუზუნისა და ბევრისათვის საბედისწერო გზის გავლის შემდეგ თბილისში სიბნელე, შიმშილი, სიცარიელე, გაჭირვება, უბედურებას უბედურება მოსდევდა. რატომღაც მგონია, რომ ახლაც კი ჩვენ გაყინულ, სიკვდილჩასაფრებულ გზას ვადგავართ“ [1, 5].

მწერლისა და მისი თანამედროვე ადამიანებისათვის, რომლებიც საკუთარ ქვეყანაშივე დევნილებად იქნენ, მთავარი აღმოჩენა ის არის, რომ ომი, მისი მონაწილისათვის, გარკვეულწილად, არასოდეს მთავრდება და ადამიანური სისასტიკე შლის ზღვარს ომსა და მშვიდობას შორის. სწორედ ამიტომაც, დაქანცულნი, თანამდევნი კომმარული სინამდვილით, ცდილობენ დაემალონ არამარტო არსებულ სინამდვილეს, არამედ საკუთარ თავსაც და ეძებონ თუნდაც პატარა ნაჭუჭი, სადაც ვერ მიაგნებთ ჟამთა სიავს.

მიგვაჩნია, რომ გურამ ოდიშარიას ნაწარმოებების ხიბლი იმაში მდგომარეობს, რომ მწერალი არ ცდილობს სინამდვილის შელამაზებას, ლოზუნგების დონეზე არ მოუწოდებს ომგამოვლილ ადამიანებს შერიგებისკენ, თავის პერსონაჟებს ეროვნების განურჩევლად (ქართველებსაც და აფხაზებსაც) მიაწერს როგორც კეთილშობილურ, ასევე არაკაცურ თვისებებს, და რაც მთავარია, იგი არ წერს გაბოროტებით, მხოლოდ „ქართული“ პოზიციიდან. მისთვის მტკიცენულია, როგორც ქართველის, ასევე აფხაზის მისამართით ნასროლი ტყვია. თავის ერთ–ერთ ბოლო პერიოდში დაწერილ მოთხრობაში – „მძისშვილი“ – მისი პერსონაჟი – მოხუცი აფხაზი ამბობს: „პატიების უფლება მხოლოდ მსხვერპლს აქვს“ [3]. ჩვენც მიგვაჩნია, რომ ორივე მხარე – აფხაზიც და ქართველიც – მსხვერპლია და სწორედ მათ, მესამე მხარის ჩაურევლად უნდა იპოვონ ერთმანეთის გულგებთან მისასვლელი გზები.

ლიტერატურა:

1. ოდიშარია გურამ, სოხუმში დაბრუნება, - თბილისი: მერანი, 1995.
2. ოდიშარია გურამ, სოხუმში მოსალოდნელია წვიმა, თბილისი: მერანი, 1997.
3. <http://actualis.webnode.com/products/5/16/2011>
4. www.orthodoxy.ge

5. www.humanrights.ge
6. www.open.ge
7. www.wikiquote.org
8. www.angel.ge

ABHKHAZIA TRADEGY WITH GURAM ODISHARIA' POINT OF VIEW

Shorena Shavreshiani, Khatia Dadalauri

Sokhumi State University, The First Year Students of Master's Degree

Instructor: **Mariam Miresashvili**, Full Professor

SUMMARY

This article describes Guram Odisharia's two collected stories. According to the authors of this article Guram Odisharia's stories are glamorous and beautiful for people, because the author does not try to prettify of reality. He does not appeal people with slogans for peace building.

Guram Odisharia attributes to his characters as positive so negative characteristics and it is important that he does not write as resentful, only from "Georgian" position.

It is painful for him, the thrown bullet towards as Georgian so Afkhasian.

აფხაზეთის და ოსეთის დაკარგვის წინაპირობები XX-XXI საუკუნის მხატვრულ ტექსტებში

მარინა ცერცვაძე

გორის სასწავლო უნივერსიტეტი, სრული პროფესორი

ქართველ ერს თავისი მრავალსაუკუნოვანი არსებობის მანძილზე არაერთ სხვადასხვა ხალხთან ჰქონია ურთიერთობა. მათ შორის არიან აფხაზები და ოსები, რომელთაც ქართველებმა გაჭირვებისას ხელი გაუწოდეს, საკუთარ მიწა-წყალზე დაასახლეს, მაგრამ მათ შეთავაზებული მეგობრობისა და სიკეთის წილ ძირძველი ქართული ტერიტორიების მითვისება დაიწყეს დიდი რუსეთის წაქეზებით. დღეს დამაბულმა ურთიერთობამ კულმინაციას მიაღწია. ძირძველ სამაჩაბლოს და აფხაზეთს „დროებით ოკუპირებული ტერიტორიები“ ეწოდა. ისინი „დე ფაქტო“ კი არის საქართველოს ტერიტორიის ნაწილი, მაგრამ „დე იურე“ რუსეთის მფლობელობაშია, რადგან ქართული იურისდიქცია ამ ტერიტორიებზე არ ვრცელდება. დღეს „გუმინდელი მოყვარენი“ ქართველ ერს ცილს სწამებენ მის კულტურას და ისტორიას აკნინებენ და შეურაცხყოფას აყენებენ. ამასთანავე... არაფრისაგან ხელოვნურად თხზავენ საკუთარი ქვეყნისა და ხალხის ისტორიას და ყველაფერი ეს ხდება საქართველოს ისტორიისა და ქართული კულტურის მიჩქმალვის ფონზე“. [6.3] ამ ვრცელი ციტატის მოტანა როლანდ თოფჩიშვილის წიგნიდან „პროვინციულ ფაშისტთა ცრუ ისტორია“ იმიტომ დაგვჭირდა, რომ მდგომარეობა სავალალოა. თუმცა საერთაშორისო საზოგადოება, ევროკავშირი, მსოფლიოს არც ერთი სახელმწიფო არ ცნობს „აფხაზეთის რესპუბლიკის“ და „ოსეთის რესპუბლიკის“ დამოუკიდებლობას, ამ ტერიტორიებზე მომხდარი ქართველთა გენოციდის შემდგომ, სწრაფი ტემპით მიმდინარეობს დარჩენილი ქართველი მოსახლეობის „რუსიფიკაცია“ და რუსეთის მოქალაქეთათვის განკუთვნილი პასპორტებით აღჭურვა.

ამ თემაზე უამრავი ინფორმაცია ვრცელდება და ყველასათვის ხელმისაწვდომია ინტერნეტის საშუალებით. ჩვენ კი შევეცდებით XX საუკუნის ქართული ლიტერატურის კურსის შესწავლის ფარგლებში მხატვრული ტექსტების მაგალითზე სტუდენტებს განვუმარტოთ, როგორ არის გადაჯაჭვული ერთმანეთთან მეგრელთა და აფხაზთა, ოსთა და ქართველთა ბედი. როგორ ენაცვლება ერთმანეთს მათ შორის დიდი სიყვარული და დიდი ღალატი.

აფხაზთა და მეგრელთა შორის ჩამოვარდნილ შუღლზე სოფელ ნაჭყვედში მოგვითხრობს კონსტანტინე გამსახურდია ნოველაში „ტაბუ“.. ისევე როგორც დღეს, ერთი ძალაა ამ დაპირისპირების მოთავე წითურმა ეშმაკმა ჯერ ურთიერთს მიუსია მარგალები და აფსუები, ხოლო შემდეგ თავის მიერ შობილ მორიელს დააგესლინა და ამოაწყვეტინა. „განა არ არის ეს კონკრეტული წინასწარმეტყველება მომავლისა“.[3.380] კითხულობს ზვიად გამსახურდია წერილში „კონსტანტინე გამსახურდია და

ქრისტიანობა“, არის ნამდვილად არის, წითური ემმას ნაშიერებმა მიაღწიეს დღესაც კონფლიქტის გაღვივებას ქართველებსა და აფხაზებს შორის.

დავით თევზაძესაც მიაჩნია, რომ ნოველა „ტაბუში“ მხატვრულადაა ასახული ქართველ-აფხაზთა ტრაგიკული ბედი, ჩვენი ისტორია, ჩვენივე (აფხაზთა და ქართველთა) წინდაუხედაობა. ნოველაში ერთი ქართული სოფლის-ნაჭყვედის ტრაგიკული ისტორიაა ასახული. იქ „ათასზე მეტი კომლი ამომწყდარა, ათასზე მეტი კერა ჩანაცრულა“ [2.270] ეს ძირძველი ქართული სოფელი, სადაც მხოლოდ ერთადერთი გვარი იყო დასაბამიდან-ხარბედიები. დადიანმა კი ის ტყვარჩელიდან მოსულ აფხაზ ლომკაცია ბისკაიას და მის ძმებს უბოძა. გათამამებულმა აფხაზებმა დაჩაგრეს მეგრელები. როგორ ჰგავს ამ ერთი სოფლის ამბავი აფხაზეთში და შიდა ქართლში ამდენი წლის შემდეგ დატრიალებულ ტრაგედიას.

და მიუხედავად იმისა, რომ ნოველა მრავალ განზომილებაში იკითხებაო, წერს დ. თევზაძე, ავტორის მიერ წარმოდგენილი მითი წარმოდგენს მხოლოდ ფორმას იმისათვის, რომ გამოხატოს თავისი დროის მძაფრი პოლიტიკური კონფლიქტი, რომელიც ტრაგიკულად გადაიხარდაო, რომ ნოველის მთავარი თემა აფხაზი და ქართველი ხალხების ურთიერთობის საკითხია. კონსტანტინე გამსახურდია ამ უმწვავეს საკითხს გვერდს ვერ აუვლიდა, მაგრამ იმასაც ხედავს ვინ იყენებს ქართველთა წინდაუხედაობით დაშვებულ შეცდომებს თავის სასარგებლოდ, ვინ არის ის ძალა, რომელიც აშკარად მიზეზია აფხაზ და ქართველ ძმებს შორის ატეხილი ომის დასაწყისის თუ ტრაგიკული დასასრულისა.

თუმცა ნოველა მითოსური რეალიზმის ერთ-ერთ საუკეთესო ნაწარმოებადაა აღიარებული ქართულ მწერლობაში, გურამ კანკავა მაინც თვლის, რომ „ავტორისეული ტაბუ მოქმედებს ავრცელებს არამითოსურ არემი, არამედ კონკრეტულ სოციალურ სფეროში“, [7.202] რომ მთავარი მაინც ბისკაიებსა და ხარბედიებს შორის ჩამოვარდნილი შუღლია, ახლად გაააზნაურებული ბისკაიების მიერ მეთოხე და მეჯოგე ხარბედიების წინააღმდეგ, წაქეზებულ წითელი ემმას მიერ, რომელმაც ერთ დედაკაცთან შვა ის მორიელი, რამაც ნაჭყვედელები დაკბინა.

ბოლოს კი ქართველებს წმინდა გიორგი იხსნის და ამიტომაც წერს ზვიად გამსახურდია, რომ „ტაბუში აღწერილია წმინდა გიორგის ტრიუმფი ბოლშევიზმის სატანაზე“ [3.380].

ვერც ნიკო ლორთქიფანიძე აუვლიდა გვერდს ამ მტკივნეულ თემას და 1923-25 წლებში იწერება „რაინდები“. ნაწარმოები იმერეთის მეფის კარზე დატრიალებული მოვლენებით იწყება. იმერეთის მეფე ეხმარება ოდიშის მთავარს აფხაზი მთავრების წინააღმდეგ; ქართველთა საოცნებო გაწვრთნილი ჯარია - მცოდნე იარაღის ხმარების, შეტევის, მოგერიების, დღეს კი მხოლოდ იმედი თუა იმისა, რომ „ჩვენც გვეყოლება გაწვრთნილი მუდმივი ჯარი“,... რომელსაც „ჩვენი შვილები მოესწრებიან“, [10.9] იმედოვნებს მწერალი.

თუმცა აფხაზებმა კარგად იციან, რომ რიცხოზობივად სჭარბობენ ქართველებს, მაინც ვერაგობას არ იშლიან და მეფის მოწამვლას აპირებენ. მათი დევიზი ასეთია, ომი ხომ ჯირითი არ არის, ესროლო და თან ერიდო არ დავასახიჩროვო, რითაც გაგვივა, მით უნდა გავიტანოთ“, [10.12] ამდენად, მკვლელის ქართველთა ბანაკში შეპარვით ცდილობენ ბრძოლის მოგებას, თუმცა თვითონვე კარგად ესმით, რომ „ეს სილაჩრე და მუხანათობაა“. [10.14]

ნ. ლორთქიფანიძესათვის ნიშანდობლივია განსასახიერებელ საგანთა ემოციური შინაარსი და ამასთანავე ამ საგანთა დამუშავება ემოციურ ასპექტში, მწერალი კარგად ხედავს, რომ ალანები, ჩერქეზები თუ საქართველოდან ვერაფერს წაიღებენ, თვით აფხაზეთს შეესევინან. ომი მთავრდება ქართველთა გამარჯვებით და ისინი რაინდებად ამთავრებენ ბრძოლას. მწერლისთვის ძირითადია თავისი პერსონაჟების შინაგანი სულიერი სამყაროს ჩვენება, თუ როგორია მათი ხვედრი და რა გრძნობებს იწვევენ ისინი თვით მწერალში.

ელისო აბრამაშვილს მიაჩნია, რომ მწერალი მიზანს ვერ მიაღწევს თუ მკითხველში თვალნათლივ არ დაანახვებს იმას, რაც ხდებოდა მაშინდელ საქართველოში, ამიტომ „რაინდებში“ ასახული სიტუაცია ემოციურ ასპექტშია მოცემული, რის გამოც ნაწარმოები მძაფრი ემოციური დატვირთვით გამოირჩევა და მწერლის განცდა კონკრეტული მიზეზი საქართველოს უუფლებო და უმოქმედო მდგომარეობა შეადგენს.

ნაწარმოების ბოლოს მწიგნობარი აბულაძე მოძღვრავს ახალგაზრდებს: „ვისაც წაეკიდებოდე, გულსა შიგან საზავოსა ადგილსაცა დაუგდებდი, მეცნიერი კაცი ომსა შიგან საზავოსა ადგილსაცა დააგდებსო“. [10.35] ეს უკვე მწერალი გამოდის წინა პლანზე, ის გვმოდვრავს, რადგან, ალბათ, კარგად იცის, რომ არაერთხელ კიდევ მოგვიწვევს ასეთი ომის გადახდა. ამიტომ წერდა ნიკო ლორთქიფანიძეზე სიმონ ჩიქოვანი, რომ ის რომელიმე ნამდვილი შემთხვევის ბელეტრიზაციას არ ახდენდა, იგი არ ქმნიდა უშუალოდ რაიმე ისტორიულ ქრონიკაზე აგებულ ნაწარმოებს, არამედ საქართველოს ისტორიის რამდენიმე მონაკვეთიდან მიღებულ შთაბეჭდილებას ასახავდა და მაშინდელი ისტორიული სინამდვილის საერთო ელფერის აღდგენას ცდილობდა, ავტორი ნებაყოფლობით გაუჩინარდება, რომ მკითხველს თვით სინამდვილის ხედები გადაეშალოს თვალწინ, თვით სინამდვილე ამეტყველდეს და

შეხვედ მას მწერლის დაუხმარებლად, რადგან, ალბათ, აქაც წინასწარმეტყველებაა თუ გარდაუვალი აუცილებლობაა კვლავ იმ რეალობის წინაშე დადგომა, რაც „რინდებშია“ ასახული.

ოსების ვერაგობას ვერც მიხეილ ჯავახიშვილი აუვლიდა გვერდს. „ჯაყოს ხიზნების“ გამოქვეყნების შემდეგ საზოგადოება აუმხედრდა ავტორს, საყვედურობდნენ რაღა ოსი დაგვასვი თავზეო, მიხეილმა კი უპასუხა - „ჯაყოს ხიზნები“ საბჭოთა სინამდვილემ დამაწერინაო. დიახ, ასეთია სინამდვილე და რომანი იყო ერთგვარი თვითდასჯა იმის გამო, რომ ვერაფერი მოახერხა, ვერაფერი გააწყო. რა შუაშია რევოლუცია და საბჭოთა სინამდვილე? იმაში, რომ მან „თეიმურაზისნაირები ჯაყოსნაირებში გაცვალა.“ აქაც ის „წითური ეშმა“ ზეობს, მაგრამ აქაც მომავლის იმედია წინა პლანზე, ქართველებში რწმენის განმტკიცებაა ძირითადი მიზანი, რადგან მწერალმა კარგად იცის, რომ ბიოლოგიური მოდუნება და სულიერ -პოტენციალური გაბერწება მხოლოდ მაშინ დაემართებოდა ერს, თუ იგი თავის რწმენას დაკარგავდა.

თემის დასაწყისში ჩვენ აღვნიშნეთ, რომ ქართველებმა არაერთ სხვადასხვა ერს გაუმართეს ხელი, დაასახლეს საკუთარ მიწაზეო, დაასახლეს და დაივიწყეს სახარებისეული „ნუ დაუფნთ მარგალიტთა ღორთა“, ამის გამო არ წყდება დაპირისპირება დღესაც. ღმერთი დაივიწყეს ქართველებმა, რწმენადაკარგულია თეიმურაზი, რომელიც ნახუცარ ივანეს ეუბნება „ღმერთი რომ არსებობდეს განა ამ დღეში ჩავცვივდებოდით?“ და მიხეილ ჯავახიშვილს მიაჩნია, რომ ამ შემთხვევაში ხვეისთავი უმეცარი გლეხივით სჯის, მას აღარცა ჯოჯოხეთის სწამს და აღარცა სამოთხის, წარსულმა მომატყუა, აწმყო მაწამებს, მყობადი მაშინებს- გოდებს სასოწარკვეთილი და ეს არის ყველაზე უარესი, რადგან ჯაყობა ზეობს, როცა არ ჩანან ძლიერი ნების ადამიანები, ასე გადაიზრდება კონკრეტული ბედი ცხოვრების უნივერსალურ კანონში.

ეს რაც შეეხება მეოცე საუკუნეს, მაგრამ ოცდამეერთე საუკუნეში მომხდარი ომის (რომელსაც მწერალმა ვანო ჩხიკვაძემ: „შუშების ომი“ უწოდა თავის ამავე სახელწოდების რომანში) გაანალიზება მისი დასრულების შემდეგ დაიწყო. მოსახლეობის ნაწილს შეეხო ეს ომი, მეორე ნაწილს არ შეეხებია და სწორედ მაშინ გააცნობიერა ამ ნაწილმა რა მოხდა, როცა ყველაფერი დასრულდა.

ბუნებრივია ქართული მწერლობა გვერდს ვერ აუვლიდა ამ პროცესს და როგორც სოფიო წულაიას მიაჩნია ომმა, „რომელიც რამდენიმე დღეში დასრულდა, იმაზე დიდი გამოძახილი ჰპოვა ქართულ პროზაში, ვიდრე სხვა ისტორიულმა პროცესებმა“[8.138] გარდა მოსახლეობის ორი ნაწილისა, რომელთაგანაც ერთ ნაწილს „შეეხო“ და მეორე ნაწილს „არ შეეხო“, არის მოსახლეობის ნაწილი, ვინც „გაასწრო“ და „ვინც აქ დარჩა“, სწორედ მოსახლეობის იმ ნაწილს ეკუთვნის მწერალი ვანო ჩხიკვაძე, რომელსაც „შეეხო“ კიდევ ომი და ბედელაშვილების სარდაფში ჩარჩენილი, ცდილობს გაერკვეს მომხდარის არსში, თვითონ ტყვიები თავზე აწვიმს და ცისკენ შიშით ვერ იხედება, თან ღამ-ღამობით ვიქტორ პიტროვიჩ ასტაფიევის ესაუბრება მომხდარ ამბებზე, რომლის წიგნიც შემთხვევით შეხვდა ომის წინა დღეს და მშვიდად კითხვას აპირებდა: „ვიქტორ პეტროვიჩ, ნეტავ, ეს თვითმფრინავები სხვა მისამართზე ხომ არ უნდა გამეშვა? არ არის ჩემი პატარა ქვეყანა თანამედროვე ბრძოლების, ბატალური სცენების დასადგმელად შექმნილი“. უკვირს მწერალს, ამ ქვეყანას, სადაც ასე უყვართ სტუმარი, ტანკი და თვითმფრინავი რად უნდა? მაგრამ ვინ არის გამკითხავი. საავადმყოფო დაჭრილების მიღებას ვეღარ აუდის, ზოგი იხვეწება გადამიხვიეთ და გამიშვით პოზიციებზეო.

უბედურებაა, რომ გაწამებულ, ეთნოკონფლიქტად მონათლულ ბრძოლებს არც გმირი ჰყავს და არც დამნაშავე-შემფასებელი, ომშიც დაგვცინიან და მშვიდობაშიც. ნახევარი საქართველო ლტოლვილია, უკან ვეღარ ბრუნდება და რომც დაბრუნდეს მიწასთან გასწორებულ ნასახლარს კიდევ მიაგნებს?

მაგრამ აქაც დიდი იმედია მეუფე ანდრიას მიერ გამოთქმული, დამარცხებულებს და ცხვირპირდანაყულეებს რომ უქადაგებს: “როცა წავიქცეოდით, აღარ ავმდგარვართ, გზა აღარ გაგვიგრძელებია?”[9.32]

გაგვიგრძელებია, როგორ არ გაგვიგრძელებია, ჩვენი ისტორია ხომ დაცემა-აღდგომის უწყვეტი ჯაჭვია - მოსთქვამს ვანო ჩხიკვაძე.

გამოდის, რომ კონფლიქტი არც დღეს დაწყებულა, არც ხვალ დამთავრდება. ამისათვის ბრძოლაა საჭირო. თუ XX საუკუნის 30-იან წლებამდე დაწერილ ნაწარმოებებში ქართველი მწერლები ახერხებდნენ ამ მწვავე საკითხების წინ წამოწევას, 30-იანი წლების შემდგომ კონფლიქტი მიიჩქმალა და ერთმანეთის „მძობამ“ ჩაანაცვლა. თავისუფლებამოპოვებულ საქართველოში პრობლემამ კვლავ იჩინა თავი და დღეს შედეგი სახეზეა. დღეს მესამე ძალა წინა პლანზეა. თუ აქამდე, XXI საუკუნემდე, ის ალგორითულია და მხოლოდ იგულისხმება, ახლა უკვე ყველაფრის თავი და თავია.

დღეს ქართულ ლიტერატურაში გაჩნდა “ახალი პერსონაჟი-ომი, რომელსაც თუმცა ხანმოკლე ისტორია აქვს, მაგრამ მრავალსახოვნება და მრავალბუნებოვნება ახასიათებს”. [8.139] ამ თემას გვერდს ვერ აუვლიან დავით ქართველიშვილი, თამარი ფხაკაძე, გურამ მეგრელიშვილი, ზასა ჯანიკაშვილი, ზაზა

ბურჭულაძე; ეს უკანასკნელი აგვისტოს ომს ასე აფასებს: „კი, ნამდვილად შეგვეძლო, უფრო ღირსეულად მიგველო და კიდევ უფრო ღირსეულად გაგვეანალიზებინა ომი, მაგრამ ვერ შევძელით.“[8.139]

მიუხედავად ამისა, ამ ომმა დიდი გამოძახილი ჰპოვა ქართულ ლიტერატურაში. მას უკვალოდ არ ჩაუვლია და არც ისე ადვილად დაგვიწყებია, რადგან „დავიწყება საშინელებაა, დავიწყება დანაშაულია“ [8.140].

ლიტერატურა:

1. აბრამიშვილი ე., ნიკო ლორთქიფანიძე, (გამოჩენილ ადამიანთა ცხოვრება), თბ., 1977;
2. გამსახურდია კ., თხზ. ტ. 6, თბ., 1980;
3. გამსახურდია ზ., წერილები, ესსეები, თბ., 1991;
4. ვასაძე თ., ლიტერატურა ჭემმარტების ძიებაში, თბ., 2010;
5. თევზაძე დ., კონსტანტინე გამსახურდია და თანამედროვეობა, თბ., 1996;
6. თოფჩიშვილი რ., პროვინციელ ფაშისტთა ცრუ ისტორია, თბ., 1999;
7. კანკავა გ., ლიტერატურული წერილები, თბ., 1980;
8. ლიტერატურული პალიტრა, #3, 2011;
9. ლიტერატურა და ხელოვნება, #6, 2010;
10. ლორთქიფანიძე ნ., ერთტომეული, თბ., 1981.

THE BACKGROUND OF LOSING ABKHAZIA AND OSSETIA IN XX-XXI CENTURY FICTION TEXTS

Marina Tsertsvadze, Gori Teaching University, Full Professor

RESUME

Georgian nation with its long history has had relations with many different people. Among them are Abkhazians and Ossetians. Georgian people helped them during the hard time and allowed them to live on their land. But at the impulsion of Russia they began to arrogate old Georgian territories in response to offered friendship. Today the tensions reached its climax. Within the confines of teaching XX-XXI century Georgian literature course on the example of fiction texts we will try to explain students how the fate of Megrelians, Abkhazians, Ossetians, and Kartlians is knit together; and how a great love and betrayal substitutes each other.

დიმიტრი გულია და შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანი

მარინე ჯაიანი

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ფილოლოგიის დოქტორი

აფხაზური ლიტერატურის კლასიკოსის, გამოჩენილი საზოგადო მოღვაწის, აფხაზეთის სახალხო პოეტის დიმიტრი გულიას მრავალფეროვანი მემკვიდრეობის არსებობა, რომელიც განმაცვიფრებელია მხატვრული ჟანრებისა და ფორმების სიმდიდრით, სხვადასხვაობით, ყოველთვის იქნება ხელისშემშლელი ფაქტორი ქართულ-აფხაზური ურთიერთობების რღვევის მოსურნეთათვის.

ქართულ-აფხაზურმა მოდგმამ ოდითგანვე განუყოფლად იცხოვრა და შექმნა ერთიანი ისტორია, ერთიანი ისტორიული ფსიქოლოგია. ეს განსაკუთრებით „აფხაზთა და ქართველთა“ პირველი მეფის ბაგრატ მესამის ხანაზე ითქმის, რომლის პოლიტიკურ-კულტურულმა იდეალმა განხორციელება ჰპოვა დავით აღმაშენებლის დროს, ხოლო თავის კლასიკურ სრულყოფას თამარ მეფის ზეობის ხანაში მიაღწია, როცა შეიქმნა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“.

„ვეფხისტყაოსანმა“ იმთავითვე ღრმად გაიდგა ფესვები აფხაზი ხალხის ყოფაში და, შეიძლება ითქვას, ახალი ეტაპი შექმნა ქართულ-აფხაზურ კულტურულ ურთიერთობაში. ეს იმას ნიშნავს, რომ „ვეფხისტყაოსანის“ თარგმნამდე, საუკუნეებით ადრე იყო აფხაზთათვის რუსთაველის პოემა ცნობილი და შესაბამისად გაცნობიერებული, გააზრებული.

აფხაზ მეცნიერ-მკვლევართა დაკვირვებით, უძველეს აფხაზურ ფოლკლორსა და ეთნოგრაფიულ ყოფაში „ვეფხისტყაოსნის“ კეთილმყოფელი გავლენა ნათლად საცნაურდება. ერი რუსთველის დიდებულებას თავის ფოლკლორში, ხალხურ პოეზიაში გამოხატავდა. ძველი დროის აფხაზი ხშირად რუსთველის პოეტური სახეებით აზროვნებდა. მისთვის „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟთა ძლევამოსილი სახეები გახდა სილამაზის, ადამიანის ფიზიკური და სულიერი მშვენიერების, გმირობის, სიმამაცის, სიკეთისა და ჰუმანურობის იდეალური სიმბოლო.

ხალხში ცოცხლობდა გამოთქმები, რომელთა წყარო რუსთველი ყოფილა: „ატარიალ დეფეფშუპ“ (ტარიელის მსგავსი), „უნან სიკუხშანდახ ატარიალ დმჰეფშუტ“ (ო, როგორ ვეთაყვანები ტარიელის მსგავსს), „ატარიალ ეშ, დშერძა“ (ტარიელივით ტანკენარი) (2,88). ქაჯები, რომლებიც პოემაში ბოროტებას ასახიერებენ, აფხაზ ხალხში იწვევდა ასეთსავე უარყოფით დამოკიდებულებას. ამ სახელს ბოროტ და მავნე ადამიანებს უწოდებდნენ: „მაგალითად, აფხაზები ამბობენ: „ურტ აქაჯკუა“, „აქაჯაურზშოუა“, „აქაჯაა ბურხუხაიტ“, „აქაჯაა უკურბლაიტ“ და ა.შ., რაც ნიშნავს – ქაჯებმა შეგჭამონ, ქაჯებმა შეგწვან. უეჭველია, რომ თვით გაგება ქაჯისა, როგორც სიტყვა ქაჯი, აფხაზურ ლექსიკონს რუსთველისაგან აქვს ნასესხები (2,88).

აფხაზური ონომასტიკა შეივსო და გამდიდრდა „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟთა სახელებით: ტარიალ, თანდელ (ავთანდილი), რუსტან, არუსტან (როსტევეანი), თინათ, თინა (თინათინი) და დარჯან, დარჯა (დარეჯანი), ეს უკანასკნელი კაცის სახელადაც ყოფილა ცნობილი. თავისი იდეალის წარმოდგენისას აფხაზის ცნობიერება უწინარესად ტარიელის მძლავრ და მიმზიდველ იერსახეს მიემართებოდა. აფხაზი პატარმალი, ძველად, მაზლს, ბიძაშვილ ვაჟებს, ახლო მოგვარეებს უდიდესი პატივისცემის ნიშნად ტარიელად სახელდებდა.

XIX საუკუნის აფხაზეთის განათლებულმა წარმომადგენლებმა პოემა ზეპირად იცოდნენ. გიორგი შარვაშიძემ და დავით ჩქოტუამ, რადგან აღზრდილნი იყვნენ ძველი ქართული კულტურის ნიადაგზე, მშვენივრად იცოდნენ რუსთველის „ვეფხისტყაოსანი“ (8,33). საყურადღებოა, რომ ბიბლიური იოზივით წამებული დავით ჩქოტუა, რომელიც ბავშვობიდანვე ეზიარა რუსთველის სიბრძნეს, სიბერემდე არ შელევია მას. შემდგომში იგი ჩინებული რუსთველოლოგი დადგა და ვრცელი გამოკვლევაც დაწერა – „რუსთველის პოემის გმირები და მათი მსოფლმხედველობა“. ამ ნაშრომმა სამწუხაროდ, თავისი ავტორის, უდანაშაულო დამნაშავის ტრაგიკული ბედი გაიზიარა. მისი ნაწილი დღემდე დაკარგულია. დ. ჩქოტუას მეგობრებისადმი (ვ. პეტრიაშვილისადმი) გამოგზავნილი ბარათებიდან იმასაც ვიგებთ, რომ რუსთველის სიბრძნეს დაწაფებულნი ყოფილან მისი წინაპრები.

რუსთველისა და „ვეფხისტყაოსნისადმი“ ინტერესი აფხაზეთში ყოველთვის იგრძნობოდა, მაგრამ ამ ინტერესმა განსაკუთრებით შესამჩნევი სახე მიიღო მე-20 საუკუნის 30-იან წლებში – პოემის 750 წლისათვის საიუბილეო ზეიმის წინ და დღესასწაულის დღეებში. მთელ აფხაზეთში გაჩაღდა სამზადისი. ჟურნალ-გაზეთებში აფხაზურ, ქართულ და რუსულ ენებზე დაიბეჭდა მასალა რუსთველსა და მის თხზულებაზე. კერძოდ, წერილები, ინფორმაციები, ქრონიკა და ა.შ., აგრეთვე „ვეფხისტყაოსნის“ მოკლე შინაარსი. პოემის ნაწყვეტები თარგმნეს დ. გულიამ, ა. არძინბამ, მ. გოჩუამ, ლ. კვიციანიამ, ბ შინქუბამ და სხვებმა.

„ვეფხისტყაოსნის“ პირველი აფხაზური თარგმანი („აბჟასცია ზშიუ“), შესრულებული დ. გულიას მიერ, დასახელებული მძლავრი კულტურულ-ყოფითი წანამძღვრის ლოგიკურ შედეგს წარმოადგენდა. „მან ჩინებულად დააგვირგვინა აფხაზურ-ქართული ლიტერატურულ-კულტურული ურთიერთობის ერთი ეტაპი და ამ სფეროში სამაგალითო პერსპექტივა გადაშალა იმ გაგებით, რომ, როგორც მამინდელი პრესა იუწყებოდა (9,3) მისი მნიშვნელობა გასცდა „ლიტერატურის ვიწრო“ ფარგლებს და ორი ხალხის მეგობრობის განმტკიცებას დაედო საფუძლად“. ამიტომაც აფხაზმა ხალხმა მშობლიურ ენაზე რუსთველის პოემის ამეტყველება ეროვნული დღესასწაულის დონეზე აიყვანა. 1941 წლის 26 აპრილს სოხუმის სახელმწიფო თეატრში თარგმანის გამოცემისადმი მიძღვნილი ლიტერატურული საღამო გაიმართა.

რამდენადმე გვიან დაბეჭდილ წერილში („გენიალური პოემა“) „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანზე თავის ხანგრძლივ შემოქმედებით მუშაობას დ. გულია საგანგებოდ განმარტავდა: „ჩემი მიზანი იყო არა მარტო ზუსტად გადამეცა აფხაზი მკითხველისათვის პოემის შინაარსი, – ეს იქნებოდა საქმის ნახევარი, – არამედ რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო, დამეცვა თარგმანში რუსთველური ენა, სახეები და, რაც მთავარია, ლექსის მუსიკა. უკანასკნელი პირობის გარეშე თარგმნა მე მიმაჩნდა დაუშვებლად“ (6,555).

მთარგმნელის მიერ გაწეული შრომის სირთულისა და მნიშვნელობის გასათვალისწინებლად არაა საკმარისი იმის აღნიშვნა, რომ დ. გულია „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანზე „სამ წელიწადზე მეტს მუშაობდა ენერგიის დაძაბვით“. მთარგმნელისვე სიტყვებით, ამ საქმისათვის იგი ემზადებოდა ჭაბუკობიდანვე, „ამ დროიდან შეიჭრა ჩემში მისი სიყვარული. რუსთველის თარგმნა იმ ხალხის ენაზე, რომელსაც შემოუნახავს თქმულებები ავთანდილზე, ტარიელსა და სხვა გმირებზე, ჩემი ოცნების საგანი შეიქმნა“ (6,556).

დ. გულიას გააზრებული ჰქონდა პოემის თარგმნის სირთულე, პასუხისმგებლობა მკითხველთა და „საკუთარი შემოქმედებითი სინდისის“ წინაშე, რაც ამ საქმეს ახლდა. დ. გულიას აზრით, დასახული მიზნის სირთულე, უწინარეს ყოვლისა, გამოწვეულია იმით, რომ „პოემა დაწერილია ლექსის უებრო ოსტატის მიერ, რომელმაც მისი მომხიბლავი შინაარსი ბრწყინვალე ფორმაში გამოსახა. გენიალურმა რუსთველმა დაიხმარა და გამოიყენა გრძნობათა პოეტური გამოთქმის ყველა ხერხი“ (6,558). საქმეს ისიც ართულებდა, რომ „რუსთველი ეკუთვნის იმ პოეტთა რიცხვს, რომელთა შემოქმედებას ახასიათებს გენიალური სისადავე. რუსთველთან თითოეული სიტყვა აწონილია, ხილული... ზღვრულად ნათელი, აზრი – კრისტალურად სუფთა, წმინდა და ძლიერი... სიტყვა წყაროსავით მომდინარებს, უდიდესი შინაგანი დამაბულობით“ (6,558).

სავსებით გულწრფელია დ. გულია, როცა ამბობს, რომ „ფორმალური მხრით, მთარგმნელს – აფხაზს – წინ ეღობება მთელი რიგი დაბრკოლება, რომელიც აფხაზური ენის სპეციფიკას შეადგენს. ძნელი გადმოსაცემია, მაგალითად, სტროფები, რომლებიც შეიცავენ კითხვა – პასუხის ფორმას“ (6,556).

დ. გულია „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნისას სწორი მეთოდოლოგიური პრინციპით ხელმძღვანელობდა. მისთვის ნათელი იყო, რომ პოემის თარგმნა „ერთბაშად“ არ შეიძლებოდა. ამიტომაც დაიწყო ქართველ კლასიკოსთა აფხაზურ ენაზე ამეტყველება. ცნობილია, რომ აკაკი წერეთლის „გამზრდელის“ მისეულმა თარგმანმა აფხაზური პოეზიის ოქროს ფონდში დაიმკვიდრა ადგილი (7,18). სწორედ ამ გზით, მან „ხელთ იგდო“ „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნის გასაღები. ამასთანავე, დ. გულია აუცილებლად მიიჩნევდა ქართული ენის ცოდნას, თუმცა, მისი მართებული შენიშვნით, „პოემის კარგი თარგმანისათვის არ კმარა თანამედროვე ქართული ენის ცოდნა, საჭიროა მთლიანად ძველი, საშუალო და ახალი სალიტერატურო ენის სიღრმისეული ცოდნა“ (6,667).

საზოგადოდ, მთარგმნელი ხშირად აწყდება რუსთველის პოემის შინაარსისა და ფორმის უნაკლო გადმოცემის პრობლემას. ცნობილია, რომ „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტური განვითარება მკაცრად კანონზომიერია. ყოველი ეპიზოდი თავისი შემადგენელი დეტალებით მჭიდრო მიზეზ–შედეგობრივ კავშირშია ერთმანეთთან. პოემის მხატვრული ქსოვილის ორნამენტები, თუნდაც შორეულნი, ერთმანეთს ავსებენ და განაპირობებენ შინაარსობრივი ნიუანსით, იდეური მიზანმიმართულებითა და ემოციური ელფერით. ყოველივე ეს რომ არ დარღვეულიყო, აფხაზმა პოეტმა მთარგმნელის საპატიო ამოცანად მიიჩნია „ვეფხისტყაოსნის“ ენის, შინაარსის, რითმის, ალიტერაციის, განცდათა ასოციაციის, აფორიზმებისა და მხატვრული სახეების ჰარმონიის გადატანა მშობლიურ ენაზე. დ. გულიას აზრით, „ამ მხრივ წარმატების მოპოვება მნიშვნელოვნად განპირობებულია მთარგმნელის უნარით, ჩაიძიროს პოემის პოეტურ განცდებში, რუსთველის გმირებთან ერთად მიეცეს ვნებასა და სიხარულს, განიმსჭვალოს მათივე სიცოცხლითა და სიყვარულით“ (6,557).

სავსებით დამაჯერებელია მოსაზრება, რომ „ვეფხისტყაოსნის“ პირველი აფხაზური თარგმანის ღირსება მთარგმნელის მხრივ პოემისადმი უდიდესი სიყვარულისა და მისი მშობელი ერის წინაშე განსაკუთრებული პასუხისმგებლობის გრძნობასთან ერთად დასახელებულმა გარემოებამაც განაპირობა“ (4,4). უნდა ითქვას, რომ დასახული მიზნის განხორციელებაში დ. გულიას უანგარო დახმარებას უწევდნენ მისი მეგობრები, ცნობილი ქართველი მეცნიერები ს. ჯანაშია, ქ. ლომთათიძე და სხვანი. მკვლევართა აზრით, „აფხაზმა პოეტმა „ვეფხისტყაოსანი“ თარგმნა თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობის, კერძოდ, თარგმანის თეორიის, მოთხოვნათა გათვალისწინებით“ (7,45; 5,3).

ქართულ–აფხაზურმა სალიტერატურო კრიტიკამ თარგმანის გამოცემა შეაფასა როგორც შინაარსობრივ–მხატვრული, ასევე პოლიგრაფიული თვალსაზრისითაც. გაზეთმა „ლიტერატურული საქართველო“ მკითხველს კიდევ ერთხელ გააცნო მთარგმნელის ბიოგრაფია, როგორც ორი ხალხის ძმობის სიმბოლო. შენიშნულია იქვე, რომ „მშობლიური აფხაზური ენის შესანიშნავმა ცოდნამ, ქართულ ენასა და ლიტერატურაში გაწაფულობამ შესაძლებლობა მისცეს დ. გულიას შეესრულებინა ეს რთული ამოცანა. იგი ღრმად ჩასწვდა რუსთველის შემოქმედების საიდუმლოებას და თარგმანის წარმატებაც სწორედ ამან განაპირობა... დ. გულიამ ეს დიდი საქმე ბრწყინვალედ შეასრულა“ (9,4). შეიძლება ითქვას, რომ პოემის აფხაზურმა თარგმანმა კეთილმყოფელი გავლენა მოახდინა აფხაზურ მწერლობაზე, კიდევ უფრო დააინტერესა აფხაზი ხალხი ქართული კულტურით, ლიტერატურით.

დ. გულიას ღვაწლი „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნით აფხაზურ ენაზე, საკუთრივ პოემის ამეტყველებით, არ ამოწურულა. მან გამოაქვეყნა წერილები, რომლებშიც განზოგადებულია „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტზე მისი ხანგრძლივი მუშაობის პრაქტიკა, დასახულია გზები და საშუალებანი პოემის სრულყოფილი თარგმანის შესრულებისა, რომელიც ყოველი აფხაზი მთარგმნელისათვის მომავალშიც შეინარჩუნებს მნიშვნელობას.

ლიტერატურა:

1. გუბლია გ., დიმიტრი გულია, თბ., 1974.

2. დელბა მ., შოთა რუსთაველი და მისი „ვეფხისტყაოსანი“ (შენიშვნები პოემის აფხაზური გამოცემისათვის), „მნათობი“, 1941, №4.
3. დელბა მ. დიმიტრი გულია, თბ., 1949.
4. კილანავა ბ., ქართველთა და აფხაზთა ძმობის წიგნი, გაზ., „თბილისის უნივერსიტეტი“, 18.II. 1982, №5-6.
5. კილანავა ბ., ერთგულად ნაღვაწი, გაზ., „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1982, №30.
6. რუსთველი მსოფლიო ლიტერატურაში, თსუ-ს გამომც., თბ., 1988.
7. ჭურღულია ო., დიმიტრი გულია, თბ., 1974.
8. ჯანაშია ს., დ. ჩქოტუა და მისი ნარკვევები „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ, თსუ შრომები, ტ. I, თბ., 1937.
9. გაზ., „ლიტერატურული საქართველო“, 1941, №19.

DIMITRI GULIA AND HIS TRANSITION OF SHOTA RUSTAVELI'S "THE KNIGHT IN THE PANTHER'S SKIN"

Marine Jaiani, Sokhumi State University, Doctor of Philology

SUMMARY

Sota Rustaveli's masterpiece, epic poem "The Knight in the Panther's Skin" has been translated into many languages.

Dimitri Gulia was the first Abkhazian writer who managed to translate this famous Georgian poem into the Abkhazian language. It took him more than 3 years to finish the work. It should be noted that many of his Georgian friends – outstanding scientists: S. Janashia, K. Iomtadze did everything to help him to fulfill the idea. On April 26, 1991 a literary evening dedicated to the publication of the translation was held in the Sukhumi State Theatre.

Working on the translation the Abkhazian poet managed to transfer the language, the content, the rhythm, aphorisms and harmony of the poem into his native language.

It should be marked that the Abkhazian translation of the Georgian poem "The Knight in the Panther's Skin" made a well disposed influence on the Abkhazian writings.

ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური ისტორიულ-კულტურული ურთიერთობები

ქართველ-ოსთა საბრძოლო მოკავშირეობის ისტორიიდან

იოსებ ალიმბარაშვილი

გორის სასწავლო უნივერსიტეტი, მოწვეული სპეციალისტი
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, დოქტორანტი

ქართველებისა და ოსების საბრძოლო ურთიერთობა სათავეს ადრეულ საუკუნეებში იღებს.

სამწუხაროდ, უკანასკნელ ოცწლეულში განვითარებული მოვლენების, ორ მოძმე ერს შორის „ჩატეხილი ხიდის“, ურთიერთდაპირისპირებისა და შუღლის გამო, ერთმანეთის შესახებ, ორივე მხარე მხოლოდ ნეგატიური ინფორმაციის მოგროვებას და გამოქვეყნებას ცდილობდა, რასაც აქტიურად ახალისებდა კიდევ ერთი დიდი მეზობელი.

საბოლოოდ ისე გამოვიდა, რომ ამ კინკლაობასა და ცილისწამებაში ქართველებიც და ოსებიც წაგებულნი დარჩნენ და ამის გაგებას ორი ათეული წელი დასჭირდა. ორივე მხარეს გაიზარდა თაობა, რომელსაც მხოლოდ უარყოფითი წარმოდგენა, მეტიც, მტრული დამოკიდებულება ჰქონდა ახლო მეზობლის შესახებ. არც ის დარჩა საიდუმლოდ, ვის „წისკვილზე ასხამდა წყალს“ მათი ერთმანეთზე წაკიდება.

არადა, საისტორიო წყაროების, დოკუმენტების, მემატრიანეების მიხედვით, იშვიათად გადაუტანიათ ქართველებს დიდი ბრძოლები, სადაც ოსები მათი დროშის ქვეშ არ იბრძოდნენ მოკავშირეების სახით.

„ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, ჯერ კიდევ აზოს წინააღმდეგ აჯანყებულმა ფარნავაზმა და ქუჯიმ დაიქირავეს ლეკები და ოსები და „განიმრავლეს სპანი“, რომლებიც სიხარულით გამოემართნენ, რადგან აზოსათვის ხარკის მიცემა არ სურდათ⁸.

XI საუკუნის II ნახევრიდან წინა აზიაში მეტად ძლიერ სამხედრო ძალად ჩამოყალიბდნენ თურქ-სელჯუკები. მათ შემოსევებს ვერც საქართველო გადაურჩა. 1068 წელს სელჯუკების მეთაურმა ალფ-არსლანმა ჩვენი ქვეყანა მეორედ დალაშქრა და თბილისი, წასვლის წინ განჯის ამირა ფადლონს ჩააბარა. ბაგრატ IV-მ ალფ-არსლანის წასვლით ისარგებლა, ჩრდილო-კავკასიიდან თავისი მოყვარე (ბაგრატს მეორე ცოლად ოვსეთის მეფის ასული ბორენა ჰყავდა) - დორლოლელი (ბორენას ძმა) მოიწვია, რომელიც გამოემგზავრა 40 ათასი კაცით, „ყოვლითა თავადითა ოვსეთისათა“⁹. მოკავშირეებმა ფადლონი სასტიკად დაამარცხეს და თბილისი ისევ ბაგრატმა დაიბრუნა.

საქართველოს მიერ გადატანილ ბრძოლებში ოქროს ასოებით ჩაწერილ „ძლევაი საკვირველში“, 56 ათასიან ქართულ მხედრობაში 500 ალან-ოსიც ერია, აღარაფერს ვამბობთ გიორგი III-ისა და თამარის პერიოდზე, როდესაც, ქართული გვირგვინი ჯერ დედოფალს (ბურდუხანს) ჰქონდა მორგებული, ხოლო შემდეგ - სიძეს (დავით სოსლანს). ამ პერიოდის საქართველოს საგარეო პოლიტიკაში ოსები ქართული ჯარის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენდნენ.

ამ მხრივ, დედის გზას გაჰყვა რუსუდანიც, რომელსაც ჯალალ-ედ-დინის წინააღმდეგ „ოვსნი და მთიულნი“ მოუწვევია¹⁰.

XIV საუკუნის ბოლოს საქართველოს თემურ-ლენგის რისხვა დაატყდა თავს. თემურის უხარმაზარ არმიასთან საბრძოლველად გიორგი VII-ს გამოუყვანია „დარიელიდამ ოვსნი დიდძალნი“¹¹.

XVIII საუკუნეში საქართველოს ყველაზე მეტად ლეკთაგან არ ჰქონდა მოსვენება. ქართველები ამ შემთხვევაშიც ხშირად ქირობდნენ ოსებს, ჯარში სამსახურს მათ ბატონყმური ურთიერთობებიც ავალდებულებდათ. მაგ 1731 წელს ბარძიმ არაგვის ერისთავს ლეკების წინააღმდეგ ოსი და თავისი ყმა შეუყრია და ლეკებზე „სამ პირად მისულა“¹².

ციზილბაშების წინააღმდეგ აჯანყებულ გივი ამილახვარსაც ხშირად მოსდიოდა „ჯარი ოსისა და ჩერქეზისა“¹³.

1742 წელს ქართველების მოკავშირე განჯის ხანს ფანა-ხანისაგან საფრთხე შეექმნა. განჯელებმა დახმარება ერეკლე-თეიმურაზს სთხოვეს. თუ ფანა-ხანი განჯას დაიჭერდა, ყაზახ-ბორჩალოსაც იგივე ბედი ელოდა, ამიტომ მამა-შვილმა თბილისში დაიწყეს ჯარის შეკრება და მოიწვიეს „სრულიად ჩერქეზნი, ოსნი და კავკასიისანი“¹⁴.

1752 წელს ერეკლესა და თეიმურაზს მოღალატე აჯი-ჩალაბის წინააღმდეგ უკვე „პირიქით და პირაქეთ ოსები“ ეხმარებოდნენ¹⁵.

1754-55 წლებში ნურსალ-ბეგთან საბრძოლველად მჭადიჯვართან და ყვარელთან ერეკლემ და თეიმურაზმა დიდი რაოდენობით ჩრდილო-კავკასიელები დაიქირავეს, მათ შორის - თავაურელი ოსებიც (დარიალ-ძაუგის გზაზე მაცხოვრებელი ოსები). თავაურელებს ერეკლესთვის ძველი ურთიერთობები აღდგენა შემოუთვლიათ, „რაც უწინ ჩვენს ნათესავს ქართველ მეფისაგან ჯამაგირი გვქონდაო, ის გაგვიჩინოსო“, ერეკლე-თეიმურაზს პირობები მიუღიათ და ოსი მოხალისეებიც ცალ-ცალკე დასტებად წამოსულან კახეთში თავისი მეთაურებით¹⁶.

ოსები აქტიურად იყვნენ ჩართულნი მორიგე ჯარის ღონისძიებებშიც .

1766 წლის 19 სექტემბერს ერეკლეს ოსი ეროვნების კორნაკ შანაშვილისათვის სამეფო კარის ერთგულების გამო, სახელმწიფო სალაროდან „ნიადაგ ათი მარჩილის ფარჩა“ განუწესებია და „არც ჩვენგნით მოგემლებაო“, უდასტურებს გიორგი XII 1800 წელს¹⁷ .

⁸ ქართლის ცხოვრება, ტ. 1, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1955, გვ. 23

⁹ იქვე, გვ. 313

¹⁰ ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ. გვ. 269

¹¹ იქვე, გვ. 269

¹² М Броссе. Переписка на иностранных языках Грузинских царей с Российскими государями от 1659 г. по 1770 г. СПб 1861, стр. 191

¹³ პაპუნა ორბელიანი, ამბავნი ქართლისანი. ტექსტი დაადგინა, შესავალი, ლექსიკონები და საძიებლები დაურთო ელენე ცაგარეიშვილმა, თბ., 1981, გვ. 70

¹⁴ იქვე, გვ. 165

¹⁵ იქვე, გვ. 191

¹⁶ ნიკო ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. VI, გვ. 377

¹⁷ ექვთიმე თაყაიშვილი, ოსებისადმი ზომებული ექვსი სიგელი, # 1

ბესლან შანაშვილი ხაზინიდან წლიურად „ორმოცი მარჩილის ფარჩას“ იღებს. საბუთით ისიც ირკვევა, რომ „ჯამაგირის წიგნი“ შანაშვილის ერევნის ომში დაჰკარგვია, ამიტომ გიორგი XII მასაც უახლებს წყალობას¹⁸.

ლევთა თარეშის წინააღმდეგ, ერეკლე II ოსებს სხვა დროსაც იყენებდა და მათთვის საგანგებო „ინსტრუქციაც“ შეიმუშავა. თუ ლეკები ლიახვის ხეობით წამოვიდოდნენ, ოსთა რაზმები თამარაშენში უნდა შეკრებილიყვნენ და ლეკები შიდა ქართლისკენ არ უნდა გამოეშვათ. თუ ლეკები ახალციხიდან წამოვიდოდნენ და ცხინვალისაკენ გაემართებოდნენ, გზას ერეკლე გადაუკეტავდა, ხოლო თუ ლეკები გორისაკენ წამოვიდოდნენ, ოსები ერეკლეს ჯარს უნდა შეერთებოდნენ და ერთობლივად დაეცვათ იგი.

1785 წლის 12 ოქტომბერს ერეკლე ცხინვალში ადგილობრივ მოხელეებს სწერს: „ქ. ბრწყინვალე თავადს მაჩაბელს, ხევისთავს ფარსადანს და ბადურაშვილს ბარძიმს მრავალი მოკითხვა უამბეთ. მერე ყარაჯა ოსი გამოგვისტუმრებია და ოსეთში წიგნები მოგვიწერია, რომ ისინი მამაცობრივ გამოვიდნენ და თამარაშენს და იმ ადგილებში ორსაოდ კვირას დადგნენ, თუ ვინ იცის, იმ ლეკის ჯარმა მანდეთკენ მოსვლა მოინდომონ, სროლა აუტეხონ და არ შემოუშონ, ჩვენც ყარაულები გვიყენია, ის ჯარი რომ ახალქალაქიდან აიყრება და ქართლისკენ წამოვა, ჩვენც აქედამ რუსის ჯარით საჩქაროდ გამოუდგებით და მოგეშველებით. თუ ქრცხინვალის ხეობისკენ წამოვიდნენ, ჩვენც უკან გამოვყვებით, და თუ გორსა და იმას ზეით მივიდნენ სადმე, ოსებსაც ჩვენ დავიბარებთ და ვილაშქრებთ და წყალობასაც დავმართებთ და თუ გორს ქვეით მივლენ სადმე ოსებსაც იქ არ დავპატიუებთ ლაშქრობას და არც გვინდა“¹⁹.

ცნობილია, რომ 1783 წლის რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულება საქართველოში ზარბაზნების გადმოტანასა და 4000 ჯარისკაცის მუდმივად ყოფნას ითვალისწინებდა. დარიალ-მაუგზე ზარბაზნების გადმოტანის საქმეში ერეკლეს თავაურელი ოსებიც ჩაურთავს. პავლე პოტიომკინისადმი 1785 წლის 12 აპრილს მიწერილ წერილში მეფე აღნიშნავს: „...ჩვენ ახლა თავაურებს ყველას წიგნი მივწერეთ და მისაცემელიც უყადეთ, რომ ზარბაზნების გადმოტანაზე გაირჯებიანო“²⁰.

ოსები, ქართლ-კახეთის მეფეს ომარ-ხანის წინააღმდეგ ბრძოლაშიც ეხმარებოდნენ. ნ. დუბროვინის ცნობით, 1785 წლის 20 სექტემბერს მარნეულში ჩასული ერეკლე, თავის რიგებში სხვა ძალების გარდა, 400 ინგუშსა და ოსსაც ითვლიდა, რომლებიც მეფის დამახილზე მოსულიყვნენ²¹.

იულონ ბატონიშვილის ამილახვრისადმი 1792 წლის 10 აპრილით დათარიღებული დოკუმენტით, სამაჩაბლოს მოსახლეობას ლეკების წინააღმდეგ საბრძოლველად, კომლზე კაცი უნდა გამოეყვანათ ოთხი დღის საფხლით²², 1788 წელს გაცემული საბუთის მიხედვით, ოსები ლილოს ყარაულობდნენ²³ და სხვ.

1801 წლის 12 სექტემბერს რუსეთის იმპერიამ მუხანათურად დაარღვია გეორგიევსკის „მფარველობითი“ ხელშეკრულება, აღმოსავლეთ საქართველოში ბაგრატიონთა ათასწლოვანი ტახტი გააუქმა და ქვეყნის ოკუპაცია მოახდინა.

მოახლოებული საფრთხე რეალურად შეაფასეს კავკასიაში მოსახლე მრავალრიცხოვანმა ერებმა და იმპერიის წინააღმდეგ ბრძოლაში ლიდერის ფუნქცია ბაგრატიონებს მიანდეს. რუსებმა შორსმიმავალი სტრატეგიული მიზნიდან გამომდინარე, ლარსი-სტეფანწმინდის გავლით სამხედრო გზის მშენებლობა წამოიწყეს და მოსახლეობას მძიმე შრომითი ბეგარა დააკისრეს, რასაც 1804 წლის მთიულეთის ცნობილი აჯანყება მოჰყვა.

ამ აჯანყების დროს ოსები კვლავ ქართველების გვერდით იდგნენ.

იულონ და ფარნაოზ ბატონიშვილებმა, მოსახლეობის გაუსაძლის სოციალურ ფონზე დაწყებული მღელვარების ქვეყნის მთავარი ამოცანის მიღწევის მიზნით გამოყენება სცადეს. ფარნაოზ ბატონიშვილმა მის ხელთ არსებული ძალების მობილიზება მოახერხა და 1804 წლის (დედანშია 1800 წლის - ს. ა.) 18 სექტემბერს „ერთობით ქურთაულებს“ მოუწოდებდა: „...მერმეთ თქვენც კარგად იცით, რომ ძველთაგან ჩვენი მამაპაპანი და თქვენი ერთმანეთისანი ყოფილან და მშურის სიყვარულით და მამაშვილობის სახით ჰყვარებიათ ...ახლა თქვენ იცით, როგორ ჯარად გამოხვალთ და თავაურთ შემწენი იქნებით და მაგ გზებს შეჰკრავთ, რომ რუსეთ ვედარ გაიარონ და ვერც შემოვიდნენ და ჩვენგან როგორც გინდოდეთ იმ წყალობით გული შეისრულეთ. ღვთის წყალობით ჩვენ აქ სტეფანწმინდას მოვედით და ქალაქს ვაპირებთ წასვლას, რომ იქიდან ჩვენი ძმა ალექსანდრე მოვა ყიზილბაშის ჯარით და ახლა თქვენ იცით, როგორც ამ საქმეს არ უსუსტებთ და მხნედ მოიქცევით ...საქართველოს ხალხი ყველა უკუდგა, ღვთით საქმე კარგად არის და ახლა თქვენ იცითო“²⁴.

¹⁸ იქვე, # 2

¹⁹ ექვთ. თაყაიშვილი, საქართველოს სიძველენი, ტ. 3, ტფ., 1910, გვ. 199-200, დოკ. 211

²⁰ საქართველოს ეროვნული საისტორიო არქივი, ფ. 1449, ს. 2271

²¹ Н. Дубровин, История войны и владычества Русских на Кавказ, т. II, СПб 1886, стр. 141

²² გ. სოსიაშვილი, სამაჩაბლოს ისტორიიდან (XV-XIX სს.) თბ., 2005, გვ. 152

²³ მ. ცოტნიაშვილი, ცხინვალის ისტორიისათვის, სტალინირი 1961, გვ. 65

²⁴ ექვთიმე თაყაიშვილი, ოსებისადმი ზომებული ექვსი სიგელი, # 4

როგორც წერილიდან ჩანს, ფარნაოზ ბატონიშვილს თავაურელი ოსების მხარდაჭერა უკვე გარანტირებული ჰქონდა და კოალიციაში დამატებითი ძალების ჩართვას ცდილობდა.

ოსები აქტიურად ედგნენ მხარში რუსების წინააღმდეგ მებრძოლ ლევან იულონის ძე ბატონიშვილსაც, რომელიც ლიახვის ხეობას აფარებდა თავს, რუსების მრავალგზის მოწოდების მიუხედავად, ოსებმა იგი არ გასცეს და კავკასიაში წმინდათაწმინდა სტუმარ-მასპინძლობის წესი არ დაარღვიეს.

ოსები ასევე ბოლომდე ერთგულებდნენ რუსების წინააღმდეგ მებრძოლ ალექსანდრე ბატონიშვილს.

ამ კავშირით აღმფოთებული ტორმასოვი 1809 წლის 16 სექტემბერს იმერეთში ზურაბ ერისთავს ატყობინებდა: „სააბრაგო ოსები, მეფის ძის ალექსანდრესაგან აღმფოთებულნი, წამოსულიყვნენ ქართლის მტაცებლობისათვისო“²⁵, და საგანგებო ღონისძიებების მიღებას ავალუბდა.

1813 წელს, ალექსანდრე ბატონიშვილი, მირზაბეგ თულათიშვილისა და დუდავ მასურიშვილისადმი მიწერილ წერილში, მეზობლებს განუმარტავს, რომ კავკასიის მცირე ერებს შორის ატეხილი მტრობა მხოლოდ იმპერიის მიზნებს ემსახურება და შერიგებისაკენ მოუწოდებს: „ქ. მეფის ძე ალექსანდრე ძმურის სიყვარულით მოგიკითხავთ თულათისშვილო მირზაბეგ და მასურისშვილო დუდავ ...ახლა თქვენც კარგად იცით, რომ რუსეთ ჩვენი ოჯახი როგორ დაამხეს, და თუ ჩვენ ასე გვიყვეს, ჩვენზედ დაბალს ოჯახს რას უზამენ? თქვენ ჭკვიანი კაცნი ბრძანდებით, კარგად უნდა იფიქროთ მაგათის ამ ქვეყანაში დათესლებას ბოლო რა მოსდევს ან თქვენთვის და ან ჩვენთვის. ხოლო ახლა ჩვენც ღვთის მოწყალებით საქმესა და თადრიგებაში ვართ და თქვენც ჩვენი ოჯახისათვის და ჩვენი გულისათვის თავი უნდა დასდვა[თ] და ოჯახიცა. თქვენ ჩიმითელთა ქურთაულელ მზევალი უნდა მისცეთ და ერთმანეთში დაზავდეთ. ჩვენ ვაძლევთ თქვენს მზევალს იმათ და თქვენცა ჩვენის ოჯახისა და ჩვენის გულისათვის უნდა გამოიმეტოთ. არც უარის თქმა იქნება და მერმე როგორც გინდოდესთ ისე მიძმევით და ჩვენი ოჯახიც გაისაკუთრეთ საუკუნოდ. თქვენ და ეგენი ერთი უნდა შეიქმნათ და სადაც ან ჩვენი ოჯახის მტერი არის და ან თქვენ იმაზედ მიხვიდეთ ღვთით და ღვთით ამ ჩვენს მტერს რომ მოვრჩებით მერე მშვიდობასა და განსვენებაში ვიქნებით თქვენცა და ჩვენცა და ჩვენი ოჯახი თქვენი საკუთარი სახლი იქნება და ჩვენი კარი ყოველთვის თქვენთვის ღია იქნება“²⁶.

ამავე წლის თებერვალში გაგზავნილ სხვა წერილში, ალექსანდრე ბატონიშვილი „ერთობით დიდი ლიახვის თემის ხალხს“ ძველ ერთგულებას შეახსენებს და საერთო მტრის წინააღმდეგ გაერთიანებას სთხოვს. წერილიდან ჩანს ის დიდი ავტორიტეტი, რაც იმპერიის წინააღმდეგ მებრძოლ ბატონიშვილს კავკასიელ ერებში ჰქონდა: „ქ. მეფის ძე ალექსანდრე ძმურის სიყვარულით მოგიკითხავთ ერთობით დიდი ლიახვის თემის ხალხნო, მერმა უცით ჩუენს ამბავს იკითხავთ. ღ-თის მოწყალებით აქ ხევესურეთს მშვიდობით უმყოფებით და ჯარს ვკრეფთ ლევისას, ქისტისას, ღლიღვისას, ჩაჩნისას, ჭანთოის, თუშისას, ფშავისას, ხევესურისას და რუსებზედ მისვლას ვაპირობთ. ახლა უცით რომ თქვენც ჩვენი დიდად ერთგულნი ხართ და თქვენც უნდა ჯარად შეიყარნეთ და სადაც რუსი ძევს მაგათ მიუხდეთ. ახლა თქვენ იცით და თქვენმა ნამუსიანმა სიმხნემ. ჟამიც ეს არის სამსახურისა და წყალობის მიღებისა, რაწამს ეს წიგნი მოგივიდესთ, მაშინვე ჯარათ უნდა შეიყარნეთ და ქუეით ქართლში და მაგ პირობაზედ, სადაც რუსი აძევს მიუხდეთ და ღთით ჩუენც აქედამ მოვალთ. კიდევ ყენი ქუეიდან მოვა და ღთის მოწყალებით ჩვენის მტრით ამოვლებთ და თქვენც როგორც ერთგულად მოქცეულხართ, ისე ერთგულად მოიქეცით და ჩვენგან წყალობით გული შეიჯერეთ. სხვას ჩვენს სიტყვას ამ წიგნის მომტანი გაიმბობსთ“²⁷.

1918 წლის 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისა და 1920 წლის 7 მაისს რუსეთის მიერ ამ აქტის აღიარების მიუხედავად, საბჭოთა რუსეთს ჩვენ ქვეყანაზე პრეტენზიები მაინც ჰქონდა. ეს ფაქტი ხსენებული ხელშეკრულების ერთ-ერთი მუხლითაც დადასტურდა, რომლის მიხედვით, საქართველო იძულებული ხდებოდა, საკუთარ ქვეყანაში მეხუთე კოლონის - კომუნისტური (ბოლშევიკური) პარტიის ლეგალიზება მოეხდინა, რასაც მალე მოჰყვა ბოლშევიკთა ამბოხება დუშეთში, სოხუმში, ცხინვალში.

1920 წლის ცხინვალის აჯანყება, მიზნად რეგიონში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებასა და რუსეთის იმპერიაში შესვლას ისახავდა, მაგრამ დოკუმენტებით დასტურდება, რომ იმ დროისათვის საქართველოს დამოუკიდებლობას ოსებში საკმაოდ ბევრი მომხრე ჰყავდა და ქართველების მხარდამხარაც იბრძოდნენ. მაგ. 1920 წლის 28 მაისს, კრემლში გაგზავნილ „მშრომელი სამხრეთ ოსეთის მემორანდუმში“, სადაც მაჩაბელი მსხვილ და წვრილ ექსპლუატატორთა ბანდის მეთაურადაა მონათლული, გრიგოლ ვეშაპელი ქართველთა პურიშკევიჩად, ხოლო ვლადიმერ ჯუღელი ბანდიტად,

²⁵ საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ისტორიული დოკუმენტები და არქივები, II, ისტორიული დოკუმენტები, წიგნი I, იმერეთის სამეფოს პოლიტიკური საბუთები (1784-1810). ტექსტი შენიშვნებითა და საძიებლებითურთ გამოსაცემად მოამზადა შ. ბურჯანაძემ, თბ., 1961, გვ. 72-73

²⁶ ექვთიმე თაყაიშვილი, ოსებისადმი ზომებული ექვსი სიგელი, # 5

²⁷ საქართველოს ეროვნული საისტორიო არქივი, ფ. 1448, ს. 9376

აღნიშნულია, რომ „ოსი ჩაფრები ქართველ მენშევიკების რიგებში იბრძოდნენ ოსი და ქართველი ბოლშევიკების წინააღმდეგ. ქართველ გვარდიელთა შორის ოსი ეროვნების არაერთი თანამოაზრე იყო. თვით ცხინვალის მენშევიკური დამსჯელი რაზმის შტაბის უფროსი კაზიევი (მოკლეს ცხინვალთან) ოსი იყო.

ოსი ჩაფრები, ჯალათები და კონტრრევოლუციონერები, როგორებიც იყვნენ რ. ბიკოევი, ვ. ფილიევი, ა. ლოხოვი, ს. ხარებოვი, ფ. ცაბალოვი, ვ. მარკოვი, ა. მასოხოვი, ხ. გასიევი, და სხვები და სხვები, იყვნენ და დღემდე არიან საქართველოს მთავრობის სამსახურში²⁸.

ზემოთ მოტანილი ქართველებისა და ოსების საბრძოლო თანამეგობრობის არასრული მაგალითებიც ნათლად მეტყველებს, რომ ამ ორ ერს, მტრობასა და შუღლზე მეტად, ერთიანობა აკავშირებდათ.

ალექსანდრე ბატონიშვილის მოწოდებიდანაც 200 წელი გავიდა, მაგრამ მის სიტყვებს აქტუალობა დღესაც არ დაუკარგავს.

ყველაფერს თავისი დრო აქვს, მათ შორის - შუღლსაც, მით უფრო, თუ იგი გარედანაა თავსმოხვეული. ალბათ მოვიდა დრო, ქართველებმაც და ოსებმაც წინაპართა გაკვალულ გზაზე კვლავ ერთად ვიაროთ.

ლიტერატურა:

1. ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ. IV;
2. ბერძენიშვილი ნიკო, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. VI;
3. თაყაიშვილი ექვთიმე, ოსებისადმი ბოძებული ექვსი სიგელი, № 1; 2; 3; 4; 5;
4. თაყაიშვილი ექვთ., საქართველოს სიძველენი, III, ტფ., 1910;
5. ორბელიანი პაპუნა, ამბავნი ქართლისანი. ტექსტი დაადგინა, შესავალი, ლექსიკონები და საძიებლები დაურთო ელენე ცაგარეიშვილმა, თბ., 1981;
6. „ოსთა საკითხი“, აკაკი ბაქრაძისა და ომარ ჩუბინიძის რედ. გორი-თბილისი, 1996;
7. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ისტორიული დოკუმენტები და არქივები, II, ისტორიული დოკუმენტები, წიგნი I, იმერეთის სამეფოს პოლიტიკური საბუთები (1784-1810). ტექსტი შენიშვნებითა და საძიებლებითურთ გამოსაცემად მოამზადა შ. ბურჯანაძემ;
8. საქართველოს ეროვნული საისტორიო არქივი, ფ. 1448;
9. საქართველოს ეროვნული საისტორიო არქივი, ფ. 1449;
10. სოსიაშვილი გიორგი, სამაჩაბლოს ისტორიიდან (XV-XIX სს.) თბ., 2005;
11. ცოტნიაშვილი მიხეილ, ცხინვალის ისტორიისათვის, სტალინირი, 1961;
12. ქართლის ცხოვრება, ტ. 1, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1955;
13. Броссе М. Переписка на иностранных языках Грузинских царей с Российскими государями от 1659 г. по 1770 г. СПб 1861, стр. 191;
14. Дубровин Н. История войны и владычества Русских на Кавказ, т. II, СПб 1886, стр. 141.

FROM THE HISTORY OF GEORGIANS AND OSSETIANS' MILITARY ALLIANCE

Ioseb Alimbarashvili, Gori Teaching University, Specialist by contract

Sokhumi State University, A Ph.D Student

RESUMÉ

The article concerns the military alliance of the two close neighbors _ the Georgians and the Osetians, from the ancient period until the 20s of the last century.

The article is actual indeed, as for the last twenty years the relations, between the two nations, has been discussed much and evaluated negatively.

On the other hand, according to the documentary and narrative sources, the Georgians and the Ossetians had to often fight together under the same banner against common enemies.

From the reliable sources, the author brings the same kind of examples confirming the existence of warm and friendly relationships between these two nations rather than being at war with each other on various stages of the history.

²⁸ მშრომელი სამხრეთ ოსეთის მემორანდუმი, დოკ. 1, დანართი კრებულისა: „ოსთა საკითხი“, აკაკი ბაქრაძისა და ომარ ჩუბინიძის რედ. გორი-თბილისი, 1996, გვ. 299, 301

In the concluding remark the author indicates that it has already come the time to finish the discord between the Georgians and the Ossetians and continue the way together paved by the forefathers.

კიდევ ერთხელ ე.წ. „აფხაზეთის სსრ“ სახელმწიფოებრივი სტატუსის შესახებ

ჯამბულ ანჩაბაძე

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი

აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ (1921 წ. 4 მარტი), დღის წესრიგში დადგა საკითხი მისი პოლიტიკური სტატუსის შესახებ. საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი მიიჩნევდა, რომ აფხაზეთი შევიდოდა საქართველოს შემადგენლობაში ავტონომიის საწყისებზე. 18-19 მარტს ჩატარებული გუდაუთის მაზრის რევკომების ყრილობის მასალებიც ადასტურებენ, რომ 1921 წლის 4-დან 29 მარტამდე აფხაზეთი განიხილებოდა, როგორც ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა საქართველოს შემადგენლობაში [1, 21], მაგრამ მოვლენები საპირისპიროდ განვითარდა. 1921 წლის 27 მარტის დასაწყისში აფხაზეთის რევკომის, ადგილობრივი პარტიული ორგანოების ხელმძღვანელების, მე-9 წითელი არმიის რევოლუციური სამხედრო საბჭოს თათბირმა აფხაზეთი დამოუკიდებელ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად გამოაცხადა, აფხაზეთის პარტიული ორგანიზაცია – აფხაზეთის კომპარტიად. ამის შესახებ აფხაზეთის რევკომის სახელით ეფრემ ეშბამ აცნობა კავშიუროს მდივანს სერგო ორჯონიკიძეს. ორჯონიკიძემ გაკვირვება არ დამალა ამ ინფორმაციის გამო, აღნიშნა რომ აფხაზი ამხანაგები პირველად აყენებდნენ საკითხს ამ კუთხით. ისინი შეთანხმდნენ, რომ ამ საკითხის გადასაწყვეტად ბათუმში შეხვედებოდნენ ერთმანეთს [2,28].

1921 წლის 28-29 მარტს ქ. ბათუმში გამართულ რკპ(ბ) ცკ-ის კავშიუროს და საქართველოს კპ (ბ) ცკ-ის პასუხისმგებელი მუშაკების თათბირზე, რომლის მუშაობაში მონაწილეობდნენ ს. ორჯონიკიძე, ს. ქავთარაძე, ნ. ლაკობა, მ. ტოროშელიძე, შ. ელიავა, ეფრემ ეშბა და სხვ. განხილულ იქნა საკითხი აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლებისა და კომპარტიის სტრუქტურის შესახებ“.

ბათუმის თათბირმა ერთხმად დაადგინა, რომ აფხაზეთი გამოცხადებული იყო საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად. ამასთან საკითხი აფხაზეთის სსრ-ის საქართველოსთან სსრ-თან ურთიერთობის სახელმწიფოებრივი ფორმების შესახებ ღიად იქნა დატოვებული ორი რესპუბლიკის საბჭოების ყრილობის მოწვევამდე [3,28]. ამ ფაქტთან დაკავშირებით აფხაზი ისტორიკოსები აცხადებენ, რომ ვერც რკპ(ბ) ცკ-ის კავშიურომ და ვერც საქართველოს კპ (ბ)-ს ცენტრალურმა კომიტეტმა ვერაფრით ვერ მოახერხეს შეებოჭათ აფხაზეთი საქართველოს მიმართ რაიმე ვალდებულებების და შეეშალათ ხელი აფხაზი ხალხისთვის დაეცვა თავისი დამოუკიდებლობა [1,25]. ვერაფერს ვერ ვიტყვით, ალოგიკური განცხადებაა. თათბირის დადგენილებაში ხაზგასმულია, რომ აფხაზეთის საქართველოსთან ურთიერთობის სახელმწიფოებრივი ფორმების შესახებ საბოლოო გადაწყვეტილებას იღებდა ორი რესპუბლიკის სახალხო საბჭოები და საქართველოს მხრიდან აქ რაიმე ზეწოლაზე საუბარი რბილად რომ ვთქვათ უხერხულია.

ბათუმის თათბირმა ხელის ერთი მოსმით, საერთაშორისო ნორმების უხეში დარღვევით საფუძველი გამოაცალა საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას. რკპ (ბ) კავშიუროს მდივნის ს. ორჯონიკიძის და აფხაზეთის რევკომის თავმჯდომარის მოლაპარაკებებიდან ნათლად ჩანს თუ როგორ მარტივად და სახელდახლოდ წყვეტდნენ ისეთ უმნიშვნელოვანეს სახელმწიფოებრივ საკითხს, როგორცაა ტერიტორიული მთლიანობის საკითხი და ქვეყნის სუვერენიტეტი. აქვე მკითხველის ყურადღება გვინდა გავამახვილოთ შემდეგ გარემოებაზე:

1920 წლის 7 მაისს რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულების თანახმად, რუსეთმა ცნო სოხუმის ოლქი საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაში. თავის დროზე ასე მოიქცა გერმანიაც. ანტანტის ქვეყნებმა და თურქეთმა ცნეს, რა საქართველო „დეფაქტო“ და „დე იურე“, ამით ცნეს აფხაზეთიც როგორც მისი შემადგენელი ნაწილი [4.58].

ამგვარად, აფხაზეთის საქართველოს შემადგენლობაში ყოფნას ჰქონდა საერთაშორისო სამართლებრივი საფუძველი და რსფსრ-ის წარმომადგენელ ორჯონიკიძეს არ ჰქონდა არანაირი უფლება ერთ-ერთი რიგით თათბირზე ასე სწრაფად გადაეწყვიტა ქართველი და აფხაზი ხალხებისთვის ასეთი მნიშვნელოვანი საკითხი. ბათუმის დადგენილება აფხაზეთის სსრ-ს შექმნის შესახებ მოწონებულ იქნა რკპ(ბ)-ისა და საქართველოს ცენტრალური კომიტეტის მიერ. 1921 წ. 6 მაისს საქართველოს რევკომმა, მოგვიანებით, გარკვეული ორჭოფობის შემდეგ მიიღო დეკლარაცია „აფხაზეთის სოციალისტური

საბჭოთა რესპუბლიკის დამოუკიდებლობის შესახებ“, რომელშიც აღიარა აფხაზეთის დამოუკიდებელი სსრ–ს შექმნა. ამასთან აუცილებელად პირობად მიიჩნია, რომ „საკითხი საქართველოს სსრ და აფხაზეთის სსრ–ს შორის ურთიერთობის შესახებ საბოლოოდ გადაწყვეტილი იყო როგორც აფხაზეთის, ისე საქართველოს მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების პირველ ყრილობებზე [5.27].

აფხაზეთის დამოუკიდებელი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შექმნის საკითხზე რევკომის ორჭოფობას სერიოზული საფუძველი ჰქონდა. საქართველოს კომუნისტთა გარკვეულ ნაწილს (ალბათ უფრო ე.წ. ნაციონალ–უკლონისტებს) გაცნობიერებული ჰქონდა, თუ რა პასუხისმგებლობას იღებდა საკუთარ თავზე მომავალი თაობის წინაშე. ამიტომ ეტყობა, რომ აქტიურად იღვანეს იმისათვის, რათა აფხაზეთი საქართველოს შემადგენლობაში შეენარჩუნებინათ. შექმნილ ვითარებაში მნიშვნელოვანი იყო რეალური გზების ძიება, თუ რა ფორმით მომხდარიყო ეს. გაერთიანების სხვადასხვა ვარიანტი არსებობდა - ფედერაცია, კონფედერაცია, ავტონომია. ავტონომიის შეთავაზება არარეალური იყო, ვინაიდან აფხაზეთი უკვე არსებობდა როგორც დამოუკიდებელ საბჭოთა რესპუბლიკა. ჩვენი აზრით, გამოიძებნა გონივრული, შუალედური ვარიანტი – სახელმწიფოებო რესპუბლიკის სტატუსი.

1921 წლის 16 ნოემბერს რკპ(ბ) კავშიურის დადგენილების საფუძველზე ამავე წლის 16 დეკემბერს საქართველოსა და აფხაზეთს შორის დაიდო სამოკავშირეო ხელშეკრულება, რომელსაც ხელი მოაწერე ორივე მთვარობის სრულუფლებიანმა წარმომადგენლებმა: საქართველოს მხრიდან ს. ქავთარაძემ, აფხაზეთის სსრ მხრიდან - ნ. აქირთავამ და ლ. ს. კარტოზიამ [3.35]. ამ ხელშეკრულების ცალკეული მუხლები ერთნიშნად მიუთითებს იმაზე, რომ აფხაზეთი, რაღაც ორ სუბიექტიანი ფედერაციის წევრი სახელმწიფო კი არ გამხდარა, არამედ ხელშეკრულების საწყისებზე ნამდვილად შევიდა საქართველოს სსრ–ის შემადგენლობაში. ძალიან მნიშვნელოვანი იყო ხელშეკრულების მე-4 მუხლი, რომლის თანახმად აფხაზეთი უნდა შესულიყო ყველა სამხარეო გაერთიანებებში კონკრეტული ამიერკავკასიის რესპუბლიკების გაერთიანებაში საქართველოს მემკვიდრით [6.95].

აფხაზეთის სსრ სახალხო წარმომადგენელთა უმაღლესმა ფორუმმა – აფხაზეთის საბჭოების I ყრილობამ (1922 წლის თებერვალი) ერთხმად დაუჭირა მხარი სამოკავშირეო ხელშეკრულებას. მიღებულ დადგენილებაში დაფიქსირებულია, რომ „ხელშეკრულება აფხაზეთსა და საქართველოს მოძმე ხალხებს შორის ჩაითვალოს, როგორც უადრესად აუცილებელი ორივე ხალხის ინტერესებისათვის, როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური თვალსაზრისით.“ ყრილობაზე საჯაროდ იქნა განხილული საქართველოს სსრ–სა და აფხაზეთის სსრ/ს შორის დადებული ხელშეკრულების თითოეული პუნქტი ბოლოს, გაკეთდა განცხადება „თქვენ ხედავთ, რომ აქ დამსწრეთაგან არავის ძალუმს მიუთითოს თუნდაც ერთი პუნქტი, რომელშიც დამცირებული იქნება აფხაზეთის მშრომელი ხალხის უფლება. ეს ხელშეკრულება ადასტურებს, რომ საერთო ინტერესები მოგვიწოდებს ერთობლივი ბრძოლისაკენ ჩვენი მტრის წინააღმდეგ, რომელსაც ცალ–ცალკე ვერ გაუმკვლავდებით, მტერი დაინტერესებულია დათესოს შუღლი, გაავრცელოს ხმები, რაღაც დამცირების, დაკნინების შესახებ და ა.შ.“ [7.103]. ნ. ლაკობა სინანულს გამოთქვამდა იმის გამო, რომ აფხაზეთის სსრ–ში შექმნილმა ობიექტურმა კონკრეტულ ისტორიულმა პირობებმა არ მისცეს მათ შესაძლებლობა რამდენიმე თვით ადრე დაედოთ სამოკავშირეო ხელშეკრულება... „მაგრამ იმ დროს ჩვენ წინაშე იდგა ამოცანა, – აღნიშნავდა იგი, – რომელიც იმაში მდგომარეობდა, რომ აღმოგვეფხვრა ნაციონალიზმი“ [8.171]. ასეთი უტყუარი ფაქტების არსებობის ფონზე უცნაურად მიგვაჩნია აფხაზი კოლეგების მტკიცება, თითქოს საქართველოს ცენტრალური კომიტეტის ზემოქმედების შედეგად მოაწერა ხელი ხელშეკრულებას აფხაზეთის ხელმძღვანელობამ [9.83-84].

საქართველოს სსრ–ის კონსტიტუციამ, რომელიც მიღებულ იქნა 1922 წლის 2 მარტს მოახდინა საქართველოს სსრ–სა და აფხაზეთის სსრ–ს შორის დადებული ხელშეკრულების დენონსირება. ამის შემდეგ აფხაზეთის საზოგადოების გარკვეულმა ნაწილმა და ჩვენი ღრმა რწმენით ხელისუფლების მაღალი თანამდებობის ზოგიერთმა წარმომადგენელმა დაიწყეს შეტევა თბილისსა და სოხუმს შორის უკვე მყარად ჩამოყალიბებული სახელმწიფოებრივი–სამართლებრივი ურთიერთობის წინააღმდეგ. მათი ზეწოლით მომზადდა აფხაზეთის სსრ–ს I კონსტიტუციის პროექტი, რომელიც დაამტკიცა აფხაზეთის საბჭოების III ყრილობამ (1925 წლის 26 თებერვალი -3 მარტი) [10.176].

ამ კონსტიტუციაში ვერ აისახა ის ურთიერთობა, რომელიც რეალურად არსებობდა საქართველოსა და აფხაზეთს შორის. კონსტიტუციის მთელი რიგი მუხლი ეწინააღმდეგებოდა ამიერკავკასიის სფსრ და საქართველოს სსრ კონსტიტუციებს. კერძოდ, კონსტიტუციის მეორე მუხლში ვკითხულობთ:

5. აფხაზეთის სსრ არის სუვერენული სახელმწიფო, რომელიც სახელმწიფოებრივ ხელისუფლებას თავის ტერიტორიაზე ახორციელებს თვითონ, რომელიმე სხვა ხელისუფლებისაგან დამოუკიდებლად.

ამიერკავკასიის რსფსრ–ში და საბჭოთა კავშირში ნებაყოფლობით შესვლის გამო აფხაზეთის სუვერენიტეტი შეზღუდულია მხოლოდ იმ ფარგლებში და იმ სფეროებში, რომლებიც მითითებულია ამ კავშირების კონსტიტუციებში...

აფხაზეთის სსრ იტოვებს თავისუფალი გასვლის უფლებას, როგორც ამიერკავკასიის სფსრ-ს შემადგენლობიდან, ისე სსრ კავშირიდან“ [11.33].

აქ აშკარად ჩანს ამ მუხლის შეუსაბამობა ამიერკავკასიის სფსრ-ის და სსრ კავშირის კონსტიტუციებთან. ამიერკავკასიის სფსრ-ს და საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში აფხაზეთი შევიდა არა დამოუკიდებლად, არამედ საქართველოს სსრ-ს მეშვეობით. (მუხლი 4) ამდენად, აფხაზეთის სსრ-ს არ ჰქონდა უფლება გასვლისა, „როგორც ამიერკავკასიის სფსრ-ს შემადგენლობიდან, ისე სსრ კავშირიდან.

საქართველოს სსრ-ს და აფხაზეთის სსრ-ს კონსტიტუციებს შორის არსებული სერიოზული წინააღმდეგობების გამო აფხაზეთის ხელისუფლებამ მიიღო გადაწყვეტილება აფხაზეთის სსრ-ს კონსტიტუციის პროექტის საბოლოოდ გადამუშავებისა და მისი საქართველოს სსრ-ს და ამიერკავკასიის სფსრ-ს კონსტიტუციებთან სრულ შესაბამისობაში მოყვანის შესახებ.

ნ. ლაკობამ აფხაზეთის სსრ პირველ კონსტიტუციას ასეთი შეფასება მისცა: „იმის ნაცვლად, რომ აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლების არსებობის მეხუთე წელს მოგვეხსნა დღის წესრიგიდან საკითხი საქართველოსთან აფხაზეთის ურთიერთობების შესახებ, ჩვენ პირიქით კონსტიტუციური სისულელით მოვიქაჩლეთ თავი: ჩვენ კონსტიტუცია ისე დავწერეთ, რომ აფხაზეთისათვის საქართველო წარმოადგენს ერთგვარ გასასვლელ დერეფანს ამიერკავკასიის ფედერაციაში შესასვლელად. ამიერკავკასიის ფედერაცია კი, იგივე კონსტიტუციის თანახმად, უნდა იყოს გასასვლელი დერეფანი რესპუბლიკების კავშირში მოსახვედრად, რესპუბლიკების კავშირიც კავაფრთხილეთ, რომ თუ იქნება რესპუბლიკების საერთაშორისო კავშირი, ჩვენ იქაც შევალთ. ასე რომ საბჭოთა კავშირს ასეთივე ბედი ელის, როგორც საქართველოს და ამიერკავკასიის ფედერაციას“ [8.177-178].

ჩვენ ნ. ლაკობას ამ განცხადების გულწრფელობაში ეჭვი გვეპარება. ის, როგორც მთავრობის თავმჯდომარე, ცხადია, კარგად იცნობდა კონსტიტუციის პროექტს. თუ ის ამ პროექტისადმი უარყოფითად იქნებოდა განწყობილი, მას თავისი დიდი ავტორიტეტით და გავლენით ცაკ-ში არ გაუჭირდებოდა ამ უაღრესად მნიშვნელოვანი დოკუმენტის საქართველოს კონსტიტუციასთან შესაბამისობაში მოყვანისათვის ზრუნვა. ყოველ შემთხვევაში მას შეეძლო ეს პროექტი არ გაეტანა ყრილობაზე განსახილველად.

1926 წლის 11 ივნისს საქართველოს ცაკ-ის III სესიამ დაამტკიცა საქართველოს სსრ კონსტიტუცია, რომელშიც ჩამოყალიბებული იყო აფხაზეთის სსრ-ს და საქართველოს სსრ-ს შორის ხელშეკრულებით გათვალისწინებული სახელმწიფოებრივი ურთიერთობის პრინციპები.

1927 წლის მარტში სრულიად აფხაზეთის საბჭოების IV ყრილობამ დაამტკიცა საქართველოს სსრ-ს კონსტიტუციასთან შესაბამისობაში მოყვანილი აფხაზეთის სსრ-ს ახალი კონსტიტუცია, რომელშიც იურიდიულად განამტკიცა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სახელმწიფოებრივი ურთიერთობა საქართველოს სსრ-სა და აფხაზეთის სსრ-ს შორის.

20-იანი წლების ბოლოს კი დღის წესრიგში დადგა საქართველოსა და აფხაზეთის სახელმეკრულებო ურთიერთობების მიზანშეწონილობის საკითხი. არსებული სამოკავშირეო ხელშეკრულება უკვე ვერ ასახავდა მათი ურთიერთობის რეალურ სურათს [13.200].

ამ პერიოდში საქართველოში მომხდარი ეკონომიკური და კულტურული ცვლილებების შედეგად სამოკავშირეო ხელშეკრულებამ, რომელიც საქართველოსა და აფხაზეთის სახელმწიფოებრივ-სამართლებრივ ურთიერთობათა რეგულირებას ახდენდა, დაკარგა თავისი მნიშვნელობა ყველა პუნქტში გარდა იმ ძირითადი ნაწილისა, სადაც ლაპარაკი იყო ამ რესპუბლიკების გაერთიანებაზე. ამასთან დაკავშირებით აფხაზეთის სსრ-ის ცაკ-ის III სესიამ 1930 წლის აპრილში მიიღო გადაწყვეტილება: „აფხაზეთის სსრ-ის კონსტიტუციიდან ამოღებულ იქნას სახელწოდება „სახელმეკრულებო რესპუბლიკა“ და შეიცვალოს იგი სიტყვით – ავტონომიური რესპუბლიკა“ [14.23-24]. ამ დადგენილებას ობიექტური დასაბუთება გააჩნდა: ამიტომაც აფხაზეთმა მიიღო ის სტატუსი, რომელიც მას ფაქტობრივად ჰქონდა. ზემდგომი პარტიული და საბჭოთა ორგანოები აფხაზეთს დამოუკიდებელ რესპუბლიკად არ მიიჩნევდნენ. ამის დამადასტურებელი უამრავი დოკუმენტი არსებობს:

ყველა საკავშირო და რეგიონალურ-სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურ და ეკონომიკურ გაერთიანებაში (ამიერკავკასიის ფედერაცია, სსრკ და სხვა) აფხაზეთი საქართველოს მეშვეობით შედიოდა. აფხაზეთის ბიუჯეტი საქართველოს ბიუჯეტის ნაწილი იყო, აფხაზეთის პარტიული, საბჭოთა აღმასრულებელი და საკანონმდებლო ორგანოები ანგარიშვალდებულნი იყვნენ საქართველოს აღმასრულებელი და საკანონმდებლო ორგანოების წინაშე [14.25]. სსრკ-ს კონსტიტუციაში აფხაზეთი დაფიქსირებულია როგორც ავტონომიური რესპუბლიკა.

1921 წლის აგვისტოში შეიქმნა „ამიერკავკასიის ეკონომიკური ბიურო“, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ: აზერბაიჯანის, სომხეთის და საქართველოს წარმომადგენლები. აფხაზეთიდან ცალკე ამ ბიუროს შემადგენლობაში არავინ არ არის დასახელებული [14.25]. 1921 წლის 14 აპრილს ვ. ი. ლენინმა სპეციალური წერილით მიმართა აზერბაიჯანის, საქართველოს, სომხეთის, დაღესტანის და მთიულთა

რესპუბლიკის კომუნისტებს. აფხაზეთი ამ დოკუმენტშიც არ ფიგურირებს დამოუკიდებლად [16.214]. ვ. ი. ლენინის მიერ 1921 წლის 28 ნოემბერს ამიერკავკასიის რესპუბლიკების ფედერაციის შექმნის შესახებ დაწერილ პროექტში დაფიქსირებულია ამ ფედერაციის რეალური სუბიექტები: საქართველო, აზერბაიჯანი, და სომხეთი.

და ბოლოს, აფხაზეთი არ ყოფილა საერთაშორისო სამართლის სუბიექტი.

აქედან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ 1921-1931 წლებში აფხაზეთი მხოლოდ ფორმალურად ითვლებოდა სამოკავშირეო-სახელშეკრულებო რესპუბლიკად და ეს ხდებოდა თვით აფხაზეთის პოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე. ხოლო 1931 წელს მოხდა აფხაზეთის რეალური სტატუსის დაკანონება.

ლიტერატურა:

1. ქართულ-აფხაზური ურთიერთობის დამახინჯების გამო (პასუხი „აფხაზური წერილის“ ავტორებს). თბ., 1991.
2. **Б. Е. Сагария.** Национально-Государственное строительство в Абхазии(1921-1931 гг). Сухуми, 1981.
3. **Б. Е. Сагария.** Образование и укрепление советской национальной государственности в Абхазии (1921-1938 гг). Сухуми, 1970.
4. **А. Метешавили.** Из истории взаимоотношении грузинского, абхазского и осетинского народов (1918-1921 гг). Тб.,1990.
5. *Революционные комитеты Абхазии.* Сборник документов и материалов. Сухуми,1961, с. 27
6. **ზ. პაპასქიო.** ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის ისტორიული წარსულიდან. ნაკვეთი II. თბ., 2007, გვ.95
7. *Связи советов Абхазии.* Сборник документов и материалов (1922-1923гг). Сухуми,1959, с. 103
8. **Н. Лакоба.** Статьи и речи. Сухуми, 1987, с. 171
9. **С. Лакоба.** Очерки политической истории , Абхазии. Сухуми,1990, с. 83-84
10. *История Абхазской АССР (1917-1937гг.).* Сухуми,1981, ст.176
11. ქართულ-აფხაზური ურთიერთობის დამახინჯების გამო (პასუხი აფხაზური წერილის ავტორებს). თბ., 1991, გვ. 33.
12. **Н. А. Лакоба.** Статьи и речи. Сухуми, 1987, сю 177-178.
13. *История Абхазкой АССР.* Сухуми, 1983, с.200.
14. **Л. Тоидзе.** К вопросу о политическом статусе Абхазии. Страницы истории 1921-1931, Тб., с.23-24.
15. პოლიტიკური პარტიების არქივი (ქ. თბილისი) გ. 14, აღწ. 1. საქ. 37, ფურც. 180.
16. საქართველოს ისტორია XIX საუკუნის 90-იანი წლებიდან დღემდე. თბ., 1984

ONCE MORE ON THE STATE STATUS OF SO-CALLED SSR OF ABKHAZIA Jambul Anchabadze, Sokhumi State University, Associate Professor SUMMARY

After the establishment of Soviet regime in Abkhazia the issue of its political status became essential. Significant part of society considered that Abkhazia was within Georgia on the basis of Autonomy. But the events were developed in different ways, on the March 28-29 of 1921 Batumi meeting of Russian Communist Party (Bolsheviks) of Central Committee, Caucasian Bureau and Georgian Communist Party of Central Committee where the secretary of Caucasian Bureau D. Orjonikidze and Heads of Abkhazia's Revolutionary Committee E. Eshba and N. Lakoba were participating, Abkhazia was announced as an independent Soviet Socialist Republic, Party organization of Abkhazia – as Communist Party of Abkhazia. The Central Committee and Revolutionary Committee of Georgia supported the resolution of Batumi meeting and considered it necessary that the issue of Abkhazia's relationship to Georgia regarding the form of the state system was solved on the Georgian and Abkhazian congresses of workmen and peasants deputy boards. Batumi meeting, with just one action, by rough violation of international norms destroyed the basis of the territorial integrity of Georgia. The presence of Abkhazia within the territory of Georgia had International legal basis and the meeting participants had no right to solve that vital issue for Georgian and Abkhaz people so quickly and simply. Through March-December of 1921 this issue had been discussed on the background of exceptional tension. It is surprising but it is a fact that the Head of Georgian Central Committee and Revolutionary Committee actively fought in order to preserve Abkhazia within Georgia. In the existing condition the essential was finding the real ways of its realization. Finally, the decision was taken, that was applicable for both parties – the inter-allied agreement was made between Georgia and Abkhazia on December 16, 1921. In the separate articles of this agreement it was highlighted that Abkhazia had not become the member of double-subject Federation. It was entering into the composition of any

regional or unification consolidations via Georgia. First Congress of Abkhazia's councils (February 1922) unanimously supported inter-allied agreement. By the beginning of 30-ies of the XX century, as a result of economic and cultural changes in Georgia, inter-allied agreement lost its significance. Thus, on April 31, 1931, the third Congress of Central Committee made a decision to take the concept of "Contractual Republic" from the Constitution of Abkhazia and substitute it with "Autonomous Republic", i.e. Abkhazia obtained the status that it factually had. This resolution had its objective substantiation: Abkhazia entered in every regional or unification consolidations of political and economic character via Georgia; the budget of Abkhazia was in the composition of Georgian budget; Abkhazia Party, Soviet, Executive and legislative bodies were accountable to Georgian government; in the USSR Constitution Abkhazia was mentioned as Autonomous Republic; Abkhazia has not been the subject of International Law. According to the abovementioned it can be concluded that during 1921-1931 Abkhazia was only formally considered to be the inter-allied Republic and it happened due to political conditions of Abkhazia, in 1931 its social status was legitimated.

ქართველთა და ოსთა ურთიერთობის საკითხები

ციური ბაქრაძე

გორის სასწავლო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი

მრავალსაუკუნოვანი ქართული კულტურა, შინაარსობლივად მდიდარი და ფორმით ულამაზესი ქართული ენა შორეული წარსულიდანვე იქცევდა როგორც სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერთა, ისე საქართველოს მიწა-წყალზე დასახლებულ მრავალი ეროვნების ყურადღებასაც. ამ ხალხთა წინსვლა-განვითარებისათვის აშკარა იყო ქართული მწერლობის, ისტორიის, ენის, ხელოვნების, ფილოსოფიისა და მატერიალური კულტურის ფასდაუდებელი მნიშვნელობა, ქართველთა მიწა-წყალზე მოსახლე, ქართულ ყოფა-ცხოვრებასა, ზნე-ჩვეულებასა და კულტურას შესისხლხორცებული დვალები, ოსები და მთის სხვა ხალხები, თავიდანვე, ქართველების მხრით ძმური სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობდნენ, ამიტომ ისინი, ხშირ შემთხვევაში თავს არც კი არჩევდნენ ქართველთა მკვიდრი ტომების: ქართლელ-კახელების, გურულების, იმერლების, მეგრელების, სვანებისა და სხვებისაგან და მთელი შესაძლებლობით ეწაფებოდნენ ქართული კულტურის, ენისა და ისტორიის შესწავლას.

ისტორიული წყაროებიდან ცნობილია, რომ საქართველოს ტერიტორიაზე და მის გარემოც, ქართული ენა და კულტურა დიდი სახელით სარგებლობდა, ეკლესია-მონასტრებზე, ფეოდალურ ციხე-სიმაგრეებსა და სხვა ნაგებობებზე დაცული ძველი ქართული წარწერები, მხატვრულ-კერამიკული ნაკეთობანი და სხვა ძეგლები აშკარად მოწმობენ ქართული ენისა და ქართული კულტურის უდიდეს მნიშვნელობას, მის როლს სხვადასხვა ეროვნებათა და ხალხთა კულტურის განვითარებაში. როგორც საქართველოს სხვა კუთხეებში, ისე "ოსეთში, სხვადასხვა ძველნი ნაშთებიც მრავლად არიან ნაშენნი, უმეტესად ქართველ მეფეთაგან გაკეთებული კოშკნი, ეკლესია და მონასტრები, ბევრს ქართული მინაწერიც აქვს, ბევრი შემუსვრილი არის მტერთაგან". [9. 8].

ქართული კულტურის ცნობილი მოამაგისა და მწიგნობრის – ზ. ჭიჭინაძის გადმოცემით ოსებს, ქრისტიანობის გავრცელებასთან დაკავშირებით შეუსწავლიათ "... საყდრების შენებაც... მისი ოსტატობა, ხელოსნობა, ხელოვნება და სხვანი. ამის გარდა წერა-კითხვაც კარგად იცოდნენ". ამათი წერა-კითხვა და ანბანი იყო ის ანბანი, რომელსაც ეხლა ქართული ეწოდება. [8. 70]

ქართველები და ოსები ძმურ დახმარებას უწევდნენ ერთმანეთს მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში. ქართველებსა და ოსებზე გარკვეული კავშირი ჰქონდათ აგრეთვე კავკასიის მთიელთა და მთიულთა მოსახლეობასთან, რომლებსაც ისინი ხშირად თავიანთი სამხედრო – პოლიტიკური და სამეურნეო-კულტურული ამოცანების განხორციელებისთვის იყენებდნენ. [10. 38].

როგორც კავკასიის მთის სხვა ხალხები, ისე ოსეთის მოსახლეობა, თავიდანვე დაინტერესებული უნდა ყოფილიყო ქართული ენისა და მრავალსაუკუნოვანი ქართული კულტურის შესწავლით, მისი შესანიშნავი ლიტერატურისა და ისტორიის ცოდნით.

ქართველ ხალხში მწიგნობრობის სიყვარული, ცოდნისა და კულტურისაკენ მისწრაფება სისტემატურად იზრდებოდა, "მცხეთის გარშემო მცხოვრებთ შორის ისე ამაღლდა წიგნის ცოდნის სიყვარული, იგი ისე გავრცელდა, რომ მან ერთობ დიდი გავლენა იქონია თვით მთის

ხალხზე და ნამეტურ ოსებზედ”. მცხეთა და მისი მცხოვრებთ წიგნის გავრცელების საქმე გახდა ოვსთა მაგალითადაც და მოკლე დროის განმავლობაში ოვსთაც ისევე შეისწავლეს წერა-კითხვა, როგორც მცხეთას და მის ახლო-მახლო ქართველთ. მთის ქართველნი და ოსეთის ოვსნი ქებულ იქნენ, როგორადაც ადვილად შემთვისებელნი და მარტივად დამსწავლელნი ანბანისა” [9. 78]. ზ. ჭიჭინაძის ცნობით ოსებსა და საერთოდ, კავკასიის მთის ხალხებში ფეხს საკმაოდ იკიდებდა ქართული სასაუბრო ენა, ეკლესიებსა და ოჯახებში ქართულ ენაზე იკითხებოდა სახარება, ბევრ შემთხვევაში ქართულად ხდებოდა საეკლესიო ლოცვებისა და საგალობლების შესრულება.

სრულიად შესაძლებლად უნდა მივიჩნიოთ, რომ საქართველოს მაშინდელი მმართველები ხელს შეუწყობდნენ არა მარტო ქრისტიანობის გავრცელებას ოსეთში, არამედ ოსთა ეკლესიებისა და სკოლებისათვის საჭირო კადრების მომზადებისა და აღზრდის საქმესაც. თუ გავითვალისწინებთ, რომ 11-12 საუკუნის ქართული პოეზია, კულტურა და ხელოვნება თავისი საკუთარი ტერიტორიის ფარგლებს გასცდა, უნდა ვივარაუდოთ, რომ ოსეთის საეკლესიო სკოლებში სწავლება უმთავრესად ქართულ ენაზე სწარმოებდა, მაგრამ ოს ახალგაზრდობას წირვა-ლოცვასა და ქადაგებაში აგრეთვე ოსურის ენაზედაც წვრთნიდნენ. [9. 101].

ქართველი მემატიანის გადმოცემით: “ოსთა მეფემ ნახა თავისი დედოფალი და სიძე – ბაგრატ მეფე, რომელიც იმ დროს “ტინისხიდის, ჭალასა და ნადარბაზევისას” მდგომი დიდის ამბით მიეგება თავის მეშველისა და ცოლისძმას. რადგან “მიზეზთა ზამთრისასა” ოსთა მეფეს და დიდებულებს ეშურებოდათ, ბაგრატმა 12 დღეს გამასპინძლების შემდგომ თავისი სტუმრები უხვად დაასაჩუქრა და სამშობლოში გაისტუმრა” [10. 276].

მიუხედავად იმისა, რომ XI საუკუნის სხვადასხვა პერიოდში საქართველო არაბებისა და თურქების შემოსევას განიცდიდა, ბაგრატ IV-მ მაინც შესძლო ოსეთისადმი ყურადღების მიპყრობა. მან “ოსეთში ოსებს არაბული სწავლა არ აკმარა. მრავლად გაუხსნა სხვადასხვა სახის სკოლები, მასწავლებლად დაუნიშნა ქართველნი და ბერძენიც. ბაგრატ IV მალე ოსეთი კარგად გააქვეყნა ბიზანტიის წინაშე. ამავე ბაგრატის მონდომებით ოსთა შვილების რიცხვმა გამრავლება იწყო შიომღვიმის სასწავლებელში. აქ ბაგრატი მოესწრო იმასაც, რომ მღვიმიდან გამოსულ ოსის ნასწავლ ბერებს ნიშნავდნენ ოსეთის სკოლებში და ეკლესიებში მასწავლებლად. მაშინ, შიომღვიმე ოსთათვის იყო ის, რაც ათონი და ათინა ქართველთათვის... აქ ოსნი განუწყვეტლივ გადმოდიოდნენ და საღმრთო სწავლას იღებდნენ, მერე ოსებში ბრუნდებოდნენ. [9. 137]”.

ოსთა ახალი თაობის აღზრდისა და უმთავრესად ოსი მოსახლეობის გარკვეულ ფენებში განათლების გავრცელების საქმეში დიდი ღვაწლი მიუძღვის ბაგრატ IV-ის თანამედროვე ქართველ მოღვაწეს, ათონის ქართველთა სავანეში აღზრდილს, სალიტერატურო და სამონასტრო საძიებელზე ექვთიმე მთაწმინდელის საქმიანობის გამგრძელებელს – გიორგი მთაწმინდელს, რომელმაც “ოსები მთელ ბიზანტიას გააცნო. ამ დღიდან ოსთა შვილებმაც იწყეს ათინაში სწავლის მისაღებად წასვლა” [9. 138].

ზ. ჭიჭინაძის სიტყვით, დავით აღმაშენებელმა გიორგი ჭყონდიდელთან ერთად, ოსეთში “ოსთა შვილებისათვის დააარსა სასწავლებლები, დაუწყო მათ აღზრდა, გამოწვრთნა... რასაკვირველია, ქართული მხედრულის და ხუცურის ასოებით იწერებოდა ყოველივე მაშინ” [2. 189]

ქართველთა და ოსთა კულტურული ურთიერთობის განმტკიცების, დაახლოებისა და დამეგობრების საქმეში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა (1189 წელს) ოსეთის მეფის წულთან, დედის მხრით ბაგრატიონთა შთამომავალი დავით სოსლანთან თამარ მეფის დაქორწინებამ. [2. 206].

თქმულება არის, რომ “ოსებმა დავით სოსლანის დროს, ქართულად მწიგნობრობაც დაიწყეს და იგინი მინავლად მისდევდნენ მწერლობასო. წერდნენ ქართულად ლექსებს, მოთხრობებს და ისტორიებსო” [9. 207].

ქართული კულტურისა და ზნე-ჩვეულების გავრცელებით კავკასიის მთის ხალხებში გაეცნენ ახალ ყოფა-ცხოვრებას, ახალ ჩვევებს, დაეწაფნენ ქართული პოეზიისა და “კალამსიტყვიანობის” შესწავლა.

ქართველი ხალხის კულტურა, ზნე-ჩვეულებანი და ტრადიციები უდიდეს აღმზრდელით ზეგავლენას ახდენდა კავკასიის მოსახლეობაზე, აბამდა მას ახალი კულტურული ცხოვრების საერთო ფერხულში.

მე-10-12 საუკუნეებში ოსებს იმიერკავკასიის ველებზე ჰქონდათ ასე თუ ისე ძლიერი სახელმწიფო, რომელიც საქართველოსთან მჭიდროდ იყო დაკავშირებული.

მე-10-12 საუკუნეებში ოსებს იმიერ – კავკასიის ველებზე ჰქონდათ ასე თუ ისე ძლიერი სახელმწიფო, რომელიც საქართველოსთან მჭიდროდ იყო დაკავშირებული. ამ პერიოდში და

შემდეგშიაც ხანგრძლივი დროის განმავლობაში “ოსეთი, საქართველოს სუვერენობას აღიარებს, ქართული კულტურის გავლენას განიცდის...” [4, 115].

ოსთა ინტერესი ქართული ენისა ქართული კულტურის შესწავლისადმი საქართველოს სამეფოს დაშლის შემდეგაც იზრდებოდა. ოსები და ქართველები ურთიერთ ნდობითა და სიყვარულით ცხოვრობდნენ. ოსები ქართველებისაგან მუდმივ ზრუნვას, გულთბილობას, დახმარებას და ხელშეწყობას იღებდნენ. ქართველი მემკვიდრე გადმოცემით “1580 წელს ოსეთში იქმნა სიყმილი ფრიად დიდი, მრავალნი სწყდებოდნენ სიყმილითა, ვინაიდან ოსნი იკვებებოდნენ მდელოთი” [9, 9]

ცნობილია, რომ ამგვარი გაჭირვების დროს ქართველებმა ოსებს ძმური დახმარების ხელი გაუწოდეს, უზრუნველყვეს ქსნისა და არაგვის ხეობაში (და საქართველოს სხვა კუთხეებში) მათი დასახლება, ხე-ტყის მასალის მიწოდება, მათთვის შინაური ცხოველებისა და ფრინველების შექმნა და მათი საყოფაცხოვრებო მდგომარეობის ერთგვარი გაუმჯობესება.

ეკონომიკურ და კულტურულ-საყოფაცხოვრებო ურთიერთობის ნიადაგზე ოსთა და ქართველთა შორის მეგობრობა გაღრმავდა, გაფართოვდა ნათესავ-მოყვრობა, შეიქმნა ურთიერთნდობის ატმოსფერო, კიდევ უფრო აუცილებელი გახდა საერთო სალაპარაკო ენის გამოყენება, ქართული წერა-კითხვისა და ქართული ენის გავრცელება. არჩილ მეფის ოსეთში ყოფნას (1690 წ.) და ოსებთან მის დაახლოებას მოწმობს მისივე ნათქვამი: “დვალეთს გარდმოველ, დედოფალი იქ დავაყენე და მე იქვე იმერეთს ჩაველ, და რვა თვე ჩხერის ვიყავ და ისევ დვალეთს წამოველ, და იქიდან ოსეთს ფაქომში გარდმოველ” [1, 7].

ოსებთან ამგვარად დაახლოებულ არჩილ მეფეს, მართლაც შეეძლო ოსებში კულტურის შეტანისა და მწიგნობრობის გავრცელების საქმეზე ეზრუნა და საჭირო პრაქტიკული ნაბიჯებიც გადაეღა.

არჩილ მეფის ბიოგრაფიიდანაც ცნობილია, რომ იგი იმერეთის სამეფო ტახტზე დაბრუნების მიზნით, დახმარებისათვის, თუმცა ამაოდ, მაგრამ სწორად მიმართავდა მოსკოვს. 1699 წ. არჩილი საბოლოოდ მოსკოვში გადასახლდა, ხოლო 1703 წ. მოსკოვშივე ქართული სტამბა მოაწყო და ქართული წიგნების ბეჭდვა დაიწყო. ამრიგად, სრულიად საფიქრებელია, რომ არჩილმა მართლაც მოიწვია ოსები მასთან, აუხსნა მათ სწავლა-განათლების მნიშვნელობა, მათგან რჩეულებს გააცნო მოსკოვში მის მიერ მოწყობილი ქართული სტამბა, ქართული შრიფტი და წიგნის ბეჭდვის წესები, რადგანაც იგი, როგორც პოეტი და საზოგადო მოღვაწე, დაინტერესებული უნდა ყოფილიყო კავკასიის მთის მოსახლეობაში ქართული კულტურის გავრცელებით. [5, 175-177].

ქართული ენა, ქართული წიგნი, საქართველოს ხელოვნება და კულტურა თანდათანობით ქართველთა ყველა ტომისა და მეგობარ ხალხთა საკუთრებად ხდებოდა.

საქართველოში მოქმედ სასწავლებლებში ის მოსწავლეთა რიცხვი საკმაოდ იზრდებოდა. თელავის სასულიერო სემინარიაში ანტონ კათალიკოსის რჩევით და სკოლის რექტორის – გაიოზ ნაცვლიშვილის დახმარებით (1770 წ.) ოსთა შვილებიც სწავლობდნენ. [3, 59].

სამხრეთ ოსეთში ქრისტიანული რელიგიის დანერგვის გარდა, საფილოსოფოსო ცოდნის, მწერლობისა და კულტურის გავრცელების საქმეში საკმაოდ წვლილი შეიტანეს აგრეთვე ანტონ კათალიკოსის აღზრდილმა ოს ყოფილმა ნეოფიტემ და იოანე წილნელ ეპისკოპოსმა ქარუმშიძემ.

ექვსის გარეშეა, რომ ქართული კულტურის, ხელოვნებისა და საგანმანათლებლო იდეების გავლენას ვერც ოსები აცდებოდნენ, რადგანაც ისინი საუკუნეების მანძილზე ქართველ ხალხთან მჭიდრო ურთიერთობაში ცხოვრობდნენ. ქართველი ხალხის საუკეთესო შვილები აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ოსი ახალგაზრდობის კულტურული წინსვლისა და სწავლა-განვითარების საქმეში.

“ქართველებმა იკისრეს ოსურ ენაზე მწერლობის შექმნის ინიციატივა და უთარგმნეს ოსებს საღმრთო და საეკლესიო მორალური ხასიათის წიგნები მშობლიურ ენაზე” [3, 59]. ქართველები ყოველმხრივ ეხმარებოდნენ ოსებს სკოლების გახსნის, ახალგაზრდობის აღზრდისა და მოსახლეობის კულტურული დაწინაურების საქმეში.

ლიტერატურა:

1. არჩილიანი. II, აღ. ბარამიძის რედაქცია;
2. ბერძენიშვილი ნ. ჯავახიშვილი ივ. ჯანაშია ს., საქართველოს ისტორია, ნაწ. I, თბ., 1946;
3. კეკელიძე კ. ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, 1941;
4. მიმომხილველი, საქ. სსრ. მეცნ. აკადემიის გამოცემა, 1948;
5. შანიძე ავ., ძველი ქართული ენა და ლიტერატურა, 1950;

6. საქართველოს სიძველენი, ტ. II, 1902;
7. ძველი საქართველო, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების კრებული, ტ. I, 1909. განყ., III;
8. ჭიჭინაძე ზ., ოსების ჩამოსახლება ქართლში, 1916;
9. ჭიჭინაძე ზ., ოსეთის ისტორია, 1913;
10. ჯავახიშვილი ივ. ქართველი ერის ისტორია 1948.

THE ISSUES OF GEORGIAN-OSSETIAN RELATIONS
Tsiuri Bakradze, Gori Teaching University, Associate Professor
SUMMARY

Centuries-old Georgian culture and substantially rich Georgian language with the splendid form, have always attracted attention as of the scientists from the various countries, so of the numerous nations, residing on Georgian territory. Georgian literacy, history, language, arts, philosophy and material culture served the evident utmost importance for development and promotion of these people. Dvallians, Ossetians and other highland people, who resided on Georgian land, being the part of Georgian routine, customs and culture, even initially enjoyed love and respect from Georgians, thus, in most cases, they never separated themselves from the Georgian tribes from Kartli, Kakheti, Guria, Imereti, Mengrelia, Svanetia etc. and aspired to study Georgian culture, language and history.

From historical sources we know that Georgian language and culture were highly respected on the territory of Georgia and beyond. The ancient Georgian scripts, preserved on the churches and cathedrals, feudal fortresses and other edifices, artistic-ceramic wares and other monuments evidently proved the utmost importance of Georgian language and culture, the role thereof in development of culture of other nations. As in other regions of Georgia, so in Ossetia “there are various ancient remnants, mostly the towers, built by the Georgian Kings, churches and cathedrals, most of them have Georgian scripts engraved, but many of them are shattered by the enemies”.

According to the famous Georgian cultural scientist and bibliophile, Z. Chichinadze, Ossetians, in regards with spread of Christianity, appeared to study “.. construction of churches... mastership, hackwork, arts etc. Besides, they had literacy. Their literacy, their alphabet was the alphabet, which is currently known as Georgian”.

Georgians and Ossetians always provided each other with aid against the enemy. Georgians and Ossetians had some kind of relation with Caucasian highlanders, often using them for implementation of own military-political and agricultural-cultural tasks.

As other highland populations, so Ossetians should have been interested in study of centuries-old Georgian language and culture, in being aware of Georgian splendid literature and history.

Aspiration to literacy, knowledge and culture of Georgian people was systematically increasing. “Aspiration to literacy among the population near Mtskheta was so enhanced that it played the immense influence on highlanders and Ossetians as well”. Increase of literacy in Mtskheta served as a good example for Ossetians and shortly they studied the alphabet, like the residents of Mtskheta and surrounding areas. Highlander Georgians and Ossetians were distinguished with their skill to easily master the alphabet”.

According to the information by Z. Chichinadze, Georgian conversational language was inculcated among Ossetians and Caucasian people in general. The gospels were read in Georgian in churches and families, in most cases holy services and chants were performed in Georgian.

ВОПРОС О СТАТУСЕ АНТИЧНОЙ ДИОСКУРИИ (VIB. ДО Н.Э.-III В. Н.Э)

Нодар Берилава
 Профессор Сухумского государственного университета

История городского центра, известного как Диоскурия и позднее получившего второе название Себастополис, насчитывает не менее 12 веков. Все это время город был органической частью античной ойкумены, имея с одной стороны, очевидно, много параллелей с ее колхидской, греческой и ближневосточной частями, но в то же время и свою специфику. Освещение этой темы актуально не только в свете истории Колхиды и ее приморских городов, но может иметь определенное значение и с точки зрения истории эллинистического Ближнего Востока и Римской империи, поскольку такие периферийные уголки древнего

мира, очевидно, нередко выполняли роль своеобразных полигонов, где апробировались некоторые виды взаимоотношений, позже распространившихся в названных регионах. Скудность источников не позволяет определить ни статус города, ни его этнический состав, ни время основания. Положение осложняется тем, что основная часть территории города не найдена.

Основную полемику вызывает вопрос о характере приморских городов Колхиды, их статусе и взаимоотношениях с местным населением. До середины XX в. было принято считать их классическими колониями – полисами, (апойкиями) греков, отводя местному населению пассивную роль. В российской шовинистической пропаганде данный вопрос играет определенную роль, поскольку побережье Колхиды или, по крайней мере, ее северной части, этим объявляется издревле принадлежащим чужой цивилизации, коренное же население (не важно, картвельское или абхазское) становится лишь временным владельцем или пользователем этих земель, издревле принадлежащих греко-римлянам и византийцам, затем, какое-то время – туркам и, наконец, - наследнице греческой и римской цивилизации, России. Наиболее ярким выразителем таких взглядов был ныне покойный профессор Ю.Воронов, на труды которого опирается в данном вопросе нынешняя российская историография.

Абхазские ученые, скрепя сердце, вынуждены соглашаться с такой постановкой вопроса и, как правило, признают Диоскурию, Питиунт и Фазис греческими городами, своего рода инородными телами /19, 211; 4, 244/.

Начиная с 50-х гг. XX в. историки уже могли опираться на солидные археологические данные. Опираясь на них Г.Меликишвили поставил под сомнение чисто греческий характер приморских городов Колхиды, обратив внимание, что обстановка здесь была иной, чем в других районах Причерноморья. В условиях существования здесь крупного местного политического образования греческие колонии не могли играть самостоятельную роль, а сами, очевидно, попали под влияние местного объединения. Основываясь на данных раскопок Сухумской Горы он утверждает, что население греческих городов Восточного Причерноморья с самого начала было смешанным. Со временем удельный вес местного элемента в них, очевидно, все более увеличивался /15, 242-244/.

Постепенно с 50-х гг. в грузинской историографии утвердилась, под влиянием вышеназванных работ и данных археологии, т.н. «теория смешанных городов», О.Лордкипанидзе считал ее попыткой примирения традиционного взгляда на эти города, как на греческие полисы и археологического материала, говорящего об их местном характере /14, 153/.

М.Инадзе в конце 50-х гг. на основании археологических и письменных данных ведет специальное исследование по истории приморских городов северной Колхиды /14, 767-774/. К этому времени взгляд на эти города, как на самостоятельные греческие полисы уже фактически изжит, но шли споры о степени их автономии в пределах Колхидского царства. На основании сухумских материалов автор делает вывод, что здесь ведущую роль в хозяйстве играли мелкие производители-ремесленники и земледельцы в основном местного происхождения, составлявшие и основную военную силу города. Многочисленное колхское оружие говорит по мнению автора об участии местного населения в защите города, что указывает на определенные гражданские права /9, 157/. М.Инадзе свидетельство самоуправления причерноморских городов видит в "Политике Фасианов", приписываемой Аристотелю /17, 280/, Н. Ломоури же полностью отрицает всякое самоуправление рассматриваемых городов, которые по его мнению, хотя в их создание участвовал греческий элемент, сразу же попали под влияние местного союза племен, а затем экономически и политически подчинились Колхидскому царству, из за чего представляли не греческие полисы, а городские центры этого государства с определенным греческим колоритом /17,61/.

Похожие взгляды высказывает О.Лордкипанидзе. По его мнению, к приходу греков в Колхиду местное государство уже сложилось. Поэтому поселения греков представляли торговые эмпории без сельскохозяйственных территорий, основанные главным образом с целью получения металла.

Своего апогея полемика о характера приморских городов Колхиды достигла на Всесоюзных семинарах по древней истории Причерноморья в Цхалтубо, где ей задала тон статья О.Лордкипанидзе «К проблеме греческой колонизации Восточного Причерноморья (Колхида)» /17,187-256/. Спора не вызывал только торговый характер этих городов, и пожалуй, в общем мирный характер колонизации. Poleмика же об их статусе носила острый характер. Грузинские исследователи стояли на точке зрения «теории смешанных городов» (Г.Лордкипанидзе, М.Инадзе и др.), либо на еще более радикальных позициях (О.Лордкипанидзе, Т.Микеладзе, Н.Ломоури и др.). Сторонники старой точки зрения, (А.Болтунова, Ю.Воронов) находились в целом в оборонительной позиции. Гости же симпозиума придерживались компромиссной позиции, соглашаясь с тезисом о высоком уровне развития местного общества, и, может быть, существования государства, а также - о своеобразии процесса колонизации в Колхиде.

По нашему мнению, положение в Диоскурии и вокруг нее на протяжении веков неоднократно менялись, что непосредственно отражалось на статусе города, его взаимоотношениях с колхидскими властями и взаимоотношениях этнических групп.

Для того, чтобы представить себе возможные варианты развития здесь ситуации на первом этапе существования города, т.е. в раннеантичную эпоху (VI-IVвв. до н.э.), за отправную точку мы берем три хотя и не бесспорных, но разделяемых большинством исследователей тезиса:

1 -о наличии в Западной Грузии с VI в. до н.э. государства, 2 -о торговом характере греческих колоний в Колхиде и 3 - о более-менее мирном характере здешней колонизации. Маловероятно, чтобы колхское

государство допустило бы на своей территории существование независимого полиса, к чему, вероятно, стремились греки. Однако "независимость" с точки зрения греческих колоний означала не совсем то, что понимаем под этим словом мы, и обычно сводилась к достаточно широкой автономии. Верховный суверенитет греческие колонии, даже имевшие статус полиса, обычно довольно легко уступали местным государствам в обмен на невмешательство во внутренние дела, которыми только нарождавшаяся в VI в. до н.э., еще не развитая колхская государственность пока что, очевидно, не слишком интересовалась. Со своей стороны, местная государственная власть вполне могла пойти на определенные уступки в этом вопросе, если получала достаточно выгод от существования колонии, причем, торговые колонии типа колхидских, были, очевидно, наиболее выгодными. Таким образом, в рассматриваемом случае видна широкая основа для возможных компромиссов. Вопрос в том, насколько здесь обе стороны нуждались друг в друге, и, соответственно, на какие уступки могли пойти. Разумеется, если колония основывалась на территории, принадлежавшей мелким племенам, и лишь потом вошедшей в состав сколько-нибудь крупного государства, она должна была иметь больше самостоятельности. Но в Колхиде греческие колонии были торговые и потому их положение было более зависимым от местного населения и властей, чем в других странах. Тем более, что свои потребности в сельскохозяйственных продуктах колонии удовлетворяли за их счет /17,36/. Диоскурия, очевидно, с самого начала, или во всяком случае, очень быстро, стала полиэтничным городом, а значит, колхидские власти просто не могли не вмешиваться и во внутренние дела города, хотя бы для регулирования взаимоотношений этнических групп, что соответствовало и интересам греков. Есть примеры городов, где греческая и местная общины занимали различные кварталы и даже форма управления имела двойственную структуру. Нечто подобное исследователи предполагали и здесь /9,57-58; 17,58/.

Что касается вопросов обороны города, то трудно представить, чтобы греки самостоятельно их решали. С середины V в. до н.э. в вооруженных силах греков главную роль играли наемники, причем в колониях в первую очередь это были «варвары». А милиция греческих городов годилась только для гарнизонной и караульной службы /7, 73-75/. Причем это относится к аграрным полисам, торговцы же Диоскурии должны были быть еще менее воинственными и предпочитали откупаться от этой повинности, платя наемникам. В то же время колхское население в окрестностях Диоскурии – сплошь вооружено, что указывает на статус граждан /9,157/. Кроме того, в Диоскурии, вероятно, была царская администрация, наверное – и гарнизон. Поначалу, возможно, они были здесь в качестве "третьей силы", регулировавшей взаимоотношения между местными колхами и греками и контролировавшей обстановку.

Отсутствие источников не дает возможности однозначно определить возможный статус Диоскурии в Колхидском царстве. На первых порах греки, заинтересованные в нормальной торговле и регулировании отношений с местным населением, должны были содействовать укреплению здесь царской власти. При этом, как уже упоминалось, они должны были допустить и вмешательство государства во внутригородские дела, по крайней мере в межобщинные взаимоотношения. Взамен колхидские цари могли пойти на определенные уступки. У греков, например, наверняка было определенное самоуправление, тем более, что оно было свойственно не только апойкиям, но и торговым колониям /9,157/. Так ли уж нужен был греческим торговцам Диоскурии статус полиса, если определенное самоуправление они могли иметь и без него? Ведь полис всегда был, прежде всего, организацией свободных земледельцев, но здесь греки занимались в основном торговлей. Полисы же в отличие от восточных государств, никогда не покровительствовали торговле, считавшейся частным делом /2,53/. На первом этапе существования города, когда центральная власть еще не утвердилась здесь прочно, она могла признать статус полиса с немонархической, очевидно – олигархической формой правления, при условии наличия гарантий его подчинения. Вероятнее всего, если у Диоскурии и была полития, она скоро стала в значительной мере формальностью, отражая не реальное положение вещей, а лишь степень компромисса, на который могла пойти царская власть из каких-то своих соображений. В тех странах, где к моменту колонизации была развитая государственность и городская жизнь (напр. на Ближнем Востоке), греческие колонии обычно представляли собой просто торговые фактории. В Колхиде ситуация имела пограничный характер, (государство и города в VI в. до н.э. только складывались), но развивалась в сторону ближневосточного варианта. Т.о. Диоскурия, со статусом полиса или без, представляла собой "эмпорий", торговая колония.

После походов Александра Македонского обстановка, безусловно, изменилась. Эллинизация, ранее едва затрагивавшая лишь верхушку местного общества, теперь, в связи с новыми веяниями, чувствуется в той или иной степени во всей Колхиде /17,231/. Это не могло не отразиться на прибрежных городах, где греческий элемент и ранее был силен. Часть потока греков, двинувшихся в данную эпоху на восток, очевидно, осела и здесь, хотя в число завоеванных стран Колхида не входила. Как и в других районах колонизации, здесь должны были усилиться панэллинские настроения и высокомерное отношение к "варварам". В целом греческий контингент должен был стать менее стабильным и управляемым. Конечно, не все колонисты могли найти тут то, за чем отправились за море. Это должно было породить напряженность в их среде, которую часть верхушки колоний, очевидно, предпочитала направить против колхов. Росту напряженности должен был способствовать своеобразный психологический фон, возникший после Македонских завоеваний. Грекам, находившимся в эйфории после своих недавних побед, вероятно, нелегко было смириться с тем, что верховная власть в городе все же принадлежит "варварам". В первое время после греко-македонских завоеваний, Колхские власти, видя положение в соседних странах, вероятно, избегали конфликтов с греками, даже путем возможных уступок, в т.ч., возможно, и в вопросе о статусе города. Однако общие тенденции эпохи, позже, безусловно, проявившиеся

и в Колхиде, заключались в том, что эллинистические правители ущемляли автономию полисов, низводя ее, фактически, до уровня внутреннего самоуправления, хотя при этом часто из экономических и дипломатических соображений сильно расширяли их хоры. Кризис в Греции должен был отразиться на внутреннем положении в Диоскурии и через посредство новых колонистов, перенесших сюда господствовавшие в городах Греции настроения. Но если, например, в Афинах правящие круги могли направлять недовольство народа против Македонии, то в Диоскурии роль такого "общего врага" могли играть колхские власти. Поселенцам в Диоскурии нужна была земля, но очевидно, что в этом отношении восточнопричерноморские колонии были ущемлены, что также должно было вызывать недовольство. Серьезное увеличение земельной хоры Диоскурии вовсе не означало, что земельные участки получила именно греческая верхушка, занимавшаяся в основном торговлей. Очевидно, новые земли вошли в хору города вместе со своими владельцами, ставшими его гражданами. К уже названным их причинам надо добавить изменение международной обстановки. Войны диадохов, с одной, стороны, вероятно, способствовавшие укреплению независимости Колхиды, в то же время сами представляли на первом этапе потенциальную угрозу для ослабшего, но еще достаточно богатого государства. В то же время, в 309 -303гг. до н.э., при царе Евмеле, резко усиливается и активизируется Боспорское царство. Не говоря уже о том, что интересы этих двух царств могли столкнуться из за того, что и Колхида, безусловно, еще претендовала на часть тех же земель, что и Евмел, усиление Боспора должно было негативно сказаться и на положении в Диоскурии. Исходя из этого я в свое время предполагал даже вооруженные инциденты между греками и колхами в раннеэллинистический период, в результате которых реальная автономия греческой общины должна была быть несколько урезана, что, в значительной мере, и предопределило в будущем помощь со стороны греков-диоскуриотов Митридату Понтийскому в оккупации Колхиды /5, 69/. Именно в этот период (в первой половине I в. до н. э.) видны, в частности, явные следы колхизации Эшерского городища, ослабления здесь греческого элемента/16,460/. Однако это вовсе не значит, что Диоскурия должна была утратить статус полиса. Напротив, для этого периода предполагать наличие данного статуса, на наш взгляд, можно увереннее, чем для более раннего. Предоставление городам статуса полиса – общая традиция той эпохи, характерная не только для эллинистических, но и для туземных царств Малой Азии – Вифинии, Пафлагонии и т.д. При этом, однако, полисы однозначно ставились в зависимость от царской власти, которая специально увеличивала их хоры, превращая этим полисы в центры своеобразных административных единиц. Для Колхиды данные общие тенденции также не должны были быть чужды. В частности, большая хора должна была быть в тот период и у Диоскурии, поскольку амфорные ножки I в. до н.э. с ее клеймом найдены недалеко от Н.Афона. Этим, очевидно, стимулировался рост удельного веса колхского земледельческого населения, на которое царская власть могла опираться во внутригородских делах.

Греческие сепаратистские выступления против колхских властей при поддержке внешней силы могли иметь место не позже I половины III в. до н.э., поскольку с этого времени последний вероятный потенциальный покровитель таких выступлений, Боспорское царство, само попадает в сложное положение в связи с угрозой «варваров». Однако сепаратистские настроения греков, очевидно, не исчезли и это явно проявилось в конце II в. до н.э., когда увязшую в династическом кризисе Колхиду захватил Митридат Понтийский. При Митридате Диоскурия, по крайней мере - ее эллинизированная часть, имела, очевидно, больше привилегий, чем до него, на что указывает явная их взаимная расположенность, давно отмеченная историками. Монеты от имени города выпускались только в этот период, хотя традиция монетной чеканки могла быть тут и раньше. Хотя и при господстве обладавшего жестким нравом Митридата говорить о полноценной автономии города не приходится. В частности, он уменьшил хору Диоскурии, фактически выведя из нее Эшеру, которую, очевидно, превратил в крепость - катойкию, населенную, по всей видимости, гениохами и другим лояльным населением. Это была обычная внутренняя политика Митридатидов, опиравшихся на царское землевладение в ущерб полисному /18,313/.

С 65г.до н.э. Колхидой правит Ставленник Помпея Аристарх. Рим же, начиная именно с Помпея, противопоставлял на востоке эллинистические полисы царскому землевладению в виде митридатидовских катойкий /18,338/. Иконография монет Аристарха также дает К.Голенко повод говорить, что в государстве Аристарха должен был существовать один или несколько организованных по-гречески городов, игравших в стране большую роль /6,8-9/. Дело было не только в требованиях римлян, но и в том что на города мог опираться сам Аристарх, имеющий шаткую власть среди колхидских скептухов. Другое дело, что в Диоскурии ему приходилось бороться в основном с греческой оппозицией, поддерживавшей Митридата. При Аристархе антимитридатидовская реакция должна была выразиться в определенной варваризации городской жизни и культуры, как было позже в городах Южного Причерноморья /13,8-9/, в противовес эллинизации, безусловно, имевшей место при Митридате. Учитывая, что в античной Грузии, как показала А.Болтунова, городская организация была характерна не только для приморских, но и для чисто местных городов, некоторые городские учреждения могли принять местный облик. Но формально городская организация должна была оставаться греческой. Стоит, также, вспомнить версию о нахождении столицы Аристарха в Диоскурии, основанную на мнении Г.Дундуа и С.Шамба и др. о производстве его монет здесь /20,54/.

В общем, Диоскурия при Аристархе, очевидно, была городом со смешанным населением, в которой власть была в руках людей, верных Аристарху, очевидно - в основном из воспринявших элементы греческой городской культуры аборигенов. Причем, греческая культура и быт должны были быть больше подвержены варваризации, чем даже в городах Южного Причерноморья, где этот процесс впрочем, проходил тоже активно, причем, чем восточнее, тем сильнее /13, 398-399/. Городское устройство, хоть и в "варваризированном" виде,

безусловно, сохранилось. Но, как и в других полисах и римских муниципиях, автономия города превратилась фактически в фикцию, хотя городская хора была велика, т.к. эллинистические государи и позже - римские императоры, рассматривали города, как своего рода администраторов на территории городских хор, которые, поэтому сильно увеличивались. Соответственно, статус полиса у Диоскурии времен Аристарха должен был быть. Аристарха он все равно ни к чему не обязывал, но был обязателен точки зрения римлян и давал Аристарху нужную ему поддержку горожан. Подобная ситуация должна была сохраняться тут и в период вхождения Колхиды в состав Полемонидского Понта. Полемониды, как и прочие клиенты Рима, заигрывали с полисами, закрепляли за городами их сельскохозяйственные территории /18. 316,328,337/. При этом, правда, города вместе с их хорами, были, фактически, не более, чем административными единицами Римского и зависимых от него государств. Хора Диоскурии, вероятно, доходила на юго-востоке до реки, известной по грузинским источникам, как Эгрисцкали, отождествляемой исследователями то с Ингури, то с Кодори, то с Галидзгой. Повод для таких предположений дают раннесредневековые грузинские источники, считающие эту реку границей с "Грецией", несмотря на то, что Лазике с конца античной эпохи принадлежала Апсилия и, значит, граница с Империей должна была лежать гораздо западнее, но, очевидно - не на побережье, где римлянам принадлежала Диоскурия с ее хорой, доходящей до Эгрисцкали. Понтийскую провинцию, к которой потом присоединилась и Колхида, Помпей всю поделил между одиннадцатью городами. Следовательно, хоры городов должны были тянуться здесь узкой непрерывной полосой вдоль моря и хора Диоскурии на востоке должна была достигать хоры Фазиса или Зиганиса.

Вопрос о статусе позднеантичной Диоскурии спорный. Часть исследователей видит здесь только римскую крепость. Однако, это противоречит всей колониальной политике Рима, опивавшегося на покорные городские общины, увеличивавшего их хоры и часто превращавшего в города центры местных племен и римские военные поселения, но не наоборот /8,102-103/. Причем, в восточных провинциях, где эллинизация заменяла романизацию, создавались именно полисы. При этом надо заметить, что I-II вв. были временем общего оживления городской жизни в Средиземноморье /10,24/. Со II в. это чувствуется и по археологическим материалам Себастополиса, так что постепенное вырождение города в крепость не выглядит вероятным. В данное время римляне на всем Востоке напротив, стараются придать городским общинам вид полиса, пытаясь на этой основе нивелировать все многообразие местных взаимоотношений. Исходя из сказанного мы склонны присоединиться к мнению, Т.Тодуа, что Диоскурия и Себастополис в I-II вв., это, соответственно, городское поселение и римская крепость типологически. А функционально это преимущественно стратегический пункт /1,77/.

Т.о., динамика развития статуса Диоскурии, по нашему мнению, должна выглядеть приблизительно так: в VI-IV вв. до н.э. это – поселение со смешанным населением, представляющее собой греческий «Эмпориум» - торговую колонию, вероятно, со статусом полиса, находящуюся под покровительством колхских властей и сотрудничающую с ними. Это своего рода прообраз зависимых полисов, которые распространились по всей античной ойкумене в последующий, эллинистический период.

В IV-II вв. до н.э. Диоскурия – греко-местный автономный центр, в котором наблюдается резкий механический рост как греческого, так и колхского населения, имеются межплеменные противоречия и антиколхидская партия, сыгравшая негативную роль при нашествии Митридата.

В первой половине I в. до н.э. Диоскурия – центр Колхидской сатрапии Понтийской державы, привилегированный автономный полис.

При Аристархе колхидском (65-48 гг. до н.э.) это полис, сохраняющий квазигреческие структуры и большую хору, но сильно колхизированный и являющийся опорой Аристарха, возможно – одной из его резиденций.

В царстве Полемонидов (вторая половина I в. до н.э.-первая половина I в. н.э.) это типичный сильно «варваризировавшийся» зависимый, олигархический полис Понтийского царства.

С I в. это – городской центр, в начале сильно деградировавший, но безусловно сохранивший статус полиса и вскоре объединенный с возникшим тут же римским кастеллумом Себастополисом, в котором полисные структуры сохранены, но полностью подконтрольны военному командованию.

Т.о., по нашему мнению, на протяжении практически всей своей 12-вековой истории Диоскурия представляла собой зависимую городскую общину с олигархическим правлением, статусом полиса и смешанным населением.

БИБЛИОГРАФИЯ:

1. **Т. Тодуа.** რომაული სამყარო და საქართველოს ზღვისპირეთი. *საკანდ. დის.* თბ., 1996;
2. **გ. კვიციანი.** სავაჭრო ურთიერთობები შავიზღვისპირეთში ანტიკურ ხანაში. *საკანდ. დის. ავტორეფერატი.* თბ., 1999;
3. **ბ. ლომოური.** კოლხეთის სანაპიროს ბერძნული კოლონიზაცია. თბ., 1962;
4. **З. В. Анчабадзе.** История и культура древней Абхазии. М., 1964;
5. **Н. Б. Берулава.** Город Диоскурия-Себастополис в античную эпоху (VI-III вв. до н.э.) по археологическим и письменным данным. Тб., 2005;
6. **К. Голенко.** Аристарх Колхидский и его монеты. – *ВДИ*, №4, 1984;
7. *Демографическая ситуация в Причерноморье в период Великой греческой колонизации.* Тб., 1979.
8. **Т. Златтковская.** Мезия в I-II вв. н.э. М., 1951.

9. **М. Инадзе.** Причерноморские города древней Колхиды. Тб., 1968
10. **О. Кудрявцев.** Эллинистические провинции Балканского полуострова во II в. н. э. М., 1954
11. **В. В. Латышев.** Известия древних писателей, греческих и латинских, о Скифии и Кавказе. т. 1. СПб, 1890;
12. **Г. Лордкипанидзе.** Колхида .в VI-III вв. до н. э. Тб., 1973
13. **М. Максимова.** Античные города Восточного Причерноморья М., 1956.
14. **О. Д. Лордкипанидзе.** Античный мир и Восточное Причерноморье. Тб., 1975
15. **Г. А. Меликишвили.** К истории древней Грузии. Тб. 59
16. *Причерноморье в эпоху эллинизма.* Тб., 1985.
17. *Проблемы греческой колонизации Северного и Восточного Причерноморья.* Тб., 1978
18. **Ю. Сопрыкин.** История Понтийского царства. М., 1996
19. **М. М. Трапш.** Труды, 2. Сухуми, 1951
20. **С. М. Шамба.** Монетное обращение на территории Абхазии. Тб., 1987.

ABOUT THE POLITICAL STATUS OF DIOSKURIA
Nodar Berulava, Sokhumi State University, Associate Professor
RESUME

The report deals with the political status of Dioskuria, the city situated in the north-west of ancient Cholchis that is the territory of Abkhazia today. Dioskuria was regarded as one of the most important Greek colonies on the eastern Black Sea coast. Traditionally it was regarded as "Apoiaka" – the Greek city with the status of polis. In the second half of the XX century a new opinion was born in the Georgian historiography: one part of the researchers considers Dioskuria to be a pure Colchian city that has never had self-government or any special political status despite of the certain percentage of the Greek citizens residing here.

The status of polis not always meant sovereignty; on the contrary, during the Hellenistic era, kings used to give this status to their cities, though they substantially controlled them. In the opinion of the author, the similar situation may have taken in ancient Dioskuria; though in various epochs under various kings reign, the situation changed in the city.

ქართულ-ოსური ურთიერთობანი

ნათია ილურიძე, ზურაბ მარდიშვილი
 გორის სასწავლო უნივერსიტეტი,
 ბაკალავრიატის სწავლების პირველი წლის სტუდენტები
 ხელმძღვანელი: **ზურაბ ოქროპირიძე, მოწვეული სპეციალისტი**

ოსების ჩამოსახლებას ქართლში თავისი სუბიექტური და ობიექტური მიზეზები აქვს. ისინი ქართლის მთებში ჩნდებიან ჯერ კიდევ VII საუკუნის ბოლოდან. ქართველი მეფე-მთავრები ხელს უწყობდნენ მათ დამკვიდრებას ლიახვისა და ქსნის ხეობებში. ქართველები ჰუმანურობიდან გამომდინარე ეხმარებოდნენ მოსავლის მოყვანაში და ასწავლიდნენ სამეურნეო საქმიანობას. ქართველმა მისიონერებმა ოსებში ქრისტიანობასთან ერთად განათლებაც შეიტანეს. ამ დროთა განმავლობაში ოსებში გაჩნდა ქართული მიწების მითვისების განცდა. ისინი თანდათან ავიწროვებდნენ ქართველებს და მოიწვევდნენ მდინარეების ქვემო წელისკენ. ხიზნად მოსული ჯაყო დაეპატრონა ქართულ მიწა-წყალს და რიხიანი ხმით განაცხადა მის საკუთრებაზე პრეტენზია. ისინი მარცვავდნენ, არბევდნენ ქართულ სოფლებს და შეურაცხყოფდნენ მოსახლეობას, გამკითხველი კი არსად ჩანდა.

სანამ უშუალოდ ვისაუბრებდეთ ქართველი და ოსი ხალხების ურთიერთობებზე, გვსურს მოკლედ გაგაცნოთ ოსი ხალხის წარმომავლობა.

ეთნიკური სტრუქტურის მიხედვით, ოსები იყოფიან ორ ძირითად სუბეთნიკურ ჯგუფად: "ირებად" (ან "ირონებად") და "დიგორებად" (ან "დიგორელებად"). თავის მხრივ, ირონები შედგებიან ლოკალური ეთნოტერიტორიული ჯგუფებისაგან: ალაგირელებისგან, თუალებისგან, ქურთათელებისგან, თავგურელებისგან და ზახელებისგან. ირონების სუბეთნოსს ეკუთვნის საქართველოში მცხოვრები ოსებიც, რომელთაც ე.წ. "ჩრდილოელი ოსები" ზოგადად "ხუსაირაგებს" (ოს. სამხრეთელი) ან

"კუდაირაგებს" (ოს – კუდაროელი) უწოდებენ. ანბანური ჭეშმარიტებაა, რომ ოსთა დაყოფა ე.წ. ჩრდილოელ და სამხრეთელ ოსებად პირობითია და მასთან ხელოვნურად არის შეხამებული ცნებები: "ჩრდილოეთ ოსეთი" და "სამხრეთ ოსეთი". ოსური ენისა და ისტორიის მკვლევარნი: ვს. მილერი, ა.შეგერენი, ჰ.ჰუფშმანი, გ.ახვლედიანი და სხვები აღიარებენ, რომ ოსები ირანული მოდემის ხალხია. ცნობილი ოსი მეცნიერი ვასილ აბაევი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ოსები ინდოევროპული ოჯახის ირანული განშტოების ხალხი კია, მაგრამ ისინი პირდაპირ ირანიდან არ მოსულან. მათ ურალში და როსტოვ-დონის მხარეებშიც უცხოვრიათ, შემდეგ დასავლეთ და ჩრდილოეთ კავკასიის მიდამოებში ცხოვრობდნენ და ბოლოს სამხრეთ კავკასიაშიც დამკვიდრებულან. ქართველების და ოსების ხანგრძლივი, ფრიად ინტენსიური ურთიერთობა აუცილებლად საჭიროებს ყურადღების გამახვილებას. ძველი დროიდან ქართველ და ოს ხალხს მჭიდრო ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობა ჰქონდათ. ჩრდილოეთით მცხოვრებ მეზობლებთან – ოსებთან ნორმალური ურთიერთობა მათი მხრიდან ქვეყნის უშიშროების უზრუნველსაყოფად საქართველოსთვის მნიშვნელოვანი იყო. საქართველო ხშირად იყენებდა ოსთა რაზმებს სამხედრო მიზნებისათვის. ქართველებსა და ოსებს შორის ინტენსიურ ურთიერთობას ხელს უწყობდა დინასტიური ქორწინებანიც. მაგალითად, გიორგი I-ს ცოლად ჰყავდა ოსი ალდე, ბაგრატ IV დაქორწინებული იყო ოვსთა მეფის ასულზე - ბორენაზე, დემეტრეს და ოსეთში იყო გათხოვილი, თამარის მეუღლე დავით სოსლანიც ოსი გახლდათ. თბილისის შემოღებულ მოქალაქეთა ოჯახებში, ქართველებთან ერთად, ოსი მიძებიც ჰყავდათ. ასე რომ ქართველებსა და ოსებს შორის სისხლით ნათესავებს გარდა, ბევრი ძუძუმტეა.

ქართული ისტორიული წყაროები მოწმობენ, რომ ოსები ქართველებთან კარგად მოეწყვნენ და მათ მალე დაიმსახურეს ქართველთ სიყვარული და თანაგრძნობა, მათ ადგილობრივი გლეხების დახმარებით ისწავლეს პურის მოყვანა, მეხაღებობა და ვაზის მოვლა. ყველა ზემოთ ხსენებული მაგალითი ცხადყოფს, რომ ოსებს და ქართველებს მეგობრული და კეთილმეზობლური დამოკიდებულება ჰქონდათ.

სამწუხაროდ, გარეშე ანუ მესამე ძალის ჩარევას, ქართველებსა და ოსებს შორის კონფლიქტის ერთერთი გამომწვევი მიზეზი გახდა. მაგალითად, ჯერ კიდევ XIII-XIV საუკუნეებში მონღოლმა დამპყრობლებმა დაარბიეს ჩრდილოეთ კავკასიის ველზე მცხოვრები ოსები. მათი საქმე საუბედუროდ ისე მოეწყო, რომ ქართლში იწყეს გადმოსვლა. ბუნებრივია ჩამოსახლებული ოსები იბრძოდნენ მიწებისათვის, ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის და ამდენად უპირისპირდებოდნენ ადგილობრივ მოსახლეობას. მათ დამკვიდრებას ზოგიერთი ქართველი ფეოდალი ხელს უწყობდა. ეს პროცესი სათანადო წყაროებითაც დასტურდება. კერძოდ, XVII საუკუნის პირველი ნახევრის ერთი ნასყიდობის სიგელის მიხედვით, ზემო ჯავის მოსახლეობა ჭირისგან ამოწყდა. ეს ტერიტორია შემდეგში მაჩაბლებმა ოსებით დაასახლეს. აღნიშნული ფაქტი არც ვახუშტი ბაგრატიონს გამორჩენია მხედველობიდან: „ამ მთის ადგილებთა შინა რაოდენი ოვსნი დაეწერეთ, პირველად სახლებულან ქართველნი გლეხნი. შემდგომად მეპატრონეთა მათთაგან გადმოსახლებულან ოსნი და ქართველნი ბართა შინა ჩამოსულან, ვინაიდან მტერთაგან ბარს შინა კაცნი შემცირებულან“. ოსთა მიერ ქართლის სოფლების აფორიაქების შესახებ საკმაოდ ვრცლად საუბრობს თავის წერილებში ს. მგალობლიშვილიც, რომლის სიტყვით: „ლეკთა თარეში რა მოსატანია, ან რა შესადარებელია ოსთა თარეშობასთან. სოფლები, საერისთავო მამულები აკლებული იყო. ოსებისგან დაირღვა მყუდროება ქართლისა, ლეკს მორჩნენ და ოსებმა უარესი დღე დააყენეს“. სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ „მახლობელთა ჩვენთა მთიულთა ოვსთაგან“ ძალადობის ამ ახალი ტალღის აფორებასაც თავისი ლოგიკური ახსნა მოეძებნება და ისიც ობიექტური და სუბიექტური ფაქტორებით არის შეპირობებული. საქმე ისაა, რომ ჯერ მონღოლთაგან და თემურ ლენგის ურდოებისაგან სასტიკად დარბეული, ხოლო შემდეგ ყაზარდოელთაგან შევიწროვებული ოსები ტოვებენ ისტორიული ოვსეთ-ალანეთის მიწა წყლის უდიდეს ნაწილს და ცენტრალური კავკასიონის ხეობებში შემოხიზვნის კვალობაზე იძულებით ერთვებიან მათთვის მანამდე უცხო ფიზიკურ-გეოგრაფიულ გარემოში ადაპტაციისა და კულტურულ-ყოფითი ტრანსფორმაციის ერთობ რთულ პროცესში.

ისტორია გვიჩვენებს, რომ ბატონყმობის გაუქმების შემდეგ საქართველოს გლეხობა დროებით ვალდებულ გლეხებად და ხიზნებად დაიყო. ხიზნათა უმრავლესობას ოსები წარმოადგენდნენ. ხიზნები გაცილებით პრივილეგირებულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ბატონყმობის გაუქმების შემდეგ გაჩენილი თავისუფალი მიწების დიდი ნაწილი სწორედ ოსების ხელში აღმოჩნდა. ქართველთა და ოსთა ერთერთი დაპირისპირების მიზეზი სწორედ ტყით სარგებლობის ნიადაგზე წარმოიშვა. ისტორია გვიჩვენებს, რომ სოფელ ავლევიში მცხოვრებ ოსებს, რომლებიც ხიზნის უფლებით იყვნენ აღჭურვილი, შეეძლოთ უფასოდ ესარგებლათ ტყით, ამ სოფლის მკვიდრი ქართველები კი ამ უფლებას მოკლებულნი იყვნენ და თითოეულ კომლს 5 მანეთი გადასახადი ჰქონდა დაწესებული. ისტორიულ წყაროებში აღნიშნულია, რომ ქართველთა

პროტესტმა ნაყოფი არ გამოიღო, რადგან სოფლის აღმასკომში უმრავლესობას უკვე ოსები შეადგენდნენ. მდგომარეობა კიდევ უფრო გართულდა, როცა ფრონტიდან დაბრუნებულმა (1918 წლის იანვრიდან) ჯარისკაცმა ოსებმა შექმნეს 300 კაციანი რაზმი “წესრიგის დამყარების მიზნით”, რომლებიც თავდასხმებს ახორციელებდნენ, ძირითადად, ქართულ ოჯახებზე. აღნიშნულ ფაქტს აღიარებს საქართველოს ეროვნული საბჭოს პირველი სესიაც, რომელიც 1918 წლის 3-4 მარტს გაიმართა. ამკარაა, რომ რეგიონში არეულობა ისადგურებდა. ერთმანეთში აირია სოციალური, ეროვნული და სეპარატისტული მოტივები.

როცა ვსაუბრობთ ქართველი და ოსი ხალხების ურთიერთობის შესახებ, არ შეიძლება არ აღვნიშნოთ უახლოესი წარსული, კერძოდ XX საუკუნის 90-იანი წლები, რაც დაკავშირებულია ნაციონალიზმის გამოცოცხლებასთან და მის მიერ გამოწვეულ შედეგებთან. გაგიჩნდებათ კითხვა, რატომ ნაციონალიზმი?! ვფიქრობ, რომ ნაციონალიზმი საფუძვლად დაედო უმწვავეს ეთნიკურ კონფლიქტებს რეგიონში, ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევა კავკასია, სადაც მხარეთა შორის ურთიერთობის მკვეთრად დამაბზამ სახელმწიფოთა ტერიტორიული მთლიანობის რღვევა და ეთნიკური წმენდა განაპირობა. დამეთანხმებით რომ ეთნიკური ნაციონალიზმით გამოწვეული პრობლემების გადაწყვეტა დღესაც ჩვენი ქვეყნის წინაშე მდგარი ურთულესი ამოცანა გახლავთ. მხარეთა შორის ურთიერთობის დამაბზამს უპირატესად ხელი შეუწყო საბჭოთა სახელმწიფოს „მოქნილმა“ პოლიტიკამ, საფრთხის შემცველ რეგიონებში ჩადებული წელი მოქმედების ნაღმებმა და გარეშე ძალების მიერ სეპარატისტული მისწრაფებების მხარდაჭერამ.

გასული საუკუნის 90-იანი წლების ქართულ-ოსურმა კონფლიქტმა წარმოაჩინა ქართული და ოსური ნაციონალიზმის საშიში ტენდენციები. 1989 წლის 25 სექტემბრით დათარიღებულ საქართველოს ეროვნული ხსნის კომიტეტის პერიოდულ გამოცემაში „ქართველის დედა“ გამოქვეყნდა ქართველი ხალხისადმი მიმართვა. მასში გაპროტესტებულია ცხინვალის რეგიონში მოქმედი ე.წ. ოსეთის სახალხო ფრონტის „ადამონ ნიხასის“ მოქმედებები, რომელიც მიზნად ისახავდა ქართული ენის უგულვებელყოფას და ოსურის სახელმწიფო ენად გამოცხადებას. მიმართვის ავტორები აპროტესტებენ ცხინვალში გამოკრულ ლოზუნგებსაც „ქართველებო დატოვეთ ოსეთის მიწა“. ისინი სავსებით მართებულად მიუთითებენ, რომ ეს არის კრემლის მორიგი პროვოკაცია, რომლის მიზანია ახალი სისხლისღვრა და ქართველთა გენოციდი. (ცხ. რეგიონი, ი. ჩხაიძე, გვ. 81)

ვფიქრობთ, აუცილებელია ქართულ-ოსური და ქართულ-ავხაზური ურთიერთობების (განსაკუთრებით ახლო წარსულის) ანალიზი, რაც დაგვეხმარება სწორი ეროვნული პოლიტიკის გატარებაში, რომელიც მჭიდრო კავშირშია სახელმწიფოს განვითარებასთან და მეზობელ ქვეყნებთან მშვიდობიან თანაარსებობასთან. ისტორიის გაკვეთილები ცხადყოფენ, რომ არაშორსმჭვრეტელობა, ავანტიურიზმი და ექსტრემიზმი პოლიტიკაში ყოველთვის იწვევს ტრაგედიას, რის შედეგადაც ზარალდებიან ათეულობით უდანაშაულო ადამიანები. ქართველი და ოსი ხალხების აწმყოსა და მომავალში არ უნდა განმეორდეს წარსულის შეცდომები.

ლიტერატურა:

1. პოლიტოლოგიის ინსტიტუტი, ცხინვალის რეგიონი, თბ., 2004-2007;
2. ქართველი და ოსი ხალხების ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1991;
3. ზურაბ დავითაშვილი, ნაციონალიზმი და გლობალიზაცია, თბ., 2003;
4. ვახტანგ ითონიშვილი, ოსთა საკითხი, გორი-თბილისი, 1996;
5. ზ. ჭიჭინაძე, ოსების ჩამოსახლება ქართლში, თბ., 1990.

GEORGIAN-OSSETIAN RELATIONS

Natia Iluridze, Zurab Marghishvili

Gori Teaching University, The First Year Students of Bachelor's Degree

Instructor: **Zurab Okropiridze**, Specialist by contract

RESUME

The Ossetians are originally descendants of the Alans, a Sarmatian tribe. They became Christians during the early Middle Ages, under the Byzantine and Georgian influences. The history of Georgian-Ossetian relations stretches over the centuries. The Georgians gave the opportunity to the Ossetians, trapped in the North Caucasus mountains, to settle on their territory. Or communication between Georgians and Ossetians began in a distant past. these relations became intensive in XI-XII centuries, mainly reflecting in dynastic marriages. Later the ethnic composition of Shida Kartli region was significantly changed - due to migratory and socio-political processes, next to Georgians, here were settled Jews and Greeks, and especially large number of Ossetians. Of course, mixed population made some impact on

historical geographical names, but it didn't change good neighborhood relations between Georgians and Ossetians until other, hostile force didn't interfere in these relations. From that period started hostility, ethnic confrontation and finally there was the August war, which led to seizure of the region. I think Georgian government and Ossetian people had many mistakes in past, which brought us pain and tears. we know third force always tried to decompose union, but It isn't justificatory argument. Neighbour nations will not persecute „ghost of past“.

ზოგიერთი ახალი საარქივო დოკუმენტი სამურზაყანოს ისტორიისათვის

კახა კვაშილავა

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ისტორიის დოქტორი

სამურზაყანოს ფეოდალური სამფლობელო აფხაზთა მოწოლის შედეგად ოდიშის სამთავროს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, კერძოდ - ენგურ-ღალიძგის შუამდინარეთში, XVII-XVIII საუკუნეების მიჯნაზე ჩამოყალიბდა და იქ დამკვიდრდა აფხაზთა სამთავრო საგვარეულოს - შარვაშიძეთა - გვერდითი შტო, რომელიც ამ მხარეს 1812 წლის შემოდგომამდე მართავდა. თუმცა, რეგიონს სახელწოდება „სამურზაყანო“, სავარაუდოდ, XVIIIს. პირველ მესამედში უნდა წოდებოდა. ოდიშმა 1702 წლის ზამთარში, იმერეთის მხარდაჭერით, შეძლო დასახელებულ რეგიონზე კონტროლის აღდგენა, მაგრამ შარვაშიძეთა საგვარეულო დადიანმა მფლობელად დატოვა, როგორც ჩანს, ვასალობის პირობით.

შექმნილი ვითარების მიუხედავად, ენგურ-ღალიძგის შუამდინარეთი აფხაზეთსა და სამეგრელოს შორის მუდმივი დავის საგანი შეიქმნა. ორ სამთავროს შორის კონფლიქტი ამ მიწებთან დაკავშირებით განსაკუთრებით XIXს. პირველ მესამედში გამწვავდა, როცა მხარის მმართველობას სიძის, მანუჩარ შარვაშიძის გარდაცვალების (1812წ. შემოდგომა) შემდეგ სამეგრელოს მთავარი ლევან V დადიანი უშუალოდ შეუდგა. რუსეთის იმპერია თავიდანვე სავსებით სამართლიანად სამურზაყანოს ოდიშის შემადგენელ ნაწილად მიიჩნევდა. თუმცა ასეთი განწყობილების დიდხანს შენარჩუნება სანქტ-პეტერბურგში სათუო იყო, მით უფრო, რომ ის ცდილობდა ამიერკავკასიის უშუალო შეერთებას იმპერიასთან და ნახევრადავტონომიური ქართული პოლიტიკური ერთეულების არსებობა მხოლოდ დროის საკითხი იყო. იმპერიის ეს განზრახვა სავსებით ნათელი იყო იქიდან გამომდინარე, თუ რა ბედი ეწიათ ქართლ-კახეთისა (1801წ.) და იმერეთის სამეფოებს (1810წ.), მათ შემდეგ კი - გურიის სამთავროსა (1829წ.) და წებელდას (1837წ.). რუსეთის ასეთ გააქტიურებას ხელი თურქეთთან 1828-1829წწ. ომში გამარჯვებამ და 1829წ. 2(14) სექტემბერს დადებულმა ანდრიანოპოლის ზავმა შეუწყო, რომლის VI მუხლი აღმოსავლეთ შავი ზღვისპირეთსა და საქართველოს შეეხებოდა. კერძოდ, რუსეთმა მიიღო მთელი შავი ზღვის სანაპირო მდ. ყუბანის შესართავიდან წმიდა ნიკოლოზის საგუმბაგომდე (შეკვეთილი, გურია) ციხეებით: ანაპა, სუჯუნ-ყალე და ფოთი; ოსმალეთმა რუსეთის იმპერიის მფლობელობაში ცნო ქართლ-კახეთი, სამცხე-ჯავახეთი (ახალქალაქი და ახალციხე), იმერეთი, გურია, სამეგრელო და აფხაზეთი.

ამით შეგულიანებულმა სანქტ-პეტერბურგმა მშვენივრად გამოიყენა სამეგრელოსა და აფხაზეთს შორის არსებული დავა და 1840წ. თებერვალში სამურზაყანო უშუალოდ შეუერთა იმპერიას საბოქაულოს სტატუსით. სამეგრელოსთან საზღვრად მდინარე ენგური დადგინდა. საქმის ასეთ შემობრუნებას ზუგდიდში ნამდვილად არ ელოდნენ და დადიანებმა ეს გადაწყვეტილება გააპროტესტეს. თუმცა ევგენი გოლოვინის მთავარმართებლობის პერიოდში (1838-1842), ლევან და დავით დადიანმა ვერაფერს მიაღწიეს, ვინაიდან რუსი მაღალჩინოსანი ურყევად იდგა თავის პოზიციაზე და მის მიერვე მიღებული გადაწყვეტილების შეცვლას არ აპირებდა.

ახალი ეტაპი სამურზაყანოს საკითხის განხილვისა უკავშირდება მთავარმართებლად გენერალ-ადიუტანტ ალექსანდრე ნეიდგარდტის დანიშვნას 1842 წ. 21 დეკემბერს. საქართველოს ეროვნული არქივის ისტორიულ არქივში დოკუმენტებზე მუშაობისას, ჩვენ მივაკვლიეთ სამურზაყანოს საკითხის განხილვასთან დაკავშირებულ აქამდე უცნობ რამდენიმე საბუთს, რომელიც სწორედ ნეიდგარდტ-ვორონცოვის პერიოდებს უკავშირდება [იხ. ბიბლიოგრაფიაში: ##3-15].

რუსეთის ადგილობრივი ხელისუფლება, რომელიც სამურზაყანოს ექსპროპრიაციისათვის „კანონიერ“ საფუძვლებს ეძიებდა, ძალიან მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. საქმე რთული აღმოჩნდა ლეგალიზაციისათვის. ამასთან ერთად, დადიანების მოთხოვნამ შესაბამის ანაზღაურების მისაღებად (დადიანები მიყენებული ეკონომიკური ზარალის კომპენსაციისათვის ყოველწლიურად 10 000 ვერცხლის მანეთს ითხოვდნენ), რაც უკვე რუსებს დღის წესრიგში ედგათ 1840 წ. 21 მაისიდან, ახალი მთავარმართებლის აღ-

შფოთება გამოიწვია. როგორც ჩანს, თავიდანვე, სანამ საქმის რეალურ ვითარებაში გაერკვეოდა, იგი ე. გოლოვინის შესაბამის გადაწყვეტილების „ჭეშმარიტებას“ იზიარებდა. ამიტომ, ალ. ნეიდგარდტი წინააღმდეგი იყო იმისა, რომ ხელისუფლებას დადიანებისათვის რაიმე თანხა გადაეხადათ, ვინაიდან, მთავარმართებლის რწმენით, რეგიონი დადიანს არასდროს ეკუთვნოდა, როგორც ეს მისმა წინამორბედმა გამოარკვია. ამ საკითხთან დაკავშირებით თავისი უარყოფითი დასკვნა მთავარმართებელმა სამხედრო მინისტრ ალექსანდრე ჩერნიშევს 1843 წლის მაისში გაუგზავნა [3].

ვინაიდან დადიანების მხრიდან საჩივრები არ წყდებოდა, ალ. ნეიდგარდტმა ახალი გამოძიება წამოიწყო. მან ამ საქმის არსში გარკვევა „ტიტულარულ სოვეტნიკს“ ფერდინანდ რეის დაავალა, რომელმაც ალ. ნეიდგარდტს უკვე 1843წ. 4 და 15 ოქტომბერს ორი მოხსენება წარუდგინა [15]. პირველში მოცემული იყო დადიანის საჩივრის ძირითადი არსი და სამურზაყანოსთან დაკავშირებული მასალების მოკლე მიმოხილვა [11], ხოლო მეორეში უკვე საკუთრივ ფ. რეის ანალიზი და დასკვნები იყო წარმოდგენილი [9, ფ. 187-189].

ფ. რეის დასკვნებით, ე. გოლოვინის გადაწყვეტილება დადიანისათვის სამურზაყანოს ჩამორთმევის შესახებ უსაფუძვლო იყო, ვინაიდან ალ. ნეიდგარდტის წინამორბედების - გრაფი პასკევიჩისა და ბარონ როზენის მიერ იმპერატორისადმი წარდგენილ პატაკებში აშკარად ჩანს, რომ სამურზაყანო სამეგრელოს დაქვემდებარებული მხარე იყო და იგი დადიანისგან დამოუკიდებელი არ ყოფილა. შესაბამისად, ფ. რეი უარყოფდა მანუჩარ შარვაშიძის სუვერენულ მართველობას ლალიძგა-ენგურის შუამდინარეთში, რაც, მისი სიტყვებით, ე. გოლოვინისათვის მთავარ „არგუმენტს“ შეადგენდა. აღსანიშნავია, რომ ე. გოლოვინის დავალებით დაიწყო საგანგებო გამოძიება სამურზაყანოს საკითხთან დაკავშირებით. ამ პროცესის შედეგად, თურმე, „გაირკვა“, რომ ამ მხარის მფლობელი მანუჩარ შარვაშიძე ყოფილა [10]. შესაბამისად, ამ უკანასკნელის დალუპვის შემდეგ, 1812 წ. შემოდგომაზე, ვინაიდან რეგიონი „უპატრონოდ“ დარჩენილა, იქ ხელისუფლება მხოლოდ რუსებს უნდა წარემართათ, როგორც ნეიტრალურ მხარეს [2].

მაგრამ ფ. რეი დადიანების ადვოკატი ვერ იქნებოდა და იგი, პირველ რიგში, კოლონიალური ხელისუფლების ინტერესებს იცავდა და ამიტომაც კარგად ხვდებოდა, რომ ე. გოლოვინის ზემოხსენებული გადაწყვეტილების მიღება განპირობებული იყო არა, თითქოს-და, სამურზაყანოში მშვიდობის უზრუნველყოფის მიზნით, რითაც რუსები აპელირებდნენ საკუთარი პოზიციების დასაცავად, არამედ იმპერიის ინტერესებიდან გამომდინარე, რომელიც კავკასიის რეგიონში საკუთარი სამხედრო და პოლიტიკური პოზიციების განმტკიცებას ცხდილობდა და უკვე ვეღარ ითმენდა ადგილობრივი ავტონომიური პოლიტიკური წარმონაქმნების არსებობას. ამიტომ ალ. ნეიდგარდტის ქვეშევრდომიც წერდა, რომ სამურზაყანოს ჩამორთმევა შესაძლებელია, *«ежели таковая мера требуется по общим видом управления»* [9, ფ. 188].

აქედან გამომდინარე, ფ. რეი, იცავდა რა რუსეთის იმპერიის ინტერესებს და ღირსებას, ალ. ნეიდგარდტს ურჩევდა, დადიანისათვის ფული მხოლოდ იმიტომ გადაეხადათ, რომ იგი იმპერატორის ერთგული ქვეშევრდომი იყო და მისი მოღვაწეობაც სამურზაყანოშიც რუსეთის ინტერესების დაცვას ემსახურებოდა. ფ. რეის აზრით, ამგვარი გამოსავალი საკუთრივ დადიანის თხოვნასაც დააკმაყოფილებდა და არც რუსეთის „ღირსებას შელახავდა“ ამ „ჩახლართულ და გაუგებარ საქმეში“, როგორც იგი წერდა [9, ფ. 189]. რეის რჩევის არსი სავსებით ნათელი იყო: თუკი ხელისუფლება სამეგრელოს მთავარს სამურზაყანოს გამო ფულს გადაუხდიდა, პეტერბურგი ამით ირიბად მაინც აღიარებდა ე. გოლოვინის გადაწყვეტილების სიმცდარეს და დაადასტურებდა, რომ ლალიძგა-ენგურის შუამდინარეთი დადიანს ემორჩილებოდა. რუსმა ჩინოსანმა ამგვარად გადაჭრა ეს საკითხი და დაიცვა იმპერიის ინტერესებიც, ვინაიდან დადიანს, ოფიციალურად, თანხას უხდიდნენ არა სამურზაყანოს გამო, არამედ – ერთგული სამსახურისათვის. შესაბამისად, ე. გოლოვინის უსამართლო გადაწყვეტილებაც კითხვის ნიშნის ქვეშ არ დგებოდა.

ალ. ნეიდგარდტმა ფ. რეის რჩევები გაითვალისწინა და იგი, რეკომენდაციების სახით, რუსეთის იმპერიის სამხედრო მინისტრს ალ. ჩერნიშევს გაუგზავნა. მთავარმართებლის წინადადებით, დადიანისთვის ხელისუფლებას უნდა მიეცა ერთჯერადი ფულადი ანაზღაურება და პოლკოვნიკი დავით V დადიანი უნდა აეყვანათ გენერალ-მაიორის წოდებაში. ეს კი ისე უნდა წარმოჩენილიყო, რომ უმაღლესი ხელისუფლება აფასებდა სამეგრელოს მთავრის ღვაწლს რუსეთის ინტერესების დაცვის საქმეში [14, ფ. 201-202]. როგორც ვხედავთ, დადიანის მიერ მოთხოვნილი ყოველწლიური საური მხოლოდ ერთჯერადი ანაზღაურებით უნდა შეცვლილიყო. ალ. ნეიდგარდტი სავსებით აცნობიერებდა იმას, რომ სამურზაყანოს დაბრუნება დადიანისათვის უკვე შეუძლებელი იყო, რადგან ამ მხარეზე საბოქაულოს დაწესების შესახებ გადაწყვეტილება იმპერატორის მიერ იყო ხელმოწერილი [14, ფ. 201]. ამასთან ერთად, ის იძლეოდა რეკომენდაციას, რომელსაც უნდა დაედგინა სამურზაყანოსა და სამეგრელოს შორის ადმინისტრაციული საზღვარი [14, ფ. 202]. საქმე იმაშია, რომ, თანხასთან ერთად, 1841წ. 21 მაისს, დადიანებმა გარკვეული დასახლებული პუნქტები (მათ შორის, სოფ. ფახულანი) მოითხოვეს [1]. ე. გოლოვინმა მათ ფახულანი დაუმტკიცა [16, 249; დოკ.#257]. როგორც ჩანს, მთავარმართებელს ამით აფხაზეთისათვის სამურზაყანოს ნაწილის გადაცემის ერთგვარად გაუვნებელყოფება სურდა.

კავკასიის მთავარმართებლის მოხსენება 1844წ. 11 მაისს ალ. ჩერნიშევმა ამიერკავკასიის საქმეთა კომიტეტის წევრებს გააცნო [5]. ამ სახელმწიფო ორგანომ, რომელიც იძულებული იყო ხელისუფლების პრესტიჟი შეენარჩუნებინა, ძალაში დატოვა ე. გოლოვინის გადაწყვეტილება. თუმცა მან, ირიბად, ხაზი გაუსვა კავკასიის ყოფილი მთავარმართებლის მიერ მცდარ დადგენილებას, აფხაზეთის მთავრის მიხეილ შარვაშიძისათვის სამურზაყანოს ნაწილის გადაცემის თაობაზე [7, ფ. 236]. კომიტეტმა მხარი დაუჭირა სამეგრელოს მთავრისათვის გარკვეული თანხის გადახდას. ოღონდ, დადიანისთვის უნდა განემარტათ, რომ სამურზაყანო რუსეთისათვის წამგებიანი მხარე იყო და, პირიქით, იგი კიდევ უფრო მეტ ხარჯებს მოითხოვდა იქ არსებული რუსული ადმინისტრაციისა და დისლოცირებული სამხედრო ნაწილების შენახვის გამო [7, ფ. 236-237]. შესაბამისად, დადიანის იმედი არ უნდა ჰქონოდა, რომ თანხის რაოდენობის გაზრდას მოახერხებდა. ამიერკავკასიის საქმეთა კომიტეტის აღნიშნული გადაწყვეტილება უმაღლესმა ხელისუფალმაც მოიწონა [12].

ალ. ნეიდგარდტმა, ჩვენთვის გაურკვეველი მიზეზების გამო, ვერ მოახერხა ამ დადგენილების აღსრულება და მისი განხორციელება უკვე კავკასიაში მეფისნაცვალ გრაფ მიხეილ ვორონცოვს მოუწია [16, 257; დოკ.#262]. მან 1845წ. მარტში შესაბამისი მოლაპარაკებების საწარმოებლად დავით დადიანთან შავიზღვისპირა ხაზის IV განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებელი პოლკოვნიკი ალექსი ბრუსილოვი მიავლინა. როგორც ჩანს ამ უკანასკნელის „დესპანობას“ სხვა დატვირთვაც ჰქონდა, რადგან ა. ბრუსილოვის სახელი იმხანებში დასავლეთ საქართველოში კარგად იცოდნენ: ის 1841წ. გურიის აჯანყების ჩამხშობი იყო. ჩანს, მ. ვორონცოვს სურდა დადიანის მოსალოდნელი ვნების ჩახშობა ბრუსილოვთან მოლაპარაკებების დროს.

როგორც ზემოთ აღნიშნა, თავიდან დადიანები მიყენებული ეკონომიკური ზარალის კომპენსაციისათვის ყოველწლიურად 10 000 ვერცხლის მანეთს ითხოვდნენ. თუმცა, ამჯერად ეს მოთხოვნა გაენახვერებინათ და დავითმა ა. ბრუსილოვს ყოველწლიურად 5 000 ვერცხლის მანეთი მოსთხოვა [13]. მეფისნაცვლის დესპანმა, კომიტეტის შემოხსენებული დადგენილების შესაბამისად, სამეგრელოს მთავარს „აუხსნა“, რომ მის მიერ მოთხოვნილი თანხა საკმაოდ „დიდი“ იყო რუსეთის ხელისუფლებისათვის. პოლკოვნიკმა ლევან V-ს მემკვიდრეს აცნობა, რომ იმპერატორი აპირებდა მისთვის გენერალ-მაიორის წოდების ბოძებას, რითაც ის მიხეილ შარვაშიძეს გაუტოლდებოდა. როგორც ა. ბრუსილოვი აცნობებდა მ. ვორონცოვს, დავითი ამ ამბავს გაუხარებია და იგი უფრო მეტად დამთმობიც გამხდარა [13].

თუმცა, მთლად ასეც არ იყო საქმე. დავით დადიანმა საპატიოდ მიიჩნია მაღალი სამხედრო წოდების მიღება, მაგრამ იგი პოზიციების დათმობას ადვილად არ აპირებდა. მან, ამ მოლაპარაკებების დღეებში, მ. ვორონცოვს მისწერა, რუსეთის ხელისუფლების განმარტება იმაზედ, რომ სამურზაყანოს ჩამორთმევის მიზეზი იქ სიმშვიდის დამყარება იყო, სარწმუნო არ იყო, რადგან იმ მხარეში მაინც არ წყდებოდა ქურდობები, ტყვეთა ტაცება და სხვა კანონდარღვევები [8].

ამ სირთულეების მიუხედავად, საბოლოოდ, როგორც ჩანს, დადიანის დათანხმება მაინც მოახერხა ა. ბრუსილოვმა და, აღნიშნული მოლაპარაკებების შემდეგ, მ. ვორონცოვმა ალ. ჩერნიშევს 1845წ. 1 აპრილს შესთავაზა დადიანისათვის მისაცემი ერთჯერადი თანხა 25 000 ვერცხლის მანეთით განსაზღვრულიყო [13]. მეფისნაცვალი მიიჩნევდა, რომ კომპენსაციის გადაცემა დადიანისათვის სავსებით სამართლიანი ქმედება იყო იმ ვითარებიდან გამომდინარე, რაც სამურზაყანოსთან დაკავშირებით შეიქმნა [16, 257; დოკ.#262]. ეს წინადადება ხელისუფლების მიერ მალევე, იმავე თვის მიწურულს (29 აპრილი) დაკმაყოფილდა [5]. თუმცა, დადიანმა 1845 წ. დამტკიცებული თანხა მხოლოდ 1847 წელს მიიღო. აღსანიშნავია, რომ კარგა ხნის მანძილზე ქართულ ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებული იყო მცდარი შეხედულება იმის თაობაზე, რომ რუსეთის ხელისუფლებამ სამურზაყანო სამეგრელოსგან გამოისყიდა და ამ სახით შევიდა შესაბამისი ცნობა ამ კუთხის შესახებ ისეთ სოლიდურ გამოცემაში, როგორცაა „ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში“ [17]. როგორც ვნახეთ, საქმე ამგვარად ნამდვილად არ ყოფილა.

ამ ფაქტმა აფხაზეთის მთავარი მიხეილ შარვაშიძე აღაშფოთა და 1845 წ. 22 დეკემბერს საპროტესტო წერილი (#109) მისწერა ქერჩში შავიზღვისპირა ხაზის კორპუსის ხელმძღვანელს გენერალ-ადიუტანტ ა. ი. ბუდბერგს. მისი თქმით, ხელისუფლების ამ გადაწყვეტილებამ მიხეილ შარვაშიძის ავტორიტეტი დასცა მის ქვეშევრდომებსა და მთიელ ტომებში [3]. მიხეილი ითხოვდა, გაეთავისუფლებინათ იგი მთავრობიდან და, სამაგიეროდ, მისთვის იმერეთში მიეცათ მამული 1 500 კომლით [19, 8; 21, 135].

1849წ. სამეგრელოს გადაეცა ადრე სამურზაყანოში შემავალი სასაზღვრო სოფლები: დიდი და პატარა კოკი, გაინარჯია-მუხური, ორსანტია და შამგონა [18, 101]. ამით დასრულდა სამურზაყანოელ შარვაშიძეთა და დადიანის კარის ტერიტორიული დავა, რომელიც 9 წელი გრძელდებოდა.

აფხაზი სეპარატისტი ისტორიკოსები ო. ბლაჟბა და ს. ლაკობა არ ღალატობენ საკუთარ თავს და სამურზაყანოზე რუსული ადმინისტრაციის დაწესების თაობაზე „ახლებურ“ მიდგომას წარმოგვიდგენენ. მათი მტკიცებით, თითქოს 1840 წელს, «владетель Абхазии доказал свои права на эту область (სამურზაყანო -

კ.კ.) и с этого времени она являлась отдельным приставством» [20, 145]. როგორც ზემოთ ვნახეთ, ამ მტკიცებისათვის საერთოდ არანაირი საფუძველი არ არსებობს.

ამრიგად, როგორც ჩვენს მიერ მიკვლეული საარქივო დოკუმენტებიდან ჩანს, დადიანისათვის სამურზაყანოს ჩამორთმევის დაკანონება რუსეთს ძალიან გაუჭირდა და ამ პროცესს რამოდენიმე წელიც შეაღწია. ამ წყაროებიდან ნათლად ჩანს, რომ ეს მხარე იმპერიის მერსვეურებს სამართლიანად სამეგრელოს სამთავროს შემადგენელ ნაწილად მიაჩნდათ, რაც იმთავითვე აბათილებს აფხაზი სეპარატისტული ისტორიკოსების (ო. ბლაჟბა, ს. ლაკობა) მტკიცებას იმის თაობაზე, რომ, თითქოს, სამურზაყანოზე საბოქაულოს დაწესებით, რუსეთმა ერთგვარად აღიარა ამ მხარეზე მიხეილ შარვაშიძის უფლებების ლეგიტიმურობა.

ბიბლიოგრაფია:

1. *საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო არქივი* (შემდგომში - *სეას*). ფონდი 1087, აღწ. 2, საქმე 357, ფ. 57.
2. *სეას*. ფონდი 1087, აღწ. 2, საქმე 357, ფ. 74-75.
3. *სეას*. ფონდი 1087, აღწ. 2, საქმე 357, ფ. 114.
4. *სეას*. ფონდი 1087, აღწ. 2, საქმე 357, ფ. 260-263.
5. *სამხედრო მინისტრის წერილი გრაფ ვონრონცოვისადმი*. 1845წ. 30 აპრილი, - *სეას*. ფონდი 1087, აღწ. 2, საქმე 357, ფ. 242.
6. *ჩერნიშევის პასუხი ნეიდგრადტს*. 1844წ. 9 ივნისი, #398, - *სეას*. ფონდი 1087, აღწ. 2, საქმე 357, ფ. 235.
7. *Выписка из журнала Комитета по делам Закавказского Края*. 1844წ. 11 მაისი, - *სეას*. ფონდი 1087, აღწ. 2, საქმე 357.
8. *Докладная записка Наследника и Правителя Мингрельского Владения Князя Дадиан Его Сиятельству, Наместнику Закавказского Края, Господину Генералу от Инфантерии Геренрал Адъютанту и Кавалеру Михаилу Семеновичу Графу Воронцову*. 1845წ. 19 მარტი, - *სეას*. ფონდი 1087, აღწ. 2, საქმე 357, ფ. 215-217.
9. *Дополнение к записке содеожащей опровержение домогательства Князя Дадиани о возвращении ему Самурзакани*, - *სეას*. ფონდი 1087, აღწ. 2, საქმე 357.
10. *Записка о действительной и законной принадлежности Владетелю Мингрелии Самурзакасской земли, отобранной ныне от него по распоряжению Г^{на} Главнокомандующего Закавказским Краем*, - *სეას*. ფონდი 1087, აღწ. 2, საქმე 357, ფ. 19.
11. *Записка о притязании Владетеля Мингрелии на Самурзаканскую область*, - *სეას*. ფონდი 1087, აღწ. 2, საქმე 357, ფ. 177-185.
12. *Краткая записка по делам Самурзакани*, - *სეას*. ფონდი 1087, აღწ. 2, საქმე 357, ფ. 219. ეს დოკუმენტი (#29) 1846წ. 29 აპრილსაა შედგენილი გენერალ-მაიორ ესპეხოს მიერ.
13. *От Г. Главнокомандующаго Г^{вы} Военному министру*. 1845წ. 1 აპრილი, #29, - *სეას*. ფონდი 1087, აღწ. 2, საქმე 357, ფ. 238-241.
14. *Рапорт Командира Отдельнаго Кавказскаго Корпуса, Генерал Адъютанта Нейдгардта Военному Министру, Господину Генерал Адъютанту и Кавалеру Князю Чернышеву*, 1844წ. 11 მარტი, #17, - *სეას*. ფონდი 1087, აღწ. 2, საქმე 357.
15. *Рапорт Титулярного Советника Рея Его Высокопревосходительству, Главнокомандующему Закавказским Краем, Господину Генералу от Инфантерии, Генерал Адъютанту и Кавалеру Нейдгардту*, - *სეას*. ფონდი 1087, აღწ. 2, საქმე 357, ფ. 176.
16. *Акты, собранные Кавказскою Археографическою Коммисиєю*. Архив главного управления Наместника Кавказскаго. Напечатан под редакциєю председателя комиссии ст. сов. *Ад. Берже*. Т. X. Тфл., 1885.
17. სამურზაყანო. – *ქართული საბჭოთა ენციკლოპედია*. ტ. 9, თბ., 1985.
18. **ცინცაძე ზ.**, სამეგრელოს (ოდიშის) სამთავროს საზღვრების საკითხისათვის XIX საუკუნის I ნახევარში. – *საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული*. ტ. VII. თბ., 1989.
19. **ჯანაშია ს.**, გიორგი შარვაშიძე. კულტურულ ისტორიული ნარკვევი, – *შრომები*. ტ. VI. თბ., 1988.
20. **Бгажба О. X., Лакоба С. З.**, История Абхазии. *С древнейших времён до наших дней. 10-11 классы*. Учебник для общеобразовательных учебных учреждений. Сухум, 2006.
21. **Эсадзе С.**, Историческая записка об управлении Кавказом. Т. I. Тфл., 1907.

SOME NEW ARCHIVAL DOCUMENTS FOR SAMURZAKANO'S HISTORY

Kakha Kvashilava, Sokhumi State University, PhD in History

RESUME

Samurzakano's feudal possession appeared at the close of XVII century after capturing by Abkhazians north-west part of Odishi and the representatives of the branch of the Sharvashidze Sovereign House of Abkhazia headed it. They ruled Samurzakano until autumn of 1812. In winter of 1702, Odishi, with helping of Imereti, could restore control on Samurzakano but Sharvashidze's House was leave as a ruler as vassal. In spite of this fact, Samurzakano was disputed territory between Odishi and Abkhazia. The conflict had especially escalated in the first third of XIX century when Levan V Dadiani, ruler of Odishi, after the death of his brother-in-law – Manuchar Sharvashidze (autumn of 1812) begun to rule Samurzakano. We must note that at the first time Russian Empire considered that Samurzakano was a part of Odishi. Soon in Saint Petersburg they changed their opinion on Samurzakano's belonging and there was established Pristavstvo of Samurzakano in February of 1840. Dadiani begun protested this decision. But General E. Golovin, a Chief Manager of Georgia did not changed his decision. New stage of reviewing of the problem had begun in the period of Aleksander Neydgardt, the new Chief Manager of Georgia. In the Historical Archive on National Archive of Georgia, we found several unknown documents belonging to the period of Neydgardt and Vorontsov. As we have seen in these sources, Russia had got into a difficult position for legitimize taking away Samurzakano from Dadiani. In these new discovered documents, we see clearly that the Russians had quite rightly recognized that Galidzga-Enguri interfluve was a part of Samegrelo. This fact refuted statement of separatist Abkhaz historians (O. Bgashba, S. Lakoba) that Russia began to recognize the legitimacy of the rights of Mikhail Sharvashidze on this land.

ლევან II დადიანის აფხაზეთთან ურთიერთობის ისტორიიდან

ელდარ მამისთვალიშვილი

გორის სასწავლო უნივერსიტეტი, სრული პროფესორი

XVII ს. დასაწყისისათვის დასავლეთ საქართველოში იყო იმერეთის სამეფო, გურიის, ოდიშის და აფხაზეთის სამთავროები. წესისა და ტრადიციის მიხედვით იმერეთის მეფე უზენაეს ხელისუფლად, ხოლო მთავრები მის ვასალებად ითვლებოდნენ. სინამდვილეში კი, მთავრები საშინაო და საგარეო პოლიტიკური კურსის გატარებისას სრული დამოუკიდებლობით სარგებლობდნენ, რასაც, თავისი ხელისუფლების სისუსტის გამო, მეფეც აღიარებდა.

შემდეგ იმდენად დაირღვა და მტრული გახდა იმერეთის სამეფოს პოლიტიკურ ერთეულებს შორის ურთიერთობა, რომ კარგა ხნის განმავლობაში მათი პოლიტიკა და დიპლომატია მხოლოდ ერთმანეთის საწინააღმდეგოდ იყო მიმართული.

იმავე დროს, დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროები ოსმალეთის ვასალები იყვნენ და ხარკს უხდიდნენ²⁹, რომლის რაოდენობა ზუსტად განსაზღვრული არ იყო და პოლიტიკური სიტუაციის მიხედვით იცვლებოდა.

XVI-XVII საუკუნეთა მიჯნაზე ოდიშის მთავარმა ფაქტიურად დაკარგა გავლენა აფხაზეთის სამთავროზე, რაც სხვადასხვა მიზეზმა გამოიწვია. უმთავრესი ის იყო, რომ ლევან II-ის მცირეწლოვნებამ და ოსმალეთთან დაძაბულმა მდგომარეობამ, ოდიშში მთავრის ხელისუფლების დასუსტება გამოიწვია. შექმნილი ვითარებით ისარგებლეს აფხაზმა წარჩინებულებმა და დამოუკიდებლობა მოიპოვეს³⁰.

აღნიშნული მიზეზები მართლაც არსებობდა, მაგრამ ძირითადი სულ სხვა რამ იყო: XVI საუკუნიდან სრულიად შეიცვალა ეთნიკური ვითარება აფხაზეთში, რაც კარგად ჩანს უცხოელთა ცნობებში³¹. მათზე დაყრდნობით შეიძლება დავასკვნათ, რომ საქართველოს ჩრდილო-დასავლეთ შავი ზღვისპირეთში კავკასიონის ზემო კალთებიდან და შეიძლება ჩრდილო კავკასიიდანაც, მიმდინარეობდა მთიელთა ჩამოსახლება. ეს პროცესი რომ XVII ს. პირველ ნახევარშიც გრძელდებოდა, ნათლად ჩანს, მაგრამ როდის დაიწყო, ამის თქმა ძნელია.

ოდესღაც აფხაზეთი განვითარებული ფეოდალური ქვეყანა და მთაში ქრისტიანობის გავრცელების კერა იყო. ამას მოწმობს ბერძნული და ქართული მწერლობა და დღემდე შემორჩენილი ისტორიული

²⁹ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, IV, თბ., 1973, გვ. 300.

³⁰ ანთელავა ი., ლევან II დადიანი, თბ., 1990 გვ. 56-57.

³¹ მამისთვალიშვილი ე., ოდიშის ისტორიიდან, თსუ შრომები, 310. ისტორია, არქეოლოგია, ხელოვნებათმცოდნეობა, ეთნოგრაფია, თბ., 1992, გვ. 48-49.

მეგლები. XV საუკუნიდან, როგორც ნ. ბერძენიშვილი შენიშნავდა, აფხაზეთი 'წარმართობს'. აფხაზეთში ზედიზედ გაუქმდა საეპისკოპოსოები, ქრება ქრისტიანობა³².

ჯოვანი ჯულიანო და ლუკას, არქანჯელო ლამბერტის და ევლია ჩელების ჩანაწერების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, XVII საუკუნის აფხაზეთის მოსახლეობა ეთნიკური შემადგენლობით განსხვავდებოდა და კულტურით დიდად ჩამორჩებოდა დასავლეთ საქართველოს დანარჩენ მოსახლეობას. ისინი ძლიერ შორს იყვნენ და, შეიძლება ითქვას, კავშირი არ ჰქონდათ იმ კულტურასთან, რომელიც დასავლეთ საქართველოს აღნიშნულ რეგიონში იქმნებოდა საუკუნეების განმავლობაში. XVII საუკუნეში წარმართი მთიელების მიერ დაკავებულ და კულტურულად წალეკილ ჩრდილო-დასავლეთ შავი ზღვისპირეთში ქართული მართლმადიდებლური ეკლესიები კუნძულებივით შემორჩა. აფხაზები ზღვის სანაპირო ზოლში მთებიდან იმდენად ახლად ჩამოსული ჩანან, რომ ისინი ჯერ კიდევ შორს არიან ბარის მოსახლეობის დამახასიათებელი ეკონომიკური ურთიერთობისაგან და ბარში კვლავ მთიელთა ადათ-წესებით ცხოვრობენ.

დასავლეთ საქართველოსათვის, განსაკუთრებით ოდიშის სამთავროსათვის, მთიელთა მოწოდების შეჩერება იმდენად მნიშვნელოვან და გადაუდებელ საქმედ გადაიქცა, რომ ერთ დროს (VIII ს.) აგებული ე. წ. კელასურის კედელიც (60 კმ-ის სიგრძის სიმაგრეთა სისტემა) კი აღადგინეს. ვახუშტი ბატონიშვილის თქმით: 'შეავლო ზღუდე დიდი ლევან დადიანმან, აფხაზთა გამოუსვლელობისათვის'³³.

აფხაზეთის სამთავრო, საკვლევ პერიოდში, რომ ჯერ კიდევ ოდიშისა და გურიის სამთავროებისავით ჩამოყალიბებულ პოლიტიკურ ერთეულს არ წარმოადგენდა³⁴, ამის უმთავრესი მიზეზი მთიელთა ძლიერი მიგრაცია და არასტაბილური მდგომარეობა იყო.

აფხაზეთში გართულებულ მდგომარეობას კიდევ უფრო ამძიმებდა საქართველოს ამ ძირძველი რეგიონისადმი ოსმალეთის გაზრდილი ინტერესი. მას შემდეგ, რაც შაჰ აბას I-მა 1606 წელს ოსმალეთი ქართლიდან გააძევა, ოსმალეთის ხელისუფლების საქართველოსთან ურთიერთობა მხოლოდ იმერეთის სამეფოთი, გურიის, ოდიშისა და აფხაზეთის სამთავროებით შემოიფარგლებოდა. მაგრამ ეს არ ნიშნავდა იმას, რომ ოსმალეთმა საბოლოოდ ხელი აიღო აღმოსავლეთ საქართველოზე. იგი მოვლენების განვითარებას ფხიზლად ადევნებდა თვალს. სულთნის დიპლომატია ყოველ ხელსაყრელ ვითარებაში იმდენად აქტიურობდა, რომ ყველასათვის გასაგები ხდებოდა, ოსმალეთი მასზე დროებით ამბობდა უარს და მისთვის სულ ერთი არ იყო, თუ რა ხდებოდა ქართლისა და კახეთის სამეფოებში.

ახალგაზრდა ლევან დადიანმა აფხაზეთთან ურთიერთობის დარეგულირებისა თუ იქ გავლენის მოპოვების მიზნით, 1614-1615 წელს მთავარ სექტემან შარვაშიძის ასული შეირთო. იმერეთში შეხიზნული თეიმურაზ I-ის ზემოქმედებით, 1618 წელს, იმერეთის უფლისწულმა ალექსანდრემ შეირთო გურიელის ქალი თამარი. თეიმურაზი ამ ქორწინებებით გეგმავდა დასავლეთ საქართველოში ანტიირანული კოალიციის შექმნას. მაგრამ ამ ქორწინებების შედეგად იმერეთის სამეფოში მშვიდობამ და სიყვარულმა კი არ დაისადგურა, არამედ სათავე დაუდო ურთიერთ მტრობასა და ანარქიას.

დადიანმა ისარგებლა იმერეთის მეფის ვაჟის ალექსანდრესა და მის ცოლ თამარს შორის მომხდარი განხეთქილებით. კერძოდ, ალექსანდრემ თავის ცოლს ბრალი დასდო ქუთაისელი ვაჭრის სიყვარულში და შვილით, ბაგრატით, გურიელს გაუგზავნა. ამგვარად დაირღვა თეიმურაზის ინიციატივით შეკოწიწებული იმერეთის მეფისა და გურიელის კავშირი.

ლევან დადიანმა მეფესა და გურიელს შორის ჩამოვარდნილი მტრობა თავისთვის ხელსაყრელად ჩათვალა და უკანასკნელის თავის მოკავშირედ გახდომის მიზნით, მის მემკვიდრე სვიმონს 1621 წელს თავისი და მარიამი მიათხოვა. დადიანსა და გურიელს შორის კავშირი, უპირველეს ყოვლისა მიმართული იყო იმერეთის მეფე გიორგის წინააღმდეგ. მეფესა და დადიანს შორის ბრძოლა მოხდა 1622 წელს ქუთაისის მახლობლად გოჭოურასთან. გაიმარჯვა მთავარმა რის შედეგად ლევან დადიანის ავტორიტეტი დიდად გაიზარდა³⁵.

ლევან დადიანს შარვაშიძის ქალთან ორი ვაჟი ეყოლა. თუმცა ეს ქორწინება მაინც მტკიცე არ აღმოჩნდა. დადიანს თავისი მოხუცი ბიძისა და ყოფილი მეურვის გიორგი ლიპარტიანის ახალგაზრდა ცოლი შეუყვარდა. ამის შემდეგ მან თავის ცოლს ბრალი დასდო მოურავ პაპუნასთან სასიყვარულო ურთიერთობაში, ცხვირი მოკვეთა, ჯარით შეიჭრა აფხაზეთში, აიკლო და შერცხვენილი მეუღლე იქვე დატოვა, მისგან ნაყოლი შვილებიც დაახოცინა³⁶.

³² ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, VIII, თბ., 1975, გვ. 616.

³³ ქართლის ცხოვრება. IV. ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1973, გვ. 782.

³⁴ ანთელავა ი., დასახ. ნაშრ., გვ. 57.

³⁵ იქვე, გვ. 58-59.

³⁶ არქანჯელო ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა. თარგმანი იტალიურიდან ალ. ჭყონიასი. მეორე გამოცემა ლ. ასათიანის წინასიტყვაობით, რედაქციით და შენიშვნებით, თბ., 1938. გვ. 16, 21. კასტელის გადმოცემით,

ლევან დადიანის წინააღმდეგ საკმაოდ ძლიერი კოალიცია ჩამოყალიბდა სეტემან შარვაშიძის, სვიმონ გურიელის, მეფე გიორგი III-ის და ზოგიერთი მეგრელი დიდებულის მონაწილეობით, რომლებმაც ოდიშის მთავრის მოკვლა და მისი ნახევარი ძმის იესეს გამთავრება განიზრახეს. შეთქმულება წარუმატებლად დამთავრდა, ლევან დადიანი მიგზავნილი აფხაზის მახვილს გადაურჩა. ამის შემდეგ დაიწყო შეთქმულებზე შურისძიება. ლევანმა ლანჩხუთთან ბრძოლაში სვიმონ გურიელი დაამარცხა, შეიპყრო, თვალები დათხარა და ბერად აღკვეცა³⁷, ხოლო მისი მეუღლე მარიამი და შვილი ოტია ოდიშში წაიყვანა. გურიის მთავარი გახდა პატრიარქი მალაქია (1625-1639). გურიის სამთავრო ლევან დადიანს დაემორჩილა და მას დადიან-გურიელადაც მოიხსენიებდნენ.

გურიის დამორჩილების შემდეგ, ლევან დადიანმა აფხაზეთს შეუტია და იმდენს მიაღწია, რომ აფხაზი დიდებულების ოდიშის სამფლობელოებზე თავდასხმები დროებით შეწყდა და სიმბოლური ხარკის გადახდაც დააკისრა.

ოსმალეთის გავლენის სისუსტე დასავლეთ საქართველოში რელიეფურად გამოჩნდა მაშინაც, როდესაც ლევან II დადიანი ირანის ქვეშევრდომ როსტომ მეფეს დაუნათესავდა და ოდიშის სამთავრო ირანის მოკავშირედ გამოაცხადა. სულთანმა ამის გამო იმდენად უარყოფითი რეაქცია არ გამოამჟღავნა, როგორც ამგვარ ვითარებაში მისგან მოსალოდნელი იყო. ერთი შეხედვით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ დადიანის მიერ პოლიტიკური ორიენტაციის შეცვლაზე (როსტომისა და მარიამის დაქორწინება, დადიანის ურთიერთობა შაჰთან, მისი კავშირი კაზაკებთან) სულთნის რეაქცია იყო 1634 წლის მაისში ოსმალეთის საზღვაო დესანტის მიერ კოდორის მიდამოებისა და დრანდის მონასტრის სასტიკად აკლება. თითქოს ეს უნდა ყოფილიყო დადიანისათვის სერიოზული გაფრთხილება³⁸.

თურქი ისტორიკოსები - ქათიბ ჩელები და მუსტაფა ნაიმა გადმოგვცემენ, რომ 'ჩილდირის (ახალციხის) ბეგის საფარის ცნობით, ირანი, დადიანი და გურიელი გაერთიანდნენ და 30 000-მდე ურწმუნო საქართველოს მოსახლეობა. დადასტურდა, რომ დადიანის და გურიელის მეშვეობით შავი ზღვის სანაპიროზე მდებარე გონიოსა და ტრაპიზონს საფრთხე ელოდებო. ამიტომ აუცილებელია ხმელეთიდან ჯარისა და სამეფო ფლოტის გამოგზავნა, იმ მხარეს დაცვა და დადიანისა და გურიელის ვილაიეთების დარბევა³⁹. თუ საფარ-ფაშას ინფორმაცია სერიოზულად აღიქვეს სტამბოლში და დასწრებითი ღონისძიება გაატარეს, მაშინ იზადება კითხვა, რა შუაში იყო ოსმალების მიერ კოდორის მიდამოების აკლება? ხიფათი ხომ გონიოსა და ტრაპიზონს ემუქრებოდა.

მოვლენების შემდგომი განვითარება და ლევან დადიანის მოქმედება არ ადასტურებს იმას, თითქოს მან მორჩილება გამოუცხადა ოსმალეთს, როგორც დ. გვრიტიშვილი ფიქრობდა⁴⁰, უფრო სწორი იქნება იმის დაშვება, რომ ეს სამხედრო ექსპედიცია იყო პასუხი ლევან დადიანის მიერ იმავე წელს აფხაზეთის დალაშქვრისა, მისი აფხაზეთში წინსვლის შეჩერებისა. ვფიქრობ, ოსმალებმა ამიტომ დაარბიეს აფხაზეთის მოსაზღვრე ოდიშის ტერიტორია. ოსმალებს, რომ სამთავროს წინააღმდეგ სერიოზული სამხედრო ღონისძიებების გატარება სდომებოდათ, მაშინ ოდიშის სამთავროს სხვა მხრიდან შეუტევდნენ.

მინიშნებებით დადიანისათვის ჭკუის სწავლების მცდელობა, ოსმალეთის სახელმწიფოს ავტორიტეტს კიდევ უფრო ლახავდა იმ დიდი პოლიტიკური მნიშვნელობის პრობლემის გადაწყვეტისას, რომელიც XVII ს. 30-იანი წლების დასაწყისში ოსმალეთს ამიერკავკასიაში, კერძოდ, საქართველოსთან მიმართებაში შეექმნა.

როგორც ითქვა, დასაშვებია, ოსმალეთის მიერ განხორციელებული სამხედრო ექსპედიცია მდ. კოდორის დაბლობზე, მიზნად ისახავდა დადიანის აფხაზეთზე წარმატებული თავდასხმების შეჩერებას.

³⁷ თავდაპირველად მას სურდა ხმლით აეკლუნა, მუცელი გამოეფატრა თავისი მრუში ცოლისათვის; მაგრამ შემდეგ სხვაგვარად მოიქცა; ქალს ცხვირი, ენა და ყურები მოაჭრა და დამახინჯებული გაუგზავნა მამამისს, რის გამოც მწუხარებით აავსო აფხაზთა მთავარი და თავის თავი ხელშეუხებლად წარმოიდგინა". დონ ქრისტოფორო დე კასტელი, ცნობები და აღბომი საქართველოს შესახებ. ტექსტი გაშიფრა, თრგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ბ. გიორგაძემ, თბ., 1976, გვ. 43.

³⁸ სვიმონი იერუსალიმში წავიდა და ბერად შედგა, იცოცხლა ღრმად მოხუცებულობამდე და თითქმის ნახევარი საუკუნის შემდეგაც, 1672 წელს, კიდევ ჰქონდა მიწერმოწერა თავის ნაცოლარ, მარიამთან. ბროსე მ., საქართველოს ისტორია, II, 1900, გვ. 188.

³⁹ ანთელავა ი., დასახ. ნაშრ., გვ. 90-91

⁴⁰ ალასანია გ., ქათიბ ჩელების ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ. თურქულიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო გ. ალასანიამ, თბ. 1978, გვ. 236; მუსტაფა ნაიმა, ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ. თურქული ტექსტი ქართული თარგმანით, გამოკვლევიდა და შენიშვნებით გამოსაცემად მოამზადა ნ. შენგელიამ, თბ., 1979, გვ. 190-191.

⁴¹ გვრიტიშვილი დ., ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან (XV-XVII სს.), II, თბ., 1965, გვ. 425; რეხვიაშვილი მ., იმერეთის სამეფო (1462-1810), თბ., 1989, გვ. 95; სვანიძე მ., საქართველო-ოსმალეთის ისტორიის ნარკვევები (XIV-XVIII სს.), თბ., 1990, გვ. 237.

ილორის წმ. გიორგის ხატზე წარწერა მოგვითხრობს ლევან დადიანის მიერ 1627 წელს აფხაზეთის დალაშქრას: `... მიუხდით შარვაშიძესა ზუფუს, მუწუს წყალსა აქათ მოვაოხრეთ. _ კიდევ მეორედ მიუხდით ზუფუს, კაპოეტის წყალს აქათ სრულობით დავსწვით და ავაოხრეთ და სადაცა სიმაგრე იყო ავიღეთ და გავაცუდეთ. კაპოეტის წყალზე შემოგვებნენ ზუფუარი და სიხუარი არშანიები და გაგვემარჯვა, დავხოცეთ, ზოგი ოღელთ დავგვრჩა...`⁴¹. ლევან დადიანისა და მისი მეუღლე ნესტან-დარეჯანის მიერ შემდგომ, 1628 წელს ბიჭვინთის ტაძრისადმი ყმებისა და მამულების შეწირვა⁴² იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ მან სერიოზულ სამხედრო წარმატებას მიაღწია და თავისი ხელისუფლება დროებით გაავრცელა თითქმის მთელ ზღვისპირა აფხაზეთზე. როგორც ჩანს, ლევან დადიანი სისტემატურ კონფრონტაციაში იყო აფხაზებთან და წარმატებებსაც აღწევდა. დადიანის ამგვარი მოქმედება ეწინააღმდეგებოდა ოსმალეთის ინტერესებს ამ რეგიონში, რომელიც თავისი გავლენის გავრცელებას ცდილობდა.

1634 წელს ოსმალეთის მიერ განხორციელებული სამხედრო-საზღვაო ექსპედიცია, ოდიშის სამთავროს აფხაზეთში წინსვლის შეჩერებას ისახავდა მიზნად. ოსმალეთის ხელისუფლება კოდორის მიდამოების აკლუბით ლევან დადიანს მიანიშნებდა, რომ იგი თავისი სამთავროს საზღვრებში დატეულიყო. იმავე დროს აფხაზ ფეოდალებს უნდა ეგრძნოთ, რომ ოსმალეთის მფარველობაში შესვლით მათ დამცველი შეიძინეს და თანაც ისინი ოდიშის სამთავროზე თავდასხმებისაკენ წააქეზა.

ლიტერატურა:

1. ალასანია გ., ქათიბ ჩელების ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ. თურქულიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო გ. ალასანიამ, თბ., 1978;
2. ანთელავა ი., ლევან II დადიანი, თბ., 1990;
3. არქანჯელო ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა. თარგმანი იტალიურიდან ალ. ჭყონიასი. მეორე გამოცემა ლ. ასათიანის წინასიტყვაობით, რედაქციით და შენიშვნებით, თბ., 1938;
4. ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, VIII, თბ., 1975;
5. ბროსე მ., საქართველოს ისტორია, II, 1900;
6. დონ ქრისტოფორო დე კასტელი, ცნობები და აღბოძი საქართველოს შესახებ. ტექსტი გაშიფრა, თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ბ. გიორგაძემ, თბ., 1976;
7. გვრიტიშვილი დ., ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან (XV-XVII სს.), II, თბ., 1965;
8. მამისთვალიშვილი ე., ოდიშის ისტორიიდან, თსუ შრომები, 310. ისტორია, არქეოლოგია, ხელოვნებათმცოდნეობა, ეთნოგრაფია, თბ., 1992;
9. მუსტაფა ნაიმა, ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ. თურქული ტექსტი ქართული თარგმანით, გამოკვლევითა და შენიშვნებით გამოსაცემად მოამზადა ნ. შენგელიამ, თბ., 1979;
10. რეხვიაშვილი მ., იმერეთის სამეფო (1462-1810), თბ., 1989;
11. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, IV, თბ., 1973;
12. სვანიძე მ., საქართველო-ოსმალეთის ისტორიის ნარკვევები (XIV-XVIII სს.), თბ., 1990;
13. ქართლის ცხოვრება. IV. ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1973;
14. ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი, ახსნილი და გამოცემული თ. ჟორდანიას მიერ, II, 1897.

FROM THE HISTORY OF LEVAN II DADIANI'S RELATION WITH ABKHAZIA

Eldar Mamistvalishvili, Gori Teaching University, Full Professor

RESUME

The military-naval expedition by Osmalia in 1634 aimed to stop the success of Odishi Principality in Abkhazia. The authority of Osmalia was giving a hint to Levan Dadiani by attacking Kodori territory and saying him to keep his borders. At the same time Abkhazian feudal should feel that they had got Osmalia as the defender and they became able to attack Odishi Principality.

⁴¹ ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი, ახსნილი და გამოცემული თ. ჟორდანიას მიერ, II, 1897, გვ. 447.

⁴² იქვე, გვ. 451-452

ოსების მიგრაცია საქართველოში

თინათინ მახათაძე

გორის სასწავლო უნივერსიტეტი,

ბაკალავრიატის სწავლების პირველი წლის სტუდენტი

ხელმძღვანელი: იოსებ ალიშბარაშვილი, მოწვეული სპეციალისტი

საქართველოს ტერიტორიაზე ოსთა მასობრივი გადმოსახლების პირველი ეტაპი XIII ს. 60-იან წლებში დაიწყო და XIV პირველ მეოთხედში დამთავრდა.

XIII ს-ში ოსები მონგოლთა შემოსევების შემდეგ ჩრდილოეთ კავკასიის დიგორის, ალაგირის, ქურთათისა და თავაურის ხეობებში შევიდნენ.

XIV-XV სს-ის მიჯნაზე ჩრდილოეთ კავკასიის ველებზე მცხოვრები ოსები საბოლოოდ იქნენ განადგურებული თემურ-ლენგის მიერ (1395 და 1400 წ.წ.). ამ დროიდან ისინი საბოლოოდ შედიან კავკასიის ვიწრო ხეობებში. ამავე დროიდან, დაკარგეს რა, არსებობისთვის საჭირო მნიშვნელოვანი ტერიტორიები, ოსთა სხვადასხვა რაზმები, მონგოლთა მხარდაჭერით ცდილობდნენ საქართველოში დამკვიდრებას. ჟამთააღმწერლის ცნობით, დავით ულუს დროს (1247-1270 წ.წ.) ისინი დარუბანდის გზით გადმოდნენ საქართველოში და ესახლებიან თბილისს, ჟინვანსა და დმანისს. წყაროში ვკითხულობთ: „ამა ჟამთა გარდმოვიდეს ბერქას ყაენისაგან ლტოლვილნი ოვსნი, დედაკაცი საკვირველი, სახელით ლიმაჩავ, და მან მოიტანნა შვილნი მცირენი, ნათესავითა ახასარ-ფაკაიანნი, პირმშო ფარეჯან და უმრწემსი ბაყათარ, და სხუანი თავადნი მრავალნი. გამოვლეს კარი დარუბანდისა და მოვიდეს მეფეს წინაშე. ხოლო მან პატივითა ისტუმრნა და წარავლინა ყაენს ულუს წინაშე და ყაენმა შეიწყნარა ფრიად და უბოძა ხარაჯა, მოლაშქრედ და თანამბრძოლელად განაჩინნა და ესრეთ მეფეს თანავე წარმოავლინა. ხოლო მეფემან დასხნა რომელნიმე ქალაქსა, რომელნიმე-დმანისს და სხუანი-ჟინოვანს“⁴³. ოსთა მცირე ნაწილების მოსვლას საქართველოს სამ სხვადასხვა ქალაქში, რაიმე მნიშვნელოვანი გავლენა არ მოუხდენია. ეს ოსებიც, დროთა განმავლობაში ასიმილირდნენ ადგილობრივი ქართული მოსახლეობის მიერ. ოსთა მცირერიცხოვანი რაზმების დაფუძნება XIII ს-ის 60-იან წლებში შიდა ქართლში არ მომხდარა. უფრო გვიან, XVII ს-ის მეორე ნახევრიდან აღნიშნულ რეგიონში კომპაქტური ოსური დასახლებები შეიქმნა.

მონგოლთა მიერ თავისი სამშობლოდან აყრილი და მათივე სამსახურში ჩამდგარი ოსთა დიდი ჯგუფი, მონგოლთა მხარდაჭერით, ცდილობს ქართლში სამოსახლო ტერიტორიების მოპოვებას. ოსთა ამ ბრძოლას ქართლში სათავეში უდგას ბაყათარი. ჟამთააღმწერლის გადმოცემით: „ხოლო მუნ ყოფასა ფარეჯანისა იწყეს ოვსთა ოხრებად, ხოცად და რბევად დაიჭირეს ოვსთა. მაშინ შეკრბეს ქართლის ერისთავსა ბეგას ძესა, ჰამადას წინაშე ყოველნი ქართველნი და მოადგეს გორსა და მრავალგზის შეებნეს ქალაქსა შინა, მრავალი კაცი მოკუდა, ოვსიცა და ქართველიცა, და დაწუეს გორი სრულიად. და ვითარცა მისჭირდა ოვსთა, ციხიდამე გარმოშვეს საბლითა კაცი და წარავლინეს მუხრანს მდგომთა თათართა თანა, რათა შეეწივნენ. ვითარცა ესმა ჩამოდგეს შუა, შუელა ქმნეს და ზავი. და მიერთგან შეიქმნა მტერობა შორის ქართველთა და ოვსთა, ვიდრემდის მეფეთა შორის ბრწყინვალემან, დიდმან სახელგანთქმულმან გიორგი, განსხა და აღფხურნა ოვსნი, წართვა მათ „ციხენი“ და „დაბები“, რომლებიც „დაეპყრათ ადგილ-ადგილ“⁴⁴.

გიორგი ბრწყინვალე მარტო ამ გამეგებას არ დასჯერდა და ქართველთა ჯარით შუაგულ ოსეთამდის მიჰყვა, იქ ჩარევა და მასთან პირობა ჩამოართვა, რომ „დღეის შემდეგ თქვენ აღარ გაბედოთ და ქართლს აღარ შემოესიოთ, თორემ სასტიკათ დაგსჯით“. ამის პირობა ოსებმა დიდი სიხარულით მისცეს. მხოლოდ ოსებმა სთხოვეს გიორგი ბრწყინვალეს, ამის შესრულების სანაცვლოდ: ხაზარები, მეჩუსტე, მეწულე, მექალამნე, მეთერძე, დალაქი და სხვა საჩირო ხელოსნები გაეგზავნა მათთვის. გიორგი ბრწყინვალემ ზემოთ ხსენებული ხელოსნები მისცა ოსებს და თან სახელოსნოებიც გაუხსნა და ამგვარად შემოსა ტიტლიკანა და ფეხშიშველა ოსები.

„ძეგლი ერისთავთას“ მიხედვით, შიდა ქართლის მთიანეთში, ისროლისხევში, XIII ს-ში ოსეთიდან მოვიდნენ ოსთა მეფის უმცროსი ძმისშვილები როსტომ, ბიბილაი და წითლოსანი, „სამეოცდათი მონითა კეთილითა“. ქსნის ერისთავთა ქრონიკის მიხედვით, ოსების მხლებელი 70 მონა მებრძოლი არ იყო. ეს 70 მონა-მებრძოლი კომპაქტურად რომ დასახლებულიყო ისინი ხეობას ერთგვაროვან ეთნიკურ სახეს რაიმე ცვლილებას ვერ დაამჩნევდნენ. „ძეგლი ერისთავთა“-ს ცნობაში აშკარად ჩანს, რომ XIII ს-ში არა მარტო

⁴³ ჟამთააღმწერელი, გვ. 136.

⁴⁴ იქვე, გვ. 184

შიდა ქართლის მთიანეთში, არამედ კავკასიონის ქედის ჩრდილოეთ მხარეზეც (დვალეთში) ოსები ჯერ დასახლებული არ იყვნენ. დვალეებმა, როგორც მათთვის უცხონი, ოსები თავიანთი ქვეყნიდან გამოყარეს.

XIV ს-ში ოსთა რაზმები, რომლებიც სამ ათეულ წელს იბრძოდნენ საქართველოში დასასახლებლად, საბოლოოდ დამარცხებული და განდევნილნი იქნენ. საქართველოდან XIV ს-ში არა თუ შიდა ქართლის მთიანეთში, არამედ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ოსთა დასახლებები არ არსებობს. დვალეთში ოსთა განსახლება ძირითადად XVI ს-ში განხორციელდა ჩრდილოეთ კავკასიის ალაგირის ხეობიდან. XV ს-ში ოსები შიდა ქართლის მთიანეთში არ ჩანან. ისინი ამ დროს დვალეთის ტერიტორიის ათვისებას იწყებენ. პფაფის მონაცემებით⁴⁵, ერთ-ერთი პირველი რეგიონი, სადაც ოსები ქურთათის ხეობიდან ესახლებიან დღევანდელი საქართველოს ტერიტორიაზე, ესაა თრუსო. თრუსოში ოსების დასახლება ხდება XVII ს-ის დასაწყისში. შიდა ქართლის მთიანეთში ოსები დასახლებას იწყებენ მხოლოდ XVII ს-ის შუახანებიდან.

საქართველოში ნამყოფი რუსი ელჩის მ. ი. ტატიშჩევის ჩანაწერის⁴⁶ მიხედვით (1604-1615წ.წ.), ჩერქეზებსა და საქართველოს შორის არსებობს 200 სულაანი მცირე ოსური დასახლება, რომლებიც ქართლს ძარცვავენ და გზაზე მიმოსვლის საშუალებას არ აძლევენ. სავარაუდოდ, ეს დვალეთის ერთ-ერთი რეგიონია, სადაც უკვე ოსები იყვნენ დასახლებულნი. XVII ს-ის დასაწყისში ოსებს დვალეების ასიმილაცია უკვე დამთავრებული ჰქონდათ.

XVIII-ის პირველ ნახევარში ოსთა ლაშქრობების და მეკობრეობის შედეგად სოფელ ზემო ჯავაში ქართული მოსახლეობა ამოწყდა და სხვაგან გაიფანტა. XVIII-ის შუა ხანებისათვის ქართული მოსახლეობისაგან დაცლილ ზემო ჯავაში ოსური მოსახლება ჯერ კიდევ არ იყო⁴⁷. დიდი ლიახვის მთაში ოსების დაფუძნება ოსეთიდან XVII ს. II ნახევარში დაიწყო და ამ პროცესს ხელს უწყობდნენ ქართველი მეფეები, რაც ჩანს მეფე როსტომის (1633-1658) ერთი საბუთიდან, სადაც იგი მოხელეებს უბრძანებს, რომ ოსეთიდან აყრილი და ჯავას ზემოთ დასახლებული ვინმე ხონთქრისა და მისი შვილის ხაჩისათვის არაფერი დაეშავებინათ და თუ ვინმე კვლავ ჩამოსახლდებოდა ოსეთიდან არც მისთვის შეეშალათ ხელი⁴⁸.

საქართველოს საზღვრებში ოსები XVIII ს. I ნახევარში ესახლებიან თერგის ზემო წელში (თრუსოში) და დიდი ლიახვის სათავეში (მალრან-დვალეთში). შემდეგ ისინი თანდათანობით მოიწვევენ სამხრეთისაკენ. XVII საუკუნის II ნახევრიდან ოსები ქართველებზე გამუდმებული თავდასხმებით და დევნა-შევიწროებით იკავებენ დიდი ლიახვის ხეობის მთელ მთიან ნაწილს.

შიდა ქართლის მთიანეთში ოსთა განსახლების შემდეგი ეტაპი არის პატარა ლიახვის მთიანი ზოლი. დიდი ლიახვის ხეობიდან აქ ოსების დამკვიდრება ხდება XVII-XVIII ს-ის მიჯნაზე.

ვახუშტიმ დაგვიხატა მისი თანამედროვე ოსების განსახლების ადგილები და კავკასიის მთებში მცხოვრებ ადგილობრივ ტომებთან-დვალეებთან შერევისა და ასიმილაციის სურათები.

იგი წერს: „არამედ დუალეთიცა განიყოფების ხევ-ხევად და იწოდების ხევნი ესრეთ: კასრის ხევად, ზრამაგად, ჟღელედ, ნარად, ზროგოდ და ზრახად, ხოლო რომელნი დაშთნენ მეფეთა ოვსთა, სახელნი მათნი არიან ესენი: ჩიმი, თაგაური, ქურთაული, ვალაგირი, ფაიქომი, დიგორი და ბასიანი, და სახელნი ესენი ეწოდნენ ანუ დაბებთაგან გარნა უმეტეს შემოსულთა ოსთაგან, რომელნი შემდგომად ჩინგიზ ყენთან მოსვლისთა, ბათო ყენმან მოსრნა ოვსეთი და მოაოხრნა, ხოლო ოვსნი შემოვივლტოდნენ კავკასიათა შინა და იწოდნენ სახელითა მათითა ხეობანი ესენი ესრეთ“...⁴⁹, ხოლო შემდგომად მოოხრებისა ოვსეთისა და შემოსვლისა მთისა კავკასიასა შინა მყოფნი მათ შემოსულთაგან ოვსეთად, რამეთუ აწცა გუარიაანათა მათ უწოდებენ ოსად, ხოლო სხვათა უგუაროთა კუალად დვალადვე“⁵⁰. ვახუშტის ცნობით, დვალეთი 6 ხევისგან შედგება და მასში დღეს (ე. ი. იმ დროს) ოსები მკვიდრობენ, დვალეთში მოსული ოსები მოექცნენ ადგილობრივი მოსახლეობის გავლენის ქვეშ და ასიმილაცია განიცადეს. დვალეთში დამკვიდრებულმა ოსებმა მიიღეს დამხვდური ეთნიკური ერთობის-დვალთა სახელწოდება.

ვახუშტის ცნობით, ოსთა ჩრდილოეთ კავკასიის მთებში შესვლა XV ს-ის შუა ხანებში, ოსმალთა მიერ კონსტანტინეპოლის აღების შემდეგ (1453 წ.) დაიწყო. ჩამოსახლებულმა ოსებმა მათ ახალ საცხოვრის ტერიტორიას (ჩრდილოეთ კავკასიის მთები) ოსეთი უწოდეს.

მისივე განმარტებით, ნარ-მამისონის აუზი, მალრან-დვალეთი, (XVIII ს.-ს. 30-იან წ.წ.) დვალეთია. „დიდის-ლიახვისა, პატარას-ლიახვისა, ქსნის ხევისა და კუდაროს მოსახლენიცა არიან დვალნივე, ამ

⁴⁵ როლანდ თოფჩიშვილი, საქართველოში ოსთა ჩამოსახლებისა და შიდა ქართლის ეთნოისტორიის საკითხები, გვ. 138

⁴⁶ იქვე, გვ. 139

⁴⁷ იქვე

⁴⁸ პირთა ანოტირებული ლექსიკონი, I თბ., გვ. 352

⁴⁹ ქ.ცხ. IV, გვ. 633-634.

⁵⁰ ქ.ცხ. IV, გვ. 634.

დვალეთიდან გარდასულნი, რჯულითა, წესითა და ზნითა ერთნი, და დღესაც მონათესავენ ურთიერთა⁵¹. დასახლებული ადგილების დაწვრილებით აღწერისას, ვახუშტი მიუთითებს აქ ოსების მოსახლეობის არსებობას, მოყვანილ ადგილში კი მათ დვალეზად თვლის. მხოლოდ დიდი ლიახვის ხეობისა და თრუსოს ხეობის მოსახლეობის შესახებ, შენიშნავს, რომ „მსახლობელნი არიან ოვსნი, დვალნი“⁵². ვახუშტის გეგრაფული თხზულების ავტორგრაფში „ოვსნი, დვალნი“ მძიმის გარეშეა დაწერილი. თუ მას ასე წავიკითხავთ „ოვსნი დვალნი“, ე.ი. გაოსებული დვალეზი, ოსი დვალეზი.

ვახუშტი მიმოიხილავს პატარა ლიახვის ხეობაში ოსთა განსახლების ადგილებს. ოსები ამ ხეობაში ვანათის ზემოთ მკვიდრობდნენ. ვანათთან პატარა ლიახვს ერთვის მშხლების მთებიდან გამომდინარე გერის ხევი, რომელზედაც ოსები მკვიდრობენ. ოსებს უცხოვრიათ პატარა ლიახვის მარცხენა შენაკად ფოტირისის ხევის სოფ. შუაცხვირშიც. ფოტირისის ხევი კი ვანათის, საცხენისის და ბელოთის ზევით ერთვის პატარა ლიახვს („შუა-ცხვირს მსახლობელნი ოსნი“)⁵³. ფოტირისის ხევის ზევით მდებარეობს აწერის-ხევი, რომელიც ქართველების სოფელი იყო (მასში მკვიდრობდნენ ქართველი მთიელები: ასკილაშვილები, ინაურები, მარიამიძეები, ვაზაგაშვილები, დადომელები). აწერის ხევის ზევით ოსები მკვიდრობდნენ: „არმედ აწრის-ხევის ზევით არიან მოსახლენი ოსნი სრულიად“⁵⁴.

ვახუშტი მეჯუდას და ლეხურას ხეობების აღწერისას აღნიშნავს, რომ დვალეთს XVIII ს-ის დასაწყისში ოსეთი ეწოდებოდა. ამრიგად ოსებმა საქართველოს ისტორიული მხარე მიიითვისეს და დვალეთს სახელწოდება ოსეთი უწოდეს. როდესაც ნიქოზის შესახებ საუბრობს, მეცნიერი აღნიშნავს, რომ აქ „ზის დღესაც, მწყემსი კავკასიანთა, დუალთა და აწ ოსეთად წოდებულის“⁵⁵.

თრუსოში ვახუშტი 8 ოსურ სოფელს მიუთითებს, ოღონდ მათ სახელებს არ ასხელებს. ამ 8 სოფელში იგი არ გულისხმობს შევარდენს, ოქროყანას, მნას... XVII ს-ის აღწერის მასალების მიხედვით, ამკარაა, რომ მნაში ქართველები ცხოვრობენ.

რვა ოსური სოფელი აქვს მითითებული თრუსოში XVIII ს-ის დასასრულს იოანე ბაგრატიონსაც⁵⁶. 1776 და 1780 წლების მონაცემებით ეს სოფლები იყო: თეფე (იგივე რეში), გიმარა, ჩოჩოლა (იგივე ყაყიდაური), ხუცურა (იგივე ყარათკავი), დენცე, ქვ-დენცე, საოტი და ჯახაგორი. XVIII-ის დასასრულს ხევში კიდევ ერთი ოსური სოფელი (აბანო, ქეთრისი) შექმნეს და თრუსოს რვა ოსური სოფელი ათად იქცა.

XVII ს-ის დასაბოლოებს ხევში კიდევ ერთი ოსური სოფელი-კობი ჩნდება⁵⁷.

ქსნის ხეობაში ოსები განსახლებულნი იყვნენ მის სათავეში-ჟამურში, სადაც მათ 9 სოფელი ჰქონდათ (1814 წლის აღწერით ეს სოფლები იყო: გორგა, ბაგინი, ნავისხევი, წინსოფელი, ჯავაათკარი. 1814 წელს ჟამურში 112 კომლი ოსი ცხოვრობდა). ჭურთის ხეობაში 9 სოფლიდან 6 ქართული იყო და 3 ოსური.

XVIII ს-ში ქსნის ხეობაში ოსებმა დაბლობისკენ ჩამოინაცვლეს. მდ. ჭურთაზე ვახუშტის დროინდელი 3 ოსის სოფელი, 8 სოფლად იქცა. ქართველებმა დაიკლეს და 6 ქართული სოფლის მაგივრად 2 სოფელი დარჩა⁵⁸. ი. ბაგრატიონის მიხედვით, XVIII საუკუნის ბოლოს, ალევის ხეობაში 3 ოსური სოფელი წარმოქმნილა⁵⁹, ალევის ხეობის სათავეში (საფერშეთში). ორი ახალი ოსური სოფელი იყო ძაბოეთიც, მუჯუხიც, ერთი ოსური სოფელი წარმოქმნილა ქარჩოხშიც.

XVIII ს-ის ბოლოს, ერთი ოსური სოფელი წარმოქმნილა ლეხურას ხეობაში. XIX-ის 10-იან წლებში ლეხურას ხეობაში მხოლოდ ერთი ქართული სოფელი იყო ხეობის სათავეში (ქოლოთი) და ერთიც ოსური (ქვითკირი). დანარჩენი სოფლები ნასოფლარებად იყო ქცეული.

ამკარაა, რომ ლეხურას ხეობის ქართული მოსახლეობისაგან დაცლა განაპირობა ოსების ხშირმა თავდასხმებმა.

XVIII ს-ის ბოლოს, მეჯუდას ხეობაში ოსთა ადრინდელი ერთი სოფელი ხუთ სოფლად იქცა, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ოსებმა ქართველები შეავიწროვეს და გამუდმებული რბევა-თავდასხმებით საკუთარი მიწა-წყლიდან განდევნეს.

XVIII ს-ის პირველი მეოთხედისთვის ოსები მკვიდრობდნენ: ზონკარში, შუა-ცხვირში, სიათაში, გნასურში, ინაურში, ჩაბარუხეთში, წიფორში, შამბიანში და ქნოლოში. 1814 წლის აღწერით ოსები

⁵¹ ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა: გვ.115.

⁵² იქვე, გვ. 66,78.

⁵³ იქვე, გვ. 362.

⁵⁴ იქვე, გვ. 363

⁵⁵ ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა: გვ. 370

⁵⁶ ვახუშტი, თ. ლომოურისა და ნ. ბერძენიშვილის გამოცემა, გვ. 220., იოანე ბაგრატიონი, ქართლ-კახეთის აღწერა, თ. ენუქიძის და გ. ბედომვილის გამოცემა გვ. 35.

⁵⁷ ი. ბაგრატიონი გვ. 35

⁵⁸ ი. ბაგრატიონი გვ. 37

⁵⁹ იქვე, გვ. 36

ცხოვრობდნენ პატარა ლიახვის ხეობის სოფ. ფაჩურში, სადაც ფაჩურის გვარის ქართველები მკვიდრობდნენ. ისინი ბარის სოფ. ტყვიავეში გადასახლებულან და ფაჩურის გვარი ქარელის გვარით შეუცვლიათ. ტყვიაველი ქარელების ადრინდელი გვარი-ფაჩური ფიქსირებულია 1886 წლის საოჯახო სიებში⁶⁰. XVIII ს-ის ბოლოს სავახტანგოში ოსური სოფლები იყო ვანათს ზემოთ: მარალეთი, შურიული, ყლარცვი, მეფარეთი და გერი.

დიდი ლიახვის ხეობაში XVIII ს-ში ოსური სოფლები იყო: გუფთა, ხოსო, პატარა ჯავა, ქემელთა, სხლები, ჯავა, ხეწე, მუგუთი, კოშკა, ჟბა და როკა.

ფრონეს ხეობაში XVIII ს-ის 30-იან წლებში აქ არცერთი ოსური სოფელი არ იყო. სამივე ფრონეს ხეობა მთლიანად ქართველებით იყო დასახლდებული. XVIII ს-ის ბოლოსათვის სამხრეთის მიმართულებით (მთის ზოლში) ოსები ქართველთა ნასოფლარებში დასახლდნენ.

გიულდენშტედტის ცნობით, XVIII ს-ის 70-იან წლებში დიდი ლიახვის მთიან ნაწილში, ოსებთან ერთად, ჯერ კიდევ უცხოვრიათ ქართველებს. გერმანელი ავტორი წერს: „ჩელიათი, დიდი ლიახვის აყოლებით ქართულია. აქ დაახლოებით 300 ოჯახს ითვლიან“⁶¹. ქართულ-ოსურ მხარეს უწოდებს სბას, ჯომახს, ჯაუკომს (მდ. ფაწაზე) ქართულ მხარედ მიაჩნია მალრან-დვალეთიც⁶².

ვახუშტის გადმოცემით, XVIII ს-ის დასასრულს მეჯუდას ხეობის სათავეში ხუთი ოსური სოფელი არსებობდა. XVIII ს-ის მეორე ნახევარში მეჯუდას ხეობის ზემო წელზე დამატებით, ოსებით დასახლებული კიდევ ოთხი სოფელი წარმოქმნილა. 1814 წელს მეჯუდას ხეობის სათავეში ოსებით იყო დასახლებული ტბა (6 კომლი), მერია (13 კომლი), არდისი (10 კომლი), აშტური (17 კომლი), წყლები (8 კომლი). 54 ოსური ოჯახი ეკუთვნოდათ, როგორც ქსნის ერისთავებს, ისე მათ აზნაურებს (თულაშვილებს, ხმალაძეებს, მრულიშვილებს).

XIX ს-დან შიდა ქართლის მთიანეთიდან ოსები სპორადულად, თითო-ოროლა კომლად განსახლებას იწყებენ შიდა ქართლის ბარის სოფლებშიც. შიდა ქართლის მთიანეთის გარდა, მთისწინეთისა და ბარის ქართულ სოფლებშიც 1810-იან წლებში ოსები გადმოდიოდნენ დვალეთიდანაც.

მეჯუდასა და ლეხურას ხეობების მთა-მთისწინეთში ოსური მოსახლეობის მიგრაცია XVIII ს-ის დასასრულს დაიწყო და ძირითადად განხორციელდა XIX ს-ის შუა ხანებში. ოსების მიგრაციას ხელი შეუწყო XVIII ს-ში ქართველთა მეჯუდასა და ლეხურას ხეობებიდან აყრამ და ბარის სოფლებში ჩასახლებამ. აღნიშნულ ხეობათა მთა-მთისწინეთის ზოლიდან ქართველთა აყრა-გადასახლების ძირითადი მიზეზი ეკონომიკური ფაქტორი იყო.

ქართველთა ისროლის ხევიდან აყრისა და ოსთა აქ დასახლების ერთ-ერთი ფაქტი ფიქსირებულია 1797 წლის ერთ საბუთში: „ქ.დმერთმან მათის უმაღლესობის მეფის ძის იოანეს ჭირი მომცეს თქვენს მონას ჟურულს როსტომს. მერე ამას მოგახსენებ ჩემო ყოვლად მოწყალევე ხელმწიფევე, რომ ისროლის ხევიდან ერთი კომლი კაცი მყუანდა თვენი წყალობითა, მამა-პაპის შემკვიდრე და ის ჩემი კაცი აიყრა და წავიდა და მის მამულის წყალობა დამემართა თქუენგანა, და ოსი გუსი რომ გახლავთ ტბაზედა, იმას მიაბარეთ ის მამული და უბოძეთ, რომ რაც რამ ერგებოდეს თავის მამულისა, ამ ჟურულ როსტომს ემსახურეო. სამი წელიწადი არის, რომ ის მამული მე მებოძა და ის კაცი ჭამს და ჩემთვის ერთის ფულისა არა მოუცია რა“⁶³.

XVIII ს-ში არაგვის ხეობაშიც გვხვდება ოსებით დასახლებული ერთადერთი სოფელი ღუდა. იგი თეთრი არაგვის ხეობის სათავეშია, მღეთის ზევით, სადაც მთიულთა ერთ-ერთი საერთო სალოცავი „ღუდის ყველაწმინდა“ მდებარეობს.

XVIII ს. დასასრულს, იოანე ბატონიშვილის ცნობით, ღუდაში ოსები მოსახლეობენ. სავარაუდოდ, მათი დასახლება XVIII ს-ის შუა ხანებში მოხდა. მას შემდეგ, რაც აქედან ადგილობრივი მკვიდრი ბუთხუზები აყრილან და მღეთში ჩასახლებულან. სავარაუდოდ, ოსი მიგრანტი ღუდაში დაუკითხავად დასახლებულა.

XIX ს-ში ფრონეს ხეობაში ოსების მიგრაცია ძირითადად ლიახვის ხეობიდან განხორციელდა. აღსანიშნავია, რომ XVIII ს-ში ამ ადგილას არცერთი ოსური დასახლება არ არსებობდა. სავარაუდოდ, ისინი XIX ს-ის დასაწყისში დამკვიდრდნენ ამ ხეობაში.

XIX ს-ის მეორე ნახევარში ფრონეების ხეობის სოფლებში: სხილეთში, თორმანეულში, მავდაში, ბეყმაიში, დარისთავში, მეტეხში... უკვე ოსები იყვნენ დამკვიდრებული. ამავე პერიოდში შერეული ქართულ-ოსური მოსახლეობა იყო ძვიმღეთში, არკინეთში, ხუდისუბანში, თიღვაში, ოქონასა და ტყისუბანში, ქალთეში.

XVIII ს-ის ბოლოს ჩრდილოეთ კავკასიური ოსური ხეობებიდან საქართველოს მიმართულებით ოსი მოსახლეობა აღარ გადმოსახლებულა, რადგან ამ პერიოდში რუსეთის ხელისუფალთაგან მათ უკვე

⁶⁰ სცსსა, ფ. 254, ანაწ. 3. საქ. H#1724.

⁶¹ გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, გ. გელაშვილის გამოცემა, I გვ. 275

⁶² იქვე, წ. II გვ. 67.

⁶³ ქართული სამართლის ძეგლები. VII თბ. 1981, გვ. 430.

ფართოდ ჰქონდათ გახსნილი კარები ჩრდილოეთ კავკასიის მთისწინეთსა და ბარში. ერთადერთი რეგიონი, საიდანაც ოსები საქართველოში XIX ს-შიც მიგრირდებიან მხოლოდ დვალეთია, რადგან ეს რეგიონი ისტორიულად, ბუნებრივ-გეოგრაფიულად უფრო საქართველოსთან იყო დაკავშირებული, ვიდრე ოსეთის ხეობებთან.

ოსების ახალი ჩამოსახლება შიდა ქართლში იწყება 1860 წლიდან. XIX ს-ის დასაწყისიდან იწყება ოსთა მიგრაცია ფრონების, მეჯუდას, ლეხურას და ქსნის ხეობის მთიანეთის სხვა დასახლებულ პუნქტებში. ფრონების ხეობაში ოსების მიერ ქართველთა ნასოფლარებში დაფუძნება ხდება ძირითადად დიდი ლიახვის ხეობიდან. პატარა და დიდი ლიახვის ხეობიდან გადმოდის მოსახლეობა მეჯუდას ხეობაში. ლეხურას ხეობაში ოსების მიგრაცია ძირითადად ქსნის ხეობიდან (ჟამური, ჭურთა) ხორციელდება. ინტენსიურად ამ ხეობების მოშენება ძირითადად მოხდა XIX ს-ის შუა ხანებიდან მოყოლებული, 1880-იან წლებამდე.

XIX ს-ის 80-იან წლებში ოსთა კომპაქტური დასახლებები ჩნდება მტკვრის მარჯვენა ნაპირზე ახლანდელი ქარელის რაიონში, ბორჯომის რაიონში (მაგ. ბაკურიანში 1885 წელს 71 ოსი ცხოვრობდა) და სხვა.

დვალეთსა და შიდა ქართლის მთიანეთში ოსთა მიგრაციას ხელი შეუწყო, იმდროინდელ საქართველოს სოციალ-პოლიტიკურმა ვითარებამ. მტერთა ხშირი თავდასხმებისაგან დაშლილი და დაქუცმაცებული საქართველო ვეღარ ახორციელებდა კონტროლს ჩრდილო-კავკასიიდან შემოსასვლელ ჩამკეტ კარებზე კასრის კარზე და დარიალზე.

XVIII ს-ში ქვეყნის ეკონომიკური განვითარება დაეცა და იმდენად კატასტროფული შეიქმნა დემოგრაფიული სიტუაცია შიდა ქართლში, რომ საქართველოს მეფეები და თავადები თავად უწყობდნენ ხელს და ხშირად იწვევდნენ ოსებს საქართველოში დასახლებლად.

ამრიგად, საქართველოს ტერიტორიაზე ოსების თანდათანობით მიგრირებამ და მათმა განსახლებამ ჩვენ ქვეყანას მძიმე შედეგი მოუტანა. მათი უშუალო წყალობით დაკარგა საქართველომ ისეთი ისტორიული რეგიონი, როგორცაა დვალეთი და მისი შემოგარენი, ასევე დიდი და პატარა ლიახვის ხეობის გარკვეული სოფლები და სხვა...

ლიტერატურა:

1. რ. თოფჩიშვილი, საქართველოში ოსთა ჩამოსახლებისა და შიდა ქართლის ეთნოისტორიის საკითხები. თბ., 1997;
2. ზ. ჭიჭინაძე, ოსების ჩამოსახლება ქართლში, თბილისის სახელმწიფო სტამბა 1916, „ხელოვნება“ თბ., 1990;
3. გ. თოგოშვილი, საქართველო-ოსეთის ურთიერთობა XV-XVIII სს. „საბჭოთა გამომცემლობა“, თბ., 1969;

MIGRATION OF OSSETIANS TO GEORGIA

Tinatin Makhatadze, Gori Teaching University, The First Year Student of Bachelor's Degree

Instructor: **Ioseb Alimbarashvili**, Specialist by contract

RESUME

After twice destructive invasions Ossetians had been destroyed by Temur-Lengi. After that time they settled in Caucasus. They lost important territories and then their advanced detachments tried to settle in Georgia. They lived in Georgia during the centuries. Dvaleti (XVI) Shida Kartli the II part of (XVII) Mountains of Didi Liakhvi (the II part of XVII), Prone Ravine(XIX), Ravines of Patara Liakhvi etc.

Ossetians had been settled in Georgia. The kings also help them in this. The fact is confirmed by the King Rostom's document, which is about Ossetians, who were living near Java. Their migration in Georgia caused heavy result, because of their actions Our country lost very important territories as Samachablo and several villages of this region.

ქართველი მისიონერები (ოქროპირიძეები) და ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური ურთიერთობები

ზურაბ ოქროპირიძე

გორის სასწავლო უნივერსიტეტი, მოწვეული სპეციალისტი

ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური ურთიერთობების ჩამოყალიბებაში, აფხაზთა და ოსთა შორის ქრისტიანობის გავრცელებასა და განმტკიცებაში განსაკუთრებულია ქართული ეკლესიის, ქართველ სასულიერო პირთა ღვაწლი. ქართველმა მოღვაწეებმა დიდი როლი ითამაშეს აღნიშნული ეთნოსების ეროვნული მეობის შენარჩუნებაში. ამ მხრივ საგულისხმოა ქართლში კარგად ცნობილი ერთ-ერთი უძველესი საგვარეულოს – ოქროპირიძეების წარმომადგენელთა წვლილი. ოქროპირიძეები მდინარეების – პატარა ლიახვისა და მეჯუდას წყალგამყოფი ქედის დასავლეთ მთისწინეთის ერთ ულამაზეს სოფელში, დისევში მოსახლეობდნენ (ამჟამად იგი განადგურებული და ოკუპირებულია). ამ გვარის შვილები ჯერ კიდევ XVII-XVIII საუკუნეებიდან გამორჩეულნი იყვნენ თავისი სამისიონერო-საგანმანათლებლო მოღვაწეობით.

XIX საუკუნის დასაწყისში ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის დაკარგვამ დამთრგუნველად იმოქმედა ქართველ სასულიერო პირებზე. ამიერიდან ისინი რუსი ეგზარხოსების ნება-სურვილს უნდა დამორჩილებოდნენ. ეს უკანასკნელნი არ ცდილობდნენ ქართველთა შორის ქრისტიანობის განმტკიცებას, პირიქით, წირვა-ლოცვის რუსულ ენაზე დაკანონება, ეპარქიების შემცირება და ეკლესია-მონასტრების გაუქმება ქართველ ერში სარწმუნოების დაქვეითებას იწვევდა. კავკასიელი, მათ შორის აფხაზი და ოსი ხალხების მორჩილებისათვის რუსეთის საერო და სასულიერო უწყებანი უდიდეს როლს ანიჭებდნენ სარწმუნოებრივ ფაქტორს. მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისიდან რუსეთი აქტიურ მცდელობებს იწყებს კავკასიაში სამისიონერო საქმიანობის ამოქმედებისათვის. 1814 წელს იმპერატორმა ალექსანდრე პირველმა აღადგინა რუსეთის ხელისუფლების მიერ XVIII ს-ის 40-იან წლებში ქართველ მღვდელმთავართა თხოვნით შექმნილი ე. წ. „ოსეთის სასულიერო კომისია“, რომელსაც ხელი უნდა შეეწყო ოსებს შორის ქრისტიანობის გავრცელებაში. ქართველ სამღვდლო პირებს დიდი გამოცდილება ჰქონდათ კავკასიელ მთიელებში, ოსეთში, ასევე გამაჰმადიანებულ აფხაზებსა და ინგილოებში მისიონერული მოღვაწეობისა. ამიტომ ამ საქმეში მკვლევარ ქეთევან პავლიაშვილის თქმით: „რუსეთისთვის დახმარება მხოლოდ ქართველ სამღვდლოებს შეეძლო“ [4,91]. ოსების და გამაჰმადიანებული აფხაზების, როგორც მეზობელი ეთნოსების გაქრისტიანება და მათში განათლების შეტანა ქართველთა ინტერესში ადრევე შედიოდა როგორც ჰუმანური მოსაზრების, ისე მათ წარმართულ შეხედულებებთან ჩვენი ეროვნული ზნე-ჩვეულებების შეუთავსებლობის და აქედან მომდინარე საფრთხეების გამო. სპეციალურ ლიტერატურაში მითითებულია, რომ ქართველ განმანათლებელ-მისიონერთა „ძალისხმევით 1815-25 წლებში ქართლის მთიანეთში, დიდი ლიახვის, მალრან-დვალეთის და ხევსურეთის ქართველ და ოს მოსახლეობაში ქრისტიანობა განმტკიცდა და აღდგა... მისიონის ყველა წევრი 1820 წელს იმპერიის ხელისუფლების ბრძანებულებით კეთილსინდისიერი მუშაობისათვის სამკერდე ჯვრებით დაჯილდოვდა“ [4,92]. მისიონერთა აღნიშნული ჯგუფის წევრი იყო დისეველი მღვდელი დავით ოქროპირიძე. იგი მართლმადიდებლობის საქადაგებლად მივლინებული იყო დიდი ლიახვის ხეობის სათავეებში, სოფ. ედისში. ამ მხარეში ის იყო პირველი მოძღვარი, რომელიც ოსებს ავი ზნის მოშლის (განსაკუთრებით ქურდობის), სიყვარულის, ქრისტეს მოძღვრებისაკენ მოუწოდებდა. მამა დავითი ქირით ცხოვრობდა ერთ-ერთი ოსის სახლში. ცოტამ თუ იცის, რომ სწორედ აქ, ედისში, მღვდელ დავითის სახლის საჯინიბოში (ოსების დაჟინებული თხოვნით წესი, რომლითაც ქალს ბოსელში ან თავლაში უნდა ემშობიარა, მღვდლის მეუღლეზე გავრცელდა) 186 წლის წინ იზადება ყრმა ალექსი ოქროპირიძე, რომელიც შემდგომში მამა ალექსანდრედ წოდებული ექვსი ათეული წლის მანძილზე თავის სულიერ შვილთან წმინდა ილია მართალთან და სხვა მამულიშვილებთან ერთად მტკიცე ბურჯად დაუდგება მართლმადიდებლობას, ტყვედპყრობილ სამშობლოს. როგორც სასულიერო გვარის და ოჯახის შვილი, ბავშვობიდანვე ეზიარა ეკლესიურ ცხოვრებას. 1845 წელს გორისა და თბილისის სასულიერო სასწავლებლების დამთავრების შემდეგ იწყება მისი სერიოზული ფერისცვალება თბილისის ფერისცვალების ეკლესიაში ბერად აღკვეცით, მთავარდიაკვნად კურთხევითა და მეორე წელს ყაზანის სასულიერო აკადემიაში შესვლით. 1850 წელს ღვთისმეტყველების კანდიდატის ხარისხით ბრუნდება საქართველოში. ღრმად განათლებული ბერ-მონაზონი ადგენს ერთგვარ სამოქმედო გეგმას: ქართველი ერის გაერთიანების, მისი ეროვნული ცნობიერების აღდგენისთვის უპირველესად საჭიროა სარწმუნოებრივ ნიადაგზე დაფუძნებული განათლება, დანგრეულ-დაცარიელებული ეკლესია-მონასტრების აღდგენა და შიგ მშობლიურ ენაზე წირვა-ლოცვის აღდგენა. მღვდელმთავრის აქტიური სამისიონერო-საგანმანათლებლო საქმიანობა აფხაზეთიდან იწყება. იგი თავიდანვე აქტიურად ჩაერთო

საქართველოს ამ უმშვენიერესი კუთხის სასულიერო თუ საერო პრობლემების მოგვარებაში. წმინდა მამა უშუალოდ ურთიერთობდა მრევლთან, დადიოდა აფხაზეთის სხვადასხვა მხარეში, ეცნობოდა ხალხის ყოფა-ცხოვრებას, ზნე-ჩვეულებას, ეხმარებოდა გაჭირვებულთ. მისი მოღვაწეობის ხასიათის, წერილების მიხედვით თუ ვიზუალურებით, შეიძლება ითქვას, რომ ბერ-მონაზონი ალექსანდრე ილიას ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის უთვალსაზიროესი წარმომადგენელია (შემთხვევით არ ირჩევს დიდი ილია მას თავის სულიერ მოძღვრად). 1851 წლიდან იგი აფხაზეთის ეპარქიის მღვდელმონაზონი და სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველია. 1856 წელს მას არქიმანდრიტის ხარისხი უბოძეს. 1862 წლის მარტში თბილისის სიონის საკათედრო ტაძარში ხელდასმულ იქნა აფხაზეთის ეპისკოპოსად. ახალგაზრდა მისიონერი გამოწვლილვით იკვლევდა აფხაზეთში ქრისტიანობის წარმოშობისა და თანამედროვე სარწმუნოებრივ-კულტურული დაცემის მიზეზებს. ერთ-ერთი პირველი რიგის ამოცანად მას მიაჩნდა აფხაზთა ისლამიზაციის შეჩერება და მათი ქრისტეს რჯულზე მოქცევა. თავის ვრცელ წერილში „მოსაზრება აფხაზეთში ქრისტიანობის გავრცელებისა და ქრისტიანობის განვითარების შემაფერხებელი მიზეზების შესახებ“, რომელსაც ბოლო ხანებში მიაკვლია პროფესორმა ჯემალ გამახარამ, წმინდა ეპისკოპოსი დაწვრილებით მიმოიხილავს აფხაზეთში შექმნილ მძიმე მდგომარეობას. აფხაზთა ხსნას იგი მართლმადიდებლობის, სწავლა-განათლების აღდგენაში, ქართველებთან ერთობაში ხედავდა. ამ მიზნით აგებდა ეკლესია-მონასტრებს, აარსებდა სასულიერო სასწავლებლებს, სადაც საკუთარი ხარჯით ზრდიდა და ასწავლიდა აფხაზ-ქართველთა ღარიბ და ობოლ ბავშვებს. მისმა უდიდესმა ქველმოქმედებამ, სულის სიწრფელემ, ღრმა და გულში ჩამწვდომმა ქადაგებებმა ათასობით აფხაზი მოაქცია ქრისტეს რჯულზე. ყოვლადსამღვდელო ალექსანდრე ფაქტიურად იყო პირველი პედაგოგი აფხაზეთში, პირველი ოფიციალური სასწავლებლის დამაარსებელი, აფხაზთა შორის სწავლა-განათლების ფუძემდებელი და მათი დიდი ქომაგი. აფხაზეთის მთავარმა მიხეილ შერვაშიძემ მას მიანდო საკუთარი შვილის – გიორგის აღზრდა. „... მე პირველად ჩავუყარე საფუძველი ჭაბუკების კაპიტალურ სასულიერო განათლებას აფხაზეთში“, წერდა დიდი ილიას მოძღვარი, „ვქენი სიკეთე, რამდენადაც შემიძლო... ყველგან მსუფვემა და ყოვლის მხილველმა ღმერთმა უწყის რამდენი მქონდა სურვილი აფხაზებისთვის ზნეობრივი და გონებრივი განათლება მიმეცა...“ [2, 37]

წმინდა მღვდელმთავარმა ხელი შეუწყო აფხაზი სასულიერო პირების სარბიელზე გამოსვლას. ასეთები იყვნენ მღვდლები ივანე გეგია და პეტრე ფილია. დიდი მამულიშვილი უფალს ავედრებს ამ ულამაზეს მხარეს და სთხოვს აფხაზებს იწამონ ღმერთი და შესთხოვონ დახმარება: „საბრალო აფხაზეთო, ევედრე ზეცას, დაიცავი შენი ქრისტიანობა, რათა ისევ ამობრწყინდეს ბედნიერების ვარსკვლავი... საბრალო აფხაზეთო! თავად მიმართე ღმერთს მოწოდებით, რომ მან შეგიწყალოს შენ და გიბოძოს თაყვანისცემისთვის თავისი ცხოველმყოფელი ჯვარი...“ [2, 29] წმინდა მამა აფხაზეთში წარმატებული სამისიონერო მოღვაწეობის წინაპირობად აფხაზური და ქართული ენების სრულყოფილ ცოდნას, ამ მხარის მიმართ სიყვარულითა და სიკეთით გამსჭვალვას მიიჩნევს. იგი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ქართულ ენას, რადგან მისი სიტყვით „ის იყო ისტორიულად და არის ღვთისმსახურების ენა აფხაზეთში“ [2, 24]. XIX საუკუნეში, აფხაზთა მუჰაჯირობის წლებში, ისე როგორც მთლიანად ქართული საზოგადოება, ეპისკოპოსი ალექსანდრე თავდადებით იცავდა თანამომეტა ინტერესებს. იქნებ გადახედოს თანამედროვე აფხაზობამ ისტორიის ფურცლებს მათი მამა-პაპების წინაშე რუსეთის მიერ ჩადენილ საუკუნის დანაშაულზე რომ დაღადადებენ. როგორ ახსნის დღევანდელი აფხაზი ათასობით მაჰმადიანი თანამემამულის სამშობლოდან გასახლებას. რატომ უკრძალავდნენ რუსი ოკუპანტები (ვაი, რომ მტერ-მოყვარე აერიათ აფხაზებს და დამპყრობელს ჩვენ გვიწოდებენ) მშობლიურ ენაზე განათლებას, ან რატომ გააუქმეს აფხაზთა სამთავრო და ჭეშმარიტი აფხაზები თავის მთავრიანად გასახლეს რუსეთში. ისტორიის გამყალბებლების წყალობით, საექვო ახალმა თაობებმა იცოდნენ, რომ იმ მძიმე წლებში მათი უპირველესი ქომაგი ქართველობა იყო. არ ეცოდინებათ თურქეთში გასახლებისთვის განწირულმა მუსულმანმა აფხაზმა ურუსმა როგორ ჩააბარა თავისი შვილი მწყემსმთავარს და შეევედრა იგი ჭეშმარიტ ქრისტიანად აღეზარდა: „... შენთან მოვედი, კეთილო მწყემსო და მამაო! მე სამუდამოდ ვეთხოვები სამშობლოს, მივდივარ ოსმალეთში საცხოვრებლად და ჩემი ვაჟი უნდა დავსტოვო შენთან. მეტი არა გამაჩნია რა, ცოლი და სხვა შვილები ადრე დავკარგე. არ ვიცი რა მომელის უცხო მხარეში, მაგრამ მაინც ვსტოვებ ჩემ საყვარელ სამშობლოს. არ მინდა ჩემი უბედურება გავუზიარო ჩემს ერთადერთ შვილს და შენთან მოვიყვანე, მოწყალო მამაო, ვიცი მიიღებ, აღზრდი ქრისტიანულად და იქნება ბედნიერი.“ [1, 12] მისმა მეუფებამ სასოწარკვეთილი კაცის თხოვნა ბრწყინვალედ შეასრულა და მისი შვილი მართლაც ჭეშმარიტ ქრისტიანად აღზარდა. სრულიად სამართლიანად მისმა თანამედროვეებმა წმინდა ალექსანდრეს „აფხაზეთის მეორე მოციქული“, „მეორე აღმამენებელი“ უწოდეს. მისმა დაუღალავმა მოღვაწეობამ, დიდმა ავტორიტეტმა მრევლში სიმშვიდე დაურღვია იმპერიის მაღალჩინოსნებს. მლოცველ-მქადაგებელ ბერში მათ დაინახეს უდიდესი ეროვნული მოღვაწე, ქართველ-აფხაზთათვის მშობლიურ ენაზე განათლებისა და ერთობისათვის მეტროპოლი პირი, რომელიც რეალურ საფრთხეს

უქმნიდა რუსეთის ინტერესებს აფხაზეთში. გახშირდა მღვდელმთავრის დასმენები, საიდუმლო წერილები სულგაყიდულ ქართველთა თუ რუს ჩინოვნიკთა მხრიდან იმპერიის უმაღლესი ხელისუფლებისადმი. 60-იანი წლების ბოლოს ეპისკოპოსი აფხაზეთის ეპარქიას ჩამოაცილეს და ქართლ-კახეთის ეპისკოპოსობა უბოძეს, თუმცა აფხაზეთთან და მის სამღვდლოებასთან კავშირი არ გაუწყვეტია.

მისიონერული მოღვაწეობით გაითქვა სახელი წმინდა ალექსანდრეს ძმის შვილმა ბერ-მონაზონმა ლეონიდემ (ერისკაცობაში ლონგინოზ ოქროპირიძე 1861-1921წ.). იგი ჯერ კიევის სასულიერო აკადემიაში სწავლის დროს აღიკვეცა ბერად. ღვთისმეტყველების კანდიდატის ხარისხით სამშობლოში დაბრუნებული ახალგაზრდა ბერი ეგზარხოსმა პალადიმ კავკასიაში ქრისტიანობის აღმადგენელი საზოგადოების მისიონერად და სკოლების ინსპექტორად დანიშნა. საზოგადოების სამოღვაწეო არეალში ოსეთის გარდა შედიოდა აფხაზეთი, სვანეთი, ფშავ-ხევსურეთი და საინგილო. ამ წლიდან (1888) იწყება საქართველოს მომავალი კათოლიკოს-პატრიარქის მიხანმიმართული მოღვაწეობა ქართული ეკლესიის აღორძინებისათვის. იგი მოციქულებრივი თავდადებით დადიოდა ერთი კუთხიდან მეორეში, სოფლიდან სოფელში, მთებში და ქრისტესგან განდგომილ თანამემამულეთ, ოსებს არწმუნებდა იესოს მოძღვრების ცხოველმყოფელობაში. იმ დროისათვის ცნობილი მისიონერი მოღვაწე იროდიონ ოქროპირიძე წერს, რომ ლეონიდე კვირაობით, თვეობით რჩებოდა სამისიონერო ადგილებში, ესაუბრებოდა მრევლს სწავლა-განათლების, მართლმადიდებლობის შესახებ. მღვდელმთავრის თანადგომითა და სახსრებით მთელი კავკასიის მთიანეთში არაერთი სკოლა, ეკლესია-მონასტერი აღდგა და დაარსდა. მნიშვნელოვანია ბერ-მონაზონ ლეონიდეს ღვაწლი ინგილოთა მოქცევის საქმეში. ქართველ მთიულებში მან შეიტანა განათლების სხივი. დიდი მოღვაწე განსაკუთრებული სიყვარულით სარგებლობდა არამარტო ქართველთა, არამედ ოსთა შორისაც. როგორც წერილის დასაწყისში აღვნიშნეთ, მათი გაქრისტიანება ჯერ კიდევ მე-17 საუკუნის ბოლოდან დაიწყო ქართველმა მისიონერებმა. ლეონიდე ენერგიას არ იშურებდა ოსების მართლმადიდებლობაზე მოსაქცევად. მან გახსნა სკოლები ოსურ დასახლებებში: როკაში, ედისში, ხუმალგაში, ბენდერში... გაზეთი „ივერია“ ამ ღვაწლის შესახებ წერდა: „ადრე ოსები დიდი ხალისით კი არ გზავნიდნენ თავის შვილებს სკოლებში, არამედ საყვედურით. ოსებმა სწავლის მნიშვნელობა მალე შეიგნეს, რაც აქაურ სკოლათა ინსპექტორად დაინიშნა დიდად პატივცემული ეხლანდელი იმერეთის ეპისკოპოსი ლეონიდი“ („ივერია“, 1901წ. N61). მღვდელმთავარს ეკუთვნის საინტერესო წერილები ოსთა სარწმუნოებრივი ცხოვრების შესახებ. იგი მიუთითებს ოს ხალხს უარყოფნაზე წარმართული ჩვევები, მტრობა და შუღლი ერთმანეთში.

ოქროპირიძეების ცნობილი გვარიდან მრავალი ღირსეული სასულიერო პირი გამოვიდა. მათ შორის იყო ცნობილი მოღვაწე და მისიონერი იროდიონ ოქროპირიძე (1859-1933). ისიც სასულიერო წრეში გაიზარდა და წინაპართა ნამემკვიდრებ გზას დაადგა. გორისა და თბილისის სასულიერო სასწავლებლების დამთავრების შემდეგ 1891 წლიდან იგი სამოღვაწეოდ საინგილოში განამწყესეს და ზაქათალის ოლქის მთავარხუცესად დაადგინეს. იგი იყო საინგილოს ერთ-ერთი განმანათლებელი, ნამდვილი მისიონერი, რომელმაც უზარმაზარი შრომა გასწია ინგილოების მამა-პაპის რჯულზე დასაბრუნებლად. დეკანოზის ცხოვრება ფათერაკებითა და წინააღმდეგობებითაა სავსე. განსაკუთრებით რთული იყო მისი ცხინვალური მოღვაწეობის პერიოდი. 1904 წელს მამა იროდიონი ცხინვალის ღვთისმშობლის მიძინების სახელობის წინამძღვარი და გორის მაზრის მესამე ოლქის მთავარხუცესია, რომლის სამოღვაწეო არეალი ოსეთამდე ვრცელდებოდა. გამოცდილი მისიონერი ენერგიულად შეუდგა ახალ სამწყსოში საქმიანობას. იგი ბევრს მოგზაურობდა ლიახვის ხეობის სათავეებში. ეპისკოპოს ლეონიდესთან ერთად აარსებდა სკოლებს, ეკლესია-მონასტრებს. თავად ატარებდა წირვა-ლოცვას, ნათლობას, ჯვრისწერას და სხვა. მაშინდელი ცხინვალი, მამა იროდიონის ქალიშვილის ქეთევან ოქროპირიძის თქმით: „წმინდა ქართულ დასახლებას წარმოადგენდა... ერთ უბანში ცხოვრობდნენ გაქართველებული სომხები და ე.წ. ქართველი ებრაელები. იქ მხოლოდ 3-4 ოსი ცხოვრობდა და ისინიც ქართველ ქალებზე იყვნენ დაქორწინებულნი...“ [5, 352]. თავისი უანგარო მოღვაწეობით იროდიონ ოქროპირიძემ დიდი ავტორიტეტი მოიპოვა მრევლში. ქადაგებებში იგი მუდამ ხაზს უსვამდა ქართველთა და ოსთა ერთიანობას. ათიანი წლების ბოლოს, ცხინვალში სიტუაცია დაიძაბა. გზააზნეულ ოსებში ექსტრემიზმმა იძალა. მამა იროდიონი მშვიდობიანი საუბრებით, ქადაგებებით, შეხვედრებით ცდილობდა წინ აღდგომოდა ქართულ-ოსურ დაპირისპირებას. 1917-21 წლებში ცხინვალის რეგიონში დატრიალებულ მოვლენებს იროდიონ ოქროპირიძე საინტერესოდ გადმოსცემს თავის მემუარებში. იგი ძვირფას მასალას წარმოადგენს XIX საუკუნის დასაწყისის ცხინვალის სოციალურ-პოლიტიკური ვითარების, ქართულ-ოსური ურთიერთობის, ოსთა სარწმუნოებრივი ყოფის შესწავლისათვის. ერთ-ერთი უკიდურესად დამაბული სიტუაციის დროს დეკანოზმა იროდიონმა სიფრთხილით მოუწოდა ოსებს, რომ „ჩვენ ქართველებს და ოსებს თითქმის ათასი წელიწადი ტკბილი მეზობლობა გვქონდა... ბევრს ქართველსა და ოსს ერთი ძუძუ უწოვია... თუ აქამდე საქართველოს მიწა-წყალზე ხიზნებდა ითვლებოდით, ახლა მიწა-წყალი საკუთრებად გეძლევათ... არც სალდათად გაჰყავხართ და ბევრით

თავისუფლები ხართ ქართველებზე. ახლა სიკეთისა და მადლობის მაგივრად თქვენ მოღალატეობას აპირებთ... იმახით, რომ მცხეთამდე უნდა დავიჭიროთო... ქართველობაც თუ გაცხარდა ცუდ საქმეს გიზავთ ამ მოღალატეობისთვის..." [6] მღვდელმსახურის მოგონებების მიხედვით 1920 წელს ოსებმა ბოლშევიკების ხელშეწყობით როკაში დააარსეს „როკის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა“. საქართველოს მთავრობა ბევრს ეცადა მოლაპარაკების გზით ამოეწურა პრობლემა, მაგრამ ოსური მხარე არ თმობდა პოზიციებს. იმავე წელს ოსმა ნაციონალისტებმა ცხინვალში მაცხოვრებელი ქართველები ტყვედ აიყვანეს და ფეხით გაუყენეს გზას ვლადიკავკაზისკენ. მათ შორის იყო მამა იროდიონი. იგი დეტალურად აღწერს დატყვევების, ფეხით მგზავრობის, ოსთა მხრიდან შეურაცხყოფის სცენებს. ამავე დროს მას არ ავიწყდება კეთილშობილი ოსებიც, რომელნიც მას ცხინვალიდან ვლადიკავკაზამდე გზაზე ხვდებოდნენ და ანუგეშებდნენ, აპურებდნენ. მაგალითად, სოფელ ზაყაში, რომელსაც დეკანოზი მადრან-დვალეთის, ჩრდილო კავკასიასთან საქართველოს უკანასკნელ მოსაზღვრე სოფლად მიიჩნევს, იქაურ ოსებს სტუმართმოყვარეობა გამოუჩენიათ და დამშუულთათვის დო და ქარჯინები გამოუტანიათ. უფლის რწმენა ღვთისმსახურს უკიდურეს წუთებშიც არ დაუკარგავს, პირიქით, ამ განსაცდელს იგი ღმერთის ჯილდოდ მიიჩნევდა: „ – ყველანი მშვიდები ვართ. რამდენიმე დღის გამხმარი მჭადის ნაჭერი მოგვიტანეს.. კბილებიანიც ვერას აკლებდა მას და მე უკბილო რას დავაკლებდი... ქვაზე დავნაყე, წყალში ჩავალბე და ისე ვჭამე... ამასაც უნდა დავჯერდე და ღვთისგან ცოდვისათვის დასჯილმა, ესეც ღვთის წყალობად უნდა მივიღო... მხიარულად გავნაგრძეთ გზა..." [6] ღირსეულ მღვდელმსახურს არც მაშინ შეუხრია ქედი, როცა შეატყობინეს, რომ იგი უნდა დაეხვრიტათ.

სათნო მამის ჩანაწერებში უამრავი საინტერესო რამ იკითხება. მემუარისტი ერთნაირი სიზუსტით აღწერს ქართულ-ოსური ურთიერთობის დადებით და უარყოფით მხარეებს. ჩრდილოეთისკენ მიმავალ გზაზე, მას არაერთხელ შემოხვდა თავისი ნაგები ეკლესია, ალაგირში ჩასვლისას მამა იროდიონი იცნო ერთმა მღვდელმა, რომელმაც ასე წარუდგინა მრევლს დატყვევებული მოძღვარი: „მისიონერი ლეონიდე ოქროპირიძე რომ იყო აქ და არდონში სემინარიის დაარსებაზე რომ მოგვეშველა, ეს იმის ბიძაშვილიაო. ოსებმა დიდი მადლობით მოიხსენიეს ლეონიდი. იმან ჩვენ გაგვანათლა და ჩვენ და ჩვენი შვილები ქრისტიანობაზე დაგვაცენაო. მეც საბაბი მომეცა და შემდეგი ვუთხარი: „ოსეთშიც საქართველოს ეკლესია ამტკიცებდა სარწმუნოებას და აშენებდა ეკლესიებს. აი, ახლაც მისიონერი ლეონიდი, ქრისტიანობის სახელით ცდილობს, როგორც ქართველების, ისე ოსების განათლებას... სწორედ ახლა თითქო ეშმას შეშურდა ჩვენი ტკბილი მეზობლობა და იმან შეაცდინაო, ოსებმა დაგვიწყეს ზურგში ლახვრის ჩაცემა“... „ჩემმა სიტყვამ“, აგრძელებს მამა იროდიონი, „მრევლში გაცხოველებული მსჯელობა გამოიწვიაო“ [6]. საქართველოს ხელისუფლებამ მოახერხა უდანაშაულო ტყვეების დაბრუნება. 1920 წლის 12 ივლისის გაზეთში „ერთობა“ იროდიონ ოქროპირიძე მადლობას უხდის რესპუბლიკის მთავრობას, მათ შორის ჩრდილოელ ოსებს, რომელნიც ამხნევებდნენ და ეხმარებოდნენ მას.

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ ძლიერ შეავიწროვა დეკანოზი იროდიონი. იგი რამდენჯერმე დააპატიმრეს. 1932 წელს კომკავშირელთა ე. წ. კომისიამ მოხუცი მოძღვარი სახლიდან გამოასახლა. დაუწვეს და დაუმტკრიეს ცხინვალიდან გადარჩენილი ხატები და ჯვრები. 1933 წელს იგი საკუთარ სოფელში გარდაიცვალა.

დეკანოზ იროდიონის მსგავსად ქართული ეკლესიისა და სახელმწიფოებრიობისათვის, მძიმე ჟამს მოუწია მოღვაწეობა მღვდელ ალექსანდრე ოქროპირიძეს (1879-1959). მისი წინაპრები ცნობილი მისიონერები იყვნენ. პატარა ალექსანდრეს აღზრდას ოჯახის გარდა აქტიურად მეთრევობდა ოქროპირიძეების გვარის (დედის მხრიდან) კიდევ ერთი სიამაყე ეპისკოპოსი კირიონი (1855-1918წ). კირიონი ალექსანდრეს პაპის, ქართლში ცნობილი დეკანოზის, გაბრიელის დის შვილი იყო. მოძღვრის საოჯახო არქივში სათუთადაა დაცული წმინდა კირიონის, ასევე მისი მამის იერონიმე სამაგლიშვილის ფოტოები. 1903 წლის 29 აგვისტოს ალექსანდრე ჯერ დიაკვნად აკურთხეს, ორი დღის შემდეგ კი მღვდლად დაასახეს ხელი და ჭარების ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ტაძრის წინამძღვრად დანიშნეს. ალექსანდრეს მოღვაწეობის ხასიათიც მნიშვნელოვნად განსაზღვრა რეგიონის რთულმა პოლიტიკურ-ეთნიკურმა კონფლიქტებმა. იგი მუდმივად ცდილობდა ორი მეზობელი ხალხის დაახლოებას. მამა ალექსანდრე ჭეშმარიტი მისიონერი, უპოვართა დამხმარე, ობოლ-ხელმოკლეთა ქომავი და განმანათლებელი იყო. იგი ყველას ეხმარებოდა განურჩევლად ეროვნებისა. ქართულ-ოსური ურთიერთობების ისტორიას ნამდვილად ამშვენებს ალექსანდრე ოქროპირიძისა და ერთი ოსი ბავშვის ამბავი. სტეფანწმინდაში მოღვაწეობის დროს (მე-20 საუკუნის დასაწყისი) მისი ყურადღება მიიპყრო მიუსაფარმა, მაგრამ ნიჭიერმა ყმაწვილმა. მას წლების განმავლობაში პატრონობდა, დაწყებითი განათლება მიაღებინა. ეს ადამიანი შემდეგში საქვეყნოდ აღიარებული მეცნიერი ვასილ აბაევი გახლდათ. მათ შორის ახლო ურთიერთობა მოძღვრის სიცოცხლის ბოლომდე გაგრძელდა. ალექსანდრე ოქროპირიძის არქივში დღესაცაა დაცული ოსი მეცნიერის სამადლობელი წერილები ფოტოებით. 1959 წელს, როცა ალექსანდრე გარდაიცვალა, აბაევი შუბლზე ეამბორა და ასე გამოემშვიდობა მის ცხედარს:

„მშვიდობით განისვენე, ჩემო დიდო მოამაგევ და მასწავლებლო“. 1987 წელს, როცა საფუძველი ეყრებოდა ე.წ. სამხრეთ ოსეთიდან ქართველთა გამოდევნას. ცხინვალის პედაგოგიურ ინსტიტუტში შეხვედრისას ვასილ აბაევმა თქვა: მახსოვს ერთი ქართველი მღვდელი, რომელმაც მე გზაზე დამაყენაო. უნდა აღინიშნოს, რომ ვასილ აბაევი თითქმის ერთადერთი იყო ოს სწავლულთაგან, რომელმაც მოუწოდა ოსებს ხელი აეღოთ ქართული მიწის მიტაცების მცდელობაზე.

ასეთი ზნეკეთილი ურთიერთობის მიუხედავად, როცა ლიახვის ხეობას 1918-22 წლებში ოსთა მარბიელი რაზმები შეესია, მამა ალექსანდრე იძულებული გახდა სოფლების დაცვისათვის ეხელმძღვანელა. დიდი ავტორიტეტისა და ნაცნობ-მეგობართა წყალობით თბილისიდან იარაღი ჩამოიტანა და სხვადასხვა სოფლებში თავისი რაზმის წევრებს დაურთო. იმ წლებში ბევრი ქართული სოფელი გადარჩა რბევა-აწიოკებას, რაშიც დიდია ალექსანდრე ოქროპირიძის როლი. ხელისუფლების წარმომადგენელნი არ ასვენებდნენ მამა ალექსანდრეს. აიძულებდნენ უარი ეთქვა სამღვდლო წოდებაზე. ხუთი შვილის მამას სხვა გზა არ ჰქონდა – იგი დისევის სკოლის პედაგოგი ხდებოდა. გავიდა დრო. 30-იან წლებში მას მღვდლობა გაუხსენეს. ბრალი დასდეს 1921-1922 წლებში ქართველთა და ოსთა ურთიერთწაკიდებაში. ხიფათი რეალური იყო. მას უნდა დაემტკიცებინა თავისი უდანაშაულობა. მოხდა იმ დროისთვის იშვიათი გამონაკლისი – ბოლშევიკებმა სოფლების – ტყვიავისა და მერეთის რევეკომების ყოფილმა თავმჯდომარეებმა, სამადაშვილმა და მეცხვარიშვილმა, რომლებიც კარგად იცნობდნენ საშა მღვდელს, იგი გადაარჩინეს. ჩვენამდე მოაღწია ამ უკანასკნელთა მიერ გაცემულმა ცნობა-დახასიათებებმა, სადაც ისინი ცდილობენ უკვე დისევის სკოლის პედაგოგის გამართლებას. „ვადასტურებ, – წერს ტყვიავის რევეკომის ყოფილი თავმჯდომარე, – რომ ჩემს რევეკომის თავმჯდომარეობის დროს ტყვიავის რაიონში 1921 წლის სექტემბერში ბანდების გამოსვლის დროს ოსურ სოფლებში მივმართე დასახმარებლად ამხანაგ ალექსანდრე ბესარიონის ძე ოქროპირიძეს, რომელსაც ჰყავდა შეიარაღებული გლეხები ინტერნაციონალური პოზიციის დასაცავად“. მერეთის რევეკომი წერს: „ვადასტურებ, რომ ალექსანდრე ბესარიონის ძე ოქროპირიძეს პირადი პასუხისმგებლობის ქვეშ ოსთა და ქართველთა შორის მომხდარი ინციდენტის დროს 1921-1922 წლებში კანონიერად ჰქონდა მიღებული 50 ბერდანის თოფი, 280000 პატრონით. იგი, თავისი რაზმებით, შუაში ჩადგა და გადაარჩინა ბევრი ქართული და ოსური სოფელი დაწიოკება-აოხრებისაგან. იგი მოქმედებდა ხალხის კეთილდღეობისათვის. მან ყოველი დაკისრებული მოვალეობა პირნათლად შეასრულა და პატიოსნად. დღიდან მშვიდობის დამყარებისა იარაღი ჩაბარებულ იქმნა სრულად“. [11]

ლიტერატურა:

1. ზაქარია ჭიჭინაძე, სიტყვები და წერილები ყოვლად სამღვდლო ალექსანდრეზე, თბ., 1908;
2. ჯემალ გამახარია, წმინდა მღვდელმთავარი ალექსანდრე და აფხაზეთი, თბ., 2006;
3. ილია ნეზიდირელი, იმერეთის ეპისკოპოსი ლეონიდე, თბ., 1902;
4. კულტურის, ისტორიის საკითხები, III, ქეთევან ჰავლიაშვილი, 1997;
5. ნატო მოისწრაფიშვილი, „აქესენტი მეგრელიძე“, თბ., 2008;
6. იროდიონ ოქროპირიძის მემუარები;
7. „კარიბჭე“, №17, 2009;
8. „საპატრიარქოს უწყებანი“, №16, 2010;
9. „ივერია“, №61, 1901;
10. „ერთობა“, 12.07., 1920;
11. ალექსანდრე ოქროპირიძის საოჯახო არქივი.

GEORGIAN MISSIONARIES (OKROPIRIDZE) AND GEORGIAN-ABKHAZIAN AND GEORGIAN-OSSETTIAN RELATIONSHIPS

Zurab Okropiridze, Gori Teaching University, Specialist by contract

RESUME

The role of Georgian churches are particular for christening of Abkhazian and Ossettian people, for being educated them and also getting closed them with Georgian people. Especially remarkable is contribution of one of the oldest family, whose surname was Okropiridze. With missionary activates were known Saint Aleksandre Bishop (1824-1907), his father Priest Davit Okropiridze, Bishop Leonide (1861-1921, in the future Catholicos-Patriarch of Georgia), archpriests Gabriel (1824-1904) and Irodion Okropiridze (1859-1933), Priest Aleksandre Okropiridze (1879-1959) and etc. With their efforts thousands of Abkhazians and Ossettians were christened as Orthodox. They were establishing schools, building churches, caring of poor Abkhazian and Ossettian children, and with such kind of behavior they were founded their unity with Georgian. Russia could not tolerate this unity. Nowadays they managed to abduct Georgian territories and conflict between Abkhazian-Ossettian and Georgian.

აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი - წარსული, აწმყო, მომავლის იმედი

თამარ ოქროშიაშვილი, თამარ ხარაიშვილი
გორის სასწავლო უნივერსიტეტი,
ბაკალავრიატის სწავლების პირველი წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: მარიაკა შერაზადიშვილი, სრული პროფესორი

საქართველო უძველესი ქვეყანაა და მისი სახელმწიფოებრიობა 2500 წელს ითვლის. ბევრჯერ დაცემულა, მაგრამ მტრის ჯინაზე ისევ ფეხზე ამდგარა, ერთიანი და მთლიანი. იგი არსებობას და ბრძოლას დღესაც განაგრძობს. საქართველოში თვით ქრისტეს დაუბერტყავს ბარაქის კალთა, მისი ყოველი მხარე გამორჩეულია, განსაკუთრებით კი აფხაზეთი, რომელსაც ქართველები სიმღერებში „სიყვარულის, ძმობის და სიმღერის ფესვს უწოდებენ“. აფხაზეთი - დღეს ეს სიტყვა ყოველ ქართველს სტკივა. აფხაზეთი ჩვენთვის საქართველოა, ეს არის მხარე, რომელთანაც ქართველობა საუკუნოდაა დაკავშირებული თავისი ისტორიული ფესვებით და რელიგიით. ოდითგან აფხაზეთი საქართველოს განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა, რასაც უამრავი ისტორიული წყარო ადასტურებს.

აფხაზეთი მდებარეობს საქართველოს ჩრდილო - დასავლეთ რეგიონში, ისტორიულ და თანამედროვე დასავლეთ საქართველოში. ძვ. წ. აღ. II ათასწლეულიდან დასავლეთ ამიერკავკასიაში უმთავრესად ქართველური მოსახლეობა ივარაუდება. ამ დროიდან მოყოლებული, ვიდრე ანტიკურ ხანამდე, ამ ტერიტორიაზე მოპოვებული არქეოლოგიური მასალა იძლევა შესაძლებლობას დასკვნის გამოტანისა, რომ აქ არსებობს საერთო კოლხური, ე.ი ქართველური კულტურა. ძვ. წ. აღ. II - I ათასწლეულებში ქართველური (საკუთრივ სვანური) ეთნიკური ელემენტი ფართოდაა გავრცელებული დასავლეთ საქართველოს როგორც მთიან, ისე დაბლობ ზონაში, რისი ერთ-ერთი საბუთია ქ. ცხუმის (სოხუმის) სახელწოდების ქართველური (სვანური) რცხილადან წარმომავლობა. ასეთი დასკვნის საფუძველს იძლევა ძვ. ბერძნული მითოლოგიის მონაცემები არგონავტთა კოლხეთში მოგზაურობის შესახებ და ლინგვისტურ კვლევაზე დამყარებული მოსაზრება არგონავტთა აქ მოსვლის დროისათვის აქ ქართველური ენის არსებობის შესახებ. ანტიკური წყაროების მონაცემების საფუძველზე სრულიად აშკარაა, რომ ძვ. წ. აღ. VI-I საუკუნეებში თანამედროვე აფხაზეთის მიწა-წყალი მთლიანად მოქცეულია კოლხეთის სამეფოს შემადგენლობაში. ამასთანავე, აფსარიდან დიოსკურიამდე (სოხუმი), ცხოვრობდნენ საკუთრივ კოლხები, რომლის შემდეგ იწყებოდა შედარებით ჭრელი ეთნიკური სამყარო, სადაც კოლხებთან ერთად სხვა ტომებიც მოსახლეობდნენ (ქართველურთან ერთად შეიძლება არაქართველურიც, ჩრდილოკავკასიური). კოლხეთის ჩრდილოეთით - მთებში დიოსკურიამდე სახლობდნენ სვანები, ახ.წ.აღ. I - II საუკუნეებიდან საქართველოში, შავი ზღვის სანაპიროზე იხსენიებიან აფსილები და აბაზგები. საკითხი იმის შესახებ, თუ საქართველოს შავი ზღვის სანაპიროზე I-II საუკუნეებში მოხსენიებული აბაზგები და აფსილები რა დროიდან სახლობენ აქ, აზრთა სხვადასხვაობას იწვევს. მკვლევართა ნაწილი აფსილ-აბაზგებს ქართველურ ტომებად მიიჩნევს, ნაწილი კი - ჩრდილოკავკასიური მოდგმის ადიღურ ტომებად. თანამედროვე აფხაზები XVII საუკუნეში ჩრდილო კავკასიიდან გადმოსახლებული აფსუები არიან. II საუკუნის მეორე ნახევარში დასავლეთ საქართველო ეგრისის (ლაზიკის) სამეფოშია გაერთიანებული. VIII საუკუნის 80-იან წლებში გაერთიანებული დასავლეთ საქართველოს მეთაური გახდა ლეონ აფხაზთა მთავარი. ეს სახელმწიფო გადაჭიმული იყო ნიკოფსიიდან ჭოროხის ხეობამდე და შავი ზღვიდან ლიხის ქედამდე. ხოლო მას შემდეგ, რაც ლეონს ქართლის ერისმთავართა (სამეფო) სახლის უკანასკნელმა წარმომადგენელმა - არჩილმა თავისი ძმის, მირის ასული ცოლად შერთო, მან მიიღო ეგრისი და ეგრისის სამეფო გვირგვინი, რაც სიმბოლურად და რეალურად ეგრის - აფხაზეთის გაერთიანებას ნიშნავდა. ამის შემდეგ მან თავი აფხაზთა მეფედ გამოაცხადა. აფხაზთა მეფეების ეთნიკური კუთვნილება ცნობილი არ არის. ზოგი მკვლევარი მათ აფხაზებად თვლის, ზოგი - ბერძნებად, რადგან ისინი ბიზანტიის იმპერიის ვასალები იყვნენ, ზოგი - ქართველებად. თუმცა, მნიშვნელოვანი არის ის, რომ აფხაზთა სამეფო ენით, დამწერლობით, კულტურით, სარწმუნოებით, პოლიტიკით ქართული სახელმწიფო იყო, ხოლო მისი მეფეები ამავე ნიშნით - ქართველები. მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენდნენ ქართველები, ნაწილს კი - საკუთრივ აფხაზები.

სწორედ აფხაზთა სამეფოს არსებობის დროს, IX - X საუკუნეებში, აფხაზთა მეფეების აქტიური მონაწილეობით, აფხაზთა სამეფო საბოლოოდ გამოეყო ეკლესიურად კონსტანტინეპოლს და მცხეთის ტახტს დაუქვემდებარდა.

აფხაზთა სამეფოში დაიწერა ქართული ჰაგიოგრაფიული და ჰიმნოგრაფიული თხზულებები. იქ, აფხაზთა მეფეების კარზე, ქართულად დაიწერა „მეფეთა დივანი“ - აფხაზეთის მეფეთა ისტორია, აიგო ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლები, აფხაზთა სამეფო აქტიურად მონაწილეობდა იმ დიდ ეროვნულ ბრძოლაში, რომლის შედეგად შეიქმნა ერთიანი ქართული ფეოდალური სახელმწიფო. აფხაზთა სამეფო ქართული სახელმწიფო რომ არ ყოფილიყო, მისი დედაქალაქი იქნებოდა არა ძველი ქართული სახელმწიფოებრიობისა და კულტურის ცენტრი ქუთაისი, არამედ ანაკოფია (აფხაზეთის საერისთავო ცენტრი), ეკლესია ან არ გამოეყოფოდა კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს და თუ გამოეყოფოდა, ჩამოყალიბდებოდა საკუთრივ აფხაზეთის ეკლესიად, არ შეუერთდებოდა მცხეთის საკათალიკოსოს და არ დამკვიდრდებოდა წირვა-ლოცვა ქართულ ენაზე.

დიდი მნიშვნელობა აქვს იმ ფაქტს, რომ შუასაუკუნოვან ქართულ არქიტექტურაში არსებულ სკოლებს - დასავლურ -ქართულს (აფხაზურს), კახურს, ქართლურს, ტაო-კლარჯულს, ჰერულს განმასხვავებელ, ლოკალურ თავისებურებებთან ერთად ზოგადქართული ხასიათი აქვთ, ყველა ესენი საერთო ქართული ნიშნებით ხასიათდებიან. ხაზგასმულია ის გარემოება, რომ ეს თავისებები საქართველოს ერთიანი შუასაუკუნოვანი სახელმწიფოს შექმნამდე ვლინდება პოლიტიკურად ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ აფხაზთა (დასავლურ ქართულ), ქართველთა (ტაო-კლარჯეთი), კახეთის და სხვა სახელმწიფოებში, რაც სწორედ უძველეს ისტორიულ ძირებზე, მათ საერთო ზოგადქართულ კულტურაზე მიუთითებს.

ერთიანი საქართველოს მეფეთა ტიტულატურაში პირველ ადგილზე «მეფე აფხაზთა» რომ დგას, ამის შედეგად უცხოურ წყაროებში „აფხაზი“ იხმარება ზოგადად ქართველის და „აფხაზეთი“ საქართველოს მნიშვნელობით. ამასთანავე, ამ უცხოელებმა, ბერძნებმა, არაბებმა, რუსებმა კარგად იციან, რომ „აფხაზეთი“ იგივე „იბერია“ - „საქართველოა“ მაგ., მეთერთმეტე ს-ის ბიზანტიელი ისტორიკოსი გიორგი კედრენე საქართველოს მეფე გიორგი I-ს (1014 - 1027) უწოდებს აფხაზეთის არქონტს, ხოლო მის შვილს, მეფე ბაგრატ მეოთხეს (1027 - 1072) - იბერიის არქონტს. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ რუსული შუასაუკუნოვანი წყაროებიც მიუთითებენ, რომ იბერი იგივე აფხაზია (ობეზი) .

XV - XVI საუკუნეებიდან საქართველოში რთული პროცესები მიმდინარეობს. დასტურდება ჩრდილო კავკასიიდან მომთაბარე ტომების ჩამოსახლება. რის შედეგადაც ხდება კახეთში დაღესტნელი ტომების, შიდა ქართლში ოსთა და დასავლეთ საქართველოში ჩერქეზულ-ადიღური მოდგმის ხალხთა დასახლება. ამ დროიდან იწყება აფხაზეთში ქრისტიანობის პოზიციების შერყევა, რასაც აპირობებს, ერთი მხრივ, მთიდან ჩამოსული მოსახლეობის მიერ თავისი წარმართული რწმენის ჩამოტანა, მეორე მხრივ, თურქთა გაბატონება, რომელნიც აქ ისლამის გავრცელება-დამკვიდრებას ცდილობდნენ.

XV საუკუნის ძველი „მცნება სასჯულო“ გვაუწყებს, რომ „აფხაზეთი ქრისტიანობისაგან სრულიად მიდრეკილ იყუნეს, ქრისტეს მცნებათაგან განშორებულ იყუნეს“. ეს ქრისტეს მცნებისაგან განშორებული აფხაზები არიან, რომ ესხმიან თავს სამეგრელოს. XVII ს-ის პირველი ნახევრის დოკუმენტში („მამულების მფლობელობის განახლების სიგელი ლევან დადიანისა ხობის საყდრისადმი“) აღნიშნულია, რომ „მას ჟამსა უღმერთოდ და უსჯულოებად მიიქციეს აფხაზნი“, რომ „აფხაზთა გარყუნეს სჯული და კათალიკოზობა“.

რაც შეეხება დამწერლობას, როგორც ცნობილია, შუა საუკუნეებში მთელ დასავლეთ საქართველოში, საკუთრივ აფხაზეთის ჩათვლით, მწერლობის, წირვა-ლოცვის ენა ქრისტიანობის მიღების შემდეგ ჯერ იყო ბერძნული, ხოლო ეკლესიის კონსტანტინეპოლიდან გამოყოფის და მცხეთის ტახტის შემადგენლობაში შესვლის შემდეგ - ქართული. XIX საუკუნეშიც, მიუხედავად რუსეთის იმპერიის მცდელობისა, ქართული ინარჩუნებდა თავის მდგომარეობას. პირველად აფხაზური (აფსუების ენის) ანბანი 1862 წელს შექმნა ცნობილმა მეცნიერმა უსლარმა რუსული გრაფიკის საფუძველზე . რადგან რუსული გრაფიკით აფხაზური ბგერების გადმოცემა ძალიან რთული იყო, რამდენჯერმე სცადეს ამ ანბანის გამარტივება და დახვეწა. მაგ., 1892 წელს პედაგოგმა კ. მაჭავარიანმა და მისმა მოწაფემ, შემდგომში აფხაზური ლიტერატურის ფუძემდებელმა და კლასიკოსმა დიმიტრი გულიამ შეადგინეს ახალი აფხაზური ანბანი ქართული გრაფიკის საფუძველზე, შემდეგ ნიკო მარმა სცადა აფხაზური ანბანის ლათინური გრაფიკის საფუძველზე შექმნა, მაგრამ ვერც ამ ცდამ მოიტანა სასურველი შედეგი. 1938 წელს ისევ დიმიტრი გულიამ, ქართველი მეცნიერების - აკაკი შანიძის და სიმონ ჯანაშიას დახმარებით შექმნა ახალი აფხაზური ანბანი ქართული გრაფიკის საფუძველზე. პირველი წიგნი აფსუების ენაზე 1912 წელს გამოიცა თბილისში (დიმიტრი გულიას ლექსების კრებული). 1954 წელს აფხაზური ანბანი ხელახლა შემუშავდა ისევ რუსული გრაფიკის საფუძველზე. რუსეთის ხელისუფლება თავისი მიზნებისათვის იყენებდა ისეთ ტრაგიკულ მოვლენებს აფხაზი ხალხის ისტორიაში, როგორც იყო მუჰაჯირობა. ფაქტობრივად ახდენდა რა მაჰმადიანი აფხაზების თურქეთში გადასახლების პროვოცირებას, შემდეგ დაბრკოლებებს უქმნიდა მუჰაჯირთა იმ ნაწილს, რომელიც სამშობლოში დაბრუნების სურვილს გამოთქვამდა. იგივე ხელისუფლება არ აძლევდა აფხაზეთში დასახლების

უფლებას ქართველებს და ხელს უწყობდა მუჰაჯირთა მიწებზე სომხების, რუსების და სხვა ეროვნებათა წარმომადგენლების დასახლებას. როგორც შესანიშნავად ჩანს იმდროინდელი პრესიდან, მოწინავე ქართველი ინტელიგენცია, ილია ჭავჭავაძით სათავეში, ყოველნაირად ცდილობდა აფხაზთა თურქეთში გასახლების პროცესის შეჩერებას და მხარში ედგა აფხაზ ხალხს ამ მიმე დროს. ეს მოვლენები სათანადოდაა ასახული ცნობილი აფხაზი ისტორიკოსის გიორგი ძიძარას ნაშრომში, რომელიც მუჰაჯირობის ისტორიას ეძღვნება. ალბათ, ისიც სათქმელი და ნიშანდობლივია, რომ დემოკრატიული საქართველოს მთავრობას 1920 წ. მუჰაჯირთა საკითხი განსახილველად შეაქვს ანტანტის საბჭოს სხდომაზე.

აფხაზეთის რუსებით და სომხებით დასახლების პროცესი აქტიურად გრძელდებოდა საბჭოთა ეპოქაშიც, რაზეც ნათლად მიუთითებს 30-50-იანი წლების აღწერების მონაცემები. საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკა აშკარად იყო მიმართული მკვიდრი მოსახლეობის, ქართველების და აფხაზების წინააღმდეგ.

1810 წ. აფხაზეთის მთავარმა გიორგი (საფარ - ბეგ) შერვაშიძემ რუსეთის ქვეშევრდომობა მიიღო, ხოლო 1864 წ. აქ რუსული მმართველობა დამყარდა. რუსეთის მმართველობის დამყარების შემდეგ მეფის ხელისუფლება ცდილობდა, საერთოდ ამოეძირკვა ხმარებიდან სახელწოდება „საქართველო“. ასევე ცდილობდა ის სახელწოდება „აფხაზეთის“ ამოძირკვასაც. აფხაზეთის სამთავროს სოხუმის სამხედრო განყოფილება ეწოდა (Сухумский военный отдел), ხოლო 1883 წლიდან - სოხუმის ოკრუგი, რომელიც ქუთაისის გენერალ-გუბერნატორს დაუქვემდებარდა.

1921 წლის 25 თებერვალს რსფსრ მიერ საქართველოს ფაქტობრივი ანექსიის და აქ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ აფხაზეთში მიმდინარე პროცესები ვრცელადაა ასახული აფხაზი ბოლშევიკების ლიდერის ნესტორ ლაკობას გამოსვლებსა და წერილებში. 1921 წლის მარტში რევოლუციურმა კომიტეტმა გამოსცა დეკლარაცია აფხაზეთის შესახებ. 29 მარტს ამიერკავკასიის ხელმძღვანელი ამხანაგების თათბირზე გადაწყდა აფხაზეთის სსრ შექმნა. ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ აფხაზი ბოლშევიკები ნ. ლაკობა და ვ. ეშბა, მოითხოვდნენ რა დამოუკიდებლობას აფხაზეთის სახელით, მთლიანად უგულვებელყოფდნენ აფხაზეთის ქართული მოსახლეობის ინტერესებს. საქართველოს კომპარტიის IV ყრილობაზე ლაკობამ აღნიშნა, როს საკითხი აფხაზეთის დამოუკიდებელი რესპუბლიკის შექმნის შესახებ მის და ე. ეშბას მიერ დაყენებულ იქნა ბათუმის თათბირზე 1921 წლის 29 მარტს. ამ თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ კავშიურს წევრები: სერგო ორჯონიკიძე, სერგო ქავთარაძე, მალაქია ტოროშელიძე, შალვა ელიავა, ნესტორ ლაკობა და ეფრემ ეშბა თავიანთ მოთხოვნას ასაბუთებდნენ აფხაზეთში ეროვნებათაშორისი შუღლის აღმოფხვრის და ნამდვილი საბჭოთა ხელისუფლების დამყარების აუცილებლობით. ამ დამოუკიდებლობას ისინი მოითხოვდნენ, „როგორც აბრას“ (Как вывеску) და დროებით ღონისძიებად თვლიდნენ, რაზედაც ქართველმა ბოლშევიკებმა უპასუხეს, რომ „თუ ეს დამოუკიდებლობა აფხაზეთს ესაჭიროება ჭეშმარიტი საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის, მაშინ მიიღეთ ის არა მხოლოდ როგორც აბრა, არამედ როგორც ნამდვილი დამოუკიდებლობა“.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შექმნის შემდეგ «აფხაზეთი» ამ ავტონომიურ წარმონაქმნს ეწოდება, ხოლო «აფხაზი» მასში მცხოვრებთა იმ ნაწილს, რომელიც თავის თავს «აფსუას» უწოდებს. აფხაზეთში იმატა ანტიქართულმა გამოსვლებმა. ისინი ანადგურებდნენ ქართველთა ეროვნულ ძეგლებს. მაგ.: მათ გაანადგურეს რუსთაველის ძეგლი სოხუმში. ქართველთა წინააღმდეგ შეთქმულების კულმინაცია იყო 1989 წლის 18 მარტის თავყრილობა, სადაც აფხაზებმა ღიად გამოუცხადეს ომი ქართველებს. მოაწყვეს საპროტესტო აქციები, სადაც ქართველთა შეურაცხმყოფელ ლოზუნგებს გამოთქვამდნენ. აფხაზეთში ირღვევა ქართველთა უფლებები, ნადგურდება და იძარცვება მათი ქონება. აფხაზთა მთავარ მოთხოვნას კი წარმოადგენდა ის, რომ ქართველებს დაეტოვებინათ მათი ტერიტორია, ამ მოთხოვნის შეუსრულებლობის გამო, სექტემბრის შუა რიცხვებში მათმა შეიარაღებულმა ნაწილმა გაგრის მიდამოებში დაიწყო შეტევა. 1993 წლის 27 ივლისს სოჭში ხელი მოეწერა ხელშეკრულებას ცეცხლის შეწყვეტაზე. რუსეთი არც ამას ასრულებდა და კვლავ განაგრძობდა აფხაზეთის ხელში ჩაგდებას. ისინი არ ინდობდნენ მშვიდობიან მოსახლეობას. კონფლიქტი გამწვავდა და სოხუმი დაეცა 1993 წლის 27 სექტემბერს, 28-30 სექტემბერს - გაგრა, ოჩამჩირე და გალი მდინარე ენგურამდე. აფხაზეთში დაიწყო ქართველთა გენოციდი, რომელსაც 10 000-მდე ქართველის სიცოცხლე შეეწირა. ასეულობით ადამიანი უგზო-უკვლოდ დაიკარგა, 240 000-ზე მეტი ლტოლვილად იქცა საკუთარ ქვეყანაში. ეს დღეები საქართველოს ისტორიაში სისხლიანი ასოებითაა ჩაწერილი, რადგან ამ დროს გარე ძალამ ერთმანეთს დააშორა განუყოფელი ნაწილები - აფხაზი და ქართველი.

მიუხედავად ყველაფრისა, აფხაზეთი საქართველოა, მსგავსად სამხრეთ ოსეთისა, რომელიც დღესდღეობით არაკონტროლირებად ტერიტორიებად ითვლება, ისტორიულად ორივე საქართველოს განუყოფელი ნაწილია.

ცნობილია, რომ ოსები, ანთროპოლოგიური თვალსაზრისით, დიდი ევროპეიდული რასის ბალკანურ-კავკასიურ რასას მიეკუთვნებიან, ხოლო ეთნოლინგვისტურად ინდოევროპულ ენათა ოჯახის ირანულ ჯგუფში შემაჯავალი ხალხია. ოსთა დიდი ნაწილი მართლმადიდებელი ქრისტიანია, მათი ერთი ნაწილი კი მაჰმადიანური სარწმუნოების სუნიტური მიმდინარეობის აღმსარებელია. ოსი ხალხის გაქრისტიანებაში დიდი როლი ითამაშა როგორც ბიზანტიამ, ისე საქართველოს სამეფო კარმა. ალან-ოსთა ქრისტიანულ სარწმუნოებაზე მოქცევა X საუკუნის მეორე ნახევარში მოხდა. საქართველოში ჩამოსახლებულმა ოსებმა თან ჩამოიყილეს თავიანთი წარმართული ჩვევები, რომლებიც ოსურ მოსახლეობაში ქრისტიანობის გავრცელებამაც ვერ გამოდევნა.

ოსთა სარწმუნოებრივ მდგომარეობას საინტერესოდ აღწერს XVIII საუკუნის ქართველი ისტორიკოსი და გეოგრაფი ვახუშტი ბაგრატიონი. მის ცნობაში ჩვენს ყურადღებას იპყრობს ვაჩილას კერპი. ის, როგორც ცნობიდან ჩანს, ჩრდილოეთში მცხოვრები ოსების სალოცავი იყო. მათ ჰქონდათ სხვა კერპებიც, რომლებიდანაც აღსანიშნავია ქურდებისა და მძარცველების ღვთაება „საუბარაგი“.

საქართველოს ხელისუფლება ოსთა გასაქრისტიანებლად არაერთ ღონისძიებას ატარებდა, მაგრამ, ამის მიუხედავად, XIX საუკუნის დასასრულამდე ოსებში წარმართული ტრადიციები იმდენად ძლიერი ყოფილა, რომ თვით ოსი სასულიერო პირებიც კი შემჩნეული იყვნენ კერპთაყვანისმცემლობაში. ვაჩილას კულტი ოსურ წარმართულ პანთეონში უკავშირდებოდა თხის კულტს. იგი იმდენად ძლიერი იყო, რომ ქართულ საზოგადოებაში ვაჩილა ოსი ადამიანის სინონიმად იყო გადაქცეული.

საქართველოში ოსთა მიგრაციის შესახებ მეცნიერებაში აზრთა სხვადასხვაობაა. უკანასკნელი ხანის კვლევა-ძიებამ ცხადყო, რომ საქართველოს ტერიტორიაზე ჩრდილოკავკასიაში მცხოვრები ოსების შემოსვლა XV საუკუნიდან იწყება. მათ მიგრაციაში ცხადია, დიდი როლი ითამაშა ტერიტორიულმა ფაქტორმა, მაგრამ მათი ჩამოსახლების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა იყო. მონღოლთა მიერ ჩრდილოეთ კავკასიის დალაშქვრამ ოსები სილატაკის პირას მიიყვანა, ამიტომ ისინი სარჩოს მოსაპოვებლად ბარისაკენ დაიძრნენ. ოსი მოსახლეობა დიდ საფრთხეს უქმნიდა ადგილობრივ მოსახლეობას, რადგან ხშირ შემთხვევაში ოსთა წინააღმდეგ ბრძოლას ეწირებოდნენ. ასეთი საფრთხის წინაშე იდგა დიდი ლიახვის ხეობა. ეს საფრთხე განსაკუთრებით გაძლიერდა XVII საუკუნის პირველ ნახევარში, როცა ოსებმა ადგილობრივი მოსახლეობის გაქლეტის ხარჯზე სამაჩაბლოს არაერთი თემი დაიკავეს. ზ. ჭიჭინაძე აღნიშნავდა: „ოსების გაბოროტებამ და მარცვა - გლეჯამ ქართველი ერი დიდად დააღონა, მაგრამ ქართველები ოსებს უთმობდნენ, ვინაიდან ეცოდებოდათ და ებრალებოდათ, როგორც ფეხშიშველი მოსიარულე ხალხი.“ საქართველოში ჩამოსახლებული ოსი მოსახლეობა ვერ ეგუებოდა ფეოდალურ უღელში ყოფნას, რაც ხშირ შემთხვევაში მათი აჯანყების მიზეზი ხდებოდა. ოსიანობა კიდევ უფრო გააქტიურდა XIX საუკუნის დასაწყისში. მათი მასიური თავდასხმებისაგან ოხრდებოდა შიდა ქართლის მოსავალი და სოფელი საბოლოოდ. სამაჩაბლოს ტერიტორიაზე ჩამოსახლებული ოსები ადგილობრივი ფეოდალების მფლობელობაში მოექცნენ, რაც მათ უკმაყოფილებას იწვევდა.

ოსთა შეიარაღებულმა გამოსვლებმა აქტიური ხასიათი განსაკუთრებით XIX საუკუნის დასაწყისში მიიღო. „ოსიანობა“ იმდენად საშიშ მოვლენად იქცა, რომ აღნიშნული პრობლემის გადაწყვეტაში თვით რუსეთის საიმპერატორო კარი ჩაერია. საჭირო გახდა მოძალადე ოსების დასჯა, რომელთა თარეში ლეკიანობასთან იყო გათანაბრებული. მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლებამ შეძლო სიტუაციის განმუხტვა, სამაჩაბლოში ჩამოსახლებული ოსები თავისას მაინც არ იშლიდნენ. დაპირისპირება ოსებს შორის XIX საუკუნის 50-იან წლებამდე გრძელდებოდა. ქართველი ხალხის მესხიერებას არაერთი აგრესორი მტრის სახელი შემოუნახავს: „არაბობა“, „დიდი თურქობა“, „ყიზილბაშობა“, „ოსმალობა“, „ლეკიანობა“, ამ სახელებს კი „ოსიანობაც“ მიემატა.

XVII-XVIII საუკუნეებში და XIX საუკუნის პირველ ნახევარში ოსები საქართველოში უმნიშვნელო რაოდენობით ცხოვრობდნენ. მათი კომპაქტური დასახლებები ჩნდება ქარელის, კოჯრის რაიონებში, განსაკუთრებით, მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე. მათი ჩასახლება ამ ტერიტორიებზე თითქმის XX საუკუნემდე გრძელდება.

1989-1992 წლებში ოსურმა სეპარატიზმმა ახალი ძალით იფეთქა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკამ სრული სუვერენიტეტი გამოაცხადა. 1922 წელს, როდესაც შეიქმნა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი და დედაქალაქად ცხინვალი გამოაცხადეს, აღწერის მიხედვით, ცხინვალში მთის სოფლებიდან 613 ჩამოსული ოსი ცხოვრობდა. უნდა აღინიშნოს, რომ XIX საუკუნემდე როგორც ქართულ, ასევე რუსულ და უცხოურ წყაროებში ოსეთის „ჩრდილოეთის“ თუ „სამხრეთის“ განმსაზღვრელი ტერმინის გამოყენების არცერთი ფაქტი არ გვხვდება. ტერმინი „სამხრეთ ოსეთი“ იურიდიულად დააკანონა საქართველოს ცეკასა და სახალხო კომისართა საბჭოს 1922 წლის 7 აპრილის დეკრეტმა. ოფიციალურ თარიღად კი 1922 წლის 20 აპრილი ითვლება. მის შემადგენლობაში მოექცა 40 ქართული სოფელი და ერთი ქალაქი, სადაც 20 000 ქართველი ცხოვრობდა და მხოლოდ 1 100 ოსი.

ოსთა სეპარატიზმს საზღვარი არ აქვს. მათთან მწვავე კონფლიქტის არსებობის და ამ კონფლიქტში გარე ძალების ჩარევის კიდევ ერთი დამადასტურებელი ჩვენთვის სამწუხარო ფაქტი იყო 2008 წლის აგვისტოს ომი.

დღეს აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი რუსეთის მიერ ოკუპირებული ტერიტორიებია, სადაც ქართული იურისდიქცია არ ვრცელდება. აბორიგენი მოსახლეობა დევნილადაა ქცეული საკუთარ მიწაზე. რუსეთმა აფხაზეთისა და ოსეთის დამოუკიდებლობა აღიარა, რაც საერთაშორისო სამართლის ნორმათა აშკარა დარღვევაა.

საქართველოს თავისი ისტორიის მანძილზე არაერთი ტერიტორია დაუკარგავს და დაუბრუნებია. იმედი გვაქვს, აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი მათ რიცხვს მიემატება.

ლიტერატურა:

1. მარიამ ლორთქიფანიძე, აფხაზეთი და აფხაზები, თბ., 1990;
2. გიორგი სოსიაშვილი, ძიებანი, თბ., 2007;
3. გიორგი სოსიაშვილი, საქართველოს წარჩინებულ გვართა ისტორიიდან, თბ., 2008.

ABKHAZIA AND TSKHINVALI REGION- PAST, PRESENT AND HOPE FOR FUTURE

Tamar Okroshiashvili, Tamar Kharashvili

Gori Teaching University, The First Year Students of Bachelor's Degree

Instructor: **Marika Sherazadishvili**, Full Professor

RESUME

Abkhazia – It is a region, Georgians are connected with for centuries, with its historical roots and religion. Abkhazian Kingdom was actively involved in that great national struggle, which resulted in a single Georgian feudal state. Russian government has used for its purposes tragic events in the history of Abkhazian people, such as the Muhajir. After the establishment of the Autonomous Republic of Abkhazia, anti-Georgian demonstrations have increased. The culmination of conspiracy against Georgians was the meeting held on 18 March, 1989, where Abkhazians openly declared war against Georgians. The conflict escalated and Sukhumi fell on September 27, 1993.

Ossetians living in the North Caucasus started to enter the territory of Georgia in the XV century. One of main reasons for their settlement was very hard economic situation. In the first half of the XVII century Ossetians occupied many villages of Samachablo at the expense of killing local population. Ossetian armed actions were especially active in nature in the XIX century. "Osianoba" has become so dangerous, that even the imperial court had to interfere in order to solve the mentioned problem.

Ossetian separatism was renewed in the years 1989-1992 and the so called Republic of South Ossetia declared its full sovereignty. According to the census, 613 Ossetians coming from the mountainous villages lived in Tskhinvali in 1922. Separatism knows no boundaries. Verification of existence of a sharp conflict with them and one more confirmation of an external interference in this conflict was the war in August, 2008.

Nowadays Abkhazia and Tskhinvali region are territories occupied by Russia, where Georgian jurisdiction does not apply. Indigenous population has become refugees in their homeland. Russia recognized the independence of Abkhazia and Ossetia, which is a clear breach of international legal norms.

ЕЩЁ РАЗ О ЗНАЧЕНИИ ТЕРМИНОВ «АБХАЗИЯ» И «АБХАЗЫ» В ВОСТОЧНЫХ ПИСЬМЕННЫХ ИСТОЧНИКАХ

Зураб Папаскири

Профессор Сухумского государственного университета

В востоковедческой (в прочем также как и византиноведческой) литературе, нередко можно встретить использование упомянутых в некоторых восточных источниках, освещающих события XI-XII вв, терминов «Абхазия» и «абхазы» без всяких комментариев. Это, порой приводит к произвольной интерпретации этих сведений. Несмотря на то, что грузинские учёные неоднократно указывали на эти оплошности всё ещё появляются публикации, в которых термины «Абхазия» и «абхазы» по прежнему даны без дополнительных разъяснений. В этой связи наше внимание привлекло монография известного азербайджанского историка, ведущего научного сотрудника Института Археологии и Этнографии Национальной Академии Наук АР, доктора исторических наук, профессора Рауфа А. Гусейн-заде: «Кавказ и сельджуки» {1.}.

Так на всё на стр. 57, освещая общеполитическую картину Кавказа в I половине XI века, автор отмечает, что: «Грузия, включая Абхазию, стала единым царством под эгидой династии Багратидов» и что «Грузино-Абхазское царство было заинтересовано в поддержании добрососедских отношений с веинами Северного Кавказа. Среди них миссионерствовали грузинские клирики, что отвечало политике грузинских царей, которые старались держать под своим контролем Дарьяльский проход, а также поддерживать союзнические отношения со своими горскими соседями, в первую очередь с Ингушетией». Далее следует рассказ о том, что «Алания в XI веке превратилась в значительное и сильное этнополитическое объединение. Аланскому царю подчинились многие племена Северного Кавказа... Вместе с тем у алан существовали связи с Грузией и Абхазией».

Т.е. остаётся впечатление, что до образования единого грузинского государства в начале XI века Грузия была одной страной, а Абхазия другой и что в это время эти два субъекта – Грузия и Абхазия, создали некое федеративное образование – «Грузино-Абхазское царство». Здесь, мы вынуждены напомнить уважаемому коллеге, что понятие Грузия («Сакартвело») на протяжении всего средневековья (во всяком случае, после того, как вообще возник этот термин – как минимум с Xв.), всегда включал и Абхазию и их параллельное использование неправильно. А если быть более точным, до объединения грузинских политических образований в единое государство, под Грузией подразумевались и Царство «Абхазов» – Западно-грузинское государство, и Царство «Картвелов» (или т.н. «Тао-Кларджетское княжество») – государственное образование в Южной Грузии, и Кахетинское хорепископство (княжество), и Эретское княжество (впоследствии царство), и Тбилисский эмират. Конечно же, перечислять все эти грузинские царства-княжества параллельно вполне нормально, но упоминать их вместе с Грузией («Сакартвело») неправомерно. Ведь никому не придёт в голову употребить такое словосочетание как: «Грузия и Картли, Грузия и Имерети и т.п.»⁶⁴

Вместе с тем, при изложении некоторых событий связанных с военно-политической активностью сельджуков, Р. А. Гусейн-заде, нередко (явно под влиянием восточных источников), без всяких комментариев использует термин «Абхазия», из чего несведущий читатель может понять, что в этих случаях речь идёт не о грузинском государстве в целом, а современной Абхазии. Т. н. на стр. 69, рассказывая о военной кампании начатой Тогрул-беком в 1054г. читаем: «Одновременно три крупных сельджукских отряда двинулись один в направлении Абхазии, два других – в Восточную Анатолию» (курсив наш – З.П.). То же самое можно сказать и относительно пассажа на стр. 190, где также без комментариев говорится о вторжении сельджуков «в Азербайджан и Абхазию в 1067/68 году». И на стр. 106, без ссылки на источник и без всяких комментариев говорится о том как «султан Кей-Хосров I (1192-1196, 1204-1210) пытался завладеть Абхазией» (курсив наш – З.П.). Со всей уверенностью можно утверждать, что во всех этих случаях речь может идти не о нынешней Абхазии, а об «Абхазии» в широком понимании этого термина, т.е. о Грузии в целом. Вопрос о том, что в XI-XII вв. да иногда и позже в иноязычных (порой и в грузинских) Грузии в целом, как правило, называли «Абхазией» в историографии давно решён {2. 171-177; 3. 23; 4. 54-55; 5. 182-184; 6. 75-81; 7. 60-63}. Однако, в виду того, что в отдельных публикациях (в том числе и в трудах известных востоковедов) не всегда даны необходимые разъяснения по этому поводу, некоторые радетели абхазской «национальной» истории факт упоминания в источниках, освещающих события XI-XII вв., понятий: «Абхазия», «абхазы» используют как свидетельства активного присутствия в большой политике собственно Абхазии, т.е. нынешней Абхазии и современных апсуа-абхазов. Исходя из этого, мы считаем не лишним ещё раз, вкратце, напомнить, почему и при каких условиях произошло расширение значения понятий «Абхазии» и «абхазы» в VIII-XII вв.

Ещё во II половине VIII в. (к началу 80-х годов данного столетия это уже свершившийся факт) «эристав Абхазии» (юго-восточная граница указанного эриставства тогда проходила всего лишь по реке Келасури, что под Сухуми) распространил свою власть на всю Западную Грузию до Лихского (Сурамского) хребта (т.е. на

⁶⁴ Кстати, подобная оплошность допущена и на стр. 76, где, рассказывая о втором походе Алп-Арслана в Грузию, Р. А. Гусейн-заде приводит сообщение из «Матiane Картлиса» (по французскому переводу М. Броссе) о том как «царь Кахети покинул веру и сотворил обрезание» и добавляет, что «царь Картли Баграг IV пытался организовать сопротивление, однако в решающем сражении грузинское войско потерпело поражение» (курсив наш – З.П.). В этом пассаже, помимо того, что неверно объявлять Баграта IV-го царём Картли – такого понятия тогда не было, получается, что Кахети не Грузия.

территории бывшего Лазско-Эгрисского царства) и в качестве «мтавара» (владельца) возглавил это новое государственное объединение, которое современник этого процесса, известный грузинский писатель Иован Сабанис-дзе, писавшее своё знаменитое агиографическое произведение «*Мученичество Або Тбилели*» как раз в 80-х годах VIII в., называет не иначе как «Абхазия» {8. 59-60}. В конце VIII в. Леон II – «эристав Абхазии» официально принял титул на этот раз уже «царя абхазов» («мепе апхазта»), после чего как внутри Грузии, так и за её пределами это новое государственное образование стали называть страной «царя абхазов», т.е. Царством «Абхазов» или просто «Абхазией». Однако изменение названия страны отнюдь не означало изменение её национально-государственного облика и создание в пределах всей Западной Грузии качественно нового, собственно абхазского национального государства, правопреемником которого, якобы, является нынешняя Абхазия, а не современное грузинское государство в целом {2. 171-177; 3. 23; 4. 54-55; 5. 182-184; 6. 75-81; 7. 60-63}.⁶⁵

Позже (уже в начале XI в.), когда завершился длительный процесс объединения грузинских земель и образовалось единое государство, во главе которого оказался царь «абхазов» и «квартвелов» Баграт III Багратиони,⁶⁶ в виду того что, титулатура первого царя объединённого грузинского государства начиналась со слов «царь абхазов», название «Абхазия» распространилось и на всю Грузию. Совершенно правильно отмечено в историографии, что это было выражением той ведущей роли, которую сыграло **западногрузинское государство** – Царство «Абхазов» в объединительном процессе {2. 175; 3. 23; 4. 54-55; 5. 177; 6. 65; 7. 60-63}. Именно вокруг Кутаисского престола происходило собирание всех грузинских земель и формирование общегрузинской государственности и это отнюдь не было связано со сменой династии. Царство «Абхазов», как уже отмечалось, с самого начала было грузинским политическим образованием, а «абхазские» цари из династии «Леонидов» были такими же грузинскими лидерами, как и представители династии Багратионов {2. 175; 5. 177; 6. 65-66; 7. 60-63}.

Мы обращаем внимание на это ещё потому, что видимо среди наших азербайджанских коллег нет чёткого представления о тех политико-государственных изменениях, которые имели место в Грузии на рубеже X-XI вв, в результате чего образовалось единое грузинское государство. Что говорит о других, когда даже такой компетентный исследователь средневекового Кавказа, большой знаток истории Грузии, как акад. З. М. Бунятов порой допускал неосторожность без соответствующих комментариев акцентировать внимание на т. н. «абхазское» происхождение объединителя Грузии Баграта III-го. Так, комментируя сообщение арабского автора ал-Бундари о том как: «Алп-Арслан вынудил царя **Абхаза** Баграта сына Георгия просить мира и выдать свою дочь за него и, приняв его подношения ... затем он выдал **грузинскую принцессу** за Низам ал-Мулка», правильно отмечает, что «здесь **«Абхаз» этнического значения не имеет**», но объясняет это (весьма вольно ссылаясь на труд З. В. Анчабадзе), тем, что «в 975 г. князь Баграт (**его мать была абхазкой**) унаследовал престол **Абхазии**. В 1008 г. он занял престол Грузии и объединил оба царства. С тех пор его династия именовалась Абхазской» {12. 190, курсив наш – З.П.}.

Данное объяснение маститого учёного нуждается в существенной корректировке. Начнём с того, что и здесь неправильно употребляется термин **Грузия**. Никакого «престола **Грузии**» – в 1008г. Баграт III не занимал. В это время, он овладел лишь Царством «Квартвелов» – южно-грузинским политическим образованием,⁶⁷ а это вовсе не Грузия в целом. «Квартвельские» цари, несмотря на то, что официально считали себя правопреемниками царей и эрисмтаваров Картли (Иверии – восточногрузинского царства), в это время (во II половине X в.) не контролировали даже всем Тао-Кларджетским наследством Ашота Багратиони – последнего эрисмтавара Картли, основавшего в начале IX в. это новое грузинское государственное образование, не говоря уж о самой Картли (в тот период – лишь «Шида /Внутренняя/ Картли»), которая вообще не входила в состав южногрузинского государственного образования, а была частью Царства «Абхазов». Помимо этого, совершенно очевидно, что из подобного рода объяснений, любой несведущий читатель может прийти к выводу, что страна которую возглавил царевич Баграт Багратиони в 978г. (а не в 975, как ошибочно пишет акад. З. М. Бунятов) благодаря своей матери – **«абхазки»**, на самом деле была **Абхазией в современном понимании этого термина**. Отсюда, получается, что в то время Царство «Абхазов», т.е. вся Западная Грузия со столицей **Кутаиси – исконно грузинским городом**, да ещё и вместе с **Шида Картли – сердцевиной грузинской национальной государственности** – не было Грузией!?

Теперь собственно о восточном письменном наследии. Чтобы окончательно прояснить ситуацию вокруг значения терминов «Абхазии» и «абхазов» в восточных письменных источниках, освещающих события XI-XII вв.,

⁶⁵ Несмотря на околонучные спекуляции некоторых абхазских историков, вокруг названия Царства «Абхазов», не должно вызывать никакого сомнения, что т. н. «Абхазское» царство, возникшее в конце VIII в. и охватившее всю Западную Грузию, независимо от этно-племенного происхождения его основателя – «эристава Абхазии» Леона II-го, с самого начала было исключительно **грузинским** политическим образованием {Об этом подробно см.: 2. 95-158; 9. 324; 10. 280-303; 11. 68-106; 7. 26-51}.

⁶⁶ Объединение Грузии означало, прежде всего, слияние двух престолов: «абхазского» (западногрузинского) и «квартвельского» (Тао-Кларджетского).

⁶⁷ В историографии долгое время было принято, что Баграт III официально унаследовал титул «царя картвелов» именно в 1008г., после того как умер его отец, «царь царей» Гурген, сын и наследник царя «квартвелов» Баграта II-го «Регвени». {13. 130-131; 14. 159; 9. 324; 15. 128; 16. 106}. Но с недавних пор, все больше начали говорить о том, что Баграт, возможно, стал царём «квартвелов» после смерти Давида III-го Куропалата – в 1001г. {17. 56; 18. 52-53; 10. 338-339}. Нам же представляется более реальным связать данное событие не со смертью Давида Куропалата, который, несмотря на то, что был несомненным лидером тогдашней Грузии, по нашему мнению, никогда не носил титул «царя картвелов», а с кончиной Баграта II-го «квартвельского» царя /958-994гг./ – деда Баграта III-го {19. 75-82; 20. 36-37}.

считаем целесообразным привести некоторые свидетельства отдельных авторов. Т.н. Яхья Антиохийский Гиоргия I-го называет «царём абхазов» («малик ал-абхаз»), а его царство – «Билад ал-Абхазийа» («страна абхазов»), «билад ал-абхаз» («страна абхаза») или «Мулк ал-абхаз» («Царство абхаза») {21. 116-118; 22. 132}. «Абхазским царём» назван и Баграт IV, а «царями абхазов и курдзов» – Давид IV, Деметре I, Гиорги III {22. 134}. По словам Садр ад-Дина ал-Хусейни, Алп-Арслан преследовал царя «абхазов» Баграта IV-го в «Курджистане» (в Грузии) {23. 192-193; 12. 54; 22. 132}. «Абхазским царём» назван Деметре I – преемник Давида Строителя – в сочинении известного арабского путешественника Ибн аль-Азрак аль-Фарики {24/ 222-223}. Некоторые арабские авторы, освещающие события более позднего периода по-прежнему называют «Абхазией» всю Грузию. Так, биограф Хорезмшаха Джалал ад-Дина ан-Насави, рассказывая о походе Джалал ад-Дина в Восточную Грузию, пишет, что он проник «вглубь абхазских земель» {25. 160; 22. 132}. Для другого автора XIIIв. Якута страна «абхазов» населена «курджами» (грузинами) {26. 1; 22/ 132}. В сочинении Ибн ал-Асира известный грузинский деятель эристав клдекарский Липарит Багваши назван «маликом Абхазии – Карит» {27. 68; 22. 133}. В сочинении же Ал-Азими клдекарский эристав вовсе назван «Липаритом абхазским» {12. 184; 28. 318-319}. По сообщению Имад ад-Дина Испакхани, в 1154г. наследник сельджукского престола Сулейман-шах женился на дочери грузинского царя («малик ал-Курдж»), которая являлась «абхазской госпожой» («хатун ал-абхазийа») {22. 133}.

Почти аналогичную ситуацию встречаем в персидских письменных памятниках. По словам историка XII-XIIIвв. Ибн-Испандияра: «Тамар падишах Тбилиси и Абхазии» {29. 70}. В одном из своих стихотворений известный азербайджанский поэт Хакани (XIIIв.) говорит: «Стал я жителем Абхазии и заговорил по-грузински» {30. 137}. Другой известный поэт Фелеки Ширвани в своей оде, написанной по поводу кончины царя Деметре I-го, сына Давида Строителя, называет его «шахиншахом Абхаза и Шаки, царём горизонтов» {31. 289}. В сочинении сельджукского хрониста Ибн-Биби царица Тамар (Тамар-ханум) названа «малика гурдж» («царица Грузинская»), которая правила «Мамлакат-абхаз» («Страна абхазов») и дар ал-Мульком («столицей») Тифлис {32. 37; 33. 33}.

Это далеко неполный перечень тех восточных источников, в которых под терминами «Абхазия» и «абхазы» подразумеваются объединенное Грузинское государство в целом и всё его население. Со всей уверенностью можно утверждать, что историческая наука не располагает ни одним восточным письменным источником, освещающим события XI-XIIIвв., в котором термины «Абхазия» и «абхазы» имели бы иное значение. Поэтому при использовании сведений арабо-персидских (впрочем, как и других: византийских, армянских, древнерусских и т.д.) источников следует проявлять определённую осторожность, дабы не дать лишнюю пищу отдельным историкам – идеологам абхазского сепаратизма, разглагольствовавшим о национальном государственном организме этнических абхазов в XI-XIIIвв., тем более об его самостоятельной роли на международной арене.

БИБЛИОГРАФИЯ:

1. **Р. А. Гусейн-заде.** Кавказ и сельджуки. Баку, изд. «Кавказ», 2010.
2. **З. В. Анчабадзе.** Из истории средневековой Абхазии. Сухуми, 1959;
3. **З. В. Анчабадзе, Г. А. Дзидзария.** Дружба извечная, нерушимая. Сухуми, 1972;
4. **З. В. Анчабадзе.** Очерк этнической истории абхазского народа. Сухуми, 1976;
5. **З. В. Папаскири.** Территория Абхазии в XI-XVвв. – *Разыскания по истории Абхазии/Грузия.* Тб., 1999.
6. **З. В. Папаскири.** Территория Абхазии в XI-XVвв. – **З. Папаскири.** И восстала Грузия от Никопсии до Дарубанда. Тб., 2009 (электр. версия: <http://sites.google.com/site/zpapaskiri/>);
7. **З. В. Папаскири.** Абхазия. *История без фальсификации.* Издание второе, исправленное и дополненное. Тб., 2010. с. 60-63;
8. **Иован Сабанис-дзе.** Мученичество Або Тбилели. – *Памятники древнегрузинской агиографической литературы.* Под ред. **И. В. Абуладзе.** Т. I. Тб., 1963, на груз. яз.
9. Абхазская Автономная Социалистическая Советская Республика. Исторический очерк. – *Грузинская Советская Энциклопедия*, т. *Грузинская ССР.* Тб., 1981, с. 324 (автор: З. В. Анчабадзе);
10. **М. Д. Лордкипанидзе.** Возникновение новых феодальных государств..., с. 280-303 (электр. версия: http://www.nplg.gov.ge/dlibrary/collect/0001/000040/Ocherki_Istorii_Tom_II.pdf);
11. **З. В. Папаскири.** «Абхазское» царство – грузинское государство. – *Исторические разыскания.* Ежегодник научных трудов Абхазской организации Всегрузинского исторического общества им. Еквтимэ Такашвили. VIII-IX. Тб., 2006, электр. версию см: <http://sites.google.com/site/saistoriodziebani/dziebani2005-2006>;
12. **Садр ад-Дин Али ал-Хусайни.** Ахбар ад-даулат ас-сельджукийа. Издание текста, перевод, введение, примечания и приложения **З. М. Бунятова.** М., 1980, (электр. версия: <http://www.vostlit.info/Texts/rus/Selguk/frames2.htm>)
13. **И. А. Джавахишвили.** История грузинского народа. Кн. II. – *Сочинения в 12-томах*, т. II. Тб., 1983 (на груз. яз.);
14. **М. Д. Лордкипанидзе.** Внутри и внешнеполитическое положение Грузии с 80-х годов X до 80-х годов XI в. – *Очерки истории Грузии*, т. III. Тб., 1979, с. 159 (на груз. яз.);
15. **В. Гучуа.** Баграт III. – *Грузинская советская энциклопедия*, т. II. Тб., 1977 на груз. яз.);
16. *История Грузии.* Словарь. Составитель **Р. В. Метрели.** Тб., 1979 (на груз. яз.);
17. *Корпус грузинских надписей*, т. I. Составил **Н. Шошиашвили.** Тб., 1981 (на груз. яз.);
18. *Корпус грузинских надписей*, т. II. Составил **В. Силогава.** Тб., 1980 (на груз. яз.);

19. **З. В. Папаскири.** Возникновение единого грузинского феодального государства и некоторые вопросы внешнеполитического положения Грузии. Тб., 1990 (на груз. яз.);
20. **З. В. Папаскири.** От Давида до Давида. *Из истории международных отношений Грузии. 70-е годы X – 80-е годы XI вв.* Тб., 2001 (электрон. версию см.: <http://sites.google.com/site/zpapaskiri/publications-georgian>).
21. **В. Г. Силагадзе.** Сведения Яхьи Антиохийского о взаимоотношениях Грузии и Византии в последней четверти X и первой четверти XI вв. – *Грузинское источниковедение*, VI. Тб., 1985 (на груз. яз.);
22. **Г. Джапаридзе.** Арабские названия грузин и Грузии. – В кн.: *Иностранная и грузинская терминология, обозначающая понятия «Грузия» и «грузины»*. Тб., 1993 (на груз. яз.);
23. **Н. Н. Шенгелия.** Садр ад-дин Хусейни о походе Алп-Арслана в Грузию и страны Закавказья. – *«Разыскания по истории Грузии и Кавказа»*. Тбилиси, 1976, с. 192-193 (на груз. яз.);
24. **В. Ф. Минорский.** История Ширвана и Дербенда. М., 1963;
25. **Ан-Насави.** Жизнеописание султана Джалал ад-Дина Манкбурны. Перевод, предисловие, комментарии, примечания и указатели **З. М. Бунятова**. Баку, 1973;
26. *Сведения Якута о Грузии и Кавказе.* Арабский текст с грузинским переводом и предисл. изд. **Э. Сихарулидзе**. Вып. 1. Тб., 1964;
27. **В. Г. Силагадзе.** К уточнению одного места сочинения Ибн ал-Асира «Тарих ал-Камил» (арабский текст с грузинским переводом). – *Грузинское источниковедение*, III. Тб., 1971 (на груз. яз.);
28. **Г. Джапаридзе.** Липарит Багваши в дипломатических отношениях между Византией и тюрками-сельджуками. – *Грузинская дипломатия.* Ежегодник, т. 5. Тб., 1998 (на груз. яз.).
29. **Г. Берадзе.** Материалы к истории Грузии XII в. в сочинении Ибн-Испандиара. – *Восточные материалы истории Грузии*. Тб., 1976 (на груз. яз.).
30. **А. И. Болдырев.** Два ширванских поэта – Низами и Хакани. – *Памятники эпохи Руставели*. Л., 1938;
31. **З. М. Бунятов.** Грузия и Ширван в I половине XII века. – *Грузия в эпоху Руставели*. Тб., 1966;
32. **А. П. Новосельцев, В. Т. Пашуто, Л. В. Черепнин.** Пути развития феодализма. М., 1972;
33. **Н. W. Duda.** Die Seltshukengeschichte des Ibn Bibi. Munksgard-Kopenhagen, 1859.

ONCE AGAIN ON THE MEANING OF THE TERMS “ABKHAZIA” AND “THE ABKHAZS” IN THE ORIENTAL SOURCES

Zurab Papaskiri, Sokhumi State Univeristy, Full Professor

RESUME

The Orientalists (as well as Byzantinists) frequently use, without making any comments, the terms “Abkhazia” and “the Abkhazs”, which are quite often mentioned in some Oriental sources of 11th-12th cc. Sometimes it leads to the incorrect interpretation of data. Despite the fact that the Georgian scholars had pointed to those inaccuracies a lot of times, the new works, in which the terms “Abkhazia” and “the Abkhazs” are given without any explanation, continue to appear. The newly-published book of Rauf A. Hussein-zade, the known Azerbaijani historian, “*The Caucasus and the Seljuks*” (Baki, 2010) is an obvious case of such action.

The article gives the appropriate data from the 11th-13th cc. Arabian (Yahya of Antioch, Sadr al-din Ali Ibn Nasir Husayni, Ibn al-Azraq al-Fariqi, Ibn al-Athir, Imad al-Din al-Isfahani, al-Azimi, an-Nasavi, Yaqut, etc.) and Persian (Khāqāni, Feleqi Şirvani, Ibn Ispandiar, Ibn Bibi, etc.) sources, which clearly show that in that period terms “Abkhazia” and “the Abkhazs” had been referred to the unified Georgian state and to its population on the whole. It is safe to say that the historical science knows no Oriental source dealing with the events of the 11th-12th cc. in which the terms “Abkhazia” and “the Abkhazs” have the other meaning. Therefore, the data of Arabian and Persian (as well as Byzantine, Armenian, old Russian, etc.) sources has to be handled with care, because the incorrect interpretation encourages some historians, the ideologists of the Abkhazian separatism, and they talk on and on about the “national state entity” of the ethnical Abkhazs in the 11th-12th cc., and about its independent acting in the international arena.

შიდა ქართლის ისტორიიდან (სოფელი ბელოთი)

გიორგი სოსიაშვილი

გორის სასწავლო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი

სოფელი ბელოთი მდებარეობს მდ. პატარა ლიახვის მარჯვენა ნაპირზე, ზღვის დონიდან 1160 მ, ხოლო ცხინვალიდან 15 კმ-ის დაშორებით, გუდისის ქედის სამხრეთით. გასული საუკუნის 70-იანი წლების ბოლოს, საქართველოში არსებული ადმინისტრაციული განაწილების მონაცემთა მიხედვით ბელოთი წარმოადგენდა სოფ. საბჭოს ცენტრს და მას მიეკუთვნებოდა შემდეგი სოფლები: ალბირი, აწრისხევი, ბისოთა, გნასური, გნული, გოზო, დელაგინა, დისიგინი, ელტურა, ზემო ზონკარი, ინაური, ლაცური, მალმიგათა, საკანაფო, სიათა, სოწი, ქვემო ზონკარი, შამშიეთი, შუაცხვირი, შულაური, ჩსიათა, ხადურიანთკარი, ხომური, ხურითა[16; 289]. ვახუშტი ბატონიშვილის აღწერით: “ამ მერისხევს ზეით ჩრდილოეთ კერძ არს ვანათი, პატარა ლიახვის კიდესა. მალა გორასზედა არს ციხე, ენეკვიდან წამოსულს მცირეს მთასა ზედა. ეს მთა გამოჰყოფს კულბითს – ვანათამდე სოფლებსა და საცხენისსა და ბელოთს და პატარა ლიახუს”[1; 369]. ბელოთი, პატარა ლიახვის ხეობის შუა და ზემო წელზე არსებული სხვა სოფლებთან ერთად, ქსნის საერისთავოში შედიოდა. ვახუშტი თხზულების მიხედვით ბელოთში ქსნის ერისთავებს თავიანთი ციხესიმაგრე და რეზიდენციაც ჰქონდათ: “აქა ბელოთს კეთილჰავისათვის ჰქმნა სასახლე, ქსნის ერისთავმან ყულარადასმან გიორგი საყოფელად თვისად” [1; 369]. ვახუშტის ცნობას ადასტურებს XVIII საუკუნის 70-იან წლებში საქართველოში ნამყოფი გერმანელი მოგზაურის --- იოჰან ანტონ გიულდენშტედტის ცნობაც, რომელშიც ჩანს, რომ ბელოთისა და ასევე პატარა ლიახვის ხეობაში არსებული სხვა სოფლების გამო დავა ჰქონიათ ქსნის ერისთავსა და მის ბიძაშვილს, ზემოთხსენებულ გიორგი ყულარადასს. გიულდენშტედტი წერს:

“...საღამოს მესტუმრა ერისთავის ბიძაშვილი გიორგი, რომელიც ატარებს სპარსულ ტიტულს – ყულარადასს და რომელსაც ერისთავმა (ქსნის ერისთავზეა საუბარი - გს.) ბევრი დავის შემდეგ დაუთმო ბელოთი და რამდენიმე სოფელი პატარა ლიახვზე” [4; 99]. იოანე ბაგრატიონს თავის თხზულებაში: “ქართლ-კახეთის აღწერა” ბელოთი მოხსენიებული აქვს იმ სოფლების ნუსხაში, სადაც არიან “პატარა ლიახვის ხეობაზედ მცხოვრებნი ოსნი და შიგ ნახევრად ქართველნიცა”.

“ქ. საცხენისი, მოსახლე, ედემ ქალაქი, მოსახლე, ბელოთი, მოსახლე...” [3; 38]. პატარა ლიახვის ხეობის ზემო წელზე იოანე ბაგრატიონი ოსებს შემთხვევით არ ასახელებს. ჩრდილოეთიდან მიგრირებული ოსები XVIII საუკუნის ბოლოს იკავებდნენ შიდა ქართლის მთიან ნაწილს. როგორც პროფ. რ. თოფჩიშვილი აღნიშნავს, “XVIII ს-ის ბოლოსათვის სამხრეთის მიმართულებით (ისევე მთაში) ოსებმა რამდენიმე ახალი სოფელი შექმნეს, უფრო სწორედ, ქართველთა ნასოფლარებში დასახლდნენ... საერთოდ არ ცხოვრობდნენ ოსები ფრონეების ხეობაში (ე.წ. ზნაურის რაიონი). კომპაქტური დასახლებანი ჰქონდათ მხოლოდ დიდი ლიახვის, პატარა ლიახვის მთიან ნაწილში, აგრეთვე თრუსოსა და კუდაროში”[9; 148]. იოჰან ანტონ გიულდენშტედტს პატარა ლიახვის ხეობის აღწერისას დასახელებული აქვს “ოსური მხარეები”, ამ “ოსურ მხარეებში” იგულისხმება ჩრდილოეთიდან ჩამოსული ოსებით დასახლებული სოფლები.

“ოსურ მხარეებში” ი. გიულდენშტედტი ასახელებს იმ სოფლებსაც, რომლებიც არიან ქართველებით დასახლებული, “ნაწილობრივ სომხებთან შერევით, ესენია: საცხენისი, კარბი, მერეთი, ქსუისი, ბელოთი და სხვ. [4; 65]. თუმცა ბელოთში გერმანელი მოგზაური ქართულ ციხეს იხსენიებს: “გავიარე 30 ვერსი დასავლეთით შუა ალპების თხემზე და დავეშვი ხეობაში, რომელშიც პატარა ლიახვი მოედინება. მას დავუყევი 30 ვერსის მანძილზე ქვევით და სამხრეთით გავიარე, ქართული ციხეები აწერისხევი, ბელოთი და ერედი”[4;153]. ისტორიკოსი ზ. ჭიჭინაძე მიუთითებს, რომ 1801 წლისათვის ქართველებთან ერთად ოსები ცხოვრობდნენ პატარა ლიახვის ხეობის სოფლებში: დიგში, აწერისხევში, ვანათში, ბელოთში და სხვ.[18; 153]. 1814 წლისათვის პატარა ლიახვის ხეობაში ოსური მოსახლეობის რაოდენობა 393 კომლს შეადგენდა. რ. თოფჩიშვილი მიუთითებს, რომ აქედან ადგილზე ცხოვრობდა 300 კომლი. “ჩანს, რომ პატარა ლიახვის ხეობიდან XIX ს-ის დასაწყისში ოსთა ინტენსიური გადასახლება მიმდინარეობდა დაბლობის სოფლებში და 83 კომლი მიგრირებული იყო” [9; 164]. პატარა ლიახვის ხეობაში ჩამოსახლებული ოსები შიდა ქართლის სხვადასხვა ადგილებში გადასახლდნენ.

1830-1831 წწ. აღწერის მიხედვით ბელოთში 16 ქართული კომლი სახლობდა, მათ შორის დემეტრაშვილები, ტერაშვილები, ჩიფჩიურები და სხვ.

პატარა ლიახვის ხეობაში არსებული სოფლებიდან ბელოთი სტრატეგიული მდებარეობით გამოირჩეოდა. როგორც კ. ზაქარაია აღნიშნავს: “მდ. პატარა ლიახვის ხეობას მალრან-დვალეთსა და უფრო ზემოთ, ჩრდილოეთისაკენ მიმავალი გზა მიუყვებოდა, შუა საუკუნეებში, თუ უფრო ადრე, ჩრდილოეთიდან, კავკასიის მთაგრეხილის გაღმიდან, ხშირად შემოდოდა მტერი, მას კი სათანადო დახვედრა სჭირდებოდა. ამ მიზნით ქვეყნის თუ, კერძოდ, ხეობის მესვეურნი აქ გამავალ გზას ყოველ დროში ამაგრებდნენ. სწორედ ამის შედეგია, რომ ამ ხაზზე შუა ფეოდალური ხანიდან ციხეები და კოშკებია ჩარიგებული, ხოლო უფრო ადრეული, ალბათ მიწის ქვეშაა სამეხნი. გვიანი საუკუნეების ერთ-ერთი მთავარი ციხე-დარბაზი ბელოთშია”[7; 131]. ბელოთის ციხეს გიულდენშტედტის გარდა მეორე გერმანელ მოგზაური იაკობ რაინეგსიც იხსენიებს.

ი. რაინეგსი წერს: “ქართლის ყველაზე ბევრი და მჭიდრო მოსახლეობა ახლაც ისევე როგორც წარსულში, უნდა ვეძებოთ დასავლეთ კავკასიონის სამხრეთ ნაწილის მთისწინეთსა და შუა მთებში. მთელი ზოლი მრავალტონიან მდინარე ქსანსა, ლარგვსა და პატარა ლიახვს შორის (ამ უკანასკნელის მარცხენა ნაპირზე ძვეს მაგარი მთის ციხე ბელოთი) უკავიათ რუს გვარის მრავალრიცხოვან ოჯახებს”[13; 149]. ადრეფეოდალურ ხანაში პატარა ლიახვის ხეობის ზედა ნაწილს, მათ შორის იმ ტერიტორიას, სადაც სოფელი ბელოთი მდებარეობს, საცხუმეთი ეწოდებოდა. ეს სახელწოდება დადასტურებულია VII საუკუნის სომხურ გეოგრაფიაშიც, სადაც გვხვდება საცხუმეთის ხევი[10; 40]. პროფ. ჯ. გვასალია განმარტავს, რომ საცხუმეთი აღნიშნულ პერიოდში ერქვა პატარა ლიახვის მარჯვენა ნაპირს[5;25]. ადრეფეოდალურ ხანაში საცხუმეთი იყო პატარა ლიახვის ქვემო წელის, იგივე სომხურ გეოგრაფიაში მოხსენიებული ქორდითირიკოს ხევის გაგრძელება[14; 10].

სოფელ ბელოთს შუასაუკუნეებში განსაკუთრებულ მნიშვნელობას სძენდა პატარა ლიახვის ხეობაში არსებული და ძველი დროიდან მოქმედი გზები, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელი იყო დაკავშირება როგორც ქვეყნის სხვადასხვა კუთხეებთან ასევე ჩრდილოეთ კავკასიასთანაც.

როგორც აღინიშნა, ბელოთი შუასაუკუნეებში ქსნის ერისთავის მფლობელობაში შედიოდა. ხოლო XVIII საუკუნის II ნახევარში პატარა ლიახვის ხეობის სოფლები, მათ შორის ბელოთი სამეფო ხელისუფლების კუთვნილება გახდა. ამაში დიდი როლი შეასრულა გიორგი ყულარადასის განდგომამ.

დავით ბატონიშვილის ცნობით ქსნის ერისთავის გიორგი ყულარადასის დასჯის შემდეგ ერეკლე II-მ პატარა ლიახვის ხეობა იულონ ბატონიშვილს გადასცა [2; 25]. იულონ ბატონიშვილი ხეობის ერთ-ერთ სოფელში – ბელოთში დამკვიდრდა.

თუმცა, ქსნის ერისთავების წინააღმდეგობა ამით არ ჩამცხრა. ისინი კვლავ ესწრაფოდნენ პატარა ლიახვის ხეობის დაუფლებას. 1788 წლით თარიღდება დარეჯან დედოფლის ერთი წერილი, საიდანაც ჩანს, რომ დედოფალი ოთარ ამილახვარს ავალებდა ბელოთში მყოფი იულონისათვის გადაეცა ცნობა ქსნის ერისთავთაგან მოსალოდნელი საფრთხის შესახებ:

“ქ. ჩემს შვილს იულონს ესეც ასე შეატყობინე, რომ ეხლა ბელოთს დგას მაგდენი სიფრთხილე და თადარიგი ხომ არ იქნება რა, ქსნის ერისთავის შვილები ახალციხეს რომ წავიდნენ. ახლა იულონის ბელოთს დგომა აღარ ვარგა, აიყაროს და ცოლ-შვილით გორს ჩამოვიდეს და დადგეს. მეც ასე მემჯობინება და სხვანი ბევრნიც ასე არჩევენ და თქვენ კი არ ვიცი”. [17;65]. იულონ ბატონიშვილის ბელოთში დამკვიდრების შემდეგ აღნიშნული სოფელი კულტურის მნიშვნელოვან კერად იქცა. იულონის დროს ბელოთში მოღვაწეობდნენ ცნობილი ქართველი მწიგნობრები: იასე ბარათაშვილი (1728-1786) და სოლომონ ალექსიშვილი (1742-1808) [11;53], ხოლო ცოტა უფრო მოგვიანებით ბელოთთან მჭიდროდ იყო დაკავშირებული იოანე ქართველიშვილი, რომელიც იულონ ბატონიშვილის აღმზრდელი და კარის მწიგნობარი გახლდათ. 1794 წელს, იოანე ქართველიშვილი, იულონის მიწვევით სამეფო კარზე მცირეწლოვანი ბატონიშვილების აღმზრდელად იწყებს მსახურს. თავის მოგონებებში იოანე ქართველიშვილი დიდ ადგილს უთმობს სოფ. ბელოთს, როგორც ჩანს იგი უმთავრესად ბელოთში იდგა.

მისი თხზულებიდან ვიგებთ, რომ იოანეს თავისი შვილი იულონის ძისათვის – ლევან ბატონიშვილისათვის მოუნათვლინებია. “წელიწადსა 1800. ქორონიკონს უკ დაწყებაში მეფის ძე იულონ აიყარა ფომილით ბელოთიდან და ქრცხინვალს, ჩამოვიდა. მეც ჩამოვეყ თან და თქვენც ჩამოგიყვანე, შვილებიო, აქ მომეცა ღუთისაგან ძე ძმა შენი იანვრის კ. ზ. (27) რომელიც მოვანათვლინე მეფის ძის ძეს ლეონს და უწოდე გაბრიელი. [15;81]. იოანე ქართველიშვილს ოჯახიც ბელოთში ჰყოლია. აქ მას დედა გარდაცვლია, რომელიც წამოუსვენებია და არბოს ეკლესიაში დაუკრძალავს. “ამ კულბით დგომასი დედაჩემი, ბებიათქვენი (მიმართავს შვილებს - გს.) დიდათ ავად იყო, ამდენი ვერ მოვიცალე, რომ სანახავად ამოვსულიყავ, არა თუ ჩემი საქმე მქონდა ბატონიშვილი თავს არ მანებებდა, რომ ნიადაგ საქმეები ჰქონდა და სხვა მწერალი არავინ ჰყვანდა.

ერთდ დღეს დავეთხოვე, ამოველ ბელოთს, დედაჩემი ვნახე და მეორე დღეს ისევ დავაბარებინე, წამიყვანეს, ჩემი ცოდვით და უბედურებით ამისთანას ჟამს მომივიდა ჰამბაგი, რომ დედაჩემი აღსრულებულიყო, მასის დ(4) წამოველ და იმ დამეს მოველ ბელოთს, სადამოს ხანზე შევიტყვე, დღის ერთი საათი იქნებოდა გასული და მოველ; ბელოთს ხომ ეკლესია არ არის მიცვალეზულის დასამარავი. მეორე დღეს რითაც ღონით იყო ვცადე რომ მივალეზულიარბოს ეკლესიაში ჩავიტანე და იქ დავმარხე. კაცი გამოეგზავნა ბატონიშვილს იულონს, ზევით აღარ გამიშვა, იქიდან ისევ კულბითს გამიყვანეს. ამ დროს მისთანა მწუხარებაში მომადგა მშობელს და მოამაგეს დედის სიკვდილზედ. ამგვარად მოუცლელობა თქვენ იქ ბელოთს იყავით უპატრონოთ, ეს კიდევ სხვა საწუხარი იყო. დღე ყოველ შფოთს მოველოდები მას გარდა ეს კიდევ სხვა საწუხარი ჰქონდა”[15; 95]. იულონ ბატონიშვილს XVIII-XIX საუკუნეთა მიჯნაზე გიორგი XII მემკვიდრე დავით ბატონიშვილი დაუპირისპირდა, რომელიც თვისი ბიძის წინააღმდეგ რუსთა რაზმებს იყენებდა. იოანე ქართველიშვილის მემუარებიდან ჩანს, რომ იულონი მოერიდა ძმისწულთან შებმას, ბელოთიდან აიყარა და იმერეთს გაიხიზნა. ბელოთიდან წასვლის შემდეგ ის მცირე ხნით ცხინვალში შეჩერებულა, სადაც სიჩქარის გამო ხაზინა დარჩენია[15; 95]. ამას ადასტურებს დავით ბატონიშვილი.

მისი გადმოცემით:

“ხოლო რაჟამს სახლეულნი მეფის ძის იულონისანი იყვნენ ღიახვზედ – ბელოთს, რომელიცა აქუნდა ამას მამული ესე საბატონიშვილოდ, მსმენელმან ამან მეფისძემანცა დავით მუნ წარგზავნა ქსნის ერისთავის შვილნი, რათა განდევნონ მუნითმცა იულონ და დაიპყრან ღიახვი თვისად. მისრულთა ზემო ქართლს ჯარითა ჰყვენ ყოველივე ნაბრძანები მისდა. ხოლო მეფის ძე იულონ და ფარნაოზ გარდავიდნენ იმერეთს დედაწულით თვისით დისწულისა თვისთანა მეფეს სოლომონთან და მუნ დაასადგურა ჭალატყესა და განუწესა საზრდოთ” [2; 58-59]. “მრწყემსის” კორესპონდენტი 1891 წლის კორესპონდენციაში, სადაც სოფ. არბოს სიწმინდეებზე საუბრობს, ეხება ბელოთსაც და აღნიშნავს, რომ არბოს დეკანოზს ანდრია ჟურულს კავშირი ჰქონდა ბელოთის ციხეები გამაგრებულ იულონ ბატონიშვილთან. ამ კორესპონდენციაში იხსენიებს მის მიერ მოზდოკში გატანილ ბელოთის მაცხოვრის ეკლესიის იესო ქრისტეს ხატს, რომელიც ანდრიას წაუღია”. [12;20]. 1804 წლის მთიულეთის ამბოხების შემდეგ იულონ ბატონიშვილი რუსებმა შეიპყრეს და შორეულ ქვეყანაში გადაასახლეს. თუმცა პატარა ღიახვის ხეობა და განსაკუთრებით სოფელი ბელოთი ანტირუსული გამოსვლების ერთ-ერთ კერას წარმოადგენდა. ამას ადასტურებს 1807 წ. პოლკოვნიკ შტაუდის წერილი გრაფ გუდივიჩისადმი, საიდანაც ჩანს, რომ ბელოთის სნეკვის და (გურთული?) მცხოვრებმა გლეხებმა ასი კაცი შეკრიბეს და მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს კაზაკთა რაზმს”. [17;54]. სოფელ ბელოთში მთის პირობების შესაბამისად მოსახლეობა მისდევდა უმთავრესად მესაქონლეობას, იმის გამო, რომ სახნავ-სათესი მიწები აქ უხვად არ იყო ვხვდებით ისეთ ფაქტებს, როდესაც ადგილობრივი მაცხოვრებლები პატარა ღიახვის ხეობის ქვემო წელზე არსებულ სოფლებისაკენ მიიწევდნენ და აქ ითვისებენ სავარგულებს. ამას ადასტურებს 1786 წლის ერთი დოკუმენტი საიდანაც ვიგებთ, რომ ბელოთელ გლეხებს გიორგი ფისაძე და ბერი ჩიფჩიური მამულს ამუშავებდნენ ქორდში, რის სანაცვლოდაც მათ ეკლესიისათვის კულუხი უნდა გადაეხადათ[14;37]. ბელოთის როგორც ისტორიული სოფლის მდიდარ წარსულზე მეტყველებს მის ტერიტორიაზე შემორჩენილი ხუროთმოძღვრული ძეგლები, აქედან აღსანიშნავია ბელოთის ციხე, რომელიც აგებულია XVII-XVIII საუკუნეებში[7; 131]. როგორც აკად. პ. ზაქარაია აღნიშნავს: “ბელოთის ციხე XVIII საუკუნეში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი იყო”[7; 131]. აღნიშნულმა ციხემ დიდი როლი შეასრულა, პატარა ღიახვის ხეობაში ლეკიანობის აღკვეთის საქმეში, ასევე რუსული ძალმომრეობის ბრძოლის თვალსაზრისითაც.

ბელოთის ციხე ეს იყო პატარა ღიახვის ხეობის ცენტრი, ამიტომ მიეცა მას გაცილებით დიდი დატვირთვა XVIII-XIX საუკუნეთა მიჯნაზე.

1801 წლიდან ბელოთის ციხე რუსის ჯარმა დაიკავა. ციხის გარდა ბელოთში შემორჩენილია რამდენიმე ტაძარი, მათ შორის მაცხოვრის სახელობის, რომელსაც პ. ზაქარაია X საუკუნით ათარიღებს. ეკლესიისათვის 1885 წელს ზარი შეუწირია ქეთევან დიმიტრის ასულ ერისთავს. [12; 132]. ნანგრევების სახით შემორჩა წმ. მარინეს სახ. ეკლესია, ასევე ღვთისმშობლის სახელობის ტაძარი, რომელიც ჩვენი აზრით გვიანფეოდალური ხანით უნდა დათარიღდეს.

სოფ. ბელოთი 1922 წლის 20 აპრილს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დეკრეტით სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქს მიაწერეს.

აღნიშნულ დეკრეტში ჩამოთვლილია რამდენიმე საზოგადოება, მათ შორის თამარაშენის, ცხინვალის, წუნარის, დირბის, ავლევის, მერეთის, ბელოთის, ბელოთის საზოგადოებაში შედიოდა 8

სოფელი: აწერისხევი, საცხენეთი, ხაშურა, ხადურთანთკარი, ბელოთი, ზემო ავნევი, ქვემო ავნევი. [8; 88-89]. სოფ. ბელოთში გავრცელებული ტოპონიმებიდან შეგვიძლია დავასახელოთ:

მანავლები, ქაშეთი, სამარილები, ნასერალი, საჯვარე, ფოხალა, წმინდა მარინე, ლომისა, ჩიკოკარი, ავაზანი, ვაკემთა, ციხემთა, დიდვაკე, ნადრასელები, ბეროსახო, ჯუკაანთკარები, ტერანთახო, ნარუჯები, გურჯელა, საპიტნე, საგოჭეები, ცხანარები, გოგინახო, დიდმიწები, ლაშეები, ტირიფები.

რაც შეეხება აქ მაცხოვრებელ გვარებს, ესენი არიან: დემეტრაშვილები, ჩიფჩიურები, ტერაშვილები, წინარიძეები, არჩუაძეები, როველაძეები, ფისაძეები.

ლიტერატურა:

- 1) ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. IV, თბ., 1973;
- 2) ბატონიშვილი დ., მასალები საქართველოს ისტორიისათვის, თბ., 1906;
- 3) ბაგრატიონი იოანე, ქართლ-კახეთის აღწერა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და საძიებლები დაურთეს თინა ენუქიძემ და გურამ ბედოშვილმა, თბ., 1986;
- 4) გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო გ. გელაშვილმა, ტ. II, თბ., 1964;
- 5) გვასალია ჯ., აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ნარკვევები, თბ., 1983;
- 6) გვრიტიშვილი დ., ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1955;
- 7) ზაქარაია პ., საქართველოს ძველი ციხე-სიმაგრეები, თბ., 1988;
- 8) თოიძე ლ., როგორ შეიქმნა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, თბ., 1991;
- 9) თოფჩიშვილი რ., საქართველოში ოსთა ჩამოსახლებისა და შიდა ქართლის ეთნოისტორიის საკითხები, თბ., 1997;
- 10) კაკაბაძე ს., ქართული სახელმწიფოებრიობის გენეზისის საკითხები, საისტორიო კრებული, II, თბ., 1924;
- 11) მენაბდე ლ., ძველი ქართული კულტურის კერები, თბ., 1990;
- 12) მეგრელიძე ი., სიძველეები ლიახვის ხეობაში, ტ. II თბ., 1997;
- 13) რაინესი ი., მოგზაურობა საქართველოში, თბ., 2002;
- 14) სოსიაშვილი გ., პატარა ლიახვის ხეობის ისტორიიდან, თბ., 2007;
- 15) ქართველიშვილი ი., მემუარები, ა. იოსელიანის რედ. თბ., 1952;
- 16) ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. VI, თბ., 1983;
- 17) ცოტნიაშვილი მ., ცხინვალის ისტორიისათვის, ცხინვალი, 1966;
- 18) ჭიჭინაძე ზ., ოსეთის ისტორია, ტფ., 1913;
- 19) АКАК, т. III, Тиф. 1869.

FROM THE HISTORY OF SHIDA KARTLI (THE VILLAGE OF BELOTI)

Giorgi Sosiashvili, Gori Teaching University, Associate Professor

RESUME

The village of Beloti is distinguished with its long and rich history in the Small Liakhvi Gorge. Since the Middle Ages Beloti, like other villages of the small Liakhvi gorge, was included in the administrative unit – “Ksnis Saeristavo”. The village acquired special importance for the roads here which made it possible to connect easily not only to the various corners of Georgia but also to the North Caucasus. With the purpose of controlling the gorge, a fortress was constructed that has not lost its importance up to the XIX century. In the 20^s of the XX century, according to the resolution of the Bolshevik Authority, Beloti, like other villages, was admitted within the borders of the South Ossetia Autonomy.

**ცარიზმის დისკრიმინაციული საგანმანათლებლო პოლიტიკა აფხაზეთში
(მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარი)**

ნიკა ფარცვანია

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი,

ბაკალავრიატის სწავლების პირველი წლის სტუდენტი

ხელმძღვანელი: **ბორის კვარაცხელია**, ასოცირებული პროფესორი

მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში მეფის რუსეთმა დიდი დანაშაული ჩაიდინა. აფხაზები როგორც არაკეთილსაიმედო და დამნაშავე ხალხი, მშობლიური ადგილებიდან აყარა, თურქეთში გადაასახლა და მუჰაჯირებად აქცია. ასეთი დანაშაულებრივი პოლიტიკის მიზანი საქართველოდან ამ ძირძველი კუთხის ჩამოცილება, აფხაზეთში რუსეთის იმპერიის შიდა გუბერნიებიდან რუსების ჩამოსახლება და მისი საბოლოო კოლონიზაცია იყო.

რუსეთის ველიკოდერჟავული პოლიტიკის მიზნები და ამოცანები ჩამოაყალიბა ცნობილმა რუსმა მავრაზმელმა, საქმოსანმა ა. ვ. ვერეშჩაგინმა რუსეთის საიმპერატორო ეკონომიკური საზოგადოების საერთო კრებაზე 1878 წ. 9 იანვარს წარმოდგენილ მოხსენებაში: „Никто полагаю, так же не будет отрицать, что на черноморском побережье Кавказа, как на окраине государства, стоящей так много Русской крови и денег, по праву должны господствовать: церковь русская, язык русский, грамота русская... Низкий уровень образования поселян вызывает необходимость основания школ, так как только школою это разноплеменное население в будущем может сделаться русским“ [9,22].

ცარიზმის ზრახვას, ჩამოეშორებინა აფხაზეთი საქართველოსგან, დაუპირისპირდა იმდროინდელი ქართული პრესა, რომლის მეშვეობით იქმნებოდა საზოგადოებრივი აზრი იმის შესახებ, რომ აფხაზეთის დაცარიელებული ადგილები მხოლოდ აფხაზებს და ქართველებს უნდა აეთვისებინა. ამ მხრივ აღსანიშნავია გაზეთები: „დროება“, „ივერია“, „ცნობის ფურცელი“, „ისარი“, „მომამბე“, „Тифлиский вестник“, „Кавказ“, „Огонь“ და სხვა. მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის მოწინავე ქართულმა ინტელიგენციამ გრიგოლ ორბელიანის, ილის ჭავჭავაძის, იაკობ გოგებაშვილის, აკაკი წერეთლის, სერგი მესხის, გიორგი წერეთლის, ნიკო ნიკოლაძის, იონა მეუნარგიას, ზაქარია ჭიჭინაძის და სხვათა სახით დაგმო აფხაზი ხალხის მიმართ განხორციელებული დანაშაულებრივი ქმედება.

იაკობ გოგებაშვილი კონკრეტული არგუმენტების მოტანით ასაბუთებს, რომ მხოლოდ მეგრელებს შეუძლიათ გაუძლონ აფხაზეთის ჭაობიან ადგილებს, მის ჰავას და არა რუსებს. „მეგრელის ორგანიზმი, - წერს ის, - ყველაზე უკეთ იტანს ჭაობის ავთვისებიან ჰაერს. გარდა ამისა მეგრელებს გააჩნიათ კარგი დამსახლებლებისთვის საჭირო სხვა თვისებებიც. სხვა ქართველი ტომების მსგავსად, ისინი დიდ სიყვარულსა და უნარს იჩენენ საწარმო შრომისადმი და, მამსადადმე, სავსებით შეძლებენ გამოიყენონ აფხაზეთის მდიდარი ბუნება, საქმიანად ისარგებლონ მისი იშვიათი ბუნებრივი სიმდიდრით: აფხაზეთის ნაყოფიერ მიწებზე მათ შეუძლიათ ფართოდ განავითარონ მიწათმოქმედება, ხელი მოჰკიდონ სატყეო მრეწველობას ტყის სიუხვის გამო, გააფართოონ მეღვინეობა... მეგრელები დიდ ნიჭს იჩენენ სავაჭრო საქმესა და კომერციულ წამოწყებაში და ამ მხრივ გამონაკლისს შეადგენენ სხვა ქართულ ტომთა შორის... რაც შეეხება პოლიტიკურ კეთილ-საიმედობას, - მეგრელები როგორც სხვა ყველა ტომის ქართველები, ამ მხრივ იმდენად საიმედონი არიან, რომ მეტის სურვილიც არ შეიძლებან“. [5,90].

1903 წ. ილია ჭავჭავაძე სოხუმში ჩავიდა. ერის დიდი მოჭირნახულე, ადგილობრივმა საზოგადოებამ დიდი პატივით მიიღო და საზეიმო შეხვედრა მოუწყო. სამადლობელ სიტყვაში მან აღნიშნა: „მე ჩემის ამხანაგების მაგიერ და ჩემ თავად დიდს მადლობას მოგახსენებთ ამ გადამეტებულ პატივისცემისათვის და ღმერთს ვთხოვ, გიხსნათ თქვენ, აქაური ქართველები იმ საშინელი განსაცდელისგან, რომელიც მე სულთამხუთავივით თვალთ ამეტუზა, როცა აქაურობა დავიარე და დავათვალიერე. დღეს, აქამომდე ამ მშვენიერს აფხაზ-ქართველთა მიწა - წყალს ხმლით ვინახავდით და ასე თუ ისე შევიწინახეთ კიდეც. დღეს ხმალი ქარქაშში ჩაეგო: დღეს სხვა მტერი მოდის, როგორც ვხედავ, ისე გულ-და გულ და პირდაპირი-კი არა, როგორც პატიოსანი ხმალი, არამედ ჩუმად, ქურდულად, როგორც მაცდური და მპარავი, იგი მტერი ფულია, გაიძვერა და მზაკვარი. იგი ღიმილით და ალერსით მოგეცევათ და ისე გამოგაცლით ხელიდან ამ ლამაზს, ტურფას, მდიდარს ქვეყანას, რომ პირველ ხანში იქმნება მადლობელიც გაუხდეთ. კიდეც ვიტყვი: ღმერთმა გიხსნათ ამ საშინელ მაცდურისაგან, ღმერთმა ჰქნას და თამამ ხმლისაგან უძლეველნი არ იძლივნეთ მხდალ და მშიშარ ფულისგან და შეინარჩუნოთ ეს ქართველის სისხლით მორწყული ქვეყანა თქვენდა სადღეგრძელოდ და თქვენთ შვილთა და მახლობელთა საბედნიეროდ და თავ-მოსაწონებლად.“ [3].

ცნობილია, რომ რუსეთის კოლონიურმა პოლიტიკამ ვერ გაამართლა, რისეთის შიდა გუბერნიები-

დან გადმოსახლებულები ვერ უძლებდნენ ადგილობრივ პირობებს. ისინი ციებ-ცხელებისაგან იხოცებოდნენ.

მას შემდეგ, რაც საკოლონიზაციო პოლიტიკამ რუსეთის მთავრობის იმედები ვერ გაამართლა, მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან ცარიზმი აფხაზების მიმართ მეტად ლოიალური გახდა. ამჯერად ის აფხაზეთში ანტიქართული განწყობილების დანერგვას იწყებს, რაც მიზნად ისახავდა ამ ორი ხალხის ერთმანეთზე გადაკიდებას, მათ შორის შუღლის ჩამოგდებას. ამ მიზნის მისაღწევად იხმარეს ისეთი სასიამოვნო და კულტურული მოვლენა, როგორც არის მწერლობის შექმნა აფხაზურ ენაზე.

ეს იყო ცარიზმის მორიგი ცბიერი ნაბიჯი. აფხაზური დამწერლობის შექმნას უფრო პოლიტიკური მისია გააჩნდა, ვიდრე კულტურულ-საგანმანათლებლო. რუსეთის ადმინისტრაციას სრულებით არ აინტერესებდა აფხაზეთში განათლების შექმნა. ამის შესახებ მეფის ნაცვლის საბჭოს წევრი ე.კვიციანიშვილი და, ცინიკურად აცხადებდა: „Абхазский язык, не имеющий письменности и литературы, обречен, конечно, на исчезновение в более или менее близком будущем. Вопрос в том: какой язык его заменит?.. Очевидно, что роль проводника в население культурных идей и понятий должен был бы играть не грузинский, а русский язык. Мне кажется поэтому, что учреждение абхазской письменности должно быть не целью само по себе, а только средством к ослаблению, путем церкви и школы потребности в грузинском языке и постепенной замене его языком государственным“ [12,96].

მეცხრამეტე საუკუნის 60-იან წლებიდან საიმპერატორო რუსული გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილება დიდ ინტერესს იჩენდა კავკასიელი ხალხების ენებისადმი. ზემოთ აღნიშნულმა საზოგადოებამ აფხაზური ანბანის შესამუშავებლად გენერალ ი. ბარტოლომეის თავმჯდომარეობით შექმნა კომისია, რომელშიც შევიდნენ: დ. ფურცლადე, ვ. ტირიოგოვი, კომისიის მუშაობაში მონაწილეობდნენ აფხაზეთის მკვიდრნი: კონსტანტინე და გრიგოლ შარვაშიძეები, ივანე გეგია, გიორგი ქურციკაძე, სიმონ ეშბა. კომისიამ გადასინჯა პ. უსლარის მიერ 1862 წ. შედგენილი აფხაზური ანბანი, და იგი მიზანშეწონილად სცნო. ამრიგად, 1865 წ. თბილისში გამოიცა პ. უსლარის რუსული გრაფიკის საფუძველზე შექმნილი პირველი აფხაზური ანბანი, მაგრამ მან ვერ ჰპოვა გავრცელება და მხარდაჭერა აფხაზებში. პ.უსლარმა აფხაზური ბგერების გამოსახატავად მხოლოდ 24 ნიშანი აიღო, დანარჩენი კი თვითონ შეთხზა. ეს ნიშნები დამწერლობისთვის სრულიად გამოუსადეგარი აღმოჩნდა.

დღის წესრიგში დადგა ახალი ანბანის შექმნის საკითხი. დიმიტრი გულიამ კონსტანტინე მაჭავარიანთან ერთად დაიწყო აფხაზური ანბანის შექმნა. იმავე წელს გამოვიდა რიგით მეორე აფხაზური ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, რამაც საფუძველი ჩაუყარა მწიგნობრობას აფხაზეთში. ქართველი მოწინავე ინტელიგენცია მიესალმა ანბანის შექმნას, როგორც მნიშვნელოვან კულტურულ მოვლენას, მაგრამ ამავე დროს ამხილეს და დაგმეს მეფის ხელისუფლების მოხელეთა მცდელობა, ეს ანბანი ქართველთა და აფხაზთა შორის მტრობის ჩამოსაგდებად გამოეყენებინათ.

ცარიზმის მზაკვრულ ჩანაფიქრზე, გამოეყენებინათ დამწერლობა ქართველთა და აფხაზთა ისტორიულ - კულტურული ერთობის წინააღმდეგ და ჩამოეგდო შუღლი ამ ორ ხალხს შორის, საუბარია პეტრე ჭარაიას წერილში, რომელიც გაზეთ „ისარში“ გამოქვეყნდა. როგორც ის აღნიშნავს - „აფხაზური ენა იმდენად მდიდარია სხვადასხვა ბგერით, რომ ის უსლარმაც ვერ შენიშნა, რადგან ვერც ერთი ალფავიტი, მათ შორის რუსულიც ვერ გამოხატავს ამდენ ბგერას. ამიტომ აფხაზური ანბანის შედგენაში საფუძველად უნდა მიეღოთ ქართული ანბანი, რადგან ქართული ენა ბგერათა სისტემის მხრივ ყველაზე მეტად უახლოვდება აფხაზურს... მაგრამ მაშინ გაავრცელეს აფხაზებს შორის ხმა: „ქართველებს უნდათ მოგისპონ ენა და ეროვნებაო, იმათ სურთ თქვენი გაქართველებაო. ასეთი ცრუ მოწმობითა და ქადაგებით, იმდენად მოიხიბლა და გაფანატიკოსდა ზოგი, რომ ღვთის წყალობა რომ გეთქვა, ღვთის წყრომად ჩავითვლიდნენ“ [6].

აფხაზეთში ცარიზმის დისკრიმინაციულ ენობრივ პოლიტიკას წინ აღუდგა გამოჩენილი ქართველი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე იაკობ გოგებაშვილი. მისთვის სრულიად ნათელი იყო, რომ მშობლიური ენის განდევნა, აფხაზურის ნაცვლად რუსულ ენაზე სწავლის მიზანი იყო აფხაზების ასიმილაცია, მათი საქართველოდან ჩამოცილება. ამიტომ მას საჭიროდ მიაჩნდა აფხაზი ხალხის კულტურული განვითარებისთვის აფხაზურ ენაზე წიგნების გამოცემა, მათი მშობლიური მწერლობის განვითარება. როგორც ის აღნიშნავდა: „- აფხაზ და ქართველ პედაგოგებს ადვილად შეუძლიათ რამდენიმე თვის განმავლობაში შეადგინონ შეერთებული ძალით აფხაზური „დედა-ენა“ და დაბეჭდონ იგი. პირველად ჩვენ მზად ვართ ყოველი დახმარება აღმოუჩინოთ შეძლებისდაგვარად, ტრადიციული ძმობის და ერთობის მოციქულებს, მეტადრე ახლის მწიგნობრობის შექმნასა და გამოცემაში. თუ ადგილობრივები ვერ შეძლებენ ამ წიგნების დაბეჭდვას, გამოუგზავნონ თბილისში „წერა-კითხვის საზოგადოებასო და იგი დიდი სიამოვნებით გამოსცემს თავის ხარჯითო [10,174].

როცა ზოგიერთი ქართველი მოღვაწე უარყოფითად შეხვდა აფხაზურ ენაზე საღვთო წიგნის თარგმნას და რელიგიური რიტუალების შესრულებას, ი. გოგებაშვილმა დაგმო ეს. მისი აზრით აფხაზებს უფლება ჰქონდათ მშობლიურ ენაზე ღვთისმსახურება, დამწერლობა. „ზოგი გაზეთების კორესპონდენტი,-

წერდა ის, - მტრულად ეპყრობა აფხაზურ ენაზე საღვთისმსახურებო წიგნის თარგმნას და ამ ენაზე ღვთისმსახურების შესრულებას. ეს მე მეტისმეტად მოცემა. მართალია, აფხაზეთი მრავალი საუკუნის მანძილზე შეადგენდა საქართველოს პოლიტიკური სხეულის ნაწილს, იქ ღვთისმსახურება სრულდებოდა ქართულ ენაზე და დამწერლობაც ქართულ ენაზე იყო თვით აფხაზთა სურვილისამებრ, მაგრამ ხომ უეჭველი ფაქტია, რომ აფხაზური ენა ქართული ენის კილო არ არის, არამედ დამოუკიდებელი ენაა, თუმცა ქართული ენის მონათესავე. როგორც დამოუკიდებელ ენას, მას უდავოდ აქვს უფლება თავის ღვთისმსახურებაზე, თავის დამწერლობაზე, თავის ხალხურ ლიტერატურაზე“ [10,200].

ერთ-ერთ თავის სტატიაში ის წერდა: „ჩვენ, ქართველებს, მხურვალედ გვსურს როგორც ჩვენი საღვთისმსახურო ენის, ისე ჩვენი მშობლიური ლიტერატურის განვითარება და გამდიდრება, მოვალენი ვართ, იგივე ვისურვოთ სხვა ეროვნებისთვისაც, მათ შორის აფხაზებისათვისაც“ [10,200] .

ცარიზმის რუსიფიკატორულ პოლიტიკაში ერთ-ერთი წამყვანი ადგილი ეკლესიას ეკავა. ქართველების გარუსებას მეფის ადმინისტრაცია ღვთისმსახურების რუსულ ენაზე გადაყვანით ცდილობდა. ამ მხრივ არც აფხაზეთი იყო გამონაკლისი. 1885წელს აფხაზეთი ცალკე ეპარქიად გამოცხადდა და აფხაზეთში ქართულ ენაზე ღვთისმსახურების აღსრულება აიკრძალა.

1890-იანი წლების მეორე ნახევრიდან ცარიზმი იწყებს მორიგ იერიშს ქართული ეკლესიის წინააღმდეგ. კერძოდ, ის დაადგა აფხაზეთის ეპარქიის საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიიდან გამოყოფისა და მისი რუსეთის სინოდისადმი დაქვემდებარების დანაშაულებრივ პოლიტიკას.

ქართველი ინტელიგენცია წინ აღუდგა ცარიზმის საეკლესიო პოლიტიკას. 1895წ. ჟურნალ „მომამბეში“ გამოქვეყნდა თედო სახოკიას წერილი, რომელიც ეხება აფხაზეთის ეკლესიაში არსებულ მძიმე ვითარებას. „1887 წლიდან, - წერდა იგი, - ახლად დადგენილმა სოხუმის ეპარქიამ 4 მღვდელთმმთავარი გამოიცვალა, ვერც ერთმა ვერ მოასწრო აფხაზთა გაცნობა, მასთან დაახლოება, აფხაზეთში ოდესღაც აყვავებული ქრისტიანობის დაცემის შესწავლა. სამაგიეროდ მათ დაუდგენიათ: თავი და თავი აფხაზეთში ქრისტიანობის დაქვეითებისა ქართული ენა არისო, რადგან ეს ქართული ენა კვიდრთ არ ესმითო, სწორედ ის ქართული ენა, რომლითაც ჩვენი წმინდა მამანი აფხაზთ ქრისტეს მოძღვრებას უქადაგებდნენ ბიჭვინთისა, ლიხინისა, მოქვისა, დრანდისა, ფსირცხისა (აწინდელი ახალი ათონი), ბედიისა, ილორისა და აფხაზეთის სხვა ტაძრებში“ [7,582-583].

რუსეთის საეკლესიო პოლიტიკის წინააღმდეგ ხმა აღიმართა აფხაზი საზოგადოების მოწინავე ნაწილმა. აფხაზების მკვიდრი მოსახლეობა, მისი ინტელიგენციის ჯანსაღი ნაწილი გრძნობდა, თუ რას უმზადებდნენ რუსეთის შავრაზმელები მათ სამშობლოს და მტკიცედ იცავდნენ საქართველოსთან კავშირს. 1916წ. აპრილში თბილისს ეწვია აფხაზეთის დეპუტაცია ალ. შარვაშიძეს მეთაურობით. მათი ერთ-ერთი მოთხოვნა იყო, რომ აფხაზეთის ეკლესია არას გზით არ გამოყოფილიყო საქართველოს ეკლესიისგან.

ამგვარად, ცარიზმის მცდელობა, აკრძალვებინა ღვთისმსახურება ქართულ ენაზე, გამოეყვანა სოხუმის ეპარქია საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის შემადგენლობიდან და დაექვემდებარებინა ის რუსეთის სინოდისადმი, ქართველი და აფხაზი მოწინავე ინტელიგენციის დიდი ძალისხმევით შედეგად ჩაიფუშა.

ლიტერატურა:

1. **ჰაბუთ-ბეი**. ჭრელი შენიშვნები აფხაზთა და აფხაზეთის შესახებ! წერილი 19. - დროება №77, 1910წ, 7 აპრილი.
2. ნარკვევი (ჟურნალ-გაზეთებიდან), ბატალინის მოხსენება. - ივერია, №256, 1884წ. 3 დეკემბერი
3. **კოლო**. (ნესტორ კალანდაძე). თ. ილია ჭავჭავაძე სოხუმში. - ივერია №118, 1903წ, 4 ივნისი.
4. **ჰაბუთ-ბეი(ნ.ჯანაშია)**. ჭრელი შენიშვნები აფხაზთა და აფხაზეთის შესახებ,წერილი 4 -დროება, №282, 1909წ. 18 დეკემბერი.
5. **იაკობ გოგებაშვილი**. ვინ უნდა იქნეს დასახლებული აფხაზეთში? თხზ. ტ.1, თბ., 1952.
6. **პეტრე ჭარია**. აფხაზური ანბანის შესახებ. - ისარი, №282, 1907წ. დეკემბერი.
7. **ჯემალ გამახარია**. აფხაზეთი და მართლმადიდებლობა, თბ. 2005.
8. **ასლან-ბეი**. ეკლესიის საკითხი აფხაზეთში. - სახალხო ფურცელი, №812, 1917წ, 7 მარტი.
9. **Верецагин. А. В.** Исторический обзор колонизации черноморского побережья Кавказа и его результаты, СПб, 1885 г.
10. **იაკობ გოგებაშვილი**. პოლიტიკანობა აფხაზეთში.- თხზ. ტ. 4. თბ., 1955
11. **Веденский Н. А.** К вопросу о будущей колонизации Абхазии. - გაზ. „Кавказ“, „№207, 15 октября 1877 г.
12. **Ш. Д. Инал-ипа**. Абхазы. Сухуми,1965.

RUSSIA'S DISCRIMINATORY EDUCATIONAL POLICIES IN ABKHAZIA IN THE SECOND HALF OF THE XIX CENTURY

Nika Partsvania, Sokhumi State University, The First Year Student of Bachelor's Degree

Instructor: Boris Kvaratskhelia, Associate Professor

SUMMARY

In the second half of the XIX century Russia has exiled hundreds of Abkhazian as unreliable people in Turkey and they got the name of Muhajir. By this action he decided to remove from Georgia its ancient part and for final colonization settled there Kossacks. When this politics does not work, Russia began to do another plan: He became very friendly with Abkhazian and anti-Georgian feelings began discord between two people. He created a new written language to separate historical and cultural unity between Georgian and Abkhazian people. In Russian politic main part was a church that is why they prohibited public service into Georgian language. By this time Christianity has been reached in every church of Abkhazia hundreds of years ago. Russia has announced it as separate eparchy, he wanted to remove it from Georgian church and subordinated into Russian synod. But the plan does not work with the help of progressive Georgian and Abkhazian intelligentsia.

ქართველი და ოსი ხალხის ურთიერთობების ისტორიულ ნაკვალევზე

მირანდა ყაჩღავაშვილი

გორის სასწავლო უნივერსიტეტი,

ბაკალავრიატის სწავლების პირველი წლის სტუდენტი

ხელმძღვანელი: მზია რამიშვილი, ასოცირებული პროფესორი

უძველესი დროიდან ქართველ და ოს ხალხებს მჭიდრო ეკონომიკურ-პოლიტიკური ურთიერთობა ჰქონდათ. ჩრდილოელ მეზობლებთან – ოსებთან ნორმალური დამოკიდებულება საქართველოსთვის, ჩრდილოეთის მხრიდან უშიშროების თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო. გარდა ამისა, საქართველო ხშირად იყენებდა ოსებს სამხედრო მიზნებისათვის. ოსებს კი, თავის მხრივ, ჩვენი ქვეყანა თავისი მაღალი ეკონომიკური და კულტურული დონით იზიდავდა. ქართველ და ოს ხალხებს შორის ინტენსიურ ურთიერთობას ხელს უწყობდა დინასტიური ქორწინებები, რაც განსაკუთრებით XI-XII საუკუნეებში გახშირდა (მაგალითად, გიორგი I-ს ცოლად ჰყავდა ოსი ალდე, ბაგრატ IV დაქორწინებული იყო ოვსთა მეფის ასულ ბორენაზე, თამარ მეფის მეუღლე დავით სოსლანი იყო „ოვსთა მეფე, ტომი ბაგრატიონთა“).

საქართველო-ოსეთის ურთიერთობაზე მხოლოდ იმ დროიდან შეიძლება საუბარი, როცა ასეთი ცნობები და ეთნიკურ-ტერიტორიული ორგანიზმები გაჩნდა. არქეოლოგიური, ანთროპოლოგიური, ენათმეცნიერული წყაროების მიხედვით ოსთა ეთნოგენეზი მიმდინარეობდა ჩრდილოკავკასიის მთიანეთის ცენტრალურ ნაწილში VI-IX საუკუნეებში, ხოლო X-XII საუკუნეებისათვის დასრულდა ოსური ეთნოსის ჩამოყალიბება, რაც ოსი ხალხის შემდგომი განვითარების საფუძვლად იქცა.

XIII საუკუნის მეორე ნახევარში, მონღოლთა შემოსევების დროს ოსეთი დაშლილ-დაქსაქსული აღმოჩნდა ცალკეულ თემებად და ხეობებად, თუმცა ამ პერიოდისათვის არ წარმოადგენდა გამოკვეთილ პოლიტიკურ ერთეულს.

ქართლის შინაპოლიტიკური რღვევისას ოს ფეოდალებს საშუალება მიეცათ თავისი სურვილისამებრ ემოქმედათ. კერძოდ, 1292 წელს, ქართლში უმეფობის პერიოდში, ჟამთააღმწერელის სიტყვით, პირველად „იწყეს ოვსთა ოხრებად, ხოცად და რბევად ქართლისა და ქალაქი გორი წარტყუნეს და ტყვენად თვისად დაიჭირეს ოვსთა“.

ოს ფეოდალთა წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლა მეფე გიორგი V ბრწყინვალემ XIV საუკუნის 20-იან წლებში დაიწყო, რაც შინაური მშვიდობის უზრუნველყოფას ისახავდა მიზნად. ბრძოლა სასტიკი და მძიმე გამოდგა, თუმცა გატარებული ზომების წყალობით, ქართლში მოთარეშე ოსური რაზმები განადგურებული და საქართველოდან განდევნილ იქნენ.

რა ტერიტორიაზე ვრცელდებოდა ოსთა საზღვრები? ოსების ერთი ნაწილი ქართლის სამეფოში შემოდიოდა ტერიტორიული და ადმინისტრაციული თვალსაზრისით, ხოლო მეორე ნაწილი უშუალოდ ესაზღვრებოდა მას. ცნება „ოსეთი“ ნახმარი იყო ეთნიკურ-ტერიტორიული აზრით და მოკლებული იყო პოლიტიკურ აზრს.

ვახუშტი ბატონიშვილი ზუსტად გადმოგვცემს ოსეთის საზღვრებს მისი იმ ნაწილის ჩათვლით, რომელიც ქართლის სამეფოში შედიოდა. ოსეთის სამხრეთ საზღვრად დადებულია ქართლის კავკასი.

მისი ლოკალიზაციით ნარ-მამისონის ტაფობი, მასში შემავალი ხეობებით ოსეთში შედიან. ვახუშტის ცნობა ოსეთის სამხრეთი საზღვრის შესახებ არ ყოფილა. რაიონები, სადაც ოსები ქართველთა შორის ცხოვრობდნენ ქართლს იყვნენ მიკუთვნებულები. ოსების საცხოვრებელი ტერიტორია თავის მთაგორიანობის გამო სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის ხელსაყრელ პირობებს არ ქმნიდა. შედარებით უკეთესი პირობები არსებობდა მესაქონლეობისთვის, მაგრამ სათიბ-სამოვრების სიმცირის გამო არც მისი ფართოდ განვითარების შესაძლებლობა იყო. როგორც სამხრეთელი, ისე ჩრდილო ოსების ზრუნვის საგანი ყოველდღიური სურსათის მიღება იყო. თავის მხრივ, ბარის რაიონებიც საჭიროებდნენ იმ პროდუქციას, რაც მთის ოსურ მოსახლეობას შეეძლო მათთვის შეეთავაზებინა. ყოველივე ეს მეზობელ ხალხებთან გარკვეული სახის ეკონომიკური ურთიერთობის დამყარების საფუძველს ქმნიდა.

ოსების ეკონომიკური ურთიერთობა ძირითადად ქართლისა და იმერეთის ბარის რეგიონებთან მიმდინარეობდა. ოსები ძირითადად გაცვლა-გამოცვლას ეწეოდნენ - თავის საქონელს საჭირო საქონელზე ცვლიდნენ.

მიუხედავად ამისა, მთას აღარ შეეძლო ბარის მეურნეობის პროდუქციაზე თავისი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება მხოლოდ გაცვლა-გამოცვლის გზით. ოსებმა ბარში იწყეს გადმოსახლება.

საქართველოს ტერიტორიაზე ოსთა მასობრივი გადმოსახლების პირველი ეტაპი XIII საუკუნის 60-იან წლებში დაიწყო და XIV საუკუნის პირველ მეოთხედში დამთავრდა. საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება ცდილობდა ამ გადმოსახლებისთვის გეგმაზომიერი ხასიათი მიეცა. დავით ულუმ ამ პერიოდში გადმოსახლებულ ოსთა დიდი ჯგუფები სამ ნაწილად დაყო და თბილისის, ჟინვალისა და დმანისის რაიონებში დაასახლა.

XIII- XVI საუკუნეებში მონღოლმა და თურქმანული მოდგმის დამპყრობლებმა დაარბიეს და გაანადგურეს ჩრდილო კავკასიის ველებზე მცხოვრები ოსები. გადარჩენილთა ერთი ნაწილი ცენტრალური კავკასიონის მაღალმთიან რაიონს შეეხიზნა. მწირი მიწა და სამეურნეო ტექნიკის დაბალი დონე მათი მოთხოვნილების მინიმუმსაც ვერ აკმაყოფილებდა. ამიტომ ბუნებრივია მოსახლეობის ლტოლვა საქართველოსკენ, რომლის სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების დონე უფრო მაღალი იყო. ოსები უმთავრესად დიდი ლიახვის, პატარა ლიახვისა და ქსნის ხეობაში სახლდებოდნენ. ამის გამო ოსური მოსახლეობა გაჩნდა გორისა და დუშეთის მაზრებში, შედარებით მცირე რიცხვი - რაჭისა და შორაპნის მაზრებში.

ოსთა გადმოსახლება და ქართულ გარემოში დასახლება იმ დროისთვის ქართული ეთნოსისათვის საფრთხეს არ წარმოადგენდა. ქართული სახელმწიფოებრიობის პირობებში ოსები ქართულ კულტურას ადვილად ეთვისებოდნენ.

ქართველები გარკვეულ კეთილგანწყობას ამჟღავნებდნენ ოს მიგრანტთა მიმართ და ხელს უწყობდნენ მათი კულტურის განვითარებას. ამას ადასტურებს თუნდაც ის ფაქტი, რომ ქართული ანზნის მიხედვით შედგენილი პირველი ოსური სასულიერო წიგნი ქართველი მისიონერი მღვდლების მიერ 1753 წელს იქნა გამოცემული ხელნაწერის სახით, მაშინ ოსური ანზანი არ იყო შედგენილი (ქართულ ასოების საფუძველზე პირველი ოსური ანზანი შექმნა ივანე იალღუზიძემ, ხოლო XIX საუკუნის 30-იან წლებში შემოღებულ იქნა ოსური ანზანი რუსულ ანზანზე დაყრდნობით).

1770 წლის დემოგრაფიული აღწერის მიხედვით, დღევანდელი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე 2860 კომლი ოსი ცხოვრობდა.

რუსეთთან შეერთების შემდეგ, როცა ქართლ-კახეთის სამეფო გაუქმდა, ოსებით დასახლებული ტერიტორია ძირითადად გორისა და დუშეთის მაზრებში მოექცა.

XIX საუკუნის დასაწყისში ოსები მხოლოდ შიდა ქართლის მთაში მკვიდრობდნენ. მოგვიანებით კი ინტენსიურად იწყეს ბარის სოფლებში ჩამოსახლება.

1842 წელს რუსეთის იმპერიის სამხედრო მინისტრმა ამიერკავკასიის სამოქალაქო მმართველობა შეამოწმა. მისი აზრით, სოციალური მდგომარეობა დაბალი იყო, ამიტომ ბრძანა, რომ ოსები იმ მაზრებისაგან ჩამოეშორებინათ, რომლებსაც ადრე ეკუთვნოდნენ და მათგან განსაკუთრებული ოკრუგები შეექმნათ. ოსეთის ოკრუგის შემადგენლობაში თავდაპირველად საქართველოს სამხედრო გზის გასწვრივ მცხოვრები მთიულეები და მოხვევები შეიყვანეს. მოგვიანებით, 1859 წელს, ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ცვლილებები განხორციელდა. ოსეთის ოკრუგმა მოიცვა დღევანდელი სამხრეთ ოსეთის ნაწილი და ისტორიული დვალეთი, რეზიდენცია კი სოფელ ჯავაში მდებარეობდა.

ოსეთის სამხედრო ოკრუგს გადაეცა ნარის უბანი, რომელიც თბილისის გუბერნიის შემადგენლობაში იყო. შემდეგში ეს ადგილი თერგის ოლქის შემადგენლობაში შევიდა. ასე ჩამოშორდა საქართველოს მისი განუყოფელი ტერიტორია - დვალეთი.

1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ ამიერკავკასიის სამოქალაქო მართვა-გამგეობის მიზნით შეიქმნა ამიერკავკასიის საგანგებო კომიტეტი. ამავე პერიოდში შეიქმნა სამხრეთ ოსეთის

სახალხო ყრილობა და ეროვნული საბჭო, რომლებიც სამხრეთ ოსეთის პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების ყველა სფეროში აქტიურად ერეოდა. მათი მიზანი სამხრეთ ოსეთის ცალკე ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულად გამოყოფა იყო.

ახლად შექმნილმა სამხრეთ ოსეთის ეროვნული საბჭომ 1918 წლის 4 იანვარს ოფიციალურად აცნობა საქართველოს ეროვნული საბჭოს, რომ ყველა საკითხზე, რომელიც ოს ხალხს ეხებოდა, მათთვის მიემართათ. ოფიციალურ ბარათში ისიც იყო ნათქვამი, რომ სამხრეთ ოსეთის საქმეთა უმაღლეს ხელმძღვანელ ცენტრს ისინი წარმოადგენდნენ.

მათ პროექტი წარუდგინეს ამიერკავკასიის კომისარიატსაც. პროექტის ავტორები მოითხოვდნენ, რომ სამხრეთ ოსეთში შექმნილიყო ცალკე სამაზრო-საერო ადმინისტრაციული ერთეული.

ავტონომიური ოლქის ფორმირებისას განსაკუთრებული ადგილი ეთმობოდა ცხინვალის საკითხს. 1921 წლის 12 დეკემბერს საქართველოს ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა დაადგინა, რომ ხელისუფლება იმ რეგომის ხელში დარჩენილიყო, რომელიც გორის მაზრას ეკუთვნოდა.

1922 წელს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუცია უკვე აფიქსირებს სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქს საქართველოს შემადგენლობაში.

ფორმალურად, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი საქართველოს შემადგენლობაში სოციალისტური რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომისიისა და სახკომსაბჭოს დეკრეტით შეიქმნა 1922 წლის 20 აპრილს, თუმცა, პოლიტიკურ დოკუმენტებში ტერმინი „სამხრეთ ოსეთის ავტონომია“ უფრო ადრე, 1917 წლის მიწურულს ჩნდება. ამ დროს „სამხრეთ ოსეთის დელეგატთა ყრილობა“ ირჩევს „სამხრეთ ოსეთის ნაციონალურ საბჭოს“.

1925 წელს ჩრდილოეთ ოსეთის საბჭოების ყრილობამ მოითხოვა გაერთიანება, რასაც სამხრეთ ოსეთის საბჭოების ყრილობამაც დაუჭირა მხარი. გადაწყვეტილებაში აღინიშნა, რომ გაერთიანება საქართველოს შემადგენლობაში უნდა მომხდარიყო, რასაც საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი მიესალმა.

ვითარება თითქოს დარეგულირდა, მაგრამ, მოგვიანებით, 80-იანი წლების მეორე ნახევარში ქართულ-ოსური ურთიერთობები დაიძაბა. კონფლიქტის მიზეზებსა თუ ფაქტორებში ცხადად ჩანს ქართული და რუსულ-საბჭოური პოლიტიკური პროექტების დაპირისპირებაც. მაგრამ წამყვანი მოტივი, რომელიც კონფლიქტს თავისებურ ელფერს ანიჭებს ქართულ-ოსური ეთნო-ნაციონალური დაპირისპირებაა, რისი გამოხატულებაცაა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ლიდერთა პაექრობა და ქართული და ოსური შეიარაღებული ფორმირებების დაპირისპირება. შესაბამისად, კონფლიქტს სამხრეთ ოსეთსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე გამოკვეთილად ეთნიკური ხასიათი გააჩნია.

დაპირისპირების პროცესის ერთ-ერთ პირველ გამოვლინებად იქცა ქართულ საზოგადოებაში მიმდინარე დებატები საქართველოს კონსტიტუციის შესაძლო ცვლილებების შეტანისა და ენის საკანონმდებლო სტატუსის შესახებ, აღნიშნულმა დისკუსიამ პარალელური ტენდენციები გამოიწვია იმდროინდელ საქართველოს ავტონომიურ წარმონაქმნებში, მათ შორის სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში.

საქართველოს უზენაესი საბჭოს მიერ 1990 წლის 11 დეკემბერს გაუქმდა „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი“, ამის საპასუხოდ მიხეილ გორბაჩოვმა 1991 წლის 7 იანვარს გამოსცა ბრძანება „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღდგენის შესახებ“.

1991 წელს 23 მარტს, დაბა ყაზბეგში ერთმანეთს შეხვდნენ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავჯდომარე ზვიად გამსახურდია და რუსეთის უზენაესი საბჭოს თავჯდომარე ბორის ელცინი. ხელმოწერილ იქნა „შეხვედრისა და მოლაპარაკების ოქმი, სადაც ორჯერ იხსენიება არა „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი“, არამედ „ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი“.

მიუხედავად ამისა, მოსკოვმა გაააქტიურა სეპარატისტების მხარდაჭერა. საქართველოს მოსალოდნელი პროდასავლური ორიენტაციის თავიდან აცილების მიზნით, რუსეთმა ოს სეპარატისტებს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევის საშუალება მისცა. ცხინვალის რეგიონი საქართველოს იურისდიქციიდან გამოვიდა.

1992 წლის 25 ივნისს ედუარდ შევარდნაძე ქალაქ სოჭში შეხვდა რუსეთის პრეზიდენტს ბორის ელცინს და მათ მიიღეს ერთობლივი გადაწყვეტილება შიდა ქართლში პოლიტიკური ვითარების მოსაწესრიგებლად. „ერთობა ეგიდით“ კი რეგიონში სამშვიდობო ინიციატივა განხორციელდა. ამ გადაწყვეტილებამ ცხინვალის პრობლემა მხოლოდ „დააკონსერვა“, ამ ტერიტორიაზე საქართველოს იურისდიქცია ფაქტიურად შეჩერდა.

მიუხედავად ამისა, კონფლიქტი მალე გაღვივდა, 2004 წლიდან ოსი სეპარატისტები თავს ესხმოდნენ ქართულ მოსახლეობას. რუსეთის სახელისუფლებო ელიტა ყველანაირად ხელს უწყობდა სამხრეთ ოსეთის სეპარატიზმს. 2008 წლის 7 აგვისტოს კი მათ დაარღვიეს სუვერენული სახელმწიფოს

საზღვრები და ქვეყნის ტერიტორიის 20%, საქართველოს ძირძველი მიწა, აფხაზეთი და შიდა ქართლის ნაწილი დიდი მსხვერპლის ფასად ბინძური ჩექმით გათელეს.

დღეს ჩვენთვის სამწუხარო რეალობის წინაშე ვდგავართ. ჩვენი ქვეყანა ვეღარ აკონტროლებს თავის ტერიტორიებს, ოკუპირებულია ქართული მიწა, რომელიც საუკუნეების განმავლობაში საქართველოს ეკუთვნოდა. ჩვენი სამშობლო არასოდეს შეურიგდება ტერიტორიების დაკარგვას. ვფიქრობ, ორივე მხარემ უნდა შეძლოს ვითარების დარეგულირება და კონფლიქტის მოგვარება მშვიდობიანი გზით. იმედია სიტუაცია სულ მალე გამოსწორდება, საქართველო შეძლებს ძირძველი მიწის დაბრუნებას და ქვეყნის მთლიანობის აღდგენას.

ლიტერატურა:

1. ქართველი და ოსი ხალხების ურთიერთობის ისტორიიდან. საქართველოს რესპუბლიკის ილია ჭავჭავაძის სახელობის საზოგადოება „ცოდნა“, თბ., 1991;
2. თოგოშვილი გ., „საქართველო-ოსეთის ურთიერთობა XV-XVIII სს. გამომც. „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1969;
3. საქართველოს ისტორია, IX კლასი, გამომცემლობა „ლოგოს პრესი“, 2008;
4. სონღულაშვილი ა., „სამხრეთ ოსეთი საქართველოში?!“, გამომც. „უნივერსალი“, თბ., 2009;
5. [www.seridb.com/doc/39953686/ქართულ-ოსური კონფლიქტი](http://www.seridb.com/doc/39953686/ქართულ-ოსური_კონფლიქტი)

FROM THE HISTORY OF GEORGIAN AND OSSETIAN PEOPLE'S RELATIONS
Miranda Kachlavashvili, Gori Teaching University, The First Year Student of Bachelor's Degree
Instructor: **Mzia Ramishvili**, Associate Professor
RESUME

Since ancient times, Georgian and Ossetian peoples closer economic - political relationship with. Georgia is often used for military purposes Ossetians, who in turn our country with high levels of economic and cultural attracted.

Georgia-Ossetian relations still VI-IX centuries from the start, or when carried out to establish ethnogenesis Ossetians. The XIII century 60- ies have begun to mass dismount. The whole history of the Ossetians important role of our country's economic-cultural life.

Unfortunately, the situation is very tense. August, 2008 after the war, Georgia lost its ancient land, occupied a large part of our country. It is hoped that the situation will soon improve, and Georgia will be able to restore the country.

1990 წლის 9 აპრილის მოვლენები ცხინვალში

მამუკა ცოტნიაშვილი

გორის სასწავლო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი

80-იანი წლების დამდეგისათვის იგრძნობოდა, რომ საბჭოური იმპერია დეგრადაციის გზაზე იდგა და უფსკრულისაკენ მიექანებოდა. საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში მყოფ რესპუბლიკაში ამოდრავდნენ ეროვნული თვითგამორკვევის ძალები. გახშირდა ეთნიკური კონფლიქტები.

1988 წლის დამდეგიდან ქართველ ახალგაზრდობაში თანდათან მომწიფდა ეროვნული სუვერენიტეტის აღდგენის იდეა. მან შეუპოვარი ბრძოლა გამოუცხადა სულისშემხუთველ დიქტატურას. დედაქალაქში ყოველდღიური ხასიათი მიეცა მიტინგებსა და დემონსტრაციებს. პოლიტიკური პროცესები რესპუბლიკაში თითქმის უმართავი გახდა. ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ დღის წესრიგში დააყენა საბჭოთა რუსეთთან დემოკრატიული საქართველოს 1920 წ. 7 მაისის ხელშეკრულების აღდგენის მიზანშეწონილობა.

1984 წლის 4 აპრილიდან თბილისში დაიწყო უსაწყისო მიტინგები. მიტინგ-მანიფესტაციებისა და მომიმშილეთა მოთხოვნები არ გასცილებია რესპუბლიკის სუვერენიტეტის მოთხოვნის ფარგლებს. მოძრაობა ყოველდღიურად ფართოვდებოდა. ახალგაზრდობის გვერდით დადგნენ ინტელიგენციის წარმომადგენლები. საზოგადოებრივი აქციები, რომლებსაც მშვიდობიანი ხასიათი ჰქონდა, არ იყო საშიში რესპუბლიკის ოფიციალური ხელისუფლებისათვის.

მიუხედავად ამისა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება აღეკვეთა მიტინგი სამხედრო ძალების გამოყენებით. სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიუროს გაფართოებულ სხდომაზე მიიღეს გადაწყვეტილება „დახმარება აღმოეჩინათ“ საქართველოს ხელისუფლებისათვის. 7 აპრილს თბილისში ჩამოვიდნენ სსრკ შინაგანი ჯარებისა და საბჭოთა არმიის ქვედანაყოფები. მათი სამოქმედო გეგმა კრემლის ხელმძღვანელობასთან იყო შეთანხმებული და მისი ფარული კარნახით ხორციელდებოდა.

ასე მომზადდა სისხლიანი აქცია, რომელიც 1989 წ. 9 აპრილს განხორციელდა რუსთაველის პროსპექტზე. მთავრობის სასახლის წინ, ღამის 4 საათზე უნებართვო მიტინგის დარბევის დროს. მშვიდობიანი მიტინგის მონაწილე ქალებს, ბავშვებს, მოხუცებს, ახალგაზრდებს დაერია შეიარაღებული არმია და მოაწყო ხალხის ჩეხვა ხელკეტებითა და ნიჩბებით. ამავე დროს, გამოიყენეს მომწამვლელი ნივთიერებები. 9 აპრილის ბარბაროსული აქციით დაიღუპა 20, დაიჭრა და მოიწამლა ათასობით ადამიანი.

მართალია, 9 აპრილი ქართველი ხალხის მოუშუშებელი ტრაგედიაა, მაგრამ ამავე დროს, იგი უდიდესი პოლიტიკური დემონსტრაციაა, ნიშანი ქართველი ერის თვითშეგნების გამოღვიძებისა.

9 აპრილმა მოახდინა ეროვნული ძალების კონსოლიდაცია, გვიჩვენა ქართველი ახალგაზრდობის ვაჟკაცობა და სიმამაცე, დაგვანახა, თუ რა დიდი შესაძლებლობანი აქვს, როცა იგი ერთ მუშტადაა შეკრული.

9 აპრილის შემდეგ ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ ჩვენს ქვეყანაში მიიღო უწყვეტი და გეგმაზომიერი ხასიათი.

9 აპრილმა გამოავლინა რუსეთის იმპერიული ძალების რეაქციული ამოცანები და მეთოდები, ერთხელ კიდევ თვალნათლივ უჩვენა მსოფლიოს საბჭოური სისტემის უსამართლობა, მისი დიქტატორული ხასიათი.

9 აპრილმა ნიღაბი ჩამოხსნა საბჭოთა ქვეყნის მმართველ აპარატში, მის შეიარაღებულ ძალებში ჩაბუდებულ დიდმპყრობელურ-შოვინისტურ, იმპერიულ სულისკვეთებას, მის შეურიგებლობას არარუსი ხალხების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისადმი, მის ფარულ ტრფიალს „მთლიანი და განუყოფელი რუსეთისადმი“.

9 აპრილმა გაგვაცნო საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები მცირე ერების (კერძოდ, ოსი და აფხაზი სეპარატისტების) ჭეშმარიტი დამოკიდებულება ქართველი ხალხისადმი. სწორედ ამ დღეებში განსაკუთრებით გამძაფრდა ეთნიკური დაძაბულობა. ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში სეპარატისტები დაუპირისპირდნენ ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას. ეთნიკურ კონფლიქტებს განგებ აღვივებდა ახალგაზრდობის პატრიოტული განწყობილება.

დაბოლოს, 9 აპრილის აქციამ, რომელსაც, როგორც დავინახეთ, მრავალმხრივი ხასიათი ჰქონდა, დააჩქარა პარტიული ხელმძღვანელობის გამოცვლა.

9 აპრილის ტრაგედიამ აღაშფოთა როგორც ქართველი ხალხი, ისე რუსეთის მოწინავე საზოგადოებრიობა. მალე მთელი მსოფლიოსათვის გახდა ცნობილი ის ვანდალური, ველური აქტი, რომელიც საბჭოთა არმიის ნაწილებმა ჩაიდინეს ქალაქ თბილისში, მთავრობის სასახლის წინ.

საიდან არ მოვიდა დეპეშები, წერილები. საიდან არ რეკავდნენ მწერლები, სამეცნიერო-სამრეწველო დაწესებულებების წარმომადგენლები, ახალგაზრდები, რიგითი მოქალაქეები. სოლიდარობის მიტინგი გაიმართა მოსკოვში, ლიტვაში, ესტონეთში. თბილისს ესტუმრნენ მოსკოველი დეპუტატები, საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლები. „ექვსასზე მეტმა მწერალმა მოაწერა ხელი მოსკოვში თბილისის სისხლიანი აქციის დამგმობ მიმართვას. სათანადო მიმართვები გააკეთეს საკავშირო შემოქმედებითა ორგანიზაციებმა, ლენინგრადელმა მწერლებმა. ჩვენს გვერდით იყვნენ უკრაინელები, აზერბაიჯანელები და სხვა რესპუბლიკების წარმომადგენლები. მწერალთა კავშირში მართო სომხეთიდან სამასზე მეტი დეპეშა მივიღეთ. ზოგიერთს 70 და მეტი კაცი აწერდა ხელს.

და იცით რა არის, ძვირფასო მკითხველებო, ყველაზე უფრო გულსატკენი? მწერალთა კავშირში არც ერთი დეპეშა არ მიგვიღია მოძმე ოსეთიდან და აფხაზეთიდან“, – წერს მწერალი გურამ ფანჯიკიძე.⁶⁸

დიახ, ოს სეპარატისტებს არ მოეწონათ ქართველი ერის თვითშეგნების გაღვიძება, ქართული ეროვნული ძალების კონსოლიდაცია, რუსეთის იმპერიული ძალებისადმი ჩვენი ხალხის უნდობლობა და ეჭვი, ვინაიდან ამაში მათ სერიოზული მოწინააღმდეგე ძალა დაინახეს თავიანთი რეაქციული, რასისტული გეგმების განხორციელების გზაზე.

ამიტომ იყო, რომ იმ დროს, როცა მსოფლიოს პროგრესული ძალები თანაუგრძნობდნენ ჩვენ ხალხს ამ დიდი ტრაგედიის გამო, ოსი სეპარატისტები ღრეობებსა და ნადიმებს მართავდნენ. იყო შემთხვევები, იმ სამგლოვიარო დღეებში ოსი ახალგაზრდობის შეუგნებელი ნაწილი, რომელიც სეპარატისტების მიერ იყო მოწამლული, შეჯგუფდებოდა და ცეკვ-სიმღერით ირთობდა თავს. მათ აზრადაც არ მოსდიოდათ ის

⁶⁸ გურამ ფანჯიკიძე, „სიმართლე, მხოლოდ სიმართლე!“, თბ., 1990, გვ. 59-60

ამბავი, რომ 9 აპრილი არა მარტო ქართველი, არამედ ყველა იმ ხალხების ტრაგედია იყო, რომლებიც რუსეთის იმპერიის კლანჭებში იყვნენ მოქცეულნი და ათეული წლების მანძილზე სულს დაფავდნენ.

1990 წლის აპრილის დასაწყისში საქართველოს პოლიტიკური ორგანიზაციების ერთმა ნაწილმა მიიღო გადაწყვეტილება, 9 აპრილს დაღუპულთა ხსოვნის აღსანიშნავად, ამ ტრაგედიის წლისთავზე, ქ. ცხინვალში, ღვთისმშობლის ეკლესიასთან, მოწყობილიყო სამგლოვიარო მიტინგი და დადგმულიყო მარმარილოს მემორიალური ქვა ამავე ეკლესიასთან მდებარე პატარა სკვერში.

როგორც საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტს, ისე ადგილობრივ საოლქო პარტიულ ხელმძღვანელობას ხელი არ შეუშლიათ, რომ აღნიშნული ჰუმანური გადაწყვეტილება შესრულებულიყო. პირიქით, 9 აპრილის წინა დღეებში, საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ვალნინ ცხოვრებაშვილი იწვევდა ცხინვალის ქართული საზოგადოების წარმომადგენლებს, ესაუბრებოდა მიტინგის ჩატარების ორგანიზაციის შესახებ და ჰპირდებოდა თანადგომას ამ კეთილშობილურ საქციელში.

9 აპრილს ცხინვალის მეზობლად მდებარე სოფელ მეღვრეკისში (გორის რაიონი) მოეწყო თათბირი, რომლის მუშაობაშიც მონაწილეობდნენ კოსტავას საზოგადოების, სახალხო ფრონტისა და ცხინვალის ქართული საზოგადოებრიობის წარმომადგენლები. თათბირის დღის წესრიგში მხოლოდ ერთი საკითხი იდგა – 9 აპრილის ხსოვნის აღსანიშნავად მიტინგის ჩატარება ცხინვალში.

თათბირის მოწვევა აუცილებელი იყო, ვინაიდან მიტინგის ჩატარებასთან დაკავშირებით ერთგვარ გაურკვევლობას ჰქონდა ადგილი: შემოვიდა სანდო ინფორმაცია, რომ ოსი საზოგადოებრიობის რეაქციული ძალები, „ადამონ ნიხასი“ ამ მიტინგისადმი მტრულად იყვნენ განწყობილნი და აპირებდნენ მის ჩაშლას ძალისმიერი მეთოდების გამოყენებით.

თათბირზე ორი მიმართულება გამოიკვეთა. ერთნი მოითხოვდნენ მიტინგი ჩატარებულიყო, მეორენი თავს იკავებდნენ. პირადად ჩვენ თავი შევკავეთ იმის გამო, რომ ისედაც დაძაბულობის ვითარებაში ადვილი მოსალოდნელი იყო მიტინგის ჩატარებას კიდევ უფრო გაეღრმავებინა კონფლიქტი. გარდა ამისა, გავითვალისწინეთ ისიც, რომ მიტინგის მონაწილეთა უმრავლესობა სკოლის ბავშვები იქნებოდნენ და მდგომარეობის გამძაფრების შემთხვევაში მოსალოდნელი იყო მსხვერპლი. ჩემს წინადადებას მხარი დაუჭირა „სახალხო ფრონტის“ სამაჩაბლოს რეგიონალური ორგანიზაციის თავმჯდომარემ ალექსანდრე ურთქმელიძემ და დამსწრეთა გარკვეულმა ნაწილმა, მაგრამ კოსტავას საზოგადოების გორის ფილიალის თავმჯდომარის ალიკა ვარძელაშვილისა და მის თანამოაზრეთა დაჟინებული მოთხოვნით, გადაწყდა, რომ მიტინგი ჩატარებულიყო.

9 აპრილის დილა გათენდა. ცხინვალის ქართველმა ახალგაზრდობამ ღვთისმშობლის ეკლესიასთან იწყო შეგროვება. აქ შეხვდებოდით როგორც ხანში შესულებს, ისე გოგონებსა და ჭაბუკებს და, თქვენ წარმოიდგინეთ 5-6 კლასის ბავშვებსაც კი. თბილისიდან ჩამოსული სტუმრებიდან უნდა მოვისხენოთ მაჩაბლის საზოგადოების თავმჯდომარე, პროფესორი გურამ შარაძე, სახალხო ფრონტის თავმჯდომარე ნოდარ ნათაძე და სხვები.

ოსმა სეპარატისტებმა უარი განაცხადეს, რომ ცხინვალში შემოეტანათ შავი მარმარილოს მემორიალური ქვა. მაშინ ალიკა ცხოვრებოვა (მეტსახელად „ჯაკო“), რომელიც დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა როგორც ოს, ისე ქართველ საზოგადოებრიობაში, თავისი ინიციატივით ადგილობრივ ხელოსნებს დაამზადებინა მარმარილოს ქვა, რომელზეც ოსურ და ქართულ ენებზე შესრულებული იყო წარწერა „9 აპრილის დაღუპულთა ხსოვნის საპატივსაცემოდ“.

თითქმის ყველაფერი კარგად დაიწყო: მემორიალური ქვა დაიდგა, ღვთისმშობლის ეკლესია გაჩირადნებული იყო სანთლებით, მრევლს ვეღარ იტევდა. მღვდელი რომანოზ კასრაძე 9 აპრილს დაღუპულთა პარაკლისს იხდიდა.

ხალხმრავლობა იყო დადგმულ მემორიალურ ქვასთან. აქ, ქართველებთან ერთად, ოსებსაც ბევრს შენიშნავდით, განსაკუთრებით საოლქო კომიტეტსა და საოლქო აღმასკომის მუშაკებს. იგრძნობოდა, რომ ამ უკანასკნელთაგან ზოგი სეირის საცქერლად ან ოლქის პირველი მდივნის საპატივსაცემოდ იყო მოსული.

სიტყვით გამოვიდა პარტიის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ვალნინ ცხოვრებაშვილი. მან ყურადღება გაამახვილა ოსი და ქართველი ხალხის ისტორიულ მეგობრობაზე. 9 აპრილს ტრაგიკულად დაღუპულ ახალგაზრდებზე საუბარი ჯერ კიდევ არ ჰქონდა დამთავრებული, რომ მოულოდნელად ყიჟინა, შემახილები და სტვენა ატყდა, გაწევ-გამოწევა და ჩოჩქოლი შეიქმნა. ბატონი ვალნინი იძულებული გახდა საუბარი შეეწყვიტა და გაუჩინარდა.

ამ დროს ქართველი მომიტინგეები ღვთისმშობლის ეკლესიის გვერდით იყვნენ განლაგებულნი. დიდი მორალური ზემოქმედება მოახდინა მათზე ამ სურათის დანახვამ. იგრძნობოდა, რომ საშიშროება აქეთაც მოსალოდნელი იყო, ამიტომ დავაჩქარეთ მიტინგის დაწყება: ქართული ეროვნული დროშა აფრიალდა. ბავშვებმა ჰაერში აიტაცეს ტრანსპარანტები, რომლებსაც ამშვენებდა მოწოდებები: „ძმებო

ოსებო! ჩვენ ერთად უნდა ვიცხოვროთ!“, „გაუმარჯოს ქართველი და ოსი ხალხის საუკუნოვან მეგობრობას!“.

მიტინგი ჯერ კიდევ დაწყებულ იყო. ბავშვთა ის რიგები, რომლებსაც ტრანსპარანტები ეჭირათ, შეირხა. ოსი „ბოევიკები“ ერთმანეთის მხრებზე აღიმართნენ და ტრანსპარანტები დახიეს. საშინელი მდგომარეობა შეიქმნა: წვილ-კვილი ატყდა, ქვების სროლა დაიწყო. ეკლესიაში შეცვნილმა ბანდიტებმა შეურაცხვეს როგორც სალოცავი, ისე მღვდელი და დიაკვანი. სკოლის ბავშვები ერთმანეთში აირივნენ. უფროსებმა და განსაკუთრებით იმათ, ვინც მიტინგის ჩატარებას დაჟინებით მოითხოვდა, თავს უშველეს, ელვის სისწრაფით გაქრნენ. ბავშვები ბედის ანაბარად დარჩნენ. ყოველ წუთს მოსალოდნელი იყო უბედურება. საჭირო გახდა მათი სასწრაფოდ გაყვანა მოედნიდან. და აქ არ შეიძლება პატივისცემით არ მოვიხსენიოთ ოლქის მილიციის ოსი ეროვნების თანამშრომელთა კეთილშობილური მოქმედება. მათი დახმარებით გავარდვიეთ აბოზოქრებული ტალღა, შევქმენით დერეფანი და უნუგეშო მდგომარეობაში ჩავარდნილ ხალხს გზა მივეცით მარქსის ქუჩისკენ. ისინი მიემართებოდნენ კოლონებად, მწყობრად დგვრისისა და თამარაშენისაკენ. როცა შიში დასძლიეს, ზოგჯერ „მუმლი მუხასაც“ წამოიმდერებდნენ. რამდენიმე კორესპონდენტმა მოინდომა გადაეღო ეს შემადრწუნებელი სურათი, მაგრამ ოსმა „ბოევიკებმა“ ხელიდან წაგლიჯეს აპარატები და დალევს. ისინი ჯგუფებად მოყვებოდნენ ჩვენს კოლონებს, ცდილობდნენ მათში შეჭრას, რათა ფიზიკურად გასწორებოდნენ ბავშვებს, მაგრამ დაცვა, რომელიც მოაცილებდა მათ, ყოველთვის მარჯვედ იგერიებდა საშიშ ბრბოს. გავიარეთ ფეხით და მივაღწიეთ სოფელ თამარაშენს, სადაც მაჩაბლების სამკვიდრო სასახლეში ივანე მაჩაბელის მუზეუმი გახსნილი.

რაკი ცხინვალში – ღვთისმშობლის ეკლესიასთან ვერ მოხერხდა მიტინგის ჩატარება, გადაწყვიტეთ აქ, მაჩაბლების სამყოფელში გავეგრძელებინა იგი. საკმაოდ ხალხმრავლობა იყო. გარდა ცხინვალელი მომიტინგეებისა, აქ მოვიდნენ დგვრისელები, თამარაშენელები, აჩაბეთელები, ხეითელები. მალე ბატონები გურამ შარაძე და ნოდარ ნათამეც შემოგვიერთდნენ. მათ ძლივს დაედწიათ თავი უბედურებისათვის.

მიუხედავად ამ ტრაგედიისა, რაც ცხინვალში მოხდა, სულ რაღაც ორიოდ საათის წინ, მიტინგმა თამარაშენში, რომელიც 9 აპრილს დაღუპულთა ხსოვნის საპატივსაცემოდ ჩატარდა, ოსი ხალხისადმი მეგობრულ ატმოსფეროში ჩაიარა. მიტინგის მონაწილეებს შევახსენეთ, რომ ცხინვალში მომხდარი უბედურება ოს ხალხს არ ეკუთვნის და სეპარატისტული, რეაქციული ძალების ნამოქმედარია.

რას ფიქრობდნენ ოსი სეპარატისტები, როცა ასეთ უსულგულო დამოკიდებულებას იჩენდნენ 9 აპრილის ტრაგედიის მიმართ? ჯერ ერთი, წინ ეღობებოდნენ დამოუკიდებლობის გზაზე დამდგარი ქართველი ხალხის ჯანსაღ მისწრაფებებს, რათა საქართველო კვლავ იმპერიული რუსეთის შემადგენლობაში დარჩენილიყო. მეორეც – ცდილობდნენ რუსეთის რეაქციული ძალების გულის მოგებას, რომ მეტი მხარდაჭერა ჰქონოდათ მათგან შიდა ქართლის მიტაცების გეგმის განხორციელებაში.

9 აპრილის შემდეგ ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ საქართველოში ნამდვილად საყოველთაო-სახალხო ხასიათი მიიღო.

THE 9 APRIL OCCURRENCES IN TSKHINVALI IN 1990
Mamuka Tsotniashvili, Gori Teaching University, Associate Professor
RESUME

The work highlights the Ossetian national-separative movement aggression during the occurrences on April 9, 1990. It analyzes and evaluates national-separative aggression of the leaders of the Ossetian organization “Adamon Nikhas”.

The work also deals with Russian Federation’s secret support to the Ossets against Georgian territorial integrity and sovereignty.

ზემო აფხაზეთის არქეოლოგიური ძეგლების შესწავლის ისტორიიდან

რევაზ ხვისტანი

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი

ზემო აფხაზეთს (მდ. კოდორის ზემო წელს), რომელიც მთლიანად ქართველებითაა (სვანებით) დასახლებული და აფხაზეთის სვანეთის სახელწოდებითაა ცნობილი, ანტიკურსა და შუასაუკუნეების ეპოქაში მივსიანეთი (მისიმიანეთი) ეწოდებოდა, ხოლო მივსიანეთის ტერიტორიაზე მოხინაძრე ტომს - მივსიანი (მისიმიანი). აღნიშნული ტომი ქართულ (სვანურ) ეთნიკურ ჯგუფს ეკუთვნოდა⁶⁹.

აღნიშნული რეგიონი, რომლის დასახლებული პუნქტები და ციხე-სიმაგრეები ანტიკური და შუასაუკუნეების მრავალ უცხოურ და ქართულ წყაროშია (აგათია სქოლასტიკოსი, მენანდრე, პორფიროგენეტი და სხვ.). მოხსენიებული, გაჯერებულია სხვადასხვა ეპოქის არქეოლოგიური ძეგლებით, რომელთა კვლევა დღემდე დაზვერვით სამუშაოებს (შ. ჩართოლანი⁷⁰, ი. ვორონოვი⁷¹, ვ. ნიკოლაიშვილი, რ. ხვისტანი⁷²) არ გასცილებია.

ჩვენი განხილვის საგანს ამჯერად აფხაზეთის სვანეთში შემთხვევით გამოვლენილი ყუახვრელიანი ქვის ცული და ანტიფიქსი წარმოადგენენ.

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ 2007 წელს სოფელ ომარიშარში, მთა შიყერის ძირში, მდ. გვანდრას მარცხენა მხარეზე, ჰამლეტ ქოჩქიანის ეზოში გამოავლინა მეცნიერთათვის მანამდე უცნობი ციკლოპური (მეგალითური) ნაგებობის ნაშთი (31X11მ), რომლის კედლები მშრალად, უდუღაბოდაა ნაგები უხეშად დამუშავებული ლოდებით. აღსანიშნავია, რომ ამავე რეგიონში, კერძოდ, სოფელ საკენში, გრანდიოზული ციკლოპური ნაგებობის ნაშთებია შემორჩენილი. ციკლოპური სიმაგრეები და ნამოსახლარები, როგორც ცნობილია, გავრცელებული იყო ხმელთაშუაზღვისპირეთში, ჩრდილო კავკასიაში და სხვაგან. ციკლოპური მშენებლობა არც საქართველოსთვის იყო უცხო. ამ ტიპის ნაგებობებით განსაკუთრებით თრიალეთია მდიდარი, სადაც ამგვარი სიმაგრეებისა და საცხოვრებელი კომპლექსების ნაშთებია შემორჩენილი. მსგავსი ციკლოპური ნაგებობები, ზოგიერთი მკვლევარის აზრით, ძვ.წ. III ათასწლეულიდან ძვ.წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრის ჩათვლით იგებოდა.

ომარიშარის ციკლოპური ნაგებობის ნაშთი მნიშვნელოვანი არქეოლოგიური ძეგლია, რომელიც მომავალი კვლევის საგანია. ამჯერად ყურადღება გვინდა გავამახვილოთ ამ ძეგლის ტერიტორიაზე მიწის სამუშაოებისას შემთხვევით აღმოჩენილ არქეოლოგიურ მასალაზე. აღნიშნულ, მნიშვნელოვანი ინფორმაციის მქონე ნივთიერი მასალიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია ყუახვრელიანი ქვის საბრძოლო ცული, რომელსაც ფართოდ მომრგვალებული ყუა და ტანის ზედა ნაწილში დატანილი მრგვალი სატარე ხვრელი აქვს. სწორი ტანი პირისკენ თანდათან ფართოვდება და სამკუთხა ფორმას იძენს (სიგრძე - 9 სმ., სიფართო ყუის მხარეზე - 3,5 სმ., სიფართო პირის მხარეზე - 5 სმ., სატარე ნახვრეტის დიამეტრი - 2X2 სმ, მანძილი სატარე ნახვრეტის კიდიდან გვერდამდე - 1 სმ.). ტექნოლოგიურად როგორც ცალმხრივი, ისე ორმხრივი ხეხვით ძალიან მაღალ დონეზე შესრულებულ, ხის სახელურის ხანგრძლივი დაგების შედეგად გაპრიალებულ, მრგვალ სატარე ხვრელში ხრახნისებური ნაწიბურები შეინიშნება. ზედაპირნაპრიალები ცული მკვრივი ქანის ქვისაგანაა დამზადებული. ცულის ყუა, პირი და სატარე ხვრელის უკანა მხარის გარეპირი დაზიანებულია (ტაბ. I).

⁶⁹ ს. ყაუჩაშვილი, მისიმიანთა ტომი. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, I, 1936, გვ. 277-290; მ. ქალდანი, მივსიანეთისა და მივსიანთა ტომის ვინაობის საკითხისათვის. აფხაზეთის მოამბე №2-3, 1999, გვ. 50-58.

⁷⁰ შ. ჩართოლანი, სპილენძის ძველი სამთამადნო ნამუშევრები მდინარეების - ზზიფისა და კოდორის სათავეებში. კრ.: "არქეოლოგიური კვლევა-ძიება საქართველოში 1969 წ." თბ., 1971, გვ. 49-60; გ. ინანიშვილი, შ. ჩართოლანი, ზ. მაისურაძე, გ. გობეჯიშვილი, თ. მუჯირი, საქართველოს უძველესი სამთამადნო წარმოების ძეგლები. ძიებანი, №2, თბ., 1999, გვ. 54-61; შ. ჩართოლანი, მ. ცინდელიანი, კოდორის ხეობის "დალ"-ის მხარის არქეოლოგიური ძეგლები. თბ., 2010.

⁷¹ Воронов Ю. В мире архитектурных памятников. Абхазии, М., 1978, с. 138-165.

⁷² რ. ხვისტანი, ბრინჯაოს ხანის უახლესი აღმოჩენა კოდორის ხეობის ზემო წელზე. კრ.: კულტურათაშორისი კომუნიკაციები, №4, 2008, გვ. 167-172; რ. ხვისტანი, მდ. კოდორის ზემო წელის (დალის ხეობა) საძიებო-არქეოლოგიური ექსპედიციის 2007-2008 წლების მუშაობის შედეგები. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, V, 2008, გვ. 669-683.

აფხაზეთის ტერიტორიაზე ყუახვერელიანი ქვის საბრძოლო ცულები აღმოჩენილია გუმისთის ნამოსახლარზე, ლ. სოლოვიოვის მიერ გათხრა №4 ყორდანში⁷³, ფსოუში, ახალ ათონში⁷⁴, ფიჩორის ცენტრალურ ბორცვზე და ფიჩორის №6 გუძუბაზე⁷⁵. ყუახვერელიანი ქვის საბრძოლო ცულები გვხვდება დასავლეთ საქართველოს ძვ.წ. III-II ათასწლეულების ნამოსახლარებზე (ერგეტა, ანაკლია I, განმუხური)⁷⁶, ისპანში, საელიაოს კურხიას ადრებრინჯაოს ხანის ფენებში, საკირე გორაზე, ჭოლიპაში⁷⁷, ნოსირის ნამოსახლარის პირველ კულტურულ ფენაში⁷⁸ და ოდიშის ნეოლითურ სადგომზე⁷⁹.

ყუახვერელიანი ქვის საბრძოლო ცულები გამოვლენილია საჩხერეში (სოფ. ქორეთი, კარახტინის მინდორი, ცარცის გორა), შიდა ქართლში (სოფ. თერეგვანი, ოჟორა), სოფელ რუსთავში, ბორჯომის რაიონში⁸⁰ და მტკვარ-არაქსის კულტურის წრეში შემავალ ძეგლებზე⁸¹. ყუახვერელიანი ქვის საბრძოლო ცულები გავრცელებული იყო აღმოსავლეთ ევროპაში⁸², სომხეთში (კეტი, აისტეგენე, გნიშეკა, ემიაძინი, პეზმაშენი, გინდლიჟა, შენგავითი)⁸³, დასავლეთ ევროპაში (ფინეთი, შვედეთი, დანია, გერმანია, შვეიცარია, უნგრეთი, საქსო-ტიურინგია და სხვ.)⁸⁴, ჩრდილო-დასავლეთ ანატოლიაში (ტროა II, თერმი I, ალისარი, თეფეგავრა)⁸⁵ და ჩრდილო კავკასიაში⁸⁶.

საბრძოლო ქვის კულტურებში ყუახვერელიანი ქვის ცულების დამზადების ტრადიციას სხვა რეგიონებთან შედარებით ყველაზე ადრე, ძვ.წ. V-IV ათასწლეულებში, დასავლეთ ევროპაში ეყრება საფუძველი. შემდეგ იგი აქ არსებობას განაგრძობს ძვ.წ. III ათასწლეულსა და ძვ.წ. II ათასწლეულის პირველ ნახევარში⁸⁷. აღმოსავლეთ ევროპის ტერიტორიაზე საბრძოლო ქვის კულტურებში ამ რიგის

⁷³ **В. Бжания.** Результаты раскопки Гумистинского поселения в 1964 г. – Краткие сообщения Института Археологии (შემდგომ - КСИА), М., 1969, გვ. 58; **Ю.В. Воронов.** В мире архитектурных памятников Абхазии, М. 1978, გვ. 30, ტაბ. X; **Л. Соловьев.** Новый памятник Воронцовской пещеры. – Труды абхазского института языка, литературы и истории (შემდგომ - ТАИЯЛИ), т. XXIX, Сухуми, 1959, გვ. 53.

⁷⁴ **Ю.В. Воронов.** Древности Сочи и его окрестностей. Краснодар, 1979, გვ. 10, სურ. 17.

⁷⁵ **ლ. ჯიბლაძე.** კოლხეთის დაბლობის ნამოსახლართა სტრატოგრაფია, ქრონოლოგია და პერიოდიზაცია. საკანდიდატო დისერტაცია. თბ. 1990, გვ. 39, ტაბ. CXVI.

⁷⁶ **Б. Куфтин.** Материалы археологии Колхиды, т II. Тб., 1950, ტაბ. 64; **რ. პაპუაშვილი, ნ. პაპუაშვილი.** კოლხეთის ძველი ნამოსახლარები, ერგეტა, თბ., 2005, ტაბ. XXIX; **ე. გოგაძე.** კოლხეთის ბრინჯაოსა და ადრეული რკინის ხანის ნამოსახლართა კულტურა, თბ., 1982, გვ. 39-40.

⁷⁷ **ა. კახიძე.** აჭარის ნეოლით-ბრინჯაოს ხანის მასალები - გაზ.: "ჭარა", 21.V.1992; **გ. გრიგოლია, ფ. ფხაკაძე, მ. ბარამიძე, გ. ლორთქიფანიძე.** დასავლეთ საქართველოს საძიებო-არქეოლოგიური ექსპედიციის 1966 წლის მუშაობის შედეგები. - *მასალები საქართველოსა და კავკასიის არქეოლოგიისათვის* (შემდგომ - მსკა), ტ. V., თბ., 1973, გვ. 21, 92. **ბ. მურვანიძე.** რამდენიმე ექსპონტი ლანჩხუთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმიდან - კრებ.: *გურია*, III. თბ. 1975, გვ. 37.

⁷⁸ **ე. გოგაძე.** კოლხეთის ბრინჯაოსა და ადრეული..., გვ. 103.

⁷⁹ **ლ. ნებიერიძე.** დასავლეთ საქართველოს ნეოლითი, თბ., 1975, გვ. 55, ტაბ. XXXIV.

⁸⁰ **ი. კიკვიძე.** ხიზანანთ გორას ადრებრინჯაოს ხანის ნამოსახლარი, თბ., 1977, გვ. 25. **ა. ორჯონიკიძე.** სამცხე-ჯავახეთი ადრებრინჯაოს ხანაში, თბ., 1983, გვ. 26, ტაბ. 34. **ო. ჯაფარიძე.** ქართველი ტომების ისტორიისათვის ლითონის წარმოების ადრეულ საფეხურზე. თბ. 1961, გვ. 120; **ო. ჯაფარიძე.** ქართველი ტომების ეთნოკულტურის ისტორიისათვის ძვ.წ. მესამე ათასწლეულში, თბ. 1998, გვ. 120; **ო. ჯაფარიძე, გ. ავალიშვილი, ა. წერეთელი.** კახეთის (მარტყოფის) არქეოლოგიური ექსპედიციის 1980-1981 წლების მუშაობის ანგარიში. - *საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები (სსმე)* VIII. თბ., 1986, გვ. 40, ტაბ. VI; **ო. ჯაფარიძე.** ლითონის წარმოების ადრეული საფეხურები საქართველოში, თბ., 1955, გვ. 119. **ლ. ჯიბლაძე.** კოლხეთის დაბლობის ყუახვერელიანი ქვის ცულების წარმომავლობის საკითხისათვის, პრეპრინტი. თბ., 1992, გვ. 4.

⁸¹ **ო. ჯაფარიძე, გ. ავალიშვილი, ა. წერეთელი.** კახეთის..., გვ. 75; **ა. ორჯონიკიძე.** მტკვარ-არაქსის კულტურის განვითარების ძირითადი საფეხურები აღმოსავლეთ საქართველოში. თბ., 2004, გვ. 119.

⁸² **А. Брюсов.** Об экспансии культур с боевыми топорами в конце III тысячелетия до н.э. – *Советская археология*, №3, М.-Л. 1961, с. 90; **А. Брюсов, М. Зимина.** Каменные сверленные боевые топоры на территории СССР. – *Свод археологических источников.* М., 1966, с. 78; **В. Городцов.** Культуры Бронзовой эпохи в средней России. Очерки исторического музея За 1914 г., М., 1916. с. 15; **М. Gumbultas.** Bronze age culture in Central and Eastern Europe/ The Hague/London: Mouton. 1965, გვ. 246.

⁸³ **Э. Хандзян.** Культура Армянского нагорья III тыс. до н.э., Ереван, 1967, с. 106, ტაბ. IX; **Е. Баибურიан.** Новые находки каменного века в Армении. – СА, №3, М. 1937, გვ. 208, სურ. 1; **Л. Петросян.** Раскопки памятников Кети и Воскосакса (III-I тыс. до н.э.). Ереван, 1986, с. 120.

⁸⁴ **А. Монгайт.** Археология западной Европы. *Каменный век.* М., 1973, с. 283.

⁸⁵ **Г. Чайлд.** У истоков Европейской цивилизации. М., 1973, с. 66.

⁸⁶ **Е. Крупнов.** Материалы по археологии Северной Осетии докобанского периода – *Материалы и исследования по археологии СССР* (შემდგომ: МИА), №23, М.-Л. 1951. с. 29; **Р. Мунчаев.** Древнейшая культура Северо-Восточного Кавказа. - МИА, №100, М. 1961. с. 56; **В. Марковин.** Культуры племен Северного Кавказа в эпоху бронзы (II тыс. до н.э.) - МИА, №93, М. 1960. სურ. 7.

⁸⁷ **რ. ხვისტანი.** ბრინჯაოს ხანის უახლესი აღმოჩენა კოდორის ხეობის ზემო წელზე. - ჟურნ.: "კულტურათაშორისი კომუნიკაციები", №4, 2008, გვ. 169.

იარაღები ძვ.წ. III-II ათასწლეულების მიჯნაზე ჩნდება⁸⁸. ჩრდილო-დასავლეთ ანატოლიის ყუახვრელიანი ქვის ცულები ბრინჯაოს ხანის ევროპული ქვის კულტურის ხასიათს ატარებს. ანატოლიაში ამ ტიპის იარაღების ბალკანეთიდან, კერძოდ, დუნაის კულტურებიდან მოხვედრა ივარაუდება⁸⁹.

მკვლევარები თვლიან, რომ დასავლეთ ანატოლიის პლატო ევროპულ და მესოპოტამიურ ცივილიზაციებს შორის ერთგვარი დამაკავშირებელი ხიდია⁹⁰, თუმცა ტროა II, თერმი I და სხვა ძეგლების ქვის ყუახვრელიანი ცულების ფორმები მათ ადგილობრივ წარმომავლობაზე მიუთითებს⁹¹. ჩრდილოეთ კავკასიის რეგიონში ქვის ყუახვრელიანი ცულები ძვ.წ. III ათასწლეულის დასასრულს ჩნდება და ძვ.წ. II ათასწლეულის მეორე ნახევარში ვრცელდება, თუმცა მათი ზოგიერთი სახეობა თავს გვიანბრინჯაოს ხანაშიც (ძვ.წ. XV-XII სს.) იჩენს⁹². დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ყუახვრელიანი ქვის ცულები ფიჩორის ცენტრალური ბორცვიდან (V ფენა) მოდინარე აბსოლუტური თარიღებითა და ქვის ყუახვრელიანი ცულების თანმხლები პროტოკოლხური მასალებით (ძირზე ჭილოფისანაბეჭდიანი კერამიკა, ჰორიზონტალური და წყვილადყურიანი ქოთნები, ჭურჭლის სარტყელზე ნათითურფოსობით გამოყვანილი რელიეფი, თხელკეციანი შავპრიალა კერამიკა და სხვ.) ადრე და შუაბრინჯაოს ხანაში, ძვ.წ. III ათასწლეულის დასასრულსა და ძვ.წ. II ათასწლეულის პირველ მეოთხეულში (დაახლოებით ძვ.წ. XXI-XVII სს.) ჩნდება⁹³.

აღმოსავლეთ ევროპის ტერიტორიაზე ადრე და შუაბრინჯაოს ხანაში გავრცელებულ ცილინდრულნახვრეტაინ ქვის ცულებში ცხრა ტიპია გამოყოფილი: სამკუთხა, სოლისებური, ბარისებური, ჩაქურისებური, კვერთხისებური, ყუიანი, ჯვრისებური, ფილაქისმაგვარი და რომბისებური⁹⁴. საქართველოს ტერიტორიაზე ადრე და შუაბრინჯაოს ხანაში ოთხი ტიპის ყუახვრელიანი ქვის (ცილინდრულნახვრეტაინი) ცულია გავრცელებული: ვიწროყუიანი და სოლისებრტანიანი, ტანისაგან გამოყოფილი ყუით, ფართოდმომრგვალებულყუიანი და რომბული⁹⁵.

ქვის ცულების კულტურებში დასავლეთ საქართველოსათვის დამახასიათებელი სოლისებური და სამკუთხატანიანი ყუახვრელიანი ქვის ცულები ერთ-ერთ ყველაზე ადრეულ და გავრცელებულ ფორმადაა მიჩნეული⁹⁶. სოლისებური და სამკუთხა ფორმის ყუახვრელიანი ქვის ცულები საქართველოსა და ჩრდილო კავკასიაში თითქმის სინქრონულ პერიოდში, ძვ.წ. III ათასწლეულის დასასრულსა და ძვ.წ. II ათასწლეულის პირველ ნახევარში ვრცელდება⁹⁷. დასავლეთ საქართველოსათვის დამახასიათებელი ყუახვრელიანი ქვის ცულები ვ. მარკოვის ჩრდილო კავკასიის ბრინჯაოს ხანის კულტურის განვითარების ქრონოლოგიური ცხრილის პირველ ეტაპზე (ძვ.წ. 2000-1700 წლები) აქვს მოთავსებული⁹⁸. მტკვარ-არაქსის (აღმოსავლეთ საქართველოსა და სომხეთის) ადრეული ყორდანების კულტურებში ყუახვრელიანმა ქვის ცულებმა, არსებული მოსაზრებით, ჩრდილოეთ კავკასიიდან და სამხრეთ რუსეთის სტეპებიდან შემოაღწია⁹⁹. რეგიონალური სიახლოვის, ქვის ცულების ფორმათა იდენტურობის, ზედაპირნაპრიალობის, მასალის, ქრონოლოგიური და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით კოლხეთის დაბლობში მაგარი ჯიშის ქვისაგან დამზადებულ ამ ტიპის იარაღების ჩრდილოეთ კავკასიიდან შესაძლო იმპორტირება, ხოლო შედარებით რბილი ჯიშის ქვისაგან დამზადებული ნიმუშების ადგილზევე მიბაძვით დამზადება ივარაუდება¹⁰⁰.

ომარიშარის ყუახვრელიანი ქვის საბრძოლო ცული ფორმის მიხედვით (ფართოდმომრგვალებული ყუა, სოლისებური სამკუთხა ფორმა, მრგვალი სატარე ხვრელი) ძალიან უახლოვდება დასავლეთ საქართველოს დაბლობისა და მთისწინა ნამოსახლარებზე (ისპანი, საკირე გორა, გუმისთა, ჭოლიპა, ანაკლია II) გამოვლენილ ყუახვრელიან ქვის საბრძოლო ცულებს, რომლებიც ძვ.წ. III ათასწლეულის დასასრულითა და ძვ.წ. II ათასწლეულის პირველი მეოთხედით (დაახლოებით ძვ.წ. XIX-XVII

⁸⁸ Г. Чайлд. У истоков Европейской цивилизации. с. 72.

⁸⁹ А. Монгайт. Археология западной Европы. Каменный век, с. 291.

⁹⁰ Г. Чайлд. У истоков Европейской цивилизации. с. 72.

⁹¹ Г. Чайлд. У истоков Европейской цивилизации. с. 66.

⁹² Е. Крупнов. Материалы по археологии Северной Осетии докобанского периода, с. 28; Р. Мунчаев. Древнейшая культура Северо-Восточного Кавказа. с. 56.

⁹³ Л. ჯიბლაძე. კოლხეთის დაბლობის ძვ.წ. III-II ათასწლეულების ნამოსახლარები. თბ. 2007, გვ. 43.

⁹⁴ А. Брюсов, М. Зимица. Каменные сверлѣнные Боевые топоры..., с. 26.

⁹⁵ Л. ჯიბლაძე. კოლხეთის დაბლობის..., გვ. 43.

⁹⁶ А. Брюсов, М. Зимица. Каменные сверлѣнные Боевые топоры..., с. 18.

⁹⁷ Е. Крупнов. Материалы по археологии Северной Осетии докобанского периода, с. 27; Р. Мунчаев. Древнейшая культура Северо-Восточного Кавказа. с. 56.

⁹⁸ В. Марковин. Культуры племен Северного Кавказа в эпоху бронзы..., გვ. 45.

⁹⁹ ო. ჯაფარიძე, გ. ავალიშვილი, ა. წერეთელი. კახეთის..., გვ. 40.

¹⁰⁰ Л. ჯიბლაძე. კოლხეთის დაბლობის..., გვ. 42.

4. **ზაქარაია პ., ლექვინაძე ვ., გვინჩიძე გ.**, ნოქალაქევის ექსპედიციის მიერ 1976-77 წლებში ჩატარებული მუშაობის ანგარიში. - საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები, VI, თბ., 1978.
5. **ინანიშვილი გ., ჩართოლანი შ., მაისურაძე ბ., გობეჯიშვილი გ., მუჯირი თ.** საქართველოს უძველესი სამთამადნო წარმოების ძეგლები. - ძიებანი, №2, თბ., 1999
6. **კიკვიძე ი.**, ხიზანანთ გორის ადრებრინჯაოს ხანის ნამოსახლარი, თბ., 1977.
7. **ნებერიძე ლ.**, დასავლეთ საქართველოს ნეოლითი, თბ., 1975.
8. **ორჯონიკიძე ა.**, სამცხე-ჯავახეთი ადრებრინჯაოს ხანაში, თბ., 1983.
9. **პაპუაშვილი რ., პაპუაშვილი ნ.** კოლხეთის ძველი ნამოსახლარები, ერგეტა. თბ., 2005.
10. **ჩართოლანი შ., ცინდელიანი მ.** კოდორის ხეობის "დალ"-ის მხარის არქეოლოგიური ძეგლები. თბ., 2010.
11. **ჯაფარიძე ო.**, ქართველი ტომების ისტორიისათვის ლითონის წარმოების ადრეულ საფეხურებზე. თბ., 1961.
12. **ხვისტანი რ.** მდ. კოდორის ზემო წელის (დალის ხეობა) სამიეზო-არქეოლოგიური ექსპედიციის 2007-2008 წლების მუშაობის შედეგები. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, V, 2008.
13. **ჯღამაია ჯ.** სამშენებლო კერამიკა ფეოდალური ხანის საქართველოში. თბ., 1980.
14. **ჯიბლაძე ლ.** კოლხეთის დაბლობის ძვ.წ. III-II ათასწლეულების ნამოსახლარები. თბ., 2007.
15. **ჯიბლაძე ლ.** კოლხეთის დაბლობის ნამოსახლართა სტრატეგრაფია-ქრონოლოგია და პერიოდიზაცია. თბ., 1990.
16. **მურვანიძე ბ.** რამდენიმე ექსპონატი ლანჩხუთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმიდან. კრ.: გურია, III, თბ., 1975.
17. **Курфин Б.**, Материалы археологии Колхиды, т. II. Тб., 1950.
18. **Воронов Ю.** В мире архитектурных памятников. Абхазии, М., 1978.
19. **Воронов Ю.В.** Древности Сочи и его окрестностей. Краснодар, 1979.
20. **Кация А.** Памятники архитектуры в долине река Цкуара. Материалы археологии Абхазии. Сухуми, 1967.
21. **Соловьев Л.** Новый памятник Воронцовской пещеры. – Труды абхазского института языка, литературы и истории. т. XXIX, Сухуми, 1959.
22. **Бжания В.** Результаты раскопки Гумистинского поселения в 1964 г. – Краткие сообщения Института Археологии. №116, М., 1969.
23. **Брюсов А.** Об экспансии культур с боевыми топорами в конце III тысячелетия до н.э. – Советская археология, №3, М.-Л. 1961.
24. **Брюсов А., Зимина М.** Каменные сверленные боевые топоры на территории СССР. – Свод археологических источников. М., 1966.
25. **Городцов В.** Культуры Бронзовой эпохи в средней России. Очерки исторического музея За 1914 г., М., 1916.
26. **Мунчаев Р.** Древнейшая культура Северо-Восточного Кавказа. - МИА, №100, М. 1961.
27. **Монгайт А.** Археология западной Европы. *Каменный век.* М., 1973.
28. **Марковин В.** Культуры племен Северного Кавказа в эпоху бронзы (II тыс. до н.э.) - МИА, №93, М. 1960.
29. **Чайлд Г.** У истоков Европейской цивилизации. М., 1973.
30. **Петросян Л.** Раскопки памятников Кети и Воскосакса (III-I тыс. до н.э.). Ереван, 1986.
31. **Баибურიан Е.** Новые находки каменного века в Армении. – СА, №3, М. 1937.
32. **Хандзян Э.** Культура Армянского нагорья III тыс. до н.э., Ереван, 1967.
33. **Gumbultas M.** Bronze age culture in Central and Eastern Europe/ The Hague/London: Mouton. 1965.



ARCHEOLOGICAL MONUMENTS OF UPPER ZONE OF THE RIVER KODORI

Revaz Khvistani, Sokhumi State University, Associate Professor

SUMMARY

In the article is examined a small part of the archeological material accidentally revealed in the upper zone of the river Kodori - butt-holed stone fighting axe and one type of building ceramic, particularly antefix. Has been made a topologic-chronologic classification of this material and found its place among archeological cultures of Georgia and the Caucasus. By the form (broadly rounded butt, wedge-shaped triangle shape, round holding hole) of the butt-holed stone fighting axe revealed in the village Omarishali, it very much approaches to the butt-holed stone fighting axes revealed in valley bottoms and foothill former dwelling places of the Western Georgia (Ispani, Gumista, Anaklia at alias), which date back to the Middle Bronze Age, XIX-XVIII centuries BC.

On the façade of the antefix revealed in the village Chkhalta, inscription in the Georgian capital letters between the crosspieces of the cross, paleographically dates back to X century. By the form, ornament and other artistic elements antefix of Chkhalta is similar of the antefixes revealed in the Western Georgia (Nokalakevi, Achanua, Mramba) dated by X-XI centuries.



საქართველო და ალან-ოსები „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ ზოგიერთი ცნობის შუქზე

ია ჯიჭონაია

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ისტორიის დოქტორი

„ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ სახელით ცნობილი თამარის ისტორიკოსის თხზულება, რომელიც სრული სახით შესულია „ქართლის ცხოვრების“ მარიამისეულ, მაჩაბლისეულ და მცხეთურ ნუსხეებში [1. 27] არაერთ საინტერესო ცნობას შეიცავს ჩრდილოეთ კავკასიაზე, მათ შორის, უპირველეს ყოვლისა ალანია-ოსეთზე და ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებთან, კერძოდ, ოსურ სამყაროსთან საქართველოს ურთიერთობებზე XII საუკუნეში. წარმოდგენილ ნაშრომში ჩვენ მხოლოდ ზოგიერთ ამ ცნობაზე გავამახვილებთ ყურადღებას.

„ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ პირველი ცნობა, რომელშიც გარკვეულწილად ასახულია საქართველოს ურთიერთობები ჩრდილოეთის ქვეყნებთან, მათ შორის ოსებთან და, ამდენად, იწვევს ჩვენს ინტერესს, არის მატიანისეული შეფასება დემეტრე I-ის მოღვაწეობისა: „*მამა იქმნა გიორგი, მეფე-მეფეთა, ძე დიმიტრი მეფისა, რომელსა დავითცა ესუა ძედი, ძესა დავითიანისასა, და აღმოსავლეთისა და კერძო-ჩრდილოეთისა მეციხოვნისა და ზღვართა დამდებლისა და ზღუათა ზღუამდინ მპყრობელისა* (ხაზგასმა ჩვენია – ი.ჯ.), რომლისა დიდებითა, სიმკნითა და გუარითა ცხოვრებასა აღმოაჩენს იოვანე ფილოსოფოსისა ჭიმჭიმელისა შესხმა-მოთხრობა“ (2. 3).

როგორც ვხედავთ, ამ ცნობაში სრულიად გარკვევით არის ნაჩვენები დემეტრე I-ის, როგორც „ჩრდილოეთის მეციხოვნის“ ფუნქცია და პირდაპირაა მითითებული, რომ ის იყო „ზღუათა ზღუამდინ მპყრობელი“. აქვე გვინდა საგანგებოდ აღვნიშნოთ, რომ ეს ცნობა ამ კუთხით დღემდე არ მოქცეულა მკვლევართა ყურადღების არეალში. ერთი შეხედვით, თითქოს აქ უნდა იგულისხმებოდეს ქართლის მეფეთა ტრადიციული ფუნქცია – კავკასიონის გადასასვლელების („კარების“) სადარაჯოზე დგომა. მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ განმარტებას „ზღუათა ზღუამდინ მპყრობელი“, აქ საუბარი უნდა იყოს ზოგადად ჩრდილოეთ კავკასიაზე, მათ შორის ალანია-ოსეთზე რაღაც „ზღვრის დადებზე“ და მთლიანად ამ რეგიონის („ზღვიდან ზღუამდინ“) საქართველოს მეფის გავლენის ქვეშ მოქცევაზე. ყოველი შემთხვევისათვის, ეს რამდენადმე ეხმიანება XIII. არაბი ავტორის ალ-ფარიკის თითქმის დოკუმენტურ ცნობას, დემეტრე I-ის მეფობის ჟამს, დარუბანდის საამიროზე (რომელიც, როგორც ცნობილია, უშუალოდ კასპიის ზღვის სანაპიროზე იყო) საქართველოს სახელმწიფოს გავლენის დამყარების შესახებ (3. 222-223; 4. 74).

ამ თვალსაზრისით კიდევ უფრო მრავლისმეტყველია „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ ცნობა, რომელიც ეხება უკვე თამარ მეფის მოღვაწეობას ამ მიმართულებით: „*იპყრნა (თამარმა – ი.ჯ.) ზღვთ პონტოსით ზღუადმდე გურგანისად და სპერითგან დარუბანდამდის ყოველი კავკასიისა იმერელნი და ამერელნი ხაზარეთამდის და სკვთამდის*“ [2. 34]. ამ შემთხვევაში ხაზარეთისა და „სკვითეთის“ მოხსენიებამ არ უნდა დაგვაზნოს. მიუხედავად იმისა, რომ მოცემულ პერიოდში ხაზართა სახელმწიფო არ არსებობდა, გეოგრაფიული ცნება „ხაზარეთი“ ქართველ მემატიანეთა ცნობიერებაში ჯერ კიდევ შემორჩენილი იყო. უფრო მეტიც, მას არაერთხელ ვხვდებით XIVს. ჟამთააღმწერლის ქრონიკაშიც [5. 163, 181, 196, 229, 234]. რაც შეეხება „სკვითეთს“ („სკვითებს“), აქ უფრო დიდ ანაქრონიზმთან გვაქვს საქმე, თუმცა ტერმინი „სკვითი“ „რუსის“ სინონიმადაც მოჩანს [2. 40; 6. 57-58].

ხაზართა და სკვითთა მოხსენიებას სრულიად გარკვეული პოლიტიკური დატვირთვა აქვს თამარის პირველი ისტორიკოსის კიდევ ერთ ცნობაში. იქ, სადაც მემატიანე მოგვითხრობს გიორგი III-ის მიღწევებზე, აღნიშნავს, რომ ის იყო „*ბრძანებითა მპყრობელი აღმოსავლეთისა და დასავლეთისა, ჩრდილოსა და სამჯრისა*“ და რომ „*სძღუნობდეს და სძმობდეს მას მეფენი ბერძენთანი, იერუსალიმს ალამანთანნი, და ჰრომთანნი, და ჰინდოთანნი, და ხონელნი; და ეგრეთვე სულტანნი ხორასნისა, ბაბილოვნისა, შამისა, ეგვიპტისა და იკონიისანი ჰმონებდეს, და შემდგომნი ამათნი სკვთანი, ხაზარნი, ალანნი* (ხაზგასმა ჩვენია – ი.ჯ.), ხუარასანი და ხუარაზმმა და ბერეთელნი, აბაშნი, არაბნი, მიდნი, ელამიტელნი და შუამდინარელნი, და ყოველნი ენანი და ნათესავნი მაშრიყით მაღრიბამდე“ [2. 22-23].

აქ ჩამოთვლილი ხალხებისა და ქვეყნების ერთი ნაწილი („მიდნი, ელამიტელნი, შუამდინარელნი“ და ა.შ.), როგორც ცნობილია, ისტორიის არენიდან დიდი ხნის გამქრალნი იყვნენ, მათ შორის, ბუნებრივია, „სკვითნიც“ და „ხაზარნიც“. სრულიად აშკარაა, რომ მემატიანეს მათი დასახელება დასჭირდა მხოლოდ გიორგი III-ის სიდიადისა და საერთაშორისო ავტორიტეტის საჩვენებლად. და მაინც, ამ ცნობას აქვს გარკვეული მნიშვნელობა იმ გაგებით, რომ შუა საუკუნეების ქართველ მემატიანეთა ისტორიული ცნობიერება ე.წ. „ძლიერთა ამა ქვეყნისათას“ შორის მოიაზრებდა ალან-ოვსებსაც. ამ შემთხვევაში აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ მოცემულ ჩამონათვალში ოვსები რატომღაც ფიგურირებენ „ალანთა“ სახელით. ეს

უნდა მიგვანიშნებდეს იმაზე, რომ ქართველი მემკვიდრე საკმაოდ კარგად იყო გათვითცნობიერებული ალან-ოვსთა ისტორიულ წარსულში და მან კარგად იცოდა ალანთა გაერთიანების ოდინდელი „ძლევა მოსილების“ შესახებ.

საქართველო-ოვსეთის ურთიერთობის კონკრეტული ფაქტის ამსახველია „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ ცნობა გიორგი III-ის ოვსთა მეფის ასულზე დაქორწინების შესახებ: „ამას თვსსა მეფობასა შინა მოგუარა ცოლი მამამან, ასული მეფისა ხუდდანისი, სახელით ბურდუხან“ [2. 4]. მართალია, მემკვიდრე ხაზს უსვამს დედოფალ ბურდუხანის გარეგნულ სიმშვენიერეს, მაგრამ ეჭვს არ იწვევს ამ დინასტიური ქორწინების პოლიტიკური მოტივაცია [7. 144]. „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანმა“ შემოგვინახა ცნობა საქართველოს სამეფო სახლსა და ოვსეთის მეფეთა შორის კიდევ ერთი დინასტიური ქორწინების შესახებ. ამ ცნობის თანახმად, რუსუდან დედოფლის მამის (დემეტრე I – **ო.ჯ.**) და, „დავითის ასული“ ოვსეთს ყოფილა გათხოვილი. ყველა რა ოვსი უფლისწულის, თამარ მეფის მომავალი ქმრის დავით-სოსლანის ამბავს, მემკვიდრე განმარტავს, რომ „ესე დედოფალსა რუსუდანს, ვინათგან თვს ეყვოდა მამის დისა მისისა დავითის ასულისა ოვსეთს გათხოვილობისა მიზეზითა, მოეყვანა (დავითი – **ო.ჯ.**) საზრდელად სახლსა შინა მისსა“ [2. 46].

მკვლევრებს უჭირთ ამ ფაქტის დაკონკრეტება, კერძოდ ის, თუ როდის მოხდა ეს ქორწინება და ვინ იყო დავითის ასული. თავის დროზე, ვ. კეკელიძე თვლიდა, რომ ოვსეთს გათხოვილ საქართველოს მეფის ასულს რუსუდანი უნდა რქმეოდა [8. 313-318]. გ. თოგოშვილი უშვებს, რომ ეს ქორწინება შედგა 1118 წ. დავით აღმაშენებლის ოვსეთს ყოფნის ჟამს, თუმცა არც იმას გამორიცხავს, რომ ეს შეიძლება მომხდარიყო დემეტრე I-ის მეფობის პერიოდში [7. 142]. ჩვენ ეს მოსაზრება უფრო მართებულად მიგვაჩნია. ამ დინასტიური ქორწინების შედეგად, სავარაუდოა, რომ ოვსეთი კიდევ უფრო ინტეგრირებული აღმოჩნდა საქართველოსთან.

ამ თვალსაზრისით უადრესად საყურადღებოდ მიგვაჩნია „ისტორია და აზმანის“ ცნობა გიორგი III-ის „ალანთა ქვეყანაში“ ნადირობის შესახებ. მემკვიდრე მოგვითხრობს: „ოდესმე ჟამსა ზამთრისასა, გარდავიდის ლიხთიმერითს და მიუწიის ზღუად პონტოსა, მოიწიის და მოინადირის ალანთა ქუეყანა, რომელ არს აფხაზეთი (ხაზგასმა ჩვენია – **ო.ჯ.**), ოდესმე გურგანის ზღუადმდე“ [2. 15]. ამ ცნობას უკომენტაროდ იმეორებს ვახუშტი ბაგრატიონი, რომელიც აღნიშნავს, რომ „ამათ შინა მოვლიდა მეფე (გიორგი III – **ო.ჯ.**) აფხაზეთს, ალანთა, გურია-სპერამდე (ხაზგასმა ჩვენია – **ო.ჯ.**), იმერ-ამერთა, ზემო-ქუემოთა ზღუად პონტო-კასპიამდე და იშუებდა და ნადირობდა და განაგებდა მუნებურთა“ [9. 168].

ვახუშტი ბაგრატიონის თხზულების გეოგრაფიულ ნაწილში მოცემულია ალანის ქვეყნის ლოკალიზაცია. მისი განმარტებით, „ალანი არს სუანეთის დასავლით და ბედიის ჩრდილოთ (ხაზგასმა ჩვენია – **ო.ჯ.**). აქუს აღმოსავლით კავკასი და საზღვარი სუანთა; სამკრით კავკასი ბედია-ოდის და ამას შორისი; დასავლით კავკასი, ჩრდილოთა კავკასი. უდის შუაში სუანეთის მდინარე“ [9. 788-789]. თხზულების სხვა ადგილას, ეგრის-აფხაზეთ-იმერეთის ქვეყნის აღწერისას, ვახუშტი ამ „ქუეყანის“ „განის“ მოხაზულობას ასე წარმოგვიდგენს: „ჭოროხის მდინარიდამ ალანის კავკასამდე (ხაზგასმა ჩვენია – **ო.ჯ.**) და, ლიხის მთის კერძოდ, ფერსათის მთის თხემიდან რაჭა-სუანეთის კავკასის მთის თხემამდე“ [9. 743] ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით, ალანის ქვეყანაზე გადის „კაპპეტის მდინარე“: „ამის ბიჭვინტის დასავლით დის კაპპეტის მდინარე, დიდი და ჩქარად მდინარე. გამოსდის ესე რაჭის მთას, კავკასსა, გამოვლის სუანეთს, ალანსა (ხაზგასმა ჩვენია – **ო.ჯ.**) და მას ქუეითთა ორს კავკას-შორისთა და მოერთვის აქა ჩრდილოდამ ზღუასა“ [9. 785]. „ალანის ქვეყნის“ შესახებ ინფორმაციას ვხვდებით აგრეთვე სვანეთის საზღვრების აღწერისას: „დასავლით სუანეთსა და ოდიშს-შორისი კავკასი და ალანის საზღვარი (ხაზგასმა ჩვენია – **ო.ჯ.**). სიგრძით არს რაჭის კავკასის თხემიდამ ოდიშის კავკასის თხემამდე და ალანამდე“ [9. 787].

ამრიგად, ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით, ალანის ქვეყანა სადღაც სვანეთსა და ამჟამინდელი აფხაზეთს შუა მთიან ზონაშია (აკად. დ. მუსხელიშვილის მიხედვით, მდ. კოდორის ზემო წელში [10. 98]) და აღმოსავლეთით, დასავლეთით, ჩრდილოეთით და სამხრეთით კავკასიონის ქედის ტოტებითაა შემოსაზღვრული. აღსანიშნავია, რომ ვახუშტი ბატონიშვილის თხზულების მიხედვით, ამ „ალანის ქვეყანას“ არაფერი აქვს საერთო ოვსეთთან, რომლის საკმაოდ დაწვრილებით აღწერას ის იძლევა თავისი ნაშრომის სხვა მონაკვეთში [9. 632-655]. რაც მთავარია, „ალანის ქვეყანას“ ვახუშტი ერთმნიშვნელოვნად მოიაზრებს ეგრის-აფხაზეთ-იმერეთში.

აქედან გამომდინარე, თითქოს ყველა პირობა არსებობს, ვიფიქროთ, რომ თამარის პირველი ისტორიკოსის განმარტება „ალანთა ქვეყანა, რომელ არს აფხაზეთი“ მართლაც არის არა ოვსეთი ან მისი ნაწილი, არამედ „აფხაზეთის“ (ამ შემთხვევაში დასავლეთ საქართველოს) რომელიღაც შიგნითა მხარე, პროვინციაა [11. 433-434]. ეტყობა ამ მოტივით არ გაუკეთა „ისტორიანი და აზმანის“ ამ ცნობას კომენტარი გ. თოგოშვილმა და აუარა მას გვერდი საქართველო-ოვსეთის ურთიერთობების გაშუქებისას [7; 12]. მისგან განსხვავებით, ალანია-ოვსეთის ისტორიის ცნობილ რუს მკვლევარს ვ. კუზნეცოვს, რომელიც ყველანაირად ცდილობს XI-XII საუკუნეების ოვსეთის სამეფო საქართველოს თანატოლ და თანასწორუფლებიან სა-

ხელმწიფოდ წარმოაჩინოს, არ ექვეება, რომ ქართული მატიანის „ალანთა ქვეყანა“ ოვსეთია (ე. ი. ჩრდილოეთ კავკასიაში) და გიორგი III-ის გადასვლას სანადიროდ იქ განიხილავს, როგორც „дружеские поездки к тестю Худдану“ [13. 33].

ჯ. სტეფნაძე ასევე თვლის, რომ ქართველი მემატიანის „ალანთა ქვეყანა“ არის ოვსეთი და გიორგი III-ის „ალანის ქვეყანაში“ ნადირობის შესახებ „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანიში“ დაფიქსირებული ფაქტი მოჰყავს იმის საბუთად, რომ საქართველოს გავლენა ჩრდილოეთ კავკასიაში ვრცელდებოდა ხაზარეთისა და რუსეთის საზღვრებამდე [14. 116-117]. ამავე თვალსაზრისს ავითარებს ზ. პაპასქირი, რომელიც, ამასთან, ამხელებს რა ყურადღებას თამარის ისტორიკოსის განმარტებაზე „ალანთა ქვეყანა, რომელ არს აფხაზეთი“, მიიჩნევს, რომ შესაძლოა საქართველოს პოლიტიკურ წრეებში ალანთა-ოვსეთი მართლაც განიხილებოდა, როგორც „საკუთარი ქვეყანა“ – აფხაზეთი, ამ შემთხვევაში, სრულიად საქართველო. ამასთან დაკავშირებით, მკვლევარი იოანე ცეცეს ცნობაზე [15. 23] დაყრდნობით საგანგებოდ მიუთითებს იმაზეც, რომ ბიზანტიაში XII საუკუნეში ქართველებს, აფხაზებსა და ალანებს ერთ ხალხად მოიაზრებდნენ [4. 60; 11. 433-434]. ჩვენ ვიზიარებთ ჯ. სტეფნაძისა და ზ. პაპასქირის თვალსაზრისს (ვახუშტისეულ „ალანთა“ ქვეყანას ასევე ჩრდილოეთ კავკასიაში მოიაზრებს თ. მიბჭუანი [16. 61]) და ასევე ვთვლით, რომ „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ ცნობაში გიორგი III-ის „ალანთა ქვეყანაში“ ნადირობის შესახებ იგულისხმება ალანთა-ოვსეთი – ჩრდილოეთ კავკასიაში არსებული გაერთიანება. ამ შემთხვევაში, ჩვენი აზრით, განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს მემატიანის თხრობის თანმიმდევრობას და გიორგი მეფის „მიმოსვლის“ მარშრუტს. თავდაპირველად ის მოგვითხრობს მეფის ლიხთ-იმერეთს გადასვლაზე პონტოს ზღვამდე – „გარდავიდის ლიხთ-იმერეთს და მიუწიის ზღუად პონტოსა“; საიდანაც „მოიწიის და მოინადირის ალანთა ქვეყანა... ოდესმე გურგანის ზღუადმდე“, ე. ი. სრულიად აშკარაა, რომ აქ ლაპარაკია მეფის ვოიაჟზე ჩრდილოეთ კავკასიაში „ალანთა ქვეყნიდან“ ვიდრე კასპის ზღვამდე.

რაც შეეხება ვახუშტის გეოგრაფიულ ორიენტირებს, რომელთა მიხედვითაც „ალანის ქვეყანა“ თითქოს კავკასიონის ქედის სამხრეთით მოჩანს, ისინი შეიძლება რამდენადმე სწორიც იყოს, მაგრამ, ამასთან, გარკვეულ კორექტირებას საჭიროებდეს. ასე, მაგალითად, ეჭვს არ უნდა იწვევდეს ის, რომ კოდორის ხეობაზე გადიოდა ოვსეთს გადასასვლელი გზა. ამ მარშრუტით – აფშილეთზე გავლით – უნდა გადასულიყო ჩრდილოეთ კავკასიაში ალანებთან VIII ს-ის დამდეგს ბიზანტიის იმპერატორის ემისარი ლეონ ისავრიელი, რომელმაც, თეოფანე ჟამთააღმწერლის ცნობით [17. 106-109], მოისყიდა ალან-ოვსები და ინსპირირება უყო მათ თავდასხმებს აბაზგებზე [18. 293-294; 19. 104-105]. ცნობილია, აგრეთვე, რომ VIII ს-ის 30-იან წლებში „აფხაზეთის საერისთავოს“, რომლის ტერიტორია სამხრეთით მხოლოდ მდ. კელასურამდე აღწევდა, უშუალო საზღვარი ჰქონდა ოვსეთთან. ქართველი მემატიანის ცნობით, „ერისთავი კეისრისა ლეონ შესრულ იყო ციხესა შინა სობლისასა, რომელ არს გარდასავალსა ოვსეთისასა“ [20. 239]. ე. ი. ამ მასალებიდან ერთმნიშვნელოვნად ირკვევა, რომ VIII ს-ში ალანთა-ოვსეთი ნამდვილად აბაზგია-აფშილეთის მოსაზღვრე ქვეყანაა, მაგრამ არსაიდან ჩანს, რომ ეს ქვეყანა მაინცდამაინც კავკასიონის ქედის სამხრეთითაა. პირიქით, ყოველგვარი დაეჭვების გარეშე შეიძლება ვამტკიცოთ, რომ ეს ქვეყანა მართლაც მდებარეობს და „სვანების დასავლით და ბედიის ჩრდილოთ“, როგორც ამას ვახუშტი ბატონიშვილი მიუთითებს, ოღონდ კავკასიონის ქედს გადაღმა და არა გადმოღმა.

ასეთია ჩვენი კომენტარები „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ ზოგიერთი ცნობის ირგვლივ, რომელშიც ასახულია საქართველოს ურთიერთობები ოსურ სამყაროსთან. ესაა მხოლოდ მცირე ნაწილი უფრო ვრცელი ნაშრომისა, რომელსაც უახლოეს ხანს გამოვაქვეყნებთ.

ლიტერატურა:

1. რ. კიკნაძე. ფარსადან გორგიჯანიძე და „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“. თბ., 1975.
2. ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი. – ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II. თბ., 1959, ტ. II.
3. В. Ф. Минорский. История Ширвана и Дербенда. М., 1963.
4. З. В. Папаскири. У истоков грузино-русских политических взаимоотношений. Тб., 1982.
5. ჟამთააღმწერელი. – ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II. თბ., 1959.
6. რ. მეტრეველი, ზ. პაპასქირი. საქართველო და ძველი რუსეთი IX-XII. I მესამედი. – ქართული დიპლომატია, წელიწდეული, ტ. 14. თბ., 2011.
7. გ. თოგოშვილი. საქართველო-ოსეთის ურთიერთობის ისტორიიდან. უძველესი დროიდან XIVს. დამლევამდე. სტალინირი, 1958.
8. კ. კეკელიძე. ერთი მომენტი ქართული პოლიტიკური აზროვნებისა კლასიკური ხანის ლიტერატურაში. – ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, I. თბ., 1956.
9. ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. – ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი

- ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით *ს. ყაუხჩიშვილის* მიერ, ტ. IV. თბ., 1973.
10. **დ. მუსხელიშვილი.** საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, I. თბ., 1977.
11. **ზ. პაპასქირი.** ენათმეცნიერული გამოკვლევა აფხაზეთის ისტორიულ წარსულზე. *რეცენზია თეიმურაზ გვანცელაძის მიერ ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილ სადისერტაციო ნაშრომზე „აფხაზეთის ისტორიოგრაფიის ლინგვისტური საფუძვლები“.* სპეციალობა 10.02.09 – მთის იბერიულ-კავკასიური ენები. 1997. – წგნ.: **ზ. პაპასქირი.** და აღმოცისკრდა საქართველო – ნიკოფსიიდან დარუბანდამდე. თბ., 2009.
12. **გ. თოგოშვილი.** ვახუშტი ბაგრატიონი ოსეთისა და ოსების შესახებ, თბ., 1977.
13. **В. А. Кузнецов.** Алания в X–XIII вв., Орджоникидзе, 1971.
14. **ჯ. სტეფნაძე.** საქართველოს პოლიტიკური ურთიერთობა კავკასიის ხალხებთან XII საუკუნეში. თბ., 1974.
15. **იოანე ცეცე.** ხალიადები. – *გეორგია.* ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო *ს. ყაუხჩიშვილმა*, ტ. VII. თბ., 1967.
16. **თ. მიზღვანი.** მეგობრობის სათავეებთან. თბ., 1986.
17. **თეოფანე ჟამთააღმწერელი.** – ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო *ს. ყაუხჩიშვილმა*, ტ. IV, ნაკვ. I. თბ., 1941.
18. **ზ. პაპასქირი.** ბიზანტიის დიპლომატია და პოლიტიკური ცვლილებები დასავლეთ საქართველოში VIII ს. I ნახევარში, – *ქართული დიპლომატია*, 4. თბ., 1997.
19. **ზ. პაპასქირი.** დასავლეთ საქართველო-აფხაზეთის პოლიტიკური ისტორიიდან. VIII საუკუნის I ნახევარი, – წგნ.: **ზ. პაპასქირი.** აფხაზეთი საქართველოა. თბ., 1998.
20. **ჯუანშერ ჯუანშერიანი.** ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა. – *ქართლის ცხოვრება*, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით *ს. ყაუხჩიშვილის* მიერ, ტ. I. თბ., 1955.

GEORGIA AND ALAN-OSSETIANS IN THE LIGHT OF SOURCES ABOUT “ISTORIANI AND AZMANI SHARAVANDEDTANI”

Ia Jichonaia, Sokhumi State University, Doctor of History
SUMMARY

Relations between Georgians and Alans take source from the early past. Exactly this fact determined great interest of old Georgian historical writing to Alan tribes and Alan states. It can be directly said that reconstruction of Alan history is impossible without considering Georgian historical writing sources. “Kartlis Tskhovreba” is one of the important sources as of Alan history as history of Georgian-Alan history. King Tamar’s historian’s work “Istoriani and Azmani Sharavandedtani”, which is completely included in Mariami, Machabeli and Mtskheta writings of “Kartlis Tskhovreba”, has many historical notes about the North Caucasus, between them, first of all about Alania-Ossetia and the people of the North Caucasus, particularly on relations between Ossetian world with Georgia in the XII centuries. It can be proved that sources of “Kartlis Tskhovreba” give us quite difficult ideas about the events taking place in the North Caucasus, growing influence of Georgian political world on the Caucasus. This process had started from the antique period when newly founded Kartli Kingdom included the North Caucasian tribes in the processes taking place in East Georgia. Kartli-Iberia state could maintain its political and cultural influence nearly at all the stages of its existence.

აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის კონფლიქტები და მათი დარეგულირების ბერკეტები

გვევლინება თუ არა საქართველოში მიმდინარე ეთნოდემოგრაფიული პროცესები ეთნოკონფლიქტების მიზეზად

ნანა ახალაია

გორის სასწავლო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი

მერაბ ხმალაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პროფესორი

აფხაზი მეცნიერების მტკიცებით, საქართველოს და ქართველების მიერ გატარებული პოლიტიკის შედეგად ადგილი ჰქონდა აფხაზეთის დემოგრაფიული განვითარების შეზღუდვას, რის შედეგადაც აფხაზეთში მცხოვრები აფხაზები აღმოჩნდნენ ეროვნულ უმცირესობაში, ხოლო ქართველები უმრავლესობაში. აქ ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ შემდეგი გარემოებები: 1) მას შემდეგ, რაც გაგვაჩნია ისტორიული სტატისტიკის მონაცემები საქართველოს მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის შესახებ, ქართველები აფხაზეთში ყოველთვის ფლობდნენ რიცხობრივ უპირატესობას; 2) 1800 წლიდან კონფლიქტამდე, 1990-იან წლებამდე, საქართველო წარმოადგენდა რუსეთის კოლონიას და ქართველებს ასეთი პოლიტიკის გატარება რომც მოენდომებინათ, მას ისინი ვერ გაატარებდნენ; 3) აფხაზეთის (არავითარ შემთხვევაში ოსების) მიმართ ნამდვილად ტარდებოდა ანტიაფხაზური დემოგრაფიული პოლიტიკა, რომელიც ატარებდა გენოციდის ფორმას და ხორციელდებოდა რუსეთის იმპერიის მიერ. მოვიტანთ კონფლიქტში მონაწილეთა რიცხოვნობის მაჩვენებლებს 1801-1897 წლების მიხედვით (ათასი კაცი)

	1801	1864	1886	1897
ქართველი	670	955	1188	1314
ოსი	32	49	76	85
აფხაზი	60	66	35	40

როგორც ვხედავთ, საქართველოში ქართველების რიცხოვნობა განხილულ პერიოდში გაიზარდა თითქმის ორჯერ, ოსების-2,7-ჯერ, ხოლო აფხაზების რიცხოვნობა შემცირდა 33 პროცენტით, ამასთან უნდა გავითვალისწინოთ, რომ რიგი ეროვნებების რიცხოვნობის სწრაფმა ზრდამ (რუსები, უკრაინელები, სომხები) გამოიწვია ქართველი მოსახლეობის ხვედრითი წილის შემცირება 79-დან 70%-მდე, ხოლო აფხაზების 7-დან 2,1%-მდე. ოსების ხვედრითი წილის შემცირებაზე საქართველოს მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობის ცვლილებას გავლენა არ მოუხდენია, პირიქით, 1801-1897 წლებში ოსების ხვედრითი წილი 3,7-დან 4,6-მდე გაიზარდა.

აფხაზეთისათვის განსაკუთრებით გამანადგურებელი იყო 1866-1878 წლები. როგორც, ვხედავთ 1866 წელს 66 ათასიდან, აფხაზების რიცხვი 1886 წლის საოჯახო სიებით (მოსახლეობის აღწერით)¹⁰⁸ შემცირდა 35 ათასამდე, ე.ი. ფაქტობრივად ორჯერ. მიზეზი ქართველები? არა - მუჰაჯირობა, რომელიც განხორციელდა რუსეთისა და თურქეთის მიერ. კერძოდ, 1866 წელს გლეხთა აჯანყების ჩაქრობის შემდეგ, თურქეთში ძალდატანებით გადასახლდა 15 ათასი აფხაზი. რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომში თურქეთისადმი სიმპატიის მიზეზით, 1877 წელს სოხუმის ოკრუგიდან თურქეთში იძულებით გადასახლდა 28,5 ათასი აფხაზი, ხოლო 1878 წელს აჭარიდან თურქეთში გადასახლდა 2,6 ათასამდე აფხაზი. იმდროინდელი ქართული საზოგადოების წარმომადგენლები, გრ. ორბელიანი, ს. მესხი, ი. გოგებაშვილი და სხვები იბრძოდნენ აფხაზების გადასახლების წინააღმდეგ.

აფხაზების და სხვა მთიელი ხალხების აყრამი და თურქეთში გადასახლებაში დაინტერესებული იყო როგორც რუსეთი, ისე თურქეთი. რუსეთს უნდოდა თავიდან მოემორებინა თავისუფლებისათვის მებრძოლი ხალხები, ხელში ჩაეგდო კავკასიაში გეოსტრატეგიულად მნიშვნელოვანი ტერიტორიები და

¹⁰⁸ მოცემული აღწერით 1866 წელს სოხუმში ცხოვრობდა მხოლოდ სამი აფხაზი.

აეთვისებინა დემოგრაფიულად: დაესახლებინა იქ ყაზახ-რუსები და რუსეთის იმპერიის ერთგული სხვა ხალხები. თურქეთს თავისი მიზანი ჰქონდა: უნდოდა შეეცაო ხანგრძლივი ომებით შემცირებული მოსახლეობის რიცხოვნობა. და ასე ბანდა ხელი ხელს. რა თქმა უნდა ისმის კითხვა: რა შუაში არიან ქართველები, რომლებიც თავის მხრივ ყველანაირ შევიწროებას განიცდიდნენ რუსეთის იმპერიისაგან.

რუსეთის ანტიაფხაზური პოლიტიკის შედეგად აფხაზეთის რიგი სოფლები მთლიანად ან ნაწილობრივ დაცლილი იყო მოსახლეობისაგან, რაც ქმნიდა დემოგრაფიულ ვაკუუმს, რომლის შევსებაც რუსეთმა დაიწყო ამ მიწებზე გარედან მოსული ემიგრანტების ჩასახლებით. ჩასახლებული ემიგრანტების მნიშვნელოვან კონტინგენტს შეადგენდნენ თურქეთიდან გადმოსახლებული სომხები და ბერძნები. ისინი სახლდებოდნენ სოხუმის, გულრიფშის და გაგრის ტერიტორიებზე. ჩამოსახლეს რუსები და ესტონელები. მათ გვერდით ჩასახლდნენ აგრეთვე ქართველები, უპირატესად მეზობელი სამეგრელოდან და სვანეთიდან. მაგრამ ჩასახლებულ ქართველებს რიცხოვრივად მნიშვნელოვნად აღემატებოდნენ საქართველოს გარედან ჩამოსახლებულები. კერძოდ, რუსეთის იმპერიის 1897 წლის საყოველთაო აღწერით, სოხუმის ოკრუგის მოსახლეობიდან 8 ათასი დაბადებული იყო საზღვარგარეთ, ხოლო 6,4 ათასი საქართველოში, ქუთაისის გუბერნიის ფარგლებს გარეთ.

XIX საუკუნის ბოლო მეოთხედში, მთლიანად საქართველოში და მათ შორის შავი ზღვისპირეთში, სომხების ჩამოსახლების სულისჩამდგმელი და მარჯვედ განმახორციელებელი იყო ივანე ხატიროვი, რომელსაც 1885-1893 წლებში კავკასიის სახელმწიფო ქონებათა სამმართველოს უფროსის თანამდებობა ეკავა. ხატიროვის წინადადებებით, შავი ზღვის სანაპიროზე ჯერ უნდა დაესახლებინათ სომხები და ბერძნები, რადგან ისინი მიჩვეული იყვნენ ცივილიზაციის ადგილებს, ჭაობებს დაამრობდნენ და ამის შემდეგ ეს ტერიტორიები რუსების დასახლებლად გამოდგებოდა. თავიდანვე, რომ რუსები ჩავსახლოთ, აღნიშნავდა ხატიროვი, ისინი სულ სხვა ჰავასა და ხორბლის კულტურას არიან ჩვეულებრივ და აქაური ცივებისაგან დაიხოცებიანო. ამგვარი მსჯელობით და თავისი დიდი თანამდებობის გამოყენებით ხატიროვმა მოახერხა სომხების მნიშვნელოვანი რაოდენობის ჩამოსახლება როგორც აფხაზეთში, ისე ბორჩალოსა და ჯავახეთში.

თანამედროვე აფხაზი ავტორები (ინალ-იფა, აშუბა) შეგნებულად ამახინჯებენ მუჰაჯირობის მასშტაბებს. თუ გადასახლებულთა რიცხვს თავიდან მიიჩნევდნენ 30 ათასად, შემდგომში ეს მაჩვენებელი გაიზარდა 60 ათასამდე და ბოლოს მიაღწია 100 ათასს. ზოგიერთის აზრით კი (ზ. აშუბა) XIX საუკუნის 80 წელიწადში 200 ათასი აფხაზი იძულებული გახდა დაეტოვებინა აფხაზეთი. (ეს უკვე ფანტასტიკის სფეროა). ასეთ აზრებს აქვს ერთადერთი მიზანი, დაამტკიცონ, რომ აფხაზეთში ყოველთვის ცხოვრობდნენ მხოლოდ აფხაზები. თუმცა ფაქტებით მტკიცდება, ხოლო ფაქტები ჯიუტი რამაა, რომ თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე ქართველები ყოველთვის ფლობდნენ რიცხოვრივ უპირატესობას. მოვიტანოთ შესაბამისი მონაცემები აფხაზეთში მცხოვრები აფხაზების და ქართველების რიცხოვნობის შესახებ (ათასი კაცი).

წლები	1886	1897	1926	1939	1959	1970	1979	1989
ქართველები	34,8	44,9	72,0	92,0	158,2	199,6	213,3	239,8
აფხაზები	28,3	39,6	51,5	56,2	61,2	77,3	83,1	93,3

როგორც ჩანს, აფხაზების რიცხოვნობა XX საუკუნეში სისტემატურად იზრდება და თუ მეტი ტემპით ვერ გაიზარდა, ამას არანაირი ხელისშემშლელი პირობები არ აკლდა. აღნიშნული ზრდა წარმოადგენს აფხაზი მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის შედეგს.

მაგრამ 1926 წლიდან აფხაზეთის მოსახლეობაში მცირდება აფხაზების ხვედრითი წილი, მათი რიცხოვრივი ზრდის მიუხედავად, რაც მიგვანიშნებს იმაზე, რომ სხვა ეროვნებების რიცხოვნობა უფრო სწრაფად იზრდებოდა.

მივმართოთ სტატისტიკას. 1926-1989 წლებში აფხაზების რიცხოვნობა 51,5 ათასიდან გაიზარდა 93,3 ათასამდე, ე.ი. 1,8-ჯერ, თუმცა ხვედრითი წილი 25,6%-დან შემცირდა 17,8%-მდე, მაშინ, როდესაც ქართველების ხვედრითი წილი 35,8%-დან გაიზარდა 45,7%-მდე. მხოლოდ მოტანილ მონაცემებზე დაყრდნობით გვაკეთებთ მცდარ დასკვნას ქართველების რიცხოვნობის სწრაფი ზრდის შედეგად აფხაზების ხვედრითი წილის შემცირების შესახებ, თუ არ გავითვალისწინებთ შემდეგ გარემოებებს. კერძოდ, 1926-1989 წლებში სომხების რიცხოვნობა აფხაზეთში 25,7 ათასიდან გაიზარდა 76,5 ათასამდე, ე.ი. 3,0-ჯერ, ხოლო ხვედრითი წილი-1,6-დან 14,6%-მდე; რუსების რიცხოვნობა 12,6 ათასიდან გაიზარდა 74,9 ათასამდე, ე.ი. 5,9-ჯერ, ხოლო ხვედრითი წილი-1,8-დან 14,3%-მდე.

მოტანილ გაანგარიშებებს თუ შევადარებთ ქართველი მოსახლეობის რიცხოვნობის დინამიკას, აღმოჩნდება, რომ ქართველთა რიცხოვნობა 1926-1989 წლებში გაიზარდა 3,3-ჯერ, სომხების 3-ჯერ, რუსების-5,9-ჯერ, ხოლო მოსახლეობაში ხვედრითი წილი გაიზარდა: ქართველების - 9,9-ით, სომხების - 13%-ით, ხოლო რუსების - 12,5%-ით. ასე, რომ აფხაზეთში მოსახლეობის, როგორც აბსოლუტური, ისე შეფარდებითი ზრდით როგორც აფხაზ, ისე ქართველ მოსახლეობას გაცილებით აღემატებოდა რუსი

მოსახლეობა, ხოლო სომეხი მოსახლეობა მართალია ოდნავ ჩამორჩებოდა ქართველების ზრდის ტემპს, მაგრამ აღმატებოდა ხვედრითი წილის ზრდით, ხოლო აფხაზ მოსახლეობას გაცილებით აღმატებოდა როგორც აბსოლუტური, ისე შეფარდებითი ზრდით. აფხაზეთის მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის ასეთი დინამიკა აფხაზ მეცნიერებს “ყურადღებიდან გამორჩათ”.

სულ სხვა დამოკიდებულება იყო რუსეთის იმპერიის მხრიდან ოსების მიმართ. ისინი განსაკუთრებულ „სასათბურე პირობებში“ ყავდათ, რადგანაც აფხაზებისაგან განსხვავებით, მათ რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ ურჩობის მსგავსი რამეც კი არ გამოუმჟღავნებიათ. ამიტომ მათი რიცხოვნობა განუხრელად იზრდებოდა და 29,3 ათასიდან 1800 წელს, კონფლიქტის წინა პერიოდში, მოსახლეობის 1989 წლის აღწერით, მიაღწია 164 ათასს, ე.ი. გაიზარდა 5,6 -ჯერ, მაშინ, როდესაც აფხაზების რიცხოვნობა ამავე პერიოდში 60 ათასიდან გაიზარდა 95,8 ათასამდე (მთლიანად საქართველოში და არა მხოლოდ აფხაზეთში), ე.ი. მხოლოდ 1,6-ჯერ. შესაბამისად 1800-1989 წლებში ოსი მოსახლეობის რიცხოვნობა 3,5-ჯერ სწრაფად იზრდებოდა აფხაზეთთან შედარებით (5,6:1,6=3,5).

კონფლიქტის წინა პერიოდში, 1989 წელს, ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტ. ოლქში ცხოვრობდა 65 ათასი კაცი, აქედან ცხინვალში, 31,5 ათასი, ე.ი. ოლქის მოსახლეობის დაახლოებით ნახევარი.

არ შეიძლება ყურადღების გარეშე დავტოვოთ უძველესი ქართული ქალაქი ცხინვალი, რომლის სახელიც წარმოდგება რცხილასაგან და ქართულ საისტორიო წყაროებში მოიხსენიება 1344 წელს როგორც დასახლებული პუნქტი, ხოლო 1392 წელს როგორც ქალაქი. ისტორიულად ცნობილია, როგორც „ქრცხინვალი“. ისტორიულად ასევე ცნობილია, რომ ცხინვალში XX საუკუნის დასაწყისამდე ოსებს საერთოდ არ უცხოვრიათ. 1886 წლის საოჯახო სიებით ცხინვალში ოსები აღრიცხული არ არიან. 1922 წელს ცხინვალში აღირიცხა 613 ოსი და 1920 ქართველი. მოცემულ, 1922 წელს შეიქმნა ე.წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, რასაც მოჰყვა ცხინვალის გაოსება. კერძოდ, 1926 წელს ცხინვალში ცხოვრობდა 1152 ოსი და 1920 ქართველი. ავტონომიის შექმნიდან დაახლოებით 15 წლის შემდეგ ცხინვალის ოსურმა მოსახლეობამ გადააჭარბა ქართველებს, ხოლო 1959 წელს ოსების რიცხოვნობა ქართველებს აღმატებოდა 2,7-ჯერ (12,4 ათასი - 4,6 ათასთან). ცნობილია, რომ ეთნიკური წმენდის შემდეგ დღეისათვის ცხინვალში ქართველები აღარ ცხოვრობენ.

რა თქმა უნდა, პასუხი უნდა გავცეთ კიდევ ერთ კითხვას. ხომ არ იმყოფებოდნენ ქართველები დემოგრაფიულად პრივილეგირებულ მდგომარეობაში? აღნიშნულ კითხვაზე პასუხის გასაცემად ჩვენ გამოვთვალეთ მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის დამახასიათებელი მაჩვენებლები ეთნიკურ ჭრილში. დავიწყოთ ყველაზე მნიშვნელოვანით: ჩვილთა მოკვდაობა ყოველ 1000 დაბადებულზე გაანგარიშებით 1970 წელს მან შეადგინა: აფხაზებში - 8,9, ოსებში - 22,2, ქართველებში - 22,8. მაჩვენებელმა 1980 წელს შესაბამისად შეადგინა: 12; 18,6; 25,1. როგორც ვხედავთ, საკონფლიქტო, ქართველებს გვაქვს.

იმავედროულად, ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციის საფუძველზე გამოთვლილი მაჩვენებლებით, 1970-1979¹⁰⁹ წლებში შობადობის დონე იყო დაბალი და მოკვდაობა მაღალი ქართველებში, ვიდრე აფხაზებსა და ოსებში, რაც ქართველების დაბალ ბუნებრივ მატებას განაპირობებდა. მოვიტანოთ ბუნებრივი მატების კოეფიციენტები 1000 მცხოვრებზე გაანგარიშებით.

	1959	1970	1979
ქართველები	15,6	11,9	9,4
აფხაზები	19,8	17,7	10,7
ოსები	20,7	15,3	11,8

როგორც ვხედავთ, საკონფლიქტო ისევე ქართველებს გვაქვს.

ცხადია, რომ არც აფხაზების, არც ოსების დემოგრაფიული განვითარების შეზღუდვა არ ხდებოდა, და ის ვერ გახდებოდა ეთნოკონფლიქტის მიზეზი. ისევე, როგორც არ არსებობდა ეთნოკონფლიქტის ეკონომიკური და სოციალური მიზეზები. აღნიშნული კონფლიქტები პირდაპირი გაგებით არც ეთნოკონფლიქტები ყოფილა. ეს იყო რუსეთის მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ გაჩაღებული სისხლიანი კამპანია, სადაც აფხაზები და ოსები ფარად გამოიყენეს, ხოლო 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ ღიად მოახდინეს აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის ოკუპაცია.

ლიტერატურა:

1. კ. ანთაძე, საქართველოს მოსახლეობა XIX საუკუნეში, გამომც. „განათლება“, თბ., 1973, გვ. 83-84, 88-89, 125, 137-139;

¹⁰⁹ 1989 წლისათვის უკვე გამწვავებული სიტუაციის შედეგად აღნიშნულ საკითხზე ინფორმაცია აღარ გაგვაჩნია.

2. ა. თოთაძე, საქართველოს მოსახლეობა მეორე და მესამე ათასწლეულების მიჯნაზე, თბ., 1999, გვ. 218-220, 224,226, 231,241, 269.
3. ა. თოთაძე, ოსები საქართველოში: მითი და რეალობა, გამომც. "უნივერსალი", თბ., 2006, გვ. 3-4, 25,33,77-105;
4. ვ. ჯაოშვილი, საქართველოს მოსახლეობა, გამომც. „მეცნიერება“, თბ., 1996, გვ. 84,94.
5. საქართველოს მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა, სტატისტიკური კრებული, თბ., 1991, გვ. 4-11;
6. ნ. ახალაია, გორის მოსახლეობა, მონოგრაფია, გამომც. "უნივერსალი", თბ., 2009, გვ. 87-101;
7. მ. ხმალაძე, საქართველოს მოსახლეობის აღწარმოების კანონზომიერებები და ეკონომიკური შედეგები, დისერტაცია ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბ., 1995, გვ. 160-169, 307.

ARE ETHNO-DEMOGRAPHIC PROCESSES IN GEORGIA THE REASONS FOR ETHNO-CONFLICT?

Nana Akhalaia, Gori Teaching University, Associate Professor
Merab Khmaladze, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Professor
RESUME

According to the claims of Abkhazian scientists, as a result of the policy implemented by Georgians and Georgia there have been demographic development restriction of Abkhazians, as a result, Abkhazians who are living in Abkhazia were in the national minority, and the Georgians were in majority. There was neither Abkhazians nor Ossetians demographical development restrictions, it could not be the reason of ethno conflict.

ქართულ-ოსური ურთიერთობები და საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები

თამარ ბედოშვილი, ქეთევან ფაცინაშვილი
 გორის სასწავლო უნივერსიტეტი,
 ბაკალავრიატის სწავლების მეორე წლის სტუდენტები
 ხელმძღვანელი: **გიული გიგუაშვილი**, ასოცირებული პროფესორი

„ერის პირქვე დამხოვა, გათახსირება, გაწყალება იქიდან დაიწყება,... როცა მას ხსოვნა ეკარგება თავისის წარსულისა... დავიწყება ისტორიისა,... მომასწავებელია ერის სულით და ხორციით მოშლისა, დარღვევისა და მთლად წაწყმედისაცა. წარსული-მკვიდრი საძირკველია აწმყოსი, როგორც აწმყო მომავლისა“

ილია ჭავჭავაძე

ქართველი ხალხის მატერიალური და სულიერი კულტურის ერთ-ერთი უძველესი კერა ე.წ. სამხრეთ ოსეთის ტერიტორია, ისტორიულად საქართველოს განუყოფელი ნაწილია. ჩრდილოეთ კავკასიიდან, სადაც ოსთა ისტორიული სამშობლო მდებარეობს იგი გამოყოფილია სახელმწიფო და, იმავდროულად, ბუნებრივი საზღვრით - კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედის თხემით. ოსთა წინაპრები-ირანულენოვანი ალანები (ქართული წყაროების მიხედვით, „ოსები“- „ოსები“) ახალი წელთაღრიცხვის I საუკუნეში შეერივნენ ადგილობრივ ძველ მოსახლეობას და ჩრდილოეთ კავკასიის ცენტრალურ ნაწილში, ბარში შეკრეს ალანური ტომების კავშირი. აქვე შეიქმნა ალანთა ადრეფეოდალური სახელმწიფო (IX-XIII სს), რომელსაც საქართველოსთან ინტენსიური და კულტურული ურთიერთობა ჰქონდა.

ძველი დროიდან ქართველ და ოს ხალხებს შორის იყო მჭიდრო ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობები. საქართველოსათვის მნიშვნელოვანი იყო, რომ ჩრდილოეთის მხრიდან უშიშროების უზრუნველსაყოფად ჰქონოდა ნორმალური ურთიერთობა.

საქართველოსა და ოსეთს შორის ურთიერთობა მეტწილად ნორმალური და კეთილმეზობლური იყო. მაგრამ საკმარისი იყო გარეშე ანუ მესამე ძალის ჩარევა, რომ მათ შორის ურთიერთობა დაძაბულ ხასიათს იღებდა.

ოსებს აღმოსავლეთ საქართველოს მხარეთაგან ურთიერთობა ჰქონდათ ძირითადად შიდა ქართლთან. ქართველთა და ოსთა კავშირი თანდათან მტკიცდებოდა, ოსები ქართლში გადმოსახლების შემდეგ ყოველთვის ქართველებთან ერთად იყვნენ და ერთად იბრძოდნენ მტრის წინააღმდეგ და არასდროს არ უღალატიათ. ამიტომაც, მით უფრო მტკიცენუელია დღეს არსებული კონფლიქტური სიტუაცია. 2008 წლის აგვისტოს ომის ამას სისხლის ღვრა ქართულ - ოსური ურთიერთობის უპატიებელი შეცდომაა.

ქართულ - ოსურ ურთიერთობათა ისტორიის დამახინჯება, მით უფრო შეგნებულად, მნიშვნელოვნად უშლის ხელს ცხინვალის რეგიონში გაღვივებული ეთნოპოლიტიკური კონფლიქტის მშვიდობიან მოგვარებას. ცხადია, ამ კონფლიქტის მოწესრიგება საქართველოს საშინაო საქმეა, თუმცა ამ პროცესმა ინტერნაციონალური ხასიათი მიიღო.

2008 წლის აგვისტოს ომმა მნიშვნელოვნად დააზარალა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკა. რუსეთ - საქართველოს ომამდე საქართველოს ეკონომიკა 8-9 პროცენტით იზრდებოდა, რაც ომის შემდეგ ვარდნით შეიცვალა და ეკონომიკის ზრდის საშუალო წლიურმა მაჩვენებელმა 2 პროცენტი შეადგინა. ეს ვარდნა უკავშირდება მსოფლიო ფინანსურ კრიზისსაც. თუმცა 2009 წლის გაზაფხულამდე ქვეყანაში მომუშავე მცირე, საშუალო თუ მსხვილი კომპანიები თავიანთ პრობლემებს, ძირითადად, აგვისტოს ომს უკავშირებენ. 2008 წლის აგვისტოს მოვლენები საქართველოს ეკონომიკაზე ორი კუთხით აისახა. ერთი მხრივ, ის გახდა რეალური პრობლემების ინდიკატორი და მეორე მხრივ, ომმა კიდევ უფრო გაამწვავა არსებული სიტუაცია. ნაომარ ქვეყანაში, ინვესტიციების შემოსვლა წარმოუდგენელი გახდა, ინვესტორები ცდილობდნენ ინვესტიციები განეხორციელებინათ უსაფრთხო ქვეყნებში. აგვისტოს ომმა მნიშვნელოვნად დააზარალა ტურისტული ზონები. ამასთან, მატერიალურ ზარალთან ერთად მოსახლეობამ განიცადა ფსიქოლოგიური ზეგავლენა.

მსოფლიო ბანკის საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის მიერ 2008 წლის ნოემბრის თვეში ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვით, ექვსი სფეროს 400 სხვადასხვა ზომის კომპანიის გამოკითხვის შემდეგ გაირკვა, რომ აგვისტოს ომმა, როგორც შემოსავლებზე, ასევე დასაქმებაზე ნეგატიური ზეგავლენა იქონია.

მიუხედავად 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომისა, მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის და შიდაპოლიტიკური დესტაბილიზაციისა, საქართველოს ეკონომიკამ, ბევრი ქვეყნისგან განსხვავებით, უკეთ გაუძლო სირთულეებს და არ დაინგრა. ეკონომიკის ექსპერტები აღნიშნავენ, რომ ეს, ქვეყანაში გატარებულ ეკონომიკურ რეფორმებთან ერთად საზღვარგარეთიდან შემოსული დახმარებების შედეგია.

რუსული აგრესიის შედეგად კონფლიქტური რეგიონებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა სოციალურ პრობლემების გადასაწყვეტად აშენდა დროებითი საცხოვრებელი სახლები რამაც ერთი მხრივ, ეკონომიკის გამოცოცხლებას შეუწყო ხელი და მეორე მხრივ, ჩნდება დამატებითი მოთხოვნა სამშენებლო მასალებზე, საქმდება მუშახელი, თუმცა მშენებლობაზე გაწეული ხარჯები საბოლოო ჯამში მოკლე ვადიან პერიოდში მაინც ინფლაციურია, რადგანაც ამ სახლებს სახელმწიფო ყიდულობს და არა კერძო პირები. ომის შემდგომ საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინება საგრძნობლად შემცირდა.

სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის პირობებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სახელმწიფო მართვას. ამასთან საბაზრო ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირება და მისი სოციალური ორიენტაცია წარმოუდგენელია ეფექტიანი სამართლებრივი გარემოს გარეშე. ქვეყნის ეკონომიკის განვითარება დამოკიდებულია სწორ და ურთიერთშეთავსებად სოციალურ-ეკონომიკურ და სამართლებრივ ბერკეტებზე. ახალი სოციალურ-ეკონომიკური სისტემის ჩამოყალიბება ხანგრძლივი პროცესია ქვეყნის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად საჭიროა თანმიმდევრული და მიზანმიმართული სტრატეგიების საფუძველზე, სოციალურად მდგრადი საზოგადოების ფორმირება, სოციალური კეთილდღეობის მიღწევა, მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლება, შესაბამისად საზოგადოებრივი ურთიერთობების დარეგულირება, ინტენსიური შეხვედრები ქართულ და ოსურ მოსახლეობასთან, პრობლემების განხილვა და მათი მშვიდობიანი მოგვარება სახელმწიფოს მხრიდან მოითხოვს ეფექტიანი სოციალური პოლიტიკის გატარებას. სოციალური დაძაბულობის თავიდან აცილების ერთ-ერთ გზად მოიაზრება ადამიანურ კაპიტალში ინვესტირებაზე ანუ სოციალური დაცვის სისტემაზე ორიენტირებული რეფორმები.

საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების პოლიტიკა მიზნად ისახავს აუცილებელი ეკონომიკური პირობების შექმნას ეროვნული უსაფრთხოების და მთლიანად ქვეყნის განვითარებისათვის. ეკონომიკური რეგულირების ფორმები წარმოადგენენ ძირითად მარეგულირებელ მეთოდებს და საშუალებებს. იგი შეიძლება დავეყნოთ 4 ძირითად კატეგორიებად:

1. პირდაპირი და ირიბი ზემოქმედება. პირდაპირი ზემოქმედება გულისხმობს სახელმწიფოს ჩარევას სხვადასხვა მეთოდების გამოყენებას უშუალოდ სამეურნეო სუბიექტების ძირითად საქმიანობაში. ირიბი ზემოქმედება კი აისახება საქმიანობის პირობებზე, სამეურნეო სუბიექტების გარემომცველ გარემოზე (საგადასახადო, ადმინისტრაციული და სხვა);
2. დირექტიული და რეკომენდებული (ინდიკატორული) ზემოქმედება. დირექტიული ზემოქმედება გულისხმობს სავალდებულო მითითებებს, დავალებებს, ნორმებს, მოთხოვნებს. დირექტიულად შეიძლება განხორციელდეს, როგორც პირდაპირი (სუბიექტური), ასევე ირიბი (ობიექტი) ზემოქმედება. რეკომენდებული (ინდიკატორული) ზემოქმედება ესაა სახელმწიფოს მხრიდან მიმართული წინადადებები, ორიენტირები და „სიგნალები“, რომელთა შესრულება სასურველია, მაგრამ არა სავალდებულო;
3. კერძო და პოლიტიკური ზემოქმედება. კერძო ზემოქმედება ხორციელდება სუბიექტის შიდა და გარემომცველი გარემოს ელემენტებზე, ეკონომიკის ცალკეულ დარგებსა და სფეროებზე. პოლიტიკური ზემოქმედება უფრო რთული ფორმაა. იგი ზემოქმედებს ობიექტის კონპლექსურ-სისტემური ანალიზის საფუძველზე;
4. მიმდინარე და პერსპექტიული ზემოქმედება. მიმდინარე ზემოქმედებისას სახელმწიფო რეაგირებს ცვალებად სიტუაციაზე მუდმივად წარმოქმნილ ახალ პრობლემებზე, ამოცანებზე, მაგრამ იგი ნაკლებად მართავს ამ სიტუაციის განვითარებას. ესაა მოკლე ვადიანი, მყისიერი ზემოქმედება. პერსპექტიული ანუ სტრატეგიული ზემოქმედება ითვალისწინებს სიტუაციის წინასწარ ხედვას. გააჩნია მიმდინარე და პერსპექტიული მოქმედებების გრძელვადიანი გეგმები. კონტროლური სიტუაციის განვითარება და ვითარება მისი სტრატეგიული მართვა.

ეკონომიკური მარეგულირებელი ფორმებიდან უპირატესობა, ალბათ უნდა მიენიჭოს ირიბ, რეკომენდებულ, სისტემურ-სტრატეგიულ სახელმწიფოებრივ ზემოქმედებას, სახელმწიფოებრივ რეგულირებას. იგი შედარებით რთული და შრომატევადია, მაგრამ ეფექტური. თუმცა საჭიროებიდან გამომდინარე შესაძლებელია ალტერნატიული ფორმების გამოყენება.

ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირება მოიცავს საკანონმდებლო და ნორმატიულ სამართლებრივ რეგულირებას. კანონები და მით უფრო ნორმატიული აქტები არ წარმოადგენენ დაურღვეველ ჭეშმარიტებას. მათი მიზანმიმართული პერიოდული ცვლილება არის მარეგულირებელი ზემოქმედების ზოგადი მეთოდი. დიდი მნიშვნელობა ენიჭება ადმინისტრაციულ რეგულირებას. მაგალითად ტარიფების პირდაპირი დადგენა, ფასების და ტარიფების ზღვრული ნიშნულების დადგენა, რენტაბელობისა და სავაჭრო ზედნადებთა, კონკურენციის წახალისებისა და მისი უსაფრთხოების უზრუნველყოფა, ფასების კრიმინალური მართვის აღკვეთა, ე.წ. „შავი ფულის“ გამომუშავება და შემდგომ მისი „გათეთრება“. სისტემური შემოწმებები აღრიცხვის საგადასახადო ორგანოებთან თანამშრომლობის გზით.

რეგიონულ დონეზე რეგულირების ეფექტურ, ადმინისტრაციულ ინსტრუმენტს წარმოადგენს სამეურნეო სუბიექტების ლიცენზირება, ქვოტირების სხვადასხვა სახე (მაგ. ახალგაზრდობის შრომითი მოწყობის სხვადასხვა ქვოტები), ხარისხის სავალდებულო სტანდარტების დადგენა, სერტიფიცირება, მიწათსარგებლობის რეჟიმების დადგენა, იჯარის საგადასახადო განაკვეთების დიფერენციაცია. საზღვაო სივრცეებით, ტყეებით, წიაღისეულით სარგებლობის რეჟიმების დადგენა. რეგიონებში სახელმწიფოებრივი რეგულირების პრაქტიკაში დიდი ადგილი უკავია საწარმოებთან, ბანკებთან, მეწარმეთა ასოციაციებთან რეგიონალ ადმინისტრაციის სხვადასხვა სახის სახელშეკრულებო ურთიერთობებს, მათ შორის სამ მხრივ (ადმინისტრაცია, დამსაქმებლები, პროფკავშირები) შეთანხმებებს პარტნიორების შესახებ. ყოველივე ამასთან ერთად მნიშვნელოვანია სოციალურ-ეკონომიკური პროგნოზირება და დაგეგმვა, როგორც ეკონომიკური საქმიანობის ორგანიზაციისა და ეკონომიკური პოლიტიკის გატარების თავისებური, რთული, მაგრამ აუცილებელი მეთოდი.

საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ვერც ერთი პროგრამა ვერ იქნება ქმედითუნარიანი, თუ იგი მხედველობაში არ მიიღებს საქართველოს განსაკუთრებულ გეოპოლიტიკურ და გეოსტრატეგიულ როლს.

საქართველოს ხელისუფლება დამაჯერებლად იყენებს და კვლავაც მაქსიმალურად გამოიყენებს თანამედროვე მსოფლიოში ჩვენი ქვეყნის მზარდ ავტორიტეტს ქართული სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის მშვიდობიანი გზით აღსადგენად.

ლიტერატურა:

1. <http://banksandfinance.ge/banks/print:page,1,933-daxmareba.html>
2. www.tetrebi.org/?p=11309
3. <http://www.radiotavisupleba.ge/content/article/1795074.html>
4. <http://geoguideline.net/economics/7923.html>
5. ჟურნალი „ეკონომიკა“, №2, 2009, გვ. 89-94;
6. ა. ბაქრაძე; ო. ჩუბინიძე, „ოსთა საკითხი“, გამომცემლობა „პითაგორა“, 1996;
7. ზ. ჭიჭინაძე, „ოსების ჩამოსახლება ქართლში“, გამომცემლობა „ხელოვნება“, თბ., 1990.

GEORGIAN-OSSETIAN RELATIONS AND THE MAIN DIRECTIONS OF GEORGIAN ECONOMIC SAFETY POLICY OF GEORGIA

Tamar Bedoshvili, Ketevan Patsinashvili

Gori Teaching University, The Second Year Students of Bachelor's Degree

Instructor: **Giuli Giguashvili**, Associate Professor

RESUME

One of the ancient centre of Georgian people's material and spiritual culture so-called the territory of South Ossetia is historically indivisible part of Georgia. Since older time there have been close economic and political relationships between Georgian and Ossetic people. That's why, today this current situation is more painful. The vain bloodshed of August 2008 is unforgivable mistake of Georgian-Ossetic relationship.

August 2008 war considerably damaged our country's economy. The economic security policy of Georgia sets as an object to create the inevitable economic conditions for national security and developing the whole country. Georgian government uses convincingly our country's increasing authority and will continue doing this as much as possible again in the modern world to restore Georgian territorial integrity by using the peaceful way.

კონფლიქტი ქართველებსა და ოსებს შორის

ნათია ბერუაშვილი, ნათია არჩუაძე,

ცირა ჩიხლაძე, თინათინ ცერცვაძე

გორის სასწავლო უნივერსიტეტი,

ბაკალავრიატის სწავლების პირველი წლის სტუდენტები

ხელმძღვანელი: მზია რამიშვილი, ასოცირებული პროფესორი

ქართველებსა და ოსებს შორის არსებული კონფლიქტი მეტად აქტუალური და მტკივნეული თემაა თითქმის ყველა დროის ქართველისთვის, მაგრამ რაც არ უნდა მძიმე იყოს, შევეცდებით გაგაცნოთ მათ შორის კონფლიქტის წარმოშობის წინაპირობები, მათი განვითარების მიმდინარეობა, დღევანდელი მდგომარეობა და ჩვენეული მოსაზრებები, თუ როგორ შეიძლება მოგვარდეს მათ შორის არსებული დამაბული ურთიერთობა.

ძველი ქართველები ხშირად ამბობდნენ: ამ ცოდვილ წუთისოფელში არის ერთი რამ განძი, რასაც ჟანგი და ობი არ ეკიდება, ცეცხლში არ იწვის, წყალში არ იძირება და ხმალი ვერას აკლებს, – ეს განძი უცხო მოყმეთა ძმობა და მეგობრობა არისო.

მაგრამ ისეც ხდება, რომ სიკეთისმქნელობის, სოლიდარობის, ზრუნვისა და დახმარების მიუხედავად, „სხვისი ჭირის“ გამზიარებელ ერს ხშირად ჯეროვნად როდი უფასდება სიკეთე, გაწეული ამაგი. ამიტომაც წერდა გულისტკივილით ერის დიდი განმანათლებელი იაკობ გოგებაშვილი: „...მადლს უმადურობა მოსდევს ხშირად არა მარტო კერძო პირთა შორის, არამედ ერთა შორისაც; მაგრამ ქართველი კი ყოველთვის მოშორებული ყოფილა უმადურობასა და ყველა პატარა ერს მის მფარველობაში შეხიზნულს, ერთად გადაუხდიდა ხოლმე მცირეოდენ სიკეთესაც კი და

ანიჭებდა მათ სრულ თანასწორობას თავისთანა. მიუხედავად ამისა, ბედი ჩვენ სხვანაირად მოგვეპყრო და დიდი სიკეთე უმადურობით გადაგვიხადა...”

ერთადერთი ქვეყანა ვართ მსოფლიოში, სადაც ნებისმიერი ლტოლვილი თავს მასპინძლად გრძნობს, თავის ენაზე ნათლდება, თავის ტაძარში ლოცულობს, თავის თეატრში იღებს სულიერ საზრდოს, როცა მსგავსი არაფერი შეუქმნია არც თავისუფლების სიმბოლოს – საფრანგეთს და არც ინტერნაციონალიზმის “მედროშეს” – რუსეთს. ასე იყო ჩვენს ტერიტორიაზე დასახლებული ოსური მოსახლეობაც. ქართველებმა საკუთარი ჭერი და საზრდელი მისცეს და მშობად მიიღეს, მაგრამ როგორც უკვე ვთქვით, ოსებმა დიდი სიკეთე უმადურობით გადაგვიხადეს, მოძლიერდნენ, მოღონიერდნენ და იმდენად გათავხედდნენ, რომ ჩვენი მამულის, საკუთარი სახლებისა და საქონლის მითვისება მოისურვეს.

ცნობილი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე გრ. ლორთქიფანიძე აღნიშნავდა, რომ რუსეთის ცარიზმი, მისი მოხელეები მფარველად ევლინებოდნენ იმპერიის ბატონობის ქვეშ მოქცეული ისტორიული ერების ტერიტორიაზე მოსახლე მცირე ეროვნებებსა და ტომებს. „თავგამოდებით“ ზრუნავდნენ, მაგალითად, ოსებსა და აფხაზებზე. ყველასთვის ცხადი იყო, რომ რუსულ კაციჭამია შოვინიზმს მართლა ის კი არ აინტერესებდა, რომ აფხაზური, ოსური და სხვათა ეროვნული მწერლობა და კულტურა შეექმნა, მისი სანუკვარი მიზანი იყო საქართველოს ეროვნულ-კულტურულ ოჯახში შინაგანი დაშლა, გახრწნა და აფორიაქება შეეტანა. რუსულ პოლიციასა და რუსულ სინოდს ისევე ეზიზღებოდა აფხაზობა და ოსობა, როგორც ქართველობა და თუ აფხაზურ და ოსურ სამწერლო კულტურის შექმნაზე “ზრუნავდა”, ეს რა თქმა უნდა, მხოლოდ დროებითი და პროვოკაციული ფანდი იყო საქართველოს კულტურის შესასუსტებლად და დასაქცევად, ეროვნული განთავისებებისა და შუღლის ჩამოსაგდებად და აი სწორედ ამ ასპარეზზე გაშალა თავისი “ინტერნაციონალური” ფრთები რუსულმა კომუნისტურმა ოკუპაციამ, რომლის ხელში საქართველო გადაიქცა იმ სანთლად, რომელსაც ორივე თვალისაგან წაუკიდეს ცეცხლი”. ამ სანთლის ზემოდან წვის გამოხატულება იყო, გრ. ლორთქიფანიძის აზრით, საქართველოს ამიერკავკასიის ფედერაციაში ჩართვა, მისი სრული გათქვეფა და შემდეგ რუსეთის კავშირში ჩარიცხვა. ქართული სანთლის ქვემოდან წვა კი იმაში მდგომარეობდა, რომ აფხაზეთი დამოუკიდებელ აფხაზურ, სინამდვილეში კი რუსულ რესპუბლიკად გამოაცხადეს და მხოლოდ შემდეგ დაუკავშირეს საქართველოს. “ამავე მიზნით, ხელოვნურად გამოჭრეს საქართველოს ცოცხალი სხეულიდან ოსეთის ავტონომიური ოლქი, რომელიც როკისა და მამისონის უღელტეხილზე რუსული იმპერიალიზმის პოლიტიკურ და სტრატეგიულ დასაყრდენად იქნა გამიზნული”.

აბა, რა წარმოსადგენი იყო, ვინ გაითვალისწინებდა ან იწინასწარმეტყველებდა, რომ ასე სამოწყალოდ თავშეფარებული, ოსი კორესპონდენტის სიტყვით თუ ვიტყვით: ჯერ კიდევ “მიწურ ბნელ სახლებში მცხოვრები, ღარიბ-ღატაკი და რიგი ქურდობა-ავაზაკობაში გაწაფული ოსები” შემდეგში ისტორიულად შიდა ქართლის ტერიტორიას თავიანთ მიწა-წყლად გამოაცხადებდნენ და ამდენ უსიამოვნებას მიაყენებდნენ როგორც მზრუნველ მასპინძლებს, ისე თანამომძე ოსი ეროვნების ხალხს. ვინ იფიქრებდა დღევანდელი ეთნოკონფლიქტების შექმნას, თორემ ქართველი ერი ტრადიციული კარგი მასპინძლობის ნაცვლად, გიორგი ბრწყინვალის პოლიტიკურ ხაზს გააგრძელებდა და მთის იქით გადარეკდა მათ. გართულებული ურთიერთობის წლებში არ დაიღვრებოდა უცოდველი და უდანაშაულო ქართველი და ოსი ხალხის სისხლი.

ძველი დროიდან ქართველ და ოს ხალხებს შორის მჭიდრო ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობები იყო. საქართველოს ისტორიიდან ცნობილია, რომ სახელმწიფოებრივი პოლიტიკის შესაბამისად ოსებთან ურთიერთობა ორმხრივ ხასიათის ატარებდა. ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის მიზნით ერთ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა ოსთა ლაშქრის დაქირავებას, რაც თავისთავად ურთიერთშეთანხმების საფუძველზე ხორციელდებოდა, ხოლო, მეორე მხრივ, მათი ორგანიზებული შემოსევები იწვევდა ქვეყნის ეკონომიკის გაჩანაგებას, მატერიალური კულტურის ძეგლების ნგრევას, მოსახლეობის აკლებას და დატყვევებას. ქართული საისტორიო წყაროების მიხედვით, აღნიშნული ორმხრივი ურთიერთობა დამახასიათებელი იყო ძირითადად საქართველოს ტერიტორიაზე ოსთა ჩამოსახლებამდე. ამის შემდეგ კი ვითარება აშკარად შეიცვალა, საქართველოში დასახლებულ ოსთა ბრძოლამ ქართველი ხალხის წინააღმდეგ მძაფრი ხასიათი მიიღო თვით ჩვენი ქვეყნის შიგნით. იგი სხვადასხვა ფორმით მიმდინარეობდა. ერთ შემთხვევაში ოსები შეიარაღებულ რაზმებს ქმნიდნენ და დამარბეველ ლაშქრობებს ორგანიზებულად აწყობდნენ. მეორე შემთხვევაში კი ქვეყანას აოხრებდნენ მცირერიცხოვანი ბანდები ან ინდივიდუალურად მოქმედი ყაჩაღები.

ოსების მოთარეშე ბანდებს ეკავათ საქართველოში შემავალი ვიწრო გასასვლელები, სახელდობრ დარიალის ხეობა. ვინაიდან ისინი ამ ხეობის ქვემოთ, თავაურის ხეობაში ცხოვრობდნენ და დარიალის ხეობაში საყაჩაღოდ მოკალათებისთვის ხელსაყრელ პირობებში იმყოფებოდნენ.

1791 წელს ნათლისღება ღამეს 76 შეიარაღებული ოსი თავს დაესხა პაპუა კორინთელის სახლ-კარს. მიძიმედ დაჭრეს პაპუა და მისი ძმა ელიზბარი. სახლის კარი ვერ გატეხეს, მაგრამ ციხის კარები შეანგრიეს და მთლიანად გაძარცვეს.

ოსური სეპარატიზმი რუსეთის იმპერიის ხანაშიც, ავთვისებიან სიმსივნესავით ღრღნიდა ქართულ-ეროვნულ ორგანიზმს, რაც სხვადასხვა ფორმით ვლინდებოდა. ამგვარი ბრძოლის ერთ-ერთ სახეობას წარმოადგენდა საქართველოს ტერიტორიაზე ოსთა სამოსახლო სივრცის გაფართოება, ე. ი. კოლონიზაცია, და თანაც უხეში მეთოდებით: მშვიდობიანი ქართველი მოსახლეობის აკლებით, დაუნდობელი მკვლელობებით, ადამიანთა დატყვევებით თუ ქურდობა-ავაზაკობით.

XX ს-ის 10-იანი წლების დასაწყისში ტყით სარგებლობის პრაქტიკაც გარკვეულ საბაზს ქმნიდა ქართველთა და ოსთა დაპირისპირებისათვის. მაგალითად, სოფელ ავლევეში მცხოვრებ ოსებს, რომლებიც ხიზნის უფლებებით იყვნენ აღჭურვილი, შეეძლოთ უფასოდ ესარგებლათ ტყით. აბორიგენი ქართველი გლეხები კი ამ უფლებას მოკლებულნი იყვნენ. ტყის მოვლა-პატრონობისთვის საჭირო თანხის გამონახვის მიზნით, სოფლის აღმასკომმა 1917 წლის ზაფხულში დაადგინა, რომ ტყით სარგებლობისათვის (მაგალითად, შეშის გამოტანისათვის) თითოეულ ქართულ კომლს 5 მანეთი უნდა გადაეხადა, ოსებს კი როგორც ხიზნებს, გადასახადი არ დააკისრეს და ეს მაშინ, როცა თვით მიწათმფლობელებსაც აღარ ჰქონდათ უპირატესობა ტყის სარგებლობაში. ქართველთა პროტესტმა ნაყოფი ვერ გამოიღო, რადგან სოფლის აღმასკომში უმრავლესობას ოსები შეადგენდნენ.

შემადრწუნებელია ის სადიზმი, რასაც ოსები იჩენდნენ ქართველებისადმი. ცნობილი საზოგადო მოღვაწე შალვა ამირეჯიბი განვითარებულ მოვლენებს თავის სახელს არქმევს და გაზეთ “საქართველოში” ბეჭდავს წერილს – “ცხინვალის ფრონტი”, რომელშიც წერს: “ცხინვალი, შესაძლოა, საქართველოს საბედისწერო ფრონტად იქცეს. იქ ნამდვილი ომი მიმდინარეობს ყველანაირი იარაღის საშუალებით და ჩვენ ცნობები გვაქვს, რომ ოსების ბრძოლა მასიურ ხასიათს მიიღებს...“, პუბლიცისტის აზრით, “ჩვენი ხელმძღვანელი წრეები ჯერ კიდევ ანგარიშს არ უწევენ იმ ფაქტორებს, რომ რევოლუციის შემდეგ, როგორც მთელ იმპერიაში, ისე კავკასიაშიც ძალთა თანაფარდობა შეიცვალა და რომ ისინი წინა პლანზე სოციალური რეფორმების საკითხს აყენებდნენ მაშინ, როცა კავკასიის დანარჩენი ერები ნაციონალურ პოლიტიკას აწარმოებდნენ...”, რომ ამ მომენტის გამოყენებას საქართველოში ხიზნად მოსული ოსებიც ცდილობდნენ... წაგლეჯის პოლიტიკა, აი, რა არის დღევანდელი ლოზუნგი და საქართველოში ჩრდილოეთიდან შემოხიზნულმა ოსებმა მოურიდებლად განაცხადეს: ცხინვალი ჩვენია – საქართველოს მალლობი ოსეთიაო! ამ ანარქიის და ნგრევის დროს, რომელიც დღეს ჩვენში მეფობს, ისეთი პატარა და უკულტურო ერისთვის, როგორც ოსობაა, არაფერია იმაზე ადვილი, რომ განუხორციელებელი ოცნებებით იკვებებოდნენ და მათ პატრიოტულ თავში საქართველოს გულში დამოუკიდებელი და ავტონომიური ოსეთის შექმნის იდეა აღმოცენდა...”

ამის შემდეგ შ. ამირეჯიბი ასეთ კითხვას სვამს – არის ეს პოლიტიკური იდეა, ან ნაციონალური მისწრაფება? და თვითონვე პასუხობს: ჩვენ ვფიქრობთ, რომ არა. თვით ჩვენს დროშიც, ეს იდეა ავაზაკურ იდეათ დარჩება, რადგან საქართველოში უფრო ქართული ადგილი არ მოიპოვება, ვიდრე ის, სადაც ამჟამად ოსები ცხოვრობენ. ეს არის ზურგი საქართველოსი, მისი ხერხემალი... ჩვენ მრავალი პოლიტიკური ფანტაზია გვსმენია, მაგრამ ოსეთის სახელმწიფო საქართველოში – არა! შესაძლებელია, პატარა და უკულტურო ერს ადვილად მოეჩვენა ამ ტვირთის ზიდვა და ავანტურაში ჩაება. თუ არაფერი გამოვიდა და დაემარცხდით, ჩვენ დაგვსჯიან როგორც უბრალო დამნაშავეთ, თუ გამოვიდა – გაუმარჯოს თავისუფალ ოსეთს!... ცხინვალის ამბები საშიში მოჩვენებაა საქართველოს მომავლისთვის და საჭიროა არა მარტო მისი სახელმწიფო დონეზე ლიკვიდაცია, არამედ სიმკაცრეც, რომ იგი არ განმეორდესო”, - დაასკვნინდა პუბლიცისტი.

ოსების მიერ ქართველების ხოცვა-ჟლეტის ერთ ფრაგმენტს ასე აღწერს თვითმხილველი ვინმე დიდი გაზეთ “ალიონის” 1918 წლის 5 აპრილის ნომერში: “...შტაბში გავიგე ვერაგულად მოკლული მ. მაჩაბელი, ს. კეცხოველი და სხვა გვარდიელები ჩამოსვენესო... სანახავად წავედი, როცა მეუბნებოდნენ, თუ რანაირად იყვნენ ისინი დასახიზრებულნი, არ მჯეროდა. მეგონა, ძალიან გადამეტებულა-მეთქი... საშინელი, გულშემზარავი სურათი იყო... მ. მაჩაბელი ტყვიებით დაცხრილული იყო მუხლებში, მერე ხანჯლით დაჩხვლეტილი მთელ ტანზე, საფეთქლის ზევით ხანჯლის წვერით თავის ქალა თითქმის აგლეჯილი... აუხსნელია ჩემთვის ადამიანი ასეთ გამხეცვამდის როგორ მია.

ს. კეცხოველს მარჯვენა მხრიდან მუცელში ტყვია ჰქონდა მოხვედრილი, რამაც მას სიცოცხლე მოუსპო ალბათ, შემდეგ ველურებს თავი მოეჭრათ, მაგრამ კისერში კი არა, მკერდიდან ჰქონდა აკეპილი, თავის ქალა დამსხვრეული, სახეზე წვერების მეტი აღარაფერი ჩანდა. ამბობდნენ, მოკვლის შემდეგ სხეული ქუჩაზე ეგდო და ზედ ფაიტონები დადიოდნენო...”

ცხინვალის მოვლენებთან დაკავშირებულ ველურობასა და სადიზმის ამ ფაქტებს საბჭოთა ისტორიოგრაფია გვერდს უვლიდა. ამის გაგება შეიძლება. ავი მეხსიერება ორი ხალხის ერთობლივ ცხოვრებას ნამდვილად არ წაადგებოდა, მაგრამ საკითხისადმი ასეთ მიდგომას, როდესაც ისტორია პოლიტიკურ დანამატად იქცევა, მეორე მხარეც აქვს: ოსებისთვის უცნობი რჩებოდა სიმართლე შიდა ქართლში განვითარებული მოვლენების შესახებ. ამ ფაქტების გამომწვეურება დაგვეხმარება ქართველთა მხრივ მოგვიანებით (1920 წელს) ჩადენილი საპასუხო სისასტიკის (ოსური სოფლების გადაწვის) ახსნასა და შეფასებაში.

აი, ასეთი იყო ობიექტური რეალობა. როგორც აფხაზი, ისე ოსი სეპარატისტების ანტისამთავრობო, პრორუსული გამოსვლები და ექსცესები, რა თქმა უნდა, ანტიქართული შინაარსის იყო და საფრთხეს უქმნიდა საქართველოს დამოუკიდებლობას, ისევე, როგორც სამეგრელოში, ლეჩხუმში, ქვემო ქართლსა და სხვა რეგიონებში ბოლშევიკების მიერ პროვოცირებული გლეხთა აჯანყებები. მათ დასაშოშმინებლად საჭირო ხდებოდა იარაღისა და ძალის გამოყენება. ასეთ მომენტში კი, ბუნებრივია, ადვილი იქნებოდა სამოქალაქო ომისათვის დამახასიათებელ ექსცესებს-სისხლის ღვრას, დარბევას, გადამატებულ სიმკაცრეს, დაპატიმრებას და ა. შ.

მათი აჯანყება ყოველთვის მაშინ ხდებოდა, როცა საქართველოს უდიდესი გასაჭირი მიადგებოდა კარზე. აი, ასეთი გასაჭირის დროს ოსები საქართველოს დემოკრატიათა ყოველთვის ზურგში დანის ჩაცემას დაუპირებდნენ. როცა დენიკინი ფლობდა ჩრდილოეთ კავკასიას, ისინი დენიკინის ურდოებისაგან ლოცვა-კურთხევით შემოესოდნენ ცხინვალს, როცა ბოლშევიკები ცვლიდნენ დენიკინს, მაშინ ბოლშევიკებთან ერთად მიჰყოფდნენ ხელს ძარცვა-გლეჯას. ნასტრაჟნიკალი და ნაპრისტავალი ოსები ყველანაირად ცდილობდნენ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დანგრევას, მაგრამ საქართველოს არა თუ ოსებმა, უფრო ძლიერმა მტრებმაც ვერაფერი დააკლეს.

აღსანიშნავია, რომ საქართველომ მათი მუხანათური ღალატი სამჯერ აპატია. როცა ძალას დაინახავდნენ, მოიკატუნებდნენ თავს: შევცდით, გვაპატიეთო, და საქართველოს დემოკრატიული მთავრობაც სულგრძელად პატიობდა, მაგრამ ოსების მუხანათობას ბოლო არ ჰქონდა. როცა საქართველოს ჯარები აზერბაიჯანიდან მოზღვავებულ ბოლშევიკების დივიზიებს ებრძოდნენ, ოსებმა კვლავინდებურად ზურგში დანა ჩასცეს საქართველოს დემოკრატიათა. საქართველოს ჯარებიც მობრუნდნენ ოსეთისკენ და ისეთი დღე დააყენეს ნასტრაჟნიკალ და ნაპრისტავალ ოსებს მათი მუხანათობისთვის, რომ არასოდეს დაავიწყდებათ შედეგი მათი ვერაგობისა.

ასე იქცეოდნენ ოსები მათი ისტორიის განმავლობაში. სამწუხაროდ, საბჭოთა ისტორიოგრაფია ყოველივე ამას მალავდა და ოსთა მოღალატურ ქმედებას შეფერადებულ ფორმებში, ქართველთა და ოსთა კეთილმეზობლური ურთიერთობის ფონზე განიხილავდა. ისტორიის ასეთმა დამახინჯებამ, არათუ სარგებლობა, არამედ პირიქით, მეტი ზიანი მოუტანა ქართველთა და ოსთა ურთიერთობის შემდგომ პროცესს.

არსებულ მძიმე ვითარებას მოჰყვა გაჭიანურებული კონფლიქტი, რომელიც საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის (1991 წლის 9 აპრილი) და სსრკ-ს დაშლის (1991 წლის დეკემბერი) შემდეგაც არ შეწყვეტილა და კვლავ გრძელდება...

აგერ უკვე ორ საუკუნეზე მეტია, რაც ჩვენი სამშობლო რუსეთთან ომის მდგომარეობაში იმყოფება. ორჯერ შეძლო საქართველომ ორთავიანი არწივის კლანჭებისგან თავის დაღწევა. მესამე შემოტევას 2008 წლის აგვისტოს ცხელ დღეებში ჰქონდა ადგილი. ოსი სეპარატისტები განუწყვეტილად ბომბავდნენ ქვემეხებიდან და ტყვიებს უშენდნენ ქართულ სოფლებს. როდესაც სხვა გამოსავალი აღარ იყო, წესრიგის აღსადგენად და ბოლოს და ბოლოს საკუთარ ტერიტორიაზე იურისდიქციის დასამყარებლად, ქართული საჯარისო ნაწილები ცხინვალის რეგიონში შევიდნენ. თურმე რუსეთიც სწორედ ამას ელოდა.

ცნობილია, რომ რუსეთის მთავრობამ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონში მყოფ საქართველოს მოქალაქეებს რუსეთის მოქალაქეთა პასპორტები დაურიგა და შემდეგ, ვითომ თავისი მოქალაქეების დაცვის საბაზით, ცხინვალის რეგიონში უამრავი ჯარისკაცი და სამხედრო ტექნიკა შეიყვანა და იქ ნამდვილი საომარი მოქმედებები დაიწყო. იმავდროულად, რუსეთმა ცოცხალი ძალა და საომარი ტექნიკა ქვეყნის სხვა რეგიონებშიც შეიყვანა და დაბომბა საქართველოს თითქმის ყველა კუთხე. მათი ჯარისკაცები და ტანკები მთელ შიდა ქართლში დათარეშობდნენ. ფაქტობრივად, რუსებმა დაანგრიეს ქალაქი გორი, დაბომბეს ქვეყნის ინფრასტრუქტურის მნიშვნელოვანი ნაწილი ქვეყნის დედაქალაქ თბილისში, ფოთში, მარნეულში, სენაკში და ა.შ. დახოცეს და სასტიკად გაუსწორდნენ უამრავ უდანაშაულო ადამიანს. ჯარისკაცები მარადირობდნენ, საცხოვრებელი ბინებიდან გამოჰქონდათ ყველაფერი, რისი გამოტანაც კი შეიძლებოდა, მათ შორის კოვზები და ჩანგლებიც, რაც მსოფლიო საზოგადოებამ ტელევიზორის საშუალებით თვალნათლივ იხილა. მათ სისასტიკეს საზღვარი არ

ჰქონდა. დააცარიელეს მაღაზიები, ოფისები, გადაწვეს სახლები და ტყეები. 200 000 უდანაშაულო ადამიანი იძულებით გადაადგილებული პირი გახდა. 2008 წლის აგვისტოს ომის შედეგად ჩვენი ქვეყნის ტერიტორიის 20 %, 12 ათასი კვადრატული კილომეტრი ძირძველი ქართული მიწა-აფხაზეთი და შიდა ქართლის ნაწილი დიდი მსხვერპლის ფასად გაითელა ბინძური ჩექმის მიერ.

ის, რაც რუსებმა ჩაიდინეს, მას არაფერი აქვს საერთო საკუთარი მოქალაქეების დაცვასთან. არც მსოფლიო საზოგადოებაა დღეს ისეთი მიაშიტი, რომ წინასწარ განზრახულად დარიგებული პასპორტებით, ვითომც და მოქალაქეთა დაცვის კანონიერება დაიჯეროს. ასეთი საბაზით რუსეთს შეუძლია მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანას დაესხას თავს. საერთოდ კი, შეიძლება ითქვას შემდეგი: როდესაც რუსეთმა აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონში რუსული პასპორტების დარიგება დაიწყო, უკვე ღიად ჩანდა, რომ იგი ყოველმხრივ შეუშლიდა ხელს არსებული კონფლიქტების მოგვარებას.

საქართველო მრავალსაუკუნოვანი ისტორიის განმავლობაში ასე ერთბაშად და საშინლად არავის აუოხრებია. რუსეთმა შესანიშნავად იცის, თუ რატომ ჩაიდინა ეს ყველაფერი და ახლა თავს უსუსური არგუმენტებით იმართლებს. დიდი რუსი კრიტიკოსი, ბესარიონ ბელინსკი აღნიშნავდა: “მრწამსი ძვირფასი უნდა იყოს მხოლოდ იმიტომ, რომ ის ჭეშმარიტია და არა იმიტომ, რომ იგი ჩვენია.” მსოფლიო საზოგადოებამ უკვე შეაფასა, რომ საქართველოსთან დამოკიდებულებაში რუსეთის მრწამსი მეტად შორს დგას ჭეშმარიტებისაგან და იგი მხოლოდ მისი იმპერიული მრწამსია. რუსეთს არ აკმაყოფილებს სრული გავლენის მოპოვება აფხაზეთსა და “სამხრეთ ოსეთში.” მისი მთავარი მიზანია სრულმასშტაბიანი გავლენა მთელ კავკასიაში, მაგრამ ქართველი ხალხი არასდროს შეურიგდება ძირძველი ქართული მიწების დაკარგვას, იმ მიწებისა, რომლებიც ჩვენი მამა-პაპათა სისხლით არის გაჟღენთილი.

2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ, საქართველოს მთავრობამ ბევრჯერ სცადა მოლაპარაკების მაგიდასთან მოეწვია რუსეთი, მაგრამ ისინი ყოველთვის უარზე იდგნენ და ამბობდნენ, რომ მოლაპარაკება შედგებოდა მხოლოდ მაშინ, როცა საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი დატოვებდა თანამდებობას. ეს კი, კიდევ ერთი მცდელობა იყო საქართველოს კლანჭებში მოქცევისა და ხელისუფლების შეცვლისა, მაგრამ გაწბილდნენ. ოპოზიციამ მტკიცედ განაცხადა, რომ საქართველოში ხელისუფლების შეცვლა მხოლოდ ქართველ ხალხს შეუძლია და არა ვიღაც გადამთიელსო.

ცხადია, ოსი ხალხი რუსეთის ზეგავლენის ქვეშ მოექცა და სწორედ ამით იყო განპირობებული ოსების მიერ ჩვენზე განხორციელებული თავდასხმები, ამიტომ ისინი მხოლოდ მსხვერპლნი არიან. ჩვენი აზრით, ქართველებმა და ოსებმა ის კი არ უნდა იდიონ, თუ რომელი მხარეა უფრო მეტად დამნაშავე და რომელმა მიიღო უფრო მეტი ზარალი, არამედ უნდა მიხვდნენ და აღიარონ, რომ ორივე მათგანს მიუძღვის დანაშაული. ქართველი ხალხი მეგობრული ურთიერთობისაკენ იხრება და კეთილმეზობლურ ურთიერთობას უჭერს მხარს, მაგრამ საქმე იმაშია, თუ როგორ შეიძლება ყოველივე ამის მიღწევა. სწორედ ეს წარმოადგენს დიდ სირთულეს. მართალია აფხაზეთი და “სამხრეთ ოსეთი” რუსეთის გავლენის ქვეშ იმყოფება, მაგრამ ჩვენ, ქართველებმა უნდა ვცადოთ და ჩვენი ქართველობა და ძმობა დავუმტკიცოთ მოძმე ოსებს. პირველ რიგში, საჭიროა, ოსურ მოსახლეობასთან დავათბოთ ურთიერთობა და აღვადგინოთ ძველი მეგობრობა. ტერიტორიულად ჩვენ ბევრად ახლოს ვიმყოფებით მათთან, ვიდრე რუსეთი და ვფიქრობთ, ჩვენთან ურთიერთობა მათთვისაც ხელსაყრელი იქნება. საჭიროა, თვალნათლივ დავანახოთ, რომ საქართველო სულ უფრო მეტად ვითარდება და მრავალი ქვეყანაა დაინტერესებული ჩვენი ქვეყნით. დავანახოთ, რომ საქართველოში წარმატებით ვითარდება ტურიზმი, რომ უკვე შესაძლებელია მარტივად ბიზნესის წამოწყება, შევუქმნათ წარმოდგენა აქ არსებული უსაფრთხოების შესახებ, რომ სულ უფრო და უფრო მცირდება დანაშაული, რაც პოლიციის რეგულარული მუშაობის შედეგია. პირველ რიგში, ხალხი უნდა დავაინტერესოთ და გავუჩინოთ ჩვენთან კვლავ ურთიერთობის სურვილი. თუ ეს მასიურ სახეს მიიღებს, ვფიქრობთ, მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება ვიფიქროთ მათთან კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარებისა და მეგობრობის შესახებ და იქნებ ამის შემდეგ მაინც შევძლოთ საკუთარი ძალისხმევისა და საერთაშორისო თანამეგობრობის დახმარებით წართმეული ძირძველი ქართული მიწის დაბრუნება და ქვეყნის მთლიანობის აღდგენა.

ლიტერატურა:

1. ავთანდილ სონღულაშვილი, “სამხრეთ ოსეთი” საქართველოში?! გამომცემლობა “უნივერსალი”, თბ., 2009;
2. ოსთა საკითხი, გამომცემლობა “პითაგორა”, გორი-თბილისი, 1996, გვ. 89 (ჯონდო გვასალია “შიდა ქართლი და ოსური პრობლემა);
3. http://darbr.webs.com/osebi_saqartveloshi.htm#boloTqma

THE CONFLICT BETWEEN THE GEORGIANS AND OSSETS

Natia Beruashvili, Natia Archuadze,

Tsira Chikhladze, Tinatin Tsertsvadze

Gori Teaching University, The First Year Students of Bachelor's Degree

Instructor: Mzia Ramishvili, Associate Professor

As you know, the conflict between Georgians and Ossets is so active and painful for the Georgians of all times, but we will do our best to make you concerned of the reasons for the conflict mentioned above, however this topic is quite painful and hard. We will also talk about the state of nowadays and our opinions about how to ease the tension.

Georgia is the only country where refugee feels himself at home, studies in his native language, prays in his church and goes to his own theatre, in contrast to "the symbol of liberty"-France and the "standard-bearer" of internationalism-Russia. The Ossets lived in this way our territory. Georgians accounted them for their brethren, but Ossets didn't appreciate our kindness properly and decided to become the owners of our houses, lands and cattle.

A well-known public man called Grigol Lordkipanidze said that Russian politics was the profector of the nations and tribes, that were under Russia's control. They cared about Ossets and Abkhazes. It was clear for everyone that Russian jingoism wasn't interested in creating Ossetic or other culture, Russia's main was to plant trouble into Georgia's big family. In fact, Russian police and cathedral hated Ossets and Abkhazes as much as Georgians.

The difficult situation was followed by drawing conflict, which still continues despite the rehabilitations of Georgia's independence (9th of April, 1991) and the collapse of the soviet union and perhaps will continue again.

We have had a war against Russia for over two centuries. Georgia managed to get rid of the claws of the two-handed eagle. The third attack took place in August 2008. Their cruelty had no limit. 200000 innocent people became refugees. After the war in August 2008 20% of our territory 12 km² of shida kartli were trampled down.

Georgia has never been so destroyed during its history. Russia knows well, why he did so and now he tries to justify his actions with the help of weak arguments.

აჭარაში მცხოვრებ აფხაზთა რელიგიური იდენტობის საკითხები

თეიმურაზ გვანცელაძე

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სრული პროფესორი

მერაბ ნაჭყებია

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სრული პროფესორი

მანანა ტაბიძე

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია

პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი,

სრული პროფესორი

თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე ომის შემდეგ განვითარებული პროცესებიდან ერთ-ერთი განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი მოსახლეობის რელიგიური ორიენტაციის საკითხია, რამდენადაც ამა თუ იმ რეგიონის მცხოვრებთა მშვიდობიანი ყოფა მნიშვნელოვანწილადაა დამოკიდებული საზოგადოებრივ იდენტობაზე; კოლექტიური იდენტობის კომპონენტთა განსხვავებულობა ხშირად საზოგადოების გათიშულობის მიზეზი ხდება. იმის მიხედვით, თუ როგორია დღევანდელი აფხაზეთის მოსახლეობის კოლექტიური იდენტობა, ან როგორი იყო იგი ადრე (ომამდე და ომისწინა პერიოდებში), შეიძლება პოლიტიკური კონფლიქტის მომზადებისა და განხორციელების ტექნოლოგია ამოვიცნოთ და დავსაზოთ ორი მხარის შერიგება-თანამშრომლობის რეალური გეგმა.

აფხაზეთის მოსახლეობის სარწმუნოებრივი იდენტობის საკითხი ძალიან საინტერესოა და ისტორიული თვალსაზრისით სახელმწიფო მთლიანობისა და საქართველოს კულტურული ინდივიდუალურობის განმაპირობებელიცაა. აფხაზეთი, რომელიც ლაზეთ-აჭარასთან ერთად ჩვენში ქრისტიანობასთან ზიარების ერთ-ერთ საწყის წერტილად გვევლინება, დღეს სარწმუნოებრივი თვალსაზრისით ჭრელ და დამაბულ რეგიონს წარმოადგენს.

რამდენადაც აფხაზეთში ქრისტიანობის ისტორიას არა ერთი მკვლევარი შეხებია, ჩვენ ამჯერად თავს ავარიდებთ ამ საკითხებზე მსჯელობას და არ განვიხილავთ მოსახლეობის **სარწმუნოებრივ იდენტობასა და რელიგიის ენის საკითხებს აფხაზეთში**. ვიტყვით მხოლოდ, რომ თანამედროვე რუსულ-აფხაზური სამეცნიერო წყაროები თავგამოდებით ამტკიცებენ, თითქოს აფხაზეთის ტერიტორია არ

ყოფილა ქართული ქრისტიანობის კერა, რომ შორეულ წარსულში ამ რეგიონში არსებობდა ე.წ. აბაზგიის ეპარქია, რომელიც კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ეპარქია იყო არაქართული მოსახლეობით. ამ ეპარქიას, რომელსაც რუსულ-აფხაზური წყაროები დღეს ელინიზებულ აბაზგიას უწოდებენ, გვიანრომაულ და ადრეზინიზაციურ ეპოქაში ჩამოყალიბებულად აცხადებენ. ამ მსჯელობის ფორმატში არქივისკოპოსის კათედრა თანამედროვე სოხუმის მიწაზე (ძველ სევასტოპოლისში) იმყოფებოდა, ბიჭვინთა (პიტიუნტი) კი ქრისტიანობის მსხვილი საყრდენი ცენტრი იყო. ბუნებრივად დაისმის კითხვა, რომელი ეთნიკური კუთვნილების მოსახლეობა იყო ამ ცენტრში ქრისტიანული სარწმუნოების მესამირკველ და ქომაგი...

საეჭვოა, რომ ამგვარ მოსახლეობას დღევანდელ აფხაზთა წინაპრები წარმოადგენდნენ, რამდენადაც თანამედროვე აფხაზების დიდი ნაწილი დღესაც კი თავის ტრადიციულ სარწმუნოებად წარმართობას, ან “აფხაზურ სარწმუნოებას” მიიჩნევს. დღევანდელ აფხაზთა შორის წარმართობის პრიორიტეტს ადასტურებს სხვადასხვა გამოკვლევა. მაგალითად, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის მიერ ჩატარებული საველე მუშაობის შედეგებიდან ჩანს, რომ 1992-93 წლების ომმა შედეგად დანარჩენი მსოფლიოსაგან აფხაზეთის იზოლაცია მოიტანა, რამაც, სპეციალისტების აზრით, ხელი შეუწყო აფხაზებს შორის მათი ტრადიციული რელიგიის აღორძინებას.

დღევანდელი აფხაზეთის მოსახლეობის საველე მეთოდებით შესწავლის შესაძლებლობა ქართველ სპეციალისტებს დღეს არა აქვთ. ამიტომ ერთადერთი საინფორმაციო წყარო თავად აფხაზ, ან რუს (ნაკლებად – უცხოელ) მკვლევართა მონაცემებია, თუმცა სხვადასხვა პოლიტიკური გავლენის გამო ეს მასალები ერთმანეთისაგან განსხვავებულ შედეგებს გვიჩვენებენ და მრავალ საკითხს ტენდენციურად განიხილავენ. ამჯერად ჩვენ არ ვაპირებთ ამ ქვეტექსტების გამო დისკუსიის გამართვას. მხოლოდ ვაფრთხილებთ საკვლევი საკითხით დაინტერესებულ მკითხველებს (უპირველეს ყოვლისა, სპეციალისტებს), რომ დღეს აფხაზეთთან დაკავშირებით წარმოებულ ნებისმიერ კვლევას კრიტიკულად და სიფრთხილით მოეკიდონ.

მიუხედავად ზემოთ აღნიშნული დამაბრკოლებელი მიზეზებისა, დევნილობაში ფუნქციონირებად სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში მომუშავე ქართველოლოგები და აფხაზოლოგები მუშაობენ აფხაზეთის მოსახლეობის იდენტობის, ამ რეგიონში არსებული ენობრივი, რელიგიური და კულტურული სიტუაციის კვლევის მიმართულებით. მაგალითად, ამ უნივერსიტეტის ქართველური ენათმეცნიერების ინსტიტუტისა და აფხაზური ენისა და კულტურის ინსტიტუტის მიერ 2010 წელს ჩატარდა (და გრძელდება) დღევანდელი აფხაზეთის მოსახლეობის ენობრივ-კულტურული იდენტობის კვლევა (აფხაზეთის ა.რ. განათლებისა და კულტურის სამინისტროს “აფხაზეთის მეცნიერთა მხარდაჭერის პროგრამით” გათვალისწინებული გრანტის საფუძველზე; შემსრულებლები: მ. ნაჭყებია, მ. ტაბიძე). კვლევის შედეგები ასახულია ნაშრომში “აფხაზეთის (გალის რაიონის) სოციოლინგვისტური დახასიათება. 1993-2010 წლები” (თბილისი, 2010, 148 გვ.).

2011 წელს დაიწყო ამავე უნივერსიტეტის აფხაზური ენისა და კულტურის ინსტიტუტის მიერ აჭარაში XIX საუკუნის 60-80-იან წლების მუჰაჯირობის დროს ჩასახლებული აფხაზების ენობრივ-კულტურული იდენტობის კვლევა (ევროკავშირისა და გაეროს ერთობლივი პროგრამის Coberm-ის გრანტის საფუძველზე; პროექტის ხელმძღვანელი თ. გვანცელაძე). ამ პროექტის ფარგლებში 2011 წლის 19-28 თებერვალს ქ. ბათუმსა და მიმდებარე სოფლებში სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის აფხაზური ენისა და კულტურის ინსტიტუტის თანამშრომელთა და სტუდენტთა მონაწილეობით განხორციელდა საველე კვლევები აჭარის აფხაზების იდენტობის შესწავლის მიმართულებით¹¹⁰. ამ კვლევების ნაწილი აჭარის აფხაზთა რელიგიური ორიენტაციის შესწავლასაც შეეხებოდა. ეს მონაცემები საშუალებას იძლევა, აღვწეროთ და გავანალიზოთ ქართულ კულტურულ, პოლიტიკურ და ეთნიკურ კონტექსტში მოქცეული აფხაზების იდენტობის სიღრმისეული და ზედაპირული ნიშნები და შევადაროთ ისინი, ერთი მხრივ, საკუთრივ აფხაზეთში და, მეორე მხრივ, თურქეთის რესპუბლიკაში მობინადრე აფხაზთა იდენტობის მახასიათებლებს..

წინამდებარე სტატიის ავტორები საკუთარ მასალაში ვერ გამოიციხავენ ანკეტირებისა და ზეპირი ინტერვიუების დროს რესპოდენტთა სუბიექტური განწყობის ფაქტორს: სოციალური უსიამოვნებების შიშს, პოლიტიკურად დელიკატური საკითხის მიმართ ფრთხილ დამოკიდებულებას, ეროვნული

¹¹⁰ სამეცნიერო-სასწავლო ექსპედიციაში მონაწილეობდნენ: პროფ. თ. გვანცელაძე, პროფ. მ. ტაბიძე, დოქტორანტი თ. გითოლენდია, დოქტორანტი ს. ჭაავა, მაგისტრანტი ე. ბენდელიანი, ბაკალავრიატის სტუდენტები თ. აბაშიძე, თ. ბუხნიკაშვილი, გ. გიგუაშვილი და მ. ნათაძე, აგრეთვე არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის მეცნ. თანამშ., ფილოლოგიის დოქტორი გ. გვანცელაძე, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი თ. თურქია.

თავმოყვარეობის ზემოქმედების ფაქტორს, კარგისა და ცუდის მიმართ საზოგადოებრივი აზრის ზეგავლენას და სხვ. ამ მომენტების გამო რესპოდენტები ხშირად თავს იკავებენ ხოლმე იმის აღიარებისაგან, რომ არ იციან მშობლიური ენა, რომ გულგრილნი არიან სარწმუნოებისადმი, რომ ცუდად ერკვევიან რელიგიის საკითხებში, რომ კარგად არ ესმით განსხვავება ისეთ დეფინიციებს შორის, როგორცაა: კათოლიკე ქრისტიანი და მართლმადიდებელი ქრისტიანი, სუნიტი და შიიტი მაჰმადიანი, წარმართი და სხვ.

კომენტარების გარეშე გთავაზობთ კვლევის პირველ ეტაპზე მოპოვებული საველე მასალის პირველადი დამუშავების შედეგებს:

17 გამოკითხული აფხაზიდან (11 ქალი და 6 მამაკაცი) თავის სარწმუნოებად “სუნიტი მაჰმადიანი” დაასახელა 9-მ (აქედან 5 ქალია, 4 - მამაკაცი), “მართლმადიდებელი ქრისტიანი” – 6-მა (5 ქალი, 1 მამაკაცი), 2-მა შეთავაზებული კვალიფიკაციებიდან (სუნიტი მაჰმადიანი, შიიტი მაჰმადიანი, მართლმადიდებელი ქრისტიანი, კათოლიკე ქრისტიანი, ათეისტი, სხვა) აღნიშნა კატეგორია “სხვა”. საყურადღებოა, რომ, მიუხედავად გამოკითხულთა შორის სუნიტ მაჰმადიანთა წილობრივი უპირატესობისა, კითხვარის შევსების დროს რესპოდენტთა ნაწილს გაუჭირდა ერთიმეორისაგან გაერჩია სუნიტი მაჰმადიანი და შიიტი მაჰმადიანი.

რესპოდენტებმა თავიანთი წინაპრების ადრინდელ (მუჰაჯირობამდელ) საცხოვრებლად დაასახელეს: სოჭის მიდამოები, კუდეფსთა (სოჭი-ადღერის რეგიონი), ეშერა (სოხუმის რ-ნი), აგუბედია, აძვიბუა, ჯგერდა (ოჩამჩირის რ-ნი), ლუმურიში (გალის რ-ნი).

ლოცვის ენად (სალოცავში) დაასახელეს: 11-მა ქართული (8 ქალმა და 3-მა მამაკაცმა), 5-მა აფხაზური (4-მა ქალმა და 1-მა მამაკაცმა), 1-მა ქალმა თურქული, 2-მა რუსული (თითო ქალმა და მამაკაცმა), 1-მა მამაკაცმა არაბული; არასალოცავ ადგილას ღმერთისადმი მიმართვის ენად 8-მ (5-მა ქალმა და 3-მა მამაკაცმა) დაასახელა ქართული, 3-მა (2-მა ქალმა და 1-მა მამაკაცმა) აფხაზური, 2-მა (თითო ქალმა და მამაკაცმა) არაბული;

აღმოჩნდა, რომ გამოკითხულთაგან 8-ს (5 ქალსა და 3 მამაკაცს) მიაჩნია, რომ სარწმუნოებრივ წესებს იცავს, 6-ს კი (4 ქალსა და 2 მამაკაცს) თავისი სარწმუნოებრივი ცხოვრება მხოლოდ ნაწილობრივ ორგანიზებულად მიაჩნია.

სალოცავად სისტემატურად დადის მხოლოდ 3, სისტემატურად არ დადის – 9. ამ საკითხთან დაკავშირებით რესპოდენტები აღზრდას მიიჩნევენ გადამწყვეტ ფაქტორად: ოჯახის როლს ხაზს უსვამდა 8 რესპოდენტი, რელიგიურ წიგნებს – 2, რაიმე სხვა ფაქტორს – 1.

კითხვაზე “გსურთ თუ არა, რომ თქვენი შვილები მორწმუნენი იყვნენ?” პასუხები ასე განაწილდა: დიახ – 10 (6 ქალი, 4 მამაკაცი), არა – 0, მათი ნებაა – 1 მამაკაცი. ასევე საინტერესო პასუხები მივიღეთ კითხვაზე “რა არის საჭირო ბავშვის სარწმუნოებრივი აღზრდისათვის?” რესპოდენტთაგან 8-მ (4-4-მა ქალმა და მამაკაცმა) ხაზი გაუსვა ოჯახის ზრუნვას, ხოლო 2-მა (თითო ქალმა და მამაკაცმა) აუცილებლად მიიჩნია რელიგიური წიგნების კითხვა. კითხვარმა გაგვირკვია, რომ რელიგიური წიგნები შინ მხოლოდ 1 ქალსა და 2 მამაკაცს ჰქონია.

ზოგადად რწმენის ქონა სხვა ადამიანის მიმართ ნდობის დადებით განმსაზღვრელად მიაჩნია 6-ს (3-3 ქალსა და მამაკაცს), ამდენივესთვის კი (4 ქალისა და 2 მამაკაცისათვის) ამ ფაქტორს არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა.

აზრთა დიდი სხვადასხვაობა აღმოჩნდა რწმენის მხრივ მისაბამ ეროვნებათა საკითხში: რესპოდენტებმა მისაბამ მორწმუნეებად შემდეგი ეროვნებები დაასახელეს: თურქები – 3-მა (2-მა ქალმა და 1-მა მამაკაცმა), აფხაზები – 3-მა (2 ქალმა და 1-მა მამაკაცმა), ზოგადად კავკასიელები – 2-მა (თითო ქალმა და მამაკაცმა), ებრაელები – 2-მა (თითო ქალმა და მამაკაცმა), ქართველები – 3-მა (2 ქალმა და 1-მა მამაკაცმა), ევროპელები – 1-მა მამაკაცმა, არაბები – 2-მა (თითო ქალმა და მამაკაცმა).

რესპოდენტთა მიერ საკუთარი იდენტობის განმსაზღვრელ ფაქტორად (პარამეტრებიდან: მაჰმადიანი, ქრისტიანი, აფხაზი, კავკასიელი, ქართველი, სხვა) პირველ ადგილზე დააყენეს: მაჰმადიანობა – 5-მა, ქრისტიანობა – 5-მა, აფხაზობა – 8-მ, კავკასიელობა – 2-მა, ქართველობა – 2-მა.

როგორც ირკვევა, 3 რესპოდენტს (2 ქალსა და 1 მამაკაცს) ურთიერთობა უადვილდება მაჰმადიან ქართველებთან და აფხაზებთან, 4 რესპოდენტი (2-2 ქალი და მამაკაცი) უფრო იოლად ურთიერთობს ქრისტიან ქართველთან და აფხაზთან, ხოლო რელიგია ურთიერთობაში სულ ერთიაო, მიუთითა 5 მოპასუხემ (2-მა ქალმა და 3 მამაკაცმა).

როგორც ცნობილია, ამჟამად აჭარაში 2 დომინანტი რელიგიაა წარმოდგენილი – ქრისტიანობა და ისლამი. გამოკითხვამ გვიჩვენა, რომ მაჰმადიან აფხაზებს აინტერესებთ ინფორმაცია ქრისტიანობის შესახებ ისევე, როგორც ქრისტიან აფხაზებს აინტერესებთ ინფორმაცია ისლამის შესახებ. მაჰმადიანთა საგრძნობმა ნაწილმა (8 პირმა – 4-მა ქალმა და 4-მა მამაკაცმა) ქრისტიანობისადმი თავისი ინტერესის მიზეზად დაასახელა ის, რომ ისინი ქრისტიანულ ქვეყანაში ცხოვრობენ.

QUESTION REGARDING TO RELIGIOUS IDENTITY OF ABKHAZIANS LIVING IN ADJARA

Teimuraz Gvantseladze, Sokhumi State University, Full Professor

Merab Nachkebia, Sokhumi State University, Full Professor

Manana Tabidze, Georgian University of St. Andrews, Full Professor

SUMMARY

19-28 February 2011 in the framework of the grant given by the UN and EU (COBERM program) the scientific group of the Abkhazian Language and Culture Institute of Sukhumi State University was working in Batumi. The object of the group was to research ethnical and lingual identities of Abkhazians living in Adjara. In the work is represented the part of the first conclusions of the survey of Abkhazians which reflect attitudes towards the religious aspects of national identity.

2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის ზოგიერთი ასპექტი

ელგუჯა გოგინაშვილი

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი,

ბაკალავრიატის სწავლების მეორე წლის სტუდენტი

ხელმძღვანელი: **დაზმირ ჯოჯუა**, ასოცირებული პროფესორი

2008 წლის რუსეთის ქმედების ასახსნელად საჭიროა გავიაზროთ საბჭოთა კავშირის ნგრევის შემდეგ განვითარებული მოვლენები საერთაშორისო ასპარეზზე და ამ პროცესების აღქმა თავად რუსეთის მიერ. ამ თვალსაზრისით, რუსეთის გარშემო შექმნილ საერთაშორისო გარემოს ოთხი ძირითადი ფაქტორი განსაზღვრავდა: 1) ნატოსა და ევროკავშირის აღმოსავლეთით გაფართოება; 2) რუსეთის გვერდის ავლით, კასპიის პირეთიდან ენერგორესურსების ტრანსპორტირების ალტერნატიული მარშრუტის განვითარება. 3) „ფერადი რევოლუციები“ ყოფილ საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე და 4) კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარება.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, დასავლურ ალიანსებში – ძირითადად, ნატო-სა და ევროკავშირში ყოფილი სოციალისტური ქვეყნების გაწევრიანებას, რუსეთი საკუთარ უსაფრთხოების საფრთხედ აღიქვამდა. განსაკუთრებით აღიზიანებდა ნატოსა და ევროკავშირთან ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების ახლო თანამშრომლობა ან გაწევრიანება. 1991 წელს სამი ცენტრალური ევროპის ქვეყანა, ხოლო 2002 წლის ბოლოს ბალტიისპირეთისა და აღმოსავლეთ ევროპის შვიდი სახელმწიფო გახდა ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის წევრი. სამხედრო ალიანსის პარალელურად მიმდინარეობდა ევროკავშირის გაფართოებაც. ყოველივე საფრთხეს უქმნიდა რუსეთის გეოპოლიტიკურ ამბიციებს. 2003 წლის ნოემბერში საქართველოში ჩატარებული საპარლამენტო არჩევნები გაყალბდა, რამაც სახალხო პროტესტი გამოიწვია და მოჰყვა ედუარდ შევარდნაძის ხელისუფლების შეცვლა. „ვარდების რევოლუციად“ წოდებულ მოვლენას სათავეში ედგა ამერიკაში განათლებამიღებული ახალგაზრდა ლიდერი მიხეილ სააკაშვილი, რომელსაც მხარს უჭერდნენ ქვეყანაში მოქმედი არასამთავრობოების უმრავლესობა და ზოგადად, ახლად ჩამოყალიბებული სამოქალაქო საზოგადოების წევრები.

2003 წლის ვარდების რევოლუციით ხელისუფლებაში მოსული პრეზიდენტ სააკაშვილის ხელისუფლებამ კურსი აიღო ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციისაკენ, რაც მიუღებელი იყო კრემლისათვის; ამიტომ რუსეთის ხელისუფლებამ და მისგან მართულმა კრიმინალურმა დაჯგუფებებმა გაააქტიურეს დესტრუქციული პოლიტიკა. მათ არაერთხელ უარყვეს საქართველოს ხელისუფლებისა და საერთაშორისო ინსტიტუტების სამშვიდობო ინიციატივები კონფლიქტების დარეგულირებასთან დაკავშირებით (2005 წლის 25 იანვრის, 2005 წლის 26 ოქტომბრის, 2006 წლის ივნისის ე.წ. საგზაო რუკა, 2007 წლის მარტის მემორანდუმი, 2008 წლის 28 მარტის სამშვიდობო გეგმა). ამ გარემოებამ გამოიწვია კონფლიქტურ რეგიონებში სამშვიდობო ფორმატების კრიზისი და შექმნა რეალური წინაპირობები მოვლენათა ესკალაციისათვის. საქართველოს მიერ არჩეული დემოკრატიული განვითარებისა და ევროატლანტიკურ სივრცეში ორიენტაციაზე აღებული კურსი იმავე ელიტაში რუსეთისადმი მტრულ და სახიფათო პოლიტიკად აღიქმება.

მიიჩნევა, რომ საქართველოში დასავლური ღირებულებების დემოკრატიული სახელმწიფოს შექმნა, რომელიც ამავე დროს ნატო-ს წევრიც იქნებოდა, ეგზისტენციალურ საფრთხეს შეუქმნიდა პოსტ-საბჭოთა

სივრცეში რუსეთის გავლენის შენარჩუნებასა და ნეოიმპერიულ ამბიციებზე დაფუძნებულ ზესახელმწიფოდ აღორძინების სტრატეგიის განხორციელებას. ამგვარი აღქმის გამო საქართველო რუსეთის საზოგადოებრივ ცნობიერებაში ერთ-ერთ ყველაზე მტრულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბდა. ვინაიდან, საქართველოსთვის არჩეული კურსით სვლაში ხელის შეშლა ვერ მოხერხდა ვერც ეკონომიკური სანქციების დაწესებით და ვერც პოლიტიკურ სპექტრში მეხუთე კოლონის გაძლიერებით, ყველაზე ეფექტურ გზად ისევ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში არსებული კონფლიქტების მანიპულირებით საქართველოს შეიარაღებულ კონფლიქტში ჩათრევა იქნა მიჩნეული. ცივი ომის შედეგებით უკმაყოფილო რუსეთი, რომელიც არასრულფასოვნების კომპლექსით არის შეპყრობილი, საქართველოს დაჩაგვრით ცდილობს შური იძიოს დასავლეთზე და საერთაშორისო ურთიერთობების აღიარებული ნორმებისა და სტანდარტების უხეში დარღვევით მიაღწიოს მსოფლიო მართლსწესრიგის შეცვლას. აფხაზეთისა და ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ სეპარატისტული მთავრობები, რუსეთთან შეთანხმებით, საქართველოსთან ურთიერთობებში მეტად ხისტ პოზიციას იკავებდნენ. ისინი სისტემატურად ამბობდნენ უარს სამშვიდობო ინიციატივების განხილვაზე, რომელიც საქართველოს მთავრობის ან მიუკერძოებელი მესამე მხარეების მიერ იყო შემუშავებული. ბოლო ასეთი შემთხვევა იყო გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრის, ფრანკ-ვალტერ შტაინმაიერის სამშვიდობო გეგმის ჩაგდება, რომელიც კონფლიქტის მხარეებისთვის 2008 წლის ივნისში იქნა წარდგენილი.

ამასობაში, სეპარატისტული მთავრობები აგრძელებდნენ რუსეთიდან მომდინარე სხვა ინსტრუქციების თვალდახუჭულ შესრულებას. კერძოდ, ხელოვნური თუ არაარსებითი საბაზის მოშველიებით უარს ამბობდნენ საქართველოსთან მოლაპარაკებებზე, ან მოითხოვდნენ მოლაპარაკებების და სამშვიდობო ოპერაციების უკვე მოძველებული ფორმატების შენარჩუნებას. სეპარატისტული მთავრობები კი ხელს არ უშლიდნენ რუსეთს კონფლიქტის ზონებში საქართველოსთვის უკიდურესად გამომწვევი ფორმით განხორციელებინა სამხედრო პოტენციალის არაღელვალური კონცენტრაცია. საქართველოს და ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ურთიერთობები სათავეს გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან იღებენ. იმ წლებში საქართველომ დაიწყო მონაწილეობა პროგრამაში პარტნიორობა მშვიდობისთვის, გახდა ევროატლანტიკური პარტნიორობის საბჭოს ერთ-ერთი დამფუძნებელი. კოსოვოში ნატო-ს სამშვიდობო ოპერაციის დაწყებისთანავე მონაწილეობს მასში, აგრეთვე მონაწილეობდა ნატო-ს სამშვიდობო ოპერაციაში ავღანეთში.

მიუხედავად ყოველივე ამისა, 2002 წლამდე საქართველო ვერ დაიკვებინდა ალიანსთან რაიმე გამორჩეული ურთიერთობებით. ასეთივე ურთიერთობები გააჩნდა ნატო-სთან რამდენიმე პოსტსაბჭოთა ქვეყანასაც. ამასთან ერთად, უკვე არსებობდა ნატო-რუსეთის მუდმივმოქმედი საბჭო და ნატო-უკრაინის მუდმივმოქმედი კომიტეტი, რაც ალიანსთან ამ ქვეყნების თვისობრივად უფრო მაღალი დონის ურთიერთობებზე მეტყველებდა. ნატო-საქართველოს ურთიერთობებსა და, ზოგადად, ჩვენი ქვეყნის ევროატლანტიკური კურსის რეალიზაციის საქმეში გარღვევა მოხდა 2002 წლის ნოემბერში პრალაში ევროატლანტიკური თანამშრომლობის საბჭოს უმაღლესი დონის შეხვედრაზე, რომელსაც წინ უძღვოდა ნატო-ს სამიტი. იქ საქართველომ უმაღლესი ტრიბუნლიდან ოფიციალურად განაცხადა, რომ სურს გახდეს ნატო-ს წევრი. 2003 წლის დასაწყისში საქართველო შეუდგა ნატო-სთან ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმის შედგენას, თანაც იმგვარად, რომ გეგმა მიზნად ისახავდა ისეთი რეფორმების გატარებას, რომლებიც მიმართული იქნებოდნენ ქვეყნის ალიანსში ინტეგრაციისკენ. გეგმის შედგენა დასრულდა 2004 წელს და ამავე წელს დაიწყო მისი შესრულება. 2006 წლის სექტემბრიდან ნატო-მ და საქართველომ დაამყარეს ინტენსიური დიალოგის რეჟიმი. 2008 წლის სექტემბერში დაფუძნდა საქართველო-ნატო-ს მუდმივმოქმედი კომისია. 1999 წლის ვაშინგტონის უმაღლესი დონის შეხვედრაზე ნატო-მ მიიღო გადაწყვეტილება იმის თაობაზე, რომ ამიერიდან, მანამ, სანამ გაწევრიანების მოსურნე სახელმწიფოს ალიანსში მიიწვევდა, ამ სახელმწიფოს უნდა შეესრულებინა გაწევრიანების სამოქმედო გეგმა (MAP). 2008 წლის აპრილში ბუქარესტში გამართულმა ნატო-ს სამიტმა უარი თქვა საქართველოსათვის გაწევრიანების სამოქმედო გეგმის (MAP) მინიჭებაზე.

ბუქარესტის სამიტამდე დიპლომატიური ბრძოლა მიმდინარეობდა მსოფლიოს წამყვან სახელმწიფოებს შორის, საქართველოსა და უკრაინისათვის გაწევრიანების სამოქმედო გეგმის (MAP) მინიჭების საკითხთან დაკავშირებით. ნატოს 26 წევრი სახელმწიფო დაიყო სამ ჯგუფად: 1) მომხრეებად 2) მოწინააღმდეგეებად 3) ნეიტრალურებად. მხარს უჭერდა საქართველოსთვის და უკრაინისთვის (MAP) მინიჭებას ამერიკის შეერთებული შტატები, ბალტიის სამივე სახელმწიფო, რუმინეთი, ბულგარეთი, კანადა, სლოვაკეთი, სლოვენია, ჩეხეთი, დიდი ბრიტანეთი, ისლანდია. მოწინააღმდეგეები იყვნენ: გერმანია, საფრანგეთი, ჰოლანდია, ლუქსემბურგი. ხოლო ნეიტრალურად განწყობილნი იტალია, ესპანეთი, პორტუგალია და საბერძნეთი. ამ ქვეყნებს შორის დიპლომატიურ თამაშში აქტიურად მონაწილეობდა რუსეთის ფედერაცია, რომელიც საქართველოსა და უკრაინის (MAP) მინიჭებას ეროვნულ საფრთხედ მიიჩნევდა და ცდილობდა ევროპის სახელმწიფოებზე ზემოქმედებისათვის ყველა

ლონე ეხმარა. ეს გახდა ერთგვარი სიგნალი რუსეთისათვის, რათა აემოქმედებინა ჯერ კიდევ 2006 წლიდან კრემლში შემუშავებული გეგმა საქართველოში ინტერვენციის, სააკაშვილის ხელისუფლების შეცვლის შესახებ.

2008 წლის 29 ივლისიდან რუსეთის იმპერიის ხელისუფლებამ კურსი აიღო შეიარაღებული პროვოკაციების ინტენსიფიკაციისაკენ, რამაც კონფლიქტურ რეგიონებში შექმნა სამხედრო კრიზისის ატმოსფერო. ე. კოკოითის შეიარაღებული ბანდფორმირებები პერიოდულად ცეცხლს უხსნიდნენ ქართულ სოფლებს და აწყობდნენ თავდასხმებს ქართველი სამშვიდობოების ბლოკ-საგუშაგოებზე. ომის დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე რუსული მედიასაშუალებები ავრცელებდნენ დეზინფორმაციას და საუბრობდნენ საქართველოს ომის სამზადისზე და მოსახლეობის ევაკუაციის გეგმებს სახავდნენ, სეპარატიზმის ხელის შემწყობი პოლიტიკური ელემენტები, რაც ომისათვის მზადების რეალური ინდიკატორი იყო. 6 აგვისტოს სეპარატისტებმა ცეცხლი გაუხსნეს სოფ. ნულში განლაგებულ ქართულ საგუშაგოს. პარალელურად ხეთაგუროვოდან ნაღმები დაუშინეს ქართულ სოფლებს: ერედვს, ფრისს, დვანს, ავნევს, ნულს, თამარაშენს, აჩაბეთს, ქურთას. ქართველ სამშვიდობოებს შორის იყო მსხვერპლი. 7 აგვისტოს დილით, 03:41 სთ-ზე, ოპერატიული მონაცემებით, როკის გვირაბის გავლით ცხინვალის რეგიონში შემოვიდა რუსეთის ჯარების ტაქტიკური დაჯგუფება 150 ერთეული ჯავშანტექნიკითა და სამხედრო მანქანით. რამდენიმე საათის შემდეგ სეპარატისტებმა დაიწყეს ფრონესა და დიდი ლიახვის ხეობის ქართული ანკლავების მასირებული დაბომბვები 82 და 120 მილიმეტრიანი ნაღმსატყორცებითა და 122 მილიმეტრიანი ჰაუზიცებით. 7 აგვისტოს 21:00 საათზე დაიწყო სოფ. თამარაშენის დაბომბვა. ამგვარი ქმედებებით აშკარა გახდა, რომ რუსულ-სეპარატისტულმა ალიანსმა კურსი აიღო სამხედრო კრიზისის ომში გადაზრდისა და რუსეთის ფართომასშტაბიანი აგრესიის ინსპირირებისაკენ. 7 აგვისტოს 23:35 წუთზე დახურული სპეცკავშირით გადაიცა პრეზიდენტ სააკაშვილის ბრძანება ცხინვალის რეგიონში თავდაცვითი სამხედრო ოპერაციის დაწყების შესახებ. ბრძანება შეიცავდა 3 პუნქტს: – ცხინვალის რეგიონში მშვიდობიანი მოსახლეობის დაცვა, იმ საცეცხლე პოზიციების ჩახშობა, საიდანაც ცეცხლს უშენდნენ მშვიდობიან მოსახლეობას, ქართულ სამშვიდობო ქვედანაყოფებსა და სამოქალაქო პოლიციას, როკის გვირაბის გამოვლით სამხრეთ ოსეთის რეგიონში რუსეთის ფედერაციის რეგულარული ქვედანაყოფების მოძრაობის შეჩერება.

უნდა ითქვას რომ საქართველოს ქმედება სრულ შესაბამისობაში იყო როგორც შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობასთან, ასევე საერთაშორისო სამართალთან. კერძოდ, გაერო-ს წესდების 51-ე მუხლის პირობებთან, რომელიც ითვალისწინებს თავდაცვის კანონიერ უფლებას. 7 აგვისტოს 23:50 საათზე საქართველოს შეიარაღებული ძალების საარტილერიო ქვედანაყოფებმა დაიწყეს სეპარატისტთა საცეცხლე წერტილების ჩახშობის ოპერაცია. ამავე დროს სამხედრო ავიაციის გამოყენებით დაიბომბა გუფთის ხიდი და ძარი-ცხინვალის გზა, რათა შეჩერებულიყო შემოჭრილი რუსული სატანკო კოლონების წინსვლა ცხინვალისაკენ. 8 აგვისტოს გამთენიისათვის საქართველოს შეიარაღებული ძალების მე-4 ბრიგადისა და შსს-ს სპეციალურმა ქვედანაყოფებმა თითქმის ყველა დასახლებული პუნქტი დაიკავეს და ჯავის მიმართულებით დაიძრნენ. სწორედ ამ დროიდან დაიწყო საქართველოს წინააღმდეგ რუსეთის სრულმასშტაბიანი აგრესია. 8-10 აგვისტოს ფრონტის ყველა მიმართულებით ინტენსიური ბრძოლები მიმდინარეობდა. 11 აგვისტოს საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა დაიწყეს სტრატეგიული უკანდახევა და დედაქალაქის თავდაცვის ზღუდეების შექმნა. რუსულმა ძალებმა 11-12 აგვისტოს დაიკავეს ცხინვალის რეგიონის ფარგლებს გარეთ მდებარე ტერიტორიები: ქ.გორი, გორისა და ქარელის რაიონები. ამის შემდეგ ინტერვენტთა და სეპარატისტთა ფორმირებებმა დაიწყეს დასახლებული პუნქტების მასობრივი ძარცვა, მაროდორობა, ადგილობრივი მოსახლეობის დაწიოკება.

12 აგვისტოს საფრანგეთის პრეზიდენტის ნიკოლა სარკოზის შუამდგომლობით დაიდო დაზავების შეთანხმება. შეთანხმება ითვალისწინებდა ცეცხლის შეწყვეტას, საქართველოს შეიარაღებული ძალების დაბრუნებას მუდმივი დისლოკაციის ადგილებში და რუსეთის ჯარების დაბრუნებას 7 აგვისტომდე არსებულ ხაზზე. მიუხედავად ამისა, რუსეთმა გააგრძელა საჰაერო დაბომბვები და გააფართოვა საქართველოს ტერიტორიაზე საოკუპაციო არეალი. 18 აგვისტოს რუსეთის ჯარებმა დაიკავეს ხაშური-იგოეთის სტრატეგიული ხაზი, რის შედეგადაც გადაკეტეს დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს დამაკავშირებელი ცენტრალური საავტომობილო და სარკინიგზო მაგისტრალები. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ომის დროს რუსეთმა გამოიყენა საერთაშორისო კონვენციებით აკრძალული კასეტური ბომბები, ასევე ბალისტიკური სარაკეტო კომპლექსები – ისკანდერი. ამან გაზარდა მსხვერპლი და ნგრევის მასშტაბები. 2008 წლის 8 სექტემბერს საფრანგეთისა და რუსეთის პრეზიდენტების შეხვედრაზე მოხდა 12 აგვისტოს შეთანხმების იმპლემენტაცია: 6-პუნქტიანი შეთანხმების დამატება ითვალისწინებდა ე.წ. ბუფერული ზონების დემონტაჟს და კონფლიქტურ რეგიონებში საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიის

განთავსებას. რუსეთი იძულებული გახდა, საერთაშორისო ზეწოლის შედეგად, დაეშალა ბუფერული ზონები.

15 სექტემბერს რუსებმა დატოვეს 5 საოკუპაციო პოსტი დასავლეთ საქართველოში, ხოლო 7-10 ოქტომბერს ბუფერული სექტორი დემონტირებულ იქნა ცხინვალის რეგიონის მიმდებარე ტერიტორიებიდან. 1 ოქტომბრიდან საქმიანობას შეუდგა ევროკავშირის 200 წევრიანი სადამკვირვებლო სამშვიდობო მისია. საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული სრულმასშტაბიანი აგრესიით რუსეთმა უხეშად დაარღვია საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტური ნორმები, რომლებიც მოითხოვენ სხვა სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში ჩაურევლობას, ძალის გამოყენებაზე უარის თქმას, მათი სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობისა და საზღვრების ურღვევობის პატივისცემას. პირველად 8 აგვისტოს 9:45 რუსულმა სამხედრო მოიერიშეთვითმფრინავმა 3-5 ჭურვი ჩამოაგდო სოფელ შავშვების მიმდებარე ტერიტორიაზე, რომელიც მდებარეობს ფოთი-თბილისის საავტომობილო მაგისტრალთან და საქართველოს სამხედრო რადარებიდან 300-500 მეტრის მოშორებით. შემდეგ მას მოჰყვა 42 მსგავსი იერიში. ბოლოს 2008 წლის 12 აგვისტოს 09:30-10:55 რუსულმა მოიერიშე თვითმფრინავებმა დაბომბეს გორის ცენტრალური მოედანი და ბაზარი. საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა დაკარგა 170 სამხედრო მოსამსახურე, მათ შორის 5 დღემდე უგზოუკვლოდ დაკარგულად ითვლება. დაიღუპა 14 პოლიციელი, 228 მშვიდობიანი მოქალაქე. 2008 წლის 26 აგვისტოს პრეზიდენტმა მედვედევმა მიიღო დანაშაულებრივი აქტები აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის ცნობის შესახებ.

უცხოური პრესა აქტიურად ეხმაურებოდა ამ კონფლიქტს, ბრიტანულმა გამოცემა *Guardian*-მა საქართველოს შესახებ ვრცელი ანალიტიკური სტატია გამოაქვეყნა. სტატიის ავტორი აღნიშნავდა, რომ საქართველოს კონფლიქტმა საერთაშორისო კანონმდებლობის არაქმედითუნარიანობა გამოავლინა. დაბნეულობა საერთაშორისო კანონმდებლობის გარშემო და გლობალური დამაბულობა საერთაშორისო ფაქტების დამდგენი საგამომიებო კომისიის დასკვნის შემდეგაც არ განმუხტულა. ავტორი მიიჩნევს, რომ ეს დასკვნა პოლიტიკოსებისა და ინსტიტუციების არაადექვატურობას კიდევ ერთხელ ადასტურებს. ჰაიდი ტალიავინის კომისიის დასკვნის შედეგად ირკვევა, რომ საქართველომ შეტევა პირველმა დაიწყო, მაგრამ ისიცაა აღნიშნული, რომ ამას წინ რუსეთის ხანგრძლივი პროვოკაციები უძლოდა. მოულოდნელი არ ყოფილა ის ფაქტი, რომ საქართველომ დასკვნის სპეციფიკური აღმოჩენები უარყო, მაშინ როდესაც რუსეთი ამ აღმოჩენებს ჩაებდაუჭა და მანაც თავის მხრივ უარყო მის წინააღმდეგ დადებული სხვა მნიშვნელოვანი ფაქტები. საერთაშორისო ლიდერებმა კი კვლავ დუმილი შეინარჩუნეს. აღნიშნავს სტატიის ავტორი. მისი აზრით კომისიის დასკვნის გარკვეული ნაწილი საერთაშორისო სამართლის ნორმების არასწორად ინტერპრეტირების საფრთხეს ქმნის. აღსანიშნავია, რომ დასკვნა ნათლად ადასტურებს *uti possidetis*-ის პრინციპს, რომ აღიარებულია საბჭოთა კავშირის ყოფილი რესპუბლიკების სუვერენიტეტი და ტერიტორიული მთლიანობა და არა ამ რესპუბლიკებში შემავალი ერთეულების, რაც ავტორის აზრით კოსოვოს აღიარების შემდეგ საერთაშორისო სამართლის ნორმების შესახებ ფუნდამენტალური დებატების წარმოების აუცილებლობას წარმოშობს. ერთი წლის წინ გამოქვეყნებულ სტატიაში სწორედ ამ პროგნოზს აკეთებდა სტატიის ავტორი. სანამ დასავლეთი და ტალიავინის კომისიის დასკვნა რუსეთს თვითგამოცხადებული აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარების და საერთაშორისო ნორმების დარღვევის გამო აკრიტიკებს, რუსეთი თავის მხრივ კოსოვოს აღიარებაზე აპელირებს, რომელიც ასევე საერთაშორისო სამართლის ნორმების დარღვევით იქნა გამოცხადებული დამოუკიდებელ სახელმწიფოდ, ვინაიდან ის იყო ყოფილი იუგოსლავიის ერთ-ერთი ოლქი და არა რესპუბლიკა, აღნიშნავს სტატიის ავტორი. ასევე აშშ-ს „ჯეიმსთაუნის ცენტრის ანალიტიკოს ვლადიმირ სოკორის შეფასებით, „საქართველო აფხაზ და ოს ხალხს ევროპულ არჩევანს სთავაზობს, რომელიც მათ არასოდეს ექნებათ რუსეთთან ერთად. ეს პერსპექტივა აგვისტოს ომის შედეგად შეფერხდა, შესაბამისად, გამოდის, რომ რუსეთის მიერ 2008 წლის საქართველოში შემოჭრა იყო აფხაზი და ოსი ხალხის ინტერესების საწინააღმდეგოდაც გადადგმული ნაბიჯი.

ლიტერატურა:

1. <http://medianews.ge/index.php/ka/content/72079/>
2. <http://www.mod.gov.ge/index.php?page=-10&Id=31&lang=0>
3. <http://www.mod.gov.ge/2008/bombing/bombing-G.html?l=G&m=1>
4. <http://www.guardian.co.uk/commentisfree/2009/oct/06/breakaway-states-law-georgia>
5. http://www.200.org.ge/documents/1992docs/sxvadasxva/jojuia_agvistos_omi.pdf
6. http://www.parliament.ge/files/1112_18731_743706_NatoGeorgiaUkraine-8apr.pdf

SOME ASPECTS OF RUSSIA – GEORGIA WAR 2008

Elguja Goginashvili

Sokhumi State University, The Second Year Student of Bachelor's Degree

Instructor: **Dazmir Jojua**, Associate Professor

SUMMARY

The work discusses some aspects about Russia-Georgian war of 2008. It deals with some problems and reasons of Russian aggression against Georgia and the international situations around Russia. Russia showed terrible revenge against international society by performing armed attack on Georgia. Bucharest summit and the real diplomatic struggle between world major states about giving MAP to Georgia. Democratic changes that happened in Georgia several years ago and Russian reaction about it is also discussed in the article. It gives us a clear idea about the position of separate regions, conflict setting and wrecks negotiations from their side. It shows how Russia strengthened in forces and armament to attack Georgia and Georgia's police officers, citizens, soldiers' great sacrifice. The article deals with the cease-fire talk as well.

ოსები საქართველოში და 2008 წლის შემდგომი მდგომარეობა ECMI-ის მიხედვით

თათია გუგუტიშვილი, ნინო ტრამაკიძე

გორის სასწავლო უნივერსიტეტი,

ბაკალავრიატის სწავლების მესამე წლის სტუდენტები

ხელმძღვანელი: **ნინო ორჯონიკიძე**, სრული პროფესორი

თანამედროვე საქართველოს ცხოვრებაში მნიშვნელოვანი პრობლემაა ქართულ-ოსური ურთიერთობა. მას მრავალი საუკუნის ისტორია აქვს.

ნათელია, რომ დიდი პოლიტიკური ამბიციების გამო აგორებული ე.წ. სამხრეთ ოსეთის პრობლემა სცილდება ქართულ-ოსურ ინტერესებს და, ალბათ, ქართულ-რუსულსაც. აქ გაცილებით მძლავრი ინტერესების ჭიდილში იჭყლიტება მდიდარი ტრადიციების ქართულ-ოსური ურთიერთობა.

90-იანი წლებიდან იწყება სრულიად ახალი ეტაპი ქართულ-ოსურ ურთიერთობაში. როგორც მკვლევართა ნაწილი აღნიშნავს: “ოსი ეროვნების პროგრესულად მოაზროვნე დიდი ნაწილი თანაგრძნობით იყო განმსჭვალული მასპინძლების მიმართ და ყველანაირად უწყობდნენ ხელს სისხლის ღვრის შეწყვეტას, კონფლიქტის მშვიდობიანად დარეგულირებას” თუმცა, 2008 წლის აგვისტოს ომის შედეგად ძირეულად შეიცვალა როგორც სამხრეთ ოსეთის დემოგრაფიული მდგომარეობა, ასევე ქართულ-ოსური ურთიერთობები.

მას შემდეგ რაც საქართველოს ხელისუფლებამ დაკარგა ადმინისტრაციულ-ტერიტორიული კონტროლი დიდი და პატარა ლიახვის ხეობებზე და ახალგორის რაიონზე ამ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობის დიდი ნაწილი, ხოლო დიდი და პატარა ლიახვის ხეობების შემთხვევაში კი, მთლიანად იძულებული შეიქმნა დაეტოვებინა საკუთარი სახლ-კარი. ცვლილებები განიცადა ასევე კონფლიქტის ზონის მომიჯნავე რაიონების დემოგრაფიულმა სტრუქტურამ. 2008 წლის სექტემბრის მდგომარეობით კონფლიქტის ზონიდან (მათ შორის შიდა ქართლის რაიონებიდან) დევნილთა საერთო რაოდენობამ 127 ათას ადამიანს გადააჭარბა. რუსეთსა და საქართველოს შორის ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების ხელმოწერის და რეგიონიდან რუსული ჯარების გასვლის შემდეგ ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ადმინისტრაციული საზღვრის გარედან იძულებით ადგილნაცვალი პირების დიდი ნაწილი დაბრუნდა სახლებში, თუმცა დიდი და პატარა ლიახვის ხეობების მთლიანი ქართული მოსახლეობა და ახალგორის რაიონში მცხოვრები რამდენიმე ათასი ქართველი კვლავ გამოდევნილია, საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ მათ დევნილის სტატუსი მიანიჭა და განათავსა სპეციალურად მათთვის შექმნილ ახალ კოტეჯურ ტიპის დასახლებებში. ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს ოფიციალური მონაცემებით ამ დროისათვის აგვისტოს ომის შედეგად დევნილთა რაოდენობა (გარდა ზემო აფხაზეთიდან დევნილებისა) აღწევს 24,729 ადამიანს. აგვისტოს ომის შემდეგ სხვადასხვა საინფორმაციო საშუალებებით, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საზღვარგარეთიდან მუდმივად ვრცელდებოდა ინფორმაციები საქართველოში მცხოვრები ოსების შევიწროების, დაჩაგვრის თუ მათი საცხოვრებელი

ადგილებიდან აყრის შესახებ, რაც შემდგომში არაერთი პოლიტიკური სპეკულაციის საგანი გახდა. მრავალი ურთიერთსაპირისპირო ინფორმაციის გავრცელებამ უმცირესობათა საკითხების ევროპულ ცენტრს (ECMI) გადააწყვეტინა საგანგებოდ შეესწავლა ეს საკითხი, და ასევე ჩაეტარებინა კვლევა, რომელიც პასუხს გასცემდა ისეთ საინტერესო და აქტუალურ საკითხებს, როგორცაა აგვისტოს ომის გავლენა ოსურ-ქართულ ურთიერთობებზე, ის თუ რამდენად შეიცვალა დემოგრაფიული ბალანსი საქართველოს ოსებით დასახლებულ რაიონებში და თუ როგორი დემოგრაფიული და მიგრაციული ტენდენციები ჭარბობს თანამედროვე პოლიტიკური პროცესების ფონზე და ზოგადად რა გავლენა მოახდინა აგვისტოს ომმა საქართველოში მცხოვრები ოსების მდგომარეობაზე. კვლევის საწყის ეტაპს წარმოადგენდა ინტერეთნიკური ურთიერთობები კონფლიქტის ზონის საქართველოს ყველა რეგიონში. რამაც, შესაძლებლობა მოგვცა დაგვედგინა თანამედროვე ეტაპზე ოსების დაახლოებითი სტატისტიკური რაოდენობა სოფლების მიხედვით.

თემში ძირითადი აქცენტი კეთდება თანამედროვე ეტაპზე საქართველოში ოსი მოსახლეობის მდგომარეობაზე და შეგნებულად არ ვულრმავდებით ოსებთან დაკავშირებულ ისტორიულ საკითხებს. კვლევის შედეგები მთლიანად ეყრდნობა სავსე გასვლების შედეგად მოპოვებულ ინფორმაციას. ასეთი სახის გასვლები განხორციელდა ოსებით დასახლებულ ყველა რეგიონში, მათ შორის წმინდა ოსურ სოფლებში, შერეულ სოფლებში (ქართულ-ოსური, ქართულ-ოსურ-აზერბაიჯანული) და მათ მომიჯნავე ქართულ და აზერბაიჯანულ სოფლებში, სულ მოცულ იქნა 46 სოფელი, კერძოდ: ქვედა შავშევები, წითელუბანი, დიდი ხურვალეთი, თედოწმინდა, ვარიანი, ალაიანი, საქადაგიანო, გამდლისწყარო, ქვემო რენე, ყარაფილა, ნაწრეტი, კარალეთი, ტყვიავი, ქერე, ბროწლეთი, ერგნეთი, ქვემო ნიქოზი, ზემო ნიქოზი, ყინწვისი, ზღუდერი, ელბაქიანი, ტახტისძირი, დვანი, თვაურები, ხვითი, გორაკა, ვაკე, პანტიანი (შიდა ქართლის რეგიონი); ფიჩხოვანი, არგოხი, ჯუგანაი, წიწკაანთსერი, ყიტაანი, არემფერანი, ფონა (კახეთის რეგიონი); კოდისწყარო, ქვემო შუახევი, ზემო შუახევი, წიწამურა, ქარქუშაანი, ახალი ბურღული, ძველი ბურღული, ლამოვანი, კობი და ოქროყანა (მცხეთა-მთიანეთის რეგიონი); დიდი მიტარბი (სამცხე-ჯავახეთის რეგიონი).

კვლევის დროს ინდივიდუალურად სულ გამოიკითხა 250-მდე ადამიანი, ასევე ჩატარდა ხუთი დისკუსია ფოკუს ჯგუფებში, კერძოდ სოფლებში არემფერანი, ფიჩხოვანი, წითელუბანი, ელბაქიანი და ზემო შუახევი. იმისათვის რომ განგვესაზღვრა სავსე მუშაობის არეალი, კვლევის საწყის ეტაპზე საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტისაგან მოვიპოვეთ შესაბამისი სტატისტიკური მონაცემები საქართველოში ოსების განსახლების და მათი რიცხოვნობის შესახებ. ამ მონაცემებზე დაყრდნობით შერჩეულ იქნა სამიზნე სოფლები სხვადასხვა კრიტერიუმების მიხედვით: სამიზნე სოფლები მოიცავდა სუფთა ოსურ, შერეულ ოსურ-ქართულ, შერეულ ოსურ-აზერბაიჯანულ, სუფთა ქართულ და სუფთა აზერბაიჯანულ სოფლებს. ინფორმატორები სოფლებიდან შერჩეულ იქნენ შემთხვევითი შერჩევის წესით, თითოეული სოფლიდან სხვადასხვა ასაკობრივი და გენდერული ჯგუფის მინიმუმ ხუთი ადამიანი. შიდა ქართლის რეგიონში ოსები განსახლებული არიან გორის, კასპის, ქარელის და ხაშურის რაიონების 59 სოფელში, თუმცა ჩვენი შეფასებით და მოსახლეობისაგან მიღებული ინფორმაციაზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ დღეისათვის ოსები მნიშვნელოვანი რაოდენობით (60% და ზევით) ცხოვრობენ 17 სოფელში, კერძოდ: ქვემო შავშევები, წითელუბანი, დიდი ხურვალეთი, ნაწრეტი (გორის რაიონი), გამდლისწყარო, ზადიანთკარი, ზემო რენე, ნიგოზა, ქვემო რენე, ყარაფილა, თვაურები, ხვითი, გორაკა, ვაკე, პანტიანი (კასპის რაიონი), ელბაქიანი, ყინწვისი (ქარელის რაიონი).

დღესდღეობით საზოგადოების, მათ შორის საერთაშორისო ორგანიზაციების და დამკვირვებლების დიდი ინტერესის საგანს წარმოადგენს საქართველოში მცხოვრები ოსების შესაძლო გადინების, ან მათი დისკრიმინაციის საკითხი 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის ფაქტორიდან გამომდინარე. ინტერესს განაპირობებს ის ფაქტიც, რომ საომარი მოქმედებების დასრულებიდან მოყოლებული დღემდე მუდმივად ვრცელდება ურთიერთსაპირისპირო ინფორმაციები, ძირითადად რუსული წყაროებიდან საქართველოში ეთნიკურ ნიადაგზე ოსების შეზღუდვის, მათი შევიწროების, თუ იძულებით გასახლების შესახებ. სავსე მუშაობის პროცესში საგანგებოდ მოწმდებოდა ასეთი სახის ინფორმაცია როგორც ოსურ, ასევე ქართულ მოსახლეობაში, თუმცა ვერც ერთი დადასტურებული ფაქტი მსგავსი სახის ღონისძიებებისა ვერ იქნა გამოვლენილი. ევროკავშირის მონიტორინგის მისიაც, ანალოგიურად ვერ ადასტურებს მსგავს ფაქტებს, რაც ასახულია მათ მოხსენებაშიც. ომის შემდგომ ოსების მიერ საქართველოს არც მასიურ დატოვებაზე შეიძლება საუბარი. შიდა ქართლის ოსური სოფლებიდან არც ერთი მსგავსი ფაქტი არ არის გამოვლენილი.

რაც შეეხება მიგრაციის გავლენას, ოსების მასიური მიგრაცია საქართველოდან 1980-იანი წლების მიწურულიდან დაიწყო, რაც განპირობებული იყო ეთნიკური კონფლიქტით და

საქართველოში იმ პერიოდში წარმოებული ნაციონალისტური პოლიტიკით. მთელი 1990-იანი წლების მანძილზე ოსების მიგრაცია საქართველოდან შეეხო პრაქტიკულად ყველა ოსურ სოფელს. კვლევის პროცესში გამოიკვეთა, რომ სოფლების მიხედვით მიგრაცია 1990-იანი წლებიდან განიცადა მოსახლეობის 10-დან 50%-მდე, გადასახლებულთა უმეტესობა კი ძირითადად ჩრდილოეთ ოსეთში სახლდებოდა. როგორც ზემოთ ითქვა, ოსების მიგრაცია გაგრძელდა 2000-იან წლებშიც და მათი რაოდენობა 2002 წლის მოსახლეობის აღწერის შედეგებთან შედარებით მნიშვნელოვნად შემცირებულია, თუმცა 1990-იანი წლებისაგან განსხვავებით თანამედროვე ეტაპზე ოსების გადინების მიზეზი იძულება, ან რაიმე სახით ზემოქმედება არ ყოფილა. მთავარი მიზეზი მოსახლეობის გადინებისა, როგორც მათი დარჩენილი ნათესავები აცხადებენ, არის მძიმე სოციალური პირობები და უმუშევრობა, რომლის დაღწევის ერთ-ერთი საშუალება ოსებისათვის ჩრდილოეთ ოსეთში გადასახლება გამოდგა. 2006 წლის სექტემბერში საქართველო-რუსეთის საზღვრის ჩაკეტვამდე აქტიურად მიმდინარეობდა ოსების სეზონური მიგრაცია ჩრდილოეთ ოსეთში, თუმცა საზღვრის ჩაკეტვის შემდეგ, ამ მიგრანტების უმეტესობამ არჩია ჩრდილოეთ ოსეთში დარჩენა. ძირითადად ოსები ამჯობინებენ ჩრდილოეთ ოსეთში დასახლებას იმის გამო, რომ საქართველოში მცხოვრებ თითქმის ყველა ოსს ჩრდილოეთ ოსეთში ჰყავს ნათესავები და მათთვის უფრო მოსახერხებელი და ადვილია ახალი ცხოვრების მოწყობა უკვე კარგად ნაცნობ გარემოში, ხოლო ვისაც ჩრდილოეთ ოსეთში ნათესავები არა ჰყავს ცდილობენ ცხოვრების გაუმჯობესებას და უკეთესი პირობების შექმნას საქართველოს სხვადასხვა დიდ ქალაქებში გადასახლებით. მსგავსი ტენდენცია შეიმჩნევა არა მარტო ოსურ მოსახლეობაში, არამედ ქართველებშიც, რომლებიც ანალოგიურად ოსებისა, სოფლად არსებულ მძიმე პირობებს გაურბიან ქალაქში გადმოსახლებით.

რაც შეეხება ომის ფაქტორის გავლენას ეთნოსთა შორის ურთიერთობებზე, მნიშვნელოვანი ცვლილებები ამ კუთხით არ შეინიშნება. ყოფით დონეზე ქართულ-ოსური ურთიერთობები ისევე მშვიდობიანი და მეგობრულია, როგორც იყო. ორივე ეთნოსის წარმომადგენლების მხრიდან ერთნაირად ხდებოდა ომის აღქმა, როგორც აგრესორი რუსეთის მთავრობის მიერ დამოუკიდებელი სახელმწიფოს დაპყრობის და განადგურების მცდელობა. ერთადერთი, რაც მიდგომებში განსხვავებად არის ოსური თემის შედარებით ზომიერი და ფრთხილი შეფასებები რუსეთთან ურთიერთობებთან დაკავშირებით. ოსებისათვის რუსეთი დღემდე წარმოადგენდა მიმოსვლის, ვაჭრობის და, შესაბამისად, ეკონომიკური შემოსავლის ერთ-ერთ მთავარ წყაროს, ამდენად ურთიერთობების გაფუჭება რუსეთთან ავტომატურად ნიშნავს მათთვის როგორც სარგებლის შემცირებას, ასევე ნათესავებთან და ახლობლებთან კომუნიკაციის და ურთიერთობების გაწყვეტას.

მიუხედავად იმისა, რომ ყოფით დონეზე ქართულ-ოსური ურთიერთობები ომის შემდგომაც მჭიდრო და მეგობრულია, ომის გავლენა მაინც თვალში საცემია ოსურ თემში გაჩენილი სიფრთხილის და შიშის გამო. მოსახლეობის უმრავლესობა გაურკვევლობას გამოხატავს მომავალთან დაკავშირებით, 1990-იანი წლების დასაწყისის არასასიკეთო გამოცდილების გათვალისწინებით, ოსური მოსახლეობის გარკვეული ნაწილი ეჭვის თვალთ უყურებს მომავალს და საომარი მოქმედებების განახლების შემთხვევაში არა აქვს საკუთარი უსაფრთხოების განცდის შეგრძნება. ეს მიზეზი კიდევ უფრო აძლიერებს მათში გადასახლების და ჩრდილოეთ ოსეთში საკუთარ ნათესავებთან შეერთების სურვილს. აქედან გამომდინარე, სავარაუდოდ ოსების მიგრაციის ტენდენცია კიდევ უფრო გაიზრდება, რუსეთთან საზღვრის გახსნის და მიმოსვლის გამარტივების შემთხვევაში. საქართველოში ოსების რაოდენობის შემცირების ტენდენცია უკანასკნელი დეკადის მანძილზეც გრძელდება, 2002 წლის მოსახლეობის აღწერის შედეგებში დაფიქსირებული მონაცემი 38,028 ადამიანი 2009 წლისათვის მნიშვნელოვნაწილად შეცვლილია და სავარაუდოდ უნდა შეადგენდეს დაახლოებით 26,000 ადამიანს. ამ ეტაპზე ოსების რაოდენობის შემცირება დაკავშირებულია მძიმე სოციალურ პირობებთან და არ უკავშირდება ეთნიკურ დისკრიმინაციას ან შევიწროებას. მძიმე სოციალური ფონი ძირითადად შექმნილია სოფლად, შესაბამისად ოსური მოსახლეობის დიდი ნაწილი სწორედ სოფლებიდან იქნა გასული, ძირითადად ჩრდილოეთ ოსეთის მიმართულებით.

რაც შეეხება ინტეგრაციის დონეს, საქართველოში მცხოვრებ ოსებში ძალიან მაღალია. სხვა ეროვნული უმცირესობებისაგან განსხვავებით ენობრივი ბარიერი ოსებისათვის პრაქტიკულად არ არსებობს, ხშირ შემთხვევაში მათთვის პრობლემას წარმოადგენს მშობლიური ენის ცოდნა და ამ ენაზე განათლების მიღების შესაძლებლობა. ოსური კულტურული და ეთნიკური იდენტობა შედარებით უკეთ არის შემორჩენილი ლაგოდების რაიონის ოსურ სოფლებში, ბორჯომისა და ყაზბეგის რაიონში. 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ არაერთგზის გავრცელებული ინფორმაციის მიუხედავად საქართველოდან ოსების მასიური გადინება, ან რაიმე სახით მათზე ზეგავლენის ფაქტები არ დადასტურებულა, თუმცა იყო რამდენიმე ერთეული

შემთხვევა ჩრდილოეთ ოსეთში გადასვლისა, რომელიც არ უკავშირდებოდა საომარ მოქმედებებს. ომის შემდეგ ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გარეთ, საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში მცხოვრებ ოსებსა და ქართველებს შორის ურთიერთობებს რაიმე უარყოფითი ცვლილებები არ განუცდია, დამოკიდებულება ომთან და კონფლიქტის გადაჭრასთან ორივე თემში დაახლოებით ერთნაირია. თუმცა ამის მიუხედავად ოსური მოსახლეობაში მაინც შეიმჩნევა შიში და აღელვება მათ მომავალ ბედთან დაკავშირებით და მზად არიან რუსეთთან მიმოსვლის აღდგენის შემთხვევაში შეუერთდნენ თავიანთ ნათესავებს ჩრდილოეთ ოსეთში.

ლიტერატურა:

1. ა. მღებრიშვილი, რეგიონალური პრესის ქმედითუნარიანობისა და ეფექტურობის პრობლემა ქართულ-ოსური ეთნოკონფლიქტის პერიოდში., 2007;
2. გ. თოგოშვილი, ქართველი და ოსი ხალხების ურთიერთობა, 1969;
3. რ. თოფჩიშვილი, ოსთა განსახლების არეალი, 2008;
4. ზ. ცოტნიაშვილი, ქართულ-ოსური ურთიერთობა პრესაში XX-XXI სს-ის მიჯნაზე, 2005;
5. <http://www.unhcr.org/cgi-bin/texis/vtx/page?page=49e48d2e6>.
6. <http://www.ecmi.de/>
7. <http://www.ecmicaucasus.org/>

OSETHIANS IN GEORGIA AND FURTHER SITUATION OF 2008 YEAR ACCORDING TO ECMI

Tatia Gugutishvili, Nino Tramakidze

Gori Teaching University, The Third Year Students of Bachelor's Degree

Instructor: **Nino Orjonikidze**, Full Professor

RESUME

In modern life of Georgia Georgian-Ossetian relationship is an important problem. It has many centuries history.

It is clear, that so called problem of South Ossetia because of big political ambitious goes far from the interests of Georgian-Ossetian and probably Georgian-Russian. In the straggle of powerful interests are pressed Georgian-Ossetian relationship with rich traditions.

In the topic the principal focus is done on the condition of Osethian people on the modern stage in Georgia and we consciously do not research historical issues in connection with Osethians. The results of research are totally based on the information getting from the field expeditions. Such kinds of expeditions were implemented in all region settled by Osethians, among them in net Ossetian villages, in mixed villages and their neighboring Georgian and Azerbaijan villages, totally were covered 46 villages.

After August war with deferent media outlets was being spread the information about harass, oppression or remove from their residence forcibly the Osethians living in Georgia. The spreading of reverse information made ECMI decide to learn this issue carefully and also to conduct research which would answer such interesting and actual issues as August war influences on the relationship of Georgian-Ossetian.

After the war outside former South Ossetia Autonomous District in the relationship between Osethians and Georgians living in different regions of Georgia was not changed negatively, dependence upon war and settlement of conflict is approximately same in both communities. Although besides this in Osethian people is still noticed fear and trouble connected to their future fate and they are ready to connect their relatives in the North Ossetia in case of renewal of communication with Russia.

LANGUAGE OF CONFLICT

Maya Daraselia, Gori Teaching University, Full Professor
Merab Nachkebia, Sokhumi State University, Full Professor
Nona Kvekveskiri, Sokhumi State University, A Ph.D Student

Conflict between people is a fact of life – and it’s not necessarily a bad thing. In fact, a relationship with frequent conflict may be healthier than one with no observable conflict. Conflicts occur at all levels of interaction – at work, among friends, within families and between relationship partners. When conflict occurs, the relationship may be weakened or strengthened. Thus, conflict is a critical event in the course of a relationship. Conflict can cause resentment, hostility and perhaps the ending of the relationship. If it is handled well, however, conflict can be productive – leading to deeper understanding, mutual respect and closeness. Whether a relationship is healthy or unhealthy depends not so much on the number of conflicts between participants, but on how the conflicts are resolved.

Sometimes people shy away from conflict, and the reasons for this are numerous. They may, for example, feel that their underlying anger may go out of control if they open the door to conflict. Thus, they may see conflict as an all-or-nothing situation (either they avoid it altogether or they end up in an all-out combative mode, regardless of the real severity of the conflict). Or they may find it difficult to face conflict because they feel inadequate in general or in the particular relationship. They may have difficulty in positively asserting their views and feelings. Children who grow up surrounded by destructive conflict may, as adults, determine never to participate in discord. In this situation, the person may never have learned that there are effective, adaptive ways to communicate in the face of conflict.

People adopt a number of different styles in facing conflict. First, it is very common to see a person *avoid* or *deny* the existence of conflict. Unfortunately, in this case, the conflict often lingers in the background during interaction between the participants and creates the potential for further tension and even more conflict. A second response style is that of one person *getting mad* and *blaming* the other person. This occurs when a person mistakenly equates conflict with anger. This stance does nothing to resolve the conflict and in fact only serves to increase the degree of friction between the two participants by amplifying defensiveness. A third way which some people use to resolve conflict is by using *power* and *influence* to win at the other’s expense. They welcome conflict because it allows their competitive impulses to emerge, but they fail to understand that the conflict is not really resolved since the “loser” will continue to harbor resentment. Similarly, some people appear to compromise in resolving the conflict, but they subtly *manipulate* the other person in the process, and this, again, perpetuates the conflict between the two parties and compromises the trust between them. There are better ways to handle interpersonal conflict.

Conflicts run all the way from minor, unimportant differences to disputes which can threaten the existence of a relationship. Conflicts with a loved one or a long-term friend are, of course, different from negotiating with someone who does not care about your needs, like a stranger or a salesperson. However, there is an underlying principle that underscores all successful conflict resolution. That is, both parties must view their conflict as a problem to be solved *mutually* so that both parties have the feeling of winning – or at least finding a solution which is acceptable to both. Each person must participate actively in the resolution and make an effort and commitment to find answers which are as fair as possible to both. This is an easy principle to understand, but it is often difficult to put into practice.

We may get so caught up with our own immediate interests that we damage our relationships. If we disregard or minimize the position of the other person, if fear and power are used to win, or if we always have to get our own way, the other person will feel hurt and the relationship may be wounded. Similarly, if we always surrender just to avoid conflict, we give the message to the other person that it is acceptable to act self-serving at our expense and insensitive to our needs. Our feeling of self-worth suffers, resentment festers, and we feel poisoned in the relationship. Instead, it is healthier if both parties can remain open, honest, assertive and respectful of the other position. Mutual trust and respect, as well as a positive, constructive attitude, are fundamental necessities in relationships that matter.

Most people have no interest in creating conflict with others. Most of us know enough about human behavior to distinguish between healthy communication and the words or actions that contribute to rocky relationships. It is in our interest to maintain relations which are smooth, flexible, and mutually enhancing. The problem occurs when we fail to use cooperative approaches consistently in our dealing with others. We seldom create conflict intentionally. We do it because we may not be aware of how our own behavior contributes to interpersonal problems. Sometimes we forget, or we are frustrated and annoyed, and sometimes we just have a bad day. At times we feel so exasperated that we focus on our own needs at the expense of others’. And then we find ourselves in conflict.

To prevent conflict from happening in the first place, it is important to identify the ways in which we contribute to the disagreement. One way of doing this is to identify a specific, recent conflicted situation, recall what you said, and then think specifically about how you could have used more effective language. Think about ways in which your communication could have set a more trustful tone or reduced defensiveness. Then, once you have identified your part in the conflict, such as blaming, practice working on that particular behavior for a day or a week. At the end of the time period, evaluate your progress. Did you succeed? In what situations did you not succeed? (While it may be the other person who created the conflict, you are the other half of the interaction and it is your own response that you have control over and can change.)

Once you find yourself in a conflicted situation with someone else, it is important to reduce the emotional charge from the situation so that you and the other person can deal with your differences on a rational level in resolving the conflict. The Defusing Technique: The other person might be angry and may come to the situation armed with a number of arguments describing how you are to blame for his or her unhappiness. Your goal is to address the other's anger – and you do this by simply agreeing with the person. When you find some truth in the other point of view, it is difficult for the other person to maintain anger. For example, "I know that I said I would call you last night. You are absolutely right. I wish I could be more responsible sometimes." The accusation might be completely unreasonable from your viewpoint, but there is always some truth in what the other person says. At the very least, we need to acknowledge that individuals have different ways of seeing things. This does not mean that we have to compromise our own basic principles. We simply validate the other's stance so that we can move on to a healthier resolution of the conflict. This may be hard to do in a volatile situation, but a sign of individual strength and integrity is the ability to postpone our immediate reactions in order to achieve positive goals. Sometimes we have to "lose" in order, ultimately, to "win."

Lest you take these English words for granted, consider this: when the United States was founded, only 40 percent of the people living within its boundaries spoke English as their first language. Widener Library's shelves hold testaments to our multilingual past: 125,000 imprints, from newspapers to novels, in languages other than English, all written by American residents throughout U.S. history.

Today, about 87 percent of U.S. residents speak English as their first language. What happened since 1776 is a matter of history—of contest, conflict, even persecution. In the antebellum South, for example, slaveowners and traders sometimes cut out the tongues of slaves unable or unwilling to speak English. When General Benjamin Butler was commanding the Union troops occupying New Orleans in 1862, he had some Francophones executed—specifically, some scholars believe, to discourage the use of French. In subsequent decades, Blackfoot Indians sent to boarding schools were forbidden to speak their native language, and were beaten if they did so. During World War I, certain state and local governments proscribed speaking German in public, hoping to dampen old allegiances among the nation's six million German immigrants. And throughout U.S. history, other less dramatic factors have contributed to English's emergence as our dominant tongue.

Far from seeing English as the spoils of conflict, however, many Anglophone Americans may be unaware they speak a particular language at all. English is like the air they breathe: natural, given, right. "The social fiction is that English isn't there," says Marc Shell, Babbitt professor of comparative literature and professor of English, who recently published an article, "Language Wars," in the *New Centennial Review*. "We never think about it. We just completely take it for granted." Shell's collection of essays, *American Babel*, will be issued by Harvard University Press later this year; he is also working on another book on language conflict. Language is rarely a given, Shell says—a fact of which many groups are painfully aware. Language, he asserts, is a key battleground for national and cultural conflict.

Most observers tend to explain political conflicts around the world as the result of racial, ethnic, religious, or territorial disputes; we rarely see language as a direct and fundamental cause. "What I'm trying to do is reintroduce the category of language into our thinking about political conflict," says Shell, himself an immigrant from bilingual Quebec. Doing so puts many clashes in a new light. Take the war in the Balkans, for example. In 1989, Slobodan Milosevic ordered Albanians to speak Serbian. They refused. Shell believes it's useful to see their refusal as a specific cause of conflict—more useful than understanding the war only in ethnic and religious terms.

The role of language in political conflict is important, Shell says, simply because tensions over language are increasing. With 6,700 languages in the world, by some scholars' count, and only 225 "nation-states"—and with the nation-state and its ideal of a unifying single language in decline—complex webs of resistance, dominance, and cooperation among language groups grow. Paradoxically, the webs can be so complex, Shell says, that we lose sight of conflicts' linguistic roots.

There's another fundamental reason to look to language as the source of tension: it is more tangible than race or religion. Scholars increasingly understand race to be a fiction: belonging to one or another group is more a social and historical matter than a biological one. It can be difficult to tell by looking at a person to which race or ethnicity she considers herself to belong: a Serb can look like an Albanian. Similarly, "You can pretend a Jewish person is Christian," Shell says, "but if he speaks a different language, you can't pretend he speaks yours."

As one of the most important elements of a culture's identity, language is also incendiary. A group's language can feel essential to its very existence. It's no surprise that often the more vulnerable a group feels, the greater its devotion to its language. "There are different qualities of allegiance," Shell says. Francophones tend to have a more explicit allegiance to their language than Anglophones do. "Most Americans don't have a close tie to their language of which they are aware. Most don't believe, for example, that God spoke English. But if we are Muslim, we may believe that God spoke Arabic, or if we are Jewish, Hebrew."

In the United States, conflicts over language persist, particularly in places with large immigrant populations. Having passed an initiative in 1998 that prohibits teaching schoolchildren in any language but English, Californians may be more cognizant of the possibility of "language wars" than other Americans. But Shell can imagine future scenarios with national scope. "If or when we have to negotiate a treaty with Canada or Mexico; if Puerto Rico joins us as a state; if we form a North American union like the one in Europe," he muses, such events could pose particular challenges to English. "If only there weren't diversity in the world," he says wryly, "everything would be so much easier."

REFERENCES:

1. Nell Lake. Language Wars, Harvard Magazine, (March-April 2002) in

<http://harvardmagazine.com/2002/03/language-wars.html>

2. Jenifer Akin. Interpersonal Conflict and Effective Communication.

<http://conflict911.com/cgi-bin/links/jump.cgi?ID=11640>

3. King, B.J. (2001): Debating Culture. Current Anthropology, volume 42, number-3. June, 441-443

4. Mason Timothy (2001): Culture and Language : What Relationship? Messages to FLTeach. Retrieved May 15, 2009 from

5. Skutnabb-Kangas, Tove (Ed.) (2000): Linguistic Genocide in Education – or Worldwide Diversity and Human Rights? Lawrence Erlbaum Associates, In

<http://www.timothyjmason.com/WebPages/LangTeach/Licence/FLTeach/Culture3.htm>

კონფლიქტის ენა

**მაია დარასელია, გორის სასწავლო უნივერსიტეტი, სრული პროფესორი
მერაბ ნაჭყებია, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სრული პროფესორი
ნონა კვეკვესკირი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, დოქტორანტი
რეზიუმე**

ადამიანებს, როგორც წესი, არ გააჩნიათ კონფლიქტის წარმოების ინტერესი. დიდმა უმრავლესობამ ვიცით, თუ როგორ მოვიქცეთ ამა თუ იმ სიტუაციაში, (გაგვაჩნია საკმარისი ცოდნა ადამიანის ქცევის ნორმების შესახებ); თუ როგორ შევარჩიოთ სწორად სიტყვები, რათა შედგეს ჯანსაღი და ეფექტური კომუნიკაცია. ჩვენს ინტერესებშია რბილი, მოქნილი ურთიერთობების შენარჩუნება ადამიანთა განსხვავებულ ჯგუფებთან. პრობლემა, სწორედ მაშინ იჩენს თავს, როდესაც ჩვენი ურთიერთთანამშრომლობა წარუმატებელია. კონფლიქტი მიზანმიმართულად იშვიათად წარმოიშობება. შესაძლოა, ადამიანები უნებლიეთ უშვებენ შეცდომებს და არ ფიქრობენ, თუ რა შედეგებს გამოიღებს მათი ქცევა ინტერპერსონალურ პრობლემებთან მიმართებით. შესაძლო კონფლიქტების წყაროდ (და არა მიზეზად) შეგვიძლია განვიხილოთ ისეთი სუბიექტური ფაქტორები, როგორებიცაა: გაღიზიანებულობა, გულმავიწყობა, და ა.შ. აღსანიშნავია, რომ პერიოდულად, სხვების ხარჯზე ფოკუსირებულები ვართ საკუთარ მოთხოვნებზე რის შედეგადაც აღმოვჩნდებით კონფლიქტურ სიტუაციაში.

ქართულ-ოსური ურთიერთობები

მაკა დოლიძე

საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი,
ასოცირებული პროფესორი

ნინო მინდიაშვილი

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასისტენტ-პროფესორი

როგორც ცნობილია, კავკასიელ ხალხს ოდითგანვე ბევრი რამ ჰქონდა საერთო. მიუხედავად რელიგიისა და ენების სხვადასხვაობისა, მათ გარკვეული ინტერესი ყოველთვის აერთიანებდა. მაგრამ დროთა განმავლობაში მათ შორის დამაბულობა თანდათანობით ვითარდებოდა, რაც მალე კონფლიქტებში გადაიზარდა. ხშირ შემთხვევაში კავკასიური კონფლიქტები მედიასა და სამეცნიერო წრეებში განიხილება, როგორც რელიგიური კონფლიქტი. მაგრამ რელიგია მცირე როლს თამაშობს. მაგ. ქართველები და ოსები ქრისტიანები არიან. მათ შორის დაპირისპირება გამოიწვია არა რელიგიურმა უთანხმოებამ, არამედ ტერიტორიულმა კონტროლმა. უკანასკნელი ორი ათწლეულის განმავლობაში ქართულ-ოსური ურთიერთობები სათანადო დონეზე არ დგას. ახლო მომავალშიც არ ჩანს იმედის მომცემი პერსპექტივა, მითუმეტეს, აგვისტოს ომის შემდეგ, რასაც ჩვენ მიერ შესწავლილი მასალაც ადასტურებს.

თავდაპირველად აგვისტოს ომი ქართველებსა და ოსებს შორის მიმდინარეობდა, მაგრამ მალე იგი გასცდა ოსეთის საზღვრებს და რუსეთ-საქართველოს ომის სახე მიიღო. ქართული მედია ომის დაწყებას

რუსეთს აბრლებდა, რუსული კი სულ სხვა ვერსიას ავრცელებდა. საინტერესოა, როგორ გამოეხმაურა რუსეთ-საქართველოს ომს ოსური პრესა, რა ვერსია ჰქონდა და როგორ აფასებდა შექმნილ სიტუაციას. ოსური გაზეთი „იუჟნაია ოსეტია“ აღნიშნავდა, რომ აგვისტოს სამმა დღემ შეძრა მსოფლიო, ოსეთის რესპუბლიკამ XXI საუკუნეში განიცადა აპოკალიფსის საშიშროება. და მოჰყავს მაგალითები, თუ რა ბედნიერად ცხოვრობდნენ ოსები ორი კვირის წინ. თუ როგორ შრომობდნენ და როგორ ისვენებდნენ. ქართველებსა და ოსებს შორის მეგობრული და ნათესაური ურთიერთობებიც კი არსებობდა. ოსები სტუმრად ჩადიოდნენ ნათესავებთან თბილისში, თბილისელები კი ოსეთში. ა. გერგაულოვა მოგვითხრობს ორი ოსი ქალბატონის შესახებ, რომლებიც ომის პერიოდში თბილისში იმყოფებოდნენ, მაგრამ მათ იქ არავითარი საფრთხე არ შეექმნათ. თუმცა, ამ ფაქტს პუბლიცისტი ასე ამკარად არ ახმოვანებს. იგი წერს რა მოხდა და რატომ მოხდა. ე.ი. უბრალოდ ინფორმაციას გვაწვდის და ანალიზისგან თავს იკავებს. ამ პუბლიკაციით მას უნდოდა ეჩვენებინა ეს ორი ქალბატონი წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის დახმარებით როგორ დაბრუნდა ცხინვალში. ხოლო იმაზე, თუ როგორ ცხოვრობდნენ ომის დროს ისინი თბილისში, ყურადღებას არ ამახვილებს. [1.] არა და უკეთესი იქნებოდა, სწორედ ამაზე გაემახვილებინა ყურადღება, რადგანაც როგორც ქართული, ასევე ოსური პრესის მიზანი ომის ჩვენება უნდა ყოფილიყო, თუ მესამე ძალის ჩარევამდე, როგორი მეგობრული ურთიერთობები აკავშირებდათ.

იმის დასამტკიცებლად რომ, ცხინვალის რეგიონში ვითარება ნამდვილად დამაბული იყო, გაზეთ „კვირის პალიტრას“ [2] ჟურნალისტი ერთ-ერთ ინტერვიუში ესაუბრა სამხედრო ექსპერტს „კახა კაციტაძეს. ინტერვიუებულმა მკითხველს შესთავაზა პოლიტიკური ანალიზი. მან გააკეთა მომავლის პროგნოზი და თქვა, ამჟამად ომის საფრთხე უფრო მაღალია, ვიდრე აქამდე ყოფილა. მართლაც დამაბულობა კონფლიქტურ რეგიონებში დღითიდღე მატულობდა. კოკოთი იმუქრებოდა – თუ საჭირო შეიქმნა ქართულ ქალაქებსაც შევუტევთო. თუმცა, ოსური მედია ამ ფაქტს არ ახმაურებდა. ის სულ სხვა ვერსიას ავრცელებდა. ყველაფერში ქართველებს ადანაშაულებდა. გაზეთი „იუჟნაია ოსეტია“ წერდა, სააკაშვილის ქმედება გვიჩვენებს არა მარტო ამ რეჟიმის მხეცურ სახეს, არამედ თანამედროვე დასავლეთის ცინიზმსა და ამორალობას. [3] კარგი იქნებოდა სააკაშ-ვილის გინების ნაცვლად პუბლიცისტს ამ სიტუაციიდან გამოსვლის გზები მოეძებნა. თუმცა, ამას მეტნაკლებად ახერხებდნენ სრულიად საქართველოს პატრიარქი და ალანის ეპისკოპოსი, რომლებიც ერს საყოველთაო ლოცვისაკენ მოუწოდებდნენ. ამავე დროს, ალანის ეპისკოპოსი აღშფოთებას გამოთქვამდა იმის გამო, რომ ილია II ოსეთს ახალშემოდებული ტერმინით „სამაჩაბლოთი“ მოიხსენიებდა, და არა ძველთაძველი გეოგრაფიული სახელწოდებით სამხრეთ ოსეთით. [1] გაუგებარია, რამ აღაშფოთა ეპისკოპოსი, ისტორიული წყაროებიდან ცნობილია, რომ თავდაპირველად ოსეთს სამაჩაბლო ერქვა, ხოლო XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან იხმარება ტერმინი „სამხრეთ ოსეთი“.

საყურადღებოა ოსი პუბლიცისტის თვალთახედვა, როდესაც იგი აგვისტოს მოვლენებსა და ხიროსიმასა და ნაგასაკის დაბომბვებს შორის პარალელს ავლებს და აღნიშნავს, რომ სამხრეთ ოსეთის ტრაგედიამ მსოფლიოში აქამდე არსებული ყველა მოვლენა ჩაახშო. ამით პუბლიცისტს იმის თქმა უნდა, რომ რაც სამხრეთ ოსეთში მოხდა, ვანდალური ქმედება იყო და ყველაფერში დამნაშავე სააკაშვილის ფაშისტური რეჟიმი იყო. მაგრამ კარგი იქნებოდა აღნიშნა, რატომ მოხდა ეს ფაქტი, ვინ არის დამნაშავე და ვისი მიზეზებით მოხდა ყველაფერი ეს. მაგრამ ამ ფაქტების ანალიზისაგან იგი თავს იკავებს და მხოლოდ ცალმხრივი ბრალდებებით იფარგლება. [4] გაზეთი „იუჟნაია ოსეტია“ აკრიტიკებს რა ქართულ მხარეს და ამკობს მათ სხვადასხვა ეპითეტებით „ფაშისტური რეჟიმი“, „დამნაშავე მთავრობა“ და სხვ. არაფერს ამბობს რუსებზე, თითქოს მათ ამ ომის გაჩაღებაში არავითარი წვლილი არ მიუძღვით. რუსეთი ყოველნაირად ცდილობდა სიტუაციის გამწვავებას. ის არაფერს ერიდებოდა იმისათვის, რომ ოსი ხალხი აემხედრებინა ქართველების წინააღმდეგ. წერილებსა თუ სტატიებში რუსები საუბრობდნენ ქართველების მიერ განხორციელებულ სამხედრო აგრესიაზე და ოსი ხალხის გენოციდზე. რუსულ სამაუწყებლო და ბეჭდვით მედიაში გაჩაღდა მძლავრი ანტიქართული კამპანია. რუსული საინფორმაციო საშუალებები ყველაფერს აკეთებდნენ იმისათვის, რომ ყველაფერი ქართველებს დაბრალებოდათ და მტრის ხატად წარმოეჩინათ. იმავე სცენარით მოქმედებდა ოსური მედიაც. გაზეთ „იუჟნაია ოსეტიას“ ერთ-ერთ ნომერში დაიბეჭდა გ.ზიუგანოვის ღია წერილი, რომელშიც აღნიშნულია, რომ ქართველების მიერ განხორციელებული ინტერვენცია რუსული მთავრობისათვის მოულოდნელი იყო. იგი იმედს გამოთქვამს, რომ რუსული ძალები შეძლებენ ოსეთი გამოიყვანონ იმ ჩიხიდან, სადაც იგი აგრესიამდე იმყოფებოდა. რომელ ჩიხზე საუბრობს გ.ზიუგანოვი, გაუგებარია. თვითონ ოსებს მიაჩნდათ, რომ ისინი უზრუნველად ცხოვრობდნენ. მაგ. მოკლე ინფორმაციულ შენიშვნაში „სამი დღე, რომელმაც შეძრა მსოფლიო...“ ნათლად ჩანს, რომ ოსები თავიანთ ბედს არ ემდუროდნენ. მაშინ რატომ მიაჩნდა გ.ზიუგანოვს, რომ ისინი ჩიხში იყვნენ და მათი დახმარება რუსებს შეეძლოთ. ეს პროვოკაციაა, მეტი თუ არაფერი. [4] საინტერესოა ინფორმაციის სათაური „სამი დღე, რომელმაც შეძრა მსოფლიო...“ აგვისტოს ამ

სამმა დღემ მართლაც შეძრა მსოფლიო, მაგრამ არა ქართველების საწინააღმდეგოდ, როგორც ეს გაზეთ „იუჟნაია ოსეტია“ მიაჩნია. უკეთესი იქნებოდა პუბლიცისტს პირდაპირ აღენიშნა, რომ მსოფლიოს აღმფოთების მიზეზი რუსეთი იყო, რადგანაც მისი ქმედება მეორე მსოფლიო ომის დასაწყისში ნაცისტური გერმანიის მოქმედების ტოლფასია. და მართლაც, ოთხი წლის განმავლობაში ფაშისტურ გერმანიას არ დაუბომბავს საქართველო იმდენჯერ, რამდენჯერაც ეს ფაშისტურმა რუსეთმა ორ დღეში გააკეთა „წერდა გაზეთი „კვირის პალიტრა“. [5]

გაზეთი „იუჟნაია ოსეტია“ სამართლიანად აღნიშნავდა, რომ XXI საუკუნეში ოსეთის რესპუბლიკამ აპოკალიფსის საშიშროება განიცადა. მაგრამ კარგი იქნებოდა აქვე ეთქვა, რომ აპოკალიფსის მდგომარეობაში გორი და სხვა მრავალი ქართული სოფელიც იმყოფებოდა. საშინელება იყო, როდესაც მოძალადეებმა ეპარქიები, ეკლესიები და მონასტრები დაარბიეს, ეკლესიის მსახურებს ავტომატით დაემუქრნენ.

მშვიდობისმოყვარე ქართველები და რუსები ომის შესაჩერებლად თავს არ ზოგავდნენ. ისინი სხვადასხვა გზებსა და მეთოდებს ეძებდნენ ამ საშიშროებიდან გამოსასვლელად. „რაც მოხდა, აღარაფერი ემველება, მაგრამ ახლა პოლიტიკური და არა სამხედრო გზები უნდა გამოვნახოთ ამ ყველაფრის შესაჩერებლად“ – წერდა ჟურნალ „ოგონიოკის“ მთავარი რედაქტორი ვიქტორ ლოშაკი. ერთ-ერთ ინტერვიუში იგი აცხადებდა, რომ რუსეთში ყველა გონიერი ადამიანი შემფოთებულია საქართველოს მდგომარეობით. ეს ინტერვიუ იმით არის საყურადღებო, რომ გვაწვდის რამდენიმე საინტერესო ინფორმაციას. პირველი – რუსებს საქართველოში მიმდინარე პროცესებზე ნაკლები ინფორმაცია ჰქონდათ; მეორე – ამ ინფორმაციებს ძირითადად იღებდნენ მსოფლიოს სხვადასხვა სატელევიზიო არხის მიერ; მესამე – რუსი მოქალაქეები შემფოთებულნი იყვნენ საქართველოს მდგომარეობით. [5] ეს ინფორმაციები, რა თქმა უნდა, ბევრისთვის უცხო არ იყო, მაგრამ კარგია, რომ ამ ფაქტმა სწორედ რუსი ჟურნალისტის მხრიდან გაიჟღერა. „ჰიტლერს კარგად ვიცნობდი, არ მცოდნია პუტინი“, „ჰიტლერის ხელმძღვანელობით ფაშიზმს არ უკადრებია ამდენი უბედურება საბჭოთა კავშირისათვის, რაც საქართველოს გაუკეთა რუსეთმა“ – ვკითხულობთ გაზეთის ფურცლებზე. გაზეთის თითქმის ყველა ნომერში იბეჭდებოდა პუბლიკაციები რუსების აგრესიის შესახებ. ქართველებს ისინი სცემდნენ ავტომატის კონდახებით, წიხლებით, მუშტებით, ემუქრებოდნენ თვალების დათხრით. იმისათვის რომ დაგვარწმუნოს თავისი სიტყვების სისწორეში, პუბლიცისტი თვითმხილველებს ალაპარაკებს და ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რაც სინამდვილეში ხდებოდა. „ნეტავ, ვინ გაგზარდა შენ, მტერო?“ – კითხულობს იგი და კითხვას პასუხის გარეშე ტოვებს, ეტყობა არ იცის რა უპასუხოს, მაგრამ აქვე დასძენს: „მტერს ნუ დაწყევლით, ისიც ღმერთის გაჩენილია“. [6] ქარველი პუბლიცისტები ცდილობდნენ ეჩვენებინათ ის სიტუაცია, რომელშიც კონფლიქტის ზონაში მცხოვრებნი იყვნენ. ისინი გვიჩვენებდნენ მოსახლეობის განწყობილებას, სროლისა და აფეთქების ხმის ქვეშ დაჩოქილ გასისხლიანებულ მოხუც ქალს, რომელიც უფალს ქვეყნის გადარჩენას სთხოვს. „ამაზე მძიმე არაფერი შეიძლება იყოს!“ – ამბობს იგი და მართლაც ასეა. პუბლიცისტი ისე ხატოვნად აღვიღწერს ამას, რომ ძალაუნებურად მტრისადმი ზიზღსა და სიძულვილს გვინერგავს. [7]

ქართული პრესის პარალელურად ოსური გაზეთი თითქმის ყველა ნომერში ბეჭდავდა სერიებს ქართველთა აგრესიის შედეგად დაღუპულთა შესახებ. მოგვითხრობდა, თუ რა ხდებოდა ცხინვალში, როგორ ემალებოდა სიკვდილს მოსახლეობა. მართლაც, საშინელებაა ამ ტრაგედიის მოსმენა, მაგრამ რთულია განსაჯო, თუ ვინ იყო მართალი. ასეთ ფაქტებს ქართული მედიაც ხომ ეხებოდა, მაგრამ როგორც ერთი, ასევე მეორე ერთმანეთს ადანაშაულებდნენ და ერთმანეთის ტრაგედიის შესახებ თითქმის არავითარ ინფორმაციას არ გვაწვდიდნენ. მთელი კონფლიქტის განმავლობაში კრემლის მიერ მართული რუსული მედია აცხადებდა ოსეთი მტრის გარემოცვაშია, საქართველოში შეიარაღებული ინტერვენცია აუცილებელია რუსეთის მოქალაქეების დასაცავად. ამავე აზრს ავითარებდა ოსური საინფორმაციო საშუალებებიც. ეს იყო ტერორი მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ, განხორციელებული იყო მათი განადგურებისა და გენოციდის აქტი – აი, ასეთი სახის ინფორმაციებს ავრცელებდნენ ისინი. [8]

გაზეთ „იუჟნაია ოსეტიაში“ დაიბეჭდა პოლიტოლოგის ალ. დუგინის კომენტარები. იგი საუბრობს ამ კონფლიქტის შესახებ, დასავლეთისა და კერძოდ ამერიკის დამოკიდებულებაზე ამ კონფლიქტში, იმ დამნაშავეებზე, ვისაც ეს კონფლიქტი აწყობდა. ალ. დუგინი სვამს ასეთ კითხვას: ვინ იყო ის? ვინ იყო მსხვერპლი? და აქვე პასუხობს: ესენი იყვნენ დემოკრატიის, თავისუფლებისა და ევროკავშირში შესვლის მსურველები; ესენი იყვნენ მრავალპოლარული სამყაროს მომხრეები. გასაკვირი არ არის რომ ალ.დუგინი დასავლეთის წინააღმდეგ გამოდის. მისი მიზანია ავტონომიური ჩრდილო კავკასიური ზონის შექმნა, რომელიც კონტროლირებადი იქნება რუსეთის მიერ. [9.] მაგრამ რატომ მაიცდამაინც რუსეთის მიერ ამის შესახებ არაფერს ამბობს. ეტყობა რუსმა პოლიტიკოსებმა ჯერ კიდევ ვერ გააცნობიერეს, რომ საქართველო დამოუკიდებელი სახელმწიფოა და გარეშე ძალას უფლება არ აქვს თავის ნებაზე იმოქმედოს.

საკითხავია, ვინ უფრო დაზარალდა ამ ომში ქართული თუ ოსური მხარე, ვინ იქცა დევნილებად ქართველები თუ ოსები. ერთი რამ ცხადია, ქართველები, როგორც აფხაზეთში, ასევე ოსეთში დღემდე დევნილებად რჩებიან. ხოლო ოსები უკვე აგვისტოს ბოლოს, დაუბრუნდნენ თავიანთ სოფლებს. გაზეთი „იუჟნაია ოსეთია“ მოგვითხრობს, თუ როგორ უბრუნდებოდნენ ოსები თავიანთ საცხოვრებელ ადგილებს და როგორ ხვდებოდნენ მათ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები. დღეს ამ ბავშვებმა ფეხი დადგეს თავისუფალ მიწაზე – ვკითხულობთ გაზეთში. ამ დროს, თუ სად არიან ქართველი დევნილი ბავშვები, სრულიად არ აინტერესებთ. [10] ქართველი ბავშვების შესახებ ცნობებს მხოლოდ ქართული გაზეთები გვაწვდიან. მაგრამ ოსების შესახებ ისინიც არაფერს გვეუბნებიან. როგორც ერთი, ასევე მეორე ვერ ხვდება რომ ასეთ პოლიტიკას ორივე ერთი დაღუპვისაკენ მიყავს, ხოლო მესამე ძალა ამას თავის სასიკეთოდ იყენებს. და მართლაც, რუსეთმა თავის მიზანს მიაღწია. მან არა მარტო კონფლიქტი ჩამოაგდო ქართველ და ოსს ხალხებს შორის, არამედ მოაწყო ქართველთა გენოციდი. როგორც აფხაზეთში, ასევე სამაჩაბლოში მცხოვრები ქართველები დევნილებად აქცია, დამოუკიდებელ რესპუბლიკად გამოაცხადა აფხაზეთი და ოსეთი. ამ ფაქტს ოსური გაზეთი გამოეხმაურა და ერთ-ერთ წერილში აღნიშნა, ამ ინფორმაციას სამხრეთ ოსეთი თოფის სროლითა და სიხარულის ცრემლებით შეხვდა. მაგრამ მიუხედავად ოსების დიდი სიხარულისა, დასავლეთმა მისი დამოუკიდებლობა არ აღიარა. ფრანგული გაზეთი „ლე მონდი“ აღნიშნავს, დასავლეთის ქვეყნებისათვის სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი დამოუკიდებლობა ვერასოდეს იქნებიან, გულის სიღრმეში ეს მოსკოვმაც იცის. [11]

ოსურ გაზეთში დაბეჭდილ პუბლიკაციებში ჩანს რუსეთის მოქალაქეების დამოკიდებულება და თანაგრძნობა ოსეთისა და ოსი ხალხისადმი. პუბლიცისტები ცდილობენ გვიჩვენონ, რომ ოსეთის მძიმე მდგომარეობიდან გამოყვანა მხოლოდ რუსეთს შეუძლია. მაგრამ, რატომ აკეთებს ამას რუსეთი?! - რა თქმა უნდა, ამის შესახებ არაფერს ამბობს. ნუთუ ვერ ხვდებიან, რომ სინამდვილეში რუსეთს მხოლოდ ტერიტორიები აინტერესებს. ოსები და აფხაზები მოსამსახურეებად სჭირდება. ამ ფაქტს ჟირინოვსკიც აღიარებს. „რუსეთს არა აფხაზი და ოსი ხალხი, არამედ ტერიტორიები სჭირდება და აქ დასამალი არაფერია. ამ მიზნის მიღწევის შემდეგ აქ ოსებს მოსამსახურეებად დავიყენებთ“ - აღნიშნა მან რუსულ ტელეეთერში. [12]

რუსეთისათვის აფხაზეთისა და ოსეთის დამოუკიდებლობა ნამდვილი ფიქციაა. რუსებს სურთ საქართველო - რუსეთის სახელმწიფო საზღვარი საქართველოს სიღრმეში გადმოსწიონ, დასავლეთით – მდ.ენგურის გაყოლებით, ჩრდილოეთით კი ცხინვალის სამხრეთით.

ამრიგად, ჩვენ მიერ განხილული პუბლიკაციების მიხედვით შეიძლება დავასკვნათ, კონფლიქტური სიტუაციები გაუცხოებასა და ღირებულების დევალვაციას იწვევს. მისი თავიდან ასაცილებლად ორმა ერმა, ოსებმა და ქართველებმა საკუთარ თავში უნდა იპოვოს ძალა და პრობლემა მესამე ძალის ჩაურევლად მოაგვაროს, რის საშუალებასაც კავკასიური იდენტობა და არც თუ შორეული წარსული იძლევა.

ლიტერატურა:

- 1.გაზ.„южная Осетия“, 6 сентября 2008 г. ;
- 2.გაზ.„კვირის პალიტრა“, 2008 წლის 4-10 აგვისტო;
- 3.გაზ.„южная Осетия“ 10 сентября 2008 г. ;
- 4.გაზ.„южная Осетия“, 23 августа 2008 г.;
- 5.გაზ.„კვირის პალიტრა“, 2008 წლის 25-31 აგვისტო;
- 6.გაზ.„კვირის პალიტრა“, 2008 წლის 11-17 აგვისტო;
- 7.გაზ.„კვირის პალიტრა“, 2008 წლის 18-24 აგვისტო;
- 8.გაზ.„южная Осетия“, 27 августа 2008 г.;
9. А.дугин.“Основы геополитики., М.,1991;
10. газ.„южная Осетия“, 30 августа 2008 г.;
11. gaz.„Le Monde“, 3 August of 2008 year;
- 12.გაზ.„კვირის პალიტრა“, 2008 წლის 17 სექტემბერი

GEORGIAN -OSSETIAN RELATIONS

Maka Dolidze, David Aghmashenebeli University of Georgia, Associate Professor

Nino Mindiashvili, Sokhumi State University, Assistant Professor

SUMMARY

Caucasian people have had friendship for many years. Gradually, conflict between them was developed. Often conflicts existing in Georgia are discussed as religious conflicts among media and scientific circles. But religion has little importance in it. Georgians and Ossetes are Christians. Conflict between them was not caused by religious disagreement, but it was caused by territory control. During the latest years Georgian- Osset relation isn't at a high level. Near next time is not a glimmer hope to improve this relation, especially after August war. The war of 2008 was followed by lots of comments either in Georgian or foreign Media. It was estimated by experts of different countries as Russian-Georgian war. However the conflict proceeded between Georgians and Ossetes, soon it crossed the frontier of Ossetia and turned into Georgian-Russian war.

Russia and Georgia blamed each other for starting the war. Georgian Media accused Russia and Russia spread quite different information.

It is interesting how the Ossetic press commented Russian-Georgian war, what was its version and how it estimated created situation.

Ossetic newspaper "Iuzhnaia Ossetia" denoted that three days of August shocked the world, republic of Ossetia underwent a danger of apocalypse and gave examples how happily Ossetes had lived two weeks before, how they worked and relaxed. Between Georgians and Ossetes even amicable and related relations existed. Ossetes visited relatives in Tbilisi and people from Tbilisi went to Ossetia. Ossetic newspaper "Iuzhnaia Ossetia" makes parallels between the events of 8 August and bombing Hiroshima and Nagasaki. It makes parallels between bombings and denotes that the tragedy of south Ossetia suppressed all other events existing in the world up to now. Publicist denotes, nobody has doubt that it was unprecedented military aggression, it can be named as genocide of Ossetic people. Georgian media spread an opposite idea. Russian aggression, orthodoxy and restiveness not only overstepped the bounds but it expressed its viciousness. From now world society will know that Russians are thirsty and unfed.

We can conclude according discussed publications that:

1. The goal of publications is to show the events of August;
2. Georgian Media tries to blame Russia.
3. Ossetic Media blames Georgia for everything;
4. In both newspapers mutually exclusive publications are printed

DIE GEORGIENKRISE ALS WELTPOLITISCHES THEMA EINLEITUNG

Lasha Takalandze

Staatliche Universität Sokhumi, 2. Studienjahr des Bachelorstudiums.

Betreuer: **Elguja Kavtaradze**, assoziierter Professor

Nino Mindiashvili, assistant Professor

Von sechs Kriegen, die den Süd- und Nordkaukasus seit 1991 erschütterten, war der russisch-georgische Waffengang mit Abstand der kürzeste. Die Kriegshandlungen dauerten vom 7. bis 15. August 2008. Ein im Januar 2009 veröffentlichter Bericht von Human Rights Watch dokumentiert massive Verletzungen von Menschenrechten durch alle Konfliktseiten, durch georgische und russische Streitkräfte wie durch südossetische Milizen. Dieser kurze Krieg hat wie kein kaukasisches Ereignis zuvor die internationale Politik beschäftigt und die Schlagzeilen beherrscht. Nicht einmal die beiden Kriege in Tschetschenien, die schlimmsten Gewaltereignisse im postsowjetischen Raum, haben solche Schockwellen ausgelöst. Er hat insofern eine Wende markiert, als ein konventioneller Machtkonflikt auf eine weltpolitische Arena zurückkehrte, die auf globale Sicherheitsrisiken wie den internationalen Terrorismus fixiert war. Ein Globalisierungsthema, die weltweite Finanzkrise, drängte den Kaukasus dann wieder aus den Schlagzeilen heraus.

Gleichwohl bleiben Georgiens ungelöste Sezessionskonflikte auf der Agenda internationaler Politik. Ein Grundproblem ist der völkerrechtliche Gegensatz zwischen Russland, das die Eigenstaatlichkeit Abchasiens und Südossetiens und damit die Teilung Georgiens anerkennt, und der übrigen Welt, die von der Zugehörigkeit dieser Territorien zum international anerkannten Staatsgebiet Georgiens ausgeht. Der Gegensatz belastete die Genfer Gespräche über Georgien, die Erneuerung eines Südossetien einschließenden Georgien-Mandats der OSZE und die seit Oktober im Einsatz befindliche EU-Beobachtungsmission. Das Mandat dieser Mission bezieht sich auf das Gesamtterritorium Georgiens. Der Zugang zu Abchasien und Südossetien wird ihr aber durch Russland und seine Protegés in Suchumi und Zchinwali verwehrt. Mit dieser Einschränkung würde sich die Mission für die Sicherung faktischer, von Europa und der übrigen Welt aber nicht anerkannter Grenzen einsetzen. Die Zugangssperre etwa zu

Südossetien schränkt ihre Fähigkeit ein, bewaffnete Zwischenfälle zu überprüfen. Die Notwendigkeit dazu besteht auch nach dem Krieg.

Die USA in der Georgienkrise

Georgien betrachtet die USA als engsten Sicherheitspartner. Die dringlich notwendige Modernisierung seiner Armee wurde seit 2002 vor allem mit US-Unterstützung betrieben. Washington förderte den baldigen NATO-Beitritt Georgiens. Im Gegenzug stellte Georgien Truppen für den Einsatz in internationalen Krisengebieten. Im Irak stellte es mit 2000 Soldaten sogar eines der größten Kontingente. In diesem Zusammenhang wurde in Tbilissi betont, Georgien befinde sich im Übergang vom Security Consumer zum Security Provider. Dazu kam aus Washington moralische und politische Unterstützung der "Rosenrevolution" und ihrer Reformprogramme. Nach Angaben des State-Department war Georgien 2006 das drittgrößte Empfängerland von US-Finanzhilfe pro Kopf der Bevölkerung.

In der Georgienkrise im Sommer und Herbst 2008 hatten sich US-Politiker wie der Präsidentschaftsbewerber John McCain zwar laut zu Wort gemeldet, insgesamt hatte sich Washington aber mit Maßnahmen gegen Russland zurückgehalten. Erstmals war die Europäische Union unter französischer Ratspräsidentschaft Herr des Verfahrens bei der Schlichtung eines militärischen Konflikts im Umfeld Europas.

Georgienkrise und europäische Ostpolitik

Georgien liegt an einer Schnittstelle sich überlappender ostpolitischer EU-Projekte: der Europäischen Nachbarschaftspolitik (ENP), in die der Südkaukasus 2004 mit Verspätung einbezogen wurde, der Schwarzmeerpoltik (Black Sea Synergy) und zuletzt des im Mai 2008 von Polen und Schweden initiierten Projekts der Östlichen Partnerschaft. Auch die 2007 unter deutscher Ratspräsidentschaft entwickelte EU-Zentralasienstrategie liegt in diesem Spektrum. Als Transitkorridor für Erdöl und Erdgas ist der Südkaukasus aus energiepolitischer Perspektive auch mit der Region östlich des Kaspischen Meeres verbunden. Es sind gerade die transräumlichen Aspekte, die diese Projekte miteinander vernetzen. Die Georgienkrise hat besonders Eastern Partnership angestoßen. Im Oktober mahnte Außenkommissarin Benita Ferrero-Waldner verstärkte EU-Ostpolitik an: Aus der Georgienkrise resultiere ein "Gefühl der Dringlichkeit" zur Heranführung der östlichen Nachbarn an die EU. Ihnen seien nun fast alle Türen zu öffnen - außer der zur Mitgliedschaft. Anfang Dezember 2008 schlug die Kommission ein Eastern Partnership-Projekt mit sechs Staaten der Gemeinschaft Unabhängiger Staaten (GUS) vor (Armenien, Aserbaidschan, Georgien, Ukraine, Moldova, Belarus). Darin geht es um Handelsprivilegien, Visa-Erleichterungen und andere Interaktionsfelder zwischen der EU und ihren östlichen Partnern. Um Moskau zu beruhigen, wies Kommissionspräsident José Manuel Barroso darauf hin, dass damit keine neue Trennlinie in Europa geschaffen und Russland keineswegs isoliert werden solle.

Der europäische Blick auf den Krieg ging über den Kaukasus hinaus auf andere Teile der gemeinsamen Nachbarschaft. Er richtete sich auf den Schwarzmeerraum, auf die Ukraine, dort wiederum besonders auf die Krimhalbinsel als Brennpunkt russisch-ukrainischer Auseinandersetzungen, die eskalieren könnten. Die Ukraine war in die Georgienkrise involviert - durch Einbeziehung der in Sewastopol stationierten russischen Schwarzmeerflotte in den Krieg, die Verwandlung dieser Krise in ein innenpolitisches Streitthema zwischen divergierenden politischen Lagern in der Ukraine selbst. Russland zeigt durch Äußerungen seiner Politiker immer wieder, dass es in seinem bevölkerungsgrößen "nahen Ausland" einen "künstlichen Staat" sieht, dessen Souveränität anzuerkennen ihm schwer fällt. Vor diesem Hintergrund wurden für Europa die Fragen relevant, wie Russland künftig mit Staaten im GUS-Raum umgeht, die in formalisierte Nachbarschaftsbeziehungen zur EU getreten sind, und ob das Vorgehen gegen Georgien ein konfliktpolitischer Sonderfall oder der Auftakt zu einem größeren Szenario russischer Machtprojektion gegenüber Nachbarstaaten war. Für die Deutung als Sonderfall spricht die negative Entwicklung der russisch-georgischen Beziehungen. Auch die Präsenz russischer Friedenstruppen in den georgischen Konfliktzonen schränkt die Vergleichbarkeit mit anderen angespannten Nachbarschaftsbeziehungen ein. Andererseits sprechen neue oder neuerlich verstärkte Akzente in den außenpolitischen Aussagen des Kreml für eine Neuorientierung russischer Politik.

Eine Wende in der russischen Außenpolitik?

Mit der Anerkennung Abchasiens und Südossetiens vollzog Russland eine Wende in seiner Politik gegenüber ungelösten Sezessionskonflikten. Hatte es bisher den ungeklärten Status solcher Konflikte als seinen Einflusshebel im Südkaukasus benutzt, ging es nun in Teilen der Region zur kostenintensiveren Protektorats Herrschaft über. Der in Südossetien angestrebte Anschluss an die Russische Föderation über die Vereinigung mit Nordossetien wurde vorläufig von Moskau zurückgewiesen bzw. auf ein bizarres Unionskonstrukt zwischen Russland, Belarus und Südossetien umgeleitet. Aber von Eigenständigkeit kann beim kleinsten und wirtschaftlich schwächsten der postsowjetischen Sezessionsgebilde nicht die Rede sein. Seine Regierung unter "Präsident" Eduard Kokoity war schon lange vor dem Krieg mit Kadern aus den Militär- und Geheimdienstapparaten Russlands besetzt worden. Seine schon zuvor schwache, durch den Krieg nun völlig beschädigte Wirtschaft ist hochgradig von russischer Hilfe abhängig. Doch von der Wiederaufbauhilfe aus Moskau in Höhe von 350 Millionen Euro versickert ein Teil bereits in dubiosen Kanälen, die das Kokoity-Regime schon vordem als ein "schwarzes Loch der Ordnungslosigkeit" ausgewiesen hatten. Abchasien setzt dagegen deutlicher auf seine Eigenstaatlichkeit. Trotz hoher wirtschaftlicher und sicherheitspolitischer Abhängigkeit von seinem Protektor sieht es sich nicht als eine Art ethnischer Autonomie des "Rassiiskii Kavkaz", sondern als eine staatliche Entität mit strategischer Position am Schwarzen Meer, die internationale Aufmerksamkeit verdient. Eine abchasische Zeitung beklagte im Januar 2009 die hohe finanzielle Abhängigkeit von Russland. Der Haushalt der kleinen Republik von kaum mehr als 200 000 Einwohnern wird bereits zu 60 Prozent von Moskau finanziert.[8] Damit ähnelt Abchasien dann doch russischen Teilrepubliken im Nordkaukasus, die zu den größten Subventionsempfängern in der Russischen Föderation gehören.

Dem stehen andere Akzente gegenüber: die Berufung auf das Völkerrecht, ein Verzicht auf konfrontative Politik, die Betonung "multipolarer Weltordnung". "Multipolare Ordnung" und "multilaterale Politik" beherrschen die außenpolitischen Aussagen Russlands. Doch Russland hat in seiner Georgienpolitik unilateral und mit der diplomatischen Anerkennung Abchasiens und Südossetiens gegen bestehende Resolutionen des UN-Sicherheitsrats gehandelt. Eines hat die Georgienkrise deutlich gemacht: Russland fehlt es an Verbündeten selbst in seiner "privilegierten Einflusszone". Applaus für seine Georgienpolitik bekam es von keinem seiner Sicherheitspartner in eurasischen Regionalorganisationen wie der Shanghai Organisation für Zusammenarbeit (SOZ). Was den Anspruch Russlands auf seine "privilegierte Einflusszone" betrifft, wird er auch von dem - sehr eingeschränkten - liberalen Spektrum der russischen Gesellschaft geteilt. Russland hat Militärgewalt außerhalb seines Staatsterritoriums demonstriert, allerdings nicht auf eine Weise, die seine Armee als eine Streitkraft des 21. Jahrhunderts ausweist. Die damit einhergehende Spannung in den internationalen Beziehungen im postsowjetischen Raum stellte eine Herausforderung an "multivektorale" oder "komplementäre" Politik von GUS-Staaten dar, an ihre Bemühung, Balance zwischen Russland und westlichen Partnern zu wahren. Dass sie weiterhin bemüht sind dies zu tun, zeigten die Nachbarn Georgiens. So machte Aserbaidzhan bei einem Besuch des damaligen US-Vizepräsidenten Richard Cheney in Baku am 3. September deutlich, dass es sich nicht einseitig nach Westen ausrichten werde. Auf der anderen Seite hielt sich Armenien mit offizieller Unterstützung der russischen Position in der Georgienkrise zurück, bekräftigte seine Politik der "Komplementarität" - obwohl das Land sicherheitspolitisch eng mit Moskau verbunden ist.

Der Südkaukasus nach dem "Unfrozen Conflict"

Vorübergehend wurden "Georgienkrise" und "Kaukasuskonflikt" zu Synonymen. Erst nach und nach öffnete sich der Blick über Georgien hinaus für das regionale Umfeld und den ebenfalls ungelösten Sezessionskonflikt um Berg-Karabach. Obwohl aus Armenien und Aserbaidzhan offiziell nur zurückhaltende Stellungnahmen zum Krieg im Nachbarland kamen, waren beide in die Krise verwickelt. Aserbaidzhan als der ebenfalls sezessionsgeschädigte Nachbar Georgiens beobachtete mit gesteigerter Aufmerksamkeit die russische und internationale Politik gegenüber Sezessionsgebilden. Beim Besuch seines Präsidenten Ilham Alijew in Moskau betonte die russische Seite, dass sich ihre Karabachpolitik nicht geändert habe und sie sich weiterhin im Rahmen der Minsker OSZE-Gruppe um friedliche Konfliktregelung bemühe. Dasselbe bekundete sie im Konflikt um Transnistrien gegenüber der moldauischen Regierung. Hatte Russland sich in seiner Politik gegenüber Abchasien und Südossetien noch auf den "Präzedenzfall Kosovo" bezogen, betonte es nun mit Nachdruck, dass seine diplomatische Anerkennung Abchasiens und Südossetiens keineswegs einen Präzedenzfall für andere ungelöste Sezessionskonflikte im GUS-Raum darstelle.

Schon lange bevor der Kreml Abchasien und Südossetien diplomatisch anerkannte, praktizierte er hier eine "Friedenspolitik", die in Tbilissi treffend mit "not peacekeeping, but keeping in pieces" kommentiert wurde. Im Ergebnis finde ich einen Zustand vor, in dem die von westlichen Partnern nun erst recht bekräftigte territoriale Integrität Georgiens zur Beschwörungsformel wird. Sie trifft nun auf eine Realität, in der die Trennung Abchasiens und Südossetiens von Georgien ganz und gar erhärtet ist.

წყარო:

1. von Uwe Halbach, veröffentlicht auf ausienpolitik.net: 14.11.2009
2. http://www.bpb.de/publikationen/UVG20J,5,0,Die_Georgienkrise_als_weltpolitisches_Thema.html
3. შოთა მალაშხია, „კონფლიქტები, პროგნოზირება“, თბ., 2011.

საქართველოს კრიზისი, როგორც მსოფლიო პოლიტიკის თემა ლაშა თაკალანძე

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბაკალავრიატის სწავლების მეორე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელები: ელგუჯა ქავთარაძე, ასოცირებული პროფესორი
ნინო მინდიაშვილი, ასისტენტ-პროფესორი

საქართველო მდებარეობს EU-ს აღმოსავლური პროექტების კუთხეში: ესაა ევროპული კეთილმეზობლური პოლიტიკა, რომელსაც ამიერკავკასია 2004 წელს შეუერთდა. იმის გამო, რომ კავკასია წარმოადგენს ნავთობისა და გაზის ტრანსკორიდორს, ამიერკავკასიას გააჩნია ენერჯო-პოლიტიკური პერსპექტივები, რომელიც დაკავშირებულია კასპიისა და შუაზღვიურ ნავთობთან. საქართველოს კრიზისმა (90-იანი წლები, 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომი) ხელი შეუშალა აღმოსავლური პოლიტიკის წარმატებით განხორციელებას.

აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარებით რუსეთმა საბოლოოდ აღმართა კედელი მასსა და დანარჩენ მსოფლიოს შორის. მანამდე რუსეთი ამიერკავკასიაში მსგავს კონფლიქტებში სარგებლობდა მშვიდობისმყოფელის სტატუსით და გვერდს უვლიდა თავისი პროტექციონიზმის გამოვლენას.

ამჟამად „საქართველოს კრიზისი“ და „კავკასიური კონფლიქტები“ სინონიმებად გადაიქცა. ევროპასა და აშშ-ში უკვე აღარავის სჯერა რუსეთის სამშვიდობო პოლიტიკისა (გასაკუთრებით 2008

წლის მერე).. გარკვეულწილად, საქართველოს უჩნდება შანსი, რომ საერთაშორისო ძალების დახმარებით, აიძულოს რუსეთი გავიდეს ოკუპირებული ტერიტორიებიდან.

ქართულ-აფხაზური კონფლიქტი

თეონა კაკაშვილი, თამთა კაპანაძე
გორის სასწავლო უნივერსიტეტი,
ბაკალავრიატის სწავლების პირველი წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **მზია რამიშვილი**, ასოცირებული პროფესორი

ისტორია გვამცნობს, რომ საქართველოს ცალკეულ კუთხეებსა თუ სამეფო-სამთავროებს შორის არაერთი კონფლიქტი და დაპირისპირება მომხდარა, თუმცა, მათ შორის არც ერთს არ მიუღია ისეთი მწვავე ხასიათი, როგორც აფხაზურ და ოსურ კონფლიქტებს. ისტორიულად უცნობია ეთნიკურ ქართველებსა და ეთნიკურ აფხაზებს შორის კონფლიქტის შესახებ 1992 წლის 14 აგვისტომდე. ამ კონფლიქტის ძირითადი მიზეზი იყო, ერთი მხრივ, ქართული, ხოლო, მეორე მხრივ, აფხაზური ნაციონალიზმის დიამეტრულად განსხვავებული პასუხი კითხვებზე: რა არის საქართველო? რა არის აფხაზეთი?

შუა საუკუნეებში მეზობელ ხალხებს შორის ყოველთვის ხდებოდა დაპირისპირებები ეროვნული ნიშნით (ქართველთა და სომეხთა დაპირისპირება რელიგიურ ნიადაგზე 608წ; ინგლისისა და საფრანგეთის ასწლიანი ომი და ა.შ). თუ გავითვალისწინებთ „აფხაზი ისტორიკოსების“ აზრსა და იმ გარემოებას, რომ აფხაზები ოდითგანვე ცხოვრობდნენ ამ ტერიტორიაზე, რომ სწორედ მათ შექმნეს აფხაზთა სამეფო, მაშინ უნდა ვივარაუდოთ ისიც, რომ ქართველებისაგან განსხვავებული კულტურისა და ენის მქონე ხალხს შორის შეუძლებელია, არ მომხდარიყო სერიოზული შეჯახება IX საუკუნიდან მოყოლებული XX საუკუნემდე. მაგრამ არც ერთ ასეთ პაქტს ეროვნულ ნიადაგზე დაპირისპირებისა ქართული წყაროები არ იხსენიებს. მამ რაშია საქმე? პასუხი მარტივია: აფხაზებს არ ჰქონიათ ისეთი სახელმწიფოებრივი ერთეული, სადაც ისინი მოახერხებდნენ გაფართოებას კულტურულად და სახელმწიფოებრივად იმდენად, რომ დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებულიყვნენ. აკადემიკოსი დ. მუსხელიშვილი მიიჩნევდა, რომ ადრეული ფეოდალური ეპოქა არ იძლეოდა არანაირ ობიექტურ პირობას იმისა, რომ „აფხაზური“ ტომები ერთ ერად გაერთიანებულიყვნენ. ამ ტომებს სახელმწიფოებრიობის არანაირი ტრადიცია არ გააჩნდათ – არც საერთო ენისა და არც დამწერლობის ფორმები. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მათ არ გააჩნდათ თუნდაც საჭირო მინიმუმი იმ კომპონენტებისა, რომლებიც საჭიროა სხვადასხვა მონათესავე ტომების ერთ ერად გაერთიანებისთვის, პირიქით, ეს პერიოდი აიძულებდა სუსტ ტომებს, გაერთიანებულიყვნენ უფრო ძლიერ და განვითარებულ ერთობაში – საქართველოში.

აფხაზეთის სამთავრო, რომელმაც გააერთიანა მთელი დასავლეთ საქართველო, VIII საუკუნეში ჩამოყალიბდა. ახალ პოლიტიკურ ერთეულს „აფხაზთა სამეფო“ ეწოდებოდა და დედაქალაქი ქუთაისში ჰქონდა. მოსახლეობის სულ მცირე 80-85%-ს ეთნიკური ქართველები შეადგენდნენ, სახელმწიფო ენა ქართული იყო და ა.შ. ამრიგად ეს იყო ქართული სახელმწიფო, ხოლო სიტყვა „აფხაზი“ ნიშნავდა დასავლეთ ქართველსა და არა აფხაზ ეთნოსს. IX-X საუკუნეებში აფხაზეთი ერთიანი ქართული სამეფოს შემადგენლობაში შედიოდა საერისთავოს სახით. საქართველოს სამეფო-სამთავროებად დაშლის შემდეგ მე-17 საუკუნის დასაწყისში შეიქმნა აფხაზეთის დამოუკიდებელი სამთავრო, რომელიც მე-17-მე-18 საუკუნეებში ფორმალურად იმერეთის სამეფოში შედიოდა.

1810 წლის თებერვალში აფხაზეთი რუსეთის იმპერიის მმართველობის ქვეშ მოექცა, მაგრამ მიუხედავად ამისა, აფხაზები მაინც აგრძელებდნენ დაუმორჩილებლობას რუსეთის მიმართ.

ქართულ მოსახლეობას სვანები, მეგრელები, გურულები, აჭარლები, იმერლები და რაჭველები მიეკუთვნებიან. მე-19 საუკუნემდე ქართველებად თვლიდნენ თავს აფხაზებიც, მაგრამ რუსეთის იმპერიის ანარქისტულმა იდეოლოგიურმა სამსახურებმა დაიწყეს მათი ამხედრება ქართველების წინააღმდეგ. აფხაზებს ეროვნების სტატუსიც მიანიჭეს, მაგრამ მშვიდობიანი გზით ამასაც ვერ მიაღწიეს, ბოლოს იგი ომის გზით გადაწყვიტეს.

საბჭოთა პერიოდში რუსეთი ყველანაირად ცდილობდა, საკუთრივ საქართველოში – აფხაზეთის ტერიტორიაზე შეექმნა სასათბურე ვითარება აფხაზებისთვის. ხდებოდა მათთვის პრივილეგიების

მინიჭება, რაც საქართველოს ტერიტორიაზე ქართველს არ გააჩნდა (მაგალითად, უმაღლეს სასწავლებლებში მოწივობა) რუსული სპეცსამსახურების ხელშეწყობით აფხაზებს ყოველთვის უნდა მოეწყოთ ისეთი გამოსვლები საქართველოს წინააღმდეგ, როგორებიც, შესაძლოა, საქართველოს განუხორციელებინა რუსეთის მიმართ. ამიტომ ხდებოდა აფხაზური სეპარატიზმის გაღვივება.

ტრაგედია, რომელიც ასეთ გამოწვევებს მოჰყვა, ისტორიამ ფაქტების სახით შემოინახა და რეალობა, რომელიც დღეს გვაქვს, აშკარად არ ჯდება მსოფლიოს უსაფრთხოების ჩარჩოებში, რასაც აღნიშნავენ კიდევ ისეთი ორგანიზაციები, როგორიცაა: გაერო, ეუთო, ევროკავშირი და ნატო.

კონფლიქტი დაიწყო 1992 წლის 14 აგვისტოს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფორმირების თავდასხმით აფხაზეთის ტერიტორიაზე შესულ ცენტრალური ხელისუფლების შეიარაღებულ ძალებსა და მილიციის კონტინგენტზე, რომლებსაც ევალეზოდან რეგიონზე მოთარეშე ტერიტორიებისა და სხვა ბანდების ალაგმვა, რასაც ავტონომიური ხელისუფლება ვერ ახერხებდა. სამხედრო ძალების შესვლის შესახებ წინასწარ ეცნობა აფხაზეთის ხელისუფლებას. აფხაზეთის მხარე კატეგორიულად უარყოფს, რომ მისი მხრიდან არსებობდა რაიმე თანხმობა ქართული ჯარის აფხაზეთში შესვლის შესახებ და ეს ნაბიჯი აღქმულ იქნა, როგორც აგრესია, ამიტომ ცეცხლი პირველად აფხაზურმა მხარემ გახსნა. ამას უსწრებდა ანტიქართული პროპაგანდა, ცენტრალური ხელისუფლების იურისდიქციის უარყოფა და დამოუკიდებლობისაკენ მთელი რიგი საკანონმდებლო აქტების მიღება, არაკანონიერი შეიარაღებული ძალების შექმნა და სხვა.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ჯარები ტერიტორიის ორ მესამედს აკონტროლებდნენ, მთავრობა დასთანხმდა კონფლიქტის მშვიდობიან მოლაპარაკებასა და რუსეთის შუამავლობაზე. 1992 წლის 3 სექტემბერს მოსკოვში ხელი მოეწერა „მოსკოვის შეთანხმებას შეიარაღებული მოქმედებების შეწყვეტის თაობაზე“, მაგრამ ამავე წლის 3 ოქტომბერს სეპარატისტებისა და საზღვარგარეთიდან შემოსული ძალების შეიარაღებულმა ფორმირებებმა წამოიწყეს ახალი შეიარაღებული მოქმედებანი, რომლებიც დროებით შეწყდა 1993 წლის 27 ივლისს. 16 სექტემბერს სეპარატისტებმა ისევ დაიწყეს შეტევა. ამ დღეს მათ ფართომასშტაბიანი იერიში მიიტანეს სოხუმზე ზღვიდან, ჰაერიდან და ხმელეთის მისადგომებიდან. საქართველოს შეთანხმების თანახმად, ამ დროისთვის მძიმე შეიარაღების დიდი ნაწილი უკვე გაყვანილი ჰყავდა კონფლიქტის ზონიდან. გააფთრებული ბრძოლები გრძელდებოდა 27 სექტემბრამდე, თუმცა მასიურ შემოტევას სუსტი შეიარაღებით ქართულმა ნაწილებმა ვერ გაუძლეს და საბოლოოდ ქალაქი დაეცა. სოხუმის დაცემა იყო ამ შეიარაღებული კონფლიქტის ბოლო, გადაწყვეტი ბრძოლა, რომელსაც შედეგად მოჰყვა ქართველთა ერთ-ერთი უდიდესი დამარცხება საქართველოს უახლეს ისტორიაში. ქალაქის აღების შემდეგ შემოსულმა სეპარატისტთა მებრძოლებმა დარჩენილი მოსახლეობის არნახული ხოცვა დაიწყეს. ადგილობრივი მთავრობის წევრები: ჟიული შარტავა, გურამ გაბისკორია და რაულ ეშბა, რომლებმაც გაქცევაზე უარი თქვეს, მთავრობის სახლის წინ დახვრიტეს, ასევე ეკლესიაში დახვრიტეს გიორგი აუნა, ხოლო ალექსანდრე ბერულავა უგზოუკვლოდ დაიკარგა. რამდენიმე დღეში სეპარატისტთა ძალებმა აფხაზეთის თითქმის მთელი ტერიტორია დაიჭირეს (კოდორის ხეობის გარდა).

აფხაზების მთავარი არგუმენტია, რომ საქართველოს შემადგენლობაში ყოფნისას (ძირითადად 30-50-იან წლებში) ისინი მუდმივ შევიწროებას, ეროვნულ ჩაგვრასა და დისკრიმინაციას განიცდიდნენ ქართველების მხრიდან. საქმე იქამდე მივიდა, რომ აფხაზი ეთნოსის არსებობა დადგა კითხვის ნიშნის ქვეშ. აქ გაუგებრობას იწვევს ის ფაქტი, რომ საქართველო საბჭოთა ხელისუფლების წლებში დამოუკიდებელი ქვეყანა არ ყოფილა და როგორც სსრკ-ს ერთ-ერთი ადმინისტრაციული ერთეული, ვერავითარ დამოუკიდებელ პოლიტიკას აფხაზეთის მიმართ ვერ გაატარებდა.

მთელი ამ კონფლიქტის განმავლობაში სეპარატისტებს მხარში ედგათ რუსეთის რეგულარული და არარეგულარული შეიარაღებული განაყოფები, ე.წ. „მთიელი ხალხების კონფედერაციის ბოვიკები“, მრავალი დაქირავებული პირის რაზმები. სეპარატისტებმა შეძლეს თითქმის მთელი აფხაზეთის ტერიტორიის ხელში ჩაგდება და მთელი ქართველი მოსახლეობის განდევნა ეთნიკური წმენდის გამოყენებით, რაც გენოციდია.

1993 წლის 14 მაისს მოსკოვში ხელი მოაწერეს შეთანხმებას შეიარაღებული ბრძოლის შეწყვეტისა (ის ფაქტობრივად შეწყდა ჯერ კიდევ სექტემბრის დამლევის) და მებრძოლ მხარეთა ძალების დაშორების შესახებ. შეიქმნა ზონა, რომელშიც დსთ-ის, ფაქტობრივად რუსეთის, სამშვიდობო კონტინგენტი დადგა. საქართველოს თხოვნით გაეროს უშიშროების საბჭო და გაეროს გენერალური მდივანი აქტიურად ჩაერთნენ კონფლიქტის მოგვარებაში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხელშეუხებლობის უპირობო აღიარებით. დაინიშნა გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენელი თბილისში, ხოლო 1994 წლიდან დაიწყო ე.წ. შენევის მოლაპარაკებანი ქართული და აფხაზური მხარეების, რუსეთისა და გაეროს წარმომადგენლების მონაწილეობით.

ეთნიკური წმენდის პოლიტიკა დაგმო ყველა საერთაშორისო ორგანიზაციამ (ეუთო, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა, ევროკავშირი და სხვა), მაგრამ ამ დროისათვის, მიუხედავად უშიშროების საბჭოს 20-ზე მეტი რეზოლუციისა, მდგომარეობა აფხაზეთში არ შეცვლილა – ისევ რჩება რეგიონს გარეთ 200 000-ზე მეტი ქართველი, 100 000 სხვა ეროვნებათა წარმომადგენელი, თვით აფხაზი მოსახლეობის თითქმის ნახევარი (40 000-მდე).

სახელმწიფოს აშენება თითოეული ადამიანის კეთილდღეობაზეა დამოკიდებული და არა ზემოდან წამოსულ ძალადობაზე, რის შედეგადაც ასიათასობით ადამიანის ტრაგედია დღემდე მძიმე ტვირთად აწევს არა მარტო დანარჩენ საქართველოს, არამედ აფხაზეთსაც, რომელმაც ადამიანური რესურსის თითქმის 2/3 დაკარგა. ამიტომ ტერმინი ქართულ-აფხაზური კონფლიქტი არ შეესაბამება სინამდვილეს. ეს იყო ქართულ-რუსული კონფლიქტი, სადაც აფხაზები ამ უკანასკნელთა ბრძოლის იარაღს წარმოადგენდნენ. აღსანიშნავია, რომ ომის შემდგომ პერიოდშიც რუსეთი აქტიურ პროპაგანდას უწევდა აფხაზეთის დამოუკიდებელ სახელმწიფოდ არსებობას. საქართველოსთან ომის შემდეგ მან აღიარა აფხაზეთის დამოუკიდებლობა.

სახელმწიფოთა საერთაშორისო თანამეგობრობა უარს ამბობს სეპარატისტთა მიერ შექმნილი ე.წ. „დამოუკიდებელი სახელმწიფოს“ ცნობაზე და მოითხოვს აფხაზეთის სტატუსის განსაზღვრას მხოლოდ საქართველოს საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრების ფარგლებში, როგორც „საქართველოს სახელმწიფოს შემადგენელი ნაწილისა“.

ამდენად, აფხაზი სეპარატისტების ხელისუფლება მონაწილეობს მოლაპარაკებებში და ხელს აწერს შეთანხმებას არა როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო, არამედ როგორც კონფლიქტში მონაწილე მხარე. ამიტომ გაეროს, ეუთოს, ევროპის კავშირის, დსთ-ის რეზოლუციებში და სხვა აქტებში ფიგურირებს ტერმინი „აფხაზეთი, საქართველო“ „კონფლიქტი აფხაზეთში, საქართველო“. მხოლოდ სეპარატისტთა მონაწილეობით მიღებულ დოკუმენტებში ფიგურირებს ტერმინი „ქართულ-აფხაზური კონფლიქტი“, „ქართულ-აფხაზური მოწესრიგება“, რაც დროებითი მოვლენაა და გაქრება კონფლიქტის ფართომასშტაბიანი მოგვარებისას. თუმცა, საქმეს ისიც ართულებს, რომ ამ პროცესების სულისჩამდგმელი რუსეთის ტოტალიტარული რეჟიმი აღიარებს აფხაზეთის დამოუკიდებლობას, წინააღმდეგ ყველა საერთაშორისო ორგანიზაციისა, რომლებიც მას საქართველოს სახელმწიფოს განუყოფელ ნაწილად განიხილავენ.

ლიტერატურა:

1. ზ. დავითაშვილი, ნაციონალიზმი და გლობალიზაცია. თბ., 2003;
2. ლ. ალექსიძე, თანამედროვე საერთაშორისო სამართალი. თბ., 2004.

GEORGIAN-ABKHAZIAN CONFLICT

Teona Kakashvili, Tamta Kapanadze

Gori Teaching University, The First Year Students of Bachelor's Degree

Scientist-Instructor: **Mzia Ramishvili**, Associate Professor

RESUME

A considerable decrease in the size of Georgian territory occurred as recently as the 20th century. This article is about civil war in Abkhazia in 1992.

All of us hear term “Georgian-Abkhazian” conflict. The term is not real. Abkhazian people considered themselves as Georgians, like people from kartli, kakheti, imereti, guria etc. until 19-th century. Although the anarchical regime of Russian Empire made dissentient policy to split Abkhazian people with Georgians.

Deeping the conflict between Georgian and Abkhazian people caused one of the worst tragedy in Georgian history_ the civil war and ethnical cleaning.

The international organizations (NATO, OSCE, EU) denounced these actions and issued more than 20 resolutions, but the situation is the same in Abkhazia even today.

კონფლიქტები და გენდერული ძალადობა აფხაზეთში

ნესტან ლომია

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ფილოსოფიის დოქტორი

კაცობრიობა ხვდება XXI საუკუნეს მრავალი პრობლემით, რომელთა შორის ერთ-ერთი უმთავრესია შეიარაღებული კონფლიქტები. სახელმწიფოს და მთლიანად კაცობრიობის უმნიშვნელოვანეს ამოცანად უნდა ჩაითვალოს შეიარაღებული კონფლიქტების, ომების თავიდან აცილება, ხოლო მათი წარმოშობისას პრობლემის სამართლებრივი რეგულირება ისე, რომ მინიმუმამდე იყოს დაყვანილი ტრაგიკული შედეგები როგორც ბრძოლაში უშუალოდ მონაწილე პირთა, ასევე უიარაღო მშვიდობიან მოსახლეობაში.

ტერმინი კონფლიქტი, ლათინური წარმოშობისაა და სიტყვა-სიტყვით თითქმის ყველა ენაზე შეგახებას დავას, შეუთანხმებლობას ნიშნავს. კონფლიქტების შესწავლა XX ს. 50-იანი წლებიდან დაიწყო, მაგრამ კონფლიქტების არსებობას დიდი ხნის ისტორია აქვს. ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში, არისტოტელე თავის შრომებში მიუთითებდა ელიტარულ წრეებში დაპირისპირებაზე. მოგვიანებით კონფლიქტებზე ამხვილებდნენ ყურადღებას ნ. მაკიაველი, ე. როტერდამელი, კ. კლაუზევიცი და სხვები. ქ. მარქსის თეორია კონფლიქტებს განიხილავდა, როგორც კლასობრივ პარადიგმას, სადაც საზოგადოების წიაღშივეა ჩადებული დაპირისპირება. ამ მიდგომის საწინააღმდეგოა კონფლიქტების შესწავლის სტრუქტურულ-ფუნქციონალური პარადიგმა რომლის წარმომადგენლები არიან მ. ვებერი, გ. ზიმელი, ლ. კოზერი, ტ. პარსონსი და სხვა. პოლიტიკური კონფლიქტების განხილვისას არსებობს სოციო-ბიოლოგიური პარადიგმა. ამ მიდგომაში ადამიანის აგრესიულ და ინსტიქტურ ბუნებას ექცევა ყურადღება. საკითხის ამგვარი განხილვა, პოპულარული გახდა თანამედროვე გენეტიკისა და ეთნოლოგიის მიღწევების საფუძველზე. ამ მიდგომის მომხრეები კონფლიქტს ადამიანის ბიოლოგიური არსებიდან ხსნიან და ავრცელებენ სოციალურ ცხოვრებაზე. პოლიტიკური თეორიებიდან მნიშვნელოვანია ვ. პარეტოს „ელიტის თეორია“, სადაც ელიტისა და საზოგადოების სხვა ფენებს შორის ბრძოლა განიხილება. არსებობს ფსიქოლოგიური და სოციალურ-ფსიქოლოგიური პარადიგმაც, სადაც ფსიქოდინამიური და ბიჰევიორისტული თეორიები სჭარბობს მისი წარმომადგენლები არიან: ზ. ფროიდი, ა. ადლერი, კ.გ. იუნგი, ე. ფრომი და სხვა. რონალდ ფიშერი თვლის, რომ საერთოდ კონფლიქტების შესწავლა ეკლექტიური მოდელის საფუძველზე უნდა ხდებოდეს, სადაც ამოსავალი, ჰუმანისტური და სოციალური ფსიქოლოგიის ძირითადი კონცეფციები იქნება. ასეთ მოდელში გათვალისწინებულია კონფლიქტის მთელი დინამიკა და მისი მართვის შესაძლებლობები.

XX საუკუნის 60-იან წლებში კ. ბოულდინგმა ჩამოაყალიბა კონფლიქტის ზოგად-თეორიული მოდელი, რომელიც ახსნითი ხასიათისაა და საბაზისოა სოციალური, ბიოლოგიური, ფიზიკური დაპირისპირების ანალიზისათვის. ასეთ შემთხვევაში საუბარია საერთო ფუნქციების, თვისებების დინამიკური ტენდენციების, გადაწყვეტილებების შესახებ.

პოლიტიკური კონფლიქტი არის დაპირისპირება, შეგახება პოლიტიკური სუბიექტების, რომლებსაც სხვადასხვა ინტერესები, ღირებულებები და შეხედულება გააჩნიათ, ისინი ახდენენ ერთმანეთზე ზემოქმედებას, რათა მიადწიონ საკუთარი გადაწყვეტილების შესრულებას და საკუთარი ინტერესების მონოპოლიზაცია მოახდინონ.

XX საუკუნემ კაცობრიობის თვალნათლივ დაანახა დაპირისპირებას, მტრობას, აგრესიას და ძალადობას რა სისასტიკე მოაქვს, დაწყებული პირველი მსოფლიო ომიდან, ატომური იარაღის გამოყენებით, ცივი ომით და ტოტალიტალური რეჟიმის კრაზით დამთავრებული. დაპირისპირებამ შესაძლოა ჩამოაყალიბოს მრავალი ტრამვირებული საზოგადოება.

ფიქრი, მშვიდობიანი მსოფლიოს შესახებ შესაძლოა ჯერ კიდევ ჩანასახივე მოითხოვს მართებულ და მიზანდასახულ განვითარებას. ეს არის ერთადერთი გზა რათაც ყველა ქვეყნის წარმომადგენლები მშვიდობიანი თანაცხოვრებით იარსებებენ. მსოფლიო გლობალიზაციის პირობებშიც შესაძლოა თავი იჩინოს კონფლიქტებმა, რაც ცივილიზაციათა ბრძოლის ფონზე განვითარდება. ამგვარ დაპირისპირებაში, შეგახებაში, ბუნებრივია მოსააზრებელია საქართველოს ადგილი და მისი მშვიდობიანი პოლიტიკის განვითარების პერსპექტივა. ამ შემთხვევაში კონფლიქტის, დაპირისპირების რეგულაციის, მართვის, ეფექტური მეთოდების და მიდგომების გამოყენებაა საჭირო, როგორც საგარეო, ასევე საშინაო პოლიტიკის სფეროში.

კონფლიქტიდან მშვიდობიანი, თანამშრომლობის გზით გამოსვლა ჩვენი ქვეყნისათვის დღეისათვის ყველაზე მნიშვნელოვანია, რადგან ს. ჰანთინგდონის ცივილიზაციათა კლასიფიკაციით

საქართველო ორი დიდი მართმადიდებლურ–სლავურ და ისლამურ ცივილიზაციებს შორის მდებარეობს. სწორედ კონფლიქტების არსებობა ცივილიზაციათა გამმიჯნავ ზონებშია მოსალოდნელი. შესაძლოა აფხაზ–ქართველთა, ოს–ქართველთა დამაბულობა და სხვა პოტენციური კონფლიქტები სწორედ საწყისი ეტაპია ცივილიზაციათა დაჯახებისა. ამ აზრს რუსეთ–ჩეჩნეთის ხანგრძლივი საბრძოლო დაპირისპირებაც აძლიერებს.

ამჟამად ცივილური კაცობრიობის ნაწილი მხარს უჭერს ადამიანთა უფლებების დემოკრატიას და სადაო საკითხების მშვიდობიანი გზით მოგვარების აუცილებლობას, ტერიტორიული მთლიანობასა და პოლიტიკურ დამოუკიდებლობას. გაერთიანებული ერების ორგანიზაცია ხელს უწყობს წესრიგის დამყარებას მთელს მსოფლიოში და მათ შორის ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესებას. მშვიდობის მიღწევა უკავშირდება ქალებისა და მამაკაცების თანასწორუფლებიანობის გაუმჯობესებისა და დახვეწის აუცილებლობას. მსოფლიოს მთელ რიგ რეგიონებში ჯერ კიდევ არის სამხედრო შეიარაღებული კონფლიქტები, აგრეთვე ტერორისტული აქტები და მძევლად აყვანის ფაქტები, აგრესია, უცხოელების მიერ ოკუპაცია, ეთნიკური და სხვა კონფლიქტები არის რეალობა, რომელიც დამახასიათებელია დღევანდელი მსოფლიოსათვის. სისტემატიურად ირღვევა ადამიანთა უფლებები განსაკუთრებით ქალთა უფლებები. საერთაშორისო ჰუმანისტური სამართალი კრძალავს თავდასხმას მშვიდობიან მოსახლეობაზე, რომელიც სისტემატიურად იგნორირდება. ირღვევა ადამიანთა უფლებები, განსაკუთრებით შეიარაღებული კონფლიქტის დროს. ასეთ სიტუაციაში კი უფრო ზარალდებიან ქალები, ბავშვები, ავადმყოფები და მოხუცები. ფართო მასშტაბებს იღებს ომის პერიოდში ეთნიკური წმენდა, გენოციდი, ქალების გაუპატიურება.

ჟენევის 1949 წლის კონვენცია ომის პერიოდში მშვიდობიანი მოსახლეობის დაცვის შესახებ ლაპარაკია ქალების ღირსების დაცვაზე, ხოლო ვენის დეკლარაციაში ხაზგასმულია, რომ შეიარაღებული კონფლიქტების დროს ქალთა უფლებების დარღვევა ეწინააღმდეგება საერთაშორისო და ჰუმანისტარულ სამართალს. ყველა დანაშაული, როგორცაა სიკვდილიანობა, გაუპატიურება, სექსუალური მონობა და იძულებითი ფეხმძიმობა მოითხოვს დამნაშავეთა მკაცრ დასჯას. უხეში დარღვევები ადამიანის უფლებებისა დღესდღეობით კიდევ არსებობს მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონებში.

გენდერის მიზანია, ქალის დაცვა სექსიზმისაგან, რაც სექსობრივ დისკრიმინაციას ანუ ერთი სქესის მეორეზე ბატონობას ნიშნავს. ხოლო რაც შეეხება გენდერულ ძალადობას, იგი გამოიხატება აგრესიით, შეურაცხყოფით, მუქარით, ცემით, გაუპატიურებით, რომელსაც ახორციელებს ძლიერი სქესის წარმომადგენელი მეორე სქესის მიმართ. ქალებზე ძალადობა აღმამფოთებელია და ითვლება უხეშ დარღვევად ადამიანთა უფლებებისა. გადატანილი ძალადობა თუ მუქარა, რომელსაც ქალი აწყდება ყოველდღიურობაში, ეს იქნება ეკონომიური, კულტურული თუ რელიგიური, რასაკვირველია, უარყოფითად აისახება ქალთა ცხოვრებაზე. დაბადებიდან გარდაცვალებამდე მშვიდობიანი პირობების დროს ქალები ისედაც განიცდიან დისკრიმინაციას, ხოლო შეიარაღებული კონფლიქტის დროს მათი მდგომარეობა ორჯერ აუტანელი ხდება. სწორედ ქალები და ბავშვები შეადგენენ დაახლოებით 80 პროცენტს იმ მრავალმილიონიანი დევნილების არმიისა და იძულებით გადაადგილებულ პირებს, როგორც ქვეყნის შიგნით ასევე მის ფარგლებს გარეთ მთელს მსოფლიოში. ისინი დგანან იმ საშიშროების წინაშე რასაც ქვია საკუთრების დაკარგვა, უფლებების წართმევა, საკუთარ სახლში დაბრუნება და საშიშროება იმისა, რასაც ჰქვია იყო აბსოლიტურად დაუცველი. შეიარაღებული კონფლიქტის დროს ხშირია თვითმკვლელობა ქალებსა და ბავშვებში, რაც გამოწვეულია უიმედობით და იმ აუტანელი პირობებით, რომლებშიც ისინი იმყოფებიან. კონფლიქტური სიტუაციების დროს იზრდება ფსიქოლოგიური დატვირთვა, რომელიც მძიმედ აისახება ადამიანებში და შედეგები სავალალოა. ძალადობა ქალების მიმართ ატარებს საერთო ხასიათს. სიღარიბე, შიში, დეპრესია, შფოთი, აგრესია და ბოლოს ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება ეს არის ის მცირე ჩამონათვალი იმ რისკის ფაქტორებისა, რომელსაც მიყვავართ ქალების მიმართ ძალადობაზე. კონტროლი ქალების სექსუალობისა, არის მძლავრი ფაქტორი მამაკაცებისათვის, რომლებიც გვევლინებიან დომინანტებად.

გენდერული ძალადობის ფორმის მაგალითია საქართველო აფხაზეთის ომი, რომლის დროსაც საქართველოს ჩამოაცილეს მისი ძირძველი ტერიტორია – აფხაზეთი. რის შედეგადაც განხორციელდა ქართველი მშვიდობიანი მოსახლეობის წმენდა. ქართველთა ჯგუფური დახვრეტა საშინელი და ამაზრზენი მეთოდებით სტადიონებზე, პარკებში, და სხვა საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებზე ხორციელდებოდა. სოხუმში, თვითმხილველთა გადმოცემით, ოთხასზე მეტი მშვიდობიანი ქართველი მოსახლე მოიყანეს პარკ „კურჩენკოში“ და დახვრიტეს. სოხუმის დაპყრობის შემდეგ სეპარატისტებმა

წამებით დახოცეს 1000-ზე მეტი ქართველი, მათ შორის მოხუცები, ინვალიდები და მცირეწლოვანი ბავშვები.

ასობით კარგად შეიარაღებულმა დანაშაულებრივი ჯგუფის წევრებმა ქალაქებში და სოფლებში შეჭრისას დაიწყეს ქართველთა ხოცვა-ჟლეტა, ცოცხალ პირებს კვეთდნენ თავს ხელ-ფეხს, აჭრიდნენ სხეულის სხვადასხვა ნაწილებს, სასქესო ორგანოებს, ქალებს ძუძუების კერტებს, რომლებიც მკვლელებს მძივებით ასხმული ეკიდათ ყელზე, როგორც სამკაული. მშობლებისა და ქმრების წინ აუპატიურებდნენ მათ შვილებსა და ცოლებს, მათ შორის მცირეწლოვანებსაც.

აფხაზი სეპარატისტები ისე იყვნენ გაჟღენთილი სეპარატიზმის გრძნობით, რომ ქართველი მოსახლეობის მიმართ, მათ შორის მათი ნათესავების მიმართაც, უსაზღვრო სიძულვილსა და სისასტიკეს ავლენდნენ.

გულრიფშის რაიონის სოფელ ბაღმარანში აფხაზი სეპარატისტების მიერ კომენდატად დანიშნულ იქნა აფხაზი, ვინმე ოთარ ჩამაგუა, რომელიც თავისი ქართველი ცოლით ცხოვრობდა ამ სოფელში. თავისი სამსახუროებრივი „მოღვაწეობა“ ჩამ აგუამ დაიწყო იმით, რომ მოკლა თავისი ცოლი, ერთადერთი შვილი და სიდედრი.

სოფელ ახალდაბაში შემოსვლისას აფხაზებმა დახოცეს მრავალი მცირეწლოვანი და ახალგაზრდა ქალი, ვინც გადარჩა, სტადიონზე შერეკეს და რიგრიგობით ხვრეტდნენ. ექვსი წლის ზევით ბავშვებს კი აუპატიურებდნენ.

ფაქტობრივ მასალაზე დაყრდნობით, უამრავი მაგალითის მოყანა შეიძლება იმ სისასტიკისა რომელსაც ჩადიდნენ აფხაზი სეპარატისტები.

ძალადობა შეიარაღებული კონფლიქტის დროს ანგრევს არა მარტო ქალების ცხოვრებას არამედ მამაკაცებისასაც, მაგრამ მსხვერპლი მაინც ქალია, ვინაიდან მასზე ახორციელებენ ფიზიკურ ძალადობას. რაც ძალიან ხშირია ეხლანდელ მიმდინარე კონფლიქტებში: გაუპატიურება, ძალადობა, სიკვდილით დასჯა ქალებისა და ბავშვებისა ეს არის ომის პრაქტიკის შედეგი, რომელიც გამოიყენება შეიარაღებული კონფლიქტის დროს.

ქალთა მოძრაობის განვითარებასა და განმტკიცებაში უდიდესი როლი ითამაშა მსოფლიო კონფერენციებმა, რომლებიც ქალთა მდგომარეობას ეძღვნებოდა. პირველმა კონფერენციამ, რომელიც მეხიკოში ჩატარდა (1975წ) მიიღო მოქმედების გეგმა, რომლის საფუძველზეც გაეროს გენერალურმა ასამბლეამ გამოაცხადა ქალთა საერთაშორისო ათწლეული (1975-1985წ.) ათწლეულის რეალიზაციის მსვლელობისას 1979 წელს გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო კონვენცია ქალთა მიმართ ყველა სახის დისკრიმინაციის ლიკვიდაციის შესახებ. მეორე მსოფლიო კონფერენცია შედგა კოპენჰაგენში 1980 წელს. მან მიიღო მოქმედების პროგრამა ქალთა ათწლეულის მეორე ნახევრისათვის. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ჯანდაცვის, განათლების და დასაქმების პრობლემებს. 1985 წელს ნაირობიმში შედგა მესამე მსოფლიო კონფერენცია, რომელიც ქალთა ათწლეულში ჩატარებულ მუშაობასა და მისი შედეგების განხილვას მიეძღვნა. მეოთხე კონფერენცია ჩატარდა პეკინში 1995 წელს. ისევე როგორც წინა მსოფლიო კონფერენციები, ჩატარდა თანასწორობის, მშვიდობის, განვითარების დევიზით. კონფერენციაში განხილული იყო ისეთი მწვავე პრობლემაც, როგორიცაა „ძალადობა ქალების წინააღმდეგ“. კონფერენციამ განსაზღვრა ქალთა მოძრაობის განვითარების პერსპექტივები შემდგომ წლებში, მიიღო მოქმედების პლათფორმა, რომელშიც აისახა საკვანძო პრობლემები, სტრატეგიული მიზნები და მსოფლიოში ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესების ღონისძიებები.

მიუხედავად მთელი რიგი ქალთა მსოფლიო კონფერენციებისა და მათი ქმედითუნარიანობისა, მსოფლიოში მაინც არსებობს კონფლიქტური ზონები, სადაც ადამიანები და განსაკუთრებით ქალები უმძიმეს მდგომარეობაში იმყოფებიან, ამიტომ ალბათ უნდა გააქტიურდეს ქალის როლი, კონფლიქტურ საომარ მოქმედებებში საკითხების მშვიდობიანი მოგვარების პროცესში. დღესდღეობით მომწიფებულია ნიადაგი, რათა ქალებმა წამოაყენონ თავიანთი პრიორიტეტები და ღირებულებები მამაკაცებთან თანასწორუფლებიანობისა და თანამშრომლობის საფუძველზე შეიარაღებული კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარების საქმეში. მათ უნდა დაეკისროთ აქტიური და შესამჩნევი როლი გენდერული ასპექტის გათვალისწინებით რათა გადაწყვეტილებების მიღებამდე გაანალიზებულ იქნას ომის მძიმე შედეგები და გამოინახოს გზები მათი თავიდან აცილებისათვის.

ლიტერატურა:

1. ზ. დავითაშვილი, ნაციონალიზმი და გლობალიზაცია, თბ., 2003, გვ. 406-415;
2. თ. ნადარეიშვილი, „გენოციდი აფხაზეთში“ ტ. II თბ., 1996, გვ.54;
3. ზ. პაპასქირი, „აფხაზეთი საქართველოა“, თბ., 1998, გვ. 184;

4. ნ. ბერეკაშვილი რა არის ძალადობა („გენდერული პრობლემატიკა საქართველოში“) ქალთა განათლებისა და ინფორმაციის საერთაშორისო ცენტრი, თბ. 2002;
5. Права человека как фактор устойчивого развития, /овт.ред. Лукашева Е.А./-М; изд-во Норма, 2000, с. 333

CONFLICTS AND GENDER VIOLENCE IN ABKHAZIA
Nestan Lomaia, Sokhumi State University, Doctor of Philosophy
RESUME

Armed conflicts – the most important setting problem of the 21st century are discussed in the article, since confrontation, enmity, aggression and violence cause the regress of a state and society. In the condition of the world globalization the place and role of Georgia in resolution the conflicts with the help of peaceful ways of settlement is getting more actual.

The article is about the conflict and gender disbalance, that is enhanced in the war. There are given some examples of violence of children, women and elder people.

The active role of women together with men has got a great importance in resolving the conflict peacefully. Woman should have an active and noticeable role taking into consideration gender aspects in order to be analyzed the hard results of the war before making decisions and should be found the ways of getting avoid from them.

საინფორმაციო ინტერნეტ-რესურსები კონფლიქტების დარეგულირების საკითხში

თინათინ მშვიდლობაძე
 გორის სასწავლო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი

21-ე საუკუნემ მაღალ ხარისხში აყვანილი ტექნოლოგიური ცვლილებები მოიტანა. აქედან გამომდინარე არც არის გასაკვირი, თუ ოდითგანვე ნაცადი საომარი მოქმედებები და საშუალებები ე.წ. "საინფორმაციო ომში" ჩაანაცვლა. ტერმინის "საინფორმაციო ომის" ზუსტი დეფინირება არ არსებობს, მაგრამ იგი საკუთარი საინფორმაციო სისტემის დაცვასა და მოწინააღმდეგე მხარისადმი კომპლექსურ მიზანმიმართულ დამანგრეველ ინფორმაციულ ზემოქმედებას აღნიშნავს. საინფორმაციო ომში ასევე საზოგადოების ცნობიერებაზე მავნე ზეგავლენის მოხდენა მოიაზრება. მსოფლიო საინფორმაციო ველში იდეოლოგიური, პოლიტიკური და ეკონომიკური მიზნებისთვის ყველაზე აქტიურად მიზანმიმართული ინფორმაცია და დეზინფორმაცია გამოიყენება.

რაც შეეხება საინფორმაციო ომის თეორიას, რომლის ფორმალიზაცია სულ რაღაც სამი-ოთხი ათეული წლის წინ მოხდა, მას უკვე გააჩნია ფართო გამოყენებითი მნიშვნელობა. აღნიშნულ თეორიას მრავალი ქვეყნის საინფორმაციო უსაფრთხოების შემუშავებისას აქტიურად ითვალისწინებენ.

გამომდინარე იქიდან, რომ სახელმწიფო საინფორმაციო რესურსები ხშირად ხდება კიბერთავდასხმის ობიექტი, სახელმწიფომ პოლიტიკურ და ეკონომიკურ ჭრილში საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარებას დიდი ყურადღება უნდა დაუთმოს.

"პირველი შემთხვევა ისტორიაში, როდესაც შეიარაღებულ კონფლიქტს ორ ქვეყანას შორის წინ უძღოდა ინტენსიური კიბერმოზადება," - ამგვარი შეფასება მისცა "ნიუ-იორკ ტაიმსმა" რუსეთ-საქართველოს შორის განვითარებული საომარი მოქმედებების პარალელურად განხორციელებულ მასობრივ კიბერთავდასხმებს. 8 აგვისტოდან მთელ რიგ ქართულ სამთავრობო და საინფორმაციო ინტერნეტ-რესურსებზე მასობრივად დაიწყო ორგანიზებული კიბერშეტევების განხორციელება, რამაც ფაქტობრივად მათი პარალიზება გამოიწვია, პარალელურად, თავდასხმები ხორციელდებოდა ოსურ და რუსულ საიტებზეც. ვირტუალური ომისთვის, სამწუხაროდ, ქართული ინტერნეტ-სივრცე მომზადებული არ აღმოჩნდა, რის გამოც საკმაოდ ბევრი საიტი მწყობრიდან გამოვიდა. საინფორმაციო ომის შეტევების შედეგად ყველაზე მეტად ქართული საიტები დაზარალდა. ამას გარდა, საქართველოს პრეზიდენტი 9 აგვისტოს საინფორმაციო მედიისთვის გაკეთებულ სპეციალურ განცხადებაში აღნიშნავდა, რომ რუსეთმა დაიწყო კიბერშეტევა საქართველოს ტელეკომუნიკაციის სისტემისა და ყველა იმ ხაზის წინააღმდეგ, რომელიც საქართველოს გარე სამყაროსთან აკავშირებს.

კიბერშეტევები ძირითადად DDoS-თავდასხმებში (Distributed Denial of Service) გამოიხატებოდა. დღეს კი, საქართველოშიც აქტიურად საუბრობენ იმაზე, რომ აგვისტოში განვითარებული მოვლენების პარალელურად დაწყებული კიბერშეტევები რუსი სპეც-სამსახურების მიერ ან მათი დაკვეთით ხორციელდებოდა. ის, რომ ომი ინტერნეტში შეიარაღებული კონფლიქტის პარალელურად მიმდინარეობდა მიუთითებს იმაზე, რომ კიბერსივრცე საინფორმაციო ომში მასშტაბურად იქნა გამოყენებული. "ცეცხლის შეწყვეტასთან ერთად ინტერნეტ-თავდასხმებმაც იკლო" - ამბობს პარლამენტის ვებ-პორტალის განვითარების განყოფილების უფროსი გიგა ქურდოვანიძე. "მოგეხსენებათ, ყველა კომპიუტერს აქვს საკუთარი IP, თუმცა არსებობს აპარატურა, რომელიც ახდენს უამრავი IP-ს გენერირებას და მათ მიმართავს ერთი კონკრეტული სერვერისკენ საინფორმაციო მომსახურებაზე მოთხოვნით. ეს უკანასკნელი იტვირთება, ვერ უძლებს დაწოლას და ითიშება. ეს რაც შეეხება DDoS-თავდასხმებს, თუმცა ქართულ საიტებზე განხორციელდა ჰაკერული შეტევებიც, იყო გატეხვის მცდელობები და ზოგიერთ შემთხვევაში ისინი გატყდა კიდეც, თუმცა სისტემაში შეღწევა და კონტენტის დაზიანება არ მომხდარა. დღეს არ შეიძლება იმის თქმა, რომ ეს ყველაფერი მაინც და მაინც FSB-ს გაკეთებული იყო, მაგრამ ცნობილია, რომ ჰაკერები ძალიან კარგად იმართებიან სპეც-სამსახურების მიერ და ამჟამად მათ უმეტესობას სწორედ FSB აკონტროლებს. ერთადერთი კანონი, რომელსაც რუსეთის კიბერსივრცე ემორჩილება, FSB-ს კანონებია, ზოგჯერ დაუწერელი და ზოგჯერ პირდაპირი მითითება, თუ რა უნდა იყოს და რა - არა. ეს არის საინფორმაციო ომის ერთ-ერთი სეგმენტი. ფაქტია, რომ რუსეთს სურდა საქართველოს საინფორმაციო იზოლაციაში მოქცევა", - დასძენს გიგა ქურდოვანიძე.

მოგეხსენებათ, ომის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწილი საინფორმაციო ომია და ვისაც პარლამენტში ოფიციალური ინფორმაციის ოპერატიულად გაშუქება ევალებოდა, უდიდესი პრობლემის წინაშე აღმოჩნდა: ყველა განცხადება, რომელსაც პარლამენტის ვებ-გვერდზე აქვეყნებდნენ ჩანდა ლოკალურად მხოლოდ უწყების სერვერზე. ეს არის ძალიან მიზანმიმართული პოლიტიკა და განსაკუთრებით სტრატეგიული შეიარაღებული კონფლიქტის დროს. ამ მიმართულებით კი რუსმა სპეც-სამსახურებმა კარგად იმუშავეს, დაგვიხმეს ინტერნეტ-სივრცე, რომელიც ინფორმაციის მიღების ერთადერთ საშუალებას წარმოადგენდა. პარლამენტის ვებ-გვერდის პარალელურად, კიბერშეტევებს პრეზიდენტის ადმინისტრაციის, საგარეო საქმეთა სამინისტროს, ეროვნული ბანკის, პროკურატურის, შსს-სა და თავდაცვის სამინისტროების, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის, ტელეკომპანია რუსთავი 2-ისა და სხვადასხვა საინფორმაციო სააგენტოების ვებ-გვერდები ემსხვერპლა.

როგორც ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარების ცენტრის (ITDC) გენერალური დირექტორი მამუკა მონავარდისაშვილი აცხადებს, მასირებული შეტევები 8 აგვისტოდან დაიწყო: "ქართული ჰოსტინგ-სერვერების წინააღმდეგ უამრავი (ხშირად დაზომბირებული) კომპიუტერი (რუსეთიდან და არა მარტო) ცდილობდა ფსევდო დაკავშირების განხორციელებას, რითაც ფაქტობრივად წურავდა ჩვენს რესურსებს. ხდებოდა წამში ათასობით დაკავშირების სიმულაცია, რაც პრაქტიკულად სერვერებს გარკვეული დროის განმავლობაში მიუწვდომელს ხდიდა. სამწუხაროდ, ამ სიტუაციას ყველანი მოუმზადებელი დავხვდით, რამაც, საბოლოო ჯამში, შეამცირა საინფორმაციო პოლიტიკის გატარების ეფექტურობა ამ კრიტიკულ დღეებში, საკმაოდ მწვავე შეტევა განიცადა პრეზიდენტის ვებ-გვერდმაც. შემოტევების რაოდენობა დაახლოებით წამში 64 000 პაკეტს უტოლდებოდა და თავდასხმები ორგანიზებულად ხორციელდებოდა. ამ კიბერომში ძალიან ბევრი მოხალისეც იქნებოდა ჩართული. ძნელია დაადასტურო, რომ ეს მაინც და მაინც რუსი სპეც-სამსახურებიდან მოდიოდა, თუმცა ამის გამორიცხვაც არ შეიძლება, რადგანაც ეს ხორციელდებოდა ორგანიზებულად. ქსელი, რომელიც რუსულ IP-ზეა გაწერილი, მიზანმიმართულად მუშაობდა საქართველოს "დაბომბვაზე". ჩამოფრინდნენ ჩვენი ამერიკელი კოლეგები კომპანია Tulip Systems-დან და საიტი ატლანტაში გადავიტანეთ, შემდეგ კი გადატანიდან 15 წუთის შემდეგ რუსებმა ისევ განახორციელეს შეტევა. შემდგომში ამერიკელებმა იგი კვლავ სხვა სერვერზე გადაიტანეს, რომლის ლოკალური სიჩქარე 100 მეგაბიტი იყო, თუმცა ისევ გადაიტვირთა, მოთხოვნა წამში 67 მეგაბიტს აღწევდა. ასე რომ, ეს ყველაფერი ორგანიზებულად ხდებოდა", - აღნიშნავს იგი.

ქართულ ინტერნეტ-სივრცეზე რომ ორგანიზებული შეტევა განხორციელდა, "ნიუ-იორკ ტაიმსიც" წერდა: "სპეციალისტების აზრით, მხოლოდ და მხოლოდ ამ მიზნით შეიქმნა საიტი www.stopgeorgia.ru, რომელიც ავრცელებს სპეციალურ პროგრამას, რომლის დახმარებითაც ნებისმიერ მსურველს საშუალება აქვს ამ მასირებულ შეტევებში მიიღოს მონაწილეობა," - აღნიშნავდა გამოცემა. რუსულ კვალზე საუბრობდნენ CNN, BBC და გაზეთი "ვაშინგტონ პოსტიც", სადაც ექსპერტები განმარტავდნენ, რომ რუსეთი მიზანმიმართულად ახორციელებდა კიბერ-თავდასხმებს, თუმცა საპირისპირო განცხადებებს ავრცელებდნენ რუსული მედია-საშუალებები, რომლებიც მომხდარში უბრალო ენთუზიასტებს ადანაშაულებდნენ და აღნიშნავდნენ, რომ პარალელურად შეტევები რუსულ და ოსურ ვებ-გვერდებზეც მიმდინარეობდა. მართლაც, მსგავსი თავდასხმების შედეგად მწყობრიდან გამოვიდა ოსური და რუსული

საინფორმაციო რესურსები, გატყდა რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ერთ-ერთი უწყების საიტი, რომელზეც წარწერა STOP RUSSIA და გორის დაბომბვის ამსახველი ფოტო განთავსდა, თუმცა ეს შეტევები, რა თქმა უნდა, ისეთ ორგანიზებულ ხასიათს არ ატარებდა, როგორც ეს ქართულ ვებ-გვერდებზე თავდასხმის შემთხვევაში იყო.

ქართული საიტების აღდგენა უმოკლეს ხანში მოხერხდა. დახმარება ქართველ სპეციალისტებს ბალტიისპირელმა და ამერიკელმა სპეციალისტებმა აღმოუჩინეს. რიგი საიტების გადატანილ იქნა უცხოურ სერვერებზე, შეიქმნა სპეციალური ვებ-გვერდი www.georgiamfa.blogspot.com, რომელიც საქართველოს ხელისუფლების განცხადებებს ავრცელებდა. ამას გარდა, პოლონეთის პრეზიდენტის ლეხ კაჩინსკის ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.president.pl, განთავსდა სპეციალური რუბრიკა- Information about the latest developments in Georgia, სადაც ასევე შუქდებოდა ოფიციალური ინფორმაცია საქართველოში მიმდინარე მოვლენების შესახებ. სხვათაშორის, რუსული ინტერნეტ-აგრესიისგან დაცვაზე ყურადღება გაამახვილეს აშშ-ს თავდაცვის მინისტრმა რობერტ გეიტსმა და ნატოს გენერალურმა მდივანმა იაპ დე ჰოოპ სხეფერმაც. როგორც მათ აღნიშნეს, ამერიკაც და ნატოც მზადაა საქართველოს ამ მიმართულებით სათანადო დახმარება აღმოუჩინოს.

ჩვენი დატა-ცენტრების აპარატურული და პროგრამული საშუალებები ნაკლებადაა ორიენტირებული უსაფრთხოების საკითხების დროულ გადაჭრაზე. ხშირად რესურსები გაფანტულია სხვადასხვა უწყებრივ სერვერებსა და პროვაიდერების სერვერებზე. უმჯობესია შეიქმნას ერთობლივი კომისია სათანადო სახელმწიფოებრივი სტრუქტურების წარმომადგენელთა, IT სპეციალისტთა შემადგენლობით, რომელიც იმუშავებს საქართველოში ისეთი სამთავრობო დატა-ცენტრის ორგანიზებაზე, რომელიც მთლიანად უზრუნველყოფს ქართული საინფორმაციო ინტერნეტ რესურსების უსაფრთხო ფუნქციონირებას და საქართველოს კიბერ უსაფრთხოების სპეციალისტების მოსამზადებლად სათანადო პირობებს. ასევე, ასეთ კრიტიკულ პერიოდებში გაუწევს კოორდინაციას სხვადასხვა პროვაიდერების და დატა-ცენტრების მუშაობას უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

ინტერნეტი რომ საინფორმაციო ომის ერთ-ერთი მძლავრი იარაღია, ცოტა ხნის წინ თვალსაჩინოდ გამოჩნდა, ასეთი შემთხვევები კი მომავალშიც შესაძლოა განმეორდეს, ამიტომ, ალბათ, მართლაც ღირს კიბერთავდაცვასა და კიბერტაქტიკის მიმართულებით სერიოზული სამუშაოების ჩატარება.

ლიტერატურა:

1. ინტერნეტ-საიტი - gesj.internet-academy.org.ge/gesj_articles/1645.pdf.
2. ინტერნეტ-საიტი - www.itdc.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=5 - STOP CYBERRUSSIA .
3. გაზეთი ნავიგატორი - 09 სექტემბერი, 2008.

INTERNET INFORMATION RESOURCES IN CONFLICT REGULATION

Tinatini Mshvidobadze, Gori Teaching University, Associate Professor

SUMMARY

The article discusses the cyber attacks against governmental and internet resources of Georgia during the war started on August 8th.

It shows the importance of the internet, as one of the powerful tool of information war for regulation of conflicts.

ქართულ-აფხაზური კონფლიქტი, წარსული და დღევანდელი

ლიკა ტერტერაშვილი, მანანა გაგნიძე

გორის სასწავლო უნივერსიტეტი,
ბაკალავრიატის სწავლების მესამე წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: ნინო ორჯონიკიძე, სრული პროფესორი

1992-1993 წლებში დაიწყო ომი საქართველოს სამთავრობო ჯარებსა და სეპარატისტულად განწყობილ ეთნიკურ აფხაზთა ერთ ნაწილს შორის, რომელიც 13 თვეს გაგრძელდა. სეპარატისტთა მხარეს ასევე იბრძოდნენ ადგილობრივი სომხები (ბაგრამიანის სახელობის ბატალიონი), დაქირავებული მეზომოლები ჩრდილოეთ კავკასიიდან, კაზაკთა შეიარაღებული მილიციის მეომრები, რომელთაც არაოფიციალურად მხარს უჭერდა რუსეთის სამხედრო ბაზის გარნიზონი გუდაუთაში.

კონფლიქტის შედეგად დაიღუპა 20 000-დან 30 000-მდე ეთნიკური ქართველი, ხოლო 250,000-ზე მეტი ადამიანი კი აფხაზეთიდან ლტოლვილი გახდა. კონფლიქტის განმავლობაში ორივე მხარის მიერ ჩადენილი იქნა უამრავი სამხედრო დანაშაული, მათ შორის ქართული მოსახლეობის ეთნიკური წმენდა. მოკლული იქნა 2,500-დან 4,000-მდე აფხაზი, 20,000 აფხაზი კი ლტოლვილად იქცა.

პოსტსაბჭოური საქართველოსთვის კონფლიქტის შედეგები ძალიან მძიმე აღმოჩნდა. ქვეყანამ მიიღო უდიდესი მსხვერპლი, უმძიმესი ფინანსური და ფსიქოლოგიური ზიანი. ომმა და ომის შემდგომმა უწყესრიგო შეტაკებებმა აფხაზეთის ტერიტორია მთლიანად გააპარტახა. დღესაც აფხაზეთის რეგიონი, რომელიც საქართველოსგან დე ფაქტო დამოუკიდებლობით სარგებლობს, მძიმე სოციალური და ეკონომიკური პრობლემების წინაშე დგას. მიუხედავად თვითგამოცხადებული დამოუკიდებლობისა, აფხაზეთის რეგიონი მთლიანად დამოკიდებულია რუსეთის ფედერაციაზე. როგორც თვით აფხაზები აცხადებენ, რეგიონი რუსეთის ფედერაციის „დე ფაქტო პროტექტორატია“.

აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში სიტუაცია ჯერ კიდევ 1980 წლების ბოლოდან დაიძაბა, როდესაც ანტი-საბჭოურად განწყობილმა ოპოზიციამ სსრკ-დან საქართველოს გამოყოფა მოითხოვა. 1989 წლის მარტში, აფხაზმა ნაციონალისტებმა ლიხნის დეკლარაციით აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისათვის ცალკე საბჭოთა რესპუბლიკის სტატუსის მინიჭება მოითხოვეს. შემოსენებული დეკლარაცია ხელმოწერილი იქნა სოხუმის უნივერსიტეტის რექტორის მიერ. უნივერსიტეტის ეთნიკურად ქართულმა სტუდენტობამ ამ ფაქტს საპროტესტო დემონსტრაციით უპასუხა. თუმცა ეს დემონსტრაცია საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ აკრძალულ იქნა. მიუხედავად ამისა, სტუდენტთა საპროტესტო აქცია გაგრძელდა და საბოლოოდ აფხაზ ნაციონალისტთა ერთი ჯგუფის მხრიდან თავდასხმის ობიექტი გახდა. ამ ფაქტით გამოწვეული აღშფოთება საერთო-სახალხო მღელვარებაში გადაიზარდა როგორც სოხუმში, ასევე თბილისშიც. დაძაბულობამ პიკს 1989 წლის აპრილში მიაღწია და 9 აპრილის ტრაგედიით დასრულდა.

პირველი შეიარაღებული შეტაკება ქართულ და აფხაზურ მოსახლეობის ერთ ნაწილს შორის 1989 წლის 16-17 ივლისს მოხდა სოხუმში. გავრცელებული მოსაზრებით, შეტაკებების გამომწვევი მიზეზი გახდა სოხუმის უნივერსიტეტის მისაღები გამოცდებისას მომხდარი ძალადობის ფაქტები. ამ ფაქტებისაგან გამოწვეული სამოქალაქო მღელვარება სწრაფად გადაიზარდა შეიარაღებულ შეტაკებებში, რომელთა შედეგად დაიღუპა 16 და დაიჭრა 140-მდე მოქალაქე, ძირითადად ეთნიკური ქართველი.

აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში დაძაბულობამ საშიშ ზღვარს 1992 წელს მიაღწია, როდესაც აფხაზურმა შეიარაღებულმა ფორმირებებმა სამთავრობო სტრუქტურების შენობებს შეუტყეს. 1992 წლის 23 ივლისს, აფხაზეთის თვითგამოცხადებულმა ხელმძღვანელობამ რეგიონის დამოუკიდებლობის შესახებ განაცხადა. ამ განცხადებას საერთაშორისო აღიარება არ მოჰყოლია, თუმცა უკიდურესად დაძაბა სიტუაცია ცენტრსა და ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობას შორის, ისევე როგორც ადგილობრივ მოსახლეობაში.

ამრიგად, 1992 წლის 23 ივლისის დადგენილებით ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე საქართველოს კონსტიტუციის მოქმედება შეჩერდა. ცენტრსა და რეგიონს შორის დაწყებული იურიდიული ომი 22 დღეში შეიარაღებულ დაპირისპირებაში გადაიზარდა.

კონფლიქტის შედეგად ქართული მხრიდან 3.000-ზე მეტი მარტო ჯარისკაცი დაიღუპა. სეპარატისტები და მათი თანამებრძოლები საშინლად გაუსწორდნენ აფხაზეთის მშვიდობიან ქართულ მოსახლეობას, მარტო პატარა საკურორტო ქალაქ გაგრაში 1.000-მდე მშვიდობიანი მოქალაქე გამოასალმეს სიცოცხლეს სასტიკი წამებითა და შეურაცხყოფით. ეთნიკური წმენდა და მშვიდობიანი მოსახლეობის განადგურების საშინელი ფაქტები დაფიქსირებული გუდაუთის, სოხუმის, ოჩამჩირისა და გალის მუნიციპალიტეტებში. სეპარატისტები ხშირ შემთხვევაში მათ მიერ აღებული სოფლების ქართულ მოსახლეობას თითქმის

მთლიანად ანადგურებდნენ (სოფ. ოთხარა-გუდაუთის მუნიციპალიტეტი; სოფ. ახალშენი, სოფ. კამანი, სოფ. შრომა, სოფ. ზემო ეშერა-სოხუმის მუნიციპალიტეტი; სოფ. ახალდაბა, სოფ. ახალი კინდლი, სოფ. ქოჩარა, სოფ. მერკულა-ოჩამჩირის მუნიციპალიტეტი) და ა.შ. ქართველების განადგურებამ პიკს ქალაქ სოხუმში მიაღწია, ქალაქის აღების შემდეგ 1.000-მდე სოხუმელი გახდა საშინელი წამების მსხვერპლი. საერთო ჯამში დაუზუსტებელი ინფორმაციით 5.000-ზე მეტი მშვიდობიანი მოქალაქე დაიღუპა.

საომარი მოქმედებების გამო აფხაზეთის ავტონომიურმა რესპუბლიკამ განიცადა უზარმაზარი ნგრევა და ეკონომიკის კოლაფსი. მთლიანად განადგურდა რკინიგზა. განადგურდა 450 კილომეტრი სიგრძის საავტომობილო გზა, 32 ხიდი, 500 კილომეტრი სიგრძის ელექტროგადამცემი ხაზები და სხვა. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ლეგიტიმური მთავრობის ინფორმაციით კონფლიქტის შედეგად ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე განადგურდა 49.000-მდე შენობა, აქედან 43.000 კერძო საცხოვრებელი სახლი. 30 ერთეული კულტურისა და 25 ერთეული ადმინისტრაციული ობიექტი. ქალაქ სოხუმში განადგურდა 10.000-მდე შენობა, გაგრის მუნიციპალიტეტში 9.000 შენობა, სოხუმის მუნიციპალიტეტში 2.500 შენობა, გუდაუთის მუნიციპალიტეტში 400 შენობა, გულრიფშის მუნიციპალიტეტში 4.000 შენობა, ოჩამჩირის მუნიციპალიტეტში 8.000 შენობა, გალის მუნიციპალიტეტში 15.000 შენობა.

დღეისათვის აფხაზეთი ქართველებისთვის პრაქტიკულად დაკარგულია - თითქმის ისევე, როგორც კოსოვო სერბეთისთვის. პარადოქსულად ჟღერს, მაგრამ თბილისის ერთადერთი შანსი, ეს პროცესი შემოაბრუნოს და ქართველ დევნილებს საკუთარ სახლებში დაბრუნების შესაძლებლობა მისცეს, ბლოკადაზე უარის თქმაა. თბილისმა უნდა აღადგინოს კავშირები აფხაზეთთან და გაათავისუფლოს იგი რუსეთზე დამოკიდებულებისგან. ეს ნიშნავს სანქციების გაუქმებას, თურქეთთან საზღვაო მიმოსვლის აღდგენას და იმ რკინიგზის გახსნას, რომელიც აფხაზეთს დასავლეთ საქართველოსთან აკავშირებს.

ასეთი პოლიტიკა ზოგად ატმოსფეროს შეცვლიდა და აფხაზებს აიძულებდა დათანხმებულიყვნენ სერიოზულ მოლაპარაკებებსა და იმ საკითხის განხილვაზე, რომელსაც საკვანძო მნიშვნელობა აქვს მათი მომავალი სტატუსისთვის: აფხაზეთის პასუხისმგებლობაზე ომამდელი ქართული მოსახლეობის წინაშე.

აფხაზეთის დე ფაქტო მინისტრთა კაბინეტმა აფხაზეთის ეკონომიკის 2011 წლის განვითარების გეგმა მიიღო.

აფხაზეთის დე ფაქტო ეკონომიკის მინისტრის კრისტინა ოზგანის განცხადებით, აფხაზეთის შიდა პროდუქტი 2011 წელს 46 მილიარდ რუბლს შეადგენს, რაც 2010 წელთან შედარებით 20%-ით მეტია.

მრეწველობის მიერ წარმოებული პროდუქცია 2010 წელთან შედარებით 37%-ით მეტი იქნება, ხოლო სატრანსპორტო სფეროში 28%-ით. ტურისტული სფერო 39%-ით გაიზრდება. ექსპორტი 37%-ით გაიზრდება, ხოლო იმპორტი 21%-ით.

დასაქმებულთა რიცხვი 2%-ით გაიზრდება და 26 200 შეადგენს, ხოლო მათი ჯამური ხელფასი 2,1 მილიარდ რუბლს რაც 2010 წელთან შედარებით 15%-ით მეტია. საშუალო ხელფასი 7500 რუბლს შეადგენს.

საქართველო ოკუპირებულ აფხაზეთზე ემზარგოს ოფიციალურად აგრძელებს, თუმცა ექსპერტები და ადგილობრივი დამკვირვებლები ფიქრობენ, რომ საქართველოს სანაპირო დაცვამ ემზარგო შეასუსტა და აფხაზეთის ნავსადგურებისკენ მიმავალ თურქულ გემებს აღარ აკავებს.

აფხაზეთის ბლოკადა და ეკონომიკური საქმიანობის აკრძალვა, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის მიერ, 1996 წელს ოფიციალურად გაფორმდა. მიუხედავად ამისა, 2000 წლიდან რუსეთმა ნელ-ნელა ეკონომიკური სანქციები გააუქმა. ამას სახმელეთო ვაჭრობის გამოცოცხლება მოჰყვა. საქართველოს საზღვაო პატრული ყველაფერს აკეთებდა, რომ სანაოსნო მიმოსვლა, აფხაზეთთან ვაჭრობის მსურველთათვის, იშვიათი და სახიფათო ყოფილიყო.

1999 წლიდან 2009 წლამდე საქართველოს საზღვაო პატრულმა 60-ზე მეტი გემი დააპატიმრა. მათგან ბევრი მოგვიანებით აუქციონზე გაიყიდა, ხოლო ზოგიერთი ეკიპაჟის მეზღვაური, მცირევადიანი სასჯელით, საქართველოს საპრობილეებშიც მოხვდა. თურქეთის ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ფონდის მკვლევარი, არგუნ ბასკანი, ამბობს, რომ მას შემდეგ, რაც რუსეთმა 2008 წელს აფხაზეთის დამოუკიდებლობა ცნო, თურქეთსა და აფხაზეთს შორის ეკონომიკური და კულტურული კავშირები მნიშვნელოვნად გაფართოვდა.

ბოლო წელიწადნახევრის განმავლობაში გაიზარდა როგორც თურქეთის გემების რაოდენობა, ასევე თურქული ინვესტიციების მოცულობა.

როგორც ეტყობა, ანკარა აფხაზურ დიასპორას, ყურს მხოლოდ გარკვეული თვალსაზრისით უგდებს. რუსეთის მიერ დამოუკიდებლობის აღიარების შემდეგ თურქეთმა ოკუპირებულ აფხაზეთთან მაღალი დონის დიპლომატიური კონტაქტები გააფართოვა.

მიუხედავად იმისა, რომ 2008 წლის შემდეგ ეთნიკურად აფხაზი თურქების მცირე რაოდენობა დაბრუნდა აფხაზეთში – ბასკანის ვარაუდით, 50 ოჯახი წელიწადში – მათ დიდი ზეგავლენა იქონიეს

აფხაზური ეკონომიკის განვითარებაზე, წამოიწყეს სხვადასხვა ბიზნესი და იმპორტ-ექსპორტის კომპანიებიც კი დააარსეს.

აფხაზეთში იმპორტის 60% თურქეთიდანაა, ხოლო აფხაზური ექსპორტის 45% თურქეთში გადის. თურქეთიდან შემოსულ საქონელზე გადახდილმა საბაჟო გადასახადებმა აფხაზეთის ბიუჯეტის 30% შეადგინა.

აფხაზეთში თურქული ინვესტიციები და ბიზნესი მნიშვნელოვნად შეავიწროვა ასეულობით მილიონი დოლარის ინვესტიციებმა, რომლებიც რუსეთის სახელმწიფომ თუ რუსულმა კერძო კომპანიებმა, 2008 წლის ომის შემდეგ განახორციელეს. სავაჭრო და ეკონომიკური კავშირები თურქეთთან სულ უფრო გაღრმავდება და თურქული კომპანიები სოჭის 2014 წლის ოლიმპიადასთან დაკავშირებული სამშენებლო პროექტებისთვისაც იბრძობებენ. საეჭვოა, რომ ანკარის პოლიტიკური პოზიცია შეიცვალოს. ამკარაა, რომ თურქეთის მიერ აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარება „ძალზე არარეალურია“ და ამ თვალსაზრისით ოფიციალური ანკარის შეხედულება აშშ-სა და NATO-ს პოზიციას დაემთხვევა. „საბოლოო ჯამში, რაც უფრო გაიხსნება აფხაზეთი მსოფლიოსთვის, მით უფრო გაუფართოვდება მას თვალთახედვა და უფრო ობიექტურად განეწყობა სხვებთან, მათ შორის, საქართველოსთან ურთიერთობების იდეის მიმართ“. ინტერფაქსის ცნობით, აფხაზეთში მუშაობა დაიწყეს სახელმწიფო პროგრამაზე, რომლის მიზანია 1992-93 წლების ქართულ-აფხაზური ომის შედეგების ლიკვიდაცია.

სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გეგმა სამწლიანია: 2010-2012 წ.წ. გათვალისწინებულია რუსეთის მხრიდან უანგარო ფინანსური დახმარება 10,8 მილიარდი რუბლით. გასულ წელს აფხაზეთმა ამგვარი დახმარების სახით 1,8 მილიარდი რუსული რუბლი აითვისა. ნაშთმა 2011 წლისთვის 1,2 მილიარდი რუბლი შეადგინა.

უამრავი ადამიანის გაუბედურებასთან ერთად, ომი, შესაძლოა, ეკონომიკისთვის და ეკოლოგიისთვისაც გამანადგურებლად საზიანო აღმოჩნდეს. უამრავი ქვეყნის მაგალითის დასახელება შეიძლება, რომლებმაც გადატანილი ომის შემდეგ მუხლის გამართვა ვერ შეძლეს და ეკონომიკური სტაბილურობის მიღწევისთვის ათეულობით წლები დასჭირდათ.

მაგრამ საქართველოს გარდა, ალბათ, ძნელად თუ მოიძებნება ქვეყანა, რომელმაც ბოლო ოცი წლის განმავლობაში სამოქალაქო შეიარაღებული დაპირისპირება და სამი ომი გადაიტანა და ამ ფონზეც კი ინარჩუნებს შედარებით სტაბილურობას. მართალია, გადატანილი ომების პირდაპირ თუ არაპირდაპირ შედეგებს ჯერ კიდევ ვიძვით და კარგა ხანსაც მოვიძვით, მაგრამ ასეთ პირობებში თუნდაც დროგამოშვებით ერთი ნაბიჯის წინ გადადგმა ძალიან მნიშვნელოვანია და მაინც ნელ, მაგრამ წინსვლაზე მიანიშნებს.

ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის დროებითი საპარლამენტო კომისიის თავმჯდომარემ, შოთა მალაშვიამ განაცხადა, რომ საქართველო რუსეთისგან 2008 წლის აგვისტოს აგრესიის გამო 20 მილიარდ აშშ დოლარს ითხოვს – სწორედ ამ თანხად შეფასდა რუსი სამხედროების მიერ საქართველოსთვის მიყენებული ზარალი.

მალაშვიას თქმით, ამ თანხას დაემატება კიდევ 13 მილიარდი დოლარი, რაც რუსების მხრიდან საქართველოს ეკოლოგიისთვის მიყენებული ზარალის ასანაზღაურებელი თანხაა. საერთო ჯამში, საქართველო რუსეთისგან 33 მილიარდ აშშ დოლარს ითხოვს.

„საქართველოსა და აფხაზეთს შორის საზღვარი რუსმა მესაზღვრეებმა უკვე გადაკეტეს. თანამშრომლობის შემდეგი ფაზა ეკონომიკურია. აფხაზეთის სახელმწიფოს შექმნისთვის ეს ფაზა უმნიშვნელოვანესია. „როსნეფტმა“ შავი ზღვის აფხაზეთის სანაპიროზე ნავთობის მოპოვების 5-წლიანი ლიცენზია 2009 წელს მოიპოვა, თუმცა ადგილზე აქტიური მუშაობა არ დაუწყია, ჯერ მხოლოდ უცხოური ინვესტიციების მოზიდვით არის დაკავებული.

რუსული ნავთობგიგანტი აფხაზეთის ტერიტორიაზე შვილობილი კომპანიის, „აფხაზური შელფის“ საშუალებით მოქმედებს, რომლის აქციების 51% მის საკუთრებაშია, ხოლო დანარჩენ აქციებს კომპანია „აფხაზეთის საწვავი“ ფლობს.

წინასწარი გათვლების მიხედვით შავ ზღვაში ნავთობის მნიშვნელოვანი მარაგი უნდა იყოს, თუმცა მუშაობა შავი ზღვის აუზის არცერთ ქვეყანას ჯერ არ დაუწყია, რადგან ტექნოლოგიურად ეს რთული პროცესია და უზარმაზარ ფინანსურ რესურსებს მოითხოვს.

ლიტერატურა:

1. ს. საჯაია, დემოკრატიული გადაგვარებით „ცივილური გადაშენებისაკენ“, თბ., 2005;
2. გერონტი გასვიანი, თორნიკე გასვიანი, „აფხაზეთის ომი“, თბ., 2005;
3. ს. საჯაია, ე.წ. თანამედროვე მსოფლიო წესრიგი და დივერსიული ეთნო ფაბრიკაციები ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში (ცხუმ-აფხაზეთში), თბ., 2005;
4. www.sapikhvno.org

5. www.rustavi2.com
6. www.literatura.mcvane.ge

GEORGIAN-ABKHAZIAN CONFLICT: THE PAST AND THE PRESENT

Lika Terterashvili, Manana Gagnidze,

Gori Teaching University, The Third Year Students of Bachelor's Degree

Instructor: Nino Orjonikidze, Full Professor

RESUME

In 1992-93 the war began between the Georgian government armies and one of the part of separatist ethnical Abkhazians. The war lasted for 13months.

After the conflict about 20000-30000 ethnic Georgians died and over 250000 people became IDPs.

Nowadays Abkhazia is considered to be lost the Georgians-like Kosovo for Serbians. It sounds paradoxical, but the only chance for Tbilisi to change the situation and help IDPs to return to their homes-is to leave the Sea.

Tbilisi should renew relationship with Abkhazia and to make it free from Russia. This means – to abolish sanctions, renew naval contact with Turkey and reopen the railway contacting the West Georgia and Abkhazia.

მშვიდობის დამყარებისაკენ მიმართული ნაბიჯები

ნელი ჭამპურიძე

გორის სასწავლო უნივერსიტეტი, სრული პროფესორი

ომი და ომის შედეგები საქართველოს ტერიტორიაზე, არ შეიძლება ჩაითვალოს მარტივ ეთნიკურ კონფლიქტად. ამ კონფლიქტებს გლობალური დატვირთვა აქვს. დღეს ხელისუფლებასა და მთელ სამოქალაქო საზოგადოებას უდიდესი ძალისხმევა მიმართება, რათა კონტროლიდან გამოსული მდგომარეობა გადაყვანილი იქნას კონფლიქტის დარეგულირების პროცესში და მიღწეულ იქნას პროგრესი.

ნდობის აღდგენასა და სამშვიდობო პროცესებში მნიშვნელოვანია ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელთა ჩართულობა, რომლებმაც საკუთარ თავზე გადაიტანეს კონფლიქტების მთელი სიმძიმე. მშვიდობა ბალანსის, სტაბილურობის და განვითარების რთული, პოზიტიური მდგომარეობაა. მშვიდობა მუდმივი ქმედების პროცესია და ამიტომაც, იგი მოითხოვს ჩვენგან დემოკრატიის კუთხით დინამიურ განვითარებას. ქვეყნის მომავალი მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად აქტიურადაა ჩართული ქვეყნის პრობლემების მოგვარებასა და სამომავლო განვითარების პროცესებში სამოქალაქო საზოგადოება. დემოკრატიული ქვეყნის მშენებლობის პროცესში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქალთა ჩართულობა სამშვიდობო პროცესებში. შესაბამისი კვლევები ნათელყოფს, რომ საზოგადოება ომისა და კონფლიქტის შემდგომ უფრო კონსერვატიული ხდება. გენდერული სტერეოტიპები უფრო კონსერვატიულ სახეს იღებენ. შესაბამისად ქალები პოსტ-კონფლიქტურ საზოგადოებაში უფრო მოწყვლადი ხდებიან ვიდრე ომის წინ იყვნენ. გამოკვლევები გვიჩვენებენ, რომ სასიცოცხლო მნიშვნელობის კავშირია გენდერულ თანასწორობას, დემოკრატიასა და მშვიდობას შორის.

ქალს თავისი თვისებებისა და სოციალური გამოცდილების გამო უნიკალური როლი აქვს კონფლიქტების გადაწყვეტის, მშვიდობის დამყარებისა და შენარჩუნების საქმეში. „ქალი ყოველივე არსის გვირგვინია“ - (გოეთე). ქალს შესწევს უნარი შეცვალოს სამყაროს განვითარების სწორხაზოვანი პროცესი. ბედნიერია ის მამაკაცი, რომელსაც შეხვდა ცოლად დედაკაცი კეთილი და მაღლიანი: “რომელმან ჰპოვოს ცოლი კეთილი, უპოვნის მაღლი. ბედნიერია კარგი ცოლის ქმარი და რიცხვი მისი დღეებისა გაორმაგდება, ღირსეული დედაკაცი ქმრის გვირგვინია“ (იგავ. 18-22;12,4) - გვმოდგვრავს უფლის იგავი [1,25].

ყოველი ერის დაცემა მაშინ იწყება, როცა ქალთა ზნეობრივი კრიტერიუმი გადაგვარდება. „მოგვეცი თუკეთესი დედები და ჩვენც უკეთესი ადამიანები გავხდებით“ - (ჟან პოლი). ადამიანებიც მუდამ იქნებიან ისეთნი, როგორებადაც მათ შექმნიან ქალები. ქალი შეიქმნა ყოველივე ცოცხალის დედად. მასშია

ყველაფრის დასაბამი. იგი აძლევს ყოველივეს სიცოცხლეს. „დედაკაცი ბურჯია ერისა, მამაკაცი - ზღუდე-გალავანი“, - ამბობს ილია ჭავჭავაძე. დიდი ილია ჯერ კიდევ გასული საუკუნის დასაწყისში საუბრობდა ქალთა უფლებებზე, მასზე, თუ რამდენად დიდია და მნიშვნელოვანი ქალის როლი და მისი ხედვა ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ქალებს ბევრი უპირატესობა აქვთ, როგორც კონფლიქტის მოგვარების და მშვიდობის დესპანთ. სამოქალაქო აქტივობიდან და ოჯახური ზრუნვიდან მოლაპარაკების პროცესში ჩართულ ქალს რეალურად უფრო მეტი მოტივაცია გააჩნია, ძალადობის გარეშე მოაგვაროს კონფლიქტი, ვიდრე მამაკაცს. ამიტომაც ქალთა ჩართულობა კონფლიქტის მოგვარების პროცესში სასურველ შედეგებამდე მიგვიყვანს.

გაეროს გენერალურმა მდივანმა, კოფი ანანმა აღნიშნა: „თაობების განმავლობაში ქალი ემსახურებოდა მისიას ყოფილიყო განმანათლებელი მშვიდობისათვის როგორც თავის ოჯახში, ისე საზოგადოებაში. ისინი აგებდნენ ხიდებს, რომლებიც აერთიანებდნენ და არა კედლებს, რომლებიც აცალკევებდნენ ადამიანებს“ (2000 წ. ოქტომბერი). [2,1]

ომის შემდგომ ქალის როლი და გამოცდილება განხილული უნდა იყოს ქვეყანაში დემოკრატიის პროცესების, დეცენტრალიზაციის და საკანონმდებლო რეფორმების სხვადასხვა ასპექტში. კონფლიქტის შეწყვეტა და მისი მშვიდობიანი ცხოვრების წესით შეცვლა, რა თქმა უნდა, მხარეთა შერიგების პროცესის გარეშე წარმოუდგენელია, ხოლო ეს პროცესები, თავის მხრივ, შეუძლებელია ქალთა სრულფასოვანი მონაწილეობის გარეშე. თითოეული ჩვენგანი ვალდებულია იშრომოს იმისათვის, რომ თავისი წვლილი შეიტანოს კონფლიქტების შემდგომი რეაბილიტაციისათვის, სამშვიდობო პროცესების ხელშესაწყობად, ტოლერანტული რეალობის ასაშენებლად. კონფლიქტების მიმდინარეობისა და მის შემდგომ პერიოდში ქალები აღმოჩნდებიან მძიმე მდგომარეობაში. ამავე დროს მათ ეძლევათ უნიკალური შანსი, მონაწილეობა მიიღონ ახალი საზოგადოების მშენებლობაში, ძველის ნანგრევებზე. ქალებს საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით გააჩნიათ შესაბამისი ცოდნა საჭიროებების შესახებ, რომელიც უნდა გამოიყენოს, რათა კანონიერებამ და სტაბილურობამ შედეგი მოიტანოს.

ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში მიმდინარე ტრაგიკულმა პროცესებმა გამოიწვია ორი მოძმე ერის - ქართველებისა და ოსების დაშორება. ასეთ პირობებში უაღრესად მნიშვნელოვანია ქართველ და ოს ხალხთა შორის ნდობის აღდგენისაკენ მიმართული ნაბიჯების გადადგმა სახალხო დიპლომატიის კუთხით, დემოკრატიულ ღირებულებებზე, ტოლერანტულ ცნობიერებაზე დაფუძნებული სწორი, კომპლექსური, თანმიმდევრული ქმედებების განხორციელებით. არსებითია ადგილობრივ ქალთა აქტივობით ინიცირებული სახალხო დიპლომატიის შესაძლო წვლილიც. რეგიონის კულტურული თავისებურებებიდან და სოციალური როლიდან გამომდინარე ქალებს შეუძლიათ შეასრულონ მედიატორის როლი - როგორც მშვიდობის მნიშვნელოვანმა ადგილობრივმა რესურსმა, ნდობის აღდგენასა და მხარეების დაახლოებაში. ოსებსა და ქართველებს შორის ნდობის აღდგენის პროცესში აქტიურად არის ჩაბმული სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაცია. მათ შეძლეს ქალების მომზადება, რომ ისინი გამხდარიყვნენ „მშვიდობის მშენებლები“. ქალები აქტიურად მონაწილეობენ სხვადასხვა საინფორმაციო ხასიათის მრგვალ მაგიდა-შეხვედრებში. აღსანიშნავია, სახალხო დიპლომატიის მიმართულებით ორმხრივი შეხვედრები, რომლების იმართება ქალთა მონაწილეობით. ქალთა მოძრაობა ხელს უწყობს სიცოცხლისუნარიანი სამოქალაქო საზოგადოების შექმნას, ამ საქმეში კი ახალგაზრდობა უდიდესი რესურსია მომავალი ძლიერი ერთიანი და დემოკრატიული ქვეყნის ასაშენებლად. სწორედ ახალგაზრდობას ევალება მონაწილეობა მიიღოს სამშვიდობო პროცესის მხარდასაჭერ ღონისძიებებში. ძალზე მნიშვნელოვანია მშვიდობის მშენებლობის საქმეში ახალგაზრდების მობილიზება მშვიდობის კულტურის პოპულარიზაციისათვის.

ქალთა ჩართულობა და გააქტიურება ხელს შეუწყობს ჩვენს რეგიონში ე. წ. სამოქალაქო წიგნიერების განვითარებას და დემოკრატიული ღირებულებების დამკვიდრებას. ამავე დროს, ხელს შეუწყობს ახალგაზრდების სწრაფვას თვითრეალიზაციისა, დამოუკიდებელი მოღვაწეობისა და განვითარებისაკენ, მოქალაქეების მოსამზადებლად ინკლუზიურ საზოგადოებაში ცხოვრებისათვის. ქალთა მოძრაობა მშვიდობისა უსაფრთხოებისათვის ეფუძნება თანასწორუფლებიანობის პრინციპებს და ამ მოძრაობას შეუძლია შეუერთდეს ნებისმიერი ქალი, რომელსაც სურვილი აქვს აქტიურად ჩაერთოს ქვეყნის უსაფრთხოების, სამშვიდობო პროცესებში და ხედავდეს ამ მიმართულებით ქალთა რესურსების ინტეგრაციის აუცილებლობას. დიდი ძალისხმევა უნდა წარიმართოს მშვიდობის მხარდამჭერთა წრის გაფართოებისა და ამ პროცესებში მეტი ქალის და ახალგაზრდის, ზოგადად, საზოგადოების ჩართვისაკენ, ქვეყანაში მიმდინარე დემოკრატიული პროცესების ხელშესაწყობად და მშვიდობის დასამყარებლად.

ლიტერატურა:

1. ბიბლია, თბ., 2001;
2. გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია, 2000.

STEPS TOWARDS PEACE
Nelly Champuridze, Gori Teaching University, Full Professor
RESUME

Today it is very important to make steps for the confidence building between conflict parties through public democracy and correct, complex and consistent activities based on democratic values and tolerant mind. The contribution made by public diplomacy initiated with local women activities is also substantial. Based on cultural peculiarity of the region and social role, women can play the role of a mediator as an important local resource of peace in the confidence building and approachment of parties. Women have an advantage as an envoy of conflict resolution and peace. A women involved civil activities and family care as well as negotiation processes has actually more motivation to solve the conflict peacefully than a man. Therefore, women's involvement in the conflict resolution process will yield desirable results for the promotion of democratic processes in the country and establishment of peace.

რუსეთის ინტერვენცია საქართველოში 2008 წლის აგვისტოში და კრემლის მიერ წარმოებული მედიაომის ზოგიერთი საკითხი

დაზმირ ჯოჯუა

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი

უდავოდ არ იქნება არავითარი გადაჭარბება იმაში, თუ ვიტყვით, რომ 2008 წლის 7-12 აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომი წარმოადგენს მნიშვნელოვან ტეხილს ქართველი ერისა და ქართული სახელმწიფოს მრავალსაუკუნოვან ისტორიაში, ერთგვარ დერძს, რომლის ირგვლივაც "იბრუნებს" ჩვენი განვითარების ისტორია გრძელვადიან პერსპექტივაში. აგვისტოს ომი, თავისი უადრესად ნეგატიური შედეგებით - საქართველოს განუყოფელი ტერიტორიების ოკუპაციითა და აგრესორის მიერ აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარებით, - გახდა, გვინდა ეს ჩვენ თუ არა, საქართველოს შემდგომი განვითარების დეტერმინანტი. ეს შეეხება, უწინარეს ყოვლისა, უსაფრთხოების საკითხს, მის კონცეპტუალურ გადაფასებას და გარკვეულ რევიზიას. ეს სრულებით არ გახლავთ შემთხვევითი, პირიქით, გარკვეულწილად კანონზომიერიც არის. უსაფრთხოების დოქტრინა ქვეყნის საგარეო პოლიტიკის კოდექსია, რომელიც ყოველთვის ითვალისწინებს გეოპოლიტიკური სივრცის ტრანსფორმაციას და ამის პარალელურად თვითონაც ადექვატურად იცვლება. აგვისტოს ომმა მნიშვნელოვნად შეცვალა სამხრეთ კავკასიაში გეოპოლიტიკური კონფიგურაცია, შესაბამისად შეიცვალა საქართველოს უსაფრთხოების პრიორიტეტები: ჩვენი ქვეყნის დეზინტეგრაციის პროცესმა კრიტიკულ ზღვარს მიაღწია; არსებობს 1801, 1921 და 1991-1992 წლების განმეორების რისკი, ერის პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი ნების პარალიზების საფრთხე და ეს საფრთხე ისევ გარედან მოდის, ანუ საგარეო უსაფრთხოების სფეროში "დევს". სასიცოცხლოდ აუცილებელია უსაფრთხოების მოდელის ახალი ვარიანტები, რისკ-ფაქტორების ახლებური იდენტიფიკაცია და ადექვატურ ქმედებათა ახლებური დაგეგმვა.

ჩვენ გვჭირდება აგვისტოს ომის კომპლექსური მაკროსოციოლოგიური მოდელი, რომელშიც ლოგიკურად, კვალიფიციურად და პრაგმატულად იქნება გააზრებული ომის მიზეზები, შედეგები და ამ შედეგთა აღმოფხვრის მეტ-ნაკლებად ოპტიმალური ვარიანტები. ცხადია, რომ ასეთი მოდელის შექმნა შესაძლებელია მხოლოდ ინტეგრირებული ანალიტიკის მეშვეობით. ჩვენის აზრით, ინტეგრირებულ ანალიტიკაში სრულიად განსაზღვრული ადგილი უნდა დაიკავოს ომის მედიაკრატიულმა პლასტმა.

ამიტომაც ჩვენს აზროვნებას ზოგადად და პოლიტიკურ აზრს კონკრეტულად (არადა, ჯანსაღი პოლიტიკური აზროვნება ხომ სოციალური ცნობიერების ერთ-ერთი უპირველესი სახეობაა) დღეს გააჩნია ერთგვარი ზღვარი - რეალების ხარისხობრივად ახლებური გააზრება, საგარეო საფრთხეების შემეცნების გლობალურ კრიტერიუმებზე გადასვლა. ერთ-ერთი ასეთი კრიტერიუმია საინფორმაციო უსაფრთხოება, რომლის პარადიგმაც, როგორც ცნობილია, წარმოშვა გლობალურმა საინფორმაციო-ტექნოლოგიურმა რევოლუციამ.

საინფორმაციო რევოლუციამ უდიდესი გავლენა მოახდინა საერთაშორისო ურთიერთობათა მთელ სისტემაზე და კონკრეტულად საერთაშორისო კონფლიქტების მიმდინარეობის ფორმატსა და არსზე. ფაქტია, რომ დღესაც, ისევე როგორც ადრე, სამხედრო ძალა გამოდის გადამწყვეტ ფაქტორად საერთაშორისო სისტემაში. ამასთან, ფაქტია ისიც, რომ საინფორმაციო რევოლუციის გლობალური პროცესის ფარგლებში, ინფორმაციული სისტემები და ტექნოლოგიები მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ

სახელმწიფოთა სამხედრო სტრატეგიებზე, შეიარაღებულ კონფლიქტებზე. უფრო მეტიც: საინფორმაციო ომი, ინფორმაციული სისტემების ტოტალური გამოყენება შეიარაღებულ კონფლიქტებში ცვლის როგორც კონფლიქტის ხასიათს, ასევე სახელმწიფოთა სამხედრო-პოლიტიკური ხელმძღვანელობის შეხედულებებს ძალისმიერი პოლიტიკის წარმოების მიზნებსა და საშუალებებზე. მასმედია ძველებურად დამხმარე როლის მქონე კი არ არის, არამედ წარმოადგენს დამოუკიდებელ ფაქტორს, რომელსაც უზარმაზარი გავლენის მოხდენა შეუძლია ხალხებისა და სახელმწიფოთა ისტორიულ ბედისწერაზე. სწორედ ეს არის მედიაკრატიის არსი - როდესაც განსაზღვრული საინფორმაციო სისტემები (პრესა, ტელევიზია, ელექტრონული მედია) უშუალო ზეგავლენას ახდენენ პროცესებზე, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში თვითვე განაპირობებენ პროცესების ხასიათსა და მიმართულებას.

სოციოლოგები სპეციალურად ხსნიან თანამედროვე პირობებში საინფორმაციო რევოლუციის ნიშან-თვისებებს და მედიაკრატიის გენეზისის მთავარ ფაქტორად მიიჩნევენ თანამედროვე საზოგადოების ("საინფორმაციო საზოგადოების") შემეცნებით-კოგნიციური რეფლექსიის თავისებურებას. მათი აზრით, თანამედროვე საზოგადოებაში მოქმედებს არა კონცეპტუალურ-რაციონალური მიდგომა, არამედ მასმედიის მიერ შექმნილი "იმიჯი" (ერთგვარი "ხატება"). ეს იმას ნიშნავს, რომ საზოგადოების მნიშვნელოვან ნაწილს მხოლოდ მასმედიის ზეგავლენით უყალიბდება პოლიტიკური და იდეოლოგიური შეხედულებები, თვით გეოპოლიტიკური ორიენტაციებიც კი. მედიაკრატიის ამ სპეციფიკაზე ფრანგი მკვლევარი ივ ლაკოსტა წერდა: "მედიასეული ხატება ატომურ სინთეზს ჰგავს, რომელშიც ერთბაშად თავს იყრის საკითხის რამდენიმე ხედავ - ეთნიკური, კულტურული, იდეოლოგიური, პოლიტიკური. სინთეზურობა "იმიჯს" აახლოებს იმ კატეგორიებთან, რომლებითაც ტრადიციულად მოქმედებს პოლიტიკა" (2, 116).

2008 წლის აგვისტოში, საქართველოში რუსეთის სამხედრო ინტერვენციისა და რუსეთ-საქართველოს მორიგი ომის დროს, კრემლმა ამოქმედა გიგანტური მედიაკრატიული მანქანა საქართველოს წინააღმდეგ საინფორმაციო ომის საწარმოებლად. ცხადია, რომ რუსეთის მედიაკრატიული ინფრასტრუქტურისა და "გაზპრომის" ფულით მოსყიდული დასავლური საინფორმაციო ქსელების მიერ ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ წარმოებული მედიაკამპანიის სრული სურათის რეკონსტრუქცია არათუ საკონფერენციო სტატიის, არამედ მოზრდილი მონოგრაფიის ფარგლებშიც პრაქტიკულად შეუძლებელია. თქვენს ყურადღებას შევაჩერებთ მხოლოდ ზოგიერთ ფაქტზე და საკითხზე, რომელნიც ტიპიური ხასიათისაა და, ამდენად, წარმოგვიდგენს აგვისტოს ომის მედიაკრატიულ კონსტელაციას და ანტიქართული მედიაომის საკვანძო მიმართულებებს (რომელთა ანალიზის მეშვეობით შესაძლებელია რუსეთის აგრესიის ზოგიერთი საბაზისო მოტივის წარმოჩენაც).

იმთავითვე აღვნიშნავთ, რომ რუსეთის მხრიდან წარმოებულ ანტიქართულ მედიაომს ჰქონდა (და აქვს) ერთი პოზიტიური ასპექტი: ეს არის აგრესორის თვითლუსტრაცია მედიასივრცეში. სხვათაშორის, ეს ასპექტი მიგვაჩნია აგვისტოს ომის წყარომცოდნეობითი პლასტისა და, ზოგიერთი თვალსაზრისით, ამ მოვლენის შემეცნებითი რეფლექსიის თავისებურებად. საქმე იმაშია, რომ სწორედ აგრესიული მედიაომის წარმოებით რუსეთმა გაშიფრა საკუთარი თავი და მთელი სისრულით გამოავლინა ჭეშმარიტი ექსპანსიონისტური სახე. მედიასივრცეში დაგროვილი ინფორმაცია საზოგადოდ ცნობილია და საზოგადოდვე ხელმისაწვდომი. ეს არის რუსული ინტერვენციის ზედაპირული ფაქტოგრაფია, რომლის დროსაც აგრესიის ყოველი ფაქტი მედიის (პრესის, ტელევიზიის, ინტერნეტპორტალების) "ზედაპირზე დევს" და სულაც არაა საჭირო "სიღრმეში მდებარე" და მკაცრად გასაიდუმლოებული ფაქტებით ოპერირება. სწორედ ეს მიგვაჩნია რუსეთის ფართომასშტაბიანი აგრესიის შეფასების თავისებურებად, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, მედიაომიდან წარმოებულ თავისებურებად: მაინცდამაინც არაა საჭირო საიდუმლო დოკუმენტების ძებნა, რუსეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციის ან თავდაცვის სამინისტროს არქივების "გახსნა". წყაროებრივი ბაზისათვის სავსებით საკმარისია მედიასივრცეში არსებული ღია პუბლიკაციები და მონაცემთა ბაზები. ამასთან, გარკვეული გაგებით ეს ბაზები უფრო რეპრეზენტატულია საიდუმლო მასალებთან შედარებით. ამ შემთხვევაში აგრესორი დამნაშავე თვითონვე ღიად საუბრობს თავის დანაშაულზე.

ტოტალური სახმელეთო, სამხედრო-საზღვაო, სამხედრო-საჰაერო და სარაკეტო ომის პარალელურად (მისი პირველადი კატასტროფული შედეგები ყველასათვის ცნობილია: 426 დაღუპული (170 სამხედრო, 28 პოლიციელი, 228 მშვიდობიანი მოქალაქე) და 1747 დაჭრილი ჩვენი თანამოქალაქე, მთლიანად განადგურებული პატარა ლიახვის ხეობა, დიდი ლიახვისა და ფრონეს ხეობების უმეტესი ნაწილი, იძულებით ადგილნაცვალთა ახალი ტალღა, სეპარატისტულ დაჯგუფებათა მიერ კონტროლირებადი ტერიტორიული წარმონაქმნების "დამოუკიდებლობის" ცნობა და სხვა) რუსეთმა საქართველოს წინააღმდეგ აწარმოა წინასწარ დაგეგმილი და მიზანმიმართული, ამავე დროს, კომპლექსური საინფორმაციო-ფსიქოლოგიური ომი თავისი პროპაგანდით, კონტრპროპაგანდით, მსოფლიო და რუსულ საზოგადოებრივ აზრზე ზემოქმედების ქსელური მექანიზმებით.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, როგორც წესი, თავისი შინაგანი ორგანიზაციითა და ფუნქციით, წარმოადგენენ მასობრივ ცნობიერებაზე ზეგავლენის ავტონომიურ წყაროს. მაგრამ არც ომის დროს და არც ომის შემდეგ რუსული მედია-საშუალებების ქმედებაში არავითარი ავტონომიზმი და თავისუფალი მოღვაწეობის ნიშნები არ იგრძნობოდა. პუტინის ავტორიტარიზმის დროს ჩამოყალიბებული კომუნიკაციის მედია-ცენტრირებული სისტემა აქტიურად ჩაება საქართველოს წინააღმდეგ საინფორმაციო ომში, რითაც გახდა კრემლის ხროვის ფაქტობრივი დანამატი, ერთგვარი "მთავრობის ნაწილი".

რუსეთის საინფორმაციო სტრუქტურებმა ოსტატურად გამოიყენეს მედია-გავლენის სხვადასხვა ტექნოლოგიები - პიარ-ტექნოლოგიები, პროპაგანდა, აგიტაცია, დეზინფორმაციები, მანიპულირება "რაციონალური" არგუმენტებით (მაგალითად, სოციოლოგიური გამოკითხვებით, ექსპერტთა კომენტარებით, რუსული იმპერიალიზმის ადეპტთა ინტერვიუებით). იაფფასიან ტექნოლოგიებს შორის მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა საომარ მოქმედებათა ზონიდან ოსტატურად მანიპულირებულ პირდაპირ ჩართვებს. იყო პირდაპირი ჩართვები ცეცხლის ხაზიდან, საველე ჰოსპიტლებიდან, ცხინვალის საცხოვრებელი კორპუსების სარდაფებიდან, სადაც ხელოვნურად შეყუჟული რამდენიმე მშვიდობიანი მოქალაქე ნიანგის ცრემლებს ღვრიდა ქართველი ჯარისკაცების მიერ ჩადენილ მხეცობაზე, არადა ზუსტად იმ მომენტში ცხინვალს ბომბავდა რუსული ავიაცია, ქალაქიდან ქართული შენაერთების განდევნის მიზნით. ამგვარმა საინფორმაციო რეპორტაჟებმა უმოკლეს დროში შექმნეს ომის რუსული ვერსია, ცხადია, კრემლის ომისშემდგომ პოლიტიკურ მიზნებზე ყურადღების გამახვილებით.

თავისი სტატუსიდან და დიდი ფინანსური შესაძლებლობებიდან გამომდინარე, რუსეთმა მეტ-ნაკლებად წარმატებით გამოიყენა საინფორმაციო ლობიზმი გლობალურ სივრცეში. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია გერმანიის ჟურნალ-გაზეთები და ელექტრონული მედია. აღსანიშნავია ისიც, რომ საინფორმაციო ლობიზმმა "გაზპრომის კორუფციის" ეფექტთან ერთად წარმოშვა "ტალიავინის მისიის" პრორუსული ფრთა, ძირითადად სწორედ გერმანელი სამხედრო ექსპერტებისა და ანალიტიკოსების სახით.

კრემლი ახორციელებდა ტოტალურ და სისტემურ კონტროლს საინფორმაციო მასივზე. საგულისხმოა, რომ ამ მასივის მონაცემთა ბაზაში, თვით არაოფიციალური ოპოზიციური სეგმენტის ჩათვლით, ფაქტობრივად არ ფიგურირებს ოკუპაციის მსხვერპლი საქართველოს მიმართ თანაგრძნობის ოდნავი გამოვლენაც კი. ჟურნალისტური სიუჟეტების ყოველი ტექსტი, გადაღებული ფოტომასალის ყოველი ფირი ექვემდებარებოდა უმკაცრეს ცენზურას. ინფორმაციის გავრცელების უფლება მხოლოდ წინასწარ შერჩეული ჟურნალისტების (უმთავრესად ცენტრალური მედიის წარმომადგენელთა და კრემლის მონა-მსახურთა) ვიწრო ჯგუფს ჰქონდა. მათ მიერ გავრცელებულმა ცრუ ინფორმაციებმა შექმნეს საინფორმაციო ომის მნიშვნელოვანი და, ჩვენდა სამწუხაროდ, გარკვეულ დონემდე ეფექტური პლასტი.

მთელი ეს გიგანტური საინფორმაციო ინდუსტრია დღედაღამ თუთიყუშით იმეორებდა ერთსა და იმავეს - საქართველოს "აგრესიას სამხრეთ ოსეთის წინააღმდეგ", "მძინარე" ცხინვალზე "ბარბაროსულ" იერიშს, მშვიდობიანი მოსახლეობის "გენოციდს" (2000 ადამიანის დაღუპვას), რუს მშვიდობისმყოფელებზე წინასწარ დაგეგმილ თავდასხმას და ა.შ. მთელი ფალსიფიკაციური ვაკხანალიის მთავარი მიზანი იყო რუსეთის ინტერვენციის მიზანშეწონილობის, უფრო მეტიც, გარდაუვალობის არგუმენტაცია.

თუ რუსეთის ანტიქართულ მედია-პროდუქციას კონცეპტუალური თვალსაზრისით შევაფასებთ, შეიძლება გამოვყოთ საინფორმაციო-ფსიქოლოგიური ომის რამდენიმე სრულიად ცხადი ასპექტი:

1. სამშვიდობო ფორმატების კრიზისისა და კონფლიქტის ესკალაციის დროს (საკუთრივ ომის დაწყებამდე) რუსული მასმედია შეგნებულად ძირითად ყურადღებას უთმობდა შესაძლო საომარი სცენარის განხილვას. კრიზისიდან გამოსვლის სამხედრო ვარიანტი მიზანმიმართულად განიხილებოდა წამქეზებელ კონტექსტში, ხოლო დიპლომატიური - უბრალოდ თხრობით კონტექსტში. ეს სხვა არაფერია, თუ არა მასობრივი ცნობიერების წინასწარი მილიტარიზაცია, მისი შემზადება ომისათვის და ომის გარდაუვალობის კონსტატაცია.

2. რუსული მედია-სივრცე აქტიურად იყენებდა არაექვივალენტური ისტორიული ანალოგიების ბინძურ მეთოდს. მაგ., 7-8 აგვისტოს ღამის მოვლენების აღწერისას ჩვენი ჯარების ქმედებები გათანაბრებული იყო ნაცისტური გერმანიის ვერმახტის მოქმედებებთან, ხოლო სააკაშვილი - ჰიტლერთან (sic!).

3. რუსული მასმედიის ზეგავლენის კიდევ ერთი მეთოდი გახდა მოვლენათა ქრონიკის ხელოვნური პერსონალიზაცია. ამ მეთოდის მთავარი ელემენტი იყო ისეთი წარმოდგენის შექმნა, თითქოს ოსი და აფხაზი ხალხების მეგობრები, "პატიოსანი" პერსონები - მედვედევი და პუტინი ებრძოდნენ ამ ხალხების "გენოციდის" ორგანიზატორ, "დიქტატორ" და "შოვინისტ" სააკაშვილს. ცხადია, რომ ამგვარი ხელოვნური პერსონალიზაციის ფონზე რუსეთის აგრესიის ნამდვილი მიზეზები მთლიანად

მიჩქმალული, ხოლო არსი უკანა პლანზე იყო გადაწეული. ამავე მიზანს ემსახურებოდა სუბიექტური პლასტიკის მეტისმეტი ხაზგასმა და რუსულ და ნაწილობრივ ქართულ კოლაბორაციონისტულ წრეებში ანგაჟირებული საკითხი პუტინ-სააკაშვილის პიროვნული შეუთავსებლობის შესახებ. ამ საკითხის ტირაჟირება და მისით რუსული იმპერიალიზმის ისტორიული მისწრაფებების "გადაფარვა" ერთბაშად არის ელემენტარული გაუნათლებლობაც, უზნეობაც და წმინდა წყლის სისულელეც. ყველამ კარგად იცის, რომ, ვთქვათ, არც გიორგი XII-ს შეურაცხვეთა პიროვნულად პავლე I, არც იულონ ბატონიშვილს - ალექსანდრე I, არც ნოე ჟორდანიას - ვ. ლენინი, არც ზ. გამსახურდიას - ბ. ელცინი, მაგრამ რუსეთმა ყოველთვის გააკეთა ის, რაც გააკეთა.

4. საინფორმაციო ნაკადის მიზანმიმართული მართვით, ომზე ნებისმიერი ინფორმაცია გადაიცემოდა რუსეთის ოფიციალური პოლიტიკის კონტექსტში. მედიაეთერში ამკარად სჭარბობდნენ ინფორმაციის ოფიციალური წყაროები (სამხედროები, პოლიტიკოსები, ჩინოვნიკები). აქა-იქ იყო გარკვეული კრიტიკული ხასიათის პროდუქცია, მაგრამ ის ეხებოდა მეორეხარისხოვან საკითხებს და არა სამხედრო აგრესიის ძირითად კომპონენტებს.

5. რუსული მედიაომის ერთ-ერთი ასპექტი გახდა პერიოდული თავდასხმები ზოგადად ქართულ ცივილიზაციაზე, საქართველოს ისტორიულ წარსულზე და ჩვენს ეთნოკულტურულ ფასეულობებზე. აი, ორიოდ სიმბოლამატური მაგალითი: გაზეთ "იზვესტიას" 2008 წლის 11 აგვისტოს ნომერში ვინმე ვ. მალიშვი, რუსულ-მონღოლური ნაზავის ეს ნაშეიერი, წერდა: "... საბოლოო ჯამში ლაპარაკი საქართველოს ტერიტორიულ და კულტურულ ერთობაზე უაზრობაა. როგორც ერთიანი სახელმწიფო და ერთიანი კულტურული კომპლექსი, ის ვერ იარსებებს" (3).

იმავე "იზვესტიის" 22 აგვისტოს ნომერში ჟურნალისტებმა დარია ვარლამოვამ და პოლინა პოტაპოვამ ასეთი მკრეხელური რამ დაწერეს: "ვეფხისტყაოსანი" დამველდა. ქართველ პრეზიდენტზე ახალი პოემები უნდა დაიწეროს" (4). აი, ასე, ხელის ერთი მოსმით ოფიციალურ ორგანოში შეურაცხყოფილ იქნა ჩვენი სულიერ-კულტურული ფასეულობების კვინტესენცია - "ვეფხისტყაოსანი" და ტარიელისა და ავთანდილის ზნეობრივი კოდექსი. ასე რომ, წმინდა ფიზიკური ომის პარალელურად ადგილი ჰქონდა სოციეტალურ ომს საქართველოს წინააღმდეგ. საქართველო ებრძოდა არა მხოლოდ კრემლის ხროვას და რუსეთის არმიას, არამედ რეალურ კონტრკულტურას, იმპერიული სინდრომით ზომბირებულ ანტიცივილიზაციას, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით.

რაც შეეხება კიბერნეტიკულ ომს. საქართველოს წინააღმდეგ რუსეთის აგრესიის ობიექტი გახდა კიბერსივრცეც. სხვათაშორის, კიბერომი უფრო ადრე დაიწყო, ვიდრე 58-ე არმიის ტაქტიკური დაჯგუფებების შემოჭრა იყო, რაც, თავის მხრივ, კიდევ ერთი უტყუარი ფაქტია კრემლის მიერ ომის წინასწარი დაგეგმვისა.

ცხადია, რომ "კიბერნეტიკული ინტერვენციის" მთავარი მიზანი იყო საქართველოში მართვისა და კომუნიკაციის ელექტრონული სისტემების მწყობრიდან გამოყვანა და მთელი ოპერაციონალური ინფრასტრუქტურის პარალიზება. საქართველოს "ელექტრონულ ტერიტორიაზე" ორგანიზებული კიბერთავდასხმებით რუსეთმა პირწმინდად დაარღვია მთელი რიგი საერთაშორისო აქტებისა, მათ შორის - 2001 წლის "კიბერდამნაშავეობის შესახებ ევროპული კონვენცია" (1) და 2000 წლის "ოკინავას ქარტია გლობალური საინფორმაციო საზოგადოების შესახებ".

რუსეთის ქსელებიდან განხორციელებული კიბერშეტევების შედეგად 9 აგვისტოსთვის თითქმის ყველა ქართული ინტერნეტდომენი ძიებადი აღარ იყო. ზოგიერთი ინტერნეტ-ფორუმი კი თვით საქართველოს ხელისუფლებამ დახურა, საინფორმაციო უსაფრთხოების მიზნით.

ცხადია, რომ რუსული კიბერდარტყმების ძირითადი ობიექტი გახდა საქართველოს ოფიციალური "ელექტრონული ტერიტორია". ჰაკერების თავდასხმის მხვერპლნი გახდნენ სხვადასხვა სამინისტროების, პარლამენტის და ეროვნული ბანკის ვებსაიტები. მაგალითად, საგარეო საქმეთა სამინისტროს ბლოკირებული ვებსაიტის შინაარსი შეცვალა პროპაგანდისტულმა გამოსახულებამ - სააკაშვილისა და ჰიტლერის სურათების სამმა წყვილმა.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს იმ დახმარების შესახებ, რაც რუსული კიბერშეტევების შედეგების აღმოფხვრაში საქართველოს გაუწიეს პოლონეთმა და ესტონეთმა. ესტონეთის მთავრობის მიერ გამოგზავნილი საინფორმაციო უსაფრთხოების სწრაფი რეაგირების ჯგუფი დაუყოვნებლივ შეუდგა ქართული საიტების აღდგენას. ეს ამოცანა ძირითადად შესრულებულ იქნა 11 აგვისტოს საღამოსთვის. ვებ-გვერდების აღდგენამდე კი, მსოფლიოში ინფორმაციის გასავრცელებლად საქართველოს მთავრობას ინტერნეტსივრცე დაუთმო პოლონეთის პრეზიდენტის ლ. კაჩინსკის ადმინისტრაციის ოფისმა.

ამრიგად, 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომის ორგანული ნაწილი გახდა კრემლის მიერ წარმოებული საინფორმაციო-ფსიქოლოგიური ომი, რომელშიც გამოიყოფა მედიაომისა და კიბერომის თვისობრივი კომპონენტები. დასკვნის სახით ჩვენ შეგვიძლია შევქმნათ ამ კომპონენტთა ურთიერთმიმართების ერთგვარი მოდელი: საქართველომ გაიმარჯვა მედიაომში (რამიც გადამწყვეტი

როლი შეასრულა საერთაშორისო მედიამ), მაგრამ დამარცხდა კიბერომში. საინფორმაციო ომის ზოგადი ფორმატის თვალსაზრისით, ამ შემთხვევაში მედიაომს უფრო დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, ვიდრე კიბერომს, რადგანაც, ერთი მხრივ, საქართველოსა და რუსეთის მოსახლეობის უმრავლესობა არ სარგებლობს ინტერნეტით, მეორე მხრივ კი, საქართველოს ინფორმატიზაცია ჯერ კიდევ არ დგას სათანადო დონეზე და ჩვენი სასიცოცხლო ინფრასტრუქტურა არ არის დამოკიდებული გლობალურ ქსელებზე.

ნებისმიერ შემთხვევაში, ომმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ გვჭირდება საინფორმაციო სისტემების დაცვის ეროვნული გეგმა და, საერთოდ, საინფორმაციო უსაფრთხოების პრაგმატული დოქტრინა.

ლიტერატურა:

1. ლანჩავა გ., ოთოიძე გ., კიბერდამნაშავეობის წინააღმდეგ ევროპული კონვენცია და მასთან დაკავშირებული საერთაშორისო დოკუმენტები, თბ., 2008;
2. Yves Lacosta. Dictionnaire Geopolitique, Paris, 1986;
3. «Известия», 11 августа 2008;
4. «Известия», 22 августа 2008.

RUSSIA'S INTEGRATION INTO GEORGIA IN AUGUST 2008 AND SOME ISSUES OF THE MEDIA-WAR PRODUCED BY THE KREMLIN (SUMMARY)

Dazmir Jojua, Sokhumi State University, Associate Professor

RESUME

In an article presented a general image of an information war produced by Kremlin during the war 2008 between the Russia - Georgia for August 7-12 against our country. Media crative course of the August War is presented. This information war was pre-planned and its basic goals included the justification of Russia's large-scale aggression against Georgia, expediency of invension and inevitability approval. Russian media outlets were actively used for methods of information – psychological war, such as propaganda, rear propaganda, disinformations, manipulation from war zone with organized lives, PR – technologies and etc.

During the war Russia has undertaken a "cyber invasion." The main object of Russian cyber attacks has become official web domains - government, parliament, ministries, and National Bank's websites. Poland and Estonia has found extremely large assistance to Georgia in the solution of Russian cyber attacks.

Finally, it could be said that Georgia has won an information war. An international media means played an important role in it. In the eyes of an international community Russia really demonstrated as aggressor and occupier.



გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 0179, 0. ჭავჭავაძის გამზ. 1, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge